რევაზ

რჩეული თხზულებანი

ოცდახუთ ტომად

თანამედროვე ქართული ლიტერატურის კლასიკოსის, რუსთაველის პრემიის ლაურეატის, რევაზ მიშველაძის შემოქმედება კარგახანია მსოფლიო ლიტერატურის ორგანულ ნაწილად იქცა.

„საქართველოს მაცნე“ გამოსცემს პროზის დიდოსტატის რევაზ მიშველაძის რჩეულ თხზულებათა ოცდახუთტომეულს.

მკითხველი ამ ტომების წაკითხვისას ადვილად დარწმუნდება, რომ მწერლის ჟანრულად უაღრესად მდიდარ ნაწერებში ჩანს არა მარტო საქართველოს პრობლემები, არამედ ქართული სარკმლიდან დანახული მსოფლიოც.

2012

მიშველაძე

ნოველები

ტომი

III

გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“

ISBN 978-9941-16-228-2 (ოცდახუთივე ტომი)
ISBN 978-9941-16-242-8 (III ტომი)

რედაქტორი: **ნანა სუხიტაშვილი**

კომპიუტერული
უზრუნველყოფა: **მავრა ბანცური**
ლია სულაქველიძე

© რევაზ მიშველაძე, **რჩეული თხზულებანი ოცდახუთ ტომად**
© **გამომცემლობა** „საქართველოს მაცნე“, **თბილისი,** 2012

მისამართი: თბილისი, 0179, ალ. ჭავჭავაძის გამზ. №27

ბირჟა

ბირჟა ისე როგორც ეს სიტყვა ტრაფალგარის მოედანზე ესმით, ჩვენთან არ არსებობს. „ბირჟის კაცს“ ქალაქ კურკანტიაში მცონარა, მუჭატყუილა, ლამიტოპია და ქარიხვეტია კაცს ეძახიან. ბირჟათა მრავალსახეობიდან აქ მხოლოდ ბინების ყიდვა-გაყიდვის ბირჟაა ნებადართული და ისიც ნახევრად არალეგალურად. რაკი ადამიანთა და დაწესებულებათა შორის ყოველგვარ გარიგებას კურკანტიაში სახელმწიფო კისრულობს და ამას გაცილებით უფრო კანონიერად და საქმიანად აკეთებს, ვიდრე ადამიანთა არაოფიციალური საკრებულო – ბირჟა, ბუნებრივია, მას არ ეპიტნავება კერძო არხებით მფეთქავი მოქალაქეთა ეს ბუნდოვანმორალურიანი საკრებულო და ყოველი ღონისძიებით ხელს უშლის მის არსებობას. მიუხედავად ამისა, ადამიანთა არცთუ მაღალი შეგნების (და, სამწუხაროდ, ისინი საზოგადოების უმნიშვნელო პროცენტს როდი შეადგენენ) ნაწილს პირადი კონტაქტებით საქმის მოგვარება ურჩევნია სახელმწიფო დეპარტამენტის ხელდასმით ამის გაკეთებას. მათ მიაჩნიათ, რომ არსებობს პრობლემები, რომელთა გადაწყვეტისათვის არც კი ღირს სახელმწიფოს შეწუხება და, თუმცა ასეთი პრობლემების რიცხვი დღითიდღე მცირდება, ჯერჯერობით ნახევრად დაშვებულ ბირჟებზე მაინც ბუზივით ირევა ხალხი.

რას ავიხირე ეს, ცოტა არ იყოს, საშარო „ნახევრად დაშვებული“ და „სანახევროდლეგალური?“ საქმე იმაში გახლავთ, რომ კურკანტიის ხელისუფალნი გაცვლა-გაყიდვის ბირჟას ოფიციალურად არ კრძალავენ. მეტსაც გეტყვით,

ხელისუფლების რამდენიმე წარმომადგენელს იგი სასარგებლოდაც კი ეჩვენება, „რა გენაღვლება, შეხვდეს ხალხი ერთმანეთს. მოიჭუკჭუკ-მოითათბირონ, საქმეს მდინარება მისცენ, სულერთია, ჩვენი ბეჭდის გარეშე მათს ნათათბირევს ძალა არა აქვს, ბოლოს მაინც ჩვენს კარზე უწევს მოსვლაო“. უმრავლესობას კი ბირჟა ჩვენი საზოგადოებისთვის უცხო, არაჯანსაღ მოვლენად მიაჩნია და, რომ არცთუ უსაფუძვლოდ, ამაში ქვემოთ, რამდენიმე სტრიქონის წაკითხვის შემდეგ, დარწმუნდებით.

ბირჟაზე ათასი ჯურისა და მისიის მოქალაქე ირევა. შემკრთალი სახით დადიან არაშრომითი შემოსავლით გამდიდრებული პატივცემული გვამები, რომელთაც მოსალოდნელი საშიშროება იყნოსეს და კაპიტალის გადარჩენის იმედად, საცხოვრებელი ადგილის გამოცვლა ან მაღალფასიან ბინაში ფულის დაბანდება ეგულებათ. მოკუმული ტუჩებით და მტკიცე გადაწყვეტილებით დააბიჯებენ ქმრის უღირსობაში საბოლოოდ დარწმუნებული ცოლები, რომლებიც უმეტესწილად სამოთახიან კომუნალური ბინის ორ თითოოთახიანზე დახურდავებას სთავაზობენ შემხვედრთ. ხელჩაკიდებულნი დაჰყავთ მშობლებს პირველი კურსის სტუდენტები ან აბიტურიენტობაგახანგრძლივებული ქალ-ვაჟნი და ცენტრში გასაქირავებელ, იაფფასიან, არცთუ კაციჭამია დიასახლისიან ოთახს დაეძებენ. კატის ნაბიჯებით და მორცხვი ღიმილით დააბიჯებენ საყვარლიანი მამაკაცები და გირაოდ იმგვარ ოთახს ითხოვენ, რომელსაც თბილი წყალი და ცალკე შესასვლელი აქვს. ამგვარ ოთახს ისინი „სამუშაო ბინას“ უწოდებენ და ეჭვისგან შეჩქვიფებულ გამქირავებელს აღუთქვამენ, რომ ელექტროენერგიის იდეალური მომჭირნეობით გამოირჩევიან და შეყვარებულთა საიდუმლოს შენახვის უნარის მქონე სახლის პატრონს გულითად მეგობრობას გაუწევენ.

იქ, სადაც ადამიანები იკრიბებიან, სრულიად ბუნებრივია, გული მიუწევთ თაღლითებს და ქურდებს. ბინების დაქირავება-დაგირავება-ყიდვა-გაცვლის კურკანტიის ბირჟის ისტორიას სამარცხვინო ლაქად შერჩა მიმნდობ ქალიშვილთათვის

და გულუბრყვილო ბინის მყიდველთათვის სავალალოდ დამთავრებული არაერთი ეპიზოდი. აი, რატომ არ ეჭაშნიკება ქალაქის ხელმძღვანელობას ბირჟა და რატომ ცდილობს იგი ჩააგონოს ცხოვრების უკეთ მოწყობის მსურველებს, რომ ერთადერთი სწორი გზა ბინის (და არა მარტო ბინის) საკითხის მოწესრიგებისა აღმასკომის სათანადო უჯრედებზე გადის. ამ კეთილშობილური სურვილით ხელმძღვანელობს საქალქო საბჭოს შინაგან საქმეთა განყოფილება, როცა ფუთფუთის ექსტაზში შესულ ბირჟას წამდაუწუმ უცვლის ადგილს, კურკანტიას ცენტრალური მოედნებიდან და პარკ-სკვერებიდან ნელ-ნელა, დარბევისა და ხელჯოხის კაპიტალისტური მეთოდების გამოუყენებლად, თხოვნისა და მოწოდების ხერხით უბიძგებს ქალაქის გარეუბნისკენ. რამდენადაც ხშირი ჩანს ბირჟის მი და მო გადაადგილების მასშტაბები, იმდენად უფრო მჭიდროდ ირაზმებიან ბირჟის კატეგორიის მოქალაქენი მის გარშემო და გასაკვირი სწორედ ის გახლავთ, რომ გაზეთისა და ტელევიზიის დაუხმარებლად იგებენ ყველანი ბირჟის ახალ ადგილსამყოფელს და ენთუზიასტთა შემწეობით ბინების შეძენა-დახურდავების ფრიად საჭირო საქმე წუთითაც არ ფერხდება.

1986 წლის 28 აგვისტოს, ზუსტად თორმეტ საათზე, მაშინ, როდესაც გორაყანას გადასახვევთან, ბუჯიაშვილის ქუჩის ბოლოს, პატარა მოედანზე ორი დღის წინ მიდენილმა ბირჟამ, როგორც იქნა, მუშაობა განაახლა და საათივით ააწყო საქმე, მაშინ, როდესაც ადამიანებმა რამდენიმე საათით დაივიწყეს რეიგანის ახალი პროვოკაციული განცხადება და, როცა მათი გონება მაღალ მატერიებზე ფიქრის ნაცვლად წვრილმანი საყოფაცხოვრებო განსჯა-ბჭობით დაიტვირთა, სიცხისგან ავარვარებულ ჰაერში მკაფიოდ და ღონივრად გაისმა: „ამხანაგებო, მიტინგს, მიძღვნილს ჩვილ ბავშვთა და ინვალიდთა საერთაშორისო დღისადმი, გახსნილად ვაცხადებ!“

მებირჟეებმა ერთბაშად ასწიეს თავები და იმ ადგილს მიაჩერდნენ, საიდანაც ხმა მოდიოდა, მოედნის თავში (ასეთივე წარმატებით იმ ადგილს შეიძლება მოედნის ბოლოც

ვუწოდოთ), სახელდახელო ტრიბუნაზე, მიკროფონის წინ, ქაღალდით ხელში იდგა რიხხმიანი, საკმაოზე უფრო დაბალი, ლამის უკისრო კაცი, ხოლო მის უკან, თითქოს საგანგებოდ, კონტრასტისთვის შეურჩევიათო, ხუთიოდე ახოვანი ჩაჰალსტუხებული მამაკაცი და მათზე არანაკლებ ტანადი, თეთრკოფთიანი ქალიშვილი ბრძანება „სმენას“ პოზაში გარინდულიყვნენ. ეგ არაფერი, სხვა დროსა და სხვა ადგილას ამგვარი სურათი ხშირად უნახავთ კურკანტიას მოქალაქეებს, მაგრამ ბირჟის წევრთა გაოცების უკიდეგანობას ამჯერად ორი რამ იწვევდა. ჯერ ერთი, ამ მილეთის ხალხში რატომ ერთმა კაცმა მაინც ვერ შეამჩნია ტრიბუნა-არენისა თუ მიკროფონების გამართვა და სატელევიზიო მანქანების ალყიდან გასვლა რატომ არავინ სცადა? ან რა დროს მიტინგი იყო სწორედ მაშინ, როცა კურკანტიის მოქალაქენი, როგორც ისინი ფიქრობდნენ, უფრო სერიოზული და პრაქტიკული საქმით იყვნენ გართულნი?

ამ გაოცებაზე მე ვწერ, თორემ არც სატელევიზიო კამერებს აღუბეჭდავს და არც ჟურნალისტებს დაუძრავთ კრინტი ამის შესახებ. უკისრომ მშვენიერი შესავალი სიტყვა თქვა, მერე მის უკან მდგომნი რიგრიგობით მივიდნენ მიკროფონთან და ისევე, როგორც ჩვილ ბავშვთა, ინვალიდთა დაცვა-პატრონობის მსოფლიო პრობლემებსაც თავიანთი ხმა შეუერთეს. მიტინგის მსვლელობისას არაერთხელ გაისმა უოვაციო, მაგრამ მქუხარე ტაში და არც ის შეუმჩნევია ჟურნალისტთა ფხიზელ თვალს, რომ დასასრულ, სხვა მიტინგთა მსგავსად, მემიტინგეები კი არ დაიშალნენ, თავიანთ ყურეებს კი არ მიაშურეს, არამედ ადგილზე დარჩნენ და ბირჟის მცირე ხნით შეფერხებულ მდინარებაში გადმოერთვნენ.

ქალაქ კურკანტიას ტაშაურის რაიონის კულტმუშაკთა პროფკავშირის რეფერენტი ჩინო კიკნაძე თავის მომცრო კაბინეტში იჯდა და ტელეფონის ზარს ელოდა. „ექვსის ნახევრიდან ექვსამდე, თუ ვინიცობაა, ვერ დავრეკო, ექვსზე შენი სამსახურის წინ, ქუჩაში დამხვდი და გამოგივლიო“, დილითვე გააფრთხილა ცოლისძმამ. ექვსს ხუთიოდე წუთი

აკლდა, ზარი იგვიანებდა. მკითხველს რომ რამე საბანძღო საქმე არ ეგონოს, აქვე ვაუწყებ, რომ ჩინო და მისი ცოლისძმა – მეარმატურე ჯამბულ ვასაძე სტადიონზე უნდა წასულიყვნენ მეორე ლიგაში გადაბარგების მუდმივი და ერთადერთი კანდიდატის კურკანტიას „აპაპას“ საგულშემატკივროდ. ჩინო ოცდარვა წლის მაღალი და მუქწარბება, გაბზარულხმიანი, მკვირცხლთვალება ყმაწვილი გახლდათ. განათლებით ზოოტექნიკოსმა სამი წელი იმუშავა სკოლაში ხელგარჯილობის მასწავლებლად და ეს ერთი კვირაა, რაც პროფკავშირში დააწინაურეს. კიკნაძეს წინ პროფკავშირული მუშაკების უაღრესად საინტერესო და დრამატიზმით აღსავსე გზა უდევს და ღმერთმა ხელი მოუმართოს, თუ პატივცემულ მკითხველს საწინააღმდეგო არაფერი ექნება.

ის იყო, ჩინომ მაგიდა მიალაგ-მოალაგა, სიგარეტი და გაზის სანთებელა ჯიბეში ჩაიდო და გამოსვლას აპირებდა, რომ ტელეფონი აწკრიალდა. ორი წუთით ადრე რომ გამოსულიყო ჩინო თავისი ოთახიდან, ტელეფონის ზარი ასცდებოდა და ამ ნოველის ავტორის საეჭვოდ პროდუქტულ შემოქმედებას ეს ერთი ნოველა მაინც დააკლდებოდა (რაც, იქნებ, მცირე შეღავათი მაინც ყოფილიყო კითხვისგან თავგაბეზრებული მკითხველისათვის).

– გამოვდივარ! –ყურმილს ჩასძახა კიკნაძემ, მაგრამ დამრეკავი ჯამბული არ გახლდათ და, ბუნებრივია, რეფერენტის „გამოვდივარ“ მას ბევრს არაფერს ეტყოდა.

– კიკნაძე ბრძანდებით? – ჩინოს ხმა ეცნაურა, მაგრამ გამოსაცნობად დრო აღარ ეყო, – ალო, გეგუჩაძე ვარ, სამმართველოდან, ალო! რა ცუდად ისმის, დარეკეთ თქვენ თვითონ: ოცდათხუთმეტი ნოლ-სამი ჩვიდმეტი.

დარეკა, ამასობაში გაიხსენა კიდეც, სამმართველოში ამ ერთი კვირის წინ, როცა დასამტკიცებლად უხმეს, კარგა ხანს მოუწია დერეფანში ყურყუტმა. მაშინ შეამჩნია; ერთი ოთახის კარს სამი გვარი ეწერა „გელანტია, გეგუჩაძე, სვანიძე“. ძალაუნებურად, წინ და უკან სიარულისას მრავალჯერ წაიკითხა და იმიტომ დაამახსოვრდა.

– გისმენთ, ბატონო.

– ალო, თქვენ წევაძის ადგილზე რომ ხართ, ხომ ის ხართ, ხომ არ მეშლება?

– ის ვარ, პატივცემულო.

– ალო, კიკნაძე, აბა მიიღე სასწრაფო დავალება. ხვალ შენს რაიონში მიტინგი უნდა ჩატარდეს და შენ გევალება ყველაფერი.

– რისი მიტინგი, ბატონო?

– ჩვილ ბავშვთა და ინვალიდთა დაცვის ამბავზეო, რა მნიშვნელობა აქვს შენთვის, რაზე იქნება, თორმეტ საათზეა დანიშნული.

– სიტყვა უნდა ვთქვა, პატივცემულო?

– კიკნაძე, – ტელეფონში ხითხითი გაისმა. – როდის იყო მე და შენ სიტყვას გვთხოვდნენ. გამომსვლელები უკვე გაფრთხილებულია. შენ ორგანიზაცია უნდა გაუკეთო მიტინგს. ერთი სიტყვით, ხალხი უნდა მოიყვანო.

– სად, რა ადგილას, ბატონო?

– მე მგონი, წყალსადენის წინ აჯობებს, მანდ ვატარებთ ხოლმე, ავტობუსები რომ უხვევენ, აბა შენ იცი, არ დაიბნე ახლა. დღესვე ჩამორეკე დაწესებულებებში და დაავალე, ვისაც საჭიროა, ჩვენი სახელით.

– ვეცდები, ბატონო.

– რას ვიზამო? – ყურმილში კვლავ გაისმა ხითხითი, მაგრამ ამჯერად შედარებით, მოზომილად, – „ვეცდები“ რომ სამსახურის სიტყვა არ არის, არ იცი შეენ? რას ჰქვია, ვეცდები. ეცდები კი არა უსიკვდილოდ უნდა გააკეთო. დამირეკე ხვალ დილით. არ გადადო ხვალისთვის ეგ საქმე. ხვალ ვეღარ მოასწრებ, იცოდე.

ჩინო, რასაკვირველია, ფეხბურთზე არ წავიდა. ქუჩაში გამოირბინა, გზის იქითა მხარეს მდგარ ცოლისძმას გასძახა – ასე და ასეა ჩემი საქმეო და კაბინეტში შემობრუნდა.

ყველაფერს წარმოიდგენდა, მაგრამ თუ ასე ძნელი იყო ერთი პატარა მიტინგის „ორგანიზება“. სხვას რომ ეთქვა, არ დაიჯერებდა. დაიდო სია წინ და რეკა წარმოება-დაწე-

სებულებებში, მაგრამ უმეტესობამ არ უპასუხა, ხოლო ვინც ყურმილი აიღო, ან კატეგორიული უარი უთხრა, „რაღა მე მებდღვენი, რა მემიტინგება, ხალხის მოცდენა მინდა მეო?“ ან მამის სული დააფიცა, „ვითომ ვერ დამიჭირე ადგილზე, ჩემთან ისედაც ცოტა ხალხი მუშაობს, ახლა ნახევარი შვებულებაშია და არავინ არ წამოვა მიტინგზე, ვიცი მეო“. მეორე დილითაც რომ იგივე განმეორდა, ჩინო სასოწარკვეთილებაში ჩავარდა. ცხრა ხდებოდა და მიტინგზე მომსვლელი მხოლოდ ჩვიდმეტი კაცი ეგულებოდა (არც ეს იყო მტკიცე სია). ჩვიდმეტი კაცით რა მიტინგი გაიმართებოდა, ტელევიზიას და ფოტორეპორტიორებს ხალხი ხომ უნდა გადაეღო? უწა-უწა გავარდა სამმართველოში და გეგუჩაძეს გამოეცხადა:

– არ გროვდება ხალხი, ბატონო.

– რაიო? – დაიგრგვინა გეგუჩაძემ, – ახლა მეუბნები ამას, მიტინგამდე ორი საათი რომ დარჩა? ხომ იცი, მიტინგის ჩაშლას რომ გადაგვაყოლებენ ორივეს? გავარდი ახლავე და წელში რომ გაწყდე, ას კაცზე ნაკლები არ იყოს მიტინგზე. ჩამოუარე შენ თვითონ ყველას და შენვე გამოუძეხი. არ დაიღუპო თავი და არ დამღუპო მეც! – ბრძანება, მუქარა, ხვეწნა, მუდარა – ყველაფერი ერთად იგრძნობოდა გეგუჩაძის ხმა-მიმიკაში.

ჩინოს სიტყვა აღარ შეუბრუნებია. ჩამოირბინა, გადაჭრა ქუჩა. პირველივე ტაქსში ჩაჯდა და სარეცხელას დაღმართზე რომ მორიხინებდა, თავი დუნიაზე ყველაზე უბედურ კაცად წარმოიდგინა: „რა საჩქარო იყო ახლა, დღეს, მაინცდამაინც თორმეტ საათზე ეს მიტინგი. გავეფრთხილებინე ამ მამაცხონებულს სამი დღით ადრე მაინც. რას უშველის ახლა, ვითომ, მაინცდამაინც დღეს, ეს მიტინგი ჩვილ ბავშვთა და ინვალიდთა საქმეს? ხანძარია? ბოლოს და ბოლოს, არც გუშინ გამართულა მიტინგი, მარა არ დაქცეულა ქვეყანა, ხომ ვიცი, როგორ იქნება ეს საქმე დაწყებული. მოუვიდათ ჯერ იქ თავში. მერე ატეხეს რეკვა. რეკეს ქვევით-ქვევით, ქვევით-ქვევით ინსტანციებში და ბოლოს ჩემი თავმოსაყრელი გახდა ხალხი, რა ჭირში ჩავვარდე, რა ქვა გავტეხო, სად ვიშოვო

ამდენი ხალხი. რა მიტინგობია აუტყდათ...“

გორაყანას გადასახვევთან, ბუჯიაშვილის ქუჩის ბოლოს ხალხს რომ ჰკიდა თვალი, ტაქსის შოფერს ჰკითხა, „რა ხდებაო“. „ბირჟა გადმოუტანიათ გუშინწინ აქეთ. რას დაარბენინებენ ამ საწყლებს იქეთ-აქეთ, თუ არ უნდათ, აუკრძალონ საერთოდ და ის იქნება“, – უპასუხა მძღოლმა.

უსაშველოდ ჩინოს მდგომარეობაში კი არა, მაშინაც არ არის კაცი, ჩაძირული ხომალდის სიახლოვეს ოკეანეში რომ ტივტივებს, რეფერენტს ისეთმა ახალმა იდეამ გაუნათა გონება, რომ სიხარულისაგან კინაღამ შეჰყვირა, ტაქსის მძღოლს პირველსავე ტელეფონ-ავტომატთან გააჩერებინა და გეგუჩაძეს სთხოვა: „თუ საწინააღმდეგო არაფერი გექნებათ, მიტინგი გორაყანას გადასახვევთან, ბუჯიაშვილის ქუჩის ბოლოს მოედანზე ჩავატაროთ, წყნარი ადგილია და ხალხსაც დავატევთო“.

გეგუჩაძე მცირე ყოყმანის შემდეგ დაეთანხმა.

დანარჩენი მკითხველმა უკვე იცის.

დედა

ცვალებადობის საშინელ კანონს ყველაფერი ემორჩილება ამქვეყნად მოსაცდელების ცხოვრების გარდა. დამერწმუნეთ, მოსაცდელებში სხვა ცხოვრებაა – თითქოსდა დამუხრუჭებული, მოჩვენებითად მშვიდი, მღვიმესავით უხმაურო. მე, მაქვს ამის თქმის უფლება. მე ბონდო ქარსელაძეს, ლამის მთელი ცხოვრება მოსაცდელებში რომ გამიტარებია. ხალხი ნერვიული გახდა ამ ბოლო დროს. რამდენი სერიოზული კაცი მინახავს, ჯერ თავს ჩამოჰკიდებს ჭაჭანაჭამი ინდაურივით, მერე მუხლებზე დადებულ საქაღალდეზე თითების კაკუნს მოჰყვება. ბოლოს წამოხტება. მდივან ქალს მივარდება და ენაზე ბზიკნაკბენი კაცის ჩიფჩიფით მიახლის: „ისინი, ეტყობა, დღეს არ გამოვლენ, წავედი მე!“ სანამ მდივანი პირს გააღებდეს, შეტრიალდება და ქარს გაიყოლებს. მეცოდება ასეთი ხალხი. მათი უმეტესობა ან ინფარქტით ამთავრებს სიცოცხლეს, ან ხელფეხაძიგძიგებული თავის ჭიშკართან ზის და, თუ თამამმა გამვლელმა დრო ჰკითხა, სანამ აკანკალებული ხელით საათს დააძრობდეს ჯიბიდან, მოქალაქე ცხრა მთას გადაივლის. არ დამიჯერებთ, და, მიყვარს მოსაცდელები. მარტო მიჩვევის გამო კი არა, საერთოდ. მიყვარს მოსაცდელების შეჩერებული დრო და მყუდროება. ქალაქის ორომტრიალიდან თავდაღწეული მაჯააჩქარებული და გულამოვარდნილი შემოვარდები მოსაცდელში და აქ დაესმება წერტილი შენს თავაწყვეტილ სრბოლას. „ჰყავს, დაბრძანდით, დაელოდეთ“, – გეტყვით სანდომიანი სახის მდივანი გოგონა და სკამზე მიგითითებთ. ჯდები, თანდათან მშვიდდები. მოსაცდელის ძილ-ბურანში იძირები. კედლის საათის ტიკტიკი ისმის მხოლოდ. კედლის გასწვრივ თავიანთ დარდში ჩაძირული მოქალაქენი სხედან. კართან მდივანი გოგონა ზის და ქსოვს. როდის დაინტერესდებიან სოციოლოგები იმით, რომ ჩვენმა საუკუნემ კიდევ ერთი საჩუქარი უძღვნა კაცობრიობას – გაჩნდა სრულიად ახალი ტიპი ადამიანისა – მდივანი ქალი. დედამიწაზე მდივანი ქალების უმეტესობა ერთმანეთს ჰგავს, სანდომიანობით, სიმშვიდით და სხვათა ჭირისადმი თითქმის ერთნაირი

დამოკიდებულებით. იქნებ, სწორედ ეს არის მომავლის ადამიანი? სწორედ რომ იგი გაუძლებს ურბანიზმის დაძაბულობას თავისი რკინის ნერვებითა და რობოტის დაპროგრამებული თავაზიანობით. მიყვარს-მეთქი მოსაცდელში ჯდომა. ყველა მოსაცდელში ერთი და იგივე განწყობილება სუფევს. მდივანი ქსოვს, მთხოვნელები, მცირე გამონაკლისის გარდა, თვლემენ. უფროსის კაბინეტის კარი არ იღება. არც არავინ შედის, არც გამოდის. „უფროსი დაკავებულია, ჰყავს“. იციან რა მოსაცდელებისადმი ჩემი დამოკიდებულება, სამსახურშიც და ოჯახშიც საკაბინეტო საქმეებს ყოველთვის მე მავალებენ. ქალაქში რამდენიმე კაცი ვართ, როგორც ჩანს, ასეთი, და ამიტომაც იშვიათზე იშვიათია, მოსაცდელში კედლის გასწვრივ მსხდომი ათი მთხოვნელიდან შვიდი მაინც არ აღმოჩნდეს ნაცნობი. დიახ, სხვადასხვა რანგის ნომენკლატურულ ამხანაგებს კაბინეტებთან თითქმის ერთი და იგივე მოქალაქენი ელოდებიან. მე ვიცი ეს და, იმათ, თანამდებობის პირებს, არ ეცოდინებათ? იციან, და სწორედ ამიტომ მშვენივრად აქვთ დამუშავებული მიღების საყოველთაო სტილი – ხშირად ყველაფრის დაპირებითა და არაფრს გაკეთებით რომ გამოიხატება.

იმ დღეს კონფერენციის ქუჩაზე მეთერთმეტე სამმართველოს უფროსის მოსაცდელში ვიჯექი. ამ სამმართველოში კარგა ხანია არ ვყოფილვარ და აქაურობა მესხვაფერა. მოსაცდელში ავეჯი ხომ შეუცვლიათ და შეუცვლიათ, მდივანიც ახალი ზის. მთელს ქალაქში ერთადერთი ჩემთვის უცნობი მდივან-მემანქანეა და, ცოტა არ იყოს, ამრეზილად შემხედა; „იცის?“ – შემომაგება უცნობ მთხოვნელთათვის გამზადებული შეკითვა. „იცის, დამიბარა“, – იხტიბარი არ გავიტეხე და შემოუთავაზებელ სკამზე დავეშვი. საკმარისია ასეთ დროს დაიბნე, თქვა „არ იცისო“, – ან შეკითხვას, „რა საქმეზე ხართო“, „პირად საქმეზეო“, უპასუხო, გათავდა. უფროსთან შეხვედრა არ მოგიწევს. თუ გახსოვთ, ოსტაპ ბენდერის დროსაც კი „პირად საქმეზე“ მოსული თავმჯდომარესთან ურიგოდ შედიოდა. ახლა თუ რამე არ ჭრის მოსაცდელებში, „პირად საქმეზე მოსვლა“ გახლავთ. პირად საქმეზე უფროსები (პირად

მდივანთა სიტყვას თუ დაუჯერებთ) კარგა ხანია აღარავის ღებულობენ. და, კაცმა რომ თქვას, მოსაცდელში მსხდომთა სოციოლოგიური გამოკვლევა რომ ჩატარდეს, გაირკვევა, რომ უბრალო მოქალაქენი უფროსებთან პირად საქმეზე აღარ დადიან. თუ ოდესმე დამიმადლებთ, პირად მდივნებთან ჩემი მრავალწლიანი ურთიერთობის შედეგად მოპოვებულ, უფროსთან მოხვედრის ერთ უებარ ფრაზას გაჩუქებთ: „დაბარებული ვარ“, მტკიცედ უნდა განაცხადოთ და ირგვლივ დაჯერებულად მიმოიხედოთ. არ შეგაშინოთ პასუხმა: „დაელოდეთ, ესენი ყველანი დაბარებული ბრძანდებიან“. დაბრძანდით და თქვენი ვიზიტის მიზეზისთვის უფრო სერიოზული სახის მისაცემად მოსაცდელის მშვენებას – მიმდინარე ხუთწლედის ვადაზე ადრე დამთავრებისთვის აღმაფრთოვანებელ პლაკატს მიაჩერდით. უფროსებს იშვიათად ახსოვთ, ვინ ჰყავთ დაბარებული და მთხოვნელისაგან სიცრუეს არ ელიან, ამიტომ „დაბარებულები“ ჯერ კიდევ დაუბრკოლებლად შედიან კაბინეტებში. ამ ნოველის შექმნამდე ეს ხერხი ჭრიდა, აწი, ვინ იცის, იქნებ, აღარ გაჭრას.

მეთერთმეტე სამმართველოს უფროსთან, გარდა სამსახურებრივი საქმისა, პირადი საქმეც მქონდა. სამსახურებრივი საქმე ჩვეულებრივი კანცელარული პრობლემა გახლდათ და ვიცი, არც თქვენ დაგაინტერესებთ, ხოლო პირადი საქმე იმგვარი საკითხია, თავისი დელიკატურობის გამო მხოლოდ ახლო ნაცნობთან რომ ითქმის და, თუ ნებას მომცემთ, არც იმას გაგიმხელთ.

ტელეფონი აწკრიალდა.

– ვენერას? მოითმინეთ, ვნახავ თუ არის, – მშვიდად ჩაუტელეფონა მდივანმა და ჩანს, ვერ გააგებინა დამრეკს, ხმას აუწია: – ვნახავ-მეთქი, მოვიდა თუ არა!..

წამოდგა, წელზე შემოხვეული ვეებერთელა თეთრი შარფი მოიხსნა, უფრო კოხტად და მჭიდროდ შემოიფსკვნა ქვედატანზე და ტანის ლამაზი რხევით თუ ლამაზი ტანის რხევით (ამ შემთხვევაში სულ ერთია) გავიდა. ორიოდე წუთში ჩვეულებრივზე უფრო მაღალ, მხრებზე დალალდაყრილ, ცხვირკეხიან ქალს შემოუძღვა. ჟირაფის ყელი რომ არა, ვენერა

მშვენიერი ქალი იქნებოდა, მაგრამ ყელი ჰქონდა გრძელი და სიმაღლეც, ძირითადად, ყელის ხარჯზე შემატებოდა. ასეთ შემთხვევაში ქალები მაღალყელიან სვიტრს იცვამენ ხოლმე, ვენერას კი რატომღაც ყელი მოეღეღა და სადღაც მაღლა ასროლილ პატარა, კოპწია თავს აქეთ-იქით არცთუ ძალიან მოხდენილად ატრიალებდა. დაწინაურდა, ყურმილი აიღო, „ალო“, – დაღლილი ხმით თქვა და შეშფოთებულმა ელვის სისწრაფით მიაჩეჩა მდივან-მემანქანეს.

– ლედი, შენი ჭირიმე, აქ არ არის-თქო, მიშველე!

ლედიმ ყურმილი გამოართვა და მხნედ ჩასძახა:

– ალო, ქალბატონო, მისმენთ? არ არის ოთახში, ჯერ არ მოსულა. როდის მოვა? – ვენერას შეხედა.

– არ ვიცი-თქო, შეიძლება დღეს არ მოვიდეს-თქო, –ხელები გაასავსავა ქალმა.

– ვერ გეტყვით, ქალბატონო, შეიძლება დღეს არც მოვიდეს.

ყურმილი თავის ადგილს დაუბრუნდა. ქალები ერთდროულად დაეშვნენ სკამებზე. ვენერამ თავისი ღერო-ყელიდან თავი, რამდენადაც მოახერხა, ჩამოსწია, ტუჩთა კიდეებზე ორი თითი ჩამოისვა და თვალები რომ ირგვლივ მიმოატარა, ისევ ლედის მიაჩერდა.

– დავიღუპე აქაც მომაგნო, – ისე ხაზგასმულად უთხრა ლედის, რომ შევატყვე, ჩვენ გასაგონადაც იყო ნათქვამი.

– ვინ იყო? – ლედიმ მკლავები მკერდსქვემოთ ჩაიხვია და წელში გაიზნიქა.

ვენერამ კიდევ ერთხელ მიმოატარა მოსაცდელს მზერა.

აღარ მახსოვს, ვთქვი თუ არა, რომ მოსაცდელში შვიდი მთხოვნელი ვიჯექით. ერთი ამდენიც რომ ვყოფილიყავით, დავეტეოდით, კედლის გასწვრივ თხუთმეტი სკამი იდგა. შვიდივემ შეთანხმებულებივით თავი შევაბრუნეთ, თითქოსდა სულ არ გვაინტერესებდა, ვის ემალებოდა ვენერა ასე ენერგიულად.

– შენ არ იცი, ლედი. რაკი აქაც მომაგნო, ჩემზე უბედური ქალი აღარ არის ამ ქვეყანაზე. ღმერთო, ან ტელეფონი საიდან გაიგო, ვინ გამომჭრა ყელი.

– აღარ იტყვი, ვინ არის? – მდივანმა გაუღიმა. – ეგ ის მძივებია?

ჩამონაოჭებულ ყელს ქვემოთ მიკარგულ მწვანე მძივებს, ვინ მკითხავდა, მაგრამ მეც შევავლე თვალი.

– მძივების თავი მაქვს, თუ ქალი ხარ, ახლა მეე? ვინ ეტყოდა ამ ტელეფონს, საიდან მომაგნო. რაც აქ გადმოვედი, დავისვენე-მეთქი და ესაა საქმე? რისიც ყველაზე უფრო მეშინოდა, ამიხდა.

– რას გერჩის, რა უნდა? – ლედიმ ჩახვეული მკლავები უფრო ღონივრად ამოსდო მკერდს.

– იქ მუშაობდა, ჩვენთან. საქმეთა მმართველის თანაშემწე იყო თუ რაღაც ამგვარი. აღარ მახსოვს, კაი ხნის ამბავია. თან ქარგვა იცოდა. ქარგავდა ბალიშის პირებს, ხელსახოცებს. მაშინ ქარგვა მოდაში იყო. ერთი-ორჯერ შინაც ვეწვიე ამ გასახმობი ფეხებით, ერთი-ორჯერ მუშტარიც მივუყვანე. მაშინ, ხომ იცი, ეძებდნენ მქარგავს. მერე პენსიაზე გავიდა. დაგვავიწყდა ყველას, რასაკვირველია. არ იცი, რა დროა? ყოველდღე ხვდები ადამიანს და ხანდახან ის დაგავიწყდება. ვის ახსოვდა მარუსა დეიდა – ასე ვეძახდით. – ამ ორი თვის წინ დამირეკა. გამახსენდა, ქალო, რასაკვირველია. ხომ იცი, ჩემი ხასიათი. ველაპარაკე ტკბილად, გემრიელად. შარშან ქმარი მოკვდომია საწყალს. მარტო დავრჩიო, შემომჩივლა. მოწყენილი ვარო. მე ჩემი მოწყენისთვის ვერაფერი მომიხერხებია, მარუსიას გამრთობად ვვარგივარ მეე? დღე ერთია და ხუთჯერ მაინც დამირეკავს. მელაპარაკება, მელაპარაკება, გამიხვრიტა ტვინი. არც შემიძლია ტელეფონის დაგდება, არ ვარ ასე გაზრდილი. არადა, რა წყალში ჩავვარდე, არ ვიცი.

– შვილები არ ჰყავს?

– როგორ არა. გოგო მაშინაც გათხოვილი ჰყავდა. ბიჭს გვიან შეურთავს ცოლი. ფოსტის გამგედ მუშაობსო სადღაც, დიდუბისკენ. ახლა ორმოცდაათს გადაშორებული იქნება, მე ახალმოსული ვიყავი გაერთიანებაში, ერთი ორჯერ სამსახურში რომ მოაკითხა დედამისს, თმა არც მაშინ ჰქონდა თავზე. კავშირგაბმულობა დაამთავრა მოსკოვშიო, ამბობდნენ მაშინ.

ყველას თავისი უჭირსო, მეუბნება, შვილებს არ ამტყუნებს ლაპარაკში, ჩემთვის ვეღარ იცლიანო.

– აბა, შენგან რა უნდა?

– რა უნდა, შენ გაიგებ? ჯერ მითხრა, ახლა თავისუფალი ვარ და იქნებ მუშტარი მიშოვო, ცოტას წავიმუშავებ, სანამ შემიძლიაო. სიბერის ოფოფები სჭირს საწყალს. სადაა ქარგვის მუშტარი, ვის უნდა ამოქარგული ბალიშისპირი დღეს. გავიკითხავ-მეთქი, მარუსა დეიდა, რას ვეტყოდი, აბა?

– შენ თვითონ გაგიბამს მახეში თავი.

– არა, შენ გგონია მაგისთვის მირეკავს? აღარ ახსოვს, რა გითხრა გუშინ. თავიდან მოგიყვება ყველაფერს. არ გინდა ნერვები? როგორი მოსასმენია ყოველდღე: მეო, სხვანაირი ქმარი მყავდაო, ჩემი ქმარიო, სახლიდან უჩემოდ ფეხს არ გაადგამდაო. არ მახსოვს, სტუმრად მარტო წასულიყოსო. შვილებიც ასე გავზარდეო. ჩემი ბიჭი ოჯახის ერთგული და წესიერი კაცია. რა ქნას, უჭირს ცხოვრება, მეც ვერაფერს ვეხმარები, მოუკვდეს დედა, ფოსტის გამგის ხელფასი რას გიზამს დღესო. მერე თავის ავადმყოფობებზე მელაპარაკება. არ არის ქვეყანაზე დაავადება, მას რომ არ სჭირდეს. მოუსმინე, აბა, როგორი მოსასმენია. დღესო, გუშინ დამირეკა, მარჯვენა ფეხის ცერა თითი გამიკავდა, ვეღარ ვამოძრავებო. ღამე ტელეფონს ვთიშავ, მაგრამ ჩავრთავ თუ არა დილით, სამსახურში წამოსვლამდე პირველი, ვისი ხმაც მესმის ყურმილში, მარუსა დეიდაა.

– ქმარი რით მომიკვდაო?

– რით მოუკვდებოდა, სიბერით. რომ ჰკითხო, ძალათ მომიკლესო. ვერ გაუგეს ინფარქტი და კუჭის ამორეცხვა დაუწყესო, – აქ ვენერამ ხმას დაუწია. – ისე, თუ ასე მოხდა, მართლა ძალათი მოუკლავთ.

ტელეფონი აწკრიალდა.

ლედი ყურმილს დასწვდა, მაგრამ ყურთან მიტანამდე შეატყო, რომ გაითიშა და დადო.

– მეცოდება მაინც. კაცმა არ იცის, რა ელის ცხოვრებაში ადამიანს, – ლედის ეს სიტყვები, ვენერასთვის არ ვიცი, და ჩემთვის სრულიად მოულოდნელი იყო.

– მეცოდება, აბა არ მეცოდება? – ვენერამ ყურს ჩამოაყოლა თითები და ყელის გასწვრივ წითელი ხაზები დააჩნდა. – მეცოდება, მაგრამ მე რა ვქნა? მე შემიძლია რამეს შეცვლა? შიშით ტელეფონთან ვერ მივსულვარ. გაუძლებს ვინმე სკლეროზიანი დედაბრის მოსმენას ყოველდღე? ერთი და იგივე, ერთი და იგივე. ხანდახან მაგიდაზე დავდებ ყურმილს და ჩემს საქმეს ვაკეთებ. ხანდახან ავიღებ და შევეხმიანები: „ჰო, ჰმ, კი“, – ასეთი ბგერები უნდა ჩემგან, მეტი არაფერი. შენ გგონია, ჩაურთავ, სიტყვას? ორ საათს ისე იქაქანებს, ბზარს ვერ უპოვი, სულს არ მოითქვამს... რა ენერგია აქვს, ღმერთო; ლაპარაკის ენერგიად გარდაქმნა რომ შეიძლებოდეს, ერთ მომცრო ელექტროსადგურს აამუშავებს.

– მე შენ ადგილას, – ლედიმ უჯრა გამოსწია, საბეჭდ მანქანას ლურჯი ჩვარი გადაუსვა, ზედ მკლავები დააწყო, მკლავებს ნიკაპი ჩამოადო და ვენერას ამოხედა. – ავდგებოდი და ვეტყოდი, თუ ქალი ხარ, მეტი აღარ დამირეკომეთქი.

– შენ გგონია, არ გადავწყვიტე? მეტი გზა არა მაქვს, მაგრამ რამდენჯერაც დავაპირე, ვერ ვუთხარი. ყელი გამიშრა, სიტყვა აღარ დამემორჩილა. რა გრძნობაა, იცი? შენი იმედი აქვს ადამიანს. რას უკეთებს, მაგრამ გულს მაინც იოხებს შენთან. თანაც ხანდახან ხმა აუკანკალდება, შიშგარეული ხმით გელაპარაკება, თითქოს გრძნობს, რომ თავი მოგაბეზრა. როგორი სათქმელია, მეტს ნუღარ დარეკავო. აბა, ვის დაურეკოს.

– შენ გარდა, შენ გგონია, სხვას არ ურეკავს? ბარე ორი იქნება შენ დღეში.

– რა ვიცი... არა, არა, ასე დამალვით სანამდე ვემალო. ახლა ჩემი სამსახურის ტელეფონიც გაუგია და სისხლის გაშრობა აწი ნახე...

თითქოს ამ სიტყვებს ელოდაო, ტელეფონი აწკრიალდა.

– არ მოვალო, ქალბატონო, დღეს ვერ მოვალო. დავალებაზე გაგზავნეს. ხვალ დარეკეთ, ხვალ, ალბათ, იქნება! – ჩასძახა ყურმილს ლედიმ და ვენერას თავისი ლამაზი კბილები უჩვენა. – ისევ ის იყო, შენი... რა ჰქვია?

– მარუსა.

– მარუსა დეიდა. ტელეფონი მაინც არ უფუჭდება? რა ვიცი, ჩვენთან ნახევარჯერ გამორთულია.

– რას ამბობ, ქვეყანას დააქცევს. ამ ცხოვრებასთან მარუსა დეიდას ერთადერთი კავშირი ტელეფონია... უტელეფონობას ერთ დღეს ვერ გაუძლებს, გული გაუსკდება.

რომ წამოვხტი და კარისაკენ გავიქეცი, მახსოვს. ტელეფონის ჯიხურთან როგორ აღმოვჩნდი და ორკაპიკიანი ვის გამოვართვი, აღარ მახსოვს. დიდხანს, მტანჯველად დიდხანს ვრეკავდი. ყურმილს არავინ იღებდა. ღილაკს კიდევ ერთხელ ჩამოვკარი და ცრემლგამშრალმა, კიდევ ერთხელ ვცადე.

– დედა! სადა ხარ, დედა?!

– შენ ხარ? სად დაიკარგე. ხომ მშვიდობაა, ბიჭო?!

– ყურმილს რატომ არ იღებდი, დედა? – სახეზე სისხლმოწოლილი, ხმააკანკალებული კი არ ვამბობ, ვტირი.

– მამაშენის ზანდუკს ვალაგებდი, უკანა ოთახში. ჩრჩილს შეუჭამია ყველაფერი. აღარ მესმის ყურში, დედა, დიდი ხანია რეკავ? მოგიკვდა ჩემი თავი.

– შემეშინდა, შე ქალო! – ცრემლი თვალთა უპეებს სადაცაა დამიხეთქავს. – კარგად ხომ ხარ?

– მე რა მიჭირს, ვარ.

– დედა!

– ჰო.

– მოვდივარ, ახლა, ა, ამ წუთში მოვრბივარ, ხუთ წუთში შენთან ვიქნები!

ქუჩაში ვდგავარ და გიჟივით ყველა მანქანას ვუქნევ ხელს. ეს ტაქსი, ეს დალოცვილი, როცა ძალიან გეჩქარება, მაინცდამაინც მაშინ არ გამოჩნდება.

მხვრინავნი

იცოდა, ამ სასტუმროში ერთადგილიანი ნომრები საერთოდ არ იყო და როცა სამსართულოვანი ვარცხნილობის პატრონმა, ლინზასთვალიანმა, კოტიტათითება ადმინისტრატორმა ქალმა მოწყალება მოიღო – ვაინაჩრობით დაჯავშნილი ადგილი გამოუწერა, ქვითარი უხმოდ, უმადლობოდ გამოართვა და ლიფტისკენ წავიდა. სასტუმრო „ჰკა მაგას“ ელემენტარულ კომფორტსმოკლებულ სასტუმროთა რიცხვს განეკუთვნებოდა. ავთანდილი აქ არასოდეს ჩამომხტარა, მაგრამ გაეგონა, რომ იგი იმ პერიოდში იყო აშენებული, როცა მოქალაქის ნომერში მარტო ყოფნა დაუშვებელ ამბად იყო მიჩნეული თვით მოქალაქისვე ინტერესებიდან გამომდინარე (მარტო შთენილს თავში ავი აზრები რომ არ მოსვლოდა და ახალ დავიდარაბაში არ გაეყო თავი). სწორედ იმ ხუთწლედებში აშენდა ჩვენს უკიდეგანო ქვეყანაში უამრავი სასტუმრო და დასასვენებელი სახლი მაღალჭერიანი, შვიდთერთმეტკაციანი ოთახებით, სადაც პიროვნება არა მარტო ისვენებდა და მორალურად იწვრთნებოდა (კოლექტივის ჯანსაღი ზემოქმედების გამო), არამედ მის მიერ ჩამოყაჭული ანეკდოტების მიხედვით ამ კაცის შეხედულებათა სკივრსაც მშვენივრად ეცნობოდნენ დაინტერესებული თანამეოთახე ამხანაგები. ავთანდილს ისიც კი წაეკითხა სადღაც, რომ ამ სახელოვანი ტრადიციების მქონე სასტუმროში სრულიად საკავშირო მამასახლისს – კალინინსაც გაეთია რამდენიმე ღამე, თავისი რაზმით. დუშანბეს მიმავალ ლეგენდარულ ფრუნზეს კი შვიდი საათი გაეტარებინა.

– შვიდას ოცდასამი, – საშვი გაუწოდა სართულის მორიგე ხუჭუჭთმიან გოგონას, რომელმაც, ის-ის იყო ტელეფონზე ლაპარაკი დაამთავრა და ახალ სტუმარს თევზისფერი, დაღლილი თვალებით ამოხედა. გოგონას ლამაზ ცხვირის ნესტოებთან შეფარდებით არაჩვეულებრივად დიდი პირი და აფუებული, გამონეული ტუჩები ჰქონდა.

– მიბრძანდით, – მორიგემ დერეფნის გაყოლებით გაიშვირა ხელი.

– გასაღები?

– თქვენი მეზობელი შინ არის.

ავთანდილი დერეფანს გაუყვა. დერეფანში ფლოსტების ტკაპა-ტკუპით გარბი-გამორბოდნენ მხარზე პირსახოცგადაკიდებული, სახეგაფაციცებული სტუმრები. ავთანდილი დაღლილი იყო და, ერთი სული ჰქონდა, სანამ სასთუმალზე მიდებდა თავს. თვითმფრინავი დროზე ჩამოფრინდა, მაგრამ ჯერ ტრაპის მიდგმას და ბარგის მოტანას არ დაადგა საშველი და მერე, ლამის ერთი საათი, ჩემოდნით ხელში ტაქსის რიგში დგომამ მოუწია. რასაკვირველია, ჩემოდნის ასფალტზე დადგმა და სხვებივით ფეხით გაჩოჩება შეეძლო (ნაკლებად დაიღლებოდა), მაგრამ ახალი ჩემოდანი მარილ-მტვრიან ჭყლაპ-ტალახში გასასვრელად ვერ გაიმეტა.

ფრთხილად დააკაკუნა და, რომ არავინ გაეპასუხა, კარი შეაღო. შმორის სუნი ეცა. კარის პირდაპირ, საწოლზე უშალითოდ გაშოტილი კაცი ხვრინავდა. კედლისკენ შემობრუნებულს აბურდული თმა და ამოუპარსავი სქელი კისერიღა მოუჩანდა. მოკეცილ ფეხებზე ფართომაჯებიანი, კიბოსფერი ხელი ედო. სამამულო წარმოების იაფფასიანი პიჟამა და ქუსლებთან გაცვეთილი, მწვანე შალის წინდები ეცვა. დაბალფეხება მაგიდაზე გაშლილ გაზეთზე ეწყო რამდენიმე ნაჭერი შავი პური, შებოლილი თევზის ნარჩენები და ლუდის ოთხი, ცარიელი ბოთლი. ავთანდილმა ფეხაკრეფით აუარა გვერდი მაგიდას, ჩემოდანი კედელს მიაყუდა და ფანჯარასთან თავის საწოლზე, წელმოწყვეტით ჩამოჯდა.

აუხდა, რისიც ყველაზე მეტად ეშინოდა – მეზობელი ხვრინავდა. ძვირფას მკითხველს მოეხსენება, რომ ხვრინვა მრავალნაირია. ავთანდილის მეზობელი დაახლოებით ისეთ ხმას გამოსცემდა, მოზარდ მაყურებელთა თეატრში დიდი ხომალდის ღუზის ჩაშვებას რომ ახმოვანებენ. დიახ, ეს კაცი ტრადიციულად, ჩვეულებრივად კი არ ხვრინავდა, უტაოტო ოწინარივით ღრჭიალებდა. თანაც ამ ხმას მხოლოდ ჩასუნთქვისას გამოსცემდა. ამოსუნთქვისას ოდნავ შეაყ-

ოვნებდა ტუჩებთან ჰაერს და ფშვინვით ამოუშვებდა. ერთი სიტყვით, მწვანეწინდებიანი ამხანაგი ცალფად ხვრინავდა, მაგრამ ისეთ ღონიერ, ჯანმრთელ ხმას გამოსცემდა, რომ ავთანდილს, შვიდი ღამის უძინარიც რომ ყოფილიყო, არ დააძინებდა.

ავთანდილი ფეხაკრეფით გამობრუნდა, პალტო და პიჯაკი კარის ჩარჩოს მიჭედებულ ლურსმანზე დაკიდა, კარადის გაღებას მოერიდა, მეზობელი არ გავაღვიძოო. ჩემოდნიდან საპონ-ჯაგრისი ამოიღო, პირსახოცი მხარზე გადაიკიდა და დერეფანში გამოსული კოლექტიური აბაზანის ძებნას შეუდგა. კითხვა არ დასჭირვებია. დერეფნის ბოლოს, ავთანდილის ნომრიდან სულ რაღაც სამოციოდე ნაბიჯზე, კარს საშხაპის სიმბოლური ნიშანი ეხატა.

როცა დაბრუნდა, ფეხთ გაიხადა და საწოლზე წელის გამართვა სცადა, მოეჩვენა, რომ მეზობელი წეღანდელზე უფრო მძლავრად ხვრინავდა. ცოტა ხანს ითმინა და იმედი რომ გადაეწურა, საწოლის საზურგეს მუშტით მიუკაკუნა, კაკუნზე ხვრინვა შეწყდა, მოქალაქემ გვერდი იცვალა, მარჯვენა ხელი თავქვეშ ამოიდო და ორიოდე წუთში ისევ საშინელი გრგვინვა-ღრჭიალით ამოძრავდა გიგანტური ხომალდის ღუზა. ავთანდილმა რამდენჯერმე დააკაკუნა და რომ ვერა გააწყო რა, პირში ორივე თითი ჩაიდო და დაუსტვინა. სტვენაზე კიდევ ერთხელ გაიტრუნა მეზობელი, პირაღმა გადმოტრიალდა და ხვრინვა განაგრძო. თითქოსდა ავთანდილს უმტკიცებდა, რომ ყოველგვარ პოზამდგომარეობაში შეეძლო ხვრინვა.

ავთანდილს მოთმინების ფიალა აევსო. წამოდგა, თავზე დაადგა, ერთხანს უყურა მეზობლის გაჭარხლებულ, ოფლიან სახეს, მხარზე ხელი დაადო და ჯერ მოზომილად, მერე უფრო მაგრად შეანჯღრია.

მხვრინავმა თავი წამოსწია, გაბურბუსალებული, უაზრო თვალები მიაპყრო მეზობელს. არც რაიმე გაჰკვირვებია, არც წყრომა გამოუხატავს, ამ საკმაოდ უხეში მეთოდით რომ გააღვიძეს.

– ვხვრინავდი?! – მორჩილად ჰკითხა.

– ძალიან. იქნებ ცოტა უფრო მოხერხებულად დაწოლილიყავით.

– არის, – მიუგო მეზობელმა, გადაბრუნდა და ავთანდილს ზურგი შეაქცია, მერე ჯერ ნელა, გაუბედავად გამოსდო ჰაერის ჭავლი ყრონტს, თანდათან მოუმატა და ბოლოს ისეთი ხვრინვა ამოუშვა, თითქოს გაცდენილ ათიოდე წუთს ინაზღაურებსო.

ავთანდილი ოთახში ფეხაკრეფით უკვე აღარ დადიოდა. ნერვიულად სცემდა ბოლთას და შემოტრიალებისას ფეხის ქუსლებს ერთმანეთს შემოჰკრავდა, რადიოს აუწია და ერთი ორჯერ ქუსლების ბაკუნით მექსიკური ცეკვის ილეთიც კი შეასრულა, მერე პიჯაკი მოიხურა და კარი გამოაღო. საათზე დაიხედა, თორმეტს აღარაფერი აკლდა.

– იცით რა, ჩემი მეზობელი ხვრინავს, – აუწყა ავთანდილმა წიგნში თავჩარგულ მორიგეს.

გოგონამ წიგნს ხელისგულები დააფარა და სტუმარს გაუღიმა.

– იცით რა, დარწმუნებული ვიყავი, რომ ამას მეტყოდით.

– იცოდით, რომ ხვრინავდა?

– აბა საიდან, კაცი თქვენზე ერთი საათით ადრე შესახლდა.

– აბა?

– საერთოდ. თქვენ ხომ ყველას, უკლებლივ, მარტო ყოფნა გიყვართ.

– წამობრძანდით, თვითონვე განსაჯეთ, თუ შეიძლება იქ დაძინება.

– მე არ ვამტკიცებ, შეიძლება-მეთქი. მობინადრეთა ხვრივნის პრობლემა მე ნაკლებად მაინტერესებს.

– აბა რა ვქნა, რას მირჩევთ?

– ადმინისტრატორთან მიბრძანდით, მაგრამ ეჭვი მეპარება, რაიმეს მიაღწიოთ.

მორიგემ გაშლილ წიგნს ხელისგულები მოაცილა და ჩაახველა. მერე მაგიდის ნათურის ღილაკს თითი დააჭირა და კითხვა განაგრძო. ამით, რა მიხვედრა უნდოდა, სტუმარს აგრძნობინა: რაკი უფრო საინტერესო თემას ვერ მთავაზობ, საუბარს დამთავრებულად ვთვლიო.

ავთანდილმა ლიფტის ღილაკს თითი დააჭირა და ელე-ქტროდაფას მიაჩერდა. ერთიმეორის მიყოლებით ინთებოდა „პირველი“, „მეორე“ ,მესამე“ „მეოთხე“. „მეხუთეზე“ ვიღაცამ ლიფტი გააჩერა. ტაბლო ჩაქრა, წამის შემდეგ ისევ აინთო და ლიფტი ქვევით წავიდა, „მეოთხე“, „მესამე“, „მეორე“, „პირვე-ლი...“ ავთანდილმა ხელი ჩაიქნია და კიბეს ჩაუყვა.

სამსართულოვანი ვარცხნილობისთმიანი, მსუქანმკლავება ადმინისტრატორი ჰოლანდიური ჯიშის წითელ მაყვალს შე-ექცეოდა. ორი თითით, პინწკად, ყუნწით აიღებდა მაყვალს, კურდღლის კბილებით ზედ ყუნწთან მიაკვნეტდა და ყუნწს საფერფლეზე აგდებდა. შეხედა თუ არა ადმინისტრატორმა მისკენ მოძმარული სახით წამოსულ ავთანდილს, მაყვლის მირთმევა შეწყვიტა და ხითხითი აუტყდა.

– ხვრინავს, ხომ? – ავთანდილი შეზარა სასტუმროს მოხ-ელის უტიფარმა გამომეტყველებამ, მაგრამ არ შეიმჩნია და თავშეკავებულად შეუბრუნა კითხვა.

– რაზე შემატყვეთ?

– რა შეტყობა უნდა, – ადმინისტრატორმა, მსოფლიოს გა-მოჩენილ მიმიკოსთა გულგასახეთქად, არაჩვეულებრივი ოს-ტატობით შეცვალა ღიმილი პირგამეხებულ მზერაზე. – ამ სასტუმროში ყველა ხვრინავს. თქვენ ხომ პირველი არ ხართ. დღეს უკვე მეშვიდე კაცმა მთხოვა სხვაგან გადაყვანა.

– გამონაკლისის წესით, – შეემუდარა ავთანდილი. – ვალ-ში არ დაგრჩებით.

– ვერაფერში დაგეხმარებით. ადგილები არ არის.

– იქნებ ორ მხვრინავს ერთად მოუყაროთ თავი და უხვრ-ინველები ერთად მოგვათავსოთ?..

– ახლა გვიანია და, საერთოდ, პასპორტში არავის უწერია „მხვრინავი“.

– აბა როგორ მოვიქცე, ღამისთევა შემიძლია მე, ისედაც დაღლილ-გასავათებულს? ხვალ ქვეყნის საქმე მაქვს.

ადმინისტრატორმა მაყვლის ჭამა განაგრძო წეღანდელზე უფრო მადიანად და უდარდელად.

– იქნებ რამე მოიფიქროთ, ა? არ გაწყენინებთ, – ადმინის-ტრატორის დახლს ნიკაპი ჩამოაყრდნო ავთანდილმა.

– ექვსკაციანში ერთი ადგილი მაქვს, გნებავთ, იქ გაგიშვებთ.

– იქ რა შანსი მაქვს?

– დიდი არაფერი. ექვსიდან, ჩვეულებრივად, სამი ხვრინავს ხოლმე.

– დამცინით?

– არა, გეხუმრებით, – ადმინისტრატორს ღიმილის მსგავსი რაღაც დაეხატა ფუმფულა სახეზე, მაგრამ უცებ დასერიოზულდა და ტელეფონს დასწვდა.

– ტატიანა, შედი ერთი შვიდას ოცდასამში, მართლა ასე საძაგლად ხვრინავს ის ოჯახქორი? ეს ამხანაგიც (ავთანდილს მწყრალად შეხედა) ამოვა და ორივე შედით. თუ უსაშველოდ ხვრინავს, დამირეკე.

ავთანდილმა მადლობა მოახსენა ადმინისტრატორს და სულმოუთქმელად აირბინა კიბე. ორიოდე წუთში იგი მორიგესთან ერთად თავის ნომერში იდგა. ორივენი კარგა ხანს ყურადღებით დასცქეროდნენ მწვანეწინდებიან მამაკაცს. თითქოსდა ავთანდილის ჯინაზე, თანამეოთახეს მშვიდად, უდრტვინველად ეძინა. არათუ ხვრინავდა, ქსუტუნითაც არ ქსუტუნებდა.

– არ გრცხვენია, ამხანაგო? კაცს ანგელოზივით სძინავს და ცილს სწამებთ! – მწყრალად შეხედა ავთანდილს მორიგემ.

ავთანდილმა პირის გაღებაც ვერ მოასწრო, გოგონა გატრიალდა და კარი გაიჯახუნა.

გულდაწყვეტილად გადახედა მეზობელს და თავისი საწოლისკენ წავიდა. გაიხადა, ტანსაცმელი სკამის საზურგეს გადაჰკიდა, ფანჯარა ოდნავ გამოაღო და დაწვა. ხელები თავქვეშ ამოიდო და ჭერს ააცქერდა. რცხვენოდა, რომ სასტუმროს დარბაისელ თანამშრომელთან გააწბილეს. ერთი პირობა გულიც კი დაწყდა, რომ ლუდისა და შებოლილი თევზის მოყვარული არ ხვრინავდა.

ის იყო, თვალი უნდა მიელულა, რომ ოთახი დაუზეთავი ოწინარის ღრჭიალით გაივსო. ხომალდის ღუზა ბრაგანღრაჭუნით ირწეოდა. ავთანდილს ნერვიულობისგან ტანზე ბუსუსები დააყარა. უცნაურმა ჟრჟოლამ აიტანა. ერთხანს

ითმინა და ხვრინვამ უმაღლეს წერტილს რომ მიაღწია, ჩაცმა დაიწყო. დერეფანი ჩქარი ნაბიჯით გაიარა. მორიგე გოგონას სავარძლები ერთმანეთზე მიედგა და, ვერ დავუკარგავ, ლამაზად იწვა. ავთანდილის მიახლოებისას არ ამდგარა, თავი წამოსწია მხოლოდ.

– მაპატიეთ, იქნებ ერთხელ კიდევ შეგემოწმებინათ, ხვრინავს თუ არა, – შეეხვეწა სტუმარი.

– რას გადამეკიდეთ, – გაწყრა მორიგე. – ხომ ვნახეთ წეღან. არ ხვრინავს, მორჩა და გათავდა!

– მაშინ!.. ჩემდა იღბლად... რა მოხდა, არ ვიცი... ახლა ისე ხვრინავს, სახერხში მგონია თავი.

– რატომ ვერ გაიგეთ, მე ნომრის შეცვლასთან არავითარი კავშირი არა მაქვს, ჩადით, ადმინისტრატორი დაარწმუნეთ.

ავთანდილი კიბეს ჩაუყვა და დაახლოებით ნახევარსაათიანი დაჟინებითი თხოვნა-მუდარის შემდეგ იგი, ადმინისტრატორთან ერთად, შვიდას ოცდასამი ნომრისკენ მიაბიჯებდა. კარს რომ მიუახლოვდნენ, სტუმარი დაწინაურდა, კრიმინალისტური სიზუსტით, ფრთხილად, შეუმჩნევლად გადაატირალა სახელური, ტუჩზე ხელი მიიდო და ქალი წინ გაატარა. ორივენი კატის მიმოხვრით შუა ოთახში შევიდნენ. ერთდროულად შემოტრიალდნენ და საქამრესქვემოთ ხელებშეერთებულები მძინარეს დააკვირდნენ. ავთანდილს სიბრაზისგან და ნერვიულობისგან გულმა ბრაგაბრუგი დაუწყო და საფეთქლებზე მოაწვა. მწვანეწინდებიანი მდგმური ოდნავადაც არ ხვრინავდა. უფრო მეტიც, მის მშვიდ ძილს არც მისი ნიშანწყალი ეტყობოდა, რომ ეს კაცი პოტენციური მხვრინავი იყო. ადმინისტრატორმა გაბრაზებით გამოხედა. ავთანდილი იმედს არ კარგავდა, ხელით ანიშნა, ცოტა კიდევ მოითმინეთო. სასტუმროს პასუხისმგებელმა პირმა ხუთიოდე წუთიც მოითმინა და დერეფანში უკან ადევნებულ ავთანდილს სიარულში ტყვიამფრქვევივით დააყარა:

– არა ხართ თქვენ პატიოსანი კაცი. ჭიპზე რომ გასკდეთ, მაინც არ გადაგიყვანთ სხვა ნომერში. ძალიან მარტივი და უტიფარი ხერხი აგირჩევიათ. ეგ ილეთი ჩვენთვის დიდი ხანია ცნობილია. ახლა შედით და დაიძინეთ. იცოდეთ, თუ კიდევ

შეგვაწუხეთ, მილიციას გამოვუძახებ და საქმეს შეგიდგენთ. თქვენს სამსახურს მივწერთ, რომ ნევრასთენიკები აღარ გამოგზავნონ მივლინებაში.

ადმინისტრატორმა ავთანდილის ლუღლუღის მოსმენა აღარ ისურვა, თავი ასწია და ხელების ქნევით, სამხედრო-საპარადო ნაბიჯით წავიდა ლიფტისაკენ.

ავთანდილი სირბილით გამობრუნდა. კენგურუს ნახტომებით მიეახლა თავის საწოლს, ელვის სისწრაფით გაიხადა და თავი ბალიშში ჩარგო, იქნებ, მეზობლის ამ შემოქმედებითი პაუზის დროს დაძინება მოვასწროო. თქვენც არ მომიკვდეთ. ლოგინის გათბობაც ვერ მოასწრო, რომ სწორედ იქვე, ყურის ძირში ამოძრავდა გიგანტური ხომალდის ღუზა. ავთანდილი წამოჯდა, პირსახოცს წასწვდა და თავყური შეიხვია, მაგრამ, ამაოდ. ქალაქში გვიანი ღამის მეუფეებით ჩამომდგარ სიჩუმეში უფრო ხაზგასმულად და შემზარავად ისმოდა ხვრინვა, თითქოსდა ათასი ოწინარი ერთად ღრჭიალებდა. ხმა ოთახის ყველა კუნჭულს ავსებდა და სარკმლის ღრიჭოში მიძვრებოდა, – ძარღვებმომშლელი, ჟრუანტელისმომგვრელი, თმის ამბურძგლავი ხვრინვა.

რასაკვირველია, მთელი ღამე თეთრად გაათია. ალიონზე ჩაიცვა, ჩემოდანს ხელი წამოავლო და, რომ გადიოდა, სწორედ მაშინ წამოჯდა მეზობელი საწოლზე.

– მიდიხართ? – ჰკითხა და აბურდული თმა ხელის წაქიჩ-წამოქიჩავებით კიდევ უფრო აიბურდა...

– დიახ, ერთი დღით ვიყავი ჩამოსული, – ავთანდილმა იცრუა. იგი დღეს ყველა სასტუმროს შემოირბენდა, თუ ვერაფერს გააწყობდა, სადგურში, მოსაცდელში, ფეხზე, ცხენივით გაათევდა ღამეს. ამ ოთახში კი აღარ მობრუნდებოდა.

– ვხვრინავდი? – სირცხვილეულად გაიღიმა უცნობმა.

– რა დაგიმალოთ და, საკმაოდ ლაზათიანადაც.

– რა ჯანდაბა მოვუხერხო. ცოლიც ამ ხვრინვის გამო გამექცა.

– კარგად ბრძანდებოდეთ.

ავთანდილმა კარი გაიხურა, ხვრინვის გამო ოჯახის დანგრევის სევდიანი ამბის მოსმენის თავი აღარ ჰქონდა.

გავიდა თუ არა ავთანდილი, მწვანეწინდებიანი მოქალაქე ტელეფონს ეცა:

– ინოკენტი, ამოდი, მარტო ვარ... იცოცხლე, გაჭრა... უკანმოუხედავად გაიქცა... ისე, მეც გავწამდი, მთელი ღამე ძალად ხვრინვა იოლი საქმეა? – თავი მოიფხანა და ახითხითაძიგძიგდა. – ისე, კი შემეცოდა, რომ იცოდე, ჰალსტუხიანი, თხელცხვირა, მოწყენილსახიანი ინტელიგენტი იყო. ხვრინვა დავიწყე თუ არა, მაშინვე გავარდა ორჯერ დამაყენა თავზე ადმინისტრატორი! – ისევ ახითხითდა, – აბა, ჰე, იქნებ შენს სიდედრს თევზი კიდევ დასტყუო, ლუდს მე ამოვიტან, რვაზე იღება ბუფეტი.

ამ საუბრიდან არ გაუვლია ერთ საათს, რომ შვიდას ოცდამესამე ნომრის კარზე ზომიერი კაკუნი გაისმა.

– შემოდი! – წამოუდგომლად დაიძახა მწვანეწინდოსანმა, – სადა ხარ, ინოკენტი, აქამდე?

კარში ჭილოფისშლაპიანი, ჯმუხი, ნეილონის შავსაწვიმროსანი კაცი იდგა, პატარა, ყვითელი ჩემოდნით ხელში.

– ინოკენტი არა ვარ, – სევდიანად თქვა სტუმარმა.

– მობრძანდით?! – წამოჯდა დამხვდური.

– თქვენთან გადმომიყვანეს... წუხელ შვიდას თერთმეტში გავათიე: ვხვრინავ, ეს ოხერი, და არ დავაძინე მეზობელი. თურმე თქვენც ხვრინავთ, ხომ ასეა? ჰოდა, ორივემ იხვრინეთ, ერთმანეთს ხელს არ შეუშლითო, ადმინისტრატორმა, – პასუხს არ დაელოდა, მოსასხამი სკამზე გადაჰკიდა და ფანჯრისაკენ გააბიჯა. ჩემოდნიანი ხელი უმოძრაოდ, გაჩიკინებულად მიჰქონდა.

მასპინძელმა პირი დააღო, არ ვიცი, გაოცებისგან თუ სიბრაზისგან. სასოწარკვეთილება კი ნამდვილად ედგა თვალებში, მაგრამ პირი რატომ დააღო, ამ შემთხვევაში, კონკრეტულად, ვერ გეტყვით.

ცხენოსანი

მე ფეხით მივდიოდი, ის – ცხენით. მე საათის ისრის საწინააღმდეგო მიმართულებით ვარტყამდი წრეს იპოდრომს, ის – საათის ისრის მიმართულებით. სანამ მე ერთხელ შემოვუვლიდი იპოდრომს, სამჯერ მაინც ვხვდებოდით ერთმანეთს. პირველ ხანებში, რასაკვირველია, თვალს ვარიდებდი. რა მესაქმებოდა იპოდრომის კანონიერ მფლობელთან – ცხენოსანთან, მე, ფეხით მოსიარულეს. მერე და მერე თვალს შევავლებდი ხოლმე და შევცქეროდით ერთმანეთს იმ დროის განმავლობაში, რაც ცხენოსნისა და ფეხით მოსიარულის გვერდით ჩავლას ჭირდება. ბოლოს ვუღიმოდით და ვესალმებოდით კიდეც. ჩემი არ იყოს, არც თვითონ იყო წელში გადამტყდომი. უნაგირზე უხერხულად, გადაქანჯულად იჯდა. შუბლზე ჩამოშლილი კუპრივით თმა ნიადაგ აბურდული ჰქონდა და ნეილონის მწვანე ჯუბაჩა მუცელზე ასკდებოდა. მოკლეზე ეჭირა აღვირი. უნაგირთან ახლოს, ცხენის ფაფარზე ედო აღვირიანი მარცხენა ხელი, ხოლო ძირს დაშვებულ მარჯვენაში წკნელი ეჭირა, მაგრამ არ ხმარობდა. როცა გამშორდებოდა ჩექმიან ფეხს შემოჰკრავდა ფერდებში ოქროსფერ ულაყს და ააჩორთებდა. ჩორთით სვლის დროს მუხლებს მოუჭერდა ცხენს. კისერს წაიგრძელებდა და უნაგირზე წამოდგომა-დაშვებისას კისერში ჩასული შავი თმა ისე ებურდ-ეკეცებოდა, გეგონებოდათ, ყვავის ბუდე ახურავს თავზე და ცხენის ყოველ მოძრაობაზე აგერ-აგერ წაძვრება და ჰაერს შერჩებაო. მძიმეწონიანი მხედრის ჩორთით ტარება ცხენს, ეტყობოდა, არ სიამოვნებდა. ამიტომ ასე ოცდაათ-ორმოც ნაბიჯზე რომ გააძუნძულებდა პატრონს, უბრძანებოდ, კვლავ სიარულზე გადადიოდა პირუტყვი და მერე ისე ნელა, ლამაზი თვალების ბრიალით ჩამივლიდა, თითქოს ერთი სურვილი ჰქონდა, მხედარს გამოვლაპარაკებოდი და ამით ოფლში გახვითქულ ცხენს შეღავათი მისცემოდა.

ასრომელიღაც შეხვედრაზე უკვე სრულიად მომწიფებული იყო ვითარება იმისათვის, რომ ორ უცნობ მამაკაცს ერთმანეთისთვის სიტყვები გაგვეცვალა. ინიციატივა მე გამოვიჩინე.

– დიდი ხანია ცხენოსნობთ, ამხანაგო?

– ბატონო?

აღვირს მოქაჩვა არ დასჭირვებია, ცხენი გაჩერდა.

– დიდი ხანია-მეთქი, რაც ცხენით დადიხართ?

– მეორე თვე შესრულდება მალე. მეტყობა, ხომ?

– მე დიდი ვერაფერი შემტყობი ვარ. ცხენზე, არ დაიჯერებთ და, ჩემდა სამარცხვინოდ, ჯერ არც კი ვმჯდარვარ.

– მეც პირველად ვსინჯე, გითხრათ სიმართლე, ამ ორი თვის წინ. არ ვიყავი შენაჯდომი. რა სირცხვილი ეგ არის, სადღაა ცხენი დღეს.

– ისე, ვარგა? გშველის რამეს? ამ ჩვენს გასაჭირზე გეუბნები, – მუცელზე ხელი მივიტყაპუნე.

– სხვათა შორის, იშვიათი რამეა. თუ გული დაუდევი, ისე დაგბერტყავს, თავს ველარ იცნობ. მე რომ მიყურებ, ხუთი კილო ვარ დაკლებული ამ ორ თვეში, ჭამით ისევ ისე ვჭამ. პირველ კვირას, ცხენიდან რომ ჩამომსვამდნენ, ყველა კუნთი ერთად მტკიოდა.

– რას ბრძანებთ. იღლები, აბა, კაცი ცხენზე?

– იღლები რომელია, ერთ საათს რომ ჩორთით იარო, გასაწური გახდები. რა მაინტერესებს, იცი? ძველი მოლაშქრეები რომ იყვნენ, ვთქვათ, ქართველები, ან მონღოლები თქვი, თუ გინდა, სულერთია, ასე წამდაუწუმ ისვენებდნენ ნეტავ ისინიც? წიგნებში ეს არ წერია და არც კინოში მინახავს. ვკითხე ჩვენს მწვრთნელს სპეციალურად; ჩორთით სვლას – მხედრები უმეტეს წილად ჩორთით დადიოდნენ, – ვერც მხედარი უძლებს ერთ საათზე მეტს და ვერც ცხენი. ნამეტანი დიდი დატვირთვაა. იცოდით ეს ამბავი თქვენ? არ იცოდით. არც ბევრმა იცის სხვამ. მეცინება ახლა ისტორიულ წიგნში რომ ამოვიკითხავ, „მავან და მავან მალემსრბოლმა დილამდე შეუსვენებლივ აჭენა ცხენიო“.

– იქნებ მაშინდელ მხედარს შეეძლო. იმ დროის კაცის გაძლება და ჩვენი გაძლება ერთია?

– არ დაიჯეროთ ეგ ამბავი. ადამიანი, ბატონო, ბევრად არ შეცვლილა. თქვენ როგორ ფიქრობთ, ფაღარათმა მოკლა ალექსანდრე მაკედონელი და რომის იმპერატორების უმეტესობას ბუასილი სტანჯავდა. პირიქით, ახლა უფრო გამძლე და მაგარია ადამიანი. ცოტა მეტი თავის მოვლა ვისწავლეთ და რაღაც-რაღაცების წამალიც გამოვიგონეთ.

ჩვენს გვერდით შავი ტაიჭი გაშლიგინდა. ტაიჭზე პირწმინდად შუაზე მოკეცილი იდგა გავაფართო ცხენოსანი გოგონა.

აპრილი თავდებოდა. ძალამიცემული მზე ღონივრად ანათებდა იპოდრომს და მშრალ ბილიკებზე სამ-სამად მოჩიქჩიქე ურიკიანი ცხენოსნები მტვერს აყენებდნენ.

ვიფიქრე, ლაპარაკით შევიქციე ეს პატიოსანი კაცი, ვინ იცის, დროის რა ბიუჯეტის პატრონია, ახლა დავემშვიდობები და, მაინც მზე კისერში მაჭერს, ცოტას ნაძვების ხეივანში გავივლი-მეთქი, კარგად ყოფნა ვუსურვე და ბილიკზე გადმოვუხვიე, მაგრამ, იმის ნაცვლად, რომ გზა გაეგრძელებინა, ჩამოქვეითდა და გვერდით გამომყვა. ზურგზე დაწყობილ ხელებში აღვირი უჭირავს, ცხენი მორჩილად, ფრუტუნით მოჰყვება. რა ვუთხრა ახლა, რა ვკითხო. ასე ვიცი, ჯერ მე თვითონ გამოველაპარაკები კაცს და მერე ვნანობ, სასაუბრო უცებ შემომელევა ხოლმე და სიტყვის ძებნის უხერხული სიჩუმე მაღიზიანებს.

– როგორი წესია თქვენთან, ერთი სიტყვით, ცხენზე ჯდომა რომ უნდოდეს კაცს? – რაში მაინტერესებდა, მე ცხენოსნობას არ ვაპირებდი, მაგრამ ისე, სიტყვის მასალად ვკითხე.

– თქვენ გნებავთ? თქვენ თვითონ?

– საერთოდ, ისე მაინტერესებდა, კაცმა რომ თქვას, რატომაც არა...

გაიცინა და ცხენს კისერზე ხელი გაუტყაპუნა. შეჩერდა, კიდევ ერთხელ გაიცინა და დამაკვირდა.

– რაზე გამეცინა, იცით? ზუსტად თქვენს დღეში აღმოვჩნდი ამ ორი თვის წინ. ცხენოსნობა არც მიფიქრია, მაგრამ ისე აეწყო საქმე, რომ უკან დასახევი გზა აღარ მქონდა. მერე მივეჩვიე და მივეჩვიე. ახლა ვნანობ კი არა, იმ პატარა ბიჭის გამზრდელს ვლოცავ. საერთოდ, მე კუს ტბაზე დავდიოდი.

ერთხელ მანქანა გამიფუჭდა და, რაკი კუს ტბაზე ვერ ავიდოდი, იპოდრომს მოვაკითხე. ტროლეიბუსი უდგება და ისედაც ახლოა ჩემს სახლთან. ორ წრეს შემოვუვლი ფეხით და წავალ სამსახურში-მეთქი. ასე, თორმეტ-ცამეტი წლის ბიჭი წამომეწია ცხენით. ყოჩაღ, ბიძია, ნამდვილი ცხენოსანი ხარ, ვინ დაგსვა ასე პატარა ბიჭი ცხენზე-მეთქი. სექციაში ვარ, ბიძიაო, ყველას წერენ, მე მგონი, თუ გნებავთ, არაა ძნელი საქმეო. ბუთხუზა ბიჭი იყო, მაყვალთვალება, გაგა ჰქვია. შენც შეგხვედრია, ალბათ. ეს ერთი კვირაა არ გამოჩენილა. როგორ არ მინდა, ბიძია, მაგრამ მე ვინ ჩამწერს თქვენს სექციაში, ბებერი ვარ-მეთქი, ვეხუმრები ბავშვს. ცხენი, რომ მაჩუქონ, არ მინდა სინამდვილეში. მეორე დღეს მივირწევი ჩემთვის ფეხით ამ გზაზე და მოჩინდრიკობს ვიღაც უკან. მოვიხედე, ჩემი ბუთხუზა. შორიდან დავუნახივარ და დამწევია. ბიძიაო, მომაძახა, ვკითხე თავლის უფროსს და შეიძლება თქვენი მიღებაო, ტერენტი ჰქვია, მესამე თავლაშია, ახლავე შეგიძლიათ მიხვიდეთ და აგიხსნით ყველაფერსო. კარგი, ჩემო გაგა, ახლა ველარ მოვასწრებ და დღის განმავლობაში მივალ-მეთქი აუცილებლად. ტერენტი მინდა? რა ვქნა, ბავშვს ხათრი ველარ გავუტეხე. მისვლით, რასაკვირველია, არ მივსულვარ. არ დაიჯერებთ და, არ მომეშვა გაგა, ჩემდა ჭირად, ტელეფონის ნომერი შემექნა მიცემული. რეკვით ამიკლო. რა ჰქენით, ბიძია, რატომ არ მიხვედით ტერენტისთანო. ერთი პერიოდი ვემალებოდი იპოდრომზე, ჩემი მანქანის შეკეთებასაც აღარ დაადგა საშველი. ძრავის „ბეჭდებს“ ასე ადვილად იშოვი? რაღა დაგიმალო, დამიჭირა გაგამ, ჯერ ანკეტა შემავსებინა, მერე ჯანმრთელობის ცნობა მიმატანინა და მიმგვარა ტერენტის. ასე დამიყოლია პატარა ბიჭის სიჯიუტემ და ნებამ. პირველ სამ ვარჯიშზე გაქცევა დავაპირე, ცხენმა კინაღამ გადმომაგდო და არც მომეწონა მაინცდამაინც. მერე მივეჩვიე და ახლა, ბავშვებს გეფიცები, უცხენოდ ჩემი თავი ვერ წარმომიდგენია. ჯანმრთელობას რომ თავი დავანებოთ, თვითონ ცხენი ისეთი რამ არის, თავს შეგაყვარებს. ჯერ შესახედავად როგორია. ამაზე სრულყოფილ ცხოველს ვერ წარმოიდგენ კაცი. ულამაზესი რამ

არის, ხომ? თუ მე მეჩვენება ასე? იქნებ მე მეჩვენება. ნატეხი შაქრით სავსე მაქვს ჯიბეები. დილით ხელისგულზე ცხლად შეგასუნთქავს და ფრთხილად დრუნჩებით აგაცლის შაქარს, მერე ჭკვიან თვალებს გიელვებს და მორჩილად გელოდება, როდის ამოსდებ ლაგამს და მოუჭერ მოსართავებს. ისე მომენატრება, ხანდახან შესვენებაზე გამოვსულვარ, თავლაში შემირბენია, პეშვით შაქარი მიმიტანია და მოვბრუნებულვარ. ამ კმაყოფილების სიტყვებით ახსნა არ შეიძლება. ცხენი სულ სხვა რამეა, ბატონო. სჭირდება კაცს პირუტყვთან სიახლოვე. მიჩვევა იცის და მონატრება. რაღაცით, რაღაც ახლით ავსებს შენს ცხოვრებას. ასე რომ, იმ ჩემი პატარა კარგი ბიჭის არ იყოს, თუ მართლა გადაწყვეტთ ცხენზე შეჯდომას, ჯანმრთელობის ცნობა გამოართვით თქვენს პოლიკლინიკას და ეგერ, მარცხნივ, მესამე შენობაში, ტერენტი იკითხეთ, ურიგო კაცი არ არის. ჯერ შედარებით თვინიერ ცხენს შეგირჩევს, მერე, ცოტა რომ გაეჩვევი, სხვაზე გადაგსვამს.

დიდი მადლობა მოვახსენე, საათზე დავიხედე. ბოდიშს ვიხდი, სამსახურში მაგვიანდება-მეთქი და შინისკენ გამოვწიე. ტერენტისთან მისვლა კი, რა თქმა უნდა, გულში არ გამივლია.

...მეორე დღეს მწვანე მინდორზე რომ წამომეწია ჩემი ახალი ნაცნობი, ცხენი რომ შეაჩერა და გულწრფელად მკითხა: რა ჰქენი, ტერენტისთან ხომ არ მისულხარო, საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ცხენოსნობა არ ამცდებოდა.

ასეც მოხდა.

ასე რომ, თუ ამ ნოველამ ოდნავ მაინც აღძრა შენს გულში ყველაზე კეთილშობილი პირუტყვის – ცხენისადმი ინტერესის ნაპერწკალი, არ დაახანო, ძვირფასო მკითხველო, ჯანმრთელობის ცნობა აიღე და მიდი ტერენტისთან, მესამე თავლაში.

ჩიტეგის დარდი

დოცენტმა კაპია შერვაშიძემ სიმპოზიუმის ტემპს ფეხი ვერ აუწყო. სწავლულთა ასეთი მაღალი დონის შეკრებაზე პირველად გახლდათ და, რა დასამალია, თავიდან უაღრესად ესიამოვნა, რაკიღა მიიწვიეს და მარაქაში გარიეს, მაგრამ რაც დრო გადიოდა, თანდათან რწმუნდებოდა, რომ მისი ადგილი აქ არ იყო. პირველად სარეგისტრაციო დარბაზში რომ შეიკრიბნენ, გაუკვირდა; რა ტაშ-ყიჟინით და ჩაფსკვნა-კოცნით ხვდებიან ერთმანეთს, სად მოასწრეს ასე დაახლოებაო. მერე კი შეეხარბა მოსიმპოზიუმე მეცნიერების, იმ საღამოსვე რომ დაწყვილებულნი დააბიჯებდნენ სასტუმროს ირგვლივ და ცეცხლოვანი ენთუზიაზმით საუბრობდნენ, ალბათ მათთვის ნათელ და ახლობელ, მაგრამ კაპიასთვის ძნელადგასაგებ თემებზე. მარტო დარჩენას გაუძლებდა კაცი, შერვაშიძეს მარტოობა უყვარდა კიდეც, მაგრამ დოცენტს გულს უკლავდა, სხვები რომ ყველაფერს ასწრებდნენ და თვითონ რომ ყველაფერზე აგვიანდებოდა. დილით რომ ადგებოდა, პირს გაიპარსავდა და ზღვისკენ მიმავალ ბილიკს დაადგებოდა, სიმპოზიუმის ენერგიული მონაწილენი იმავე ბილიკით უკვე ბრუნდებოდნენ და თმის მშრალებით ესალმებოდნენ დოცენტს. როცა კაპია თავისი ნომრის აივანზე პირსახოცს გადაკიდებდა და სასაუზმოდ ჩავიდოდა, მისი საყვარელი დათლილი სტაფილო უკვე გათავებული იყო ფინურ მაგიდაზე. სხვებს საათივით ჰქონდათ საქმე აწყობილი. ასე გასინჯეთ, შესვენებაზე ყავის დალევასაც ასწრებდნენ, მომხსენებლისთვის ბუნდოვანი შეკითხვების მიცემასაც, საღამოობით სანახევროდ გაჯით შელესილ ტაძარში ადგილობრივი მეორღანის შესრულებით ბახის მოსმენასაც და დროზე სასტუმროში მობრუნებასაც. კაპიას თავს კი რაღაც უცნაურობა ხდებოდა და ვერაფრით აეხსნა, რაში იყო საქმე. მოხსენებათა შორის მეცნიერული

პაუზის დროს ყავის რიგში სხვებივით ჩადგებოდა, მაგრამ სწორედ მაშინ შემოჰკრავდნენ გონგს, როცა შერვაშიძეს ბარმენისთვის ერთი ფინჯანი უშაქრო ყავის შეკვეთა უნდა მიეცა. გაბრჟღვიალებულ ეზოში შუაღამემდე ბოლთას სცემდა და როცა მთვარეულივით სასტუმროს კარებს მიადგებოდა, შოკოლადისფერი მორიგის წყრომით სავსე თვალებს დღესაც არ წავაწყდეო, თავს მორცხვად ხრიდა და ლიფტისკენ მიიძურწებოდა. ერთმანეთს გაშინაურებული მეცნიერების შემყურე შერვაშიძემ დაასკვნა, რომ ეს სიმპოზიუმი სადღაც, სხვა ქალაქში, კარგა ხნის წინ დაიწყო, ხოლო კაპია მოგვიანებით, შუა სიმპოზიუმზე მოიწვიეს.

ევროპის პატარა, ნეიტრალური სახელმწიფოს ზღვისპირა ქალაქში ამჯერად მეცნიერები მცირერიცხოვანი ერების მომავალზე სამსჯელოდ შეკრებილან. დღის წესრიგს რომ გადახედა, კმაყოფილი დარჩა, მომხსენებელთა დიდი ნაწილი მრავალრიცხოვანი ერის წარმომადგენელი გახლდათ. კარგა ხანს ბჭობდნენ, რომელი ენა მიეჩნიათ სიმპოზიუმის ენად. ბოლოს სვანურზე შეთანხმდნენ. დიდი ერის შვილთა ყურადღება მცირე ერების მიმართ კარგად ენიშნა კაპიას, მაგრამ პირველივე მოხსენებაში იმდენი სამწუხარო ფაქტი დაიჭირა, რომ სევდამ შეიპყრო და ეს სევდა ბოლომდე არ განელებია. უკვე მეოთხე დღეა კათედრაზე ერთმანეთს ცვლიან ცეცხლოვანი ორატორები და რიხიანად ლაპარაკობენ იმის შესახებ, თუ როგორ აღიგავა პირისაგან მიწისა არაერთი ენა და ერი, თუ როგორ შემორჩა იმპერატორთა დამწვარ ბიბლიოთეკებს მხოლოდ და მხოლოდ ოდესღაც მათი არსებობის ჯიუტი ფაქტები – გარუჯული ეტრატები თუ პალიმფსესტები, ხოლო ჟამთა ქარისგან დამსკდარ მიწას სასახლე-ტაძართა ნატამალნი და ძვლებით სავსე სარკოფაგები. თვალს დახუჭავს კაპია და ამდენი უიმედო ამბის გამგონეს ისტორიის შავი ხახა ელანდება. ყურებში ფინიკიელთა თუ ეტრუსკთა განწირული ყრუ გუგუნი ესმის – საუკუნეთა წიაღიდან დარხეული. „თუ არ გავმარჯვდით არც ჩვენი საქმე წავა კარგად. განა რამდენი ვართ, სულ რაღაც სამი-სამნახევარი მილიონი.

ამდენი კაცი ერთ პატარა დაბაში ცხოვრობს ჩვანჩურიაში“ – გაიფიქრებს ხოლმე.

ახლაც ფანჯარასთან ზის კაპია. ერთი ადგილი ამოიჩემა. როცა სმენით გადაიღლება სხდომათა დარბაზის აივნის ქვის მოაჯირზე მოხტუნავე ბეღურების ცქერით ერთობა. ყოველი გეოგრაფიული სარტყელი თავის დაღს ავამს ფლორას და ფაუნას, მაგრამ ბეღურები ყველგან ჯიუტად ერთნაირი არიან. ოთხნი ერთად შემოფრთხიალდნენ ქვის იატაკზე. სამი ბეღურა ქვეყანას იკლებს ჟივილ-ჟღურტულით. პაწაწკინტელა თავს წამითაც არ აჩერებენ, იკენკებიან, იქექებიან, დაცანცარებენ, სად არ ჩაჰკრავენ ნისკარტს, რას არ შეასკუპდებიან, ხანდახან თავის მაღლა ატრიალებით დარბაზში გარინდულთაც შეავლებენ მზერას. ერთი კი ზის და ზის. როგორც მოფრინდა, არც განძრეულა. თავი ბუმბულში ჩაურგავს, ფრთები შეუკეცავს და თვლემს. ხანდახან ნიავი რომ გაუძალიანდება, ფეხებს განზე გადგამს, მერე ისევ მოეშვება და თავისთავში შეიყუჟება.

– ნეტავ ჩიტებსაც თუ აქვთ თავიანთი ჩიტური დარდი? – ფიქრი წამოცდა კაპიას.

– რა ბრძანეთ? – გვერდით მჯდომი ფილიელი მეცნიერი წამოიწია და სათვალეს ხელი შეაშველა, არ ჩამომივარდესო.

– არაფერი, – მოუბოდიშა კაპიამ.

ფილიის წარმომადგენელი მოკლე შარვლით და საბოებით დაბრახუნობს. მაღალი, ცხვირნისკარტა, ქერა კაცია. არაჩვეულებრივად გრძელი ფეხები აქვს, ხოლო წელზევით არაპროპორციულად მოკლეა. გეგონებათ, ღმერთს ძალიან მაღალ კაცად ჰყავდა ჩაფიქრებუდი და მერე გადაიფიქრაო. ცალ ხელზე პატარა ტყავის ჩანთა აქვს ჩამოკიდებული, ხოლო მეორეთი ამოღლიავებულ საკნატუნო ორცხობილას იკავებს. გარი ჰქვია. ყოველთვის დაგვიანებით შემოდის, მაინცდამაინც კაპიას მოუსკუპდება გვერდით და ეკითხება: „უკაცრავად, ეს მერამდენე ორატორია?“ პასუხს რომ მიიღებს, მეორე შეკითხვა მზადა აქვს: „ღვთის გულისათვის, მითხარით: ითქვა რამე საგულისხმო?“ თავდაპირველად შერვაშიძე დაწვრილე-

ბით უხსნიდა; ესა და ეს გამოვიდა, და ამაზე იყო ლაპარაკიო, ამ ახსნაში დროსაც ჰკარგავდა, მოხსენებასაც ველარ მისდევდა და ირგვლივ მსხდომთა საყვედურიან გამოხედვასაც იმსახურებდა. ეს ორი დღეა კაპიამ მუღამს მიაგნო და კმაყოფილია. შემოვა თუ არა ფილიელი, სანამ პირს გააღებდეს, კაპია სულმოუთქმელად და ნახევარღრანჭით უჩურჩულებს: „მესამე გამომსვლელია, საგულისხმო ჯერჯერობით არაფერი თქმულა“. კოლეგა მადლობას მოახსენებს, ხუთიოდე წუთს წეროს კისერს ატრიალებს და დარბაზს ათვალიერებს. მერე ფეხებს გაჭიმავს და ორცხობილას ხიტკინით შეექცევა.

კაპიას წინა რიგზე მასპინძელი ქვეყნის წარმომადგენელი სამი შუახანსმიღწეული მეცნიერი ზის. ერთნაირად ჩაცმულნი ერთმანეთს საოცრად ჰგვანან. სამივეს ახალუხისმსგავს თეთრ კვართებზე რომელიღაც ადგილობრივი პრემიის ლაურეატის ნიშნები უკეთიათ და ფართო გულისჯიბეში მესამე ღილზე ძეწკვდამაგრებული საათები უდევთ. სანამ სხდომა დაიწყებოდეს, მათ შორის ყველაზე მსუქანი, ბეჰემოთისთვალება სწავლული კაპიასკენ გადმოიხრება და დროს იკითხავს. პასუხს რომ მიიღებს, ჯიბიდან საათს ამოიღებს და ბუტბუტით გაასწორებს. დანარჩენებიც მას ჰბაძავენ. სამივენი საათებს რომ გამართავენ, ერთმანეთს თავს მიადებენ და იძინებენ. კაპიას ერთი რამ უკვირს: ეს სამი მეგობარი განუყრელად ერთად არიან. დილის შვიდ საათზე ეზოდან მათი ხმამაღალი ლაპარაკი ესმის. ტოროლას ასწრებენ სისხამზე. ვარდების ბაღში დასეირნობენ და რაღაცაზე ცხარედ კამათობენ. რა აქვთ ამდენი საკამათო და სადავიდარაბო, ეშმაკმა იცის. სხდომის დაწყებიდან სამიოდე წუთის შემდეგ კი სამივეს მშვიდად სძინავს. თავები ყოველთვის ერთ მხარეზე აქვთ მიბრუნებული. სამი მეცნიერის ძილი ამხელა სიმპოზიუმის წევრთაგან, გარის გარდა, არავის უკვირს, რატომღაც მარტო ფილიელმა დაადგა მათ თვალი და როგორც კი მომხსენებელი ხმას აუწევს, ორცხობილას მოყვარული წამოდგება და უკვე მერამდენედ ხუმრობს: „ცოტა ჩუმად, გეთაყვა, – წინა რიგზე ანიშნებს, – აქ ხალხს სძინავს“.

დარბაზს ამ ხუმრობაზე, რაც დრო გადის, უფრო მეტად ეცინება. საერთო სიცილში მძინარენი თავებს წამოსწევენ, უაზრო თვალებით მიაჩერდებიან პრეზიდიუმს, მერე მეორე მხარეს შებრუნდებიან და შესაშური სინქრონულობით იძინებენ.

აქამდე, არ დავმალავ და კაპიას ის კამათი უფრო აინტერესებდა, სიმპოზიუმის კულუარებში რომ იმართებოდა. ოფიციალურ ტრიბუნაზე თუ ყველა თავის მოხსენებას კითხულობდა და მსმენელთა რეაგირება რამდენიმე არცთუ გულუბრყვილო, შეკითხვის მიცემით გამოიხატებოდა (შეკითხვები მეტი იქნებოდა და, ვინ იცის, შეიძლება, აზრთა გაცვლა-გამოცვლაც გამართულიყო, მაგრამ მომხსენებლები საკმაოზე მეტად გაეშმაკებულები ბრძანდებოდნენ; პირველსავე შეკითხვას ისე ვრცლად და ამომწურავად პასუხობდნენ, რომ სხვა შეკითხვებისთვის დრო აღარ რჩებოდა. ნოველის ავტორს ამ სიჩქარეში დაავიწყდა ეთქვა, რომ სიმპოზიუმი მკაცრად რეგლამენტირებული გახლდათ), სამაგიეროდ ვახშამდე დარჩენილ ერთ საათში სასტუმროს ბაღი მეცნიერთა სპეციფიკური ფრაზებით და ნერვიული ამოოხვრებით ივსებოდა. ნამდვილი კამათი სწორედ მაშინ იმართებოდა. ჯგუფ-ჯგუფებად დაყოფილ სწავლულთ ცხელ გულზე ათასი რამ ჰქონდათ ერთმანეთისთვის სათქმელი და ცდილობდნენ მოესწროთ. გაიგონებდით სხვადასხვა ხმითა და აქცენტით წარმოთქმულ დაახლოებით ერთსა და იმავე სიტყვებს: „ნება მომეცით, არ დაგეთანხმოთ“, „მაშ, თქვენ ჰუმბოლტს არ ეთანხმებით?“, „მე კი სწორედ ის ადგილები მომეწონა მოხსენებისა, რაც თქვენ არ მოგწონებიათ“, „ჩვენ სხვადსხვა ტოტზე ვზივართ, თუ სხვადასხვა ხეზე არა“, „განა თქვენც ამას არ ამტკიცებდით შარშან, ძვირფასო კოლეგავ?“ კულუარების დებატებში მხოლოდ რვა ადამიანი არ აქტიურობდა: კაპია, რომელსაც ბევრი რამ ჰქონდა სათქმელი, მაგრამ, როგორც გითხარით, ვერ ასწრებდა: ჩქარ კამათში სიტყვის ჩართვას ვერ ახერხებდა და ამას ძალიან განიცდიდა, სამი ადგილორბივი მეცნიერ-ლაურეატი, რომლებიც სხდომის დამთავრების

შემდეგ კარგად გამოძინებულნი სადღაც მიდიოდნენ და, ალბათ, ცალკე, და იქნებ არცთუ ურიგოდაც ვახშმობდნენ. ორი სიმპათიური ბილოეთელი მეცნიერი, რომელთაც პატარა ერების ბედი იმდენად აინტერესებდათ, რამდენადაც ეს მათს მთარგმნელობით საქმიანობასთან იყო დაკავშირებული. ისინი საკმაოზე მეტად ალღოიანები და გამოცდილნი იყვნენ ასეთ საქმეში. არავის ეკამათებოდნენ, მაგრამ არც არავის ეთანხმებოდნენ. ცალ-ცალკე დადიოდნენ და ისე ოსტატურად აქებდნენ ერთმანეთს, რომ გულუბრყვილო მსმენელი ეჭვსაც ვერ აიღებდა. მაგალითად, მივიდოდა რომელიმე ჯგუფთან ერთ-ერთი მათგანი, ჯერ ამინდზე და ფეხბურთზე ლაპარაკით მიიპყრობდა ყურადღებას და მერე, თითქოსდა, სხვათა შორის მოაყოლებდა თავის თანამემამულეზე: „ამ მეცნიერის ბოლო წიგნი ძალიან მიქეს, ხომ არ გექნებათ, რომ მათხოვოთ; ერთ ღამეში წავიკითხავო“. ამ დროს მისი მეგობარი სხვა ჯგუფთან იჯდა და სწორედ მსგავს აზრს ანვითარებდა. ამ ენერგიული მეცადინეობით ბიბლოეთელებმა იმას მიაღწიეს, რომ მთელს სიმპოზიუმს მათი სახელი ეკერა პირზე და მათს წიგნებს დაეძებდა. მეშვიდე ნეიტრალური კაცი კაპიასავით მარტოხელა ჰოლანდიელი სწავლული გახლდათ. მას მკვირცხლი თვალები, მეცხრამეტე საუკუნის გურული მეცენატის გაწკეპილი ულვაშები და ჭაღარა თმა ჰქონდა. სიმპოზიუმის მუშაობაში მხოლოდ იმით მონაწილეობდა, რომ სარკასტულ რეპლიკებს ისროდა, ხოლო ეზოში ერთმანეთს შებმულ მეცნიერთა შორის ხითხითით დააბიჯებდა. ხანდახან რომელიმე ჯგუფს ყურს მიაპყრობდა, ხუთიოდე წუთს მოუსმენდა, ჩაიცინებდა, ხელს ჩაიქნევდა, დაბალი დონეაო იტყოდა და გზას განაგრძობდა. ჩვენ მიერ ზემოთ ჩამოთვლილ შვიდეულს გვირგვინად ედგა ალისფერთმიანი, კოხტა ქალი, რომელსაც მომნუსხავი ღიმილი და იმედისაღმძვრელი გამოხედვა ჰქონდა. კაპიამ არც სახელი იცოდა მისი და, მით უმეტეს, არც სადაურობა. სიმპოზიუმის სხვა მონაწილე ქალთაგან იგი იმითაც გამოირჩეოდა, რომ სათვალეს არ ატარებდა და არც არაფერს იწერდა. ყველანი რომ დალაგდებოდნენ, სწორედ

მაშინ გამოჩნდებოდა კარებში. ჯერ შორიდან ზვერავდა დარბაზს. მერე, თავისუფალ ადგილს რომ დაიგულებდა, მივიდოდა და ფიქრებში წასულ მეცნიერს ამ ქვეყნად მოაბრუნებდა: „უკაცრავად, ეს ადგილი თავისუფალია?“ საქმე იმით მთავრდებოდა, რომ ალისფერთმიანი კოხტა ქალი იმავე საღამოს ზღვის ნაპირას, გუშინდელი მარშრუტით, სწორედ იმ სწავლულთან დააბიჯებდა, ვის გვერდითაც სხდომათა დარბაზში იჯდა. ასე მეორდებოდა ყოველდღე. მომხიბვლელ მეცნიერ-ფერიას ყოველ საღამოს სხვადასხვა კავალერი მიაცილებდა. კაპიას მხოლოდ იმაზე ეცინებოდა, რომ ყველა კავალერი ხელების ქნევით ლაპარაკობდა და შორიდან ამჩატებული კაცის შთაბეჭდილებას სტოვებდა. ქალი, კი, მკერდთან მკლავებჩახვეული, ყოველთვის დინჯად და ამაყად მიაბიჯებდა. კაპიამ არ უწყოდა მისი მეცნიერული აზროვნების მასშტაბები, მაგრამ იმას კი მშვენივრად ასკვნიდა, რომ ამ ქალმა თავისი საქმე ხუთი თითივით იცოდა.

ჩვენჩურიის წარმომადგენლის გამოსვლას ყველანი ინტერესით მოელოდნენ და როცა კათედრაზე ჩია ტანის, მწვანედთმაშელებილი, პენსნე-ბაკენბარდებით „დამშვენებული“ მეცნიერი ავიდა, დარბაზში დაირხა: „ის არის, ჩვანჩოქამა“, კაპიამ ბელურებს მოსწყვიტა მზერა და ჩვანჩურიელ სწავლულს მიაჭიჭინდა.

ჩვანჩოქამამ მეცნიერული აპარატურის ოსტატური მოშველიებით და ლამის ეჭვმიუტანელი ფაქტებით აუწყა დარბაზს, რომ მსოფლიოში 50 წელიწადში, საშუალოდ, ერთი ენა და შესაბამისად ერთი ერი ქრება, რომ ეს პროცესი ისტორიულად შეუქცევადი პროცესია. ესე იგი, ერი რომ გაქრება, ენაც, რა თქმა უნდა, მას მიჰყვება და მერე აღდგენითი პროცესები აღარ მიმდინარეობს. მე ათწლეულები შევალიე ამ პრობლემის შესწავლას და იმ დასკვნამდე მივედი, რომ უმიზეზოდ არაფერი ხდება: რომელიღაც ეტაპზე ერი ამოწურავს თავის შესაძლებლობებს, ენა ღარიბდება. ენაში ჩნდება შინაგანი კრიზისი და იგი აღარ არის გაგებინების მოქნილი საშუალება. ასეთ შემთხვევაში მოდის მეორე უფრო დიდი კულტურა,

რომელიც ბუნებრივად შეიწოვს მასზე დაბალ კულტურას. ამის გამო ქრება ერიც და ოდესღაც მისი არსებობა მხოლოდ თავგადაკლულ მეცნიერთა ლაბორატორიებში დასტურდებაო.

– ესე იგი ობობის წესით? – ჰოპლანდიელმა მეცნიერმა აღარ დააცალა თავმჯდომარეს მოხსენების შემდეგ ჩვეულებრივი თავაზიანი მიმართვა: „შეკითხვები ხომ არავის გაქვთ?“

– რატომ ობობის? ასე მაქსიმალისტურად ნუ დავსვამთ საკითხს. ბუნებრივი შერჩევის წესით – სუსტის ადგილზე უფრო გამძლე მოდის, – მაშინვე უპასუხა ჩვანჩოქამამ.

კაპიამ ეს აზრი მიეთ-მოეთებით რამდენჯერმე მოისმინა ამ დარბაზში. აქამდე, რამდენადაც შეეძლო, თავს იკავებდა, მაგრამ ახლა ვეღარ მოითმინა და ხელი ასწია.

– თქვენ ბრძანეთ მაღალი კულტურა დაბალს შეიწოვს – ეს კანონზომიერი პროცესიაო. ვილაპარაკოთ კონკრეტულად: სად არიან ფინიკიელები? დავიჯერო, მათი ადგილი უფრო მაღალი კულტურის ხალხებმა დაიჭირეს? ძველეგვიპტკელთა ნაცვლად რა მაღალი კულტურა გაჩნდა ჩრდილოაფრიკის კონტინენტზე? ან იქნებ ანტიკური ბერძნების კულტურა იყო ისე სუსტი, რომ ეპოქას ვერ უძლებდა და რომელიმე სხვა კულტურას უნდა შეეწოვა?

დარბაზი სმენად იქცა. ჩვანჩოქამამ პენსნე მოიხსნა და ისევ გაიკეთა, კარგა ხანს დუმილით უყურა კაპიას, მერე ორივე ხელი წინ გაიშვირა, ნელა დაუშვა ტრიბუნაზე და იკითხა:

– თქვენ რა, ჩემი მოხსენება არ მოგისმენიათ?

კაპიას ალმურმა გადაჰკრა. ფანჯრისკენ გაექცა მზერა. მოწყენილი ბელურა კვლავ გაუნძრევლად იჯდა.

– მე კონკრეტულად გკითხეთ, მოწყალეო ხელმწიფევ.

– განა ჩემს მოხსენებაში უამრავი ფაქტი არ მოგახსენეთ იმის ნათელსაყოფად, თუ როგორ შეიწოვა ამა და ამ მაღალმა კულტურამ ესა და ეს დაბალი კულტურა?

– მაგრამ, როგორც ჩანს, თქვენი მოსაზრების წესად მიჩნევა სწორი არ არის. მე დაგისახელეთ მაღალი კულტურები, რომლებიც გაჰქრნენ.

– ულოგიკოდ? – დაიძახა ფილიელმა.

– იქნებ ულოგიკოდაც.

– ულოგიკოდ არაფერი ხდება, – ჩაილაპარაკა ზურგსუკან ვიღაცამ. თავმჯდომარემ ზარი გააწკარუნა.

– გთხოვთ უპასუხოთ – მომხსენებელს მიმართა.

ჩვანჩოქამამ ცხვირსახოცი ამოიღო და შუბლზე ოფლი მოიწმინდა, აშკარად ჩანდა, შეკითხვა მისი პოზიციისთვის მთლად ხელსაყრელი ვერ იყო. არ დავმალავ, დემაგოგიურ გზას მიმართა:

– მე საპასუხო არაფერი მაქვს. უმნიშვნელო გამონაკლისები არის, რასაკვირველია. მე კანონს როდი ვწერ. მე კანონზომიერება მოგახსენეთ, მაგალითებით განმტკიცებული.

– მე ვფიქრობ, ბატონი ჩვანჩოქამას მოხსენება არსებითად მცდარია. მსოფლიო სწორედ კულტურათა მრავალსახეობითაა ასე ლამაზი. კულტურა ყოვლისმომცველი, კომპლექსური მცნებაა და ერთიან მიმართებაში უმჯობესია სიტყვები თვითმყობადი, ორიგინალური ვიხმაროთ. ყოველი კულტურა, თვით ავსტრალიის აბორიგენებისაც კი, რაღაცით მშვენიერი და ძვირფასია კაცობრიობის ისტორიისათვის. ამიტომაც მე ვერ ვიღებ მომხსენებლის პათოსს. თქვენ როგორ ფიქრობთ, გულხელდაკრეფილნი უნდა იყვნენ „დაბალი კულტურები“ და ელოდნენ როდის შეიწოვებიან „მაღალი კულტურების“ მიერ? – კაპიამ სულმოუთქმელად მიაყარა ეს სიტყვები ერთმანეთს და აშკარად იგრძნო, რომ წნევამ აუწია. გულის ბრაგუნი ყელში აწვებოდა.

– მაგრამ ჩემ მიერ დასახელებული „ექვსი“ ხომ ჭეშმარიტებაა. ეს პროცესი ხომ მიმდინარეობს? – ბზარი გაუჩნდა ხმაში ჩვანჩურიელ მეცნიერს.

– ამ პრობლემას სევდითა და ცრემლით უნდა შევხედოთ და სწორედ რომ ულოგიკობა, არაკანონზომიერება დავარქვათ. 50 წელიწადში რომ ერთი ენა ქრება, თქვენ სანუგეშო რამ გგონიათ კაცობრიობის მომავლისთვის? ეს იმის მაჩვენებლია, რომ მსოფლიოს ნოველირების ცხელი უთო მოქმედებს საბედისწეროდ. ვერ ვუვლით მცირე ერებს და მათ კულ-

ტურებს. საქმეში ერევა დაპყრობითი ომები, რასობრივი დისკრიმინაციები, ეროვნული ჩაგვრა... ასე, რომ ერთა და ენათა გაქრობაში ისტორიაა დამნაშავე და არა რაღაც გამოგონილი შინაგანი კრიზისი, ან შესაძლებლობათა ამოწურვის მცდარი თეორია!

კაპიამ ბოლო სიტყვები მეცნიერისთვის, ცოტა არ იყოს შეუფერებლად, ლამის ყვირილით თქვა. ამაოდ ცდილობდა ნერვიულობა მოეთოკა. მისთვის, რაც დღეს, ამ დარბაზში, ხდებოდა, მარტო მეცნიერება კი არა, სიკვდილ-სიცოცხლის საქმე იყო. ყელი უშრებოდა და ეჩვენებოდა, რომ სხვისი ხმით ლაპარაკობდა. ეს ხმა ვინმეს მაგნიტოფონზე რომ ჩაეწერა, დოცენტ კაპია შერვაშიძის ხმაში შერეული ათასების ხმა იყო; ათასი წლის წიაღიდან წამოსული და მოთქმა-ვაებად მოსული მეოცე საუკუნემდე.

კაპიას დარბაზი გასუსული უსმენდა. თუ პირველსავე შეკითხვაზე ერთი-ორჯერ გაისმა – „ეგ რა შუაშია“, „საქმესთან, საქმესთანო“, ახლა აშკარად გრძნობდა შერვაშიძე, რომ სიმპოზიუმის მონაწილენი მისმა ნათქვამმა ჩააფიქრა და, ჩვანჩურიელი მეცნიერის დიდი ავტორიტეტის მიუხედავად, აქა-იქ თანამოაზრენიც გაფაჩუნდნენ.

თავმჯდომარემ საათზე დაიხედა და ვითარების განმუხტვა სცადა:

– სიტყვა ხომ არავის აქვს?

ხელი სატინის შავხალათიანმა, ტანწერწეტა, ფართოთვალება და კეხიან-ცხვირიანმა ახალგაზრდა კაცმა ასწია. იგი სიმპოზიუმის ყველაზე ჩუმი მონაწილე გახლდათ. კაპია ერთი ორჯერ დაემგზავრა ლიფტში. ერთმანეთისთვის ხმა არ გაუციათ. საერთოდ, იგი შეთქმულივით მარტო დადიოდა და თითქმის არავის ესალმებოდა.

ჩვანჩოქამა იქვე პრეზიდიუმში, ვეფხვისთავებიან სავარძელში მოკალათდა.

– მე რქესიეთიდან გახლავართ. ჩემი ქვეყანა აპენინების ძირშია. რქესიეთულ ენაზე ახლა მხოლოდ სამას კაცამდე ლაპარაკობს. სოფლები დაცარიელდა. მთიელები ჩამოვბარ-

დით და როგორც იტყვიან ხოლმე, „აღვერიენით...“ აქ ბევრი თეორეტიკოსი მოვგროვდით, ახლა ერთ პრაქტიკულ საკითხს მოგახსენებთ. მე გადაშენებული კულტურების შემსწავლელ ინსტიტუტში ვმუშაობ – უმცროს მეცნიერ თანამშრომლად. ოთახში ხუთნი ვსხედვართ, სამი ხვანხელი და ორი რქესიეთელი – მე და ჩემი ამხანაგი. როგორც კი რქესიეთელი რქესიეთულად რამეს მეტყვის, ვთქვათ საათს მკითხავს, ან სიგარეტს მომთხოვს, სამი ხვანხელი იბღვირება. ურიგო ბიჭები როდი არიან, მაგრამ არ სიამოვნებთ მათთვის გაუგებარ ენაზე რომ ვლაპარაკობთ. მე გეკითხებით, რა გამოსავალს შემოგვთავაზებდით ამ პრობლემიდან თავდასაღწევად?

– თქვენ როგორ ხასიათზე დგებით, როცა ისინი ხვანხურად ალაპარაკდებიან? – ჰოპლანდიელის ხმა იყო.

შავსატინიანი დაიბნა, ჯერ თითების მტვრევა-ტკაცუნს მოჰყვა, მერე, ყურის ბიბილო მოისრისა და ამოღერღა:

– იცით, არ ვამჟღავნებდით, მაგრამ გულახდილად რომ გითხრათ, ჩვენი თავი რამდენჯერმე დავიჭირეთ იმაში, რომ მაინცდამაინც არ გვსიამოვნებს.

– იმიტომ არ ამჟღავნებთ, რომ ისინი მეტნი არიან, – ჰოპლანდიელმა ხუმრობის შესაძლებლობა ხელიდან არ გაუშვა.

– არც ეგრეა საქმე, – დარბაზის ხითხითს მორცხვად დაადევნა რქესიეთელმა.

– ჩვანჩური ხომ ხუთივემ იცით? – წამოუდგომლად იკითხა ჩვანჩოქამამ და დადებითი პასუხი რომ მიიღო, დააყოლა: – ჰოდა, ილაპარაკეთ ჩვანჩურად, ესაა სულ თქვენი პრობლემის გადაწყვეტა, – აშკარად ჩანდა ჩვანჩურიელი თავისი აღმოჩენით კმაყოფილი იყო.

– ეგ იოლი საქმეა, მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ რა უცნაურად უნდა მოგეჩვენოთ, ჩვენ ჩვენს მშობლიურ ენაზე ლაპარაკი გვირჩევნია. ძალიან გთხოვთ სწორად გამიგოთ, ეს სიჯიუტე კი არ არის, ან პროვინციული პოზა, ეს ჩვენი სულიერი მოთხოვნილებაა. თქვენ წარმოიდგინეთ, არც ხვანხელე-

ბი არიან თანახმა, ხუთივემ ჩვანჩურად ვიმეტყველოთ. ასე რომ, დიდი მადლობა რჩევისათვის, მაგრამ როგორც ჩანს, ენის ჩუქება არ შეიძლება.

– ენის ჩუქება ისევე შეუძლებელია, როგორც ენის წართმევა! – დაიძახა ორი ბიბლოეთელთაგან მაღალმა, პირატისსახიანმა, სათვალიანმა მეცნიერმა.

– გინდათ გირჩიოთ, რა ეშველება ამ საქმეს? – ფილიელი წამოხტა, მაგრამ ორცხობილა ხელიდან არ მოუშორებია.

– უნდა სთხოვოთ თქვენი დეპარტამენტის შეფს – სხვადასხვა ოთახში გადაგიყვანოთ. თქვენ ცალკე, ხვანხელები ცალკე!

დარბაზს კვლავ სიცილმა გადაურბინა. ფილიელმა ტუჩებზე თითი მიიდო და მის წინ ღრმად მძინარე სამი ლაურეატისკენ კვლავ მიაქცია დარბაზის გულისყური.

– ღვთის გულისათვის ნუ იცინით, აქ, სძინავთ.

სანამ სიმპოზიუმი იცინოდა, პრეზიდიუმში მოლაპარაკება გაიმართა. ჯერ ჩვანჩურიელი გადაიხარა და თავმჯდომარეს რაღაც უჩურჩულა. თავმჯდომარემ თავი დაუქნია და თავის მხრივ გვერდით მჯდომ ჟირაფისყელიან, ფერფლისფერთმეცა კაცს რაღაც უთხრა. ჟირაფისკისროსანი ადგა და გავიდა. ორი წუთიც არ იყო გასული, ასე ორმოცდაათიოდე წლის, კოხტად ჩასხმული წვეროსანი, ჯინსის შარვალ-ხალათში გამოწკეპილი პორთფელიანი მეცნიერი გაჩნდა მის ადგილზე.

თავმჯდომარემ ღიმილით დაუქნია თავი და გამოაცხადა:

– სიტყვას ითხოვს ლღვიის აკადემიის წევრ კორესპონდენტი, სუჩკის სოსისელი. გთხოვთ, კოლეგავ.

სუჩკისმა, ეტყობა, მეტი დამაჯერებლობისთვის პორთფელი აიტანა კათედრაზე, მაგრამ არ გაუხსნია. გულზე ხელები დაიკრიფა და დაიწყო.

კაპიამ ახლაღა შეამჩნია, რომ იდგა და რაკი თავის ფეხზე დგომის აუცილებლობა ვერაფრით ვერ გაამართლა, მორცხვად მიმოიხედა და დაჯდა.

ფილიელი ორცხობილას მადიანად და, ცოტა არ იყოს, ნერვიულადაც აკნატუნებდა.

შერვაშიძემ, რასაკვირველია, იცნო ლღვიელი სწავლული. ის იყო, გუშინწინ საღამოს კარზე რომ დაუკაკუნა და ქაღალდი გაუწოდა, გაეცანით და თუ საჭიროდ მიიჩნევთ, ხელი მოაწერეთო. კაპიამ გადაიკითხა და მაშინვე მოაწერა ხელი. დიდი არაფერი; სასტუმროს დირექტორის სახელზე შედეგნილი პეტიცია იყო. სიმპოზიუმის წევრები სთხოვდნენ დირექტორს, სამაგალითოდ დაესაჯა ის დამლაგებლები, რომლებიც სასტუმროს აივნებზე მერცხლებს ბუდის გაკეთებას უშლიდნენ. ამაზე, მართლაც, ბევრნი ლაპარაკობდნენ, სამწუხარო ამბავი როგორ არ იყო: მთელი დღის განმავლობაში ჟივილ-ჭყივილით მუშაობდნენ მერცხლები, საღამომდე სანახევროდ ააშენებდნენ ნერწყვითა და შლამით გაკირულ ბუდეებს, საღამოს ჩამოივლიდნენ იატაკისჯოხიანი დამლაგებლები, აქაოდა სანიტარული კულტურის დაცვისათვის ვზრუნავთო, ჩამოანგრევდნენ ბუდეებს და ჩახვეტავდნენ. ასე მეორდებოდა ყოველდღე. ხელი რომ მოაწერა, მართლაც რომ აღმაშფოთებელი ამბავიაო, გაუღიმა კაპიამ ლღვიელ მეცნიერს და, ბუნებრივია, სიმპათიაც აღეძრა სტუმრისადმი, ამ გახურებული სიმპოზიუმის დროს მერცხლის ბუდეთა გადარჩენისათვის რომ მოიცალა.

სუჩკის სოსისელმა ჯერ მადლობა გადაუხადა ამ მაღალწარმომადგენლობითი შეკრების ორგანიზატორებს და მერე ჩვანჩოქამას მოხსენებას შეეხო. ახალი არგუმენტებით გაამდიდრა ჩვანჩოქამას უმთავრესი დებულება – ერთა და კულტურათა „ურთიერთშეწოვის“ შესახებ და აღფრთოვანება გამოთქვა იმის გამო, რომ საშუალება მიეცა დიდი ჩვანჩურიელი მეცნიერის ღრმადგანსწავლულობასა და შეუმცდარობაში ერთხელ კიდევ დარწმუნებულიყო. ბოლოს, თავის მშობლიურ ლღვიურ ენაზე ილაპარაკა და, არც მეტი არც ნაკლები, სიმპოზიუმს ლღვიური ენის შინაგანი კრიზისის სურათი დაუხატა. ჩვანჩოქამას მეცნიერული კანონზომიერება ჩემს ენასთან მიმართებაში აბსოლუტურად დასტურდებაო. ლღვიური ენა მობერდა, მეოცე საუკუნის ოთხმოციან წლებში იგი ვეღარ უპასუხებს ცივილიზებული ენის მოთხოვნებს.

ძალიან ჭირს ლღვიურ ენაზე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გამოხატვაო. როგორც ჩანს, არასრულყოფილება ლღვიურ ენას ოდითგანვე ახასიათებდა, მაგრამ ამ შინაგანმა ნაკლულოვანებამ განსაკუთრებით ახლა იჩინა თავიო. ჩემს პირად მაგალითს მოგახსენებთ; მიჭირს მშობლიურ, ლღვიურ ენაზე წერა და მეტყველებაო. ენა, მართალია, ერის ერთ-ერთი ღონიერი ატრიბუტია, მაგრამ მე არა ვარ მომხრე ამ ატრიბუტისთვის ჯიუტად ჩაბღაუჭებისაო. ჩვენ ცივილიზებულ მსოფლიოს წარმოვადგენთ და მოვუწოდებ ყველა მცირერიცხოვანი ერის შვილს, ნუ განიცდიან ასე ტრაგიკულად მშობლიური ენის დაკარგვასო. დროა, ჩამოვიცილოთ ვიწრონაციონალური შეხედულებანი და სწრაფგანვითარებად ცივილიზაციას ავუწყოთ ფეხიო. მე, მაგალითად, სიამოვნებით ვიქნებოდი თანახმა, უარი მეთქვა ლღვიურ ენაზე და ჩვანჩურზე გადავსულიყავი. იმიტომ კი არა, თითქოს ჩემი ენა არ მიყვარდეს, იმიტომ, რომ ჩვანჩური უფრო თანამედროვე, გამძლე და მოქნილი ენაა. თანაც იგი მრავალრიცხოვანი ერის ენა გახლავთ და ამ ენაზე მეტყველ კაცს წინსვლის მეტი პერსპექტივები გააჩნიაო.

სუჩკის სოსისელმა რომ დაამთავრა, დარბაზში ტაში გაისმა.

კაპია თავჩაქინდრული იჯდა. მეხის გავარდნა იყო მისთვის ლღვიელი მეცნიერის გამოსვლა. ყურებს არ უჯერებდა; რამ უნდა აიძულოს კაცი, რომ თავის ენას და ამით თავის ხალხს, სამშობლოს, მის არსებობას ქვეყნად, ტყვია ესროლოსო.

არც კი ახსოვს, როგორ გაჩნდა ტრიბუნაზე ნებართვაუთხოვნელად. სიმპოზიუმის რკინის ეტიკეტებს ახლა იგი აღარ დაგიდევდათ. უნდა ეთქვა, დაუყოვნებლივ უნდა ეთქვა, რასაც ფიქრობდა, თორემ გული გაუსკდებოდა:

– რაც ახლა სოსისელმა მოგახსენათ, ახალი არ არის... მაგრამ თავისი სიძველით კი არაა შემაძრწუნებელი, სწორედ იმით გახლავთ საშიში, რითაც სუჩკისისთანა მოაზროვნეები საკუთარი სამშობლოსკენ მიმართავენ ხოლმე სხვათა უბეყურეებში გაპოხილ მეცნიერულ იარაღს. მშობლიური

ენა მარტო ის კი არ არის, ძვირფასო კოლეგავ, რომელზეც ამ სასტუმროს ბარში ლაპარაკობ, ისაა, რომელზეც ჩუმად ხარ, რომელ ენაზეც ფიქრობ, რომელ ენაზეც სიზმრებს ხედავ. მე წამიკითხავს ლღვიურ ენაზე დაწერილი მშვენიერი წიგნები. არ გაგიკვირდეთ, პოლიგლოტი არ გახლავართ, მაგრამ მეოცე საუკუნის ბრწყინვალე ლღვიელმა პოეტმა მენფაითისმა, რომელსაც თარგმანში გავეცანი და დამაინტერესა, მაიძულა ულამაზესი ლღვიური ენა შემესწავლა. მთელი პასუხისმგებლობით გიცხადებთ; ლღვიური მართლაც რომ სრულყოფილი ენაა და არავის არა აქვს უფლება იმ ენის შინაგან სიღარიბეზე, ან კრიზისზე ილაპარაკოს, რომელზეც შედევრები შექმნილა. თუ თქვენ მშობლიურ ენაზე წერა გიჭირთ, ამაში ბრალი თქვენ მიგიძღვით და არა ლღვიურს. არ არსებობს ცნება თუ მოვლენა, რომელიც ლღვიურად არ გამოითქვას. ამისთვის საჭიროა ცოტა უფრო ღრმად შეხვიდეთ ხალხური ენის წიაღში, ჩახედოთ ლექსიკონებს, ისწავლოთ მშობლიური ენა. მაპატიეთ, მაგრამ ერთი რამ მინდა გკითხოთ, თქვენ მშვენივრად, ლამის უაქცენტოდ ლაპარაკობდით ჩვანჩურად, სკოლა სად დაამთავრეთ?

ისევ სიჩუმე. „რა მნიშვნელობა აქვს!“, „იქნებ მეტრიკის ასლიც მოითხოვოთ!“, „სიმპოზიუმი ჭირვეულობაში არ უნდა გადაიზარდოს“ – ესმოდა ეს სიტყვები კაპიას, მაგრამ არავითარ ყურადღებას არ აქცევდა. ერთი სული ჰქონდა, თავისი კითხვის პასუხი მიეღო. სუჩკისი წამოდგა და ხაზგასმული ირონიულობით თქვა:

– მე ათას ცხრაას ოცდათხუთმეტ წელს დავიბადე ჩვანჩურიაში (ერთ-ერთი რაიონული ცენტრი დაასახელა), სკოლაც იქვე დავამთავრე, უმაღლესიც და ასპირანტურაც. ამჟამად, თხუთმეტი წელია, ლღვიის დედაქალაქში ვცხოვრობ. მეცნიერულ ჟურნალში ჩვანჩური მითოლოგიის განყოფილებას ვხელმძღვანელობ. წარმოშობით წმინდა სისხლის ლღვიელი გახლავართ. ორმოცდათორმეტ ზომა პერანგს ვხმარობ, ხოლო ფეხსაცმელს ორმოცდაორს, კიდევ ხომ არაფერი გაინტერესებთ?

– გმადლობთ, – კაპიამ თავი ასწია და მიმოიხედა, – მეტი შეკითხვა აღარა მაქვს. მაინტერესებდა გამეგო, რომელი ენა იყო მისთვის სიყრმიდან მშობლიური და რამდენად ჰქონდა სუჩკის სოსისელს ლღვიური კულტურის წარმომადგენლის სახელით გამოსვლის მორალური უფლება.

კაპიას ეგონა, მისი გამოსვლის მერე დიდი შეხლა-შემოხლა ატყდებოდა, მაგრამ მოტყუვდა. აუდიტორია გადაღლილი გახლდათ და ლამის უყურადღებოდ შეხვდა შერვაშიძის სიტყვებს. თავმჯდომარის კითხვაზე, „წინადადება ხომ არავის გაქვთო“, წამოდგა სანდომიანი სახის ღაბაბიანი, ბალზაკისულვაშება მეცნიერი და სიჩუმეს დაელოდა, როცა აუდიტორია დაშოშმინდა, მაჯაზე დაირტყა საჩვენებელი თითი და მშვენიერი ბარიტონით აუწყა დარბაზს:

– ვახშმობის დროა.

მზის ჩასვლის შემდეგ, როგორც ჩვეულებრივ ხდებოდა, სიმპოზიუმის მონაწილენი ვარდების ბაღში გამოიშალნენ და მეცნიერულ ვნებათა ღელვას ახალი ასპარეზი მიეცა.

ჯგუფები კვლავ კამათობდნენ.

ჰოპლანდიელი ძველებურად, იქედნური ღიმილით დააბიჯებდა და „დაბალ დონეზე“ ჩიოდა.

ალისფერთმიანი ქალი ახალ მსხვერპლთან ერთად ზღვის სანაპიროზე დასეირნობდა.

გრძელი ფილიელი თავის განუყრელ ორცხობილას ხიტკინით შეექცეოდა.

ორ ბიბლიოთელს შორის ჩამდგარი შეზარხოშებული, შავსატინიანი რქესიეთელი გულზე მჯიღს იცემდა და ცრემლმორეული ლუღლუღებდა: „მაშ, ჩემი ენა უნდა გადაშენდეს? ასეთი მდიდარი ენა? ჯერ მარტო ყინულის სახელი ორმოცნაირად გამოითქმის“. „სწორედ მაგიტომ უნდა გადაშენდეს – ეუბნებოდა მაღალი ბიბლიოთელი – რა საჭიროა ყინულისთვის ორმოცი სიტყვა“.

კაპიამ ჩქარი ნაბიჯით, შთაგონებული სახით მიმავალი სუჩკის სოსისელი შეაჩერა და სთხოვა, თუ დრო გაქვთ, ზღვისკენ წავიდეთ და ვისაუბროთ, ძალიან მინდა ჩვენ ერთმანეთის გვესმოდესო.

სოსისელი სიამოვნებით დაეთანხმა.

ქშენა-რწევით მსუნთქავი, შავი ფერის ზღვისაკენ წავიდნენ. პლიაჟზე ფიცრის შეზლონგები ერთმანეთს შეაწყევს და ჩამოსხდნენ.

●

ევროპის პატარა ნეიტრალური სახელმწიფოს ზღვისპირა ქალაქში სიმპოზიუმი უბედური შემთხვევით დამთავრდა.

სიმპოზიუმის დახურვის დღეს, როცა აქტიურ მონაწილეებს სიგელებით აჯილდოებდნენ და მისამართების გაცვლა-გამოცვლის ცერემონიალი ფართოდ იყო გაშლილი, ორგანიზატორი ქვეყნის სამი წარმომადგენლიდან ერთ-ერთი, ბეჰემოთისთვალება, მსუქანი მოხუცი კარებში ჩადგა და გამოაცხადა:

– სამწუხარო ამბავი უნდა გაუწყოთ, კოლეგებო, წუხელის, თავის ნომერში, თავი ჩამოიხრჩო სუჩკის სოსისელმა. როგორც ადმინისტრაციამ განაცხადა, მის მაგიდაზე ქაღალდი აღმოჩნდა, რომელზეც ორად-ორი სიტყვა ეწერა: „მე გამაბრიყვეს“. მიმდინარეობს გამოძიება. კვლევის შედეგებს წერილობით გაუწყებთ სამი თვის შემდეგ.

წავა?

მზე უკანასკნელ სხივებს კრეფდა აცას მთის წვერიდან, როცა საგარეო საქმეთა სამინისტროს უმცროსი რეფერენტი ლაშა ცარციძე მწვანედ შეღებილ ჭიშკარს მიადგა. ტილოს თეთრ შარვალში წელზე ხელის ჩამოსმით ჩაიტენა აჩაჩული კვართის კალთები, სათვალე მოიხსნა, გულის ჯიბეში ჩაიდო და „მასპინძელოს“ დაძახება ზედმეტად მიიჩნია, რადგანაც უმოაჯირო აივანზე წელგამართულად წამოსკუპულ, შავგვრემან, შუახნის მამაკაცს ჰკიდა თვალი. მასპინძელი არ განძრეულა. ტუჩები ოდნავ აამოძრავა მხოლოდ. იმ წამსვე გაიღო ზედა სართულის კარი და გრძელნაწნავა, წითელსაწმერთულიანმა გოგომ ჩამოირბინა. ლაშას ეგონა ჭიშკრის გასაღებად მოდისო, მაგრამ გოგონამ ერთი მოიხედა და ფარღალალა სამზადში ბოძებს შორის გაუჩინარდა. ისევ ჩამოწვა უხერხული სიჩუმე. მასპინძელი შესაგებებლად არ დგებოდა, ეტყობა პირველ სიტყვას სტუმრისგან ელოდა და სტუმარმაც არ დააყოვნა:

– უკაცრავად, სულხან მიქელაძე აქ ცხოვრობს?

– მე ვარ, მობრძანდით.

სულხანი წელგაკავებულივით ნელა, დიდხანს დგებოდა. სტუმრისთვის თვალმოუცილებლად შეიკრა მოგალიფო, ფართხუნა შარვალზე გადმოშვებული პერანგის ღილები, თავზე ჭილოფის, მთვარისხელა ქუდი დაიხურა და უცნობს კიბეზევე შეეგება.

– დარო!

თეთრი ხელაბანდით თავწაკრულმა გოგომ აივანზე დაბალფეხება სკამი ამოაწოდა, ლაშამ მხოლოდ მისი მზით გარუჯული მუჭები დაინახა, რადგანაც დარეჯანს თავი განზე მიებრუნებინა და სკამი გამოართვეს თუ არა, მაშინვე გაქრა.

მასპინძელმა გვერდით მოისვა სტუმარი და კვლავ წითლად შეფაკლულ აცას წვერს დაუბრუნდა. ლაშამ მამლის

კუდივით შემართული, ურჩი თმის კოწოლი თითებით კარგა ხანს აწვალა, მიიხედ-მოიხედა და თქვა:

– სახლი თითქმის მოგიმთავრებიათ, სულხან ბატონო.

სახლის პატრონმა ჯერ გვერდთან ხელებჩამწყვდეულმა გამოხედა, მერე ხელისგულები მუხლისთავებზე დაიწყო და თითქოს ამ თემაზე საუბარი ყველაზე ნაკლებად აინტერესებსო, ყრუდ, გულგრილად ამოილაპარაკა:

– ჯერ სადაა. სახლი კიდო მევრე ამთენი მუშაობა გინდა, ვინც იცხოვრებს, იმან დაამთავრებს.

ლაშამ ენაზე მომდგარი სიტყვა ჩაიბრუნა. გვერდულად გახედა მასპინძელს. თვალებზე ჩამორკალულ ხშირ წარბებში, სვავის ნისკარტივით მოკაუჭებულ ცხვირსა და თხელ ტუჩებს ჩამოყოლებულ ნალის ფორმის ულვაშებში რაღაც უცხო და ჯიუტი ილანდებოდა. „ასეთი პროფილის კაცებთან კამათი ძნელია“, გაუელვა უმცროს რეფერენტს.

– მე არვის მოვუგზავნივარ, სულხან ბატონო, შენთან. ჩემით მოვედი. მეტიც, რომ გაიგოს ჩემმა უფროსმა, სამსახურიდან მომხსნის.

– რაი გნებავს? – მასპინძელმა ახლაღა შეავლო თვალი ლაშას ქერა თმებს და სიცხისგან დაცვარულ საულვაშეს.

– განცხადება დაგიწერია, წასვლას აპირებ.

– ჩონ ასე გადავწყვიტეთ.

– ვინ თქვენ?

– ოჯახმა.

– რამდენი შვილი გყავთ, სულხან ბატონო?

– ოთხი.

წამით დაინტერესებულ სულხანს მოეჩვენა, რომ ყმაწვილი ენას იქავებდა ამ საქმესთან სრულიად დაუკავშირებელი შეკითხვით.

– მერე, ოთხივენი თანახმა არიან?

– ხელისაწევით სულხანი ჯერ თავის ოჯახში არ ცხოვრობს.

ხმების დათვლა კრებაზე იციან. ჩონ რასაც ვიტყვით, ჯალაბი ყაბულსაა. არადა, იალა, საითაც უნდა.

– ვინ ჩონ?

– მე, სულხან მიქელაძე.

მასპინძელმა გულზე მჯიღი მიირტყა.

– რამდენი წელია საქართველოში ჩამოხვედით?

– სამი.

– ხომ იცოდით, სადაც მოდიოდით?

– კი.

– მაინც სად მოდიოდით?

– ჩონ დიდ – სამშობლო გურჯისტანში.

– მერე?

– მერე ჩამოვედით, ვიცხოვრეთყე, ახლა უკან უნდა წავიდეთ.

– სად?

– ფერეიდანში.

– ფერეიდანში რა გინდათ?

– რატომ იტყვის ასე. ფერეიდანშიც ხო ჩონი ხალხია. იქავც საჭიროა გურჯი. იქავც ჩონი მამა-პაპა დაბადებულა და ჩონი ბიძაშვილები ცხოვრობენ.

– თუ იცით, ფერეიდანში როგორ მოხვდით?

სულხანმა გაიცინა და ჭილოფის ქუდი შეატრიალა.

– შენ ჯეილი ხარ. შენ სულხანი ყრუი ნუ გეგონებავ. ჩონ ყორიფელი ვიცით. შახ-აბასმა გაგვრეკაყე და სამასი წელია ფერეიდანში ვსახლობთ.

– არ მოგეწონათ საქართველო?

– მოუწონარ რა სჭირს. კაი ქოყანაა. ჩონ ასე არ უმბობთ. გურჯისტანი მოწონებაა, თუ არ მოწონებაა სამშობლო მარტო კაია. ცუდი სამშობლო არ არის.

– აბა, რატომ მიდიხართ?

– გითხარი. ჩონ ფერეიდანშიც საჭირო ხართ. იქაც ხომ პატარა გურჯისტანია?

– არა ხარ გულწრფელი, სულხან ბატონო, ეგ პასუხი არ არის.

– თუ სწორ პასუხს გეტყოდე, შენ მაინც ვერ გაიგებ. გუშინწინ სოფლსაბჭოს მდივანს ვეუბნებოდი, იმან იცინის; მე ვტირი, იმან იცინის, მე ვუხსნი, იმან ჩხუბობს. შონ სპარსელი

ხარ, შონ ჩვენებური არა ხარ, შონ გაფუჭებული ქართველი ხარ, იმან ამბობს.

– რატომაო?

– რატომ უკან წასვლა გინდა.

– მამაშვილურად გთხოვ, ამიხსენი, რატომ მიდიხარ.

სულხანმა ეჭვჩამდგარი თვალებით კარგა ხანს უყურა.

– შენ რატომ გაინტერესებს?

– ჩემთვის მინდა ვიცოდე.

– მერე შენ ამბავი წაუღოს. სულხანი ასე თქვა. სულხანი ცუდი კაცია. მერე არსადაც არ გამიშვებან.

– ხომ გითხარით არავის მოვუგზავნივარ. თქვენი განცხადების შესახებ დღეს გავიგე და თავზარი დამეცა. მე სხვა განყოფილებაში ვმუშაობ, ეგ საქმე არ მეხება.

– აბა, შენ ზარი რატომ დაგეცა?

– როგორ კაცო, სამას წელს გადაკარგულები ძლივს თქვენს სამშობლოში დაბრუნდით და ახლა უკან მიდიხართ?

– სულხანი სულელი არ არის. მე კარგად ვიცის, საიდან ჩამოვედი და საითკენაც მივდის.

– პირდაპირ მიპასუხე: შენ შენი სამშობლო საქართველო გიყვარს?

ლაშამ მაშინვე იგრძნო, რომ ვერ მოზომა და ტუჩზე იკ-ბინა. რა გაბრაზებით ვესაუბრები, ახი იქნება ახლა ჩემზე, რომ წამოდგეს ეს კაცი და კარებისკენ მიმითითოსო.

– რატომაც არა. მე ჩემი ქართველობა მიყვარს.

– აბა, შე კაი კაცო, ძლივს დაბრუნდი წართმეულ სამშობ-ლოში, ძალით არავინ გერეკება, მიწა მოგცეს, დაგასახლეს და გარბიხარ?

– რატომ გარბიხარ, ხომ გითხარი, შენ მაინც ვერ გაიგებს, სისწორე გითხრამს, თუ არა.

– ბრძანე, ბრძანე, გავიგებ, ნუ გეშინია.

– სამასი წელი ჩვენი ენა და ადათი რომ შაგვინახნია, ჩონ არ გვიყვარს გურჯისტანი?

– მაგისთვის დიდი მადლობა, მაგრამ ახლა რაღას მივაწე-რო შენი გაქცევა?

– შენ ისე ნუ გეგონებავ, ვითამ ფერეიდანში რომ ქართველები არიან დღედაღამ უღელში ჩაბმულები არიან, აპეურები შეკრული და მითამ ურემზე ზის სპარსელი და ჯოხით ხან ერთი მხარეზე, ხან მეორე. ასე არ არის.

– მაგრამ თქვენ ხომ იქ უცხოობაში ხართ. უცხო ტომის ბატონობის ქვეშ, სხვისი გავლენით და კარნახით ცხოვრობთ.

– ასე თუ ვილაპარაკებთ, ჩიტივით თავისუფალი არც აქაურ გურჯებ არიან. ყველა კურდღელს თავისი მწევარ დასდევს.

– იცი, მე აქ რამ მომიყვანა?

– არ ვიცის.

– სირცხვილმა. მთელ მსოფლიოში ასე ხდება; ემიგრანტები თავიანთ დედულეთს აკითხავენ. ათასობით კაცი იშლის თავის ბუდეს დღეში და იმ ქვეყანას უბრუნდება, სადაც მის წინაპარს პირველად ცეცხლი დაუნთია. ჩვენ რა გვემართება. სად გამოვყოთ თავი, ოციოდე ოჯახი ჩამოხვედით და ისინიც ვერ დაგაკავეთ.

– შენი სახელი?

– ლაშა.

– ლაშაა მეტ სირცხვილ ალახმა ნუ განახასთ. ჩონ ფერეიდანში სირცხვილ არ გვიჭამია, არც ხვალ გაჭმევთ.

– მე სხვა სირცხვილზე ვამბობ.

– ყური დამიგდე, ჯეელო. სამასი წელი დიდი დროა. ჩონ ფერეიდანში სხვა წესით ცხოვრობს, აქაურ სხვა წესი მოსულა. ჩონ გაჭირვება და შიმშილი ბევრი ნანახი არის, მაგრამ აქ, ფერეიდანში, თუ ერთი ქათამი არის შენთანა, ვიცის, რომ ის ერთი ქათამი შენი არის; უნდა დაკლავ, უნდა გაპუტავ და ისემც გაუშვი. იქ, ფერეიდანში თუ მუშაობ, იცი, შენთვის მუშაობ. აქ სხვანაირი ცხოვრება არის, რამდენი ხან სად მუშაობ, რატომ მუშაობ, რამთელი საათი მუშაობ, არ ვიცის. ერთი ცხვარი ჩონია, არ არის ჩონი, არ ვიცის. ტყუილები კიდომ ბევრი არის. მაღაზია ნოქარი დიდი ლურსმანი გუშინ არ მოგცის. მივედი, ნახამ, ლურსმანი დამალული არის ვამბობ: ზედმეტი ფასში გავჰყიდო, ნოქარი. მე საბჭოს თავმჯ-

დომარეს ვუთხარი. იმან ამბობს, მე რა ვუყო, იმან თავისი თავის უფროსი არის. მაშ ვინ არის ნოქარის უფროსი?

ლაშას გაეცინა.

– ჩემო სულხან, მართალი ხარ, ყველაფერი ისე როდია, როგორც გვინდა. განა თქვენთან უარესად არ არის?

– ჩონთან ღარიბი კაცი, ვიცის ღარიბი კაცია. მოჯამაგირე – ვიცის ვისი მოჯამაგირეა. აქ – არ ვიცის.

– ყველაფერი კარგად თამარ მეფის დროსაც არ ყოფილა. დღეს ასეა, ხვალ ისე იქნება. უკან ხომ არ მივდივართ.

– ყოლა იძახის, წინ მივდივარ. ძალიან დიდი ხანი წინ მივდივართ. – სულხანმა პირში ცერა თითი გამოისვა და ლაშას უჩვენა – თითი დიდხანს ლოკვა არ უყვარს, ცარიელი მაინც ცარიელი არის.

– კარგი ერთი, სულხან ბატონო. ამას ვინ დაგიჯერებს: მაშ, შენ ფერეიდანში იმიტომ ბრუნდები, რომ სასოფლო საბჭოს მდივანმა ვერ გაგიგო, ან ნოქარმა გაგაბრაზა? მე ხომ მაინც ვიცი, როგორი ყურადღებით გექცევიან, ერთს მივიდოდი რაიკომის მდივანთან და ლურსმანს კი არა, ჩიტის რძეს გაგიჩენდა.

– საქმეც მაგაში არი. რატომ უნდა შეწუხება რაიკომ მდივანი ლურსმანისთვის? ჩონი ფული მოგეცი, ფული მოგეცი არ არის? აქაურ მარტო ფული არ გყოფნის, იქავ, ფერეიდანში ფული თუ იშოვის მთელი მაღაზია შენთვის არი. აქავ ყველას არა; შენ სიაში არი, ის სიაში არ არი! ჩონი მაღაზიის ნოქარი ასე სწირამს.

– სულხან ბატონო, ცხოვრებანანახი კაცი ჩანხარ, ლურსმნის და ქანჩის შოვნის თვალით უყურებ ქვეყანას? ვინ დაგიჯერებს, რომ ფერეიდანში უკეთ ცხოვრობდით, ვიდრე აქ.

– მე არ გებნები უკეთესი. მე უთქვამს, იქაც ზოგი კარგი არი, აქაც ზოგი.

– აბა სხვა მხრიდან შევხედოთ; იქ შენი ფასი – როგორც კაცის და მოქალაქის რომ არაფერი იყო? გაგდებდა ვინმე რამედ? აქ შენს ხალხში, შენს ქვეყანაში ხარ.

– იქაც ჩემი ფასი მე ვიცოდის. მე ცხვარ-თიკანი ფასი ვიცოდის. კაცი არ იყიდების. აქავც კი თავისუფალი ხარ.

მაგრამ არ შეგატყვე შენ, თუ მელოდებოდი. მე სამასი წლის გარეკილი, თუ მელოდებოდი?

– როგორ არ გელოდით. დედა-სამშობლო ყოველთვის ელის ნებით თუ უნებლიეთ გადაკარგულ თავის შვილს. საქართველოს ახლაც სტკივა თავისი მოჭრილი ძუძუ – ფერეიდანი, თავის ხანძთა და შავშეთ-ერუშეთი.

ლაშამ იგრძნო, რომ პათეტიკურად გამოუვიდა, მაგრამ ახლა სიტყვების ძებნის თავი აღარ ჰქონდა.

– მერმე. ჩონ ჩამოვედის. აქავც კი მეზობელი თავისთავი არი, ჩონ ჩონთვინ. აბა შიში და რიდი ჩონთვის ირანიდან ჩამოსულ არნ? ე, იმ სახლში ქაზანაშვილებ სახლობან. იმი ბიჭს ჩემი გოგო მოეწონის. დედ-მამა: აპა, პა, პა როგორ იქნების რძალ სხვა რჯულ არ მაიყვანან: უამბობს: ჩონ სპარსელი ვართ, ჩონი წესები გვქონ. ვინ არის სხვა რჯული, მე სხვა რჯული?

– გაუბრაზებიხართ, სულხან ბატონო, შენი საქმისა შენ იცი, მაგრამ არც ერთი ეგ მიზეზი იმის საბუთად არ გამოდგება, შენ რომ გუდა-ნაბადი აიკრა და ისევ ფერეიდანს მიადგე, შაჰ-აბასს სწორედ ეგ უნდოდა.

– რაი უვნდოდა?

– რომ თქვენ სხვაგან ვერ გაგეძლოთ. ხომ ხედავ, მიუღწევია კიდეც თავისი მიზნისთვის. აბა ერთი წუთით წარმოიდგინე, როგორ ტიროდნენ ის შენი წინაპრები, შაჰ-აბასმა რომ აყარა და წინ გაირეკა. როგორ იკლავდნენ თაობები გულში შინ დაბრუნების სურვილს. რა სევდიანად ჩხაკუნობდა სამასი წლის განმავლობაში იმედის ფანდური, რომ ოდესმე მაინც ტყვედწასხმულის ნაგრამი თავის კერას დაუბრუნდებოდა. აი, თქვენ დაბრუნდით, რაღაც არ მოგეწონათ, ვიღაცამ გაწყენინათ და უკან მიდიხართ. რა პასუხს აძლევთ თქვენს შვილებს?

– ჩონ შვილებს ისე უნდათ, როგორც მამას, იმიტომაც ისინი ჩონი შვილები არიან.

– მაგრამ ის პატარა წინააღმდეგობანი, რაც შენ ჩამოთვალე, ხომ ადვილად გამოსწორდება? განა ვიღაც ბნელ ქაზანაშვილს რომ ჰგონია, ისეა საქმე? რომ იცოდე, როგორ გვიხარია და გვეამაყება ჩვენ, რომ ფერეიდნელი ხიზნების ერთი მცირე ნაწილი თავის ქვეყანას დაუბრუნდა. თქვენ

ხომ ყველაფერს ვერ ხედავთ. შეგნებული საქართველო წამდაუწუმ თქვენს ამბავს კითხულობს, ოჯახებში თქვენს სადღეგრძელოს სვამენ.

სულხანმა ჭილოფის ქუდი მოიხადა, იატაკზე ამოატრიალა და ქარმა არ გააფრიალოსო, ზედ ჩაქუჩი დაადო.

– დარო!

თითქოს ამ დაძახებას ელოდაო, წითელსაწმართულიანმა გოგომ დოქით წყალი და თიხის ჯამი ამოარბენინა, სტუმარს დაუსხა და დაელოდა, სანამ გამოცლიდა.

– გმადლობთ.

გოგომ ახლა სულხანს დაუსხა, დოქი ძირს დადო, მამამისს ჯამი ხელში შეატოვა და ტყაპატყუპით ჩაირბინა კიბე. ლაშამ ახლა მიაქცია ყურადღება, რომ დარეჯანს ფეხთ არ ეცვა.

აცას მთიდან სასიამოვნოდ დაუბერა. ხეები საღამოს იმ გრილჟრჟოლვით ააშრიალა, როგორც მარტო კახეთში იცის ხოლმე.

კარგა ხანს ჩუმად ისხდნენ.

ბოლოს მასპინძელმა ამოიღო ხმა.

– ლამაზ ლაპარაკ რაი ღირს? ცარიელი სიტყვა ჰაერს ემატება. ამ ლაპარაკის მეშინოდა, ჯეელო, ყველაფერს ვერ გეტყოდი, ვერ გაიგებს-მეთქი. ამიტომ მიზეზებ ხავსივით ვბღუჯავდი. ჭკვიან ყმაი ჩანხარ, კიდევ გითხრა რატომ მივდივარ? ჩონ შორის თუ დარჩება, გეტყვი.

ლაშამ ყბებს ხელისგულები ამოსდო და სმენად იქცა.

– ჩონ სანამ ჩამოვიდოდით, ტანზე ხორც ვიგლეჯდ სიხარულისგან. აბა, უფრო დიდი ბედნიერებაი რა იქნებოდა. ჩემი პაპა და მამა გურჯისტანზე ფიქრით, თვალცრემლიანი კვდებოდნენ. ჩონ ნატვრა აგვიხდა. ჩამავედით და ერთბაშად ყველაკაი გათავდა. ნატვრა გათავდა. ჩხუბის ფიქრი გათავდა. ადრიდ, თუ ჩუმად, შიშით ვასწავლიდით შვილთ ქართულ ასოებს, ახლა სკოლაში ძალით ასწავლიან. თითქოს საქმე დავკარგე, მე, სულხან მიქელაძემ აღარავის ვეომებ, აღარავის ვემალებ. აღარავის კბილის მატლად ვარ და ნაღველი მოვიდა. ნაღველი ფერეიდნის გამო. აქ დარჩენილების გამო. იმ ცრემლის გამო, რომელი ტკბილია. რაი არს კაცი უცრემ-

ლოდ? ის მოლოდინი თურმე ტკბილ იყო. ახლა სამშობლოში დავბრუნდი. ნატვრა გათავდა, მოლოდინი გათავდა. აი, ეს ამბავმა შემაშინა და შემაღონა.

– ვიცი, სულხან ბატონო. ნამდვილი მიზეზი აი, ეს არის, მაგრამ ვაჟკაცი ხარ, უნდა გაუძლო და უნდა აჯობო. ეს ნაღველი მალე გაივლის. და, შენს სიცოცხლეში კიდეც რომ არ გაიაროს, იყავი კიდევ ერთი მსხვერპლი იმ უგუნური აქტისა, პატარა ერების აყრად და გადასახლებად რომ მოუვათ ხოლმე თავში დიქტატორებს. შენ უფლება არა გაქვს შენს შთამომავალთ სამშობლო დაუკარგო. შვილებზე იფიქრე. არ შეიძლება საქართველოს უკეთესი დღეები არ მოელოდეს. საქართველო ამის ღირსია და ისტორიაა ამის თავდები. კარგად დაფიქრდი, შენს შვილიშვილებს საწყევლად არ დაუტოვო შენი სახელი. მე ეროვნულმა სიამაყემ და სირცხვილის გრძნობამ მომიყვანა შენთან, მაგრამ ჩემი სირცხვილი რა მოსატანია იმასთან შედარებით, შენ შენი გაბრუნებით რომ განუმზადებ შენს სახელს და კაცობას.

გვიან ღამით მთვარით განათებულ ბოძთან, რომელზეც ავტობუსის გაჩერების ნიშანი იყო გაკრული, საგარეო საქმეთა სამინისტროს უმცროსი რეფერენტი ლაშა ცარციძე მივიდა.

ყმაწვილს სოფლიდან ძაღლების ყეფა და ფუტკრის ლაშქარივით ადევნებული ფიქრები გამოჰყვა:

„დაიბნა კაცი. სწორედ ახლა სჭირდება სულკურთხეული რუსთაველი რომ იტყვის: „სასარგებლო საუბარი“, რომელიც მართლაც რომ მარტო სხვამ იცის და რომლის პასუხსაც შენს თავში, სოლომონ ბრძენიც რომ იყო, ვერ აღმოაჩენ.

ხომ არ ვიჩქარე. არამკითხე მოამბესავით ხომ არ მივადექი სულხან მიქელაძეს? რომ დამემშვიდობა, ცრემლი ედგა თვალებში. მაინც ვერ ვუთხარი, რაც მინდოდა, ვღელავდი, აშკარად ვღელავდი.

მაინც წავა? თუ წავა, მის სინდისზე იყოს“.

ფეხბურთელი

აფიშა არ იუწყებოდა, ვეტერანთა შეხვედრაში უშანგი ფილია მიიღებს მონაწილეობასო, მაგრამ მთელმა ქალაქმა იცოდა, რომ დღეს სტადიონზე ადგილობრივი დიქტორის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, ოცდაორწლიანი შესვენების შემდეგ კვლავ იხილავდნენ ერთ დროს სახელოვან ფეხბურთელს და იგი სწორედ მშობლიური ქალაქის – სანსკრიტიას საფეხბურთო ღირსებას დაიცავდა. უშანგი ჭომელი იყო. ათას ცხრაას სამოცდაერთ-სამოცდაორ წლებში, იმხანად „ბ“ კლასში მოასპარეზე სანსკრიტიას გუნდში (გუნდს „ჩიტია“ ერქვა) ცხრა ნომრად თამაშობდა. ორ სეზონზე მეტი არ დააცალეს, სტაცეს ხელი და დედაქალაქის გუნდში გადაიყვანეს. დედაქალაქში სამ წელიწადს სათადარიგო შემადგენლობას ამშვენებდა. ეს ბოლო სიტყვა არ წამომცდენია, მართლაც რომ ასე იყო. ყოჩაღი ცენტრალური თავდამსხმელის წყალობით დედაქალაქის გუნდ „ლატარიას“ სათადარიგო შემადგენლობა მესამე საპრიზო ადგილს არ ჩამოცილებია. ორი წლის მერე ძირითად შემადგენლობაში გადმორიცხეს უშანგი და ორი სეზონი ერთგულად იჯდა სათადარიგო სკამზე. იშვიათზე იშვიათად და ისიც თამაშის დასასრულს სამი წუთი რომ აკლდა, „ლატარიას“ გამხდარ-გაწლიკულ უფროს მწვრთნელს რაღაც განსაკუთრებული სტრატეგიული მოსაზრებით ფილია მოედანზე გამოჰყავდა. ეტლს ადევნებული ულაყივით ერთი ორჯერ გაიქც-გამოიქცეოდა წინ და უკან უშანგი და თამაშიც თავდებოდა. სანამ ხელისგულები და ნიკაპი ერთმანეთზე მიმეზრდებოდეს, უნდა გავასწრო აქედანო, თქვა ცხრა ნომერმა ერთ ღრუბლიან დღეს. თქვა და კიდეც შეასრულა. ორ კვირაში ქალაქ „ბოლშაია ზემლიას“ გუნდ „თეთრ დათვში“ ამოყო თავი. ახალ ასპარეზზე სიყვარულით მიიღეს ფილია. სავალდებულო სათადარიგო სამსახურის გაუვლე-

ლად პირდაპირ ძირითად შემადგენლობაში ჩააყენეს და მაშინაც კი არ ცვლიდნენ, არც თუ მსუბუქ ტრავმას რომ მიიღებდა და მოედნიდან ყელგაწვდილი ევედრებოდა უფროს მწვრთნელს ბალაბუევს – შემცვალეთო. არც „თეთრ დათვში“ გააჩერეს დიდხანს უშანგი; ცენტრალური საფეხბურთო საბჭოს გადაწყვეტილებით იგი ხბოსავით მოგლიჯეს უკვე შეწყობილ-შეთამაშებული გუნდის ძუძუს და უდიდესი სპორტული ტრადიციების მქონე მთავარ გუნდში – „მუჯლუგუნში“ გადაიყვანეს. ჯერ დაშინდა, მომიწევს, ალბათ, სათადარიგო სკამზე ყურყუტიო, მაგრამ მოტყუვდა. სამი წლის განმავლობაში ფილიას „მუჯლუგუნის“ ფეხბურთის გუნდის მთავარი ბომბარდირის მაისური არ გაუხდია. სპორტული ჟურნალისტები, როგორც მათი ნაწერებიდან ჩანდა, აღტაცებული იყვნენ უშანგი ფილიას ოსტატობით. რასაკვირველია „მუჯლუგუნელ“ ვარსკვლავს ჩვენს სტადიონზე „ლატარიას“ წინააღმდეგაც უწევდა თამაში. მშობლიურ სტადიონზე გამოსვლისას ფილიას ახსენდებოდა სათადარიგოზე გატარებული ორი მტანჯველი წელი და ენით აღუწერელი ბრწყინვალებით თამაშობდა „ლატარიას“ წინააღმდეგ. თითქოს და ამით ნიშნს უგებდა ადგილობრივი ფეხბურთის მესვეურებს და მაყურებელს: „ეს ვარ მე, რომ არ მაფასებდითო“. ბურთის გატანას რაც შეეხება, ცოდვას ვერ დავიდებ, ყოფილი მშობლიური გუნდის კარში უშანგი ფილიას ბურთი, ალბათ, პატრიოტული მოსაზრებით არ გაუტანია.

როცა ფილიას დიდებამ ზენიტს მიაღწია, „ლატარიის“ ხელმძღვანელებმა და განსაკუთრებით აქტიურმა გავლენიანმა გულშემატკივრებმა ფართოდ გაშალეს უშანგის გადმობირების მოძრაობა. ფარულმა მოლაპარაკებებმა, მაცდუნებელმა დაპირებამ, დანამუსებამ, დაფიცებამ ბოლოს, როგორც იქნა, გატეხა ცენტრალური თავდამსხმელის ნებისყოფა. ერთ მშვენიერ დღეს გაზეთებმა ქვეყანას აუწყეს: „სრულიად აუხსნელი მიზეზების გამო ფილია მომავალი სეზონიდან „ლატარიაში“ ითამაშებსო“. გავიდა ეს სეზონი და მოვიდა მომავალი სეზონი. მაყურებელი ამაოდ ელოდა სიმწრით გადმოქაჩული

ფეხბურთელის გამოსვლას მოედანზე, მაგრამ „ლატარიას“ უფროს მწვრთნელს ხომ თავისი აუხსნელი სტრატეგია და ტაქტიკა ჰქონდა. ფეხბურთის ჯადოქარი სათადარიგო სკამს მიაჯაჭვა. როდესაც მაყურებლებს მოთმინების ფიალა აევსოთ და სტადიონის სიახლოვეს დემონსტრაციების მსგავსი შეკრებები დაიწყეს, უფროსმა მწვრთნელმა პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებს განუცხადა: „მართალია, უშანგი ფილიამ ჩვენს გუნდში გადმოსვლა ინება, მაგრამ ჯერჯერობით ძირითად შემადგენლობაში ვერ ითამაშებს, გუნდის ხელმძღვანელობა (თავის თავს გულისხმობდა) ძიების პროცესშია, ამ სახელოვან ფეხბურთელს ალბათ მალე მოვუძებნით მოედანზე თავის ადგილს და ფუნქციასო“. კარგა ხანს ელოდა ფილია ფუნქციას, იხვეწებოდა, „შემიშვით მოედანზე, მე თვითონ ვიპოვი ჩემს ადგილსო“, მაგრამ უარს ეუბნებოდნენ. „ჩვენ ჩვენი სტრატეგია და ტაქტიკა გვაქვს, შენ რომ გინდა, ისე არაა საქმეო“. სამი წლის შემდეგ (ახ, ეს სამ-სამი წელი) ილაჯგაწყვეტილმა ფილიამ უფროს მწვრთნელს ასატანზე უფრო მკაცრი, უხეში სიტყვები აკადრა და ადგილობრივ სპორტულ გაზეთში მის უღირს საქციელზე დაბეჭდილი ფელეტონით და ფეხბურთის ფედერაციის მკაცრი გადაწყვეტილებით (რაც გუნდიდან განდევნას ითვალისწინებდა) დაამთავრა თავისი საფეხბურთო კარიერა.

ყოფილ ფეხბურთელთა უმეტესობა სპორტული ცხოვრების დამთავრების შემდეგ, მოგეხსენებათ, სავაჭრო-კომერციულ საქმიანობას იწყებს. ფილიასაც იქეთ გაუწია გულმა. ორიოდე გროშს დავაგროვებ და ხელმოკლე ფეხბურთელთა დასახმარებლად რამე საქველმოქმედო უწყებას შევქმნიო. ცარიელ ბოთლთა მიმღები საქალაქო ტრესტის უფროს საქონელმცოდნედ დანიშნეს, მაგრამ ვერც იქ მოათია ხანი. წელიწადნახევარში გაანთავისუფლეს. სარევიზიო აქტში ეწერა: ტრესტის უფროს საქონელმცოდნეს ადმინისტრაციული სასჯელი უნდა დაედოს სიფხიზლის მოდუნებისათვისო. ამ საბაბით გაანთავისუფლეს უშანგი. მიზეზი კი, რასაკვირველია, ის იყო, რომ უშანგის ადგილას სხვა კაცის დანიშვნა სურდათ

და როცა ასეთი საპატიო მიზეზი არსებობს, საბაბს, დღე ერთია და ცხრას მაინც გიპოვნიან. „ვაჭრობაში მე არ გამახარებენო“, – თქვა მაშინ ფილიამ და გამდიდრების მაცდუნებელი მიზანიც სამუდამოდ ამოიგდო გულიდან. ცოტა ხანს უსამსახუროდ იარა, მერე კი ფოლკლორულ საზოგადოება „ლექსო ამოგთქომ ოხეროში“ დაიწყო მუშაობა უფროს რეფერენტად. დღემდე იქ მუშაობს. მართალია ეკონომიურად ვერ მომძლავრდა და ამ მხრივ არც მომავლის დიდი იმედი აქვს, მაგრამ მაინც ძალიან მოსწონს თავის სამსახური. მივლინებებში ხშირად დადის. ახალ ნაცნობ-მეგობრებს იძენს. სახალხო მთქმელებმა წერა ვერ იციან (კიდეც იმიტომ არიან სახალხო მთქმელები), თორემ სხვა მხრივ დიდებული, სტუმართმოყვარე ხალხია და მათ წრეში უშანგი თავს ლაღად გრძნობს. ამ ხნის განმავლობაში გალაკტიონის სამი და გოგლას ერთი ლექსი ზეპირად ისწავლა. ამ ლექსებს დრამწრის რიგითი წევრის არტისტიზმით წარმოთქვამს ხოლმე სათანადო სადღეგრძელოებთან დაკავშირებით და, ვერ დავუმალავ, ეფექტსაც გვარიანს ახდენს სუფრის აღტკინებულ წევრებზე. ერთი რამ, რაც დიდი სპორტიდან წასვლის შემდეგ ვერ ამოიღო გულიდან, ეს გახლავთ ფეხბურთის უნაპირო სიყვარული. ბუნებრივიცაა, ყოფილი ფეხბურთელები ხომ სიკვდილამდე რჩებიან ცეცხლოვან გულშემატკივრებად, ძვირფასო მკითხველო.

ოთხაშაბათს (დღეს კვირაა) სანსკრიტიაში მივლინებით ჩამოვიდა უშანგი ფილია. დედაქალაქის ღია საკონცერტო ე. წ. „მწვანე დარბაზში“ გასამართავი დიდი ფოლკლორული საღამოსათვის სამი სახალხო მთქმელის შერჩევა აქვს დავალებული. მშობლიურ ქალაქში იშვიათად უწევს ხოლმე ჩამოსვლა თავისი სამსახურეობრივი სპეციფიკის გამო. მოგეხსენებათ, სახალხო მთქმელები საცხოვრებლად უფრო მაღალმთიან რაიონებს და მიტოვებულ-აღორძინებულ სოფლებს ეტანებიან. ფეხბურთის ყოფილი ვარსკვლავის, ერთ დროს „სათაფლიის პანტერად“ წოდებული უშანგის ჩამოსვლა, რა თქმა უნდა, არ გამოჰპარვია სახელოვან სტუმრებზე

მონადირე ფხიზელ თვალს და აი შედეგიც: დღეს, სანსკრიტიას „ჩიტიას“ და კვაწაფონის „ფეროს“ ვეტერან ფეხბურთელთა გუნდების ამხანაგურ შეხვედრაში ცხრა ნომრად ითამაშებს უშანგი ფილია, რომელსაც „ლატარიას“ მწვრთნელებთან საბედისწერო შეჯახების შემდეგ აგერ ა, ოცდამესამე წელი იწურება ბურთისთვის ფეხი არ დაურტყამს.

უშანგისათვის ამ ნაბიჯის გადადგმევინება, უფრო ნათლად რომ ვთქვათ, ფეხბურთის სათამაშოდ მისი დაყოლიება, იოლი როდი აღმოჩნდა. გუშინ დილით სასტუმრო „სანსკრიტიაში“, თავის მოკრძალებულფასიან ნომერში იწვა ფილია და სიზმრისა და ცხადის ზღვარზე იყო. ეს ის მდგომარეობა გახლავთ, როცა არც აქეთ ხარ მთლიანად და არც გაღმა, სიზმრების სამყაროში. განსაკუთრებით ნაბახუსევზე ეუფლება კაცს ამგვარი განწყობილება. საერთოდ უშანგი იმ უიშვიათეს გამონაკლისთა რიცხვს ეკუთვნოდა, სიზმრის გაგრძელება რომ შეუძლიათ. ამგვარ მოქალაქეებს თუ გაუთვალისწინებელი შემთხვევის გამო (ტელეფონი, დაკაკუნება, მუხრუჭების ღრჭიალი ქუჩაში) სიზმარი გაუწყდათ, შებრუნდებიან კედლის მხარეს, კვლავ ძილს მისცემენ თავს და იმ გაწყვეტილ სიზმარსაც მშვენივრად გამოიწვევენ, ვინ იცის, არანაკლებ მძაფრი ფინალით, ვიდრე თავიდან იყო დაგეგმილი.

– მობრძანდით, – უპასუხა ფილიამ პირველსავე დაკაკუნებას.

კარებში მაღალი, ზებრისვიტრიანი, ულვაშგაპარსული, გამხდარი კაცი გამოჩნდა. მარჯვენაგაშვერილმა მიირბინა უშანგის საწოლთან, ხელი ღონივრად ჩამოართვა და მოწიწებით აღსავსე ღიმილით აუწყა.

– ბერაძე.

– გისიმენთ, დაბრძანდით, ბოდიშს ვიხდი, ასე რომ გხვდებით. წუხელის ნათესავებში გახლდით მწვანეყვავილაზე და ვერ წამოვწიე თავი ამ დილით, – ხვნეშით, სვენებ-სვენებით მიუგო ფილიამ და თან ცდილდობდა ამოეცნო, რა საქმეზე შეწუხებულიყო ამ სისხამ დილით ეს დარბაისელი კაცი.

– რავა გეკადრებათ, მე გიხდით, ბატონო, ათას ბოდიშს

შეწუხებისთვის. ისე შეცვლილი... მაინცდამაინც... – „სულ არ შეცვლილხართო“ ვერ გაბედა სტუმარმა და რაღაც ამის მსგავსი წაილუღლუღა.

– როგორ გეკადრებათ, – სიტყვა წაართვა ყოფილმა ფეხბურთელმა, – კაი ნაპატივები ბეჰემოთის წონას არაფერი მიკლია, ეს ოხერი და მუდრეგი. მეტი შეცვლა რაღა იქნება, ფაბრიკის საროჩკა ყელზე არ მწვდება და სკამზე თუ არ შემოვდგი ფეხი, თასმებს ვერ ვიკრავ.

– ისე ჯანზე ხომ კარგად, უშანგი ბატონო? – სევდა გაურია კითხვაში ბერაძემ.

– ვნატრობ ისეთი ავადმყოფობა დამემართებოდეს, ჭამის მადას დავკარგავდე, ეგებ დავიკლო ცოტა, – ფილიამ გაიფიქრა, „ნამეტანი ხომ არ შევაცოდე თავი, ბოლოს და ბოლოს პატივცემული მოქალაქე აქ ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობის გასარკვევად რომ არ იქნება მოსული, ფაქტიაო“.

– თქვენს იქით გზა არა გვაქვს, ბატონო უშანგი, – სიჩუმე დაარღვია ბერაძემ.

– ?!

– შეხვედრა გვაქვს ხვალ და უნდა გვიშველოთ.

– უსაშველო ღმერთმა ნუ დაგმართოთ, – დაამშვიდა ფილიამ, – თქვენი ხმალი და ჩემი კისერი. რომელ საათზე დანიშნეთ?

– ექვსზეა, აფიშები გამოკრულია. თქვენ უნდა იყოთ შეხვედრის სული და გული, - სიხარულის ცრემლი მოერია თვალში ბერაძეს.

– კი, ბატონო.

– აგაშენათ ღმერთმა, – ბერაძე წამოხტა და კიდევ ერთხელ ჩამოართვა ხელი, – გითხრათ სიმართლე, მოწვევა ვერ გაგიბედეთ, უთქვენოდ დავნიშნეთ შეხვედრა, რა დასამალია. ნუ შეაწუხებთ, არ გამოვაო, კაკუჭაძემ. ახლა თქვენი ჩამოსვლა რომ გავიგეთ, ფრთები შეგვესხა. სულ სხვა ეშხი და ლაზათი ექნება შეხვედრას.

– ლაზათზე რა მოგახსენოთ, მე თვითონ ლექსებს არ ვკითხულობ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მე თვითონ

არაფერს ვწერ. შესავალ სიტყვას ვიტყვი პატარას, ხალხური პოეზიის მნიშვნელობაზე ვილაპარაკებ საერთოდ, გამომსვლელი რამდენია?

ბერაძეს დაბნეულობისაგან ლამის ყბა მოეღრიცა.

– რაის გამომსვლელი, ბატონო?

– ლექსს რამდენი წაიკითხავს-მეთქი.

– რაის ლექსს, ბატონო?

– სახალხო მთქმელი რამდენი გამოვა?

– რაის მთქმელი, ბატონო უშანგი, მე სპორტკომიტეტიდან ვარ, ბერაძე. ვეტერანთა შეხვედრა გვაქვს ხვალ ფეხბურთში და ამ საკითხზე შეგაწუხეთ.

– რაში?

– ფეხბურთში.

უშანგიმ გადიხარხარა, იმგვარი სულთქმაწყვეტიანი სიცილით, როგორც მსუქანი მამაკაცები ხითხითებენ, ძვირფასო მკითხველო.

– არა, შემოგევლე. მსაჯობა შემიძლია მეე? სტადიონზე კი არა, ფაჩუჩებით ძლივს დავდივარ ოთახში.

– არ დაგვღუპოთ, უარი არ გვითხრათ, – ყელთან ორი თითი მიიტანა ბერაძემ და ადამის ვაშლს ვაგლახად წიწკნა დაუწყო.

– მსაჯობა, ბატონო, ასე კი არაა. ხომ უნდა გაიქცგამოიქცე. ტაბურეტზე ვინ დაგსვამს. სტადიონის საგლახაოდ გავიხდი თავს? არ გამოვა ეგ საქმე. – ცივ უარზე დადგა ყოფილი ფეხბურთელი.

– მსაჯობა კი არა, ცხრა ნომრად თამაში უნდა გთხოვოთ. ვეტერანთა შეხვედრაა. კვაწაფონის „ფეროს“ ვხვდებით, ბოლოს ბანკეტი გვაქვს დანიშნული! – სხაპასხუპით მიაყარა ერთმანეთს სიმწრისგან სულშეგუბებულმა ბერაძემ და კარისკენ გაიხედა, ვინიცობაა, აღელდეს, კარში მაინც გავასწროვო.

მკითხველს აღარ გადავღლი ბერაძესა და ფილიას ცხარე საუბრის გაგრძელებით. დავსძენ მხოლოდ, რომ დიალოგი ხანმოკლე შესვენებებით სამ საათს გაგრძელდა, ხოლო თუ ლაპარაკით ამოღებული ხმლის ჩაგებინება და დათანხმება-

დაყოლიება ვინმესი შეიძლება, უპირველესად იმერელი კაცისა შეიძლება.

მეორე დღეს დილიდანვე სცრიდა, მაგრამ მცირე სადილობისას ცა გადაისარკა, მაისის თბილმა, კაშკაშა მზემ გამოანათა და სტადიონს ორთქლი აადინა.

„ჩიტიას“ უფროსი მწვრთნელი ბერაძე ზესტაფონელ ფეხბურთელთა ყვითელ ავტობუსს სტადიონის ეზოში შეეგება. „ფეროს“ ვეტერანები, თმაშეთხელებული ბზიკის ნაკბენივით კისერდასიებული, „ადიდასის“ სპორტულ პიჟამებში ძლივს ჩატენილი ტანმძიმე ბიჭები ერთმანეთის ბეჭებზე ხელების ხათქა-ხუთქითა და სიცილ-ქილიკით ჩამოლაგდნენ ავტობუსიდან.

ბერაძემ საათს დახედა, ხუთს აღარაფერი აკლდა.

– სად ხართ აქამდე? გამომიღამდა თვალები. ვარჯიში მაინც არ გინდოდათ? – ხელის ჩამორთმევისთანავე ჰკითხა „ფეროს“ გუნდის ხელმძღვანელს, ამჟამად სახელოვან მყნობელს სეხნია გრიგალაშვილს.

– კაი, თუ ძმა ხარ. ვარჯიში და მოთელვა კი არა, ენაგადმოგდებული დავრბივარ დილიდან. ძლივს შევკრიბე ეს თერთმეტი კაცი. თავიდან ყველა თანახმა იყო, საქმე საქმეზე რომ მიდგა, სათითაოდ გამიხდა სახვეწარი. ახლა ფორმა? არც ბუცებში ჩეეტიენ ეს მამაცხონებულები და არც ჩინურ ტაპოჩკებში. რვა კილო დაფხრეწილი ტრუსიკ-მაისური უკან უნდა ჩავაბარო ხვალ საწყობს. – გრიგალაშვილის ნათქვამში წუხილის გარდა სხვა არაფერი ერია, თუმცა ამბავი, რა ჩემი ახსნა უნდა, ერთობ სასაცილო იყო.

– ფორმის ამბავი არ მითხრა. მაგან არ მომკლა? ფილია უმაისუროდ მყავს. ვერაფერი შემოვაწვდინეთ მუცელზე. ქელბაქიანი დამპირდა, სახლში უნდა მეგდოს ძველი მაისურიო (მაგი ხომ კალათბურთს თამაშობდა ადრე), თუ არ მომიტანა, რა ქვა გავხეთქო, არც ვიცი, – სიცილისგან ტუჩებს ძლივს უყრიდა თავს ბერაძე.

– რავა? მართლა უშანგი გამოგყავთ, კაცო? – ყურები ჩამოყარა სეხნიამ.

– აპა. ჩამოსული იყო სამსახურის საქმეზე და შევაბი ეჟვანი.

– გადაირიე? ჩვენი გაპამპულება გინდა? ფილიას დამჭერია ჩემი ბებრები? კისერს ვერ აბრუნებს ვერც ერთი.

– კაი ერთი, თუ ძმა ხარ: უშანგი რომ გინახავს, ის გგონია შეენ? ორასი კილო ხორცი ასხია ტანზე აბჯარივით. მე მგონი თავისი ფეხის თითები ერთი ხანია არ უნახავს. რისი მთამაშებელია. ისე მინდა, სახელად იყოს, ხალხს გაეხარდება.

– ფილია, ფილიაა მაინც, – ეჭვით გახედა ბერაძეს კვაწაფონის წარმომადგენელმა.

– შენ მაგის დარდი ნუ გაქვს. ეგ კი არა, რა უთხარი, იცი, შენს ბიჭებს? ფრთხილად ეთამაშონ ფილიას, არაფერი მოწიონ, არ ჩაგვბარდეს ხელში ეს კაცი. ერთი რომ ვინმემ ფეხი დაუდოს, დაიშლება ნაწილ-ნაწილად. პატივი სცენ ცოტა, ნუ ჩოუხტებიან ფეხებში. მართალია, ბევრი ვერაფერი გააკეთა, თავის დროზე, ჩვენი გუნდისთვის, მარა ხალხს უყვარს მაინც, რაც არ უნდა იყოს.

– არ გინდა ლაპარაკი, – კეფა მოიქექა გრიგალაშვილმა, – ისე... რავა ვქნათ, საერთოდ არ შევთანხმდეთ? საცირკოდ და საგაზეთოდ საქმეს ნუ გავიხდით. ფრედ დავამთავროთ და ის იქნება.

– კი ბატონო, რავარც შენ იტყვი, – უნდა გავამხილო, ბერაძემ აშკარად იცუღლუტა; მას სასტიკად ჰყავდა გაფრთხილებული თავისი „ვეფხვები“: თავი მოიკალით და „ფეროს“ მოუგეთ, სირცხვილია. სანსკრიტია უდიდესი სპორტული წარსულის მქონე, სამი ათას ხუთას ორმოცდარვა წლის ქალაქია და, ფრეს შემთხვევაშიც კი, თავი მოგვეჭრებაო.

– გასახდელი იქაა, ისევ, ქვევით? – დასაქმიანდა სეხნია. ყურთან მიუტანა ტუჩები ბერაძეს და უჩურჩულა – ბოცები სად დავალაგოთ?

– რა ბოცები?

– ღვინო წამევიღეთ, ცოტა.

– შენ რა გითხრა მე. კვაწაფონის ღვინოს დაგალევინებთ აქანა? ბაღდადური ძველშავი გვაქვს, კუმპალ-კუმპალ დაწურული. იყოს ჯერ მანქანაში, მერე მოვუნახავთ გზას.

თამაშის დაწყებას ნახევარი საათიც აღარ უკლდა, ცა რომ ერთბაშად განაცრისფრდა და ხვამლის მთიდან სანსკრიტიას იმგვარი დელგმა-მერეხი დააცხრა, რომ სტადიონის ახალ-ამოწვერილი მწვანე ბალახი აყალოსფრად მოფარა და ტრიბუნები მეხანძრის ნაკადით გადარეცხილს დაამსგავსა.

წვიმა დიდხანს არ გაგრძელებულა. ერთი ღონივრად წამოუშინა, წყალად ჩამოხეთ-ჩამოეწურა აქაურობას, ძველი ჭანჭყობიდან ბაყაყები და თავკომბალები ამოყარა, ბოსტნები მითელ-მოთელა და გადაიღო.

– არ გინდა ახლა ამ ზუნზრუხოში ტოტყიალი? – ჩაიკვნესა სტადიონის დირექტორის კაბინეტის სარკმელს მიმდგარმა ფილიამ და ტრიბუნებზე აქა-იქ ყვავებივით ჩამომსხდარ, ქოლგებს შეყუჟულ მაყურებლებს მოწყენილად გახედა.

ექვსისთვის ისევ გამოანათა მზემ და, მართალია, ჭოჭყოდამდგარი სტადიონი ვეღარ მოაშრო, მაგრამ იმდენი კი მოახერხა, რომ დამფრთხალი მაყურებელი მოაბრუნა. საწვიმრებითა და ქოლგებით შეიარაღებულმა სანკრიტიელმა მოქალაქეებმა ენერგიულად იწყეს დენა სტადიონის ეზოში. ლურჯი ტრიბუნები თანდათანობით გადაშავდა.

თამაში სულ რაღაც ოცი წუთის დაგვიანებით დაიწყო.

ორთაბრძოლა ნელი ტემპით წარიმართა. ერთმანეთის ძალების მოსინჯვის სტრატეგიული ეშმაკობის გამო კი არა, უბრალოდ, ვეტერანებს ჩქარი სირბილი არ შეეძლოთ, ყველაზე გამხდარი და ცქვიტი სტადიონზე მსაჯი დავით იაკობაშვილი გახლდათ. იგი, მიმძიმს ამ სტრიქონების წერა, მაგრამ ყველაზე სწრაფადაც დარბოდა. გაიქცეოდა, გაასწრებდა გარღვევაზე გასულ ფეხბურთელს და სანამ ეს უკანასკნელი საჯარიმო მოედნამდე ბურთს მიაჩოჩიალებდა, მსაჯი ფეხებგაფარჩხული, მუხლებზე ხელებდაწყობილი და პირში სასტვენგაჩრილი იდგა და ელოდებოდა. იაკობაშვილმა სანსკრიტიელები უხეში თამაშისათვის მესამედ რომ დააჯარიმა, „ფეროს“ ფეხბურთელნი დარწმუნდნენ, რომ მსაჯი მოსყიდული არ იყო და ეს ვეტერანთა შეხვედრისთვის ბევრს ნიშნავდა.

პირველ ათ წუთს კიდევ გაარჩევდა მაყურებელი მაისურების ფერით ერთმანეთისაგან მოასპარეზე ფეხბურთელებს, მერე კი ყველანი ისე ამოიგანგლნენ ტალახში, რომ ტლაპოში ნაბუღრავებ გოჭებს დაემსგავსნენ და მაყურებლები კი არა, მე მგონი, თვითონაც ველარ არჩევდნენ ერთმანეთს.

მთელს მოედანზე ყველაზე დინჯი (თუ ფეხბურთელისთვის სიდინჯე ღირსებაა) მაინც უშანგი ფილია ჩანდა. ბურთს რომ გაიგდებდა (ეს სულ ორჯერ მოხდა პირველი ტაიმის მანძილზე) უშანგი ჩქარი ნაბიჯით მიყვებოდა უკან და მარცხენა გარემარბს ეძახდა, „შემოდი, შემოდიო“. მარცხენა გარემარბი ხლიწინ-ხლიწინით შემოვარდებოდა კარის გასწვრივ, მაგრამ ბურთს ვერ აწვდიდნენ იმ სერიოზული მიზეზის გამო, რომ ფილია თანაბარაჩქარებული ნაბიჯით ბურთს ვერ ეწეოდა. ბურთი კი ისეთი ვერაგი რამ არის, დაცდით არ დაგიცდის.

ტალახში თამაშის დიდი გამოცდილება არც კვაწაფონელებს ჰქონდათ, მაგრამ პირველი ბურთი მაინც მათ გაიტანეს. ოცდამეცხრამეტე წუთზე სანკრისტიელმა მცველმა კარგად დამბალი ბურთი თავის მეკარეს მიაწოდა, ბურთი ზედ კარის ხაზზე ტალახიან გუბეში დაეცა, დატრიალდა და შეჩერდა. სანამ მეკარე მიწვდებოდა, უეცრად, სად იყო სად არა „ფეროს“ თავდამსხმელი გამოქანდა და ტალახზე საჯდომით გამოსრიალდა. ფეხებგაშვერილი სრიალით მიწვდა ბურთს და კარში ტალახიან-ბურთიანად შესრიალდა. სანსკრიტიელმა მაყურებელმა ამოიგმინა. ტაში კი, „ფეროს“ გულშემატკივრებს ობიექტურობა როგორ დავუკარგო, ტრიბუნებსშეხიზნულ თითოოროლა ქვაწაფონელ მაყურებლებსაც არ დაუკრავთ; იმდენად არასპორტულ სიტუაციაში იქნა ბურთი გატანილი. საერთოდაც კვაწაფონელთა უპირატესობა აშკარა იყო.

ორივე გუნდის ფეხბურთელები ფილიას მოწიწებითა და მოკრძალებით ეთამაშებოდნენ. თავისიანები რომ იტყვიან, „დაღეჭილ ბურთს“ გაუგორებდნენ ხანდახან წინ, ბურთს მიმართულების შეცვლაღა სჭირდებოდა, მაგრამ ცხრა ნომერი მხოლოდ თვალს გააყოლებდა წინ ჩავლილ ბურთს და სევდიანად ამოიოხრებდა. კვაწაფონელები მალევე დარწმუნდნენ,

რომ „სათაფლიელი პანტერა“ მათთვის საშიშროებას აღარ წარმოადგენდა და სათოფეზეც აღარ ეკარებოდნენ. მსაჯმა რამდენჯერმე აღნიშნა კვაწაფონელთა კართან ნაღვლის ბუშტის სიახლოვეს მუცელზე ხელმიდებულად მოსეირნე ფილიას თამაშგარე მდგომარეობა, მაგრამ მერე თავი მიანება.

– გამომცვალე, ხომ მხედავ, რა დღეში ვარ, – მიახალა პირველი ტაიმის დამთავრებისთანავე აქოშინებულმა უშანგიმ ბერაძეს, მაგრამ მწვრთნელმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა – „გასძელით როგორმე, ბატონო უშანგი, თქვენს ყოფნას მოედანზე სხვა ფასი აქვსო“. შეიძლებოდა შეეცვალა ფერდაკრული მძიმე წონის ცხრა ნომერი ბერაძეს, მაგრამ სათადარიგოდ არავინ ჰყავდა.

შესვენებაზე მოგების იმედდაკარგულმა ბერაძემ გრიგალაშვილი გამოიხმო.

– რას შვრებით, გვიგებთ? – შეშფოთებული ხმით ჰკითხა.

– არა გეკადრებათ? – დაამშვიდა სეხნიამ.

– ახლა ერთი უნდა ვქნათ, ჩვენი ფილია, ბოლოს და ბოლოს, სტუმარი კაცია, ფილია, რამდენი ხანია, სანსკრიტიაში არ ყოფილა. მეტს რა პატივს ვცემთ ჩვენ მაგას; ბურთი უნდა გავატანინოთ. დააფიცე შენს ბიჭებს, თუ კაცი ხარ.

– კი, ბატონო. არ უნდა თქმა, ისედაც იციან.

– შენ მაინც შენი უთხარი. ჩვენებს მე გავაფრთხილებ.

– კაი დაგემართოს, მაგი კაი ამბავია. ე ბოცები? – კიდევ ერთხელ ჰკითხა გრიგალაშვილმა.

– იყოს ჯერ მანქანაში.

მეორე ტამში მსაჯმა ფეხბურთელებს რომ უხმო, ვეტერანები საეჭვოდ მიიკვანწებოდნენ ათხრილ-აბურღულ სტადიონზე. ამგვარი, ესთეტიკურად ცოტა არ იყოს, უხერხული სიარულის მიზეზი ის გახლდათ, რომ ტალახი ტანზე შემოხმობოდათ და ნაბიჯის თავისუფლად წადგმაში ხელს უშლიდა.

ფილია „ფეროს“ მეკარესთან ახლომახლო დადიოდა. აშკარა იყო მას ბურთის გატანის იმედი ჯერ საბოლოოდ არ ამოეღო გულიდან. ეს იქიდან ჩანდა, რომ ცალი თვალი სულ მეკარისკენ ეჭირა, იქნებ ბურთი შემთხვევით გაუვარდეს ხელი-

დანო. გარდა ამისა, სანამ მეკარე გულზე ახუტებულ ბურთს „თამაშში შეიყვანდა“, უშანგი წინ აესვეტებოდა და მორკინალი ვაცივით გაჰყვებ-გამოჰყვებოდა. პირველ ნომერს კარგად ჰქონდა დამუშავებული აბეზარი თავდამსხმელის მოცილების ტექნიკა. ჯერ მარჯვნივ გაიშვერდა ორივე ხელით ბურთს, მერე უეცრად მარცხნივ გამოსხლტებოდა. ცოტას გაირბენდა და ღონივრად დაარტყამდა მოედნის შუაგულისკენ. ფილია, აქაოდა მე ჩემი ხომ ვცადეო, უკანსვლით და დაღვრემილი სახით კვლავ თავის ძველ ადგილს უბრუნდებოდა.

დრო ჩვეულებრივზე უფრო ჩქარა გარბოდა.

ბერაძე ნერვიულობდა, მიუხედავად ორივე გუნდის აშკარა მცდელობისა, ფილიას ბურთი ვერ გაჰქონდა.

ჯერ იყო და მეკარის პირისპირ დატოვეს, მეკარის მოედანზე შეუგორეს ბურთი. ირგვლივ ოცდაათ მეტროში მოწინააღმდეგის თავდამსხმელი არ ჭაჭანებდა. ცოდვას ვერ დავიდებ, უშანგის ცდა არ დაუკლია, ბურთისკენ მუშტებშეკუმშული წავიდა, ჩანაფიქრიც მშვენიერი ჰქონდა, მეკარეს თავზე გადავუგდებო, მაგრამ ფეხი დაუცურდა და წაიქცა, ბურთიდან რაღაც ერთ მეტროში იფიქრა, წაქცეული მივწვდებიო და ტალახში ჰორიზონტალურად გაიქნია ფეხი, მაგრამ ვერ მიწვდა.

მეორედ, „ფეროს“ მარცხენა მცველმა „ვითომ შემეშალაო“, მიაწოდა ბურთი ფილიას. მეკარე წინ იყო გამოსული და კარი კარგა ხანს ცარიელი იყო. ფილია შემობრუნდა და ბურთს ფეხი მოუქნია, მაგრამ ააცილა. მეორე შემობრუნებისას დაარტყა, მაგრამ ამასობაში კარში ჩამდგარ მეკარეს მუცელზე მოახვედრა.

„ფეროს“ მარჯვენა მცველმა მეკარესთან მიირბინა და რაღაც უჩურჩულა. მეკარემ თავი დაუქნია. ათიოდე წუთის შემდეგ კვლავ გაჩნდა ბურთი უშანგის წინ. „არ იჩქარო!“ – დაუძახა ვიღაცამ. ფილიას დიდი სურვილიც რომ ჰქონოდა, მაინც ვერ იჩქარებდა. დინჯად მივიდა ბურთთან, მეკარემ, აქაოდა რამე არ დამბრალდესო, კარი მიატოვა და გაიქცა. ფილიამ გაქცეულ მეკარეს გახედა, ყველაფერს მიხვდა, მაგრამ მაინც მოუქნია ბურთს ფეხი და უკან, ტალახში ჩაჯდა. მაყურებლის რეაქციაზე მიხვდა, რომ ცარიელ კარს ბურთი ააცილა.

ოთხზე წამომდგარმა ელექტროსაათის ტაბლოს შეხედა. წამოიმართა, ძუნძულით მივიდა დასავლეთის ტრიბუნასთან და გრძელ სკამზე ჩამომსხდართ შესძახა:

– ბერაძე არ არის მანდ, სადმე?!

– აქ ვარ! – წამოდგა ბერაძე და მისკენ წამოვიდა.

– გამომცვალე, მე შენ გელაპარაკები! – კატეგორიულად, ცოტა არ იყოს დამუქრებითაც უთხრა უფროს მწვრთნელს ფილიამ.

– არ მყავს არავინ! გაძელი, რაღა დარჩა, უშანგი ბატონო, თავის ყრონტს გაუსვა ხელი ბერაძემ.

უშანგიმ რაღაც ჩაიბუტბუტა და მოედანზე შემობრუნდა.

თამაშის დამთავრებას წუთნახევარი რომ აკლდა, „ფეროს“ კაპიტანმა აშკარად ხელოვნურად, საჯარიმო მოედანზე ბურთი ხელით დაიჭირა და კარგა ხანს ეჭირა.

პენალტის დარტყმა დიდი ხვეწნა-მუდარით უშანგი ფილიას აჰკიდეს.

უშანგიმ ბურთი გაასწორა, გამოიქცა და დაარტყა, მაგრამ ჩანს, ბუცი შუაში ვერ უსწორა, ბურთმა კარამდე ვერ მიაღწია. მარჯვნივ გაგორდა და მეკარის საჯარიმოზე ტალახში დაბზრიალდა. კარამდე კიდეც რომ მიეღწია, ბურთი მარჯვნივ, შვიდი მეტროთი მაინც აცდებოდა კარს. მეკარეს რა ექნა, იგი ძელსმიყრდნობილი შესცქეროდა ამ სურათს და ყველაფრიდან ჩანდა, რომ ბურთის აღებას, სწორად დარტყმის შემთხვევაში, არ აპირებდა.

...გასახდელიდან ყველაზე ბოლოს უშანგი ფილია გამოვიდა. გაიარა მან ომგადახდილი, დამარცხებული ფელდმარშალივით კედელთან გამწკრივებულ ვეტერან ფეხბურთელთა დერეფანი, ტალახიანი სპორტული ფორმა ვიღაცას შეაჩეჩა და ის იყო კარს უნდა მისწოლოდა, რომ ბერაძე წინ გადაუდგა და შეხვედრის აღსანიშნავ საღამოზე წამოსვლა სთხოვა.

– გადაშენდი იქით! – კბილებში გამოსცრა ყოფილმა ცხრა ნომერმა, განზე გაიხედა და ნინოშვილის ქუჩისკენ გააბიჯა.

კვალი

კომისიის სხდომა შუაღამისას დამთავრდა.

არქივარიუსი ვახტანგ გორგაძე მოსასხამის ღილებს ქუჩაში იკრავდა და სხდომიდან გამოყოლილ სიტყვებს იმეორებდა: „ჩემგან გათავისუფლებთ, მე აღარ მოვალ. თქვენ სიმართლე არ გაინტერესებთ. დროის გაყვანის პოლიტიკაა ეს. წყლის ნაყვაა და მეტი არაფერი“.

მეტროს სადგურამდე არც იყო მისული, რომ მის წინ შავი ვოლგა გაჩერდა. კომისიის თავმჯდომარემ ელეფთერ ციბაძემ კარი გამოაღო.

– ვახტანგ, მოდი.

– არა, ბატონო, მადლობელი ვარ.

– მოდი, კაცო, ჩქარა. აქ გაჩერება არ შეიძლება.

– გმადლობთ, არ მინდა. ფეხით გავივლი.

– ნუ იცი ხოლმე ბავშვივით გაბუტვა. მოდი, სალაპარაკო მაქვს.

ვახტანგმა მიიხედ-მოიხედა და უხალისოდ ჩაჯდა მანქანაში.

– მე ბოდიშს ვიხდი, კი აღარ მახსომს, სადა ცხოვრობ?

– გლდანში.

– სადა? – ყურს ხელი მიახმარა ელეფთერმა.

– გლდანში. მეტროთი წავიდოდი, გზას გაგიმრუდებთ.

– არა უშავს. გლდანში – გადაულაპარაკა მძღოლს და ისევ არქივარიუსს მიუბრუნდა – რა ქუჩაა ეგა, შემახსენე.

– ბიძინა ჩოლოყაშვილის.

– ჩოლოყაშვილის? ყოჩაღ, არის ეგეთი ქუჩა?

– რა, არ უნდა იყოს?

– როგორ არ უნდა იყოს. აქამდეც უნდა ყოფილიყო. ვისი სახელი აღარ ჰქვია ჩვენს ქუჩებსა და ჩვენი გმირები კიდე დავიწყებული გვჰყვანდა აქამდისა.

მანქანამ გმირთა მოედანთან მარჯვნივ ჩაუხვია და სანა-პიროზე გავიდა.

– ვახტანგ, – სიჩუმე კომისიის თავმჯდომარემ დაარღვიაა – რათ იცი ხოლმე, უცებ რომ შეხტები ღრიანკალის ნაკბენი-ვითა, აბა დღეს ისეთი რა იყო?

– არა, ბატონო. მე აღარ მოვალ. აქ საქმე არ კეთდება, სამი წელია ერთ ადგილს ვტკეპნით.

– რა საქმე უნდა გაკეთდეს? კომისია ვართ. შენ როგორ გინდა, ჰაიჰარად გადავწყვიტოთ?

– თქვენთვის ხომ ყველაფერი ნათელია. სანამ შეიძლება ვიმსჯელოთ ერთსა და იმავეზე.

– არაფერიც არ არის ნათელი. შენ ეგრე ნუ უყურებ. ახლა რომ რაიმე ნაჩქარევად გადავწყვიტოთ, შეიძლება მიუტევე-ბელი დანაშაული ჩავიდინოთ.

– დანაშაული ოთხმოცი წლის წინათ უკვე ჩადენილია. ჩვე-ნი მოვალეობაა ხალხს სიმართლე ვუთხრათ. დაგვიანებით, მაგრამ ბოლოს და ბოლოს.

– მერე? ჩვენ რომ ახლა შევცდეთ, იმ ერთ დანაშაულზე მეორე დანაშაული დავამატოთ? რა გარანტია გვაქვს, რომ, ასევე როგორც ახლა, ოთხმოცი წლის შემდეგ ახალი კომისია ამ ჩვენი კომისიის მუშაობას არ შეისწავლის? გაგეხარდება, რომ შენი სახელი აბურთავონ ოთხმოცი წლის შემდეგ?

– თუ ღირსი ვიქნები, უნდა აბურთავონ.

– რატომ არ გინდა გაიგო. საქმე მკვლელობის დაბრალე-ბას შეეხება. ხომ გაგიგონია, დამნაშავემ ერთი ცოდვა ჰქნა და დამბრალებელმა ათასიო.

– დაბრალებას კი არა მხილებას.

– მით უმეტეს. მისხალ-მისხალ უნდა აიწონოს ყველაფერი. იქნებ ფაქტს მივაკვლიოთ.

– რა ფაქტს, ბატონო ელეფთერ? ჩვენს კომისიას ოთხ-მოცი წლით რატომ დააგვიანდა იცით? ამ ბოლო დრომდე იმ მთავარი მკვლელის თანამოაზრენიც განაგებდნენ ქვეყანას. წარმოიდგინეთ რა დიდი დრო ჰქონდათ დანაშაულის კვალის დასაფარავად.

– ეგრე ნუ იტყვი. მე და შენ ნაომარი ხალხი ვართ და არ გვეკადრება. ვის არ უნდოდა საუკუნის მკვლელობის მონაწილეთა დასჯა. შენ გგონია, მარტო ახლა გავიგეთ ერის მამის ფასი?

– ყოველ შემთხვევაში, აქამდე ენერგიულ ნაბიჯებს არავინ დგამდა. ქვეყანას თავისი ინდუსტრიული ნახტომი უფრო აწუხებდა, ვიდრე ერის სულის იარა.

– აბა დაფიქრდი. თუ ეგრე შენსავით სხვებიც წამოხტებიან, „მე აღარ მოვალო“, რას მივაღწევთ? განა რა ვთქვი; მეტი სიდინჯე გვმართებს, ჯერ სათანადო საბუთები დასკვნის გასაკეთებლად არა გვაქვს-მეთქი.

– სამი წელია ვკომისიობთ და თქვენ სულ ერთსა და იმავეს იმეორებთ, რა საბუთებზეა ლაპარაკი? სანამ ბერდენკას არ ვიპოვით თითების ანაბეჭდით, მანამ არ უნდა ვამხილოთ? მთელმა საქართველომ იცის, ვინ არის მკვლელი.

– მაიცა, მაიცა, შენ მკვლელს ვის ეძახი?

– უპირველეს ყოვლისა, იმას, ვინც მკვლელობის ორგანიზება მოაწყო და მერე იმას, ვინც ბერდენკის ჩახმახს თითი გამოჰკრა. მეორე ცნობილია და დასჯილიც. მთავარი მკვლელი უნდა ვამხილოთ, დროა.

– მერე, განა მეც მანდ არა ვარ?

– „მანდ“ როგორ ხართ, ბატონო ელეფთერ, სამი წელია ყელის ძარღვები აღარ მივარგა მტკიცებით და თქვენ ვერაფრით დაგარწმუნეთ, რომ მკვლელი ცნობილია.

– მარტო მე ვარ, კაცო, იქა?

– თქვენ და კომისიის სამი-ოთხი წევრი.

– ახლა შენა როგორ ფიქრობ? მე და ის წევრები რაზედ გავჯიუტებულვართ, რა ჩვენი მამიდაშვილი იყო ისა?

– ვინ?

– ვისაც მკვლელს ეძახი. თუ ჩვენ ძალიან გვიხარიან ამ საქმის გაჭიანურება?

– გულწრფელად გითხრა, ვერ გამიგია თქვენი პოზიცია.

– არ არის დოკუმენტები, თორემ ვინ მამაძაღლი. ეგრეც არ შეიძლება, იმ კაცსაც თავისი დამსახურება აქვს.

– ეგ ღუპავს საქმეს, სხვა არაფერი. „დამსახურება“ როგორ არა აქვს. უშუალო მკვლელს – ბრმა იარაღს, ბნელ ყაჩაღს პერსონალური პენსია დაუნიშნა და მისი ყელგაწვდილი თხოვნით სიკვდილის დასჯაზეც შეწყალება გამოატანინა. ვის მკვლელს გადაეფარა?

– არც ეგ ვიცით ზუსტად.

– ეგ როგორ არ ვიცით, დადგენილია. იქნებ ისიც არაა დადგენილი, გამოძიების და სასამართლოს სხდომის ოქმები რომ გაანადგურეს და ხორცის შესახვევად ბაზარში ყასბებს დაურიგეს.

– შენ რომ ამბობ, ხელს აფარებდნენო, იქნებ არც სტალინს უნდოდა მკვლელების დასჯა?

– სტალინის მკაცრი განკარგულებით შედგა ბოლო სასამართლო, მაგრამ ვინ იცის, იმ სასამართლოს მხილებანი პარტიას სამუდამოდ გაუტეხს სახელსო, იფიქრა მერე ალბათ. ერთადერთს ამ ლიდერთაგანს სტალინს ჰქონდა ბოლომდე განუზომელი პატივისცემა ერის მოძღვრის მიმართ.

ესე იგი ხომ ყოფილა ვიღაც, მაშინაც რომ სიმართლის დადგენა სურდა.

– იმ წლებში იქნებ სწორიც იყო ასეთი ნაბიჯი. იქნებ-მეთქი, ვამბობ. თუმცა მე მაინც მჯერა, რომ დანაშაულის დაფარვა ყოველთვის ბოროტებაა. როცა სასამართლოს ბოლო სხდომებზე გაირკვა, ვინ მოაწყო მკვლელობა, სხდომები დახურეს. დამნაშავეს ელდა დაეცა და გარდაიცვალა. ამის შემდეგ, ვინ იცის ყველაფრის გამომზეურება პარტიის პრესტიჟს დასცემდა; ხალხს რწმენას დაუკარგავდა.

– იქნებ ახლაც ეგრეა, ახლა რა, სხვა პარტიაა?

– აი, ეგ არის შეცდომის თავი და თავი. არ იცით, რომ ახლა თვისობრივად მართლაც რომ სხვა პარტიაა სახელმწიფოს სათავეში?

– ეგ როგორა?

– ხომ ხედავთ, რა ამბავია გაზეთებში, რა ცოდვები ამოუტანეს დღის სინათლეზე იმათ, ვის სურათებსაც სამოცდაათი წლის განმავლობაში პარადებზე დავარბენინებ-

დით. კარგა ხანია ჩაიარა ისტორიაზე მიმძალებელთა მდინარემ. დღეს ვერავის დააკარგვინებს პარტიისადმი რწმენას ის, რომ მისმა ერთ-ერთმა კარიერისტმა ლიდერმა ოთხმოცი წლის წინ კიდევ ერთი უმძიმესი დანაშაულით დაიმძიმა სული.

– ეგა მართალია. მე განა მაგას ვუფრთხილდები. არ შევცდეთ, ცოდო არ ჩავიდინოთ-მეთქი.

– რა ცოდო, ბატონო ელეფთერ. რამდენჯერ დავაყენე საკითხი: იმ სასამართლოს ვინც ესწრებოდა, იმათგან თერთმეტი კაცია ცოცხალი. მთავარი წყარო ჩვენთვის იმათი ჩვენებაა. ამ სამი წლის განმავლობაში მხოლოდ ორი მათგანის დაკითხვა მოვახერხეთ. ღმერთმა დიდხანს აცოცხლოთ, მაგრამ ისინი ცას ხომ არ გამოეკერებიან.

– ეგ მართალია, მაგრამა შენ როგორ გგონია, მე განზრახ გავაჭიანურე, მათი მოყვანა? ბევრს თვითონ არ უნდა „რაღაც მსგავსი თქვაო, მთლად გვარი არ უთქვამს, მაგრამ ბოლოს ეგრე განაცხადაო: მე დროზე მიპატრონონ, თორემ ყველაფერს ვიტყვიო“. ზოგი ამბობს: „ბოლო სხდომები დახურული იყო და მე არ ვესწრებოდიო“, არც ეგრეა საქმე.

– სწორედ ეგ არის ჩვენი კომისიის ბრალი. ვერ შევუქმენით მოწმეებს სიმართლის თქმის ატმოსფერო. ახლა, ისინიც იქნებიან, რასაკვირველია, რაღაც-ვიღაცების ზემოქმედების ქვეშ. ყველას უნდა განვუმარტოთ, რომ სიმართლის გაგება ამ ეტაპზე ქართველი ერისთვის აუცილებელია.

– ახლა, ჩვენ შორის რომ დარჩეს, რატომ არის აუცილებელი. რა ხელს გვაძლევს ჩვენა იმის გაგება, რომ საზიზღარი დანაშაული მოაწყო კაცმა, რომელსაც მერე საკმაოდ დიდი თანამდებობები ეჭირა და ქვეყანა პატივს სცემდა?

– რა მტკივნეულიც უნდა იყოს სიმართლის გაგება, ის ამ ეტაპზე მაინც აუცილებელია.

– რა ეტაპია ასეთი?

– ერი გამოღვიძების გზაზე ახალ ნაბიჯებს დგამს. ეს დრო რაღაცით ჰგავს ილიას მკვლელობის პერიოდს. მოკლული ერის მამისთვის მისი მკვლელის მხილება რა ნუგეშია, მა-

გრამ ეს სიმართლე სხვებს სჭირდება, რომ მსგავსი შეცდომა სხვათა მიმართ არ იქნას დაშვებული.

– მაინც ისეთი საბუთი, აი, წყალი რომ არ გაუვა, ხომ მაინც არა გვაქვს? ჰიპოთეზებით ხომ არ შეიძლება დასკვნის გაკეთება. სასამართლო ვართ ჩვენა და ფაქტებით უნდა ვილაპარაკოთ.

– ბატონო ელეფთერ, თუ თვალებს დავხუჭავთ, მზესაც ვერ დავინახავთ. საბუთი არ არის, რომ სიცოცხლეშიც და სიკვდილის შემდეგაც ერის თავკაცს უკანასკნელი სიტყვებით ლანძღავდა, ემუქრებოდა, კრებებზე გამოდიოდა და მის განადგურებას მოითხოვდა! რომ სიკევდილის შემდეგ გაზეთებმა მკვლელობის ინიციატორები ერთსულოვნად ამხილეს. როგორც კი ძალაუფლება ჩაიგდო ხელში, მკვდარს ანგარიში გაუსწორა და სახელმძღვანელოებიდანაც კი ამოაღებინა „ოთარაანთ ქვრივის“ ავტორის სახელი: მეტი საბუთი რაღა გინდათ? საბუთი არა გაქვთ ხელთ? ხომ მოგიტანეთ სამი სხდომის ოქმის ამონაწერი „ამა და ამ დღეს მოკლული იქნასო“. სხვა რა გნებავთ, გითხარით, მისი არ იყოს, თითების ანაბეჭდს და წიწამურთან მკვლელების გვერდით და ბუჩქებში მიმალული მთავარი მკვლელის წეკოს ნამწვავს აწი ვეღარ ვიპოვით.

– რა ვიცი, მე მაინც ვფიქრობ, კიდევ გულდასმით უნდა ავწონ-დავწონოთ. ეგა ადვილი საქმე არ არის.

– დრო გარბის. როდემდე უნდა ვწონოთ, ბატონო ელეფთერ როდემდე?

მძღოლმა მოიხედა.

– ჩოლოყაშვილის ქუჩაზე ვართ. ნომერი?

– იმ მაღალ სახლთან გადი. მარჯვნივ, სასწრაფო დახმარების უკან გააჩერე...

საქართველოსთვის, ბატონო, საქართველოსთვის

მოიჩქაროდა ნინო შინისაკენ და ხელები უცივდებოდა, თითქოსდა ყელში უჭერდა რაღაც და სუნთქვის საშუალებას არ აძლევდა. „რა დამემართა, ბოლოს და ბოლოს, მარტო ხომ არ არის. ამხელა გოგოა, აყვა ამხანაგებს, ქვეყანა ხომ არ დაქცეულაო“, თავს ინუგეშებდა, გულს იმაგრებდა, მაგრამ შეშინებულზე შეშინებული იყო. არ ელოდა-მეთქი ამგვარ საქციელს შვილისგან, რომ გითხრათ, ცოდვა იქნება, ელოდა კი არა, სიზმრადაც ვერ წარმოიდგენდა. ასეთი რამეები მხოლოდ ტელევიზორში ენახა. ბავშვს სკოლიდან მოსვლა რომ შეაგვიანდა, ჯერ ამხანაგებს დაურეკა, ვინც შინ მოიხელთა, რაღაცნაირ, პაუზებიან, გაუგებარ პასუხს აძლევდა ყველა, თითქოს სიმართლეს უმალავენო. მერე სკოლაში მიაკითხა. დირექტორი აპილპილებული დახვდა. „მთავრობის სახლის წინ ზის თქვენი ქალიშვილი, ახლა დამირეკეს, ამ წუთშიო“, „მთავრობის სახლის წინ რა უნდა ხათუნასო“, – შეიცხადა დედამ. „შიმშილობს, ბატონო, შიმშილობსო“, – დირექტორმა ამ პასუხში საყვედურიც ჩააქსოვა და თანაგრძნობაც.

არც ახსოვს, როგორ ჩამოაღწია სასახლემდე. მილიციელების ალყას რომ შეავლო თვალი, გულმა რეჩხი უყო, რაღაც ფარცაგი სჭირს აქაურობასო. ზემოდან მოუარა და დედაქორივით მიმოატარა თვალი. აგერ ზის ხათუნა. ქვემოთ ჩანთა ამოუდევს, პალტო მუხლებქვეშ ამოუკეცავს. ზის და ისეთი გატაცებული, გაბრწყინებული სახე აქვს, გეგონებათ, ოცნება შეისრულაო. ირგვლივ მსხდომი გოგო-ბიჭები ვერ იცნო, მაგრამ მიხვედრით იოლად მიხვდა, რომ ყველანი ერთი ფიქრისთვის, ერთი საქმისთვის ისხდნენ კიბეებზე და ირგვლივ მორიალე ხალხს მშვიდად შესცქეროდნენ.

– ხათუნა!

ხათუნამ თავი ასწია, დედას ხელი დაუქნია და გაუღიმა.

– მობრძანდი აქ, ხათუნა.

– დედიკო, ჩვენ შიმშილობა გამოვაცხადეთ. გეხვეწები, მეტი არაფერი მკითხო და ახლოს არ მოხვიდე.

ნინომ თითქოსდა ვერ გაიგონა, ყურს არ დაუჯერა.

– აბრძანდი და მოდი ჩემთან, მე შენ გელაპარაკები!

– დედიკო! – ხათუნას მუდარის კილო ჰქონდა – ახლოს არ მოხვიდე, დედიკო, თორემ, იცოდე, თავს მოვიკლავ.

– რისთვის შიმშილობთ, ხათუნა? – ქალბატონი ნინო, რასაკვირველია, მიხვდა, რაც ხდებოდა მის თავს, მაგრამ თავისი ქალიშვილისგან სურდა მოესმინა.

ხათუნამ განზე გაიხედა.

– საქართველოსთვის, ქალბატონო, საქართველოსთვის, – წყნარად უთხრა წვეროსანმა, გალეულმა ბიჭმა, რომელსაც ხელში შინდისფერი, შავ-თეთრზოლებიანი დროშა ეჭირა და აფრიალებდა. ნინოს ამგვარი დროშა მანამდე არასოდეს უნახავს.

– ხათუნა, არ გესმის ხომ ჩემი? კარგი, ბატონო, იშიმშილე, იშიმშილე და ნახავ, რა დღეს დაგაყრის მამაშენი ამ ცივ კიბეზე გდებისთვის.

ნინო გამოტრიალდა და მეტროს შესასვლელისკენ გაიქცა აღელვებულ-აფორიაქებული.

გზაში ცოტათი დამშვიდდა. როგორ დავუკარგავ, სიამაყეც კი დაეუფლა, მაგრამ ეს იყო მხოლოდ რამდენიმე წუთით. სახლს რომ დაუახლოვდა, ისევ სძლია ნერვიულობამ. ვერ წარმოედგინა, როგორ აეხსნა ქმრისთვის, რომ მათი ერთადერთი, საყვარელი პირმშო, მეთერთმეტეკლასელი გოგო, მთავრობის სასახლის წინ მილიციელებით გარშემორტყმული იჯდა და შიმშილობდა.

ლიფტში მუჭის სარკე ამოიღო და ჩაიხედა. ნიკაპი გათეთრებოდა, მოისრისა და ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოსდა ყელ-ნიკაპი მისი აღარ იყო.

შოთა კარებში შეეგება, სიტყვის თქმა არც კი აცალა. „რუსთაველზე გამოვიარე, ვერ წარმოიდგენ, რა ხდებაო. მთელი ქალაქი ფეხზე დგას; ნამდვილ კონსტიტუციას მოითხოვენო. აქამდე რომ კონსტიტუცია გვქონდა, ხომ ისე, ტყვილად, ფასონად იყო, ახალი პროექტის შემდგენლებს ისიც კი გადაუსხვაფერებიათ კაცს, და ქვეყანას ნამეტანი თავისუფლება რომ არ

ჰქონდეს და ცუღლუტური აზრები არ მოუვიდეს თავშიო. არ ვიცი, რას მიაღწევენ, მაგრამ დიდი გასვლა-გამოსვლაა ხალხსა და მთავრობას შორისო. ახლა, ასეთ ვითარებაში ყოველგვარი სიგლახეა მოსალოდნელი. სისხლის ღვრის მონადინეს მეტი კი არ უნდა, შეიძლება ისარგებლოს მომენტით და კიდევ ერთხელ შეირცხვინოს თავიო. ას ოც ახალგაზრდას შიმშილობა გამოუცხადებია. მთავრობის სასახლის წინ მჯდომარე დემონსტრაცია გაუმართავთო. ერთ ლუკმას შევჭამ და გავვარდები. დავდგები მეც, რუსთაველზე, სხვებივით, ბავშვი მოძებნე და სახლიდან არ გახვიდეთ. საშიშია ახლა ქუჩაში სიარულიო“.

– კი ბატონო, იოლი სათქმელია, მოძებნე, – მკლავი მკლავს ჩაახვია და განზე გაიხედა ნინომ.

– ?!

– იქ არის შენი გოგოც.

– სად იქ?

– მთავარ მოშიმშილეებში გყავს. წამოდი ხათუნა-მეთქი და ისე დამიბრიალა თვალი, გული კინაღამ შემიღონდა, როგორც გაზარდე, ისე იქცევა.

შოთამ არაფერი უპასუხა, პლაშჩს ხელი სტაცა და კიბე ჩაირბინა.

* * *

– გამატარეთ, გამატარეთ, ბატონო, ბოდიშს ვიხდი.

– გატარდით თქვენი ჭირიმე, მაგრამ იქეთ რომ ველარ გახვალთ? ხომ ხედავთ, გზა შეკრულია.

– ჩემი საქმე სხვანაირადაა. გოგო ზის ჩემი.

– მომილოცავს, პატივცემულო.

– რას მილოცავ, ქალბატონო?

– კარგი შვილის გაზრდას. ვაჟია?

– ერთი უჭკუო გოგოა.

– არ თქვათ ეგ, მეგობარო. მაგნაირი „უჭკუოები“ თუ უშველიან საქართველოს, თორემ ხომ ხედავთ, ჩვენ – „ჭკვიანები“ ვერაფერს გავხდით.

– სახლიდან არ გასულა ჯერ. მაგის იმედზე ვართ, შე კაი კაცო? ავაგდებ ზეზე და მე დავჯდები, თუ საჭიროა. ხომ გაიყინა ბავშვი ამაღამ.

– არ ჰქნათ ეგ. ხელი არ შეახოთ. ისინი წმინდანები არიან. ხომ ხედავთ, ხელში სანთლები უჭირავთ და სანთლისფერი ადევთ სახეზე. ანგელოზები არიან, ცით ჩამოსული ანგელოზები. რას ჰქვია ააგდებთ ზეზე!

შოთამ ტუჩზე იკბინა. გულზე თითქოს ცხელი წყალი გადაესხაო. საოცარმა სიმხურვალემ გაუარა ტანში და კინაღამ თვალთ დაუბნელდა.

– ჩემი ორი ზის, ბატონო, და-ძმა, სტუდენტები ორივე. რა ვუყო ახლა! სადაც სხვაა, ჩემიც იქ უნდა იყოს. აბა როგორ გვინდა! ყველაფრის დაშლა შეიძლება შვილისთვის, მაგრამ სამშობლოს სიყვარულის არა.

– ბევრიც რომ ეცადო, ვერ დაუშლი. რაკიღა უკეთესს ვერაფერს აძლევ შენ თვითონ.

გაძვრა-გამოძვრა და როგორც იქნა, ხმის მისაწვდენზე მიუახლოვდა.

– ხათუნა!

ხათუნამ მოიხედა.

– მამიკო, ხომ არ მიწყრები?

– არა, შვილო.

– ასეც ვიცოდი. კარგი მამიკო ხარ. დედას უთხარი, თერმოსით ცხელი წყალი და ორი საბანი წამოიღოს.

– კი, შვილო. გაძლებ, ხათუნა?

– უნდა გავძლო, მამიკო!

– რისთვის არის მერე საჭირო ეს ყველაფერი. გიფიქრია კარგად ამაზე, ხათუნა?

– საქართველოსთვის, ბატონო, საქართველოსთვის, – წყნარად უთხრა წვეროსანმა, გალეულმა ბიჭმა, რომელსაც ხელში შინდისფერი, შავ-თეთრზოლებიანი დროშა ეჭირა და აფრიალებდა.

მზე კარგა ხნის ჩასული იყო.

ჩრდილოეთიდან ცივი ნიავი უბერავდა და გვიანი შემოდგომის დიდი ღამე ეპარებოდა დედაქალაქს.

რადიომონოლოგი

მადლობელი ვარ, სერ, თავაზიანი წინადადებისთვის, მაგრამ უარი უნდა გითხრათ. ძალიან აღელვებული ვარ, დალაგებულად ვერ ვილაპარაკებ. არც თქვენ დარჩებით კმაყოფილი და არც ჩემს ხალხს მოეწონება ნაუცბათევი ჩანაწერი. მიბრძანდით, სხვა მოძებნეთ, უფრო მშვიდი ნერვების კაცი. მე ერთი უბრალო, დაწყებითი კლასების მასწავლებელი ვარ, არითმეტიკას ვასწავლი ბალღებს. ზეგ, სამშაბათს, თვრამეტში თვე შესრულდება, რაც გაკვეთილზე არ შევსულვარ. წარმოიდგინე, როგორ ხასიათზე ვიქნები. გაფიცვა ჩვენს საქმეში ისეთი დანაშაულია, რომ, შეიძლება, ვეღარასოდეს გამოასწორო. საათის ქვების ქარხნის მუშები რომ გაიფიცებიან, სიტყვაზე ვამბობ, შეიძლება ქვეყანა არ დაიქცეს. უსაათისქვეზოდ გავძლებთ, როგორმე, ცოტა ხანს. მაგრამ სკოლის გაფიცვა შეიძლება? მოსათმენია, ბავშვები გველოდებოდნენ, ტანმრთელი იყო და გაკვეთილის ჩასატარებლად არ მიხვიდე? ეკლებზე ვზივარ. იმ დღეს ქუჩიდან შევავლე თვალი. სარკოფაგს ჰგავს სკოლა. ბავშვების ჟრიამული აღარ ისმის. ჩანს, მშობლებიც აღარ უშვებენ შვილებს სკოლაში. ღმერთმა ნუ ქნას, ასე რომ გაგრძელდეს. სხვისა რა მოგახსენო და მე კი გული გამისკდება!

თქვენთვის, სხვა ერის შვილისთვის, ვიცი, ჩვენი გაფიცვა კიდევ უფრო გაუგებარია. ჭირვეულ ხალხის ახირებად მოგეჩვენებათ. ყოველდღე ვისმენთ რადიო და ტელეგადაცემებს, ვკითხულობთ პრესას და გაოგნებული ვართ, თქვენგან ერთი ჟურნალისტიც არ აღმოჩნდა, ჩვენს სატკივარს რომ გულთან მიიტანდა. გვიყურებენ, როგორც საერთო ინდუსტრიაში ჩართულ პატარ-პატარა მანქანებს და თურმე თავში არასოდეს მოსვლიათ, რომ ჩვენ გარდა იმისა, რომ ზანზარეთის იმპერიის მოქალაქეთა პასპორტები გვიდევს ჯიბეში,

ვართ ერი – ჩვენი უბედური ისტორიული წარსულით და როგორც გული მიგრძნობს, კიდევ უფრო ძნელი მომავლით.

ჩემს სამშობლოს ამია ჰქვია. ჩვენ ამიას ხალხს წარმოვადგენთ. ამიურ ენაზე ვლაპარაკობთ და ვწერთ. ძირძველი ერი ვართ. ამია ჰქვია-მეთქი ჩემს სამშობლოს. მერე რა, რომ გარემოების გამო ზანზარეთის იმპერიის ფარგლებში ვცხოვრობთ და არათუ სხვა ქვეყნებთან დამოუკიდებელი ურთიერთობის გაბმა არ შეგვიძლია, ბევრ პოლიტიკურ რუკაზე აღნიშნულიც არა ვართ.

და მაინც ამიელებს ვეძახით თავს და ჩვენს ამიელობას დიაღაც ვებღაუჭებით. ამ ხუთი თვის წინ ზანზარეთის ტელევიზიით ერთი საუბარი გადაიცა. მეექვსეკლასელ ამიელ გოგონას ეკითხებოდა ტელედიქტორი– „საიდან ბრძანდებით?“ „ამიიდან“, უპასუხა გოგონამ. „მე გეკითხებით თქვენი სამშობლოს სახელს“, გაუმეორა კითხვა დიქტორმა. „ხომ გითხარით – ამია“, არ დაიბნა გოგონა. „დაფიქრდით კარგად, გიმეორებთ, რომელი ქვეყნიდან ხართ?“ ჩააჭიჭინდა დიქტორი. „ამიიდან“, ცრემლი ჩაუდგა ხმაში გოგონას. „ამია ხომ ქვეყანა არ არის! შენ ერთხელ და სამუდამოდ უნდა გახსოვდეს, რომ შენს სამშობლოს ზანზარეთი ჰქვია!“ გაწყრა დიქტორი.

დიახ, სერ, ამ ბოლო დროს შემოიღეს პატარა და დიდი სამშობლოს ცნება. თურმე, ნუ იტყვით, ამია ჩემი პატარა სამშობლოა, ხოლო ზანზარეთი – დიდი. არა, ბატონო, პატარა და დიდი სამშობლო არ არსებობს. ამია ჩემი სამშობლოა, ჩემი სულის კივილია, ჩემთვის ყველაფერია – დიდიცაა და დიადიც, ხოლო ზანზარეთი რაც არის, მოგეხსენებათ.

იცი, რა გვითხრა გუშინწინ, მიტინგზე ერთმა კაცმა? ვინ იყო და რას წარმოადგენდა, ვერ გავიგეთ, მაგრამ ზანზარეთულად ისე მშვენივრად ლაპარაკობდა, რომ ჩვენ თვითონ დავასკვენით, სად იყო გაზრდილი და ვის ჩანგს დაჰხაროდა. სხვის ენაზე რომ აჭიკჭიკდები, ცოტა აქცენტი მაინც უნდა გქონდეს. უშეცდომოდ თუ იცი სხვისი ენა, შენ გგონია დიდი ღირსებაა? მე თუ მკითხავ, სირცხვილია, სერ. ეს იმას ნიშნავს,

რომ შენი მშობლიური ენა არ იცი კარგად. შენი დათმე, შენსას ზურგი შეაქციე, რა მოხდა, იოლას გადიხარ სხვისი ენით და, გგონია, ქვეყანა არ დაქცეულა. „აზვიადებენ პატრიოტულად ტვინმოწყობილი მოქალაქენიო, სულერთი არ არის, კაცმა რომ თქვას, ბაზარში ტყემალს რა ენაზე ვიყიდი და გაზეთს რა ენაზე წავიკითხავო?“ ასე ფიქრობს ენაგამოცვლილი კაცი. არა და არა, მოწყალეო ხელმწიფევ. სწორედ რომ მეორედ მოსვლა და ცის ჩამოქცევაა შენი მშობლიური ენა რომ დაგავიწყდება კაცს. ეს იმას ნიშნავს, რომ შენი ერი დასულაპავ-დასაკარგავად გაიმეტე. გასწირე უღვთოდ და უსაბუთოდ. როცა შენი მშობლიური ენა გეპატარავება და სხვისას უერთგულებ, ეს იმას ნიშნავს, რომ შენსავე მამა-პაპას შეაქციე ზურგი. მეტსაც გეტყვი, დამნაშავე ხარ ყველა გმირის წინაშე თავისი ერის თავისუფლებისთვის რომ უბრძოლია. დამნაშავე ხარ ყველა მწერლისა და ეროვნული მოღვაწის წინაშე, შენს ერს რომ წარმოუშვია დასაბამიდან აქამომდე.

აბა რა გეგონა, ასე უბრალოდ როდია საქმე! ახლა წარმოიდგინე, ათეული წლების განმავლობაში ჩაგჩიჩინებდნენ: ნუ გააწყალე გული ამ შენი ამიური ზნე-კულტურით, ნუ შეგვაწუხე ერთი მუჭა ერისთვის-ღა გასაგები ენა-სიმღერით, აღარ არის ეთნოგრაფიული ეპოქა, გაიგე ერთხელ და სამუდამოდ – მსოფლიო ლამის ერთიან მეცნიერულ-სამრეწველო წრებრუნვაში გაერთიანდეს და რა დროის ეროვნულ ტკივილებზე ჩივილიაო. არა და არა! მსოფლიო მშვიდობა და ჰარმონია მე იმისთვისაც მინდა, რომ ჩემი პატარა ამიაც ფეთქავდეს და სულდგმულობდეს. დავთარარეულ მსოფლიოსთან რა მესაქმება. ვის რა დაუშავდება ჩემი ამიური ქუდით რომ ვიარო ამ დუნიაზე და იმ ენაზე ვილაპარაკო, რომელზეც ჩემი წინაპარი ოთხი ათასი წლის წინათ თავის დარდს და სიხარულს აკვესებდა.

გამექცა სიტყვა. იმას გეუბნებოდი, მიტინგზე კაცმა დაგვმოძღვრა-მეთქი. რაო, რა სასაზღვრო შენ ჩემობია აიტეხეთო. რა ზღვარმტკავლობანას და ბაგირის გადაქაჩვას ეთამაშებით ერთმანეთსაო. ვინ მოგცათ თქვენ, თქვენი მიწები და თქვენი

ეზო-ღობენიო. კარგა ხანია, თქვენი ნაციონალური რუკები მუზეუმებს ჩაბარდა და ახლა თქვენივე ნებით ყველანი ზანზარეთის იმპერიაში ცხოვრობთ. ვინ მოგცათ ზანზარეთის ტერიტორიის დაყოფა-დაქუცმაცების უფლებაო. ეს თქვა, ტრიბუნიდან ჩამოხტა და ხალხის რისხვას გაერიდა. მანქანით წასწყდა იმ ადგილიდან. კიდევ კარგი, ვერ მოასწრეს ქეჩოში ხელის ჩავლება, თორემ ცუდ დღეს დააყრიდნენ.

ასე ლაპარაკი შეიძლება? მე კარგად ვიცი, რაც მჭირს, მაგრამ შენ ყვავივით უნდა დამჩხავლო სამოცდაათწლიანი ბანგისგან ძლივს გამოღვიძებულს და თვალგახელილს? შენ რა დაგიშავდება, მე რომ ჩემი ისტორიული საზღვრები მოვიძიო და შვილებს ცნობად მაინც დავუტოვო, ვინ და რანი ვიყავით, მაინც შენს ხელში და შენს საზღვრებში არ ვარ?

ზანზარეთს სხვა რამის ეშინია, სერ. ამიას ტერიტორიული პრეტენზია რომ მოვაწესრიგო, რა გარანტია მაქვს, რომ ხვალ სხვა მცირე ერებსაც იგივე სურვილი არ გაუჩნდებათ და არ დაერევიან ერთმანეთსო. განა მართალი და გონივრული არ არის ზანზარეთელ წინამძღოლთა ეს ფიქრი, მაგრამ ჩვენთვის, ამიელთათვის ასეთი განსჯა რა ნუგეშია.

ხომ არ შეგვიძლია, მშვიდად ვუცქიროთ, როგორ ვილევით და ვთავდებით დღითი დღე? ხომ არ შეგვიძლია, ტაში დავუკრათ იმპერიის დიდი პროგრამის იმ პუნქტს, სადაც გასაგებად სწერია, ხალხთა და ერთა თანდათანობით შერწყმა-შეერთება ჩვენი მთავარი ამოცანააო? ვის ხარჯზე მოხდება, თუ იცით, ეს შეერთება? პატარა ერების ხარჯზე. რომელ ენაზე ილაპარაკებს, იმ პროგრამის შემდგენელთა ვარაუდით, ზანზარეთის იმპერია ხვალ-ზეგ? – ზანზარეთულ ენაზე. აი, ესაა გულ-ფილტვს რომ მიღრღნის და არ მასვენებს.

ჩვენი საზღვრების შეცნობა-გამორკვევაზე ხომ ზრდილობიანი უარი გვითხრეს, ახლა ზანზარეთის ჯარის შენაერთები ჩაგვიყენეს ქუჩებში და გადი-გამოდიან პატრულები ტანკის ლულადამიზნებულ სახლებში. ვის ეძებენ? გაფიცვის მოთავეებს და ინიციატორებს. არის დაპატიმრებანი და დაკითხვა-გადასახლებანი.

ამაოა, სერ, ეს სიფრთხილე-ღონისძიებანი. ორი მილიონი კაცის ერთდროულად ქუჩაში გამოყვანა საიდუმლო „ორგანიზაციებით“ (როგორც უწოდეს) არა და არ მოხერხდება, თუ თვით ხალხი არ არის მზად, თუ სატკივარი თვით ხალხს არ აწუხებს და აფორიაქებს.

გინახავთ სადმე ამ მასშტაბის გაფიცვა? სამი თვეა, ქუჩაში ვდგავართ და ჩვენს საყვირალს ვყვირით, ჩვენს სატკივარზე ვღაღადებთ.

ნუთუ ეს ფაქტი არაფერს გეუბნებათ?

ნუთუ ახლაც შემთხვევითობას და ნაციონალურ ამჩატებას უნდა დააბრალოთ ყოველივე?

რა უნდა ვუთხრა თქვენს რადიომსმენელებს. ის, რაც სიმართლეა, თქვენ არ გაინტერესებთ. კიდეც რომ დაგთანხმდეთ გამოსვლაზე და გითხრათ, რაც გითხარით, სულერთია, ამის გამშვები ეთერში თქვენ არა ხართ.

თქვენ სხვა პოლიტიკა გაინტერესებთ და სხვა სიმართლეს ემსახურებით. ამიტომ გთხოვთ, დამტოვეთ მარტო ჩემს წუხილთან, წადით, თქვენი გზა ნახეთ.

„თქვენს შორის მშვიდი დარჩა ვინმე?“

დაღამებისას პროჟექტორები მიანათეს ტრიბუნას და შიომ მაღლა, ტერასებისკენ გაიკვლია გზა, რათა მოქადაგეთა სახეები ახლა მაინც დაენახა.

აქამდე ირგვლივ ჯგუფებად მდგომთა სახე-ზურგებს ხედავდა მხოლოდ და მიკროფონის გასკდომამდე ხრიალის გარდა საკუთარი ტაშის ხმა და მემიტინგეთა შეძახილები ჩაესმოდა.

ყინავდა, მაგრამ ფეხს არავინ იცვლიდა. იპოდრომის ორივე კარიდან უწყვეტ ნაკადად მოედინებოდნენ. შემოსასვლელთან და ზედა გზაზე ფანჯრებგაუმჭვირვალე ავტობუსები იდგნენ. ავტობუსების წინ უიარაღო მილიციელები გამწკრივებულიყვნენ. მილიციელებს რატომღაც მოღლილი და მოწყენილი სახეები ჰქონდათ.

შიოს მაღლა ასვლისას ტალახზე ფეხი დაუცდა და ფიჭვს რომ არ მოჭიდებოდა, ქვემოთ მდგარ სამ გრძელპლაშჩიან ყმაწვილს კარებამდე ჩაიტანდა. ბიჭებს მისი დაცურება არც შეუმჩნევიათ. კისერწაწვდილნი ფეხისწვერებზე იწეოდნენ, თითქოს ვიღაცას ეძებენო.

ყურებზე რიდეაკრულმა კაცმა ხელი შეაშველა და იასამნის ბუჩქთან, ბოლო რიგის კუთხეში შიომ ფეხზე დასადგომი ადგილიც იშოვა.

აქედან ყველაფერი ხელისგულივით ჩანდა.

საათს დახედა. მესამე საათი იწურებოდა, რაც მიტინგი დაიწყო და ორმოცი ათასი კაცი ლამის სუნთქვაშეკრული უსმენდა გამომსვლელთ.

შიო პირველად მოხვდა იმგვარ შეკრებაზე, სადაც აშკარად ჩანდა, რომ ყველაფერი წინასწარდაგეგმილი არ იყო და თვით ტრიბუნაზე მდგომნიც ვეღარ ახერხებდნენ უზარმაზარი სახალხო ყრილობის კალაპოტში ჩაყენებას.

პირველი ხუთი-ექვსი გამოსვლა წესრიგიანად, გამოცხადება-წარდგენით, აუჩქარებლად, შეიძლება ითქვას, მიტინგ-

ისათვის შეუფერებელი სიდარბაისლით ჩატარდა.

არავინ ცდილობდა ლამაზსიტყვაობით ეკეკლუცა, ან ყოჩაღი, გაბედული ბიჭობით მოეწონებინა თავი მსმენელთათვის. შიოს აქამდე რაც მიტინგები ენახა, სულ სხვა ქვეყნების გასაჭირზე იჭაჭებოდნენ ორატორები. ხან დემოკრატი ბერძენი ჟურნალისტის ბედზე წუხდნენ, ხან ჩილელ პატრიოტებს თანაუგრძნობდნენ, ხან პიროვნების თავისუფლებისათვის მებრძოლი ამერიკელი ქალის დაპატიმრების გამო გამოთქვამდნენ პროტესტს. დღეს კი, დღეს, 1988 წლის 12 ნოემბერს მთავრობისთვის ნებართვაგამოგლეჯილ ამ უზარმაზარ მიტინზე, პირველად შიოს მახსოვრობაში, საქართველოს გასაჭირზე იყო საუბარი.

შუახანსმიღწეული ჟურნალისტი გაოცებული იყო. შემკრთალი იხედებოდა აქეთ-იქით და უკვირდა, მიკროფონის ირგვლივ შემოჯარულთ თოფს რომ არავინ ესროდა, ან ცივ ჰაერს რომ არ კვეთდა წესრიგის დამცველთა გამყინავი შეძახილი – „დაუყოვნებლივ დატოვეთ იპოდრომის ტერიტორია!“

„ბატონებო, მეგობრებო, ქართველებო, მოქალაქენო“, – ყველანაირი მიმართვა გაისმოდა გამომსვლელთა პირიდან გარდა იმ ერთისა, რომელიც სამოცდაათზე მეტი წლის განმავლობაში საოცრად გაცვდა მორიგი თათბირ-კონფერენციების კათედრებიდან და კინაღამ სიცივის, არაგულწრფელობის, ოფიციალური დამოკიდებულების ნიუანსი შეიძინა – „ამხანაგო!“

რაზე საუბრობდნენ მოქადაგენი? უჭირსო საქართველოს. უცხო თესლი მოგვიმრავლდაო, ფრთებს ისხამსო საქართველოს დემოგრაფიული დაპყრობის ავბედითი გეგმა, პრესიდან უსამართლოდ თავს გვესხმიანო „უფროსი ძმები“ და შეპასუხების უფლებასაც აღარ გვაძლევენო. საქართველო სუფრა-რესპუბლიკად და მეწველ ფურად გადაიქცაო. დაგვლუპავსო უნაპირო, მოუზომავი ინტერნაციონალიზმი. ხალხს ატყუებსო არაერთი დიდი და პატარა გაიძვერა. აღარ გვჯერაო ყალბი დაპირებების. სასწრაფოდ შეჩერდესო საქართველოში ერთა შერწყმა-გათქვეფის საბჭოური ექსპერიმენტი, ილია ჭავჭავაძის სამშობლოს თავზე მშვიდობიანი გა-

ნადგურების შავი ღრუბელი გროვდებაო. დროა, თავს ვუშველოთო, ბატონებო...

რა გაბრწყინებული, შიგნიდან განათებული სახეები ჰქონდათ ქადაგებს. ერთბაშად ჩამოეგლიჯა მათთვის ვითარებას ის იარლიყები, დემაგოგებად, კარიერისტებად, შიზოფრენიით დაავადებულებად, უცხოეთის პროპაგანდისთვის სულმიყიდულებად რომ აცხადებდნენ ბოლო თვეების განმავლობაში გაზეთები, რათა სახელი გაეტეხათ ერის ქომაგთათვის. პროჟექტორმინათებულ ტრიბუნაზე ყველანი წმინდანებად ჩანდნენ.

ნერვიულობა ეტყობოდათ ხმაში. თითქოსდა ჩაჰყვიროდნენ მიკროფონს. თითქოსდა ყველაფრის თქმა ერთბაშად სურდათ მოესწროთ. შიში იგრძნობოდა, შიში იმისა, რომ ეს-ესაა ვიღაცის ღონიერი ხელი მიწვდებოდა მიკროფონს და პირში შეატოვებდა უთქმელ სიტყვას ქადაგების ექსტაზში შესულს.

თავისებური სიმძაფრე შეჰქონდა მიტინგის მსვლელობაში იმ სიტყვებსაც, ორგანიზატორთა შორის ტრიბუნაზე რომ გაისმოდა მას შემდეგ, რაც მორიგი მოკამათე სიტყვას დაასრულებდა. მიტინგზე კულისები არ არსებობს. მიკროფონში „სამუშაო“ ლაპარაკიც ისმოდა:

– ახლა შენ თქვი!

– შენა, ხუდონჰესი არ დაგავიწყდეს!

– პასუხი ახლავე მოგვეცით-თქო!

– მოიცა. რას აცხადებ?!

– არ დაიშალოთ, სანამ მთავრობის წევრი არ გამოვა-თქო!

– ასე უცებ რა უნდა გადაწყვიტონ!

– ისეთი რამეც არ უნდა მოვთხოვოთ, რაც მაგათ არ შეუძლიათ.

– მოიცათ. ყველანი ხომ ვერ ვილაპარაკებთ. არაბულს, არაბულის მამას უხმეთ!

– კონკრეტულები, კონკრეტულები უნდა ვიყოთ!

– მოიცათ, მოიცათ, ნუ აწვებით, მოკლედ მოჭერი, თუ ძმა ხარ. ლიტველი, ლიტველი გამოუშვით. ამის შემდეგ ლიტველს მივცემ სიტყვას!

სიტყვები მაინც სიტყვებია და შიოს მიკროფონთან მყოფთა გაბედულებაზე უფრო მეტად სხვა რამ ხიბლავდა:

ჩემს რედაქტორს ოცდახუთი კაცი ვერ შევუკრებივართ ერთად სამსახურში კრების ჩასატარებლად და ეს ორმოცი ათასი კაცი ასე ერთბაშად, ერთსუნთქვად, ერთფიქრად რამ შეჰყარაო იპოდრომზე ამ სიცივეში. ჩანს, მოქადაგეთა წუხილი მართლაც რომ საერთო წუხილია, თორემ სეირის საყურებლად მოსულის არაფერი ეტყობაო ამ ხალხს.

ყინვა ძვალ-რბილში ატანდა. შიოს ფეხის თითები წაჰყინა და ადგილზე ხტუნვა დაიწყო; იქნებ ცოტა მაინც გავხურდეო.

მიტინგი, რომ იტყვიან, სიჩქარეს იღებდა. კითხულნი უფრო და უფრო გაბედულად მოითხოვდნენ თავისუფალ, პოლიტიკურ-ეკონომიკურად დამოუკიდებელ, ეროვნულ სუფთა საქართველოს. და შიოს უფრო და უფრო სჯეროდა, რომ ამ მოთხოვნაში გაუგონარი და უცნაური არა იყო რა.

ცოტა ხნის შემდეგ ერთმა სურათმა გაიტაცა და არა მარტო სიცივე გადაავიწყდა, მიკროფონის ხმაც აღარ ესმოდა.

რა სურათი იყო ასეთი? რას დაადგა თვალი შიომ?

ტრიბუნის ირგვლივ შემოჯარულ და მაღლა, ფიცარნაგზე მდგარ ახალგაზრდებს ხელთ ქართული დროშები ეჭირათ და ისე თავისუფლად, ლამაზად იდგნენ, თითქოსდა, რაც ირგვლივ ხდებოდა, მათ სრულიადაც არ ეხებოდათ.

იდგნენ პირტიტველანი, ლამაზები, შიშის ნატამალიც არ ჩანდა მათს გამოხედვაში. საოცარი სიმშვიდე დაუფლებოდა მათს სახეებს. დროშებს და საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში დაცემულთა პორტრეტებს იქეთ-აქეთ არწევდნენ და ზამთრისპირის კრიალა ცას, გვერდაწითლებული ღრუბლებით მოოჭვილ ცას ასცქეროდნენ.

„რა მშვიდად არიანო“, ცრემლი მიაწვა თვალებში შიოს.

იდგნენი ყმაწვილები პროჟექტორებით აბრდღვიალებულ ფიცარნაგზე, იდგნენ როგორც სამიზნეზე და შიომ საბოლოოდ ირწმუნა, რომ ყველა ყველა და, ხვალინდელი საქართველოს ჯიუტი მზერის მოთოკვა უკვე არავითარ ძალას აღარ შეეძლო.

საუბარი ჭადრეგის ჩრდილში

– ზაზა!

მოიხედა. კიბეზე ჩამოყოლილ ყმაწვილს, რომელიც ქაქანით რაღაცას უმტკიცებდა, ბოდიში მოუხადა; იქ მოდი, იქ ვილაპარაკოთო, სვანური ქუდი ხელში რომ ეჭირა, დაიხურა და ჩემკენ წამოვიდა.

უსიტყვოდ გავუწოდეთ ერთმანეთს ხელი.

– სალაპარაკო მაქვს-მეთქი შენთან, თუ გცალია.

მიიხედ-მოიხედა.

– იცი რა, გამცილებლები მახლავს, თუ ისეთი რამეა...

– არა უშავს, დიდხანს არ დაგაყოვნებ.

კეკელიძის ბიუსტთან ჩამოვჯექით.

– მადლობა ღმერთს, გადავრჩით, – წკირი გადავტეხე და მოვისროლე.

თვალები მოწკურა, შემომხედა, მერე მუჭში ჩაახველა და ფეხსაცმელებს დააჩერდა.

– დიდი საქმე გაკეთდა.

– საქმე? ათი საუკუნის სალაპარაკო და თავმოსაწონებელი. იცი თუ არა შენ, რომ ამ რვა დღეზე ტომები დაიწერება. გულის ფიცარზე დაიწერს ქართველი კაცი ამ თავგანწირვის მაგალითს. ცოტნე დადიანის, სამასი არაგველის, მეფე დიმიტრის, რომელიც გინდა დიდი გმირობის ტოლფასია, რაც ახლა მოხდა.

– რა ბედნიერებაა. რა ძლიერი ახალგაზრდობა გვყავს. ღამით სანთლებით ხელში მჯდომთა სანთლისფერ სახეებს რომ შევცქეროდი, ცრემლი ნიკაპზე მესკვნებოდა.

– უზარმაზარი გაკვეთილი მისცეს იმ ბავშვებმა მარტო საქართველოს კი არა, თავისუფლებისთვის მებრძოლ ყველა ერს მთელ მსოფლიოში...

– აბა, ზოგიერთს ჰკითხე? რა გმირობა, პრავაკატორების მიერ გზააბნეულ ბალღთა უგუნური აქცია იყო და მეტი

არაფერიო. პრავაკატორები – ეს ჩვენ ვართ.

– რა უგუნური უნდა იყოს კაცი, რა მტრობა უნდა ჰქონდეს გულში საკუთარი სამშობლოს მიმართ, ერისთვის თავგანწირულ ყმაწვილთა კვეთებაში ფეხის აყოლა დაინახოს და მეტი არაფერი. თუ ასე განსჯი; ცოდნე დადიანის გმირობა ზურგზე თაფლის წასმას და მზე-ბუზთა წვა-კბენისთვის გაძლებადღა მოგეჩვენება.

– შენ ეგა თქვი. ჩვენ ხომ ვიცოდით, რაზე მივდიოდით, მაგრამ, სიმართლე გითხრა, ამ მასშტაბებს მაინც არ ველოდი. ვფიქრობდი, დიდი-დიდი ოც-ოცდახუთ მოშიმშილემდე თუ მოგროვდება-მეთქი. შენ წარმოიდგინე, ბოლო დღეს ათასი ახალგაზრდა იჯდა და არა მარტო ახალგაზრდები, ასე, ჩვენი ხნისაც არაერთი შევნიშნე.

– ხომ შეიძლებოდა, ამას უბედური შემთხვევა მოჰყოლოდა.

– რას გულისხმობ?

– ბავშვები დახოცილიყვნენ, ან აღტკინებულ ბრბოს რაიმე შეშლოდა და მთავრობას რეპრესიებისთვის მიემართა.

– რა თქმა უნდა. ძალიან ახლოს ვიყავით კატასტროფასთან. ბოლო დღეებში უკვე ისტერიის სახეს იღებდა ყველაფერი. მოზღვავებულ ხალხს ვერ ვაკავებდით. ქუთაისიდან გორიდან, საინგილოდან მოდიოდნენ და ფოთლებივით ეყრებოდნენ გრანიტის კიბეებზე და ცემენტის მოედანზე, მთავრობის სასახლის წინ. მერე შიმშილობის წესები ყველამ როდი იცოდა. დღის განმავლობაში მოძრაობდნენ ყვიროდნენ, ენერგიას ხარჯავდნენ და ღამით ისე სუსტდებოდნენ, რომ გული მისდიოდათ. ჩვენი ჩარევაც ამაო იყო. თავს გაუფრთხილდითმეთქი რომ ჩავძახებდი მეგაფონს, მიპასუხებდნენ; ჩვენ აქ სასიკვდილოდ მოვედით, სათამაშოდ კი არაო.

– რამდენიმე გულშეღონებულის საკაცეს მე თვითონ მივყევი ლაზარეთამდე. ნემსებით რომ მოასულიერებდნენ, გაკვირვებული მიმოიხედავდა და კარებისკენ იწევდა: „აქ ვინ მომიყვანა, ჩემი ადგილი იქ არისო“. მერე ტირილს იწყებდა, ვინ მოგცათ ჩემი გადარჩენის უფლებაო.

– განა არ ვგრძნობდი, ჩვენი ხალხის გაწყვეტილ ილაჯს

და თავისუფლებისადმი ლტოლვას, მაგრამ თავგანწირვის ამ დონეს არ ველოდი. უნდა ვაღიარო.

– ახლა სხვა მხრიდან შევხედოთ ამ ფაქტს. რასაკვირველია, გაკეთდა უდიდესი საქმე. სამოცდაათწლოვანი საღათას ძილისაგან საქართველოს გამოღვიძების ეტაპი დასრულდა. ახლა ყველამ იგრძნო და დაინახა, რომ საქართველოს ეროვნული მეობის ხელყოფა ეგრე იოლად არ შეიძლება. მაგრამ გიფიქრია თუ არა იმაზე, რომ შეეძლოთ ამ გმირობის ჩადენის საშუალება არ მოეცათ?

– მაინც?

– ისე, უბრალოდ. როგორც კი მოვიდოდა ჩექმიანი ჯარისკაცი და გიბრძანებდა – აბა, აიბარგეთ აქედან, შეახვიეთ ეგ თქვენი დროშა-საბნები და მოუსვით, სანამ უკანალს პანღურით აგიწვავდეთო. როგორ ფიქრობ, დასაწყისშივე არ გამასხარავდებოდა ის, რასაც მე და შენ ახლა ისტორიულ გმირობას ვეძახით?

– ჯერ ერთი, დემოკრატიის ეპოქაში ვცხოვრობთ და ესეც არ იყოს, საერთაშორისო სტატუსით ნებაყოფლობით მოშიმშილეთა ხელყოფის უფლება არავისა აქვს. ასე რომ, იარაღით ჩარევა იმთავითვე გამორიცხული იყო.

– სანამ შიმშილს გამოაცხადებდი, მანამ ჩაგერეოდა. იარაღს თავი დავანებოთ, ჯარსაც. უბრალოდ, წესრიგის დაცვის სამსახურში ვარ და არ გაძლევ მთავარ პროსპექტზე მთავრობის სასახლის წინ ხალხის შეკრებისა და ჯდომის უფლებას. ამის გამართლება ათასნაირად შეიძლება – სულ უბრალო რამ; საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობას ხელს უშლი, ან სახანძრო უშიშროებისათვის საფრთხეს წარმოადგენ.

– რასაკვირველია, შეიძლებოდა ასე მომხდარიყო. თუმცა ფართო საზოგადოების სურვილის საწინააღმდეგო ქმედება იქნებოდა.

– მაგრამ არა ისეთი, რომ წესრიგის დამცველთათვის დანაშაულად ჩაგეთვალა. თქვენივე უსაფრთხოების, თქვენივე ინტერესებიდან გამომდინარე ვაკეთებთ ამასო, გვეტყოდნენ.

– უკეთესია ვილაპარაკოთ არა იმაზე, რაც შეიძლებოდა მომხდარიყო, არამედ იმაზე, რაც მოხდა. ჩვენ უდიდესი მორალური გამარჯვება მოვიპოვეთ. ხოლო გამარჯვებულებს, მოგეხსენება არ ასამართლებენ.

– იცი, რა მინდა გითხრა? არსებობდა-მეთქი სხვა ძალაც, ამ გმირობაში ხელი რომ მოგვიმართა.

– უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით; სამსახურებრივად ხელის შეშლა ევალებოდა, მაგრამ ხელი არ შეგვიშალა.

– ოღონდაც.

– რა თქმა უნდა. სწორედ იმიტომ ჰქვია ამ მოძრაობას „სახალხო“, რომ გულგრილი არავინ დარჩენილა. მე ბევრი ფუნქციონერი ვიცი, სიამოვნებით რომ გამიცვლიდა ადგილს, რომ დავთანხმდე. ერის მომავლისთვის ბრძოლაში დევნა-შევიწროვების, დასმენა-ცილისწამებით სავსე დღეები უფრო მეტ სულიერ კმაყოფილებას ანიჭებს კაცს, ვიდრე დანგრევის პირას მისული იმპერიის სასთუმალთან ჯდომა, თუნდაც ოქროს პალატაში. მარცხნივ არ მიიხედო, ჩვენი საუბრით უკვე დაინტერესდნენ.

– ვიცი. ყურადღება არ მიაქციო. შენ ეს მითხარი, ხვალ რას აპირებთ?

– კონკრეტულად ხვალ, თუ საერთოდ „ხვალ“?

– საერთოდაც და კონკრეტულადაც.

– კონკრეტულად ხვალ სახალხო ფრონტის შეკრებაზე შიმშილობის შედეგების შეჯამებაა. საერთოდ მოძრაობა, ალბათ, თავისი აღმავალი გზით ივლის, სანამ იმ სანუკვარ, საბოლოო მიზანს მივაღწევდეთ.

– ვიღაცამ მითხრა, სამში მიტინგს აპირებენო.

– შეიძლება. მე ჯერჯერობით არაფერი ვიცი.

– ხომ გჯერა ჩემი, ზაზა?

– ეგ შეკითხვა ძალიან დაგვიანებულია.

– ჰოდა, ძალიან გთხოვ, მოქაქანე-მომიტინგეებად ნუ გადავიქცევით, ახლა საქმეზე გადასვლის დროა.

– საქმეში რას გულისხმობ?

– ერის მობილიზება-გაღვიძების ეტაპი დასრულდა. ახლა

ბრძოლის ფორმა და ტაქტიკა უნდა შევიცვალოთ. როცა მოძრაობა შტამპად იქცევა, იგი უფერულდება და კვდება. თქვენ რომ მოუმზადებელ, სტიქიურ მიტინგებს ატარებთ, ისეთ მიტინგებზე ხუთჯერ მოვა კაცი და მეექვსეჯერ აღარ. ინტერესს დაკარგავს. ღმერთმა ნუ ქნას, შიმშილობის გამეორება მოგივიდეთ თავში. ამით ოცდასამ-ოცდაცხრა ნოემბრის ჰეროიკასაც ხაზს გადაუსვამთ და გმირებად კი არა, ახირებულ, ბუტია, უმწიფარა პოლიტიკურ ბალღებად გამოგვაცხადებს ისტორია.

– მაგრამ ბრძოლის ამ ფორმამ – შიმშილობამ სკეპტიკოსებს რომ უკიდურეს და საშიშ ფორმად მიაჩნდათ, ჩვენ განსაცვიფრებელი გამარჯვება მოგვიტანა. ხომ გჯერა, რომ ჩვენი პროტესტის გამოძახილიცაა 108-ე და 119-ე მუხლების შეცვლა კონსტიტუციაში.

– მჯერა, მაგრამ ჯერ ერთი, პრეზიდიუმმა სესიამდე შეცვალა პროექტი და მეორეც, კოკა წყალს ყოველთვის არ მოიტანს.

– მაინც რას გვთავაზობ, გავჩუმდეთ? მივატოვოთ თონეში ჩაკრული პური?

– ზაზა, ნუ ფიცხობ. შენი მაქსიმალიზმი ამჯერად უადგილოდ მეჩვენება. ხომ იცი, არც ერთი ჩვენგანი და არც თუნდა მთელი კონსტიტუციის შეცვლა არა ღირს, თუნდაც ერთი ბავშვის სიცოცხლედ. ხოლო ის ბავშვები სიკვდილთან ძალიან ახლოს იყვნენ. რომელ კონსტიტუციურ უფლებებზეა ლაპარაკი, როცა ზედ ყურისძირთან ჩამდგარი ჯარით „გვიცავენ“.

– წარმოიდგინე, რომ ასე ეფიქრა შენს მიერვე წელან ნახსენებ სამას არაგველს, თავისუფლებისათვის ბრძოლას მსხვერპლიც მოჰყვება. აბა, როგორ გინდა.

– ზაზა ჩვენ მსხვერპლი უკვე გავიღეთ. ახლა ბრძოლის სხვა ფორმებზე გადავიდეთ. დამიჯერე, თუ ძმა ხარ, არ ისარგებლო იმით, რომ შენს დაძახილზე ათასები იკრიბებიან. საკმარისია მოწოდებებით დამუხტულ მიტინგზე შენდაუნებურად ვინმემ სიტყვის ასანთს გაჰკრას, ხალხს

რაიმე შესძახოს და მშვიდობიანი „თათბირი“ უმართავ ბრ-ბოდ იქცევა.

– ნუ გეშინია. მე ბავშვი არა ვარ და არც ისე სისხლიან-თავქარიანი ლიდერი ვარ, სხვებს რომ ჰგონიათ. შენს სი-ტყვებში შემკრთალი კაცის ინტონაცია მესმის. შენგან სწორე გითხრა, არ ველოდი. ხომ ხედავ, რამოდენა ანგარიშს გვი-წევენ. ბევრი „ამხანაგი“ უკვე ჩავაგდეთ უჯარო გენერლის მდგომარეობაში. თავიანთი „აქტივის“ შესაკრებად ცხრაჯერ დარეკვა და მოსაწვევ-თხოვნების ბეჭდვა უხდებათ. მაშინ, როცა პრესა მათ ხელშია და ყველაფერი. ჩვენ კი ერთს ვიტყ-ვით და მთელი საქართველო ჩვენკენ მოიხედავს.

– სწორედ ამიტომ მინდა გაგიფრთხილდეთ. პოპულარო-ბის მოპოვება ამ სიტუაციაში ძნელი არ არის, მაგრამ ხალხის ნდობის დაკარგვაც იოლია.

– ვიცი, უკვე მუშაობენ იმაზე, რომ ერის დამღუპველებად, სახელის შოვნის სურვილით ანთებულ, ერთმანეთსდარეულ პოლიტიკანებად გამოგვაცხადონ, მაგრამ ღმერთმა ხომ იცის, რომ ასე არ არის. ჩვენ ალღო სწორად ავუღეთ ისტორიულ პროცესს. როცა ეგონათ, რომ ტელევიზორთან მიმჯდარი, დაღლილი, გაყუჩული ერი პრაქტიციზმში ჩაეფლო და ილიას ანდერძი დაივიწყაო, ჩვენ დავამტკიცეთ, რომ საქართველოს არ სძინავს.

– დიდი მადლობა ამისათვის, მაგრამ რატომ არ გინდა დამიჯერო, რომ ამ ეტაპზე კავშირიდან გასვლისთვის აქტი-ური მეცადინეობა ქარის წისქვილებთან ბრძოლის ტოლფასია?

– ეგ შენი აზრია.

– შენ ისტორია ჩემზე კარგად იცი და იქნებ გაიხსენო, რა დღეში ჩააგდეს დამოუკიდებელი საქართველო გარეშე მტრებმა რუსეთის იმპერიის დანგრევის მეორე დღესვე. თურქს „შინაურმაც“ აუბა მხარი. საქართველოს დაშნაკთა სომხეთმაც კი ომი გამოუცხადა.

– ახლა სხვა დროა. შენ რა, შენც იმათ მხარესა ხარ, ვინც უტიფრად ამტკიცებს, საქართველოს დამოუკიდებლად არსე-ბობა არ შეუძლიაო?

– დამოუკიდებლობა, ჩემო ზაზა, ყველა ერის სანუკვარი ოცნებაა, მაგრამ საბანი როგორც გაგწვდება, ისე უნდა დაიხურო. კოღო სპილოს მხოლოდ იგავ-არაკში ამარცხებს. როცა სპილო მობერდება და სიკვდილის პირას დადგება, კოღომ სწორედ მაშინ უნდა იმარჯვოს.

– არ გეჩვენება, რომ სპილო დაბერდა?

– ყოველ შემთხვევაში ისე არა, კოღოს დასჯა ვერ შეძლოს, თუ მოინდომა.

– ყველაფერი კანონზომიერად ხდება. ჩვენ ამ ბრძოლაში მარტო არა ვართ. სამასი მილიონიდან ორას ოთხმოცდათხუთმეტს აღარ შეუძლია ძველებურად ცხოვრება. ეს იმას ნიშნავს, რომ ის ორას ოთხმოცდათხუთმეტი მილიონი ჩვენს მხარეზეა.

– მაგრამ მათ სხვა პრობლემები აწუხებთ. ხომ ნახე, ახალი კონსტიტუციისთვის ბრძოლაში ჩვენ გვერდით მხოლოდ ერთი ციცქნა რესპუბლიკები – ლიტვა, ლატვია, ესტონეთი და სომხეთი აღმოჩნდნენ.

– განა მხოლოდ კონსტიტუციისათვის ბრძოლაა ის გრანდიოზული მოძრაობა, მთელ იმპერიას რომ მოედო. შენ გგონია, ბელორუსიას არ აწუხებს, რომ მინსკში მხოლოდ ერთადერთი ბელორუსული სკოლა დარჩა? ან შენ ფიქრობ, უკრაინა ძალიან კმაყოფილია თავისი ბედით? ორმოცმილიონიან ქვეყანას მოსკოვის ნების გარეშე ხელის განძრევა და საზღვარგარეთ თავისი დელეგაციის გაგზავნა რომ არ შეუძლია, შენ ფიქრობ, ეკლად არ ესობა გულზე? ჯერ არც თვით რუსეთია დალხინებული-კმაყოფილი. საღად მოაზროვნე რუს ინტელიგენციასაც მოსწყინდა ქარაფშუტული ექსპერიმენტების და კუდმოკვეცილი თავისუფლების ამარა ცხოვრება. მობეზრდა უფროსი ძმის არცთუ იოლი მუნდირი. ასე რომ, უკეთესი მომავლისათვის ბრძოლაში ჩვენ, ყველანი ერთადა ვართ.

– არ გეჩვენება, რომ ასეთი საუბარი ერთხელ უკვე შედგა ჩვენი საუკუნის დასაწყისში? სოციალ-დემოკრატებსა და ილიას შორის უთანხმოების თავი და თავი სწორედ ეგ იყო.

– ალბათ ისტორიის გაკვეთილები მეორდება.

– მაგრამ ახლა სხვა დროა და ჩვენი ვალია სისხლისღვრა ავაცდინოთ ისედაც ფერგალეულ ქართველს.

– მაინც როგორ გინდა ვარდის უეკლოდ კრეფა?

– ორ ეტაპად უნდა ჩატარდეს ჩვენი სახალხო მოძრაობა: საქართველოს ენობრივ-ეთნოგრაფიული გაძლიერების (გამრავლებისა და მოჭარბებული სტუმრებისაგან გაწმენდის) და შემდეგ თვითდაფინანსების არხებით პოლიტიკურ-ეკონომიური თავისუფლების მოპოვების ეტაპებად. რაც შეეხება რუსეთთან ურთიერთობას, მე ვფიქრობ, იგი შეიძლება დიდხანს დარჩეს იმ საწყისებზე, რაც ერეკლე მეფემ შესთავაზა დიდ რუსეთს გეორგიევსკის ტრაქტატის სახით. ჩვენი გეოგრაფიული მდებარეობა და საქართველოსკენ მუშტრის თვალით დამიზნებული თურქულ-ირანული მზერა არ გვაძლევს იმის საშუალებას, რომ როგორც ჩვენი წინაპრები იტყოდნენ, მართლმორწმუნე რუსეთს გამოვეცალოთ.

– ნუთუ იმისთვის ჩამოვჯექით აქ მე და შენ, რომ ძველთაძველი ისტორიული გალობა მომესმინა შენგან? ერს თავისუფლება სწყურია და ჩვენ ერის გულისთქმას უნდა მივყვეთ.

– ერის ჯანსაღ გულისთქმას! რატომ გგონია, რომ ერის მესიად შენ მოგავლინა განგებამ?

– მე არაფერი მგონია, მე ერთი ჯარისკაცი ვარ და ჭირივით მძულს ლიდერის გვირგვინი. ჩვენს ძნელ დროში იგი მით უფრო დამღუპველია. ჩვენ ხომ მთავრობის დაუხმარებლადაც მშვენივრად ვახერხებთ, რომ ერთმანეთი არ ვაილიაჭავჭავაძეოთ.

– უნდა შევიკრიბოთ და წყნარად, დალაგებულად ყოველგვარი მიტინგების და ბღავილის გარეშე უნდა შევიმუშაოთ ერის სახვალიო პროგრამა. დაბნეულებს ვგავართ, ზაზა.

– მაგრამ უფრო დაწყობილად არც ისინი ჩანან, თავიანთი რბილი სავარძლებიდან კრაზანებივით რომ იკბინებიან, ტრიბუნებიდან თვალებს გვიბრიალებენ, გვაშინებენ და საზიზღარ ჭორებს ავრცელებენ, სახალხო მოძრაობას სახელი რომ გაუტეხონ.

წამოდგა. სვანური ქუდი თასივით დაიჭირა ხელში, ჩახედა და თავზე ჩამოიმხო.

– წავალ, თორემ დამეტანჯა ფეხზე დგომით ჩემი „მცველი“.

– ხვალ დაგირეკავ, – დავაწიე.

– დარეკე. გვიან ღამით. ტელეფონში ბევრი არ მელაპარაკო. ნახვამდის!

– ღმერთია ჩვენსკენ.

მოსასხამის ჯიბეში ხელებჩაწყობილი ჩქარი ნაბიჯით დაადგა პროსპექტს. ბავშვობაში უფრო წყნარად, ლამის უდარდელი კაცის ნაბიჯებით დადიოდა. სიარულის მანერაც როგორ შეცვლია.

უნივერსიტეტის გუმბათს მიფარებული მზე სხივებს მაღლა, ლურჯი ზეცისკენ ისროდა.

კაცნი

ჩვენი სოფელი ჯერ ისედაც არ უქნია ღმერთს და ზამთარში მთლად ჩაკვდა: საქმე არაფერი, დამლაპარაკებელი არავინ დილიდან საღამომდე რადიოს ხომ არ მიუჯდები.

მოწყენილობისაგან ლამის ჭკუიდან შევიშალო.

სანადიროდ მე აღარ დავდივარ, მუხლები არ მივარგა. კაცმა რომ თქვას, არც ახალგაზრდობაში ვყოფილვარ ნადირობის დიდი ტრფიალი.

ადექი ამ გაყინულ სახლში დილით, შეშა დაჩეხე, წყალი მოზიდე, ძროხას ჩალა დაუყარე და მიუჯექი ბუხარს. მკერდი გაგითბება, ზურგში გცივა; შემობრუნდები, ახლა ზურგი გაგითბება – ცხვირს წაგყინავს.

მიაჩერდები ფანჯარას და გულს გაგიწყალებს გაქვავებული სურათი – ატალახებული შუკა საქონლის ჩლიქებით დაღარულ-დაკვალული.

თავს გაყოფ სამზადიდან და საქონლის სკორეს სუნი გეცემა ცხვირში.

ძაღლს კეტი რომ ურტყა, გარეთ ვერ გააგდებ, მიგდებულია ბუხართან და ძინავს. არაფრის ჯავრი არ აწუხებს, ჭადის ნატეხს თუ გადაუგდებ, უხალისოდ წასწვდება, თუ არა და არც ამაზე მოიკლავს თავს.

რა ლამაზად ხატავენ კინოში ამ გაუთავებელ იმერულ ზამთარს, ვითომ ტუჩმოტეხილი დოქი გვერდზე, ვითომ ბუხართან შეკრებილი მეზობლები. ღადარს მიფიცხებული ჭადი და „ჩარირამა“. კარგი, ჩემო ბატონო! ეს, ვთქვათ, ერთხელ, ორჯერ, გუშინწინ, ორი კვირის წინ. მაგრამ ყოველდღე? ყოველდღე ცივი ჭადი, ჭვარტლიანი ბუხარი, სამი დღის ლობიო და მოწყენილობა, მომთენთავი, დამღლელი, მწარე ფიქრების ამშლელი მოწყენილობა.

ვის სცალია შენთვის, ვის ახსოვხარ შენ! ყველა თავის კერასთან თვლემს და გარეთ გასვლა ეზარება.

სადაა სტუმარი, სადაა მომსვლელი. თუ როგორმე დააღამე, გათენება არ გინდა? ქვეყნის ღამე ჩამოდის.

მიინავლა ბუხარი. გეზარება გარეთ გასვლა და შეშის შემოტანა. ჩაგეძინება ბუხართან. მხრებში ჩაფრენილი სიცივე გამოგაღვიძებს. აგაკანკალებს. ლოგინისკენ იცქირები. სიბრაზე გახრჩობს.

რა დედმამისშვილია, რომ შენზე ადრე დაწვეს და ლოგინი გაგითბოს. ლამპას მიმჯდარი გაყინულ მწვანილს არჩევს. რა შეწვება ახლა ამ გაყინულ ლოგინში. ისე დაღამდება, ცოლს სიტყვას არ ეტყვი.

რა უნდა უთხრა, რაზე უნდა ელაპარაკო. რა ახალჯვარდაწერილი ჩვენ ვართ. ორმოცი წელიწადია ვღეჭავთ ერთმანეთს. რა უნდა მითხრას ახალი. ყველაფერი ვიცით, ყველაფერი ნათელია.

ჩაიბარა ეს დღეც უფალმა. რა შეიცვალა მერე? რიბირაბოზე ისევ ადექი. შეშა დაჩეხე, წყალი მოზიდე, ძროხას ჩალა დაუყარე და მიუჯექი ბუხარს. თუთუნის ხრჩოლება და ხველება მომკლავს, სხვა არაფერი.

შუაღამისას ძაღლის წკმუტუნმა გამომაღვიძა. ბუხართან მიგვრჩენია წუხელის და გარეთ გაშვებას მთხოვს.

გავსკდი გულზე. არ გინდა ახლა თავიდან დაძინება? წავყავი ფეხი კალოშებში და მივფშლატუნდი კარებთან. ძაღლი უკანმოუხედავად გავარდა გარეთ. კარს ურდულს ვუყრი და რაღაცამ დამაქნია. წავბარბაცდი. ე, ნამდვილად წნევამ ამიწია-მეთქი. ისევ დამანჯღრია რაღაცამ. თითქოს იატაკი ირყევა და ჰაერში ვრჩები. აჩაბაჩად მივედი საწოლთან. ჩემი პელაგია საწოლზე წამომჯდარა და მომჩერებია.

– გეიგე რამე?!

– რა გინდა, ქალო? – ფეხებით საბანს ვისწორებ.

– არაფერი გაგიგია?

– რისას მეკითხები?

– ახლა, ამ წუთას, არაფერი შეგიმჩნევია?

– არაფერი, – არ მინდა წნევის ამბავი ვუთხრა. შეწუხდება, აქოთქოთდება და მაინც ვერაფერს მიშველის.

– ნამდვილად მიწისძვრა იყო. ლოგინი გააქან-გამოაქანა რაღაცამ.

– დაიძინე, ქალო, დაიძინე, სიზმარს ნახავდი, ან გლახათ გედებოდა თავი ბალიშზე.

ამის თქმა და ერთი იმნარი ამოარტყა მიწას ქვევიდან რაღაცამ, რომ ორივენი იატაკზე აღმოვჩნდით.

სახლი ზანზარებს, ქანაობს, ირწევა, თითქოს შემოტრიალდა და თავქვე ეშვება, თითქოს წარღვნამ გაგვიტაცა და სახლიანად მიგვაქანებს.

შიშს დიდი თვალები აქვს. ფეხზე ადგომა ვცადე, მაგრამ მუხლები მომეკვეთა. სარკე წკრიალით დაიფშვნა. თაროებიდან ჯამ-ჭურჭელი გადმოცვივდა. პელაგიამ სიბნელეში მომძებნა და განწირულივით მეხუტება, ვითომ მე რამეს ვუშველიდე.

ეს ყველაფერი თვალის დახამხამებაში მოხდა. კედლები, რომ დაწყნარდა, ბუხრის თავზე ხელის ფათურით მოვძებნე ჭრაქი, ახლა შემოვიდა ჩემს ყურებში საქონლის ბღავილი და სოფლიდან კანტიკუნტი სროლის ხმა.

ჩავიცვით თბილად და ეზოში გამოვცვივდით.

სოფელში აქა-იქ სინათლე დაჩნდა.

– ეეეიი!

– რომელი ხარ?!

– მინაგო ვარ, მინაგო, გესმით ჩემიი?!

– კიეე!

– რავა ხართ, ტიტე? ხომ მშვიდობაა თქვენკენ?

– კიეე!

– ხვარ შეგეშინდათ!

– პელაგია შემიშინდა ცოტა, ასლოკინებს!

– რა ძალა ქონია ამ უპატრონოს!

– აბა, აბა, რაღმე არ გაგვაფრინა ჰაერში?!

– შედით, დეიძინეთ, ნუ გეშინიათ, მეტი არ იქნება!

– რა იცი, მინაგო, რა იცი! არ ამოგვრეჯგვოს სახლში ჭუკივით!

– შედით, არ გაცივდეთ! მეტი არ იქნება, ვიცი მე!

მინაგოოს ოდაში სინათლე ჩაქრა. მე და პელაგიამ ერთხანს ვიარეთ ეზოში, მაგრამ ფეხის თითები წაგვყინა და სახლს მივაშურეთ, დაძინებით კი, აბა, რა დაგვაძინებდა. თან გადავყევით, ძაღლი შინ ვერ შემოვიტყუეთ.

მიწისძვრა მართლაც არ განმეორებულა, მაგრამ ერთხელ ცოტა შიში ვჭამეთ?

სამოცი წლის მოვიყარე და ამ ჩემს კუთხეში მიწისძვრა მე არ მახსოვს. ეს რა ვაი უშველებელი ყოფილა, ჩემო ბატონო, რა აქანავებს ამხელა სახლს, ამხელა სოფელს თავისი საქონსაყოლიანად ნაფოტივით? კიდევ კარგი ზევით-ქვევით ირწეოდა მიწა, თორემ სიგანეზე რომ განძრეულიყო, რა კედლები გაუძლებდა.

ინათა თუ არა, ჯერ სახლს შემოვურბინე, ბზარი ხომ არ გაუჩნდა კედლებს-მეთქი. გადავრჩენილვართ. მერე საქონელს მივაშურე, აქაც მშვიდობაა. საქონლისთვის ქვეყნის დანგრევა ჩალას და ქატოს რომ შეუწყვეტენ, მაშინ იწყება. დგანან აქოთებულ ბაგაზე და ხელებში მომჩერებიან, ვითომც არაფერი მომხდარიყოს. ვითომ იმ გადარეულმა ძალამ, მიწის გულში, მარტო ჩვენთვის, ადამიანებისათვის გაიარა.

თოვლგარეულად წვიმს. თოვლის დამძიმებული ფიფქი ზოლივით გაკრთება წვიმაში და დამბალ მიწაზე დაცემისთანავე ქრება. თოვლ-წვიმა გულს მირევს. რომ მოთოვოს, უკეთესია, სხვანაირი იერი დაედება გარემოს.

– გესმის?

– ჰო!

ლაფაროში მინაგო მოჭყლაპუნობს.

– ხომ არაფერია? გამარჯობა!

– არაფერი. გაგიმარჯოს! შენთან?

– ძაან გადავრჩით. შაქროია ხარაბაძის სახლი დოუნგრევია.

– მერე?! – წავხდი კაცი.

– გამოუსწრიათ კარში. პირველად რომ დაარტყა, წამოუყრია ბავშვები შაქროიას და გარეთ გამოვარდნილა. მგონი, ცოლი დაშავებულა პატარაზე. ისე, მსუბუქად.

– უჰ, ასე თუა კაი. შე კაცო, რაღაი გადარჩნენ...

– რაკი ერთხელ მოსინჯა, რომ არ გაიმეოროს არ იქნება. მაშინ, ვინ იცის, რას გვიზამს!

– აბა, რას ბღაოდი წუხელის, მეტი არ იქნებაო?

– რა მექნა აბა. რაღა გარეთ გაყინულხარ და რაღა მიწისძვრას დაუმარხიხარ ცოცხლად. გაღვიძებს, განჯღრევს, ეს ოხერი, თორემ ძილში რომ გეიპარო, მაგას რა სჯობია.

– ნუ იცინი, შე სულელო, ყველაფერზე.

– რა ვქნა აბა?! – გადმოყარა ღოჯები და ხითხითებს.

რეზინის ჩექმები ჩავიცვი. თავზე გაკეცილი ტომარა ჩამოვიცვი და ალაგეს გადავაბიჯე.

– ასე დავეშვათ, მოკლეზე.

– ტალახია, დავისვრებით.

– წამოი, წამოი, ახალ გზაზე უარესია. ხრეში თუ არ დავაყრევინეთ, მანქანა კი არა ურემი ვერ ივლის ამ აღმართზე.

შაქროია ფერდობზე ცხოვრობს, წყლის პირას, ხევში. ეზო კაიხელა აქვს, მაგრამ რად გინდა: სწორი ადგილი არაა. ამ ოღროჩოღროს რანაირად ამუშავებს, მიკვირს პირდაპირ, ძმასთან ჩხუბი მოუვიდა და შარშანწინ გადმოსახლდა აქეთ. ეს სახლი სიმამრმა აჩუქა. ღვთის წინაშე, გვარიანად დაძველებული სახლი კი იყო. ძლივს გამართეს. ძველი სახლის გადმოტანას და აწყობას რომ ხარჯი უნდა, მე და ჩემმა ღმერთმა, იმ ფასად ახალსაც კი გააკეთებ. გეცოდინება მაინც რა არის და უფრო დაიმედებულად იცხოვრებ კაცი შიგ.

აქ მთავარ საქმეს უკვე მორჩენილან. რაც მიწისძვრამ დააკლო, მეზობლებს მოუთავებიათ. დაუშლიათ შაქროიას სახლი და ნაწილ-ნაწილად დაუწყვიათ ეზოში.

ქალები ბარგი-ბარხანას სამზადი სახლისკენ ეზიდებიან. ყავრით დახურული ახალი სამზადი უდგას შაქროიას. პატარა ხანს არ უშავს. იცხოვრებს კაცი. ვითომ წავუკარით ხელი ჩვენც და კაკლის ხის ქვეშ სახერხი გავმართეთ.

ათამდე კაცი ვტრიალებთ,. დღეს რაღას მოვასწრებთ და ხვალიდან შევუდგებით საქმეს. ახლა მოიცალა შაქროიამ ჩვენთვის. კაკლის ხის ქვეშ შეჯგუფებულებს მოგვიახლოვდა

და იცინის. ხომ არ გააფრინა, ნეტავი ამ უბედურმა, სახლი დაენგრა და იცინის.

– რა გაცინებს, ბიჭო შენ? – შევაგებე გულმოსულმა.

– ტიტე ბიძია, ამხელა სოფელში ახლა ერთი კაცი მაინც ხომ იქნება, ვისაც გაეხარდებოდა ჩემი ამბავი. არ უნდა ამას ლაპარაკი, იქნება, სოფელი მისია, რომ უნდა იქნეს. ჰოდა, იმ კაცისთვის ვიცინი. იმის გულსახეთქად ვიცინი. აბა ვიტირო და ვითავცემო?! რას ვუშველი ამით? სატირლად მეექცა საქმე ჩვენს დამაწყევარს. რა მჭირს სატირალი. ჩემს ცოლს კრამიტი დაეცა ზურგში და ცოტა შემიწუხდა, თვარა სხვა მხრივ სუფთად გადავრჩით. ისიც არ მოხდებოდა, რომ ჩემი გაეგონა, გადი, ქალო, გაასწარი გარეთ-თქვა, ატატებული მყავს ორი ბავშვი გულზე. სანამ არ მიალაგა ყველაფერი, სანამ არ შეიკრა ბოტები და მგონია სარკეშიც ქე ჩეიხედა, არ გამოადგა ფეხი. ვდგავარ გარეთ და ვუყვირი. ბავშვები ვერ მივატოვე, თორემ გამოვაგდებდი გარეთ. მიწისძვრა შენ დაგიცდის? გამოყო თავი და დურთა კრამიტი გამჩენმა ზურგზე. მაშინ ქე იკადრა გამოქცევა.

ისე გემრიელად და ხალისიანად ჰყვება შაქროია, რომ მკვდარს გააცინებს. მივედით მეზობლები სახლდანგრეულ კაცთან სანუგეშებლად, გასამხნევებლად. ვის უნდა შენი დაიმედება. ხარაბაძისანები მშვენიერ გუნებაზე არიან. ღმერთმა ხელი მოუმართოთ.

მეორე დღეს უთენია დავადექით თავზე შაქროიას. მე და მინაგომ ორი ათმეტრიანი ლარძაყინი ჩავუტანეთ. სამი წლის გამხმარი ლარძაყინი. ტყეში ვინახავდით მოჩუმათებულ, გადახურულ ადგილზე. ასე სხვებმაც. ყველამ რაღაცით წააშველა ხელი.

მტერს შეაქცია ზურგი სოფელმა ასეთ გასაჭირში. ზოგმა ფიცარი მოიყოლა, ზოგმა საბოძე მორები. ვიქაქანეთ, ვილაპარაკეთ, ავწონეთ, დავწონეთ, რაც გამოსაცვლელია გამოვუცვლით, რაც დასამატებელია დავამატებთ და გავჭიმავთ სახლს.

გამიჩნდა საქმე, გავცოცხლდი კაცი. მარტო ის რად ღირს, ბუხართან რომ არ ვგდივარ და არ ვიპურჭყები.

მესამე დღეა შაქროიას მუშები ვართ. ორი დღის საქმე გვრჩება. მარტოობა ალპობს კაცს.

ამას რამე სჯობია? ერთად ვართ. საქმეს ვაკეთებთ, კაცს ვშველით. მოღამებულზე სუფრას გაგვიშლის ჩვენი დიასახლისი. საჭმელსაც სხვა გემო მიეცა. პატარა სამკოკიან ჭურს შაქროიას მარანში კაი ხანია ძირი მოვუძებნეთ. ყოველ ღამე შეჭიკჭიკებულები ვბრუნდებით შინ. ვერც კი ვგებულობთ, როგორ ღამდება და როგორ თენდება. ახლა სალაპარაკო? რა გამოულევს ჩვენს ბიჭებს საგლახაოს და საქილიკოს. ამ დალოცვილმა მიწისძვრამ მაინც გამოულეველი განძი დაგვიტოვა ერთმანეთის გასაკილავი. ჩემდა ჭირად მოვყევი (ყველამ თავისი მოყვა), მე და პელაგია იატაკზე ვეხუტებოდით ერთმანეთს შიშისაგან-მეთქი. დაიხვიეს ეს ამბავი ხელზე. მინაგოს შენ გააჩუმებ? მორღვეული აქვს პირი ძველი კალოშივით. ტიტე ბიძია, სული ნუ წაგიწყდება, რა მომენტში მოგისწრო მიწისძვრამო. შენ თუ პატიოსანი კაცი ხარ, იატაკზე რაღა ერთად გადმოცვივდით ორივენიო. ქვევით შენ იყავი თუ პელაგია იყოვო. ამნაირი წაბილწული ენა აქვს. მაშინვე უკუღმართობას გაიფიქრებს. ეშმაკის აწყობილი აქვს თავი. გადაშენდი იქით-მეთქი, ერთი ორჯერ დავუკრაჭუნე კბილები, მაგრამ რაც უფრო მოვიყვანე გული, დაიფხრიწენ სიცილით ბიჭები და მეც გავყუჩდი ბოლოს. რა ვქნა ახლა, იცინონ და იყვნენ. მოწყინდებათ და გაჩუმდებიან.

...ეს ორი კვირაა შაქროიას სახლს მოვრჩით და ისევ მომძებნა მარტოობამ. ისევ გაუთავებელი ღამე. ისევ შეშა და ჩალა, ძილად მიგდებული ძაღლი და ბუხარი. ისევ ჩემი, გამოულეველი საქმისგან დამუნჯებული დედაბერი.

მოთოვა, როგორც იქნა, დაადგა საშველი.

ერთი-ორჯერ მაგრად გაყინა. საძირკველი გაუმაგრა თოვლს და მერე დაიწყო. მთელი დღე ბალღივით ფანჯარასთან ვდგავარ, არ გადაიღოს-მეთქი, ითოვა მთელი დღე.

დილით, თოვლის სიმაღლემ ცოტა შემაფიქრიანა. კიბე დაუფარავს და ზედ აივანზე ამოსულა თოვლი. წვრილად თოვს, ღერღილივით, მაგრამ ხვავრიელად. ჭას ერთ მტკაველზე

მოუჩანს ხუფი. ესე იგი მეტრ-ნახევარი მაინც იქნება თოვლი. ჯერ, პირველ რიგში, ჩეჩმამდე უნდა გავკვალო. ტყაპუჭი მოვისხი და თოვლის საწმენდი მოვძებნე.

– ჯერ კაი მეზობლის ჭიშკრამდე უნდა გავკვალო, ტიტე ბიძია, – ალაგეს მოდგომია მინაგო, – ხომ არ გეშლება შენ მაგი? გამარჯობა!

– სწორი ხარ, მარა პირველი საქმე ჩეჩმაა მაინც, – ვიცინი მე, – გაგიმარჯოს!

– კარგად დაუდვია.

– კი კარგად. მძიმე თოვლია. ჯერ კიდევ დაამატებს.

– მძიმეა აბა, დამაწყვიტა მკლავები. იპოლიტეს ბიჭმა გაიარა ახლა ოჩოფეხებით და შალიკონა ხაბურზანიას ჭერი ჩაუქცევია თოვლსო, მითხრა. არ ვიცი, ტყუილია, მართალია.

– როდისო?

– წუხელის.

– მოიხურე აბა რამე და ჩავაკითხოთ. ვნახოთ რაშია საქმე.

ერიჰაა! ეს რა გემართება, ტიტე! ჩემი თავი დავიჭირე იმაში, რომ გულის სიღრმეში თითქოს გამეხარდა შალიკო ხაბურზანიას სახლის სახურავის დანგრევა.

რა არის ეს? სიბერე? უსაქმობის ტკივილი? ჩავალთ, ახლა ერთ სამ დღეს შალიკოსთან წავიმუშავებთ, ერთად ვიქნებით, გულს გადავაყოლებთ, გევიცინ-გამოვიცინებთ-მეთქი, გამკრა გუნებაში. საქმეა ახლა ეეს? როდიდან ავცეტდი ასე? რა ეშმაკი შემიჯდა ამ ბოლო დროს? ავად ხომ არ ვხდები ნეტავი? სევდა და დარდი არც ვიცოდი რა იყო. რისი მოწყენა, მოსაწყენად ვის ეცალა. ქვიშის მინდორზე გავიჩენდი საქმეს. წლებს მოაქვს ვითომ ეს ყველაფერი, თუ რაღაც სხვა ამბავია ჩემს თავს?

– ჰე, რას შვრები, გელოდები, გავიყინე!

– მე ვერ წამოვალ, შენ წადი, – დაფიქრებით მითხრა მინაგომ და ცას ახედა.

– აა? ჰოო, სულ დამავიწყდა, კარგი, წავედი აბა მე, – ვუთხარი და ოჩოფეხების კვალში ჩავდექი. სულ დამავიწყდა, რომ მინაგო და შალვა უბრად არიან. შარშან შალიკომ

მინაგოს მაკე ღორს თავის ეზოში ფიწალი ესროლა და მკვდარი გოჭები დააყრევინა. საცოდაობა იყო. მე და მინაგო შევესწარით. მორჩა დედა ღორი ამ საშინელ მშობიარობას და თვითონაც დალია სული. ამის მერე მინაგო აღარ ესალმება შალიკოს. არც უჩხუბიათ, სიტყვაც არ უთქვამთ ერთმანეთისთვის. მინაგომ სალამი შეუწყვიტა და ეს ცოტაა?

მართალი უთქვამს იპოლიტეს ბიჭს. შალიკოს ოდის სახურავი მთლიანად ჩაწოლილა. ეტყობა, კოჭები იყო მომპალი და ვეღარ გაუძლო სიმძიმეს.

შალიკო სახურავზე გასულა და კრამიტს თოვლში ყრის. ასე როგორ შეიძლება, კრამიტი ერთმანეთს დააცვივა და დატყდება. ერთი სამი კაცი უნდა დააყენოს კიბეზე და ჩამოწოდებით უნდა ჩამოზიდოს კრამიტი. უცნაური კაცი კია შალიკო, რაც მართალია, მართალია.

ჯერ გამიკვირდა მისი ოჯახის წევრების გარდა, კაციშვილი რომ არ ჭაჭანებდა ეზოში, მაგრამ ალბათ, ჯერ არ გაუგიათ-მეთქი და დაუკითხავად მივაწექი ჭიშკარს. ვერ გავაღე. თოვლი ერთ მხარეს მივახვეტე და მთელი ძალით მივაწექი კარებს. ნახევარზე გავაღე, მაგრამ რას უშველის, მასალა ხომ უნდა მოიტანოს!

არა ბატონო, ცხრა ფილოსოფოსი ვერ დამიმტკიცებს, რომ შალიკო მართალია. ამას ველოდი? კაცია და გუნება, მარა გუნება სიგიჟეს კი არ ნიშნავს. მოვედი კაცი, ნუ გეშინია-მეთქი, ჩემო შალვა, ახლავე სოფელს დავუძახებ, შენ ცოტა ხის მასალა მოაქუჩე, ჩაქუჩ-ლურსმანი მოგვიმზადე და მე ბიჭებს დავუვლი-მეთქი. შენ რა გიჭირს, კედლები მაინც შეგრჩა და შაქროია ხარაბაძის სახლი მიწაზე იყო გასწორებული-მეთქი. რა უნდა მითხრას? უნდა ეთქვა: დიდი მადლობა, ჩემო ტიტე, აგაშენა ღმერთმა, აბა დაუძახე მეზობლებს და მიშველეთ დახურვა, აგრემც ღმერთი გიშველითო. რა მითხრა იცით? – ნუ შეწუხდები ტიტე, სანადო და სამამითადო არაფერი მაქვს მეო. აქ რომ ათი კაცი დაიწყებს ბრაგუნს, უარესად ჩამიქცევენ ჭერსო. ნადის გაკეთებული მე ჯერ არაფერი მინახავსო. რასაც იღლაბუცებენ და გააფუჭებენ, იმისას არაფერს გაგიკეთებე-

ნო. ხალხს სეირის ნახვა და გართობა უნდა და მე ამ ზამთარში კომედიას ვერ მოვაწყობ ამ ჩემს სახურავზეო. ესეც არ იყოს, ქუდი მექუდემ უნდა შეკეროსო. ნადზე მოსული კაცი, ჩაის ჭიქისკენ რომ თვალი უჭირავს, შენს გემოზე გაგიკეთებს, შენს გემოზე გაზომავს და მიგიჭედებს ლურსმანსო? წავალ, მოვიყვან მოხელეს, მივცემ რაცხა ორ კაპიკს და გავაკეთებინებ, ქე მაინც, სამუდამოდო. არც დასამადლებელი მექნება რამე და არც წამოსაყვედრებელიო. ნადი ამხელას რომ გაგიკეთებს, ორ იმდენს ხვალ შენგან მოითხოვსო. ამიტომ ნუ შეიწუხებ თავს, წადი. შენს საქმეს მიხედეო. ა, ასე მითხრა, რას ეტყვი? რაც არ უნდა, ღმერთმა ნუ მისცეს. მაგრამ მე შენ გეკითხები: კაცია ახლა ეეს?

მგელი არ სჯობია ახლა ასეთ კაცს? რამდენჯერ მინახავს: ერთად შეიყრებიან ზამთარში და ყმუიან მშიერი მგლები. მშივრები არიან, კაცო, კუჭი უხმებათ. ერთმანეთს უღრენენ. ერთმანეთის დანახვა არ უნდათ, მაგრამ ერთად არიან. ერთად ყმუიან. გესმის შენ?

* * *

გულამღვრეული მოვარღვევ თოვლს.

რა ჯანდაბამ ამტეხა.

ყველამ თავისი საქმე იკითხოს. სანამ თვითონ არ მოვა კაცი, მიშველეო, ვინ გკითხავს შენ სხვის ეზოში ცხვირის ჩაყოფას.

არა, ჩემო იმანო, ასეც არაა. მტერმა უყურა თავისი ფანჯრიდან მეზობლის ჩანგრეულ ჭერს, მტერმა ირწმუნა – სხვისი ჭირი, ღობეს ჩხირიო... ნადი მარტო გაჭირვებულის დახმარება კი არ არის, ერთად ყოფნაა, კაცო, გესმის შენ ერთად ყოფნის მთელი სილამაზე?

ეზოში ჩამოსვლისთანავე სასიმინდეს დავადგი თვალი და ერთმა აზრმა გამიელვა ღმერთო შეგცოდე, და მართლა ძველია ჩემი სასიმინდე. თოვლმა თუ მოუმატა, ვინ იცის, იქნებ ვერც გაუძლოს და ჩამოწვეს.

გავწყდი წელში. ორ საათში დავცალე სასიმინდე. გოდრით გადავზიდე სიმინდი სამზადში და ჭერზე გავშალე.

პელაგია მიყურებს, მაგრამ ხმას არ იღებს. რაკი ასე ვაკეთებ, იცის პელაგიამ, ესე იგი, ასეა საჭირო. მერე სასიმინდეს ზედ სახურავის ქვეშ მთავარ სარტყელზე კანაფის ახალთახალი თოკი მივაბი. ქურდივით მივიხედ-მოვიხედე, ხომ არავინ მიყურებს-მეთქი, ლაფაროს ამოვეფარე და დავქაჩე. გამიძალიანდა. თვალი დავხუჭე და უფრო მაგრად დავქაჩე.

სასიმინდე ყრუ ხმაურით დაეშვა ძირს.

თოკი ელვის სისწრაფით შევხსენი, დავახვიე და თავის ადგილას დავკიდე. თოვლი გავიბერტყე, ვითომც აქ არაფერიო, ბუხარს მივუჩოჩდი და საჩეჩელზე დახრილ პელაგიას ვეუბნები.

– ცომი მოზილე და საფუარი დააყენე, ჭრელი დედალი და მეორე ფეხწითელა მოჩოთა, კვერცხს რომ არ დებს, არ გამოუშვა ხვალ საქათმიდან. ნადი მეყოლება. ბიჭებს უნდა დოვუძახო, სასიმინდე წოუქცევია თოვლს.

პელაგია ხმას არ იღებს. ესე იგი, ყველაფერი კარგადაა. მიხვდა ნეტავ რამეს პელაგია?

სიკეთე

– პელო დეიდა, მელიტონ ბიძია სახლშია?

– რომელი ხარ?

– ომარი ვარ, სერგო თადუმაძის.

პელომ ვერც სერგო გაიხსენა და, მით უმეტეს, ვერც ომარი, მაგრამ მაინც მოიხურა პალტო. ეზოში ჩამოფლატუნდა, ჭიშკარი გააღო. მის წინ დაბალი, გამხდარი ბიჭი იდგა.

– ხომ მშვიდობაა, შვილო, ამ შუაღამისას?

– მელიტონ ბიძია არაა სახლში? – სევდა გაერია ხმაში სტუმარს.

– სახლშია, აბა სად წავა.

– ძინავს?

– ძინავს ალბათ. ახლა ქე იქნება პირველი საათი. პამიდორს ვხარშავდი და შემიყოლია, თვარა მეც ამ დროს ერთი პირი ძილი მოთავებული მაქვს.

– ხომ ჯანმრთელადაა?

– ისე კი... საერთოდ... და ისე რაღა დროის ჩვენი ჯანმრთელობაა ანი, შვილო. მივაჩოჩიალებთ ჩვენს დღეებს და ვართ.

– გასაჭირი მაქვს პელო დეიდა.

– რა იყო?! – თითქოს გაიკვირვა პელომ, მაგრამ უკვე იცოდა, რა საქმეზე იყო მოსული ღამეული სტუმარი. ამგვარ „გასაჭირზე“ მელიტონ კუხიანიძეს ხშირად აკითხავდნენ და მეარღნის ცოლს უკვე არაერთი კაცი გაუსტუმრებია ზრდილობიანი უარით.

ქალაქის პირველი მეარღნე მელიტონი უკვე ოთხმოცს მიტანებული იყო. მისი არღანი კარგა ხანია აღარ ართობდა მოქეიფეებს.

ხუთი წელი მაინც იქნებოდა, რაც მელიტონს არღნის სახელური არ გადაეტრიალებინა. არღანი ოდესაში სპეცშეკვეთით იყო გაკეთებული ჩვენი საუკუნის ათიან წლებში. ახლა

პელოს მიერ მოქარგულ აბრეშუმის რიდეგადაფარებული, სასტუმრო ოთახში, ტახტზე ყველაზე გამოსაჩენ, ყველაზე საპატიო ადგილას იდო, როგორც ოჯახის ძვირფასი რელიკვია.

დაბერდა მელიტონი, მის მუხლებს აღარ შეეძლო არღნის თრევა, ხოლო ნეკრესის ქარისაგან დამზრალი მკლავები ძველებურად ვეღარ ატრიალებდნენ სახელურს. მოხუცი მეარღნე ძალიან წუხდა, რომ უარს ეუბნებოდა დამპატიჟებელს (იგი მათ მუშტრებს არასოდეს უწოდებდა), მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდა. „წამოვიდოდი, ბიძია, მარა ჩაგაკვდებით ხელში და თქვენც ჩაგამწარებთ პურისჭამას. გინდათ კაცის სიკვდილი? თუ გინდათ, კი ბატონო! ღმერთი, რჯული, აღარ შემიძლია. ძალა არ მყოფნის, თვარა სად წავალ უკეთეს ადგილას, სუფრაზე და ქეიფზე მეძახით, სატირალში ხომ არ მიგყავართ“ – ეტყოდა მელიტონი გაჭირვებულ მთხოვნელს და ჭიშკრამდე ბოდიშ-ბოდიშ მიაცილებდა.

– ცოლს ვთხოულობ, პელო დეიდა. – თავი დახარა მოსულმა.

– როდის? – იკითხა პელომ, მაგრამ ძალიან დაკვირვებული მოსაუბრე თუ მიხვდებოდა, რომ მელიტონის მეუღლეს ამ პატარა სტუმრის ქორწილის თარიღი სრულებითაც არ აინტერესებდა.

– ამაღამ მაქვს ქორწილი.

– გაბედნიეროს, შვილო, ღმერთმა! – დალოცა სტუმარი პელომ და ძალიან უნდოდა გაეხსენებინა, ვინ იყო, ან სად ცხოვრობდა, სერგო თადუმაძე.

სტუმარი თითქოს მიუხვდაო მოხუც დედაკაცს, თავისი ვინაობა თვითონვე გაუმხილა:

– მამაჩემი სერგო თადუმაძე, ფინინსპექტორად რომ მუშაობდა, ქე იცით, თქვენ, პელო დეიდა. იმის ბიჭი ვარ მე – ომარი. ერთი კვირაა ჯარიდან ჩამოვედი და ცოლს ვთხოულობ ამაღამ.

– რავა არ ვიცი, შვილო, მთლად ასე გადაყრუებული კი არა ვარ. – გაეხარდა პელოს, რომ მოსულის ვინაობა გაირკ-

ვა. – მამაშენი ჩვენთანაც რამდენჯერაა ნამყოფი. ხომ მუშაობს იქანა?

ომარს, ეტყობა, ეჩქარებოდა, მაგრამ მაინც ხალისით აკმაყოფილებდა ქალბატონ პელოს ცნობისმოყვარეობას.

– არა. მამაჩემი კაი ხანია პენსიაზეა. არღანი ხომ არ გაგიყიდიათ?

– აბა, ქორწილი გაქვს ამაღამ? – სიტყვა ბანზე აუგდო პელომ, – ხომ თხოულობ კარგს, შენი ოჯახის შესაფერს. კაი იქნება, რად უნდა ამას ლაპარაკი.

– გვანცელაძის გოგოა, ვარდენის. წყალსადენში რომ მუშაობს. ერთ კლასში ვიყავით ჩვენ.

– კარგია, შვილო, კარგია. დროზე ყველაფერი კარგია... უნდა ეწიოთ საქმეს... აბა რაი... – ნაწყვეტ-ნაწყვეტად, დაფიქრებით ამბობდა ქალბატონი პელო და ახლა ვარდენ გვანცელაძის გასახსენებლად ამაოდ ძაბავდა გონებას.

– პელო დეიდა, შენ შემოგევლე, უნდა გამიღვიძო მელიტონ ბიძია.

– რისთვის, პელო დეიდა გენაცვალოს? – უკანასკნელად სცადა საუბრის გადადება პელომ, მაგრამ იგრძნო, რომ მისი შეკითხვა უადგილო იყო. ამ მომენტისათვის აუცილებელი საუბარი გარდაუვალი გახლდათ.

– უნდა წამყვეს, უნდა დამაფასოს და მე ვიცი თქვენი პატივისცემა.

– ვინ უნდა წაგყვეს, შვილო?

– მელიტონ ბიძია. ვიცი, მითხრეს არსად არ დადისო, ტაქსს დავიჭერ და ჩემი ხელით ავუტან არღანს. არ შევაწუხებ. ერთი-ორი პესნა დაატრიალოს. მეტი არ მინდა. მესახელება, ხომ იცი, პელო დეიდა, იტყვიან ქორწილზე მელიტონ კუხიანიძე უკრავდაო. მეტს არ შეგაწუხებთ, არ გეიშვა თქვენი შემწუხებელი.

– შენ არ მომიკვდე, დედა, მეტად... არღანი კი არა, ფეხზე ძლივს დადის. სად შეუძლია ღამის თევა. ახლა რომ მაგი ქორწილზე წამოვიდეს, მღვდელი ზიარებას ვერ მოასწრებს.

– რა ვქნათ აბა? – შეწუხდა სტუმარი.

– უარს რავა გეტყოდით, შვილო, რომ შეეძლოს. მეზობელს კი არა (თუმცა პელომ იქვე გაიფიქრა, კაცმა რომ თქვას, რა მეზობელია, ორ კილომეტრზე ცხოვრობს აქედანო), ათას გადამთიელს წაყოლია და ხუთდღიან ქორწილში აუდგომლად მჯდარა, მაგრამ ის სხვა დრო იყო. მაშინ სხვა შეძლება ჰქონდა.

– ისე წამოვიდეს ტყვილად. არღანი წამოიღოს, ნუ დაუკრავს, პელო დეიდა. – ბოლო ხერხს ჩაებღაუჭა ომარი.

– ვერ წამოვა, შვილო. არაფრით არ გამოვა ეგ საქმე. ვიცი მე, ღამე ერთია და სამჯერ მაინც ვალევინებ ვალერიანის წვეთებს. სულის ხუთქვა აქვს. რა ვქნა, ასეა. ბოდიში მოგვხადე მამაშენთან.

– საბოდიშო რა არის, – თავისთვის ჩაილაპარაკა დაღონებულმა სტუმარმა.

– არ გჯერა ახლა შენ. ვიცი, სხვასაც არ სჯერა. ყველა ასე ამბობს – ტყვილად წამოვიდესო. ახლა კი არა, ხუთი-ექვსი წელი იქნება სახლიდან არ გასულა. ბოლო დროს, ლონგინოზ მეძველიას ძღაბი რომ მოაბრუნეს, მაშინ იყო და რომ მოვიდა, ორი კვირა ფეხზე არ ამდგარა. ლონგინოზის გოგოს ბავშვი სადაცაა სკოლაში წავა.

– რას ვიზამთ, პელო დეიდა. არ მქონია იღბალი და ესაა! – გავაღვიძებ, შვილო, თუ მაინცდამაინც გინდა, მარა იცოდე, ამას გეტყვის ისიც.

– არა, იყოს, პელო დეიდა. ჩემს ქორწილს ხომ არ გადავაყოლებ კაცს. რაც არის არის, კარგად იყავით, – გულდაწყვეტით ჩაილაპარაკა მოსულმა. ცოტა ხანს შეყოვნდა, თითქოს რაღაცის თქმა კიდევ უნდოდა, მერე მიტრიალდა და სიბნელეში ნელა, მოწყენილად გააბიჯა.

– არ გეწყინოს, დეიდა. ბოდიში მოგვხადე მამაშენთან. რა ვქნათ, სიბერემ ასე იცის! – დააწია პელომ, მაგრამ ქუჩაში მიმავალს მისი სიტყვები არ გაუგონია.

პელო ერთხანს იდგა ღია ჭიშკარში. მერე ხეივანში დაკიდებული ნათურა ჩააქრო და კიბეს აუყვა.

გვიანი ზაფხულის გრილი ღამე იყო. ამ დროს ზეწრის ამა-

რა დარჩენილთ შუაღამისას სიცივე აღვიძებთ და საბნებს ეძებენ.

ხანდახან მანქანის სინათლე ეცემოდა შუშაბანდს. წამში გაირბენდა შუქი ოთახებს. ელვის სისწრაფით აეკვრებოდნენ კედელს დიდი, ძველებური ჯაჭვებიანი გერმანული საათის, საკერავი მანქანის და ქოთნის ყვავილების აცეკვებული ჩრდილები. მერე, ცოტა ხანს ყველაფერი წყნარდებოდა. ქუჩის სიმყუდროვეს ხანდახან ძაღლების ყეფა დაარღვევდა. ყეფას მალე მოჰყვებოდა დაგვიანებული მგზავრის ფეხების ბაკაბუკი. საოცარია, დღე, თუ საგანგებოდ არ მიაყურადე, არც კი ისმის ქუჩაში ნაბიჯების ხმა. ღამე როგორ გამოკვეთს ხოლმე, თუნდაც, ფეხისწვერებზე სიარულს. ძაღლები მიაცილებდნენ დაგვიანებულ მგზავრს. თავის ჭიშკართან ჩავლილს ყველა მორიგეობით უყეფდა.

აივანზე თეთრნიფხავპერანგისამარა მელიტონი გამოვიდა. ხელის ფათურით მოძებნა ღილაკი და ეზო გაანათა. „ორმოცი წელიწადია ამაზე მაქვს ლაპარაკი, ორმოცი წელიწადია არ შევიდა ამის თავში, ენთოს, ბატონო, ღამე ეს სინათლე. როგორ შეიძლება სახლის ჩაბნელება. ჩაბნელებული სახლი უპატრონოს ჰგავს. ერთი ნათურა მაინც უნდა ბჟუტავდეს. წამსვლელია, მომსვლელია. თუ გინდა ქუჩაში გაუნათოს გამვლელს. საქმეა ესეც. არა, მაინცდამაინც უნდა ჩააქროს. ტყვილად იწვება დენიო. რას დაწერს ახლა ერთი ნათურისას მთელი ღამე ეს მრიცხველი. არა აქვს და, მოკალი თუ გინდა, ამის მიხვედრა არა აქვს. ამის აზრი არა აქვს“, – ბუტბუტებდა მელიტონი და კიბეზე ატორღიალებულ ძაღლს ფეხით იშორებდა.

– შენ ხარ? – ფანჯარაზე გადმოდგა პელო.

– მე ვარ, ბატონო, მე ვარ.

– ვის ელაპარაკებოდი?

– ჩემს თავს. ძაღლს აჭამე დღეს რამე?

– რავა არ ვაჭამე. მარა ხელუხლებლად უდგას რძეში ჩამბალი პური, არ ეკარება. ხორცი უნდა, მაინცდამაინც რბილად მოხარშული ხორცი და სად გამოვუწერო ამ შუაღამისას!

მელიტონმა კალოშები კუთხეში მიყარა. ფაჩუჩები ჩაიცვა, კარი გადაკეტა და აძიგძიგებული შემოვიდა პელოს ოთახში.

– ეს მაცივებს მე, ეს ფეხსალაგი მაცივებს, მეტი არაფერი.

– რატომ იკლავ მერე თავს. ვინ გეიგონა, შენი ხნის კაცი შუაღამეზე ეზოში ჩადიოდეს, რამდენჯერ დაგიდგი „სუდნო“ ლოგინთან.

– „სუდნოს“ კაცი ვარ, პელო, მე? – სიცილი აუტყდა მელიტონს. – ახლა ქე შემიძლია ჩასვლა რავარცხაა ჯერჯერობით. ფულს თუ რამეს მოვუყარეთ თავი, ფეხსალაგი და აბაზანა უკან უნდა მოვაშენებინო. ასეა ახალ სახლებში ყველგან. რომ გადავხედავ, ჩემი ხნის კაცი არავინ აღარ დადის აბანოში.

– მაგას იძახი, რაც თავი მახსოვს, – ჩაილაპარაკა პელომ და ბალიში გაისწორა, – რანაირად გამაგრდა ეს ოხერი, ეს ბალიშიც ქვასავითაა.

მელიტონი საწოლზე ჩამოუჯდა მეუღლეს და ზურგშექცევით წამლის შუშა გაუწოდა.

– წამისვი ერთი ეს, თუ ქალი ხარ.

– გშველის რამეს?

– აპა, – თავი გააქნია მელიტონმა.

– რას იზელავ ტყვილად მაშინ, თუ არ გშველის, მიდი ბერიძესთან და რამე კარგ წამალს გამოგიწერს.

– ბევრი იცის ბერიძემ. ოცი წელიწადია ეს მხარი მტკივა, რაა ვერ გაიგეს, რა სიკვდილი მიზის ამნაირი შიგ. რევმატიზმიაო – არ აღმოჩნდა, ბატონო, რევმატიზმი. მარილების დაგროვებაოო, არც მარილები აღმოჩნდა. მარჩიელობენ და არიან. ყველა ექიმი თავისას ამბობს. მხარი ქე მტკივა და რა ვიცი მე!

პელომ ყვითელი წამალი პეშვზე დაისხურა და ქმარს მტკივან მხარზე ნაზად, მზრუნველად აუსვ-ჩამოუსვა: „ჰო, ჰო, მასე... მასე... ზევით ცოტა აყევი ბეჭს. აქით, აქით, ჩამოყევი ხელს“ – ძლივს გასაგონად, ბებრული კრუსუნით ამბობდა ქალაქში განთქმული მეარღნე, „ქეიფისა და დროსტარებისათვის გაჩენილი კაცი“, ერთ დროს ლხინში და ქეიფში დაუღლელი მელიტონ კუხიანიძე.

– ვინ იყო ამაღამ, თუ იცი, ჩვენსას? – ჰკითხა ცოლმა.

– ?!

– სერგოია თადუმაძის ბიჭი.

– ფინგანის?

– ჰო!

– რა უნდოდა?

– ქორწილი მაქვს ამაღამ და წამყვესო. ავადაა, ვერ დგებათქვა და არ გაგაღვიძე, ხომ კარგი მიქნია?

მელიტონი წამოდგა. პერანგის ღილებს იკრავდა და ცოლს გაოცებული უყურებდა.

– შენ ხომ იცი, რომელია ეს სერგოია?

– რავა არ ვიცი. აქანა არ ეგდო შაქროიას ქელეხზე? – უთხრა ცოლმა.

– ჰო, ის არის.

– მაგან არ იყო, მილიცია რომ გამოგვიგზავნა ერთხელ სახლში?

– ერთხელ? ერთხელ კი არა, შენ არ იცი, პელო, სისხლი გამიშრო მაგან მე. ჯერ იყო და ამაწრიალა, არღანი უნდა დაგიბეგროო. გავაფორმე არღანი და უშველებელი გადასახადი შემაწერა. ამდენს ვერ გავუძლებ-მეთქი, რომ ვუთხარი, აღმასკომის თავამჯდომარის სახელზე საჩივარი დამიწერა – ეს წურბელა მეარღნე სხვისი ნაოფლარით მდიდრდება. სახელმწიფოს ფულს აკლებს და ჩვენი ქალაქიდან გავასახლოთო.

– ისე გამდიდრდა მაგისი გვარი და ჯილაგი.

– ახლა აღარ მინახავს კაი ხანია. აღარაა, აწი, ფინგანში?

– გამოუგდიათ. მისმა ბიჭმა თქვა, პენსიაზე გევიდაო.

– არაა კაი კაცი, რაც მართალია, მართალია!

ბებრები ცოტა ხანს ფიქრმა წაიღო. მერე მელიტონმა დაარღვია სიჩუმე.

– ბიჭი რომელი ყავს მაგას? ააა – ახლა გამახსენდა, პირველი ცოლიდან ყავს, კი.

– მავრა მეორე ცოლია მაგისი?

– ჰო, არ გახსოვს წყალტუბოელ შალიკაძეს წაართვა ქალიო, ხმა რომ გამოვიდა?

– მახსოვს.

– მარა საცოლე ჯერ არ უნდა ყოფილიყო სერგოს ბიჭი, პატარა მახსოვს.

– ახლა ჩამევედი ჯარიდანო. ამაღამ მაქვს ქორწილი და დამაფასოს მელიტონ ბიძიამო.

– თვითონ ის ბიჭი იყო?

– ხომ გითხარი.

– რა მქვიაო?

– ომარი.

მელიტონი საწოლიდან წამოდგა, ძველებურ კედლის სარკესთან მივიდა, მიტრიალდა. ერთი ორჯერ კიდევ მივიდა და მოტრიალდა. მერე პელოს საწოლთან გაჩერდა და თქვა:

– უნდა წავიდე!

– გაგიჟდი, კაცო, შენ?! – შეიცხადა პელომ, რადგანაც კარგად იცოდა თავისი ქმრის ჯიუტი ხასიათი. თუ იტყოდა, მელიტონი, მორჩა, მამაზეციერიც ვერ გადაათქმევინებდა.

– უნდა წავიდე. – გაიმეორა მელიტონმა.

– სად, კაცო, შეხედე საათს. სამი დაიწყო. გამოჩერჩეტდი მთლად?

– ნუ დაიწყებ ყრანტალს ახლა. ახალუხი მომიძებნე და არღნის ქამარი. ზანდუკშია ლოგინქვეშ. არ უნდა ახლა ამას ლაპარაკი. უნდა წავიდე.

– სად, კაცო? რაც შენ სერგოიამ გაგამწარა, მაინცდამაინც იმის ოჯახში გინდა მოკვდე, ამაღამ? ამ წუთში არ ამბობდი, სერგოიამ გამიშრო სისხლიო? – სხაპასხუპით მიაყარა პელომ და ინსტინქტურად ლოგინიდან სკივრი გამოაჩოჩა.

მელიტონი ამასობაში გალიფეს შარვალზე თბილ წინდებს საოცარი სიმარდით იცვამდა. ასე აღელვებული და გატაცებული იგი პელოს კარგახანია არ ენახა.

– რა შუაშია, ქალო, სერგოია ფინგანი. ვინ ოხერია სერგოია თადუმაძე. ჩემთან სიძე მევიდა. სიძე მევიდა თავისი ფეხით. ქორწილი მაქვს ამაღამ, მიჭირს, მელიტონ ბიძია და მომეხმარეო. იცი, შენ რას ნიშნავს ეს ლაპარაკი? გესმის რამხელა რამეა, სიძე რომ ქორწილის ღამეს თავის ფეხით

მოგაკითხავს? თუ მოვკვდები, ჯანი გავარდეს, ნუ გეშინია, წავალ, წევიღებ არღანსაც. მთლად ასეც არაა საქმე!

– ზიდავ? ორფუთიან არღანს მეიკიდებ ამაღამ ზურგზე? არ გაგიშვებ, შენ არ მომიკვდე, ჩავალ ახლა და ჭიშკარს გასაღებით ჩაგიკეტავ.

– კაი პელო, თუ გიყვარდე, მაგ ლაპარაკს ჯობია ამ ახალუხის ღილები ამომიგდო. გავსუქებულვარ, თუ რაშია საქმე, ვერ გავიგე. შენ ჭკვიანი ქალი ხარ და ქე უნდა გესმოდეს. რა შუაშია, ქალო, ჩემი წყენა და რა მოსატანია აქ ფინაგენტი სერგოია. კაცი მოვიდა. სიძემ მომაკითხა. მთელი ცხოვრება დაამახსოვრდება. ქორწილია, უბრალო ქეიფი და პურისჭამა რომ იყოს, სხვა საქმეა, ფეხსაც არ გავანძრევდი. სხვა რომ გამოეგზავნა და ჭირი მოეჭამა, მაინც არ გავყვებოდი. მარა სიძე მევიდა, თვითონ სიძე ბატონი მობრძანდა ამაღამ ჩემსას და ხვეწნა დამიწყო. რა ოხრად მინდა ეს ბებერი ძვლები, სიძეს თუ წყენა გავაყოლე მის ქორწილის ღამეს.

მელიტონმა არღანი გამოათრია და იატაკზე ბრახუნით დადგა.

– გადაუსვი ერთი ჩვარი, თუ ქალი ხარ. ქვეყნის მტვერი ადევს ახლა ამას.

მალე ყველაფერი მზად იყო.

მელიტონ კუხიანიძეს ქამარზე ჩამოეკიდა არღანი და კიბეზე ფრთხილად ჩადიოდა. გვერდით გაოგნებული პელო მიჰყვებოდა გაუთავებელი წუწუნითა და ვაი-ვიშით.

– გადასახვევთან ცხოვრობენ მაგენი საცხა.

– აღარ გახსოვს? ბაზრის იქეთ, სანამ საგიჟის ქუჩამდე მიხვიდოდე, ხელმარცხნივ.

– ვიცი... ვიცი... კაი შორს ყოფილა... შედი ახლა შენ სახლში, კარები ჩაკეტე და დაწექი... კარგად ვარ... შენს თავს ვფიცავარ... აღარ მტკივა წელი. ამ არღნით, თუ გინდა, ამაღამ ცხრა მთას გადავივლი. ჰე... წავედი ახლა... შედი სახლში-თქვა... არ გესმის შენ?

როცა ჭიშკრის ურდულის ხმა გაიგონა და ცოლის თვალს მიეფარა, მელიტონმა არღანი მოიხსნა და იქვე, პლატონ გუ-

ლუას სახლის წინ გრძელ სავარძელზე დადო. ცოტა სული მოითქვა და ისევ განაგრძო გზა.

„მართლა რა მძიმეა, ეს უპატრონო. ახლა რაჟდენ ჯინ-ჯოლიას ჭიშკრამდე მივიტან და იქ შევისვენებ. კაი სკამეიკა აქვს იმასაც. ასე ნელ-ნელა მივიტან, რაც არ უნდა დამიჯდეს, უნდა მივიდე. ბაზრამდე ორი მოსახვევი დარჩა. მერე ვექილ ლორქიფანიძის სახლს გაცდები და იქვე ცხოვრობენ მაგენ-იც. მოგერევი, მთლად რომ დამაწყვიტო მკლავები, ტყვიადაც რომ იქცე, მაინც მოგერევი, უნდა გამიშვა. არაა მეტი გზა. მორჩა და გათავდა. უნდა მივიდე. გულის ფართხალის მეშინ-ია. თვარა წელის ტკივილს გავუძლებ. გულმა თუ არ მიღა-ლატა. ეს ცივი ოფლი რა დამჩემდა ამ ბოლო დროს, გევინძ-რევი პატარას და შუბლზე ცივ ოფლს მასხამს. ტანში მცივა. ვერ მივედი ერთი იმ ბერიძესთანაც. ქვეყანა აქებს, რა ვიცი, ჩემს სატკივარს ვერ გებულობენ მაინცდამაინც: ყველა ექი-მის ავადმყოფი მე ვარ და ბოლოს არც ერთი აღარ მშველის. არა, ბატონო, არ გიძალიანდები. ა... გავჩერდები აგერაც. არ მიმტყუნო, არ მიღალატო. ქვეყნის საგლახოდ ნუ მომკლავ ამ შუაღამეზე ქუჩაში უმოწყალოდ და უზიარებლად. არ მივდი-ვარ გლახა საქმეზე. შენც უნდა გამიგო... შენც უნდა შემეწიო ცოტა. კაცს ვჭირდები. იცი შენ, რას ნიშნავს კაცს შენს იქით გზა რომ არა აქვს? მხარზე გამედვა არღანი, ჯობდა, მარა მხარზე გადებული არღნით ვერ მიადგები კაცს, ჩამომღებიც არავინ მყავს. ბევრი გზა აღარ დარჩა. რაცაა, ესაა. ხალხი ზევით დააჯინა ნეტავი, თუ ქვევით, ეზოში ახლა, სეფა თუ არ იქნა, შეცივდებათ სტუმრებს. ღმერთო, ცოტა დარჩა. თავბრუ მესხმის. ფეხები დამიმძიმდა. ათასი კილომეტრიდან ჩამოდის ხალხი წყალტუბოში და მე ორი ფეხის ნაბიჯზე ვერ მივედი. ეგება ჩემი მუხლებისთვისაც ეშველა რამე. არ ვიც-ით, არა. სანამ არ დავვარდებით, თავის მიხედვა არ გვიწერია რჯულში. მერე დევიწყებთ წუწუნს, მაგრამ გვიანღაა. ახლა აგერ შევიშრობ ოფლს და მოსული ვარ ე... გაჩახჩახებული რომაა ზევით, ის სახლი უნდა იყოს!“.

* * *

თამადას ხელისმომკიდეების სადღეგრძელო უნდა შეესვა, ოთხი ერთნაირი ჭინჭილა მოატანინა მასპინძელს. ორი თვითონ შეივსო, ორიც მოადგილეს გაუგზავნა, წამოდგა და ხვეწნა-მუდარით ძლივს დააწყნარა შეზარხოშებული სტუმრები.

ხელისმომკიდეები ფეხზე იდგნენ და ამთქნარებდნენ.

დააწყნარა თამადამ სუფრა და ის იყო გრძელი, მოსწრებული სიტყვა-თქმებით გაფერადებული სადღეგრძელოს თქმას აპირებდა, რომ სულ ახლოს, ქუჩაში ან ეზოში კი არა, უფრო ახლოს, კიბის თავზე, ზედ ყურთან არღნის ხმა გაისმა.

ამბერკი

ამბერკი მარგველაშვილმა სინათლე და ელექტროღუმელი გამორთო, კარი გასაღებით ჩაკეტა და ლოგინს მიაშურა.

„მიაშურა“ – აქ ცოტა უადგილო სიტყვა გახლავთ, რადგანაც ამბერკის რვამეტრიანი ოთახი ჰქონდა დაქირავებული და კითხვისას ისედაც საწოლზე იჯდა.

კითხვით კი ამბერკი ყოველთვის კითხულობდა. ეს მისი საყვარელი საქმე იყო. პროფესიით ბუღალტერი გახლდათ და ერთ-ერთ ტექნიკუმში საბუღალტრო აღრიცხვის კათედრის ასისტენტად მუშაობდა, მაგრამ თუ რაიმე სპეციალობის წიგნებს ყველაზე ნაკლებად კითხულობდა – ეს იყო ბუღალტერია.

ამბერკის თავისი სპეციალობა არ უყვარდა.

კითხულობდა სხვას ყველაფერს, რაც ხელში მოხვდებოდა. მისი ხელფასის დიდი ნაწილი წიგნების შეძენას ხმარდებოდა. ამბერკი წიგნის მაღაზიების სასურველი სტუმარი იყო. ყიდულობდა თითქმის ყველა ახალ წიგნს, რაც კი წიგნის ბაზარზე გამოჩნდებოდა. ყიდულობდა და თავის პატარა ოთახში ალაგებდა. მაგიდაზე და თაროებზე ადგილი რომ აღარ დარჩა, ამბერკი იატაკზე აწყობდა წიგნებს. იატაკიც რომ გაივსო, ჰამაკი იყიდა, ჭერზე დაკიდა და ახალ ლიტერატურას ჰამაკში დებდა. კითხულობდა ამბერკი, აკონსპექტებდა, განსაკუთრებით საინტერესო ადგილებს ზეპირად სწავლობდა. ამიტომაც მასთან სუფრაზე ყოფნა ერთ სიამოვნებად ღირდა. ბუღალტერი მოხდენილად ჩაურთავდა სადღეგრძელოში ლათინურ და ბერძნულ ანდაზებს, ომარ ხაიამის რობაიებს და შექსპირის აფორიზმებს...

ამბერკი განათლებული კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა. თავისი ხელფასის პატრონს უკეთესი და უფრო ფართო ოთახის დაქირავება შეეძლო, მაგრამ სტუდენტობიდან მიეჩვია ამ ადგილს და სხვაგან გადასვლა უმძიმდა.

ოთახი, რომელშიც ამბერკი ცხოვრობდა, ცალკე იდგა ეზოში, იგი თავიდან საკუჭნაოდ იყო ჩაფიქრებული, მაგრამ მერე (ეს იყო ათი წლის წინ) სახლის პატრონს, რატომღაც ამ პაწაწკინტელა ოთახის გაქირავება გადაეწყვიტა.

ბინის ქირად ოცდასამ მანეთს იხდიდა ამბერკი თვეში. უმაღლესი რომ დაამთავრა და კათედრაზე მიიწვიეს, დიასახლისმა სცადა ბინის ქირა გაედიდებინა მისთვის, მაგრამ მოლაპარაკება უშედეგო აღმოჩნდა.

ამბერკი ოცდასამ მანეთს ფეხს არ უცვლიდა და სწორადაც იქცეოდა, რადგანაც ეზოში, ონკანთან, საქათმის გვერდით აშენებული ნახევარაგურიანი ოთახი, რომელსაც არავითარი დამხმარე სათავსო არ გააჩნდა, ოცდასამ მანეთზე მეტი არც ღირდა.

კითხვით დაღლილი ამბერკი უცებ იძინებდა. დაძინებამდე ჩვეულებრივად იგი თავის თაგვს ელოდებოდა, განუყრელი თაგვი კი დღეს რატომღაც იგვიანებდა.

ეს თაგვი კაი ხანია შემოეჩვია ამბერკის ოთახს. ამბერკიმ პატარა სათაგური იყიდა და არამკითხე სტუმრის დატყვევების განზრახვა ჩაიდო გულში, მაგრამ ამაოდ. დილით სათაგური ცარიელი იყო, ხოლო კაკლის ლებანი ოსტატურად გაციცქნილი. ეტყობა, თაგვს სათანადო გამოცდილება ჰქონდა მიღებული.

ბოლოს ამბერკი შეეჩვია თაგვს და სათაგურის ფუნქციაც ამოწურულად ჩათვალა. ამბერკი დაწოლის წინ იატაკზე ტოვებდა პურის ქერქებს და სულგანაბული ელოდა. სინათლის ჩაქრობიდან ხუთი წუთის შემდეგ გამოვიდოდა თაგვი. იგი კარგა ხანს სასიამოვნოდ აკნატუნებდა პურის ყუას, იატაკის უწიგნებოდ დარჩენილ ნაწილს, ერთ-ორ საპატიო წრეს დაარტყამდა და გაუჩინარდებოდა.

ამბერკის უყვარდა ეს თაგვი. იგი ერთადერთი სულიერი არსება იყო, მის ღარიბულ ოთახში რომ ბინა დაედო და ამბერკის ალალ ლუკმას ინაწილებდა. თუ თაგვს გამოსვლა დააგვიანდებოდა, ამბერკი წუხდა, ვერ ისვენებდა. ათასი უსიამო ფიქრი გაუვლიდა გუნებაში.

დღეს კი დაწოლიდან უკვე ნახევარი საათი გავიდა და

თაგვი არ ჩანდა. ის-ის იყო ამბერკი ნათურის ანთებას აპირებდა, რომ იატაკზე ნაცნობი ფრატუნი მოესმა.

მიაყურა და დარწმუნდა, რომ თაგვი მარტო არ იყო. „ოჰო, სტუმარიც გვყოლია“ – გაიფიქრა ამბერკიმ, ლოგინიდან წამოიწია და სიბნელეში იმ ადგილს დააცქერდა, სადაც დაწოლის წინ პურის ქერქი დაყარა. იატაკზე მართლაც ორი თაგვი იყო. უკანა ფეხებზე ჩაცუცქულებს, პირით ქერქი ეჭირათ და ფრთხილად, ყურადღებით აკნატუნებდნენ. ყველაფერი რიგზე იყო. ამბერკი კედლისკენ გადაბრუნდა და დაიძინა.

იქნებოდა ასე ღამის სამი საათი, რომ ამბერკი საეჭვო ფხაკუნმა გამოაღვიძა. ეს ხმა თაგვის ფხაკუნს არ გავდა. ამბერკიმ ყურს ხელისგული მიახმარა და სმენად იქცა. ფხაჭუნი განმეორდა. მთვარის სხივი კარს ოდნავ ანათებდა. ამბერკი კარს თვალს არ აშორებდა:

მალე ურდული მაღლა აიწია და კარის ჭრიალი გაისმა. ვიღაცამ კარი გააღო. ოთახში უსიამო სიგრილე შემოიჭრა.

ამბერკიმ თვალები დააჭყიტა და სიბნელეს დააჩერდა. ღია კარებში ხელი გამოჩნდა და უეცრად ოთახის ჭერს ჯიბის ნათურის სინათლე დაეცა. შუქმა მოიარა ჭერი, მერე მაგიდაზე სვეტებად დაწყობილ წიგნებს ჩამოჰყვა და ამბერკის საწოლს მიადგა.

ოთახის კანონიერმა დამქირავებელმა პირის გაღებაც ვერ მოასწრო, რომ შუქი თვალებში ეცა და გაჩერდა. ამბერკიც გაქვავდა. შიშისაგან ენა ჩაუვარდა. ჯიბის ფარანი პირდაპირ თვალებში აჭყიტებდა. „ახლა მესვრიან“, გაიფიქრა ამბერკიმ და გული შეეკუმშა. – „ვის რა დავუშავე“.

– ვინ ხართ, რას მერჩით! – გამშრალი ყელიდან ძლივს ამოღერღა ამბერკიმ და საწოლზე წამოჯდა.

ეს სიტყვები საკმარისი აღმოჩნდა. ჯიბის ნათურა ჩაქრა და ოთახში გაისმა – „ხმა არ გაიღო, თორემ მოგკლავთ“. ოთახის კარი ისევ მიიხურა და ამბერკიმ გაიგონა: „წავედით“. უცნობები ფართხა-ფურთხით გაცვივდნენ ეზოდან.

ამბერკი ცოტა ხანს გაუნძრევლად იჯდა. მერე ფოსტლებში ფეხი წაჰყო და კარებამდე მიფლატუნდა, შიშის კანკალით

გამოაღო და მიაყურა. რაკი დარწმუნდა, რომ ბანდიტები წასულიყვნენ, შარვალი ჩაიცვა და დიასახლისი გააღვიძა.

ამბერკის დიასახლისი შურა (ჯანიანი ქალი იყო. ვაგონის გამცილებლად მუშაობდა), ლოგინიდან წამოიჭრა და პერანგისამარამ ჩაირბინა ეზოში. ჯერ სარდაფის კარებს ეცა, დაკეტილი რომ დახვდა, ცოტა დამშვიდდა და საქთმისკენ გაიქცა. „ჩემი ინდაურები!“ გაისმა განთიადის ცივ სიჩუმეში შურას კივილი.

შურას სამი ინდაური ყავდა, ერთიმეორეზე უკეთესი ინდაურები. საახალწლოდ დასუქებულ ამ ინდაურებს კეთილისმსურველი მეზობლებიც კი შურით შეჰყურებდნენ. და აი, შურას ინდაურები მოიპარეს.

კივილზე გამოცვივდნენ მეზობლები თავიანთი სტუმრებიანად. კაცებს საწოლის პიჟამოზე პირდაპირ პალტო მოესხათ და ისე გამოსულიყვნენ. დედაკაცები შიშველ მკლავებზე ხელებს ისვამდნენ (რადგან ციოდა), ქალიშვილებს ეშინოდათ და ფანჯრებიდან იჭყიტებოდნენ.

თავდაპირველად ყველა თავის სარდაფს და სათავსოებს მივარდა. როცა დარწმუნდნენ რომ ქურდებს მხოლოდ შურას სამი ინდაური მოეპარათ, ყველანი ონკანთან შეიკრიბნენ და ბჭობა გამართეს.

დაზარალებული ტიროდა. მოკამათეთა შუაგულში ამბერკი იდგა და მერამდენეჯერ ჰყვებოდა ყაჩაღების თავდასხმის შემზარავ ამბავს. ღვთის წინაშე ვერ დავმალავ და ამბერკი მომხდარს ცოტას უმატებდა. „როცა ქურდებმა ეზოდან გასვლა დააპირეს, ქვა ავიღე ხელში და გამოვეკიდე, მაგრამ ვერ დავეწიეო“. ეს გამონაგონი საქმის ნამდვილ არსს არ ცვლიდა, ამბერკის კი ვაჟკაცობის ერთ შტრიხს მატებდა მეზობლების თვალში.

– ვერ იცანი ხმაზე ვინ იყვნენ? ან საით გაიქცნენ თუ გახსოვს? – იკითხა გაბზარულმა ხმამ. მეზობლები შეჩქვიფდნენ, სიმონ კაპანაძის ხმა იყო. წამით სიჩუმე ჩამოვარდა. შურამ ცრემლები შეიმშრალა, წელში გაიმართა და მრავალმნიშვნელოვნად უპასუხა:

– ვინ იყვნენ, ჩემო სიმონ, და ვინც იცოდა, რომ მე სამი

ინდაური მყავდა. რა მნიშვნელობა აქვს საით გაიქცნენ, ციხე შიგნიდან ტყდება. როგორც მე გამამწარეს ამეღამ, ისე გამწარდა მაგათზე მაგათი ცოლ-შვილი ასე... სანამ ცოცხალი ვარ, წყევლას არ მოვუშლი.

მალე მილიციის მანქანა მოგრიალდა. პირტიტველა მორიგემ მოწმეთა ჩვენებები ჩაიწერა და წავიდა.

დილით სიმონ კაპანაძე მილიციაში დაიბარეს. ეზოში ერთადერთი ეჭვმიტანილი სიმონი აღმოჩნდა.

სიმონი ახალი გამოსული იყო ციხიდან, სადაც სახელმწიფო ქონების გაფლანგვისათვის ხუთი წელი გაატარა. დაჯდომამდე ზეთის საღებავების საწყობის გამგედ მუშაობდა. „გვენდევი, კაცი არა ხარო?“, უთხრეს მას. სიმონი ენდო. მეორე დღეს საწყობი აუწერეს, დანაკლისი აღმოაჩნდა და სრულიად სამართლიანად დასაჯეს.

მარტოხელა კაცი იყო სიმონი. შემოსასვლელიდან მარჯვნივ, თუთის ხის პირდაპირ ცხოვრობდა. ერთი ოთახი და შუშაბანდი ეჭირა. დილით წავიდოდა სახლიდან და საღამოს დარცხვენილივით შემოიპარებოდა.

მეზობლებს ერიდებოდა ამ ბოლო დროს. თუ პირისპირ შეეჩეხებოდი, სალამს მოგცემდა და სწრაფად გაგეცლებოდა, ჯერჯერობით არსად მუშაობდა. საწყობების სისტემას მას აწი აღარ გააკარებდნენ და არც უნდოდა.

ციხიდან გამოსვლის შემდეგ ცოტ-ცოტას სვამდა. ჩაცმადახურვაზეც შეეტყო, რომ უჭირდა. ერთ დღეს შუშაბანდიდან ოთახში გასასვლელი კარები ჩამოხსნა და ფარდა ჩამოაფარა, არ მჭირდებაო, უთხრა დაინტერესებულ მეზობელს, წავიღებ ამ კარს და ვინმეს ვაჩუქებო. სინამდვილეში სიმონ კაპანაძემ შუშაბანდის კარი გაყიდა. იმ ფულით გაერთიანება „საამური ცხოვრების“ გამოშვებული რეზინისლანჩიანი ფეხსაცმელი იყიდა და ჩაიცვა.

შურა და ერთი-ორი მეზობელი გამომძიებელს სერიოზული სახეებით უმტკიცებდნენ; არ გაგვცეთ და მაგის მეტი არავინ იზამდა ამ საქმესო. ყოფილი ქურდი და ნაციხარი ამ ეზოში მხოლოდ სიმონიაო. როცა ამბერკი დაკითხეს ბუღალტერიის კათედრის ასისტენტმა ჩვენებაში ჩაუწერლად, „ზეპირად“

განუცხადა გამომძიებელს – ცოდვას ვერ დავიდებ, მაგრამ ბანდიტის ხმა ცოტათი სიმონის ხმას მივამსგავსეო. მერე ამ-ბერკიმ ამ ავყიად ნათქვამს იქვე მიაყოლა: ალბათ მომეჩვენა, შეშინებული ძაღლი მთვარეს რომ უყეფდა, ხომ იცითო. სი-მონი არ იზამდა ამ საქმესო.

სიმონი მაინც დაიბარეს. რასაკვირველია, ვერაფერი დაუმტკიცეს და ერთ საათში ბოდიშის მოხდით გამოისტუმ-რეს, მაგრამ იმ ერთ საათში თითქმის მთელმა ქუჩამ გაიგო, რომ შურას ინდაურების მოპარვის საქმის გამო მილიციაში სიმონ კაპანაძე დაიბარეს.

* * *

მეორე დღეს ათასი საზრუნავით გართულმა მეზობლებმა შურას სამი ინდაურის დაკარგვა იოლად გადაიტანეს.

არც შურას მოუკლავს მაინცდამაინც თავი. ერთი-ორ-ჯერ კიდევ გადასცა მისი ინდაურების მომპარავი უზენაეს მოსამართლეს – ღმერთს, კვლავ აღაპყრო ცად ხელები და ინ-დაურების ქურდების მისამართით საშინელი წყევლა-კრულვა გაუგზავნა ყველა ჯურის შინაური ფრინველის ქურდს. მერე ცოტა დამშვიდდა და ტახტზე წამოწვა. ორ საათში ცვლა ეწ-ყებოდა და სადგურზე უნდა გასულიყო. შურა ჭკვიანი ქალი იყო და იცოდა, რომ ვაი-ვიშითა და თავში ცემით თავის ინდ-აურებს ვერ დაიბრუნებდა.

უზენაესის მიერ ქურდების ხელის გახმობის და გაქვავების იმედიც მაინცდამაინც არ გააჩნდა და იმაზე ფიქრმა შეიპყრო, საახალწლო ინდაურის ფული რა მანქანებით ეშოვა. პრაქტი-კული ქალი იყო შურა.

იქნებოდა ასე ღამის ათი საათი, როცა ამბერკი მარ-გველაშვილის კარებზე მოკრძალებული კაკუნი გაისმა. წუხ-ანდელი ფათერაკით შეშინებულ ამბერკის კარები ადრიანად ჩაეკეტა და შარვალს აუთოვებდა. „ვინ არის?“ – რაც მოუხ-ერხდა, ალერსიანად გასძახა მასპინძელმა, ისე რომ ყოველ შემთხვევისათვის ცხელი უთოსთვის ხელი არ გაუშვია – „ვინ იცის ვისთან მაქვს საქმეო“. ეს ერთი გაელვება იყო, თორემ

კაცისათვის უთოს დამრტყმელი იყო ამბერკი? – „მე ვარ“ – თქვა სტუმარმა და კიდევ დააკაკუნა. ამბერკის ხმა ეცნაურა. მართალია, ზუსტად ვერ მიხვდა ვისი ხმა იყო, მაგრამ ნაცნობი ხმაც საკმარისი იყო კარის გასაღებად, თუნდაც ისეთი შიშიანობის ჟამს, ინდაურების დაკარგვის შემდეგ ქალაქ ძელქვიანის ეს ერთი პატარა ეზო რომ განიცდიდა.

კარებში სიმონ კაპანაძე იდგა. ამბერკი უკან-უკან წამოვიდა. თან სიმონს თვალს არ აშორებდა. მართალია, საბუღალტრო მეცნიერების ერთი უპრეტენზიო წარმომადგენელი მაშინვე დარწმუნდა, რომ სიმონს ხელში ქვა არ ეჭირა, მაგრამ კარის გაღებისთანავე ნესტოებში ამოსული არყის მომჟავო სუნი ეცა და გაიფიქრა: „რა იცი, მთვრალი კაცი, რა ჭკუაზე დააყენა გამჩენმაო“.

„შეიძლება?“ – იკითხა სიმონმა, მაგრამ პასუხს არ დაელოდა, კარი ფრთხილად მიხურა, მაგიდამდე ძლივს მიაღწია, სკამი ცალი ხელით გაისწორა და ჭრაჭუნით დაჯდა. მარჯვენას ჩამოეყრდნო, ერთი ამოხედა ტახტის კუთხეში მიკუნჭულ ამბერკის და იატაკს დააცქერდა. სიჩუმემ კარგა ხანს გასტანა.

– ამბერკი. – თავაუღებლად დაიწყო სტუმარმა. იგი ნაწყვეტ-ნაწყვეტად ლაპარაკობდა. ისვენებდა, მძიმედ სუნთქავდა. სიმთვრალეს ებრძოდა. ცდილობდა რაც შეიძლება ნელა და გასაგებად ეთქვა, – ესე იგი, მე მოვიპარე შურას ინდაურები, ამბერკი?

– ვინ თქვა? – ისე იკითხა აფორიზმების მცოდნემ, თითქოს შურას ინდაურების ამბავი პირველად გაიგონა.

– ხომ ხედავ, საჩხუბრად არ მოვსულვარ. მე მაინტერესებს... რანაირად, კაცო... რამ გაფიქრებინა. დღეს მთელი დღე მაგას ვწუხვარ. მინდა რამენაირად გაგამართლო, ბიჭო! მომეხმარე პატარა!

– რა მოგეხმარო? – სხვისი ხმით თქვა ამბერკიმ და განზე გაიხედა. მის ხმაში სინანულის ტონი გაიპარა.

– რაფერ, ბიჭო, შენ არ გაწუხებს ეს ამბავი? ასე დაგკარგო, კაცო? ასე შემძულდე სამუდამოდ? არა თქვა, თუ ღმერთი გწამს, გულშიც არ წამოგცდეს, ფეხებზე მკიდია,

სიმონია კაპანაძეს ვეყვარები თუ არაო. შენ მაგის კაცი არა ხარ. მტრისას, ბიჭო, გადაკიდებული კაცი.

– კი მარა, მე რა ვქნა. ვინცხამ შენ დაგადო ხელი, შავად და ბნელად ექცა იმას. მე ხმა მივამსგავსე-თქვა, მეტი არაფერი მითქვამს. რა ვიცი, ვინ მოიპარა. ინდოურების მწყემსი ვარ მე? ჩემი გაჭირვება მეყოფა!

– ჰო, ასე, შე კაცო, ილაპარაკე... თქვი რაღაცა. მომეხმარე ცოტა. რომ არ შემძულდე... ამბერკია, შეგეშალა, რა ვუყოთ მერე. მარა რაღა მაინცდამაინც მე გეგონე ქურდი, ბიჭო?

– კაი, თუ კაცი ხარ, რა ქურდი, რომელი ქურდი!

– მე, ახლა... მე ვარ ნაჯდომი ამ ეზოში მარტო და ესე იგი, მე უნდა მომეპარა ხომ? სწორი ხარ, ხომ იცი. ა, ჩამოვთვალოთ აგერ, სოკრატი არ მოიპარავდა, გასტრონომში მუშაობს. რათ უნდა სხვისი ინდოური. ხარაბაძე ნოტარიუსია, რავა იზამდა მაგას. არჩილი ჩოგბურთის მწვრთნელია, წესიერი კაცია, არის თავისთვის, შოთა ჭაჭუა ლექტორია, სტუდენტებს ნათლავს საწაღმართოდ, რავა შეკადრებ მაგ ამბავს. შურა არის და თავისთავს ხომ არ მოპარავდა. დავრჩი მე... ნაჯდომი, ნაუბედურალი, გამფლანგავი და მჭამელი. ისე ჭამა ჩემი დამღუპველების გვარმა და ჯილაგმა. მე უნდა მომეპარა. ჩემს მეტი ვინ იზამდა? ხომ სწორი ვარ!

– რა ვიცი მე? – ყრუდ თქვა ამბერკიმ.

– არა, არ გამტყუნებ, დედის სულს ვფიცავარ, არ გამტყუნებ. სხვა ყველა წესიერია. სხვა ყველა საქმის კაცია. ასე ჩანს გარედან. ქურდი, თუ სადმე ლოგიკაა, მე უნდა ვიყო. შენ ასე უნდა გეთქვა. სხვის ხმადაც რომ მოგჩვენებოდა, მაინც ჩემზე უნდა გეთქვა. შენი ჭკუით ასეა. მე ვისწავლიდი ქურდობას და სიგლახეს იქანა თვარა, აქ წესიერი ხალხი ხართ. ცხოვრობთ თქვენთვის. ჩალიჩობთ რაღაცას. მოვა ჩემნაირი ავი კაცი და სიმწრით გაზრდილ ინდოურს აგაფცქვნით ხელიდან. ასეთი ვარ მე! – ოთახში სიმონის შემზარავი ხითხითი გაისმა. მთვრალი გულიანად იცინოდა. ამბერკს ეკლად ესობოდა მისი სიცილი. ტანზე ბუსუსებად დააყარა. ბრალმდებელმა სინდისის ქენჯნა იგრძნო. სიმონი უცებ დადუმდა და იატაკს დააჩერდა. მასპინძელს ახლა საშუალება ჰქონდა მისი

შეთვალიერების. ეჭვმიტანილს დაჭმუჭვნილი, ძველთაძველი პიჯაკი ეცვა და მოდიდან გადასული ძველთაძველი დაჭრილი ტუფლები. მთელ ეზოში იგი შორეული პროვინციიდან მოდერნისტულ სანატორიუმში ჩამოსულ მოწყენილ დამსვენებელს წააგავდა, ყველაფერი რომ ძველი და უცნაური აქვს, ხის ჩემოდნიდან დაწყებული თმის ვარცხნილობამდე.

– ჰე, თქვი, შე კაცო, რამე, – ისევ გაისმა სიბნელეში, – შენთან მოვედი... კაცთან. ეს ხომ გავარკვიეთ, ახლა ცოტა დავმშვიდდები. წავალ, დავიძინებ, თუ დამეძინა. უცებ ვერ დავფიქრდი და მეწყინა, ხომ იცი შენ. ისე ჩემზე უნდა შეგეტანა ეჭვი, აბა რა. ჩემ მეტი ქურდი ვინაა ამ ეზოში. ხომ ასეა ამბერკი? მითხარი, ასეა ხომ? – სიმონი მუდარით სავსე თვალებით შესცქეროდა მასპინძელს და პასუხს ითხოვდა.

დაახლოებით ამგვარი საუბრით მათ თითქმის ღამის ორ საათამდე ისაუბრეს. ხანდახან კაცი იფიქრებდა, სიმონმა ყველაფერი გაარკვია და დაამთავრა საუბარიო, მაგრამ იგი ისევ თავიდან იწყებდა და ამბერკიც, რომელსაც მარკუს ავრელიუსის წიგნის წაკითხვა ხვალისთვის გადაადებინეს, მთქნარებით უსმენდა სტუმარს.

– არაფერი ქურდი არა ხან შენ. წადი, დამშვიდდი. შენზე არავინ არაფერს ფიქრობს, – გაბედა ბოლოს მასპინძელმა. სიმონს მხრებში შეუდგა და კარებამდე მიიყვანა. მერე უცებ გაინთავისუფლა კისერი და კარებში ჩამდგარმა მოთავებულ სტუმარს (იმის შიშით, კიდევ არ შემობრუნდესო) სხვათა შორის ჰკითხა:

– არ მუშაობ, სიმონ, შენ?

– არა.

– რაით ცხოვრობ ახლა?!

– რო გითხრა სანაძლეოს ვიგებ-თქვა, არ დამიჯერებ, – კეფა მოიფხანა სიმონმა, – ვცხოვრობ, რა ვიცი. სანამ სამუშაოს მომცემდნენ, გამაქვს თავი, – მერე ღიმილმა გადაჰკრა მოთენთილ სახეზე და დაუმატა – მპატიჟობენ! – ეს პასუხიც არ მოეწონა. ეშმაკურად გაუნათდა სახე. ამბერკის მხარზე გადასდო ხელი, თავისკენ დაქაჩა და ყურში უჩურჩულა:

– ინდაურებს ვიპარავ... არ უთხრა არავის, – ეს დაუმატა,

ტუჩებზე თითი მიიდო და წელმოწყვეტილივით გააბიჯა თავის სახლისაკენ.

ამბერკი თვალღია იწვა და დიდხანს ელოდებოდა თაგვს, რომელსაც თავისი ცხოვრების მკაცრი რეჟიმი დაურღვიეს.

ყველაფერი მშვიდად დამთავრდებოდა, რომ ამბერკი მარგველაშვილთან სიმონ კაპანაძის ვიზიტი იმ დღეს პირველი და უკანასკნელი ყოფილიყო.

სიმონი ყოველ დღე დათქმულივით აკაკუნებდა საბუღალტრო სასწავლებლის პედაგოგის კარებზე. ყოველ დღე ერთსა და იმავეს ელაპარაკებოდა. ეხვეწებოდა, მომეხმარე, არ შემაძულო თავიო. რა სახე გქონდა, დედას გაფიცებ, როცა ინდაურების ქურდობას მაბრალებდიო. შენი აზრით, ინდაურს მარტო ეჭვმიტანილები იპარავენ თუ ეჭვმიუტანლებიც გაჰკრავენ ხელს ხანდახანო.

ყოველ დღე მოდიოდა სიმონი. ყოველთვის ღამის ორ საათამდე რჩებოდა და რაც მთავარია, უმეტესად არყის სუნი ასდიოდა.

ამბერკიმ ინანა თავისი გაჩენა. მას, მარტო, ყრუ ცხოვრებას მიჩვეულ კაცს, დასვენების საშუალებას არ აძლევდნენ. დილით სამსახურში ყოველთვის აგვიანდებოდა. პირის გაპარსვას ვეღარ ასწრებდა. ვიღას ახსოვდა თაგვი. სიმონი კი თავისას არ იშლიდა.

* * *

შუადღისას მეზობლები თავიანთი ფანჯრებიდან ცნობისმოყვარე თვალებს არ აშორებდნენ ამბერკი მარგველაშვილს, რომელიც თავისი ოთახიდან ეზოს შესასვლელთან მომდგარ მანქანამდე, კაცმა არ იცის მერამდენე გზობას აკეთებდა.

გულზე ახუტებულ წიგნებს მიიტანდა, მანქანაში ჩაცლიდა და ხელების ტყაპუნით ბრუნდებოდა უკან. ეჭვი არ იყო: ამბერკი შეჩვეულ ოთახს, შეჩვეულ მეზობლებს ტოვებდა და სხვაგან გადადიოდა.

– ბინა მიიღე, ამბერკი? – მომენტი შეურჩია ვიღაცამ თავის ფანჯარასთან ჩავლილ სწავლულს.

– არა, – უკანმოუხედავად უპასუხა ყოფილმა მობინადრემ და სწრაფად გაეცალა მეზობელს, რომელსაც უახლოესი სამი შეკითხვა უკვე მზად ჰქონდა.

სიმონ კაპანაძე გარეთ გამოსულიყო. თავისი შუშაბანდის წინ იჯდა, აბოლებდა და მშვიდად შესცქეროდა ყოველივეს, რაც ხდებოდა.

კაცმა რომ თქვას, ასაღელვებელი არა იყო რა. ეს ქალაქ ძელქვიანასათვის სრულიად ჩვეულებრივი, ცოტა მოსაწყენი სცენაც კი იყო; კაცი ერთი ოთახიდან მეორეში გადადიოდა. ამბერკი მარგველაშვილი მისამართს იცვლიდა.

მსაჯი

ლავრენტი მიქაუტაძეს მაინცდამაინც კი არ უნდოდა რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის წოდება.

აღარ მცალია შეჯიბრებებზე სასიარულოდო, არაა ჩემი საქმეო. ვიღაცას უნდა აწყენინო, ვიღაცა უნდა მოიმდურო, რატომ, რის გულისთვის ავიტკიო ეს აუტკივარი თავიო, მაგრამ მეგობრებმა შეაგულიანეს: შიშისა თუ ვინმეს რამე გაეგება, ერთი შენც ხარო. შე კაი კაცო, შენი სპორტული წარსული სახელის მოხვეჭის მეტს რას შეიცავსო. გუშინდელი ბავშვები არიან დღეს პატენტიანი მსაჯებიო. გქონდეს ეს ტიტულიც, რას გიშავებსო. შენსას ტყუილსაც კი დაიჯერებს შაშის მოთამაშეო. მე შენ გეტყვი, მიუდგომლობა გაკლია და სინდისი გაქვს გაჭუჭყიანებულიო.

შეაგულიანეს და დაწერა ლავრენტიმაც განცხადება: მე სპორტის ოსტატს, ყოფილ მეშაშეს, ამჟამად დახელოვნების ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს, სურვილი მაქვს, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი ვიყო და გთხოვთ, გამომცადოთო.

საშაშო სკოლის მესვეურნი კმაყოფილებით შეხვდნენ ლავრენტის განცხადებას. ერთი წესიერი მსაჯი მოგვემატებაო. ზოგმა გაიკვირვა: კი მარა, აქამდე არ იყო ამ კატეგორიის მსაჯი ლავრენტიო? როგორ მოხდა, როგორ მოგვივიდა ესო.

შაშის სექციის ბიუროს თავმჯდომარემ, ფორმალობას ნუ დავარღვევთო და გამოცდის დღე დაუნიშნა. ხუთი კაცი იყო სექციის ბიუროში – თავმჯდომარე – მიხა სოფრომაძე და წევრები – ვეტერანი მეშაშეები: სანდრო კილაძე, ამირან თარგამაძე, ნოშრევან ხარბედია და ნესტორ ქათამაძე.

ლავრენტი დანიშნულ საათზე გამოცხადდა.

მობრძანდი, ლავრენტი, დაბრძანდიო, უთხრა მიხამ.

ხომ არ ღელავო, გაეხუმრა სანდრო კილაძე.

მე შენ გეტყვი, შაშის თამაშის წესები არ ეცოდინება, რა გამოცდა უნდა ლავრენტი მიქაუტაძესო, ჩაილაპარაკა ამირან თარგამაძემ.

კი მაგრამ აქამდე სად იყავი, შე კაცოო, გაუღიმა ნოშრევან ხარბედიამ.

დავიწყოთ და მოვრჩეთო მალე, ნუ ვაცდენთ კაცსო, საათზე დაიხედა ნესტორა ქათამაძემ.

ფორმალობა იყო და ლავრენტის შეკითხვები ბლომად მისცეს. ყოფილი მეშაშე დინჯად, გარკვევით, უშეცდომოდ პასუხობდა. ყველანი თავს უქნევდნენ და უსიტყვოდ ეთანხმებოდნენ.

ლავრენტიმ შაშის თამაშის თეორია და ტაქტიკა სხვებზე ნაკლებ როდი იცოდა და ამას ყველანი გრძნობდნენ. შეკამათებას ადგილი არ ჰქონია, გამოცდა ერთ საათს გაგრძელდა. თავმჯდომარემ აღტაცება ვერ დამალა; ასეთი მომზადებული საკავშირო მსაჯიც კი იშვიათად მინახავსო. მერე, შეკითხვები რომ ამოიწურა, მიხამ ლავრენტის სთხოვა, თუ ღმერთი გწამს, ცოტა ხნით გარეთ მოგვიცადე, კენჭს გიყრით და თავისუფალი ხარო.

მაშინ რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის წოდების მინიჭება ფარული კენჭისყრით ხდებოდა.

ლავრენტი საშაშო სკოლის დერეფანში დააბიჯებდა და სხვა დროის გამოჩენილი მეშაშეების სურათებს ათვალიერებდა.

კიბესთან განუყრელი სამი მეგობარი უცდიდა. ახალმოსულები იყვნენ, რადგანაც გამოცდაზე შესვლისას ლავრენტის ისინი არ შეუნიშნავს. „რა ქენი, ლავრენტი, ხომ არ ჩაგჭრესო?“ – დაუძახა გერონტი თორთლაძემ. ლავრენტის გაეცინა, რას მოდიოდით აქანა, სირცხვილია, ბოლოს და ბოლოს, რა ხდება ასეთი. მერე მაინც მოსკოვმა უნდა დამამტკიცოს მსაჯად. აი, მოსკოვიდან რომ დამტკიცება ჩამომივა, მაშინ აღვნიშნავო.

მეგობრებს გაგონებაც არ სურდათ. ძლივს პატარა მიზეზი იპოვეს პურმარილისათვის და ასეთ შემთხვევას ხელიდან რო-

გორ გაუშვებდნენ. შენ რავარც გინდა, მაგრამ გოგისვანიძეებში ზუთხი მიუღიათ დღეს და ამის სათქმელად მოვედითო.

ლავრენტი მიხვდა, რომ ამ საქმეს „დაუსვენებლად“ ვერ ჩაატარებდა და ფიქრობდა, მალე მაინც მოვრჩებოდეთ, ხვალ სამუშაო დღეაო.

კენჭისყრა გაჭიანურდა. როცა უხმეს, ლავრენტის რაღაც არ მოეწონა თავდახრით მდგარი შაშის სექციის ბიუროს წევრები. ფერწასული მიხა სოფრომაძე წამოდგა და გამშრალი, მოგუდული ხმით გამოაცხადა:

„ყუთის გახსნის შემდეგ მასში აღმოჩნდა ხუთი ბიულეტენი. რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის წოდების მაძიებელს ლავრენტი მიქაუტაძეს ხმა მისცა ხუთმა კაცმა, მომხრე – ერთი, წინააღმდეგი ოთხი. შაშის სექციის ბიურო ადგენს: ლავრენტი მიქაუტაძეს რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის წოდებაზე უარი ეთქვას“.

ლავრენტიმ ყურს არ დაუჯერა. „რატომ მოხდა ასე? აკი ყველა თანახმა იყო. თითქოს ყველას მოეწონა ჩემი პასუხები, ერთიც არ შემკამათებია. ეს რა მიქნეს. როგორ მომჭრეს თავი. რატომ? რისი გულისთვის? ნუთუ ამის ღირსი ვიყავი მე?“ ცრემლები ყელში მოებჯინა. თავდახრილ ხმოსნებს გადახედა, მადლობელი ვარო, ჩაილაპარაკა და წელში მოხრილმა, გათავებულმა, გულჩამწვარმა კარებისაკენ გააბიჯა.

მეგობრები ყველაფერს მიხვდნენ და უსიტყვოდ დაუთმეს გზა. ახლა ლაპარაკი და იმედის მიცემა სრულიად ზედმეტი იყო. ლავრენტი გააშავეს. ძმაკაცები ცოტა დამნაშავედ თვლიდნენ თავს, ჩვენ შევაგულიანეთ და ჩვენ დავღუპეთ კაციო. ლავრენტის, ამ ანგელოზივით კაცსაც, თუ ამდენი მტერი ჰყავდა, ვის ეგონაო.

სამხრობა გადასული იყო. ციოდა. ზამთრამდე ჯერ მთელი ნოემბერი იდო, მაგრამ ამ ქალაქის განუყრელი, გულისგამაწვრილებელი ქარი ძვალ-რბილში ატანდა.

მიხა სოფრომაძის ჭიშკართან სასწრაფო დახმარების მანქანა იდგა. ლავრენტიმ გაიფიქრა, გავბრუნდები და სხვა დროს ვნახავ. ახლა, როგორც ჩანს, ჩემი თავი არა აქვსო, მა-

გრამ ყოფილმა მეშაშემ არ იცოდა ხვალამდე გაუძლებდა თუ არა შეურაცხყოფისაგან გასიებული გული. ძაღლი ყეფაგარეული ღრიალით აწყდებოდა ჭიშკარს. ზარის დარეკვა ან დაძახება არც კი დასჭირვებია.

– გადი, ძაღლო, იქით! – დაიყვირა ვიღაცამ ეზოდან.

ძაღლი თავს ახლიდა ღობეს და რკინის გისოსებში გამოვარდნას ცდილობდა.

– გადი, ძაღლო, იქით-თქვა! – ძაღლს ვიღაცამ შიგნიდან ქვა ესროლა. ქვა ჭიშკარს მოხვდა და მტერ-მოყვარე არეული ქოფაკიც წკმუტუნით მოშორდა შესასვლელს.

ჭიშკარი მიხამ გაუღო.

ლავრენტი პლაშჩის ჯიბეში ხელებჩაწყობილი იდგა და მასპინძელს მდუმარედ შეჰყურებდა.

– მობრძანდი, ჩემო ლავრენტი.

– შემოსასვლელად არ მცალია. საქმე მაქვს პატარა.

– ამოდი სახლში, შე კაცო, ასე ქუჩაში ხვარ ვილაპარაკებთ. ძაღლის ნუ გეშინია. ჩემი კი არა, მეზობლისაა ეს მკვდარძაღლი. მის ეზოში ჩამსვლელ-გამომსვლელს ხმას არ სცემს. ასე, ა, ჩემს სტუმარზეა გამეცადინებული. ვინ კითხავს, ვინ დაავალა, დამიცავი რამეფრადო, დღეი დაბმულია, ღამე ოუშვებენ თუ არა, ჩემი ეზოსკენ მორბის.

ამ ლაპარაკით კიბე აათავეს და შუშაბანდში შევიდნენ. ლავრენტი პლაშჩგაუხდელად დაჯდა მაგიდასთან და ხელები ლოყებს შემოაწყო.

– ხომ მშვიდობაა? – იკითხა და იმ ოთახისაკენ გაიხედა, საიდანაც წამოსული ჩრდილები შუშაბანდის ფარდას ეცემოდნენ და დევებივით ირხეოდნენ.

– ცოლი მყავს ავად, ჩემო ლავრენტი. მძიმე ავადმყოფია. გამშრალი ვარ კაცი. ორი თვეა, ჩემს სახლს ექიმი და სასწრაფო არ მოშორებია. – მერე ლავრენტისაკენ დაიხარა და ჩურჩულით უთხრა: – კიბო აქვს კუჭის, დაღუპული ვარ მთლად.

ლავრენტის აშკარად ეწყინა.

– იცის თვითონ?

– არ ვეუბნები. არ მინდა სიკვდილის წინ გავამწარო. დათვლილი აქვს დღეები საწყალს. რავარი ქალი მერე, რავარი ადამიანი.

ცოტა ხანს ჩუმად ისხდნენ.

ლავრენტიმ იფიქრა, რაც მალე ვეტყვი და წავალ, თვითონაც ურჩევნიაო და დაიწყო:

– რა მოხდა დღეს, მიხა, თუ კაცი ხარ, გამაგებინეთ ერთი.

– მეც მაგას არ ვკითხულობ? მკვდარი მოვედი შინ. მეხის გავარდნასავით იყო ჩემთვის ეგ ამბავი.

– არა ვარ ღირსი? მითხარი, ლოთიანად, შემეშალა რამე? გლახად ვპასუხობდი?

– მე მეკითხები, ჩემო ლავრენტი ამას? ჩვენ დღეს ხომ არ გაგვიცვნია ერთმანეთი. რას ჰქვია, არ გეკუთვნოდა. ეჭვი გეპარება რამეში? შაშის საქმე ვის ესმის შენნაირად. შენ გამოგვაჩინე პირველად, პირველი ჩემპიონი შენ არ იყავი? ვინ ვიცოდით მაშინ შაშის თამაში წესიერად.

– აბა რატომ მომჭერით თავი, რა მოხდა?

– ამიტომ არ მინდა იმ სექციის ბიუროს უფროსობა. დამანებონ თავი. ხომ ხედავ, რა საშარო საქმეა, რამდენჯერ ვთქვი, წევრი ვიქნები-თქვა. არ დაადგათ საშველი. შენ ჩემშიც ეჭვი ხომ არ გეპარება? გამეიხედე აქეთ? ბოვშებს გაფიცებ, მითხარი.

– კაცო, მე გლახას ვერავიზე ვერ ვიფიქრებ, მარა შენ იჯექი იქ და მითხარი ერთი, რა მოხდა?

– მე, ძმაო, მაგერაა ოთხივე, ღიად მოგეცი ხმა. მე თავმჯდომარე ვარ-თქვა და დასამალი არაფერი მაქვს-თქვა, ეკუთვნის ამ კაცს-თქვა და პირველმა ჩავაგდე კენჭი, ეს ჩემი ერთი ხმა ქეა შიგ.

– იმ ოთხს გოუშავებივარ.

– რა ვიცი, ახლა ასე გამოდის. სანდრო კილაძე შავს რავა ჩაგიგდებდა, მაგი ისეთი კაცია, ყოველთვის ყველაფერზე თანახმაა. ნოშრევან ხარბედია ძმაკაცია შენი, ერთად დაიწყეთ და ერთად მოდიხართ აგერ ამდენი წელიწადია, ნესტორ ქათამაძე, ქე იცი, ერთი შეკითხვაც არ მოუცია და

წამდაუწუმ იძახდა, ნუ ვაწვალებთ ამ კაცსო, ცოდვას ვერ დავდებ. გადაჭრით ვერავისზე ვიტყვი. ამირან თარაგამაძ-ესთან რავა ხარ?

– რა ვიცი, კარგად.

– ვითომ, ჩემი მოკლე ჭკუით, ერთი მაგაზე მაქვს პატარა ეჭვი!

– თქვა რამე?

– კი არაფერი გაუბედავს, მარა, მაგან იცის, საერთოდ, ჩემი კბენა. ცოტა კირკიმალა კაცია. სექციის თავმჯდო-მარეობა უნდა და რასაც ვიტყვი, საწინააღმდეგოს აკეთებს. ვითომ მე რომ შემატყო შენდამი ასეთი კეთილგანწყობა, ჩემს ჯინაზე ხომ არ ჩაგიგდო შავი-თქვა, ასე ვფიქრობ ახლა, მე, ჩემი მოკლე გაგებით.

– მე რა შუაში ვარ?

– კაცისას შენ გაიგებ ახლა რამეს? – მხრები აიჩეჩა მიხა სოფრომაძემ.

ლავრენტიმ ბოდიში მოიხადა უდროო დროს სტუმ-რობისათვის და კიბეზე დაეშვა. მასპინძლის ბოლო სიტყვები: გულთან ნუ მიიტან ამ ამბავსო, მას არც კი გაუგონია. ამირან თარგამაძე იქვე, მეორე მოსახვევში, კონსტიტუციის ქუჩის დასაწყისთან ცხოვრობდა.

ამირანს ერთადერთი ქალიშვილი გათხოვილი ჰყავდა. ცოლს ადრე იყო გაყრილი და მარტო ცხოვრობდა. ზარს ვერ მიაგ-ნო, აკაკუნა კარებზე, „მასპინძელო“, ბევრი იძახა ლავრენტიმ, მაგრამ არავინ გამოხმაურებია. ბოლოს ილაჯგაწყვეტილმა მეზობელმა გააღო ფანჯარა: „აბრძანდით ზევით, ბატონო, თვარა აქედან ვერ გააგონებთ, ტელევიზორს უყურებს ალბათ შუშაბანდში“. ძაღლი ხომ არ ჰყავსო, – იკითხა ლავრენტიმ და უარყოფითი პასუხი რომ მიიღო, კიბეს აუყვა.

– ხალხი არიან მაგენი? ხალხი არიან, ბიჭო, მაგენი? მითხ-არი, ერთი შენ. – კარებშივე შეაგება ამირან თარგამაძემ.

– მე მაგის გასაგებად მოვედი, – თვალებში შეხედა ლავრენ-ტიმ და ძალიან უნდოდა ამოეკითხა, იყო თუ არა მისთვის შავის ჩამგდები ამირანი.

– რა პირით შეგხედავენ ხვალ-ზეგ, იმისი არ იყოს, არ უნდათ ამ დამპლებს ცხოვრება?

– მე გული იმაზე მწყდება, ჩემო ამირან, რომ ქურდულად გამომჭრეს ყელი. ადექი, შე კაცო, მითხარი პირში, არ გეკუთვნის ეს წოდება შენ-თქვა. პირში თქმას წინ რა უდგას. თუ მწყენოდა, შვილებს გეფიცები. ვიფიქრებდი, ამ კაცს, ალბათ, ასე მიაჩნია-თქვა, მარა მოპარვით, ჩუმათ, ზურგსუკან ხანჯლის ჩაცემა სიგლახე არაა?

– სიგლახეზე მეტია, რაც მაგათ გააკეთეს.

– მითხარი ერთი, თუ ძმა ხარ, რა შეატყე, რა აზრი გამოიტანე მთელი ამ საქმიდან.

– ხვადაგზე უარესია ქვეშქვეშა კაცი, ხვადაგი ქე მაინც პირდაპირ დაგეტაკება და გიკბენს. ვინმესთვის რამე სიავე რომ შემეტყო, არ ავტეხავდი ყვირილს, არ ავრევდი კენჭისყრას? არავის შენი აუგი არ დაცდენია, პირიქით, ყველას გაეხარდა და ესიამოვნა. ასე მეგონა მე. მიხა სოფრომაძეს რა აქვს შენთან გასაყოფი, თავმჯდომარეა და იგიც არ უნდა. რაში ეცილები შენ. მიხას უნდა მოეცა ხმა. მეტი ვინ ვიყავით... ნოშრევანი, ქე იცი, ჭიჭყინი იცის პატარა, თვარა გული კარგი აქვს, სიგლახეს არ ჩაიდენს. ნესტორ ქათამაძემ მე მითხრა, ფორმალობას რა ვუთხრა თვარა, რა ჩვენი გამოსაცდელია ახლა ლავრენტიო. სანდრო კილაძესთან ხომ კარგად ხარ?

– კაი გამარჯობის მეტი არაფერი მახსოვს.

– რაზე გეუბნები, იცი? რაღაცას აქტიურობდა, თუ შეატყვე, ყველაზე მეტს გეკითხებოდა. ვცოდავ, ეგება, ღვთის წინაშე, მაგრამ მაგი მთლად კაი კაცი არ უნდა იყოს. შარშანწინ ჩემი გოგოს გაყვანა მინდოდა ინსტიტუტში, სორტსმენებს, ქე იცი, ცალკე ცდიან. მე ვთქვი, ჩავწერ მე ვთქვი, სპორტსმენების სიაში-თქვა. მეტი რაში ვარგივართ, რა ხეირი მანახა ამ სპორტმა მეტი. მდივანი იყო ჩვენი სექციის სანდრო. მივედი, დამირტყი ბეჭედი-თქვა. გაგიგონია? თავი მოიკლა, რას ჰქვია, ვის ჰქვიაო! შენ გოგოს ხელი არ გოუქნევია მიდღემში და ამ ბავშვებს გადავახტუნო თავზეო?

ა, ასე მითხრა. რა უფუჭდებოდა, თუ ძმა ხარ, მითხარი. ისე ისწავლა მაგისმა ნაგრამ-ნაშიერმა. რავარც ჩემმა გოგომ ისწავლა. შარშან ქე გამითხოვდა და დამირჩა ასე უსწავ-ლელი. რა ვიცი, რა დღე მომელის. ეგება, ერთ მშვენიერ დღეს, ქე კრას იმ ბიჭმა პანღური და ქე მომიბრუნოს უკან. ქალს რაღაცა პროფესია, რაღაცა საქმე არ უნდა ქონდეს? ამიტომ მეეჭვება სანდროს კაცობა. მე მგონია, ერთი შავი მაგისი უნდა იყოს.

– რა ვიცი, დასწყევლოს ეშმაკმა.

– მთლად მე კი ნუ დამიჯერებ, ეგება ვცდები, მაგრამ ფაქტი ფაქტია. მე, ჩემო ლავრენტი, ყველას დავანახე: ა, ბა-ტონო, მე ვუთხარი, ჩემი ბიულეტენი, მე ვუთხარი. მერე რომ არავის შეეპაროს ეჭვი-თქვა. დავანახვე ყველას და მოგეცი ხმა. მე ერთადერთი სანდროს ხმა მეეჭვებოდა, თვარა ოთხ-ივე თუ შავს ჩაყრიდა რავა მეგონა.

ლავრენტიმ მადლობა გადაუხადა მასპინძელს და ქუდი დაიხურა.

– სად მიხვალ? – დაედევნა ამირანი. – ასე რავა გაგიშ-ვებ. პირველად ხარ ჩემ ოჯახში. კაი ღვინო მაქვს, იმ ერთ გოგოს გეფიცები; ჩემი დაწურულია, კუმპალ-კუმპალ ვარჩიე ყურძენი. თითო ჭიქა ფეხზე მაინც დავლიოთ?

მაგრამ ლავრენტი უკვე ქუჩაში იყო და არხის გაყოლებით წყალსადენის ქუჩისაკენ მიაბიჯებდა.

სანდრო კილაძე პურის მაღაზიასთან შეხვდა. მკლავები გაშალა და დიდი ხნის უნახავი მეგობარივით გადაეხვია.

– ლავრენტის გაუმარჯოს, რავა ჩამოგტირის ცხვირ-პირი, მეტი საჯავრო არ მოგცეს გამჩენმა. მაგენმა იკითხონ, ხვალ მთელი ქალაქი რომ გაიგებს და თავი რომ არ გამოეყოფათ, თვარა შენ რა გაქვს სადარდელი. ყველამ ვიცით, რომ ეს წო-დება შენთვის ისე, ყოველგვარი კენჭისყრის გარეშეც უნდა მიენიჭებინათ. სად იყავი აქეთ?

– შენთან მოვდიოდი.

– აგაშენა ღმერთმა. წავიდეთ აბა. ცხელი პური ქე მიმაქვს და მეც უვახშმო ვარ.

– რა მიქენით, კაცო, დღეს. გაფიცებ გულით საყვარელს, გახსოვთ ჩემგან რამე ცუდი რომელიმეს?

– ხომ გითხარი, უვახშმო ვარ-თქვა, რავარ ხასიათზე მოვიდოდი ახლა მე იქიდან, რა ვუყო, რა პირით შევხვდე ხვალ ლავრენტის-თქვა. მე მაინც არ ვერიო ამ მაიმუნების ბიუროში-თქვა. იმ კაცს ჩემზე არ ეგონოს-მეთქი, ესეც ქე გავიფიქრე. მარა, გეტყვიან თვითონ, ვიცოდი, რა ხალხთანაც მქონდა საქმე და ღიად მოგეცი ხმა. დავდექი ყუთთან და ოთხივეს ვაჩვენე. ამნაირი კაცი ვარ მე, ჩემო ლავრენტი.

– მაინც ეჭვი არავისზე გაქვს? – ხავსს ჩაებღაუჭა სტუმარი.

– გაიგებ შენ თვითონ ხომ იცი, არაფერი დაიმალება. თუმცა რა გაგება უნდა. ჩემი ერთი ხმა ნაღდი იყო და იმგენს, ოთხივეს, შავი მოუცია.

– იქნებ ისე ვერ მოვიქეცი, რავარც საჭირო იყო, ან ეგება ტაქტი შემეშალა.

– უმაღლესად იყო ყველაფერი კენჭისყრამდე. ასე რომ ოთხ შავს არავინ ელოდა. სანამ შენ დაგიძახებდნენ, მე მანამდე მინდოდა წასვლა. აფერუმ თქვენს ვაჟკაცობას, რა კაი საქმე ქენით დღეს, თქვე ყასბებო-მეთქი. დავლანძღე ოთხივე, ხმა არ ამოუღია არც ერთს. თუ კაი სულები იყვნენ, ეჩვენებინათ ჩემსავით. ორი შავი რომ ყოფილიყო, აგერეოდა კვალი, ყველა იტყოდა, ჩემი კი არა იმისიაო. ახლა ოთხივეს სახე კარგად მოჩანს, შენც გეცოდინება მომავლისათვის.

– ვის ეტყობოდა, რომ შავის მომცემი იყო თავიდან?

– მე მგონი, ერთს ნოშრევან ხარბედია მოგცემდა. შენ გეძმაკაცება, ვიცი მაგი მე, მაგრამ ერთ ნაბიჯზეც არაა სანდო. არაა ჩვენი კაცი, იცოდე. ხელისგულზე ერბო-კვერცხი რომ შეუწვა, არ დაგინდობს მაინც, როცა ჭირდები, ქე შემოგიძვრება მელასავით, თუ არაფერს გამოელის შენგან, მორჩა, არ არსებობ მისთვის.

– ნოშრევანი, კაცო?

– ჰო, ნოშრევანი, ნოშრევანი. თან გადაყოლილი ვიყავი მე მაგაზე, პირში სულს ვუბერავდით ერთმანეთს. ჩემს ოჯახში ჭიქა არ აიწეოდა უმაგისოდ, მარა პატარა ხელი რომ შემე-

შალა, ქე გახსოვს შენ, იმ წუთას ზურგი შემაქცია. ეგ კი არა, გამომძიებელს ჩვენება მისცა, რაცხას რომ თაღლითობდა ვატყობდიო. რომ ჩათავდა ის საქმე, დავუძახე ჩემთან სახლში, გადავახიე თავზე მისი ჩვენება და ვუთხარი: დღეიდან შენ შენთვის და მე ჩემთვის-თქვა, ქე ვარ ახლა წყნარად.

– წავალ ახლა მე, – თქვა ლავრენტიმ, როცა სანდროს ჭიშკარს გაუსწორდნენ.

– შენ არ მომიკვდე, არ გაგიშვა. ასე ვართ ჩვენ ერთმანეთთან? კაი მჟავე, კაი ყველი და პური და ვიჭუკჭუკოთ ცოტა ხანს.

– არ მცალია, გმადლობთ. – დააგდო ლავრენტიმ და თითქმის სირბილით გაშორდა მასპინძელს.

– ლავრენტი, თუ კაცი ხარ, ნოშრევანზე რომ გითხარი, ჩემ ნათქვამად ნუ იტყვი! – დააწია სანდრო კილაძემ და ჭიშკარს ფეხი ჰკრა.

ნოშრევან ხარბედია სახლში შეისწრო. იადონის ბუდეს ასუფთავებდა.

– შენ ხარ? – ჰკითხა და მაგიდის ნათურა გაანათა.

– მე ვარ.

– სად გაქრი დღეს, გეძებე, მერე, ერთად მინდოდა წამოვსულიყავით.

– რა კაი ხასიათზე მე გამომიშვით.

– სათქმელი მქონდა რაღაცა.

– რაი?

– უნდა დაწერო, საჩივარი. უნდა გვიჩივლო, პროცედურაა დარღვეული, ოქმს არ წერდა არავინ.

– ჩივილით მიღებული წოდება ვნახე დამწვარი.

– პრინციპის ამბავია, უეჭველად მოიგებ, მაგენს რატომ უნდა გავატანინოთ თავისი.

– ჩიტი სადა გყავს?

– მაგერაა ქვაბქვეშ.

– არ დაიხრჩოს, ჰაერი შესდის?

– რა დაახრჩობს ცოტა ხანს. უნდა გავყიდო ახლა, სად მაქვს მე ამის თავი. ჩემებს ამის მოვლა არ უყვართ. ხანდახან

თვე ისე გავა, წყალს არ გამოუცვლიან, გალობის მოსმენა სიამოვნებთ მარტო. აქოთებულა იადონი და არვის მოსვლია აზრად გაეწმინდა გალია. მე მომჩერებია ყველა. ავდგები და გავყიდი.

– მაგი არაფერი, – ამოიხვნეშა ლავრენტიმ. – რა მოხდა დღეს, ჩემს ჭკუაზე აღარა ვარ.

– მაგაზე მინდოდა მელაპარაკა და გამექეცი. სპორტ-კომიტეტიდან დაურეკიათ მერე, რა გიქნიათ ესო, ხოჯავას უთქვამს, თქვენ ხართ ახლა პრინციპული და ობიექტური ბიუროვო? გასაყრელი ხართ სუყველაო. ეგებ ქე დაგვშალონ ამ ამბის გულისათვის.

– მე რას მიშველის. მე ქე გამამწარეთ და.

– რას იზამ. თავიდანვე რაიმე ეჭვი რომ გვქონოდა, სხვანაირად მოვიქცეოდით.

– რას იზამდით?

– წინასწარ გავაფრთხილებდით ყველას. ავდგებოდი, დაგახასიათებდი, ხმის დამთვლელად მე დავდგებოდი, იმგენს გარეთ გამოვუშვებდი და თუ გამიჭირდებოდა, სულ გამოგიცვლიდი ბიულეტენებს.

– კაი ერთი. მერე ვინ მომეტყუებინა მაგნაირი ილეთით, ჩემი თავი?

– რომ არ გეკუთვნოდეს, სხვა ამბავია. შენ ხომ იცი ჩემი ხასიათი. ძმა ხარ ჩემი, მარა მაინც გეტყოდი, არაა ეს შენი საქმე, არ გეკუთვნის ჯერ და მოიცადე პატარა-თქვა, მარა ასე რომ არ იყო საქმე? ნესტორია ქათამაძე – ღვთის გლახა უნდა იყოს რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი და შენ არ უნდა იყო?

– რაო, ნესტორიამ?

– ერთი შავი რომ მაგისია, ეჭვი არ შეგეპაროს. ჩემ გვერდით იჯდა. ბიულეტენები რომ დაგვირიგეს, მე ადგილიდან არ გავნძრეულვარ, „თანახმა ვარ“ დავტოვე, „არ ვარ თანახმა“ წავშალე და ჩავაგდე. ნესტორმა მოკიდა ხელი ბიულეტენს და ვითომ ჩემ გასაგონად ჩაილაპარაკა – „თუ ფარული კენჭისყრაა, ფარული იყოსო“, მივიდა ფანჯარასთან, კაი ხანს

იდგა და სულ ბოლოს ჩააგდო ოთხად გაკეცილი ბიულეტენი. იმ წუთში მივხვდი, შავი ჩააგდო-თქვა, მარა ერთი შავის არ მეშინოდა, სხვებისაგან თეთრს მოველოდი.

– ხომ ხედავ, შევცდით.

– ნესტორი რაცხაა ყველამ იცის, მარა იმ გლახებს მაინც რა ბზიკმა უკბინათ. მიხა სოფრომაძემ, სანდრო კილაძემ და ამირან თარგამაძემ, მაინც ამირანმა რაფერ მოგცა შავი?

ნოშრევანმა გალია გამოფერთხა, სული შეუბერა და სამზარეულოში მტვრის კორიანტელი დააყენა. სველი ჩვრით გამოწმინდა. და რაკი შეატყო, რომ იადონის „სასახლეს“ სუნი მაინც ასდიოდა. ონკანს შეუდგა.

– ერთს გეტყვი ახლა მე. პატარა ხანი რომ გაივლის, ისევ შემოიტანე განცხადება. ჩივილი არ ღირს, სწორი ხარ, უფრო გადაგემტერებიან. დაწერე განცხადება და მერე მე ვიცი, როგორ ვიმოქმედებ, რავა იტყვი შენ?

ხმა რომ არავინ გასცა, ნოშრევანმა ნათურა ასწია და ოთახი დაათვალიერა. ლავრენტი წასულიყო.

ნესტორ ქათამაძე სოხუმის ქუჩაზე ოროთახიან კომუნალურ ბინაში ცხოვრობდა.

კარი წინსაფრიანმა ჭაღარა ქალმა გაუღო.

- ნესტორი სახლშია, ქალბატონო?

– კი ბატონო, მობრძანდით.

– თქვენ?

– სიდედრი ვარ. შემობრძანდით.

ლავრენტი შევიდა. სიდედრმა სკამი დაუდგა და ბოდიშის მოხდით უთხრა: – ტანს იბანს, თუ საჩქაროა, ვეტყვი და გამოვიყვან.

– დიდი ხანია შევიდა?

– ახლა შევიდა, მარა რა მნიშვნელობა აქვს.

– არა, იყოს, დავიცდი.

– მოიცა, ვკითხავ, – სიდედრი აბაზანის კარს მიადგა. - ნესტორ, გესმის? სტუმარია.

– რომელი?

– ვინ ბრძანდებით, რა ვუთხრა? – გაუღიმა სიდედრმა.

– ლავრენტია-თქვა, მიქაუტაძე.

– ლავრენტი ვარო, მიქაუტაძე! – ჩასძახა კარს სიდედრმა.

– შემოვიდეს. – მოისმა აბაზანიდან.

– თუ არ გეწყინებათ, შემობრძანდით. – სიდედრი კარებს მოშორდა.

ლავრენტიმ პლაშჩი გაიხადა, სკამზე გადაკიდა და აბაზანის კარს მიაწვა.

– ლავრენტის ვახლავარ! – აბაზანიდან ნესტორის მელოტი თავი მოჩანდა.

– ბოდიშს ვიხდი, ჩემო ლავრენტი.

– რავა გეკადრებათ, პირიქით.

– გაწყენინეთ დღეს, მარა რას იზამ, ხდება.

– მაგაზე უარესიც ხდება, ჩემო ნესტორ, მარა მე ვის რა დავუშავე, რატომ მატკინეთ ასე გული?..

– კაცისას რას გაიგებ, ლავრენტი. ზოგიერთი მარტო რომ რჩება ყუთთან, როგორც ჩანს, ყველაფერი სიავე მოსდის თავში. ამნაირ წოდებას ღია კენჭისყრით უნდა ანიჭებდნენ. რაა დასამალავი, ვაჟკაცი ადგება და იტყვის თავის სათქმელს.

– მაინც ვინ მომცა შავები, რავა ატყობ?

– მე მაგას ნუ მკითხავ, ჩემო ლავრენტი. ჩვენ იქ ხუთი კაცი ვიყავით, ხუთივემ თანაბრად უნდა გავინაწილოთ ის ერთი თეთრი და ის ოთხი შავი. შენთვის თავის მოწონება ახლა თვალთმაქცობას ნიშნავს.

– ვინმემ გაჩვენათ ყველას ბიულეტენი?

– ვერც მაგას გეტყვი.

– შენ თვითონ შავი მომეცი?

– ლავრენტი, ნუ მაყენებ მძიმე მდგომარეობაში, თუ ძმა ხარ. რავარც შენ მიცნობ, რავარც შენ გიღირვარ, ისე იფიქრე. ფარული კენჭისყრაა ეს ოხერი და იმიტომაა ფარული, რომ რაღაცა საიდუმლოდ უნდა დარჩეს, მე მაინც ვერ დაგიმტკიცებ, რომ ხმა მოგეცი და არც ვეცდები მაგ საქმეს. რა მნიშვნელობა აქვს, როგორც ხედავ, მე რომ თეთრი მომეცა, მაინც ვერ გიშველიდა და მე რომ შავი მომეცა, ვერც

ის შეცვლიდა რაიმეს. მე თავს არავის ვაყვარებ. ყველა მისმა სინდისმა გაასამართლოს.

– გული რომ გამიხეთქეს? რომ დამამცირეს, რწმენა რომ დამიკარგეს?

– რისი რწმენა?

– თქვენი სექციის ბიუროსი.

– მაგი არაფერი. ჩვენ დღეს ვართ იქ და ხვალ აღარ ვიქნებით. თქვენ აგვირჩიეთ და თქვენვე უნდა გადაგვირჩიოთ. მთავარია, იმ საქმის რწმენა არ დაკარგო, ჩემო ლავრენტი, რასაც ცხოვრება შევწირეთ. შაში უბრალო თამაში არაა. ჩვენს ქალაქში პირველი ჩემპიონი შენ იყავი, თუ გახსოვს. მაშინ ასუჯრედიანი ერთი დაფა გვქონდა მარტო და შეჯიბრი მთელ თვეს გაგრძელდა: რას ჰქვია, გული გამიტყდაო. ზოგს, შე კაი კაცო, მარჩენალი შვილი უკვდება და ქე დადის ფეხზე. რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯობა არ მომცესო და გულზე ვარ გამსკდარიო, რომ გაამხილო სადმე, სიცილით მოკვდებიან. შენ წადი, მშვიდად დაიძინე. დღეს არ არის, ხვალ იქნება.

* * *

ბაგრატის ტაძრის ცივ ლოდზე იჯდა და ქალაქს დაჰყურებდა.

ქარი ამ სიმაღლეზე უფრო გაავებული ჩანდა. დათარეშობდა იგი ბაგრატიონთა გუმბათჩამოქცეულ სავანეში. სისინით მიძვრებოდა ხავსმოკიდებულ სარკმელში და შორს, სადღაც რიონის ჭალებში უჩინარდებოდა.

ლამპიონები ერთი მეორის მიყოლებით ქრებოდნენ. ქალაქი იძინებდა.

აღარც კი ახსოვს, როგორ ამოვიდა აქ. უამური სიცივე და მტვრიანი ქარი კბილებში ატანდა, მაგრამ ახლა სახლში შესვლა არაფრით არ შეეძლო.

– რა იყო მაინც დღევანდელი დღე? რა დაგვემართა? – ფიქრობდა ლავრენტი და უნდოდა სიზმარი ყოფილიყო

ყოველივე, რაც გადახდა. უნდოდა დაევიწყებინა შაშის სექციის ბიუროს შემომსხდარი ხუთი სერიოზული მსაჯული, რომელთაგან კაცი მხოლოდ ერთს ეთქმოდა.

„თუ ასე იყო... ასე თუ იყო, რად მინდოდა მაგათი მონიჭებული წოდება, რა შავქვად მინდოდა. კიდევ კარგი, რომ ასე მოხდა. კიდევ კარგი, რომ ახლა ყველაფერი ვიცი, თორემ ბრმა ლეკვივით თვალაუხელელს უნდა მევლო მთელი ცხოვრება?“

ქვევით, უქიმერიონს აკრულ ქუჩაზე მთვრალი მოქალაქე მიბარბაცებდა. გამოყოლილ სიმღერას არეულად ღიღინებდა. ხანდახან გაჩერდებოდა, ღამეს მიაყურებდა „ეჰე-ჰეიო“ იყვირებდა. ჩაძინებული ქალაქის გაღვიძება თუ სურდა.

მარტვილი

მაშინ ქალაქ მოწამეთაში სამი ხიდი იყო – თეთრი ხიდი, წითელი ხიდი და ჯაჭვის ხიდი.

მოწამეთას გავლილი ჰქონდა ათასწლეულები. იგი აღარ წარმოადგენდა სატახტო ქალაქს.

მოწამეთაში რიონის ძლიერი მოსილვის გამო, ვეღარ ადიოდნენ ბიზანტიის დიდი სავაჭრო და საჭაპანო გემები.

იაზონის კვალში ჩამდგარ, საცოლეთა მაძიებელ ბერძნებს მოწამეთამდე სანაოსნო გზა რომ ჩაეკეტათ, ფაზისის ნავსადგურიდანვე უკან ბრუნდებოდნენ ძნელი და ფათერაკიანი გზებით.

მოწამეთას ნავსადგური ნელ-ნელა დაცარიელდა და ჩაკვდა.

ამ სავალალო ამბავს ქალაქის რამდენიმე მსხვილი მანუფაქტურის გაუქმებაც მოჰყვა, რადგანაც ეს მანუფაქტურები ნედლეულს ძირითადად გემით ღებულობდნენ და მსოფლიოში განთქმულ ხალიჩებსა და დინოზავრის ძვლისაგან დამზადებულ სამკაულებსაც ძირითადად სანაოსნო გზით ასაღებდნენ.

სტუმრის მოუსვლელობით შეწუხებულმა ხელმწიფემ ტახტი სხვაგან გადაიტანა და მოწამეთა თანდათანობით გადაკეთდა პატარა, მოსაწყენ პროვინციულ ქალაქად.

საუკუნეში, როდესაც ამ ნოველაში აღწერილი ამბავი მოხდა, მოწამეთას მართავდა ქალაქის უხუცესთა საბჭო, რომელიც სხდომებს ორ კვირაში ერთხელ, ორშაბათობით იწვევდა.

სხდომასა და სხდომას შორის კი ქალაქის განმაკარგულებელი იყო უხუცესთა საბჭოს თავმჯდომარე. თავმჯდომარეს თუ სადმე არ დაუძახებდნენ, სულ თავის კაბინეტში იჯდა.

თავმჯდომარის კაბინეტს მრისხანე სახის წითელფაფარიანი მდივანი იცავდა. ძირითადად მას ევალებოდა მთხოვნელ-

თა მოგერიება და ტელეფონის ყურმილის აღება, როცა, რასაკვირველია, ეს უკანასკნელი დარეკავდა. მდივანს ჩვეულებრივი ტელეფონით დამრეკავისათვის ერთადერთი პასუხი ჰქონდა: „თავმჯდომარე არ არის. არ ვიცით. ობიექტებზე წავიდა სხვა დროს სულ აქ არის“.

ხანდახან, თუ ტელეფონი შემთხვევით გადმორთული არ იყო, თვით თავმჯდომარე პასუხობდა ტელეფონს. თავმჯდომარესაც თითქმის ერთადერთი პასუხი ჰქონდა: „თავმჯდომარე არ არის, მე თანამშრომელი ვარ, რა გადავცე, ვინ ბრძანდებით? არ ვიცი, ვერ გეტყვით“.

მოწამეთას ისტორიული დიდება თანდათანობით ლეგენდად იქცა.

ამ ქალაქის მკვიდრთ უკვე აღარ სჯეროდათ, რომ ერთ დროს მოწამეთა მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ნავსადგური და სატახტო ქალაქი იყო. აღარ სჯეროდათ იმიტომაც, რომ წარსულის დიდების ნიშანწყალი ქალაქში თითქმის აღარ დარჩა.

აწმყო თავისი სინამდვილით, საოცრად დაშორდა მოწამეთას შარავანდედით მოსილ წარსულს.

რიონი კირქვოვანი პერიოდის უშველებელ თეთრ ქვებს შორის ძლივს ითქვამდა სულს.

ქალაქის ირგვლივ აიეტის დროინდელი მცენარეული საფარი განადგურებულიყო და თვეობით ქროდა აბეზარი ქარი, რომელსაც ახლომახლო სოფლებიდან ნივრის მწნილის სუნი მოჰქონდა. ამ სუნს დღის მეორე ნახევარში ცხენის ნაოხრალის არანაკლებ მძაფრი და სპეციფიკური სუნი ემატებოდა, რადგანაც ქალაქის ძირითადი ტრანსპორტი ფაეტონი გახლდათ, ხოლო ქუჩები კი ცხენის ნაკელისაგან მხოლოდ კვირაში ერთხელ იწმინდებოდა.

იქნებოდა ასე, თორმეტის ოცდახუთი წუთი, როდესაც უხუცესთა საბჭოს შენობის წინ ფაეტონი გაჩერდა. მეეტლე გადმოვიდა და პირდაპირ შესასვლელისაკენ გაემართა, მაგრამ, ბოხმა, ოდნავ გაბზარულმა ხმამ უკან დააბრუნა.

– ეტლი თქვენია?!

– კი, ბატონო, – მიუგო მეეტლემ.

– აქ ეტლის გაჩერება არ შეიძლება!
– სად წავიყვანო, აბა!
– აქ ეტლის გაჩერება არ შეიძლება!
– სხვა ეტლები რომ დგას?
– აქ ეტლის გაჩერება არ შეიძლება! – კიდევ ერთხელ უთხრა ბოხმა, გაბზარულმა ხმამ და იქვე, ბამბუკის ჯოხზე აკრულ აბრაზე მიუთითა. „ფაეტონსადგომი მხოლოდ უხუცესთა საბჭოს ფაეტვნებისათვის“ – ეწერა აბრაზე.
– საბჭოში მომსვლელმა ხალხმა სად უნდა დააყენოს ეტლი, არ მოგიკრავს ყური? – ჰკითხა მეეტლემ.
– აქ ეტლის გაჩერება არ შეიძლება, – მერამდენად გაუმეორა მკაცრმა ხმამ და აგრძნობინა, რომ მოსულთან დისკუსიის გამართვის არავითარი ხალისი არ ჰქონდა. იგი პატარა კაცი იყო. უთხრეს, აქ ფაეტონები არ დავინახოთო და სხვა არაფერი დაუვალებიათ.
მეეტლემ სადავით დაძრა ცხენები. ქვემოთ, ცირკის მახლობლად ხეზე მიაბა და მათრახის ტკაცუნით აუყვა აღმართს.
ეს კაცი გახლდათ გრიგოლ კალანდაძე. გრიგოლი დამწყები მეტლე იყო. სამოცსგადაცილებულს, თმა-წვერი ერთიანად გათეთრებოდა. თავზე ღერი თმა არ აკლდა, მაგრამ ბეჭებში საკმაოდ მოხრილიყო და სიარულის დროს მოღლილი კაცის შთაბეჭდილებას სტოვებდა. მარჯვენა ხელზე საჩვენებელი და შუათითი აკლდა. შუბლზე ვერტიკალურად ღრმა ნაჭრილობევი ემჩნეოდა. ნაჭრილობევის ადგილას წარბი ორად იყო გაყოფილი. გრიგოლს თეთრი, ფუნჩულა, წარბები და ტუჩების გასწვრივ კუთხურად შეპარსული თეთრი სქელი ულვაშები ჰქონდა. ბრეზენტისაგან შეკერილი რუხი მოსასხამი ეცვა, ლურჯი მწვანეზოლიანი გალიფეს ტიპის შარვალი, ხოლო ფეხზე – მაღალყელიანი, შავი, საგულდაგულოდ გაწმენდილი ჩექმები. ამგვარ ჩექმებს ეფრეიტორზე ოდნავ მაღალი ჩინის უმცროს ოფიცრებს აძლევენ ხოლმე.
გრიგოლი ორმოცი წელი ჩაფრად მუშაობდა. მართალია, თავისი დაბალი განათლების გამო მაინცდამაინც წინ ვერ წაიწია, მაგრამ გამბედავი და პატიოსანი იყო და არაერთი

ჯილდო და მადლობა ჰქონდა მიღებული ყაჩაღებთან მრავალგზის შეტაკებისას თავის გამოჩენისათვის.

ორმოც წელს, ჩაფრად ნამსახურევი კაცისათვის, ცოტა არ იყოს, დაბალი ჩინით გავიდა გრიგოლი პენსიაზე, მაგრამ უმწიკვლო მუშაობის გამო უფროსმა ბრძანებით მადლობა გამოუცხადა და წასვლისას თავისი განყოფილების მუშაკებმა გამოსათხოვარი ვახშამიც გაუმართეს.

პენსიაში გასვლის შემდეგ, როგორც ეს საერთოდ ხდება, უსაქმოდ ვერც გრიგოლ კალანდაძემ მოისვენა.

ოჯახური საქმეებით მაინცდამაინც დატვირთული არ იყო. ერთი ქალიშვილი ჰყავდა და ისიც დედ-მამის სურვილის საწინააღმდეგოდ, სიყვარულით გათხოვდა მცხეთაში.

არ უნდოდათ მშობლებს ასე შორს შვილის გათხოვება, მაგრამ გვიანღა იყო. სიძე-ქალიშვილი თავიანთი პატარა ბიჭუნათი ქობულეთს მიმავალნი გზად გამოივლიდნენ ქალაქ მოწამეთაში და მშობლებთან მხოლოდ ერთ ღამეს გაათევდნენ, რადგანაც მოწამეთა, თავისი კლიმატური პირობების გამო, მაინცდამაინც ვერაფერი დასასვენებელი ადგილი იყო.

გრიგოლმა შავი დღისათვის შემონახული თავისი დანაზოგით ჯერ ფაეტონი იყიდა, მერე – ცხენები.

მეეტლედ გახდომა გრიგოლს უცებ არ გადაუწყვეტია. ეს მისი დიდი ხნის ოცნება იყო. ჩაფრად რომ დაიწყო სამსახური (ამ ორმოცი წლის წინ), მაშინვე გადაწყვიტა, პენსიაში რომ გავალ, მეფაიტვნე გავხდებიო.

უყურებდა ჩაფარი მოწამეთას ქუჩებში ფაეტონის კოფოზე შემოსკუპებულ, ბოხოხიან მეფაიტვნეებს და ეს ხელობა, რატომღაც, იოლად ეჩვენებოდა, სანამ თვითონ არ გამოსცადა.

მალე დარწმუნდა გრიგოლი, რომ მეფაიტვნეობა მარტო მოწამეთას ქუჩებში ეტლით აღმა-დაღმა გრიალი კი არ იყო, იგი ერთ-ერთი უძნელესი საქმე აღმოჩნდა იმ ხუთ სხვა პროფესიათა შორის, მეცნიერებას კარგა ხნის წინ რომ გაურკვევია.

თვით ფაეტონი იმდენად არაფერი – ცხენების მოვლა იყო საქმე. ორი ცხენის შენახვა. მათი ქერი და ბალახი, მათი ლაგამი და სამუნელი.

გრიგოლს ცხენებისა მაინცდამაინც ბევრი არ გაეგებოდა. ყველაფრის სწავლა თავიდან მოუხდა და მათ შორის ისეთი ელემენტარული რამეებისაც კი, რომ შეკაზმვის დროს ლაგამ-აღვირით არ შეიძლება უკნიდან ან გვერდიდან მიხვიდე ცხენთან. წინიდან უნდა შემოუარო, რომ ცხენი გხედავდეს – ვინა ხარ და რაშია საქმე. როცა ფეხდაფეხ მიგყავს, მარჯვნივ უნდა დაუდგე და ლაგამი მოკლეზე უნდა გეჭიროს... გრიგოლ კალანდაძის პატარა, კოხტა ეზო მალე დაემსგავსა მეფაიტვნის ეზოს. კოინდარზე ლაპარაკი ხომ ზედმეტი იყო, ცხენებმა თუთის ხეებს ფოთოლი არ შეარჩინეს. შემოდგომა იწურებოდა და ცხენებს თავლა სჭირდებოდათ.

სწორედ თავლის საკითხზე მიდის გრიგოლი უხუცესთა საბჭოს თავმჯდომარესთან. თავლას იგი, რასაკვირველია თავის ეზოში დადგამს, მაგრამ ამისათვის ნებართვაა საჭირო.

მოსაცდელში შემოსული მათრახიანი და ბრეზენტის მოსასხამიანი კაცი რომ დაინახა, მდივანმა ქალმა (ვითომ დიდი საქმეები ჰქონდა) ქაღალდებში ჩარგო თავი და მხოლოდ მაშინ ასწია, როცა ჩექმოსანი კაცი თავმჯდომარის კაბინეტის კარის შეღებას აპირებდა.

– მოიცათ, მოიცათ! რაშია საქმე?

– თავმჯდომარე მინდოდა, – მშვიდად უპასუხა გრიგოლმა.

– კი მაგრამ, რომ დაადევით თავი და შედიხართ, ჩვენ რისთვის ვართ აქ, ბატონო.

– არ ვიცი – გულწრფელად მიუგო კალანდაძემ.

– ჰოდა, რაკი არ იცით, მე აგიხსნით, რა საქმეზე მობრძანდით თავმჯდომარესთან?

– თავლის.

– რომელი თავლის? – დაინტერესდა მდივანი.

– პირველი თავლის. თავლა მინდა დავდგა ეზოში, რასაკვირველია და ნებართვაა საჭიროვო, მინდა ვკითხო, ეგება არც ქე უნდა ნებართვა, რა ვიცი.

– უნებართვოდ ვინ ჩაგადგმევინებთ თავლას, მაგრამ მაგ საკითხზე თავმჯდომარე არ მიგიღებთ.

– აბა რა საკითხზე მიმიღებს, ბიძიკო? – მოლბა გრიგო-

ლი, – მე შენ ასე რომ მიყურებ, დაკარგული კაცი კი არ ვარ. თავმჯდომარეს ქე ეცოდინება ჩემი დამსახურება. მე რასაკვირველია, ორმოცი წელი ჩაფრად ვიმსახურე. მაგენს ვიცავდი და სისხლს ვღვრიდი მაგენისათვის. ახლა პენსიაზე ვარ. როგორ ატყობ შენ, არა ვარ იმის ღირსი, თავმჯდომარემ რომ მომისმინოს ერთ წამს?

– როგორ არა, ღირსი ყველაა, მაგრამ თავლის საკითხზე თავმჯდომარე არავის ღებულობს ჯერ ერთი, და მეორეც, კიდეც რომ მიგიღოთ, აქ არ არის, ობიექტებზეა.

– როდის იქნება, როდის მოვიდე?

– რატომ არ გინდათ მიბრძანდეთ კეთილმოწყობის განყოფილების გამგესთან, თავლები იმასთან შედის.

– მასე მითხარი, შე კაი ქალო, ჩემთვის სულერთია, ვისთანაც მივალ, მე თავლა მაინტერესებს, რასაკვირველია.

– დერეფანში, მარჯვნივ, მეორე კარები, – ასწავლა მდივანმა და თავის საქმეს დაუბრუნდა.

გრიგოლმა ტყავგადაკრულ, გაბერილ კარებს დასაკაკუნებელი ადგილი ვერ მოუნახა და ხელით ფრთხილად მიაწვა, ოთახის სიღრმიდან ცხარე ლაპარაკი მოესმა, ეტყობა, გამგეს ვილაც ჰყავსო, გაიფიქრა და კარი სწრაფად გამოიხურა, მაგრამ უკვე გვიან იყო. იმწამსვე გამოვარდა ულვაშებიანად სუფთად გაპარსული, მაღალი, ლამაზი კაცი და გრიგოლის დანახვაზე ხელები გაშალა.

– თქვენ ჩემთან? მობრძანდით, მობრძანდით, რატომ პირდაპირ არ შემობრძანდით. ის ჩვენი თანამშრომელია. მე დაგიძახეთ მაშინვე, მაგრამ ვერ გაგაგონეთ. მობრძანდით, მობრძანდით, როგორ გეკადრებათ, – თავაზიანად უკუდგა მასპინძელი, გრიგოლს გზა დაუთმო და სკამი თავისი ხელით გამოუწია. მერე სწრაფადვე მოკალათდა თავის ადგილას და ყურადღებად იქცა.

ამასთან შემოსვლა ისე ადვილია და ისე ტკბილად მღებულობს, რომ არაფრის გამკეთებელი არ უნდა იყოსო, გაიფიქრა გრიგოლმა და სხვათა შორის არც შემცდარა.

– ამ სიბერეში, ჩემდა ჭირად, ფაეტონი ვიყიდე. ეგება ერ-

თი-ორი კაპიკი გავაკეთო-თქვა, არ შეგაწუხებდით, რასაკ-ვირველია, მაგრამ თავლა მინდა ჩემს ეზოში დავდგა, ერთი სიტყვით... რასაკვირველია...

განყოფილების გამგემ პირდაპირი პასუხი არ გასცა. ჯერ დაწვრილებით გამოჰკითხა მოსულს ცხენებისა და ფაიტვნის ამბავი: ალბათ, ძალიან რომანტიკული პროფესიააო, ხელები გადააჯვარედინა და ჭერს მიაშტერდა. მერე გრიგოლ კალან-დაძე თავისი ღირსების და დამსახურების ამბავს რომ ყვებოდა, დამხვდური აღტაცებას ვერ მალავდა, სულგანაბული უსმენდა და შიგადაშიგ მოუთმენლად ჩაურთავდა: „რას ლაპარაკობთ!“ ყოფილი ჩაფარი ყვებოდა, როგორ გაუჩეხა შუბლი ყაჩაღმა და შუბლგაჩეხილმა ორი საათის დევნის შემდეგ როგორ მიიმწყვ-დია კუთხეში ჩაფრის სიჩაუქით გაოცებული ყაჩაღი. როგორ აღმოაჩინა და გაანადგურა საზღვარზე გადმოსული ბანდა, რომელსაც, არც მეტი, არც ნაკლები, ხელმწიფის მოკვლა ჰქონ-და გადაწყვეტილი. ამ დროისათვის, ამ უხუცესთა საბჭოსთ-ვის ვიბრძოდიო. – დაამთავრა ბოლოს გრიგოლმა და თავისი მონათხრობით თვითონვე კმაყოფილი დარჩა. ამას თუ რამე შეუძლია, ახლა კი მივაღწიე ჩემსასო. – ფიქრობდა გრიგოლი.

– თქვენ თვითონ არ იცით, რა დასაფასებელი და პატივსა-ცემი ადამიანი ხართ, ცოტა დარჩა თქვენნაირი ნაბრძოლი და დამსახურებული კაცი, ძალიან მიხარია თქვენი გაცნობა. საინტერესო ადამიანებთან საუბარი სულიერად გამდიდრებს კაცს. რაღაც ახალს გმატებს, – დაზეპირებულივით ამბობდა განყოფილების გამგე და გრიგოლ კალანდაძეს თვალებში შე-ჰყურებდა...

– თქვენის ნებართვით... გეახლებით ახლა, რასაკვირვე-ლია, – წამოდგა მეეტლე.

გამგემ მოიწყინა.

– ბრძანდებოდეთ ცოტა ხანს.

– არა მცალია. ცირკთან ეტლი უპატრონოდ მივატოვე, მეშინია, არავინ წაიყვანოს, ხომ იცით, რასაკვირველია.

– „სეკრეტი“ არაფერი დაადეთ? – ჰკითხა შეცბუნებულმა გამგემ.

– კოფოზე ქვემოდან სადგისს ვარჭობ, – გაიღიმა გრიგოლმა. – მაგრამ იციან ქურდებმა და მოპარულ ეტლს, ფეხზე დამდგარნი მიაქროლებენ.

– რა გაეწყობა. შემოიარეთ ყოველთვის ჩემთან, როცა მოიცალოთ. – უთხრა გამგემ და კარებამდე მიაცილა. მერე იფიქრა, ნამეტანი ხომ არ მომივიდაო და დააკონკრეტა! – როცა საქმე გექნებათ, როცა რაიმე დაგჭირდეთ. თქვენისთანა ხალხს უნდა ვემსახუროთ. ეს ჩვენი მოვალეობაა, აბა რისთვის ვზივართ აქ. რისთვის გვაძლევს სახელმწიფო ხელფასს.

– ჩემი თავლის საქმე როგორ იქნება? – თავისი მოსვლის მიზანი არ დავიწყნია გრიგოლს.

– რომელი თავლის? – გულწრფელად ჰკითხა განყოფილების გამგემ.

– რომელზედაც თავიდან გელაპარაკეთ. ფაეტონი ვიყიდე-მეთქი, ზამთარი მოდის და ცხენები სად დავაბა, არ ვიცი-მეთქი, რომ გითხარით.

– თავლის დადგმა ხომ აიკრძალა ქალაქში, ბატონო გრიგოლ, არ იცოდით თქვენ? – თითქოს დიდად სასიხარულო ამბავს ეუბნებაო, ისეთი სახით შესცქეროდა გამგე მოსულს და გრიგოლმა მეორედ გაიფიქრა, ეს კაცი ცოტა სულელია, როგორც ჩანსო, – კერძო თავლის დადგმის ნებას, იშვიათი გამონაკლისის გარდა, არავის ვაძლევთ. მიმართეთ თავმჯდომარეს. თქვენ, დამსახურებულ კაცს, გამონაკლისი გეკუთვნით.

– კი, ხომ? – იმედიანად დაუდასტურა გრიგოლმა.

– უსათუოდ ნახეთ თავმჯდომარე. უარს არ გეტყვით, ისეთი კაცია, ახლა, მგონი, აქ უნდა იყოს.

– არ არის, ობიექტებზე წავიდაო.

– ვინ თქვა?

– მისაღებში რომ გოგო ზის.

– ჰოოო... ეგ მართალი იქნება. ობიექტებზე დადის, რა ქნას, ამხელა ქალაქი აბარია. ხვალ რომ მობრძანდეთ? დაკავებული ხართ ძალიან? თუ გნებავთ, თქვენი მისამართი დამიტოვეთ და როცა მოვა, მე შეგატყობინებთ. ანდა სულ არ არის საჭირო თქვენი შეწუხება. დაბრძანდით აგერ ჩემთან

და დაწერეთ განცხადება. ყველაფერი ჩაწერეთ, ვინ ხართ და რა დამსახურების პატრონი. თავლის ნებართვას პირდაპირ სახლში გამოგიგზავნიან.

გრიგოლი დიდხანს, დაფიქრებით, აუჩქარებლად წერდა განცხადებას. ჯერ თავის ვინაობა და სიგელ-გუჯრები ჩამოთვალა, ყაჩაღებთან შეტაკების ერთი-ორი ეპიზოდიც გაიხსენა და ბოლოს მოკრძალებით მიაწერა: „ვინაიდან ვარ ორი სრულწლოვანი ცხენის პატრონი და ზამთარი მოდის; გთხოვთ მომცეთ უფლება, რათა ჩემს კუთვნილ ეზოში, ჩემი სახსრებით, ორი ცხენი რომ დაეტევა, იმ ზომის თავლა ჩავდგა“.

განყოფილების გამგემ გადაიკითხა განცხადება და აღფრთოვანებული დარჩა. გრიგოლს კი, ყოფილ ჩაფარს და ახლანდელ მეფაიტვნეს, გულუბრყვილოდ სჯეროდა მაშინ, რომ კარგად დაწერილი განცხადება ნახევარი საქმე იყო. თუ ნათლად ჩამოაყალიბებდი შენს აზრს და დაუმტკიცებდი უფროსს, რას მოითხოვდი და რატომ გეკუთვნოდა, უხუცესთა საბჭოს მეუფეს გული აუჩუყდებოდა და მაშინვე დადებითად გადაწყვეტდა შენს საკითხს.

განვლო ზუსტად ერთმა თვემ, რაც გრიგოლ კალანდაძემ უხუცესთა საბჭოს თავმჯდომარის სახელზე განცხადება შეიტანა, იგი ყოველდღე ელოდა თავლის აშენების ნებართვას თუ არა, რაიმე პასუხს მაინც, მაგრამ ამაოდ.

არადა, ზამთარი არ იცდიდა. ფაეტონიდან გამოხსნილ ცხენებს ღამით სციოდათ და პატრონის მისამართით უსიამოვნოდ ფრუტუნებდნენ.

ბოლოს გრიგოლმა ცხენები მეუღლეს დაუტოვა და ფეხით გაეშურა უხუცესთა საბჭოსაკენ, რადგანაც იცოდა, რომ იქ ახლო-მახლო ფაეტონის გასაჩერებელი ადგილი არსად იყო. კიბეზე ასვლისას კეთილმოწყობის განყოფილების გამგე შეეჩეხა. გამგემ გულში ჩაიკრა მონატრებული მეფაიტვნე და თავისი კაბინეტისაკენ გატყუება დაუპირა, მაგრამ გრიგოლმა ცოტა უხეშად მოიცილა და პირდაპირ თავმჯდომარის მისაღებში დურთა თავი.

მოუსყიდველმა მდივანმა ქალმა კიდევ ერთხელ განუმარტა, თავმჯდომარე არ გახლავთ, მაგრამ რომც იყოს, არ მიგიღებთ, რადგანაც თავლის საკითხზე არავის ღებულობსო.

ათი დღის განმავლობაში ყოველდღე უხუცესთა სააბჭოში ნახავდით გრიგოლ კალანდაძეს.

ამ ხნის განმავლობაში მისი ფაეტონი იდგა, ხოლო ცხენებს თავმობეზრებული მეუღლე უვლიდა. სამაგიეროდ მოსაცდელში, სხვა მთხოვნელთაგან, ორი, თავისთვის სასარგებლო რამ ისწავლა გრიგოლმა. პირველი: მდივან ქალს არ უნდა დაუჯერო, რადგანაც თავმჯდომარის ყოფნა-არყოფნასთან დაკავშირებით იგი არასოდეს ამბობს სიმართლეს. მეორე: თავმჯდომარეს კარებში უნდა დაუდარაჯდე და დილით, როცა თავის კაბინეტში გვერდით კარიდან შეპარვას დააპირებს, ფეხებში უნდა ეცე. თუ თავმჯდომარემ კარებში შეგასწრო, იგივე უნდა გაიმეორო საღამოთი, როცა თავმჯდომარე კაბინეტს სტოვებს (ისევ გვერდით კარიდან) და შინ მიიპარება. ეს არის თავმჯდომარის ნახვის ერთადერთი, ყველაზე ნაღდი და ნაცადი გზა.

თხუთმეტი დღის ლოდინის შემდეგ, სწორედ ამ ორი ჭეშმარიტების წყალობით, გრიგოლ კალანდაძე უხუცესთა საბჭოს თავმჯდომარის კაბინეტში იჯდა.

თავმჯდომარე უყურებდა ბრეზენტისმოსასხამიან კაცს და ფიქრობდა; რა გაეწყობა, დამამარცხე, მეტი გზა არა მაქვს, უნდა მოგისმინო, მაგრამ რასაც გაგიკეთებ, ჯალაბში დაიკვეხეო.

– მე ორი თვის წინ, რასაკვირველია, განცხადება შემოვიტანე, პატივცემულო.

– მე დამიტოვეთ? – ჰკითხა თავმჯდომარემ.

– თქვენ პირადად არა, მაგრამ იქ დავტოვე, უხუცესთა საბჭოში, რასაკვირველია.

– ჰოდა, აბა ჩემთან რა გინდა, გენაცვალე, – განზე გაიხედა თავმჯდომარემ.

– როგორ რა მინდა! – გაწყრა გრიგოლი.

– ნუ ღელავთ, მოქალაქევ, განცხადება მე დამიტოვეთ პირადად?

– არა.

– ჰოდა, ჩემთან რა გინდათ-მეთქი. ეს გითხარით, მეტი არაფერი.

– არ მოიპარავდა ჩემს განცხადებას არავინ. აქ იქნება სადმე. მოძებნეთ, – უკან არ იხევდა გრიგოლი.

– მოძებნით კი მოვძებნით, მაგრამ არ შეიძლება ზეპირად მითხრათ, რა ეწერა იმ განცხადებაში?

– მოგახსენებთ. მე ორმოცი წელიწადი ჩაფრად ვმუშაობდი. დიდი დამსახურება და გამავლობა მაქვს. თქვენ შეიძლება არც კი იცით. ყაჩაღებს დავდევდი და ოთხი ჭრილობა მაქვს თავზე.

– ტანზე? – ჰკითხა თავმჯდომარემ.

– ტანზე არა მაქვს. თავში ვარ ოთხჯერ დაჭრილი. – მორცხვად მიუგო გრიგოლმა და გაიფიქრა: მართლა, კაცმა რომ თქვას, ტანზე ერთხელ მაინც რატომ არ დავიჭერიო.

– ნუთუ ტანზე ერთი პატარა ჭრილობა მაინც არ მოგეძევება? – ჩააცივდა თავმჯდომარე.

– ჩემი სათხოვრისათვის ამას მნიშვნელობა არა აქვს, – გამოსავალი იპოვა გრიგოლმა, – ჯილდოებს და მადლობებს ტყუილად არ არიგებენ, იცით თქვენ კარგად. მე ამ უხუცესთა საბჭოსთვის სისხლს ვღვრიდი. და არ მეკუთვნის ერთი თავლა? როგორ ფიქრობთ თქვენ.

– როგორ არა, – დაამშვიდა თავმჯდომარემ, –თქვენისთანა კაცს თავლა ერთი კი არა, ორი ეკუთვნის – საზაფხულო და საზამთრო. რისთვის გინდათ მაინც თავლა?

– მეფაიტვნე ვარ მე. ზამთარი მოდის და ცხენების დასაბმელი ადგილი არა მაქვს...

– ააა! – დაამთქნარა თავმჯდომარემ, – ახლა ყველაფერი გასაგებია. ასე, შე კაცო. მე მეგონა, თავლა რაიმე სხვა საქმისათვის გჭირდებოდათ. მართლაც, აუცილებელია თქვენთვის თავლა, ზამთარი მოდის და აბა სად უნდა დააბათ ცხენები?

– ოღონდაც, – დაეთანხმა გრიგოლი.

– მაგრამ საქმე ისაა, რომ თავლის დადგმის ნებას ვერ მოგცემთ. რომელ ქუჩაზე ცხოვრობთ?

– ვაკისუბნის.

– მით უმეტეს, ვერ მოგცემთ თავლის დადგმის ნებართვას.

– აბა, სად დავაბა ცხენები?

– სადაც გნებავთ, სადაც გაგეხარდებათ.

– კარგი პასუხია, ჩემმა მზემ.

– რა ვქნათ, ასეა! – ამოიოხრა თავმჯდომარემ. ამ ამოოხვრაში ჩანდა, მე ყოველთვის ასეთ კარგ პასუხს ვიძლევი, მაგრამ მტრები მაინც მყავსო.

– კი, მაგრამ ჩემს ეზოში, ჩემი სახსრებით... მე... ჩემი დამსახურება... ერთი თავლა... ორი ცხენი... არ დავიმსახურე? – ნაწყვეტ-ნაწყვეტად ისროდა გრიგოლი და სიბრაზისაგან ტუჩები უშრებოდა.

– ძალიან ვაფასებთ თქვენს დამსახურებას, მაგრამ არ შეგვიძლია და ვერ დაგეხმარებით. არც გვქონია ჯერჯეროობით შემთხვევა, რომ ვინმესთვის თავლის ჩადგმის ნებართვა მიგვეცეს. – აშკარად იცრუა თავმჯდომარემ.

– როგორ არა, იმან და იმან ამ ერთი კვირის წინ ჩადგეს თავლები ეზოში! – ამ სიცრუისათვის მზად აღმოჩნდა გრიგოლი.

თავმჯდომარეებს არ უყვართ, საერთოდ, როდესაც ამგვარ ტყუილზე პირში შეტეხავენ და ფაქტების ენით ელაპარაკებიან. ასე თავხედი ხარ ხომ? რა ნებართვასაც წაიღებ აქედან, ნახავ იმასაცო, – გაიფიქრა მან. თქმით კი სრულიად სხვა რამ თქვა.

– თუ ასეა, მე შევამოწმებინებ იმ თავლებს. მაგრამ იქ რაიმე სხვა საბუთი იქნება.

– არა, ბატონო!

– ვნახავ, გავარკვევ. კარგია, რომ სიგნალი მომეცით.

– მაგრამ ეს რას უშველის ჩემს გაჭირვებას. მე თავლა მინდა, გესმით თუ არა. ჩემთვის თავლა აუცილებელია!

– თქვენი ცხენებისათვის, უფრო სწორად, – გაუსწორა ხუმრობის გუნებაზე დამდგარმა თავმჯდომარემ.

– დიახ, რასაკვირველია, თქვენ აქ იმისთვის ზიხართ, რომ ადამიანებს გუნება მოუშხამოთ?! – ადუღდა გრიგოლი.

– ნუ ყვირით, – ჩუმად, მშვიდად უთხრა თავმჯდომარემ. – თქვენ რა დიდ გულზე ხართ. თვალში ხომ არ გეპატარავებით თუ იცით. აქ შემოსული ყველა ჩემზე პატიოსანი როგორ არის და ყველას ჩემზე დიდი დამსახურება როგორა აქვს, ეს მიკვირს, მეტი არაფერი. თქვენ, ყოფილმა ჩაფარმა, რომელსაც არ ვიცი, იქნებ მართლაც გაქვთ მადლობები და ჯილდოები მიღებული, მეეტლეობა დაიწყეთ და ხალხს ატყავებთ. წამიჭირეთ ახლა ყელში ხელი. არიქა, არ შეცივდეს თქვენს ცხენებს!..

– კაცო, მე ჩემს ეზოში, ჩემი სახსრებით პატარა თავლა ჩავდგა, თქვენ რა შუაში ხართ?!

– არ შეიძლება, მორჩა და გათავდა!

გრიგოლი კიდევ დარჩებოდა ცოტა ხანს და თავმჯდომარესთან კამათს განაგრძობდა, მაგრამ უეცრად რაღაც აზრმა გაუნათა გონება და სირბილით დატოვა კაბინეტი. მეც შტერი ვარ. რას ვაკლავ ამგენს თავს. მივალ და ავაშენებ თავლას. ამათ შემყურეს ცხენები სიცივით მომიკვდებაო, – ფიქრობდა გზადაგზა გრიგოლი და დოპინგმიღებული კაცივით მარდად ადიოდა თავის აღმართზე.

ერთ კვირაში გრიგოლმა თავის ეზოში ხის მშვენიერი თავლა ჩადგა.

მესამე დღეს ოთხი კაცი მოადგა. უხუცესთა საბჭოს დადგენილებით უნებართვოდ აშენებული თავლა უნდა დაგინგრიოთო. საბუთი აგერ გვაქვს, შეიარაღებულები ვართ და წინააღმდეგობას აზრი არა აქვსო.

ერთ საათში მიწასთან გაასწორეს თავლა. მასპინძელს სულგრძელობისათვის მადლობა გადაუხადეს და წავიდნენ.

„აშკარად მჩაგრავენ, – ფიქრობდა გრიგოლი, როცა თავლის ნანგრევებს ერთ კუთხეში ალაგებდა, – ეტყობა, რაღაც დავაშავე და არ მეუბნებიან, ასე რომ არ იყოს, უფრო ადამი-

ანურად მოიქცეოდნენ. თავლა რა არის, ბინა რომ მომეთხოვა, უნდა მოეცათ, მე ხომ მაგათთვის ვიბრძოდი, მაგათთვის ვღვრიდი სისხლს. ეტყობა, რაღაც დიდი დანაშაული მაქვს ჩადენილი“.

გრიგოლი ამ დღის შემდეგ შესამჩნევად გამოიცვალა. გუნება გაუფუჭდა. მოქუფრული დადიოდა წინ და უკან ეზოში.

ცოლს თითქმის აღარ ელაპარაკებოდა. მას ვერ წარმოედგინა, თუ მოვიდოდნენ და თავის ეზოში საკუთარი ხელით აშენებულ თავლას დაუნგრევდნენ.

ცდილობდა გაეხსენებინა, რა დანაშაული ჰქონდა ჩადენილი ჩაფრად მუშაობის ორმოცი წლის განმავლობაში.

ვერაფერი ისეთი ვერ გაიხსენა და ამან უფრო დაანაღვლიანა. გრიგოლი მის ჭიშკართან ჩავლილს ყველას შიშით შესცქეროდა. სულ ეჩვენებოდა, აგერ-აგერ მოვლენ ჩემს წასაყვანადო.

გადიოდა დღეები, გრიგოლი არავის ახსოვდა და მის წასაყვანადაც, რა თქმა უნდა, თავს არავინ იწუხებდა.

შუა ზამთარში გრიგოლ კალანდაძემ სიცივისაგან დაოსებული ცხენები, ამათ ტანჯვას მაინც არ ვუყურეო, ნახევარ ფასად გაყიდა. ერთ კვირაში ფაიტონისაგანაც დაიცალა ხელი და შვებით ამოისუნთქა. იგი მეეტლე აღარ იყო.

ეს საქმე რომ მოათავა, ენერგიის უცნაური მოზღვავება იგრძნო. არაჩვეულებრივმა ჟინმა შეიპყრო; რადაც უნდა დაჯდომოდა, მიეღწია თავლის აშენების ნებართვისათვის. დღედაღამ თავლაზე ფიქრობდა.

სადაც კი თავლას დაინახავდა, მიადგებოდა პატრონს და შეკითხვებით გულს გაუწვრილებდა, რა გზით მიაღწიე თავლის ჩადგმის ნებასო. მასპინძელთა უმეტესობას მიგზავნილი ეგონა და სიმართლეს უმალავდნენ. ბოლოს ვიღაცამ ასწავლა უხუცესთა საბჭოს თავმჯდომარეს (რომელმაც ასე მასხრად აგიგდო), უხუცესთუხუცესთან უჩივლეო.

გრიგოლმა გააშალაშინა ღრმაშინაარსიანი განცხადება და უხუცესთუხუცესს მიაკითხა.

უხუცესთუხუცესთან შესვლა უხუცესთა საბჭოს უფროსის მონახულებაზე ორჯერ უფრო ძნელი აღმოჩნდა, თუ უხუცესთა საბჭოს თავმჯდომარე ნიადაგ კაბინეტში იჯდა (ეს უკვე გრიგოლმა კარგად იცოდა) და მდივანი ქალი უსირცხვილოდ ამბობდა, აქ არ არისო, უხუცესთუხუცესი სამსახურში საერთოდ არ დადიოდა. როგორც ჩანს, კაბინეტს, რომლის კარებთანაც გრიგოლი დილიდან შუაღამემდე იცდიდა, მთხოვნელთა მოსატყუებლად ეწერა „უხუცესთუხუცესი“. სინამდვილეში მას სხვა სამუშაო ოთახი ჰქონდა, სადაც იგი თავის რთულ საქმიანობას მთხოვნელთა გარეშეც შესანიშნავად ართმევდა თავს.

ეს კაბინეტი (როგორც ეს შემდეგ გრიგოლმა გაარკვია) სულ სხვა შენობა იყო.

გრიგოლმა უხუცესთუხუცესის ფიქტიურ შენობაში ერთი თვის სიარულის შემდეგ დაადგინა მისი საცხოვრებელი ადგილი.

ამჯერად გაუმართლდა. უხუცესთუხუცესმა განცხადება გულმოსულად გამოართვა და მოწყალებასავით დაუგდო: ხვალ მდივანს მიაკითხეთო.

მკითხველს კიდევ ერთხელ შევახსენებთ, რომ თავის განცხადებაში გრიგოლი უჩიოდა უხუცესთა საბჭოს თავმჯდომარეს უსამართლოდ მომექცაო. ჩემი დამსახურება არაფრად მიიჩნიაო. გთხოვთ ჩაერიოთ ჩემს საქმეში, პასუხი მოთხოვოთ თავმჯდომარეს და მე ჩემს ეზოში უკანონოდ დანგრეული თავლის აღდგენის უფლება მომცეთო.

მეორე დღეს უხუცესთუხუცესის ფიქტიურმა მდივანმა ქალმა (ნამდვილი მდივანი ქალი მას თავის ნამდვილი კაბინეტის მისაღებში ეჯდა) გრიგოლს ცხვირწინ თავისი განცხადება აუფრიალა: „გაკეთდა თქვენი საქმე, ბიძია, გეშველათ თქვენც და ჩვენც. წუხელის დაადო რეზოლუცია“.

– რა დააწერა? – გულისკანკალით ჰკითხა სიხარულისაგან ათრთოლებულმა გრიგოლმა.

მდივანმა განცხადება გაუწოდა.

„უხუცესთა საბჭოს თავმჯდომარეს: გთხოვთ, განიხილოთ და მთხოვნელს პასუხი აცნობოთ“.

– ესაა რეზოლუცია?! – აყვირდა გრიგოლი. – უხუცესთა საბჭოს თავმჯდომარეს რომ რაიმე გაეკეთებინა, იქ არ დავდიოდი სამი თვე? ეტყობა, არც კი წაუკითხავს ჩემი განცხადება. მე ვუჩიოდი უხუცესთა საბჭოს თავმჯდომარეს და ისევ იმასთან გამგზავნა მაგანაც? კაი უხუცესთუხუცესი გყოლიათ, შენ ნუ მომიკვდები. დიდი მოსაზრების და მოფიქრების კაცი ყოფილხარ-თქვა, ასე გადაეცი ჩემგან!

მდივანმა ქალმა წარბები შეჰყარა:

– მოქალაქევ, აქ დებოშს ნუ ტეხავთ და უხუცესთუხუცესს ნუ ლანძღავთ, თორემ პასუხს გაგებინებთ.

– იმნაირი იქნები შენც! – შეუბღვირა გრიგოლმა კაბინეტის მცველს და კარი გამოიჯახუნა.

მიდიოდა ქუჩაში და ეჩვენებოდა, რომ ირგვლივ ყველა მასზე ჭვიანი და მასზე მოხერხებული იყო. ეს სერიოზული სახეები, რაღაც მანქანებით, ყველაფერს აღწევენ, რასაც კი მოისურვებენ, მე რა ღმერთი მიწყრება, არ ვიციო. ეგონა, რომ ამოდენა ქალაქში ყველაზე დაჩაგრული და პატარა კაცი ახლა თვითონ იყო – ყოფილი ჩაფარი გრიგოლ კალანდაძე.

იმ ღამით გრიგოლმა მეზობლებს დაუძახა და სთხოვა: თავლა უნდა ამაშენებინოთო. მთელ ღამეს სინათლე ენთო გრიგოლის ეზოში. მთელი ღამე მუხლი არ ჩაუხრიათ, სიცივისაგან გაითოშნენ, მაგრამ მაინც თავისი გაიტანეს. დილით თავლა მზად იყო.

გავიდა ერთი კვირა. გრიგოლი ცოტა დამშვიდდა, მას ავადმყოფურად უყვარდა ეს თავლა, თუმცა უკვე აღარაფერში სჭირდებოდა. თავლაში იგი თავის შესაძლებლობის, თავისი დაკარგული ღირსების აღდგენას ხედავდა. დილიდან საღამომდე სახლიდან არ გადიოდა. ეზოში იჯდა და თავლას დარაჯობდა.

ერთი კვირის თავზე მიაკითხეს. ეზოში ჩაფარი და სამი მუშა შემოვიდა, ჩაფარმა გრიგოლს მხედრული სალამი მისცა და წყნარად უთხრა: „თქვენ მაინც უნდა გამიგოთ. ხომ იცით,

მე პატარა კაცი ვარ. მითხრეს, შეასრულეო და უნდა შევასრულო“.

– რა გნებავთ? – ჰკითხა გრიგოლმა.

– თავლა უნდა დაინგრეს, – მოჭრა ჩაფარმა და მუშებს ნიშანი მისცა.

გრიგოლს თვალთ დაუბნელდა და იქვე ჩაიკეცა. იგი თითქო ძილქუშში იყო. ბურუსში ხედავდა, დაცურავდნენ მუშები მისი თავლის ირგვლივ და შორიდან ნაღვლიანი რექვიემი ისმოდა.

როცა გონს მოვიდა, თავლა აღარ იყო. მის ნაცვლად ეზოში უწესრიგოდ მიყრილ-მოყრილი ნაგვერდულები და ქვაღორღი ეყარა.

გრიგოლმა ტუჩები მოკუმა, რომ ამ გაცხარებულ გულზე აუგი რამ არ წამოსცდენოდა.

გავიდა ხუთი წელი.

გრიგოლი არ ისვენებდა. წერდა განცხადებებს, დადიოდა ინსტანციიდან ინსტანციაში, მოითხოვდა, მიექციათ ყურადღება მისი ადრინდელი დამსახურებისათვის.

იღებდა ასლებს თავისი ჯილდოების და მადლობებისას და განცხადებებს თან ურთავდა. ყველა განცხადება და საჩივარი ბოლოს უხუცესთა საბჭოს თავმჯდომარესთან იყრიდა თავს. თავმჯდომარე კი, რაც დრო გადიოდა, უფრო მტკიცე უარზე იდგა.

გრიგოლმა რწმენა დაკარგა. დაბერდა, დაგლახავდა, დაჩიავდა. ოჯახში კაპიკის საღირალი არ შემოჰქონდა, პენსიის ამარა ცხოვრობდა.

იპარავდა თავისი სახლიდან ვერცხლის დანა-ჩანგალს და ფაიფურის თეფშებს, რათა თავისი მრავალრიცხოვანი განცხადებების საფოსტო ხარჯები და მანქანაზე გადაბეჭდვის ფული მაინც გადაეხადა. გრიგოლს უკვე ნერვებს აღარ უშლიდა ლოდინი. იცოდა, ვისთან როდის და რანაირად უნდა შესულიყო. იდგა დილიდან საღამომდე სახელმწიფო დაწესებულებების წინ და თავლის ნებართვას ელოდა. სხვა საქმეებიც გაუჩნდა; იგი სიამოვნებით ასწავლიდა გზებს და არიგებდა ახალბედა მთხოვნელებს.

ბოლოს განახევრებული და ილაჯგაწყვეტილი გრიგოლ კალანდაძე უუხუცესის კაბინეტსაც ესტუმრა. უთხრეს, კარგი კაციაო, თუ არაფერს გაგიკეთებს მოგისმენს მაინცო.

ყოფილმა ჩაფარმა უუხუცესს დაწვრილებით უამბო თავისი დამსახურების შესახებ. მერე ასევე ვრცლად გააცნო საქმის ისტორია და ცრემლმორევით სთხოვა; ექვსი წელია ამ საქმეს დავსდევ, ქენით სიკეთე, მომეხმარეთ, აღარა ვარ მეტი, მოვკვდი კაციო.

უუხუცესი მაშინვე ყურმილს დაწვდა. ეს უკვე კარგი ნიშანი იყო. ექვსი წელი ატყუებდნენ გრიგოლს კაბინეტებში მსხდომი მკაცრი სახეები: წაბრძანდით თქვენ და დავრეკავთ ჩვენო, მაგრამ გრიგოლის საქმეზე არავინ არავისთან რეკავდა. ამ კაცმა კი მაშინვე, იქვე, გრიგოლის თანდასწრებით მოიხმო ტელეფონთან უხუცესთა საბჭოს თავმჯდომარე.

– თქვენ ბრძანდებით? – ჰკითხა მან, – გრიგოლ კალანდაძე იყო დღეს ჩემთან. რაშია საქმე! ექვსი წელია კაცმა თურმე თავლის აშენების ნებართვა ვერ მიიღო. თქვენ რა, აბუჩად იგდებთ? განა რამდენი გყავთ მასავით დამსახურებული და პატივსაცემი კაცი. რაო? როგორ გეკადრებათ, ეგ სიტყვა რა მოსატანია, ეგ ჩვენ არ გვეხება. ეგ მედიცინამ უნდა გაარკვიოს, მოითმინეთ, – უუხუცესმა ტელეფონის ყურმილს ხელი დააფარა და გრიგოლს მიუბრუნდა:

– რამდენი ხანია, საჩივრებს წერთ?

– ექვსი წელი, – მიუგო გრიგოლმა.

– ბევრს წერთ?

– კი.

– არ შეიძლება ამდენი ჩივილი, ბატონო გრიგოლ. თავმჯდომარე ამბობს, ინტრიგანიაო. მაგისი საჩივრები სკივრში არ ჩაეტევაო. შეაწუხა ქვეყანა გაუთავებელი ინტრიგებითო. მართლა ასეა? კიდევ სხვა რაღაცას ამბობს, მაგრამ ვერ გეტყვით, უხერხულია.

– რას ბრძანებთ, ბატონო. მაგ გათახსირებულის გჯერათ? გამამწარეს კაცი. მასხარად ამიგდეს და გავჩუმდე აბა? აბა,

თავლის გარდა სხვა საქმეზე თუ დამიწერია განცხადება, ან საჩივარი.

– ვიცი, მე მჯერა თქვენი, – უთხრა უუხუცესმა და ტელეფონის ყურმილს ხელი მოაშორა, – თქვენ, ბატონო, არ გეპატიებათ ამგვარი მსჯელობა. რას ჰქვია, ინტრიგანი. თავისი სიმართლისათვის მებრძოლ კაცს ინტრიგანს უწოდებთ? არა და არა! მე თქვენ კატეგორიულად არ გეთანხმებით. არაფერი ეტყობა, სრულიად არაფერი, დიახ, რაღაცაში შეეტყობოდა. ისეთებს მე მაშინვე ვიცნობ... მოიცა ერთ წუთს, – უუხუცესმა ისევ დააფარა ყურმილს ხელისგული და გრიგოლს მიუბრუნდა.

– კი მაგრამ, თავლის ნებართვა რომ მოგცეთ, ცხენები გყავთ?

– არა.

– ფაეტონი?

– არა.

– აბა რისთვის გინდოდა თავლა?

– მინდა. ვინ კითხავს მაგას. პრინციპის საქმეა... მინდა თავლა... მეკუთვნის... რომ არ მეკუთვნოდეს, სხვა საქმეა... რასაკვირველია... ვერ ვისვენებ... ადგილს ვერ ვპოულობ. ღამე თავლები მესიზმრება... – ცოტა არეულად ლაპარაკობდა გრიგოლი.

უუხუცესმა ყურმილს ხელი აუშვა.

– თქვენ მართალი ბრძანდებით. როგორც ჩანს... არა ჰყოლია, ჰო (გაეცინა) მჭირდებაო. აუცილებელია (ისევ გაეცინა), კარგად ბრძანდებოდეთ. სხვა რა ამბებია თქვენკენ ახალი? ჯერ არ განგვიხილავს. განვიხილავთ და გამოგიგზავნით. – ყურმილი დადო, თვალები მოისრისა და გრიგოლს მიუბრუნდა: – ახლა შინ წაბრძანდით, ბატონო გრიგოლ. ნუ ინერვიულებთ. თქვენი აღელვება არ შეიძლება. ყველაფერი გაკეთდება, ყველაფერი კარგად იქნება. მშვიდად იყავით. თავლის აშენების ნებასაც დაგრთავენ და სხვა რამესაც გაგიკეთებენ. თვითონ მოგაკითხავენ. ყველაფერი შეთანხმებულია. ყველაფერი გაკეთებულია!

ღილაკს თითი დააჭირა და თანაშემწეს სთხოვა. – გააცილეთ ბატონი გრიგოლი.

როცა გრიგოლი კარებისაკენ შებრუნდა, უუხუცესმა საფეთქელთან ცერა თითი მიიდო და მარჯვენა ხელის თითები ჰაერში აათამაშა, რითაც გაკვირვებულ თანაშემწეს ანიშნა, ბატონი გრიგოლი მთლად კარგად ვერ არისო.

* * *

საღამო ხანი იყო. გრიგოლ კალანდაძე შინ ბრუნდებოდა.

ქალაქ მოწამეთას ქუჩებში ფაეტვნები დაქროდნენ.

გრიგოლმა, ხელმარცხნივ, ეზოში ლამაზი თავლა დალანდა, მერე მეორე, მესამე... თავლა ყოველ ფეხის ნაბიჯზე თვალში ეჩხირებოდა. ქალაქი თავლებით იყო სავსე.

გრიგოლ კალანდაძე ბებერი იყო.

დავითი

ბაზარში ერთი ახირებული კაცი ვაჭრობდა. იყიდდა კაკალს კილოგრამს ხუთ მანეთად და იქვე ყიდდა ხუთ მანეთად. უთხრეს: „რას შვრები, ძმაო, მაგ კაკალს თუ არას მოუგებ, ბაზარში რაღაზე ცდებიო.“ კაცმა უპასუხა: „განა ფულის მოგება მაინტერესებს; კაკლის ჩხრიალი მიყვარსო“.

ქართული ფოლკლორი

დავით ბეშკენაძემ გამომარგლული სიმინდის უკანასკნელი კონა გამოიტანა, ბჟოლის ქვეშ დაყარა და თვითონაც მოწყვეტით ზედ დაეცა.

მზე იკბინებოდა. ივლისის სიმინდს უწყლობისაგან ტანი ვერ აეყარა და მოჟვერილი ფოთლები შუადღის მცხუნვარეებას მოეხუფრა.

– დეიწვა ქვეყანა. ტყუილად ვთოხნი, სულ ტყუილად, ტაროს გამომღებია აწი ეეს? მეტი არ იქნა ჩემი მტერი, – ხმამაღლა ფიქრობდა დავითი, ამთქნარებდა და მტკივან მუხლზე ხელს ისვამდა.

შუადღე, ჭრიჭინობელების გაუთავებელი ნანინა და გრილი ჩრდილი დავითს წაძინების დიდ სურვილს აღუძრავდა და დაღლილ მოხუცს მალე ჩაეძინებოდა კიდეც, რომ მთვლემარეს ცოლი არ წამოდგომოდა.

– დაყრუვდი, კაცო, შენ? – ჰკითხა პარასკევამ.

– რა იყო?

– რა იყო და საათია ვყვირივარ, სტუმრებია ვინცხა.

– რა უნდათ?

– რა ვიცი მე, დავითი გვინდაო. ხელში ბოცა უჭირავთ. მე მგონი, ღვინოზე არიან მოსული.

– ვერ ამოუღე მერე შენ?

– ა, კიდო, რა ვიცი მე რომელი უნდა ამომეღო.

– აქოურები არიან, თუ იცი?

– არა, მე მგონი, პორფილე ზვიადაძისას რო არიან გაჩერებული, ის ხალხი უნდა იყვნენ.

– ამოგეღო მერე შენ. სად მცალია ახლა მაგიზა.

– რავა ამომეღო?

– მანეთათ, არ იცი რავა ვყიდით?

– რომლიდან?

– რა რომლიდან, რომლიდან და ხუტუნიის ხუთკოკიანიდან. რომელი მაქვს აბა მეტი, – ამბობდა დავითი, შარვლის ამხანაგის ზონრებს მუხლისქვემოთ იკრავდა და დაბჟუებულ ფეხებს მიწისფერ წაღებში ყოფდა – საით არიან?

– ჭიშკართან, სახლში არ შემომყვნენ არაფრით, – მიუგო პარასკევამ და როცა დავითმა ნაბდის ძველი ქუდი თავზე მოიგდო, ცოლმა მზრუნველი ხელით გაუსწორა. გასწორება კი იმით გამოხატა, რომ გვერდზე მოუქცია. ახლა დავითს ქუდი ნაპოლეონისებურად, გარდიგარდმო ეხურა.

ჭიშკართან ორნი იდგნენ.

უფრო ახალგაზრდას თეთრი შარვალი და შავი მოკლესახელოებიანი პერანგი ეცვა, ყავისფერი სანდლებიდან ბალნიანი ფეხის ზურგი მოუჩანდა, ხელში სამბოთლიანი ბოცა ეჭირა და გრიშა ერქვა: უფროსს ნეილონის თეთრ პერანგზე მოკლე შავი ჰალსტუხი ეკეთა. ჰალსტუხის სამაგრზე მამლის გამოსახულება მოუჩანდა. იგი ძველმოდურ რკინის სათვალეებს ადგილს წამდაუწუმ უცვლიდა, რადგანაც ეტყობოდა, სათვალეები ცხვირზე აჭერდა. უფროსს ჯიბეებში ეწყო ხელები და სახელად მიშა ერქვა.

დავითი კოჭლობით გამოვიდა ვენახბოლოდან. ლაფაროში დადგმულ უშველებელ კასრში თავი ჩაყო და სწრაფადვე ამოსწია, წყალი გამთბარიყო, მერე ქუთუთოებზე წვეთები შეიფერთხა და ჭიშკართან მორჩილებით მდგარ სტუმრებს გახედა, ცოტა ხანს უყურა, რაღაც ჩაიბურტყუნა და ისევ კასრში ჩაყო თავი. მერე ოდა სახლზე უკანა კიბიდან აირბინა, თავ-პირი შეიმშრალა, მიწისფერ ფეხებზე ერთი კოკა

წყალი გადაიცალა და ოფლისაგან შეჭმულ პერანგზე სატი-ნის ჟღალი ორგულისჯიბიანი ბლუზახალათი გადაიცვა, ჯა-რიდან ჩამოყოლილი ბრტყელი ქამარი ერთხანს ეძება, მერე ხელი ჩაიქნია და, როგორც იქნა, საპარადო ჩამოსასვლელზე მისი ოთხად მოკეცილი ფიგურა გამოჩნდა.

ლოდინით დაღლილმა სტუმრებმა შვებით ამოისუნთქეს.

სანამ სტუმრებამდე მიაღწევდა, დავითი ერთხელ კიდევ შეჩერდა, ერთხანს უყურა მოსულთ და მერე თითქოს რაღაც გადაწყვეტილება მიიღოო, რამდენადაც კი შეეძლო, ჩქარა, ჩლახუნჩლახუნით წამოვიდა.

სტუმრებმა სალამზე თავაზიანად უპასუხეს.

– დაიწვა ქვეყანა, – თქვა დავითმა და სტუმრებს კოინ-დარში ცაცხვის ქვეშ ქვის სკამზე დასხდომა შესთავაზა.

სტუმრებმა მასპინძლის აზრი ქვეყნის დაწვის შესახებ ერთხმად გაიზიარეს.

– პატარა საქმე გვქონდა, – დაიწყო უმცროსმა და უფროსს შეხედა. მიშა სადღაც შორს იცქირებოდა.

– რაში იყო საქმე? – იკითხა დავითმა.

– ღვინის საკითხზე, ერთი სიტყვით, გვინდოდა მცირე ღვინო, რასაკვირველია; გვითხრეს მთელ სოფელში, რა თქმა, ყველაზე კარგ ღვინოს აკეთებსო, – თქვა მიშამ, მერე უცებ ბოლო სიტყვა არ მოეწონა და დაუმატა, – ამზადებსო, – არც ეს მოეწონა და ისევ გადააკეთა – აყენებსო.

– კარგიც ეგაა და ავიც. ახლა სოფელში მარტო მე მაქვს ღვინო. მეც ცოტა შემომრჩა. შარშანდელი ქე თავდება, ახა-ლი ჯერ სადაა. ასე რომ, ღვინო ახლა ძნელი საშოვარია.

– ჩვენ ცოტა გვინდა, – თავი შეაცოდა მასპინძელს გრიშამ.

– ერთი სიტყვით, რაც ამ ჭურჭელში ჩაეტევა.

– მაგაში სამი ბოთლი ჩადის, – დაუფიქრებლად თქვა მასპინძელმა.

– დიახ, დიახ. – დაეთანხმა მიშა.

– რად გინდათ? – უცებ იკითხა დავითმა და თვითონვე გაუკვირდა, რადგანაც ღვინის მთელი ისტორიის მანძილზე მას მხოლოდ ერთი მიზნით ყიდულობდნენ.

უმცროსმა უფროსს შეხედა. უხერხული სიჩუმე ჩამოწვა.

– ერთი სიტყვით, უნდა დავლიოთ, რასაკვირველია.

– თქვენ? – ისევ იკითხა მასპინძელმა.

– დიახ, მე და ბატონმა მიშამ უნდა დავლიოთ, – მოწყენილად თქვა უმცროსმა.

– აა, ჰოოო, – კეფა მოიფხანა დავითმა, თითქოსდა უნდოდა ეთქვა, რაკი დასალევად გინდათ და ისიც თქვენ ორს, რა გაეწყობაო.

– მანეთი უნდა ბოთლს, – საქმეზე გადავიდა მასპინძელი.

– ბატონო? – იკითხა გრიშამ.

– მანეთი-თქვა.

უმცროსმა უფროსს რაღაც გადაულაპარაკა, მერე უფროსმა გადმოულაპარაკა და გრიშამ თქვა:

– ბატონი მიშა ამბობს, კვირას ბაზარში ოთხმოცი კაპიკი ღირდაო. მაგრამ არა უშავს, ჩვენთვის ფასს არა აქვს მნიშვნელობა.

– არა, ბატონო, ოთხმოცკაპიკიანი ღვინო არა მაქვს მე. შვლაპს სამოცათაც ქე იშოვი. ერთი სიტყვით, თუ გინდათ ასეა. თვარა და ღმერთმა ხელი მოგიმართოთ. მე ასე ვყიდი ოცი წელიწადია.

– როგორ გეკადრებათ, როგორ გეკადრებათ, ჩვენთვის ფასს მნიშვნელობა არა აქვს. თუ შეიძლება ჩქარა ჩამოგვისხით, ბატონი მიშა სამ საათზე სადილობს, – თქვა უმცროსმა და ბოცა კოინდარზე დადო, ბოცა წაიქცა, უმცროსმა ბალახი ხელით გასწი-გამოსწია და ბოცა ფეხზე დააყენა.

– წამობრძანდით, – თქვა დავითმა და ბოცას ყელში წაავლო ხელი.

ზეთისხილის ალაგეს გადააბიჯეს და ლობიოგაყოლებულ ორღობეში გავიდნენ. დავითი საქათმესთან შეჩერდა, გიდლიდან ერთი მუჭა სიმინდი ამოიღო და უხმოდ შეყარა საქათმეში. სიმინდის ჩხრიალზე ქათმებმა ბალახის წიწკნას თავი ანებეს და საკენკის ხათრით საქათმისაკენ ერთმანეთს ასწრებდნენ. დავითმა კარი მიუგდო და სამზადს გასძახა:

„გესმის?“ ის ჟღალი გაიმასქენი, წყალი დოუსხი და მალე ქენი მაქა!

სტუმრებმა მთლად კარგად ვერ გაიგეს დავითის ნათქვამი, ერთმანეთს გადახედეს და მასპინძელს მიჰყვნენ.

მარანში სასიამოვნო სიგრილე იყო და ისე არ ბნელოდა, რომ უშველებელი საწნახელი და პატარ-პატარა გორაკებად ამობრუცული ჭურისთავები ვერ შეემჩნიათ.

დავითმა ერთ ჭურთან ჩაიმუხლა. ჯერ ბრტყელი ქვა ააცალა, მერე სათითაოდ, ფრთხილად სდებდა გვერდზე ჭურისთავზე დაფარებულ ტყავის ნაჭრებს და, როცა ჭურის ბნელი მუცლიდან ღვინის სასიამოვნო სუნმა იფეთქა, კედელზე თავდაღმა დაკიდებული ორშიმო ჩამოხსნა, ფრთხილად ჩაყო და გრილ ღვინოში ამოვლებული ორშიმო ჯერ თვითონ მიიტანა ტუჩებთან, დალია და რაკი დარწმუნდა ნაკლულს ჭვანგი არ მოჰკიდებიაო, სტუმრებს გადააწოდა. სტუმრებმა სათითაოდ გასინჯეს და ისე სერიოზულად აკეთებდნენ ამას, თითქოს რაღაც რთული პრობლემის წინაშე დგანანო. მალე დავითმა ბოცის ყელში დიდი ძაბრი ჩადო (ხელით ცოტა მაღლა დაიჭირა, საჰაერო დაუტოვა) და სამი ამოღება ორშიმოთი სტუმრების სამლიტრიანი ბოცა პირთამდე გაავსო.

ამასობაში პარასკევამ შემოაღო კარი და გობით ჭიქები, ჭადი, სქლად დატეხილი ყველი და პრასის მწნილი შემოიტანა, ეს ყველაფერი ტაბურეტის სკამზე დააწყო და გავიდა.

– კარს ჯოხი მოუბიჯგე, თვარა ვერ ვხედავ ვერაფერს, – მიაყოლა მეუღლეს დავითმა.

როცა მარანი განათდა, სტუმრებმა პირველად მასპინძლის ხელში შემართულ ჭიქას შეხედეს, ჭიქა ქარვისფრად ანათებდა.

პირველი ხუთი სადღეგრძელო მასპინძელმა ტრადიციული წარმოთქვა. იგი მოკლე, მაგრამ ბუნდოვან სიტყვას იტყოდა და ჭიქას რატომღაც გრიშას გადააწოდებდა. გრიშა ჭიქას გამოართმევდა და მიშას შეხედავდა. მიშა შორს იყურებოდა, მაგრამ როცა მისი რიგი მოაწევდა, გრძელი და გულისამაყუჩებელი სიტყვით დაამშვენებდა იქაურობას. უმცროსი აღტაცებული შესცქეროდა თავის ხელმძღვანელს და როცა მერვე ჭიქაზე მიშას სათვალე ჩამოუვარდა, გრიშამ ფრთხილად აიღო და შარვლის უკანა ჯიბეში ჩაუდო. მიშას იმ დღეს უკვე აღარ დასჭირდებოდა სათვალე.

როცა პარასკევამ გობით ცხელი ჭადი, შემწვარი ვარია და ყველით გაპენტილი ორი ხაჭაპური შემატა სუფრას, მეჭაშნიკეებს ტაბურეტის სკამი აღარ ეყოთ და ტაბაკზე გადაინაცვლეს.

...და ბოლოს, როცა გრიშას მოტანილი ბოცა სამჯერ დაიცალა და სამჯერ გაივსო, მარნიდან ტკბილზე უტკბილესი „ბროლის ყელსა“ მოისმოდა. მხოლოდ კრიტიკულად განწყობილი კაცი და ისიც თუ კარგად მიაყურადებდა, მიხვდებოდა, რომ ერთი რომელიღაცა ურევდა, მაგრამ რომელი, შეიძლებოდა გასჭირვებოდა დადგენა. რა მოხდა მერე? – ერთი ხშირად ურევს.

მზე კარგა ხნის ჩასული იყო, როცა დავით ბეშკენაძე ორ მოთავებულ არსებას შორის ჩამდგარი, თვითონაც გახეთქილი მთვრალი ჭიშკრისკენ მიიკვლევდა გზას. სტუმრები მხრებზე ჩამოჰკიდებოდნენ დავითს და მადლობის ნიშნად რაღაცას მხოლოდ ძალიან მთვრალთათვის გასაგებ ენაზე ლუღლუღებდნენ. პროცესიას უკან პარასკევა მოჰყებოდა ჭრაქით ხელში. არ ჩამიქრესო და პარასკევა ქარის მხარეზე სანათურს ხელს აფარებდა; სხვა მხრივ, ვინც ფხიზელი იყო და შეგრძნების შნო ჰქონდა, მშვენიერი, გრილი საღამო იყო.

დაიწყო გამომშვიდობების ცერემონიალი. სტუმრები მოთქმით ტიროდნენ. ჯერ ერთი ჩაეხვეოდა დავითს, მერე, წავიდოდა წინ, ამასობაში მეორე იხელთებდა და დაუკოცნიდა დამჭკნარ ყელს, როცა მეორე წავიდოდა, პირველი უკვე მობრუნებული იყო და ასე გაგრძელდა კარგა ხანს.

უეცრად ჭიშკარსგაცილებული გრიშა შემოტრიალდა, სავსე ბოცა მიშას შეაჩეჩა, ჯიბიდან ხუთმანეთიანი ამოიღო და მასპინძელთან მიხვეულ-მოხვეული გზებით მოვიდა.

– რა არის ეს, ბიძიკო? – ჰკითხა დავითმა.

– ღვინის ფული, ბატონო! – თვალებს ნაბავდა გრიშა.

– კი ბიძია, ახლავე, – ჩაილაპარაკა დავითმა, გრიშას ხუთმანეთიანი გამოართვა, გულისჯიბიდან ორი დაკეცილი მანეთიანი ამოიღო და ხურდა დაუბრუნა.

– მადლობთ! – დიდხანს ისმოდა სიბნელეში გრიშას გულიდან ამომსკდარი სამადლობელი.

* * *

როცა პარასკევა თავის გადამთვრალ, ტახტზე გადაქცეულ ქმარს წაღებს ხდიდა, თან ჩასძახოდა:

– დაბერდი და ჭკუა ვერ ისწავლე, შე უბედურო, რო არ გამსკდარიყავი არ იქნებოდა დღეს!

– რა მექნა აბა?! – ჭრელ მუთაქას ჩასძახოდა დავითი.

– ეს სამი მანეთის გამორთმევა მაინც რა იყო, შე გადარეულო!

– რა გესმის ქალო შენ. მე როცა შენ ჭკუაზე გევივლი, მკვდარი ვიქნები მაშინ. წესი წესია. რა ჭირდათ ჩემი სამოწყალო და საჩუქებელი. ეგება ქე ეწყინოს ზოგიერთს, ვინაა შენი სამი ბოთლი ღვინის მათხოვარიო. თანაც ფულს რომ არ ართმევ, ჩვენი კაცი ამნაირია, ფიქრობს, ეტყობა რაღაცა უბედური გამატანა და შერცხვა ფულის გამორთმევაო. აპა, ასეა ცხოვრება!

– კი, კი, მასეა მთლად, წავა ის უცხო კაცი და დაგცინებს.

– თუ კაცია, არ დამცინებს, პირიქით გული დამშვიდებული ექნება, ასთეა ეს!

– გადმობრუნდი, გადმობრუნდი თვარა, ველარ ითქვამ სულს, შე უბედურო, – მხარზე აწვებოდა დედაკაცი თავის ქმარს და გადმობრუნებას ცდილობდა.

– ფული რატომ გამოართვიო, შენს ჭკუაზე იარა ჩემი მტრის გვარმა და ჯილაგმა, შენ მაგი არ იცოდე, შენ, მაგი... შენ... არ გესმოდეს... ასთე არის ეს... ესაა ასთე... შენს ჭკუაზე... ჩემმა...

პარასკევამ ქმარი დააძინა, ჭრაქი გაიმძღვარა და მარანს მიაშურა, ამ გამოჩერჩეტებულ ბერიკაცს ჭური თავღია ხომ არ დარჩენიაო.

სიტყვა

ქუჩაში კინოფილმს იღებდნენ. ფილმის ის ნაწილი, რომელიც მაინცდამაინც ამ ქუჩაზე უნდა გადაეღოთ, ასეთი გახლდათ: მოსახვევიდან გამორბის შეშფოთებული ქალი. ხელს უქნევს ავტომანქანებს. თითქოს პირი შეკრესო, არავინ უჩერებს. ბოლოს „ჟიგულის“ მარკის შავი მანქანა გამოჩნდება. შეშფოთებული შოფერი ქალის დანახვისას სწრაფად დაამუხრუჭებს. ქალი (იგი ახალგაზრდა და მოხდენილია) უკანა კარს გამოაღებს და ჩაჯდება, შოფერი უკან მიუხედავად, ელვის სისწრაფით დაძრავს მანქანას, მარჯვენა ხელს ჯიბეში ჩაიყოფს და ქალს სიგარეტის კოლოფს გადააწვდის. „გმადლობთ, არ ვეწევი“ – მიუგებს ქალი. რა თქმა უნდა, ამ დეტალის მიხედვით ძალიან ძნელი იყო მომავალი ფილმის ავ-კარგზე მსჯელობა, მაგრამ ბაგირით გადაღობილ ქუჩას კინოსმოყვარულნი მაინც აწყდებოდნენ. ეპიზოდი თითქოსდა უმნიშვნელო იყო, ფილმის გადამღებ კოლექტივს კი დიდი წვალება უხდებოდა.

ტრანსპორტის მოძრაობა რომ შეფერხდა, ეს არაფერი, რეჟისორი ჭირვეულობდა. მას ეჩვენებოდა, რომ ყველაფერს ხელოვნურის იერი დაჰკრავდა. ამიტომაც იყო ერთი აურზაური, ოპერატორის ნერვიული ამოოხვრა, გაუთავებელი რეპეტიცია და დუბლგადაღება. იუპიტერებთან მდგომი ბიჭები ნახშირის გამოცვლას ვერ აუდიოდნენ. რეჟისორი წამდაუწუმ რუპორს იმარჯვებდა და რუსულად რაღაცას ჩასძახოდა. ღონემიხდილი მსახიობი ქალი უკვე მეათასედ გამორბოდა მოსახვევიდან და მანქანების მდინარებაში იჭრებოდა.

ამ გაწამაწიაში ცნობისმოყვარეთა შესაკავებელ თოკს ვიღაცამ გადმოაბიჯა და რეჟისორისაკენ გაემართა. უცნობი საშუალო ტანის, მსუქანი მამაკაცი იყო. ხელში პატარა გალია ეჭირა და შიგ ყვითელნისკარტა კანარის ჩიტი ფართხ-

ალებდა. იგი რეჟისორის და ოპერატორის თანაშემწეთა გამაფრთხილებელ შეძახილებს ყურადღებას არ აქცევდა. გალიას მიიქნევდა და თავდახრილი, საქმიანი ნაბიჯით, რეჟისორს უახლოვდებოდა. უცნობი უცხო ადამიანისათვის დასაშვებ მანძილზე უფრო ახლოს მივიდა რეჟისორთან და თითქმის ყურში ჩასძახა. რეჟისორი მოტრიალდა. ისინი ერთხანს საუბრობდნენ. უცნობი დაჟინებით უმტკიცებდა, რეჟისორი კი ჯიუტობდა. იგი დოინჯშემოყრილი იდგა მოსულის წინაშე. მერე, როგორც ჩანს ცოტა აღელდა და დამაჯერებელ ჟესტებით რაღაცის ახსნას ცდილობდა. ზოგჯერ უნებლიედ რეჟისორი რუპორს პირს მიუახლოვებდა და ეთერში ნაწყვეტ-ნაწყვეტად ასეთი სიტყვები ისმოდა: „ვიცით... ეს ხომ კინოა... ვისთან მაქვს საუბრის პატივი?.. კი... დიახ. ჩვენ ხომ არ ვერევით... ჰმ... ჰმ...“ მერე უცნობმა საჩვენებელი თითი საფეთქელთან მიიტანა. რეჟისორმა ზურგი შეაქცია. უცნობიც გამობრუნდა და წელანდელივით ნელი, საქმიანი ნაბიჯით ბაგირისაკენ გამოემართა. ეს უცნობი შოთა თვალჭრელიძე იყო.

შოთას სხვის საქმეში ჩარევა უყვარდა. ახირებული კაცი იყო შოთა. მისი ყველაზე საყვარელი საქმე სხვათა დარიგება, მითითება, სწავლება იყო, შოთას შეეძლო ეკამათა ყველასთან ყველაფერზე. იგი უაღრესად მოსიყვარულე გულის მქონე, დაუზარელი კაცი გახლდათ. დიდი ხალისით ეხმარებოდა ყველას, განურჩევლად იმისა, საჭიროებდნენ თუ არა დახმარებას. სამსახურიდან წამოსული შოთა საათობით იდგა ასფალტის დამგებ მუშებთან და უსწორებდა, ასწავლიდა, განუმარტავდა. მშენებლობის ტექნიკაზე საუბრობდა სახლებისა და ელსადგურების მშენებლებთან, პარსვის ხელოვნებას ასწავლიდა დალაქებს, ხორცის დაჭრასა და განაწილებას – ყასბებს. ელექტროწერტილების დამონტაჟებას – მონტიორებს.

შოთა ყოველთვის მსმენელებით იყო გარშემორტყმული. იქ, სადაც შოთა გამოჩნდებოდა, სხვები მხოლოდ მსმენელის როლით კმაყოფილდებოდნენ და შიგადაშიგ მოკრძალებულ შეკითხვებსაც ჩაურთავდნენ.

შოთა უმეტეს შემთხვევაში სწორ რჩევას იძლეოდა, სიმართლეს ამბობდა: სხვის საქმეში ჩარევა შოთას სტიქია იყო.

როცა უცნობ უბანზე გამოჩნდებოდა, შოთა რამდენიმე სიტყვით აბამდა მათთან ინტიმისა და გულწრფელობის ძაფებს. თუ ზოგჯერ სტყუოდა, მხოლოდ იმიტომ, რომ მისთვის მოესმინათ და არამკითხე მოამბედ არ ჩაეთვალათ.

ვთქვათ, აბანოს თანამშრომლებთან მივიდა: შოთა საუბარს იმით იწყებდა, რომ თავს აბანოს საქმის ყოფილ სპეციალისტად გაასაღებდა.

შოთა მონადირეთა შორის: „ვერ მიცანით, მე ძველი მონადირე ვარ, ბავშვობაში შავ შოთას მეძახდნენ“.

შოთა ჭონთა შორის: „ბარე ოცი წელიწადი ვიმუშავე მექუდედ. ბავშვობაში შავ შოთას მეძახდნენ“.

შოთა ელმავლის მემანქანეებთან: „პირველი ელმავალი მე გავიყვანე, საწირესა და კორბოულს შორის. შოთა ვარ მე, თვალჭრელიძე, არ გახსოვართ?“

შოთა, რა თქმა უნდა, არავის ახსოვდა, მაგრამ მის დარიგებას უმეტესობა გულისყურით ისმენდა.

შოთა სპორტული კულისების ხშირი სტუმარი იყო. ყოფილი ფეხბურთელი, ყოფილი მოჭიდავე, ყოფილი ჩოგბურთელი და ვინ მოსთვლის კიდევ რად ყოფილი შოთა ხმის ჩახლეჩამდე უხსნიდა სპორტსმენს, რომ იგი არ აკეთებდა ისე, როგორც საჭირო იყო და თუ შოთას დაუჯერებდა, არ წააგებდა.

შოთა თვალჭრელიძე უანგარო კაცი იყო.

მას საყოველთაო სიკეთე და ჰარმონია სურდა. მართალია, ძალიან იღლებოდა, მაგრამ სხვანაირად არ შეეძლო. ყველაფერში უნდა ჩარეულიყო, ყველაფერზე თავისი აზრი უნდა გამოეთქვა. ყველას რაღაცით უნდა შეწეოდა, დახმარებოდა.

ზოგიერთისთვის ყოვლისმცოდნის მანერა, ხელოვნური შთაბეჭდილების მოხდენის მიზნით ძალად მიღებული პოზაა, შოთასთვის კი იგი ხასიათის თვისება იყო. შოთას მართლა ეჩვენებოდა, რომ ყველაფერი იცოდა. იგი სხვების ნამოქმედარში მუდამ ამჩნევდა ნაკლს და გაჩუმება არ შეეძლო. შოთა არასოდეს არავის უჩიოდა, ზურგსუკან ლაპარაკი ჭირ-

ივით სძულდა. იქვე პირში ეტყოდა კაცს სათქმელს და თუ დაუჯერებდნენ, ხომ კარგი, თუ არადა წეღანდელივით საქმიანი, სერიოზული იერით უკან ბრუნდებოდა. იგი იმ წუთში ვალმოხდილი კაცი იყო. თავისი სათქმელი თქვა.

რადგანაც შოთას ცოტ-ცოტა ყველაფერი გაეგებოდა, ბუნებრივია, იგი ხშირად წუნმდებლის როლში გვევლინებოდა.

თავის წონასთან შედარებით (იგი ბოლო ოცი წლის განმავლობაში საოცრად სტაბილური წონისა იყო. არც მეტი, არც ნაკლები, ას ოც კილოგრამს იწონიდა), მოქნილი და მოძრავი კაცი იყო და ხშირად იცოდა, მე რომ ნორმალური წონა მომცა, არც ერთ სპრინტერს წინ არ გავუშვებდიო. ვინ იცის, იქნებ მართლა არ გაეშვა, მაგრამ ნორმალური წონა შოთასთვის აუხდენელი ოცნება იყო. რა ხერხს არ მიმართა, მაგრამ ვერა და ვერ დაიკლო.

შოთა მჭამელი კაცი გახლდათ და ერთი კვირა რომ მაწონზე ყოფილიყო, ბოლოს ერთ ჭამაზე აინაზღაურებდა „დანაკლისს“.

მისდაიღბლად, არ იმატებდა. საყოველთაო დამრიგებლად ყოფნა ისე იოლი როდი იყო, როგორც შეიძლება საქმეში ჩაუხედავ კაცს მოჩვენებოდა. შოთას ხშირად არ ეთანხმებოდნენ. მის რჩევას დილეტანტის ლაყბობად თვლიდნენ და ზოგჯერ დასცინოდნენ კიდეც. მაშინ შოთა თვალჭრელიძე წუხდა. იშველიებდა ავტორიტეტებს, იფიცებოდა, მიმართავდა თვალსაჩინოების ხერხს, მოჰქონდა ამონაჭრები გაზეთებიდან. მანამ არ მოეშვებოდა მოკამათეს, სანამ თავის სიმართლეში არ დაარწმუნებდა.

ზოგჯერ შოთას მისი გულწრფელი სურვილისათვის უქნევდნენ თავს თორემ, რასაკვირველია მისი ყოველთვის როდი სჯეროდათ.

ასეთი ბუნების კაცთან მეგობრობა ადვილი როდია. ამიტომ შოთას მეგობრები ცოტა ჰყავდა. თუ ვინმე დაუახლოვდებოდა, იცოცხლე, შოთამ ძმური სიყვარული და ღირსეულ კაცზე თანგადაყოლა იცოდა, მაგრამ რად გინდა, თავის თუნდაც-მცდარ პოზიციას ღმერთის წინაშეც არ დათმობდა, თეთრზე თუ იტყოდა, შავიაო, უნდა დათანხმებოდი.

ასეთი ახირება და სიჯიუტე ადამიანის დიდი ნაკლი გახლავთ, შოთას მეგობართაგან ბევრი ვერ შეეგუა ამ ნაკლს და თანდათანობით დაშორდა. სერგო კაკაბაძე კი შოთას უახლოესი და განუყრელი მეგობარი იყო.

სერგო, ალბათ, ერთადერთი კაცი იყო ქვეყანაზე, რომელიც შოთას არასოდეს არ ეკამათებოდა. სჯეროდა თუ არა ყოველი პუნქტი შოთას მოძღვრებისა, ეს სხვა საქმე იყო. სერგო კაკაბაძეს იუმორის გრძნობა გამახვილებული ჰქონდა და ზოგჯერ ვერც კი გაიგებდი, სერიოზულად ამბობდა რამეს, თუ ირონიულად. მაგრამ ერთი რამ ფაქტი იყო – სერგო კაკაბაძე და შოთა არასოდეს არ კამათობდნენ. მეგობრებს ერთმანეთი ძალიან უყვარდათ.

სერგოს ოჯახში ჭიქა არ აიწეოდა უშოთაოდ და პირიქით. სერგო, რასაკვირველია, ხვდებოდა, რომ შოთა ზოგჯერ აჭარბებდა. მისი ჰიპერბოლიზებული ნაამბობიდან სერგო თავის გულში მისხალ-მისხალ, ცალ-ცალკე დაალაგებდა მართალსა და ტყუილს, მაგრამ პირში არასოდეს შეტეხავდა.

სერგომ იცოდა, რომ შოთა უბოროტო კაცი იყო და, რაც მთავარია, მასწავლებლად, მწვრთნელად იყო გაჩენილი.

სერგო წითლდებოდა, როდესაც მას შოთა რომელიმე უვნებელ ტყუილზე მოწმედ დაასახელებდა, მაგრამ არაფერს ამბობდა. იგი შოთას მეგობარი იყო და ამ მეგობრობის ხათრით ზოგჯერ ცრუმოწმის უსიამოვნო ტვირთსაც კისრულობდა.

დაბოლოს ერთმა უსიამოვნო შემთხვევამ შოთას და სერგოს მეგობრობა კინაღამ ჩაშალა. იმ საღამოს შოთას ბინაში მეგობრები ტელევიზორს უყურებდნენ. ცისფერ ეკრანზე პარაშუტით სარეკორდო ხტომებს უჩვენებდნენ. შოთა აწრიალდა, უკმაყოფილოდ შეიშმუშნა და სერგოს მიუბრუნდა.

– ნახევარმა არ იცის გადმოხტომა. ოსტატების ნახტომს ჰგავს ეეს?

– რას უწუნებ? – ჰკითხა სერგომ.

რა და, ჯერ ერთი, პარაშუტის გასახსნელი ზონარი მარჯვენა ხელთან, წელს ქვემოთ უნდა ჰქონდეს. არც ერთს სწორად არ აქვს პარაშუტი მოკიდებული. მეორეც, გადმოხ-

ტომის დროს წინ ხელგაშვერილი უნდა მიფრინავდე, ესენი კი ზურგით ხტებიან. დაფრენის მერე ნახევარი არასწორად კეცავს პარაშუტს, – იცრუა შოთამ.

– შენ გადამხტარხარ? – ჰკითხა სერგომ. შოთამ გაუღიმა, მორცხვი, კეთილი ღიმილით და განუმარტა, – მე, ჩემო სერგო? მე ხომ ფაქტობრივად პარაშუტისტი ვარ. მეტს რას ვაკეთებდი ბენდელიანის სკოლაში. ულამაზესი ნახტომი მქონდა. „შავ შოთას“ მეძახდნენ. ორიენტაცია ბრწყინვალე. ექვს მეტრზე ვშლიდი პარაშუტს. ამას წინათ შემხვდა ჩემი პოდპოლკოვნიკი, რომ ვუთხარი, „გულთამზეში“ ვმუშაობ-მეთქი გადაირია. საცემი არა ხარ ახლა შენო? პარაშუტს რათ დაანებე თავიო. ეეხ... ეგენი მოვიდოდნენ ჩემთან?! – ამოიოხრა შოთამ.

– რაღაც ტყუილს ჰგავს ეს ამბავი, – ყრუდ ჩაილაპარაკა სერგომ. იმ საღამოს სერგო ცუდ ხასიათზე იყო, თორემ მეგობარს როგორ აწყენინებდა.

– მართლა არ იცი შენ? – გაიღიმა შოთამ – არ გაგიგონია არასდროს ჩემი პარაშუტისტობის ამბავი?

სერგო გაბრაზდა.

– რა მოგივიდა ბოლოს და ბოლოს, ნამეტანიც არ შეიძლება. ათი წელია მომკლა შენმა ტყუილებმა. შენ გგონია მჯერა, რასაც ამბობ? შენ გგონია მომწონს ყველას ჭკუას რომ არიგებ და ყველა საქმეში ერევი? რა არის, შე კაცო, ეს გაუთავებელი ტრაბახი. ფეხბურთი ყველაზე კარგად შენ გესმის, ყველაზე კარგი შოფერი შენ ხარ, შენს ძაღლს ბრიუსელის გამოფენაზე აქვს ოქროს მედალი მიღებული. შენმა „კანარეიკამ“ ოცდაშვიდი სიმღერა იცის. ბავშვობაში „შავ შოთას“ გეძახდნენ და ახლა გავიგე, თურმე პარაშუტით ხტომაშიც პირველი ყოფილხარ!

შოთა გაფითრდა.

– არ გჯერა, სერგო, შენც? რა გააბი გლახა დიაკვანივით. ტყუილი მითქვამს როდისმე შენთვის?

– როდისმე თავი დავანებოთ, რა სინდისმა გათქმევინა ამ წუთში პარაშუტით ვხტებოდიო.

– არ ვხტებოდი მერე?

– შარშან მთელი წელი მიმტკიცებდი, ნახიმოვის სასწავ-ლებელში ვსწავლობდიო. ახლა გაირკვა, რომ თურმე ბენ-დელიანის სკოლა გაქვს დამთავრებული. რომელი ტყუილი დავიჯერო, მითხარი, – მწარედ გაიცინა სერგომ.

– სერგო, შენ ხომ არ აურიე ცოტა. გესმის, რას ლაპარა-კობ? – მუდარა და წყენა გაერია ხმაში შოთას. ყველა ყველა და ნათქვამის ასეთ დემონსტრატიულად მიუღებლობას კი არა, სერგოსაგან კამათსაც არ იყო მიჩვეული შოთა.

– ახლაც გადმოხტები, რო რამე იყოს? – ექიდნურად ჰკითხა სერგომ.

– ახლა, რაღა დროს ჩემი ხტომაა.

– ჰოდა, – აშკარად დასცინა სერგომ – არ უნდა თქვა შენხელა კაცმა ტყუილი, ბავშვი აღარა ხარ აწი, მე რაღას მატყუებ, შე კაი კაცო. რაც შენს ტყუილებზე სხვებთან თავი მიქნევია, არ მყოფნის?

შოთას გული ეტკინა. გაიფიქრა, ერთბაშად ახლა გამოცდა არ მომიწყოსო, თვალები დახუჭა და მტკიცედ განაცხადა.

– გადმოვხტები.

სერგომ გაოცებისაგან პირი დააღო. იგი ამ პასუხს აღარ მოელოდა. მერე შოთას შეშინებულ სახეს რომ შეხედა, კიდევ ერთხელ შეეპარა ეჭვი მეგობრის ნათქვამის სისწორეში და სათქმელი აღარ დატოვა:

– თუ შენ ტრაბახა არა ხარ და ტყუილს არ ამბობ, ახლა, კვირას, წავიდეთ აეროპორტში. ჩემი ნათესავი მუშაობს „დოსაფის“ გამგედ. პარაშუტისტების რამე მეცადინეობა იქნება და გადმოხტი. თუ არ გადმოხტები, იცოდე, შენსას არაფერს დავიჯერებ. მომწყინდა. მეყოფა უკვე!

შოთას ხმა არ გაუცია.

* * *

...როცა ვერტმფრენი მიწას მოწყდა, შოთას გულმა რეჩხი უყო, მაგრამ უკვე ყველაფერი გვიან იყო. ვერტმფრენის კაბი-ნაში შოთას და სერგოს გარდა, ოთხნი ისხდნენ. მწვრთნელი და სამი პარაშუტისტი, ოთხი პარაშუტისტი შოთას ჩათვლით.

შოთას ბეჭებზე მოერგო პარაშუტი და გასუსული იჯდა. არ ეგონა თუ აქამდე მივიდოდა საქმე.

სერგო მთელი ორი საათი ეხვეწა „დოსააფის“ გამგეს, რომ შოთასთვის ერთი გადმოხტომის უფლება გამოეტყუებინა. ის გამგეც რა დამყოლი აღმოჩნდა, შეიძლება ასე განუკითხავად კაცი ამხელა გასაჭირში ჩააგდო?

მართალია, შოთამ „დოსააფის“ მოხალისე მხტომელთა გუნდის მწვრთნელს განუცხადა ბევრჯერ დაშვებულვარო, მაგრამ მწვრნელმა მაინც თავის მოვალეობად ჩათვალა პატარა ინსტრუქტაჟი ჩაეტარებინა შოთასთვის.

ექიმმა წნევა გაუსინჯა და რაღაც ჯანდაბაად წნევაც გადმოხტომისთვის ასატანი აღმოჩნდა.

ზის ახლა კაბინაში და გულმუცელი ეწვის. „ჭკუის დანაყვაც ამას ჰქვია, რა ჯანდაბამ მათქმევინა. როდის იყო, რომ ვხტებოდი?.. შოთას მოეჩვენა, რომ სერგო მწვალებლის ღიმილით შესცქეროდა და გული შეეკუმშა.

– მოემზადეთ! – გამოაცხადა მწვრთნელმა. შოთას მუხლები უცახცახებს. „ნეტავ ეს ყველაფერი სიზმარი ამოჩნდებოდეს. ჩემო ენავ, არა ხარ ძირში მოსაჭრელი? არა და ახლა რომ ვთქვა, არ გადმომხტარვარ-მეთქი, ყველაფერი დაიღუპება“. შოთას სერგო ძალიან უყვარს, სერგო ყველაფერში უსიტყვოდ ეთანხმებოდა შოთას. თუ ახლა დავმარცხდი, მერე აღარაფერს დამიჯერებს, ჩვენს მეგობრობასაც ჩრდილი მიადგება. გაქრება ის ნაღდი და ხალასი... მერე სულ ეჭვის თვალით შემხედავს. აღარ მენდობა, აღარ დამიჯერებს... რამ მათქმევინა... ჩემს ცხოვრებაში პირველად ვნახე ახლოს პარაშუტი. დავიხიო უკან? ქვეყნის სასაცილო გავხდები. დაცინვას კაცი არ მოუკლავს, მაგრამ სერგოს ვერ დავკარგავ. დაკარგვას ვეძახი მე, კაცი რომ აღარ გისმენს, აღარ გიჯერებს, აღარ მოგენდობა...“

ვერტმფრენის კაბინის კარი ნელ-ნელა პარაშუტიანი კაცის გასატევზე აიწია. მწვრთნელმა გადაიხედა და ხელი შემართა.

„რა უდარდელი სახეები აქვთ. ეს რა ჩავიდინე. რა შიში სცოდნია თურმე. ეს ზონარი არ გამებნეს არსად. გადავხტები თუ არა დავქაჩავ, მარა გადახტომა არ გინდა? აქ ვერ გაშ-

ლი და ისე ვერ ჩავხტები, თორემ კარგია. უკანდახევა აღარ გამოდის. ბოლოს და ბოლოს ხომ ხტება ეს ხალხი. არა, არა. კაცს ვერ დავკარგავ... რაც იქნება იქნება. რა საშინელია შიშის გრძნობა. ზონარს ხელს არ გავუშვებ. ყველაფერს ისე გავაკეთებ... ყველაფერი მახსოვს. კაცმა ყველაფერი უნდა გამოსცადოს, ერთი... ორი... სამი... ოთხი... ხუთი... ექვი... შვიდი... რვა...“

შოთამ თვალები დახუჭა და გადახტა.

მეშარვლე

მეშარვლე კაპიტონ თავართქილაძე მაგიდაზე ჩამომ-ჯდარიყო და შარვალს კერავდა, დროგამოშვებით ხელსაქმეს პირთან მიიტანდა და ძაფს კბილებით აკვნეტდა.

ეს მეთოდი სამკერვალო ხელოვნებაში მაინცდამაინც რეკომენდებული არ არის, მაგრამ კაპიტონი ერთხელ და სამუდამოდ მიჩვეოდა და რაკი ძაფის კბილით გაწყვეტას ზარალი არაფერი მოსდევდა, კაცმა რომ თქვას, მეშარვლე გადაჩვევისთვის მაინცდამაინც თავს არ იკლავდა.

№3 ატელიე დობორჯგინიძის ქუჩის თავში მდებარეობდა, დობორჯგინიძის და მიხაილოვის ქუჩების გადაკვეთაზე. ახ-ალი გახსნილი იყო და მუშტრის სიმრავლით ვერ დაიტრაბ-ახებდა. მაძიებელი გონების გამგე ყველა საშუალებას მიმარ-თავდა, რომ ატელიეს, მოქალაქეთა ყურადღება მიექცია. ინდშეკერვის პუნქტს ნახევრადლეგალურად ფართო ქამ-რების საამქრო დაუმატა და ამ დღეებში იაპონური ქოლგების გამოშვებასაც აპირებდა.

კაპიტონი შარვლის კერვის რთულ საქმეს საზღვარგარეთ არ დაუფლებია. ხელობა ისეთ მშვიდსა და მყუდრო ადგილას შეისწავლა, როგორიც გახლავთ ქალაქი ბროწეულა. სახე-ლოსნო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ განაწილების გარეშე დაიტოვა თავი და ინდმოწყობის იმედზე სამი მო-საწყენი წელიწადი ისეირნა, ამ ატელიეს გახსნის ამბავიც შემთხვევით გაიგო და საყოფაცხოვრებო მომსახურების გან-ყოფილების უფროსს თავის ჩამოხრჩობით დაემუქრა, თორემ მისი გამომძახებელი და იქ დამნიშვნელი კაციშვილი არ იყო.

შესვენების საათი ეს-ესაა დამთავრდა და მკერავები თან-დათანობით ავსებდნენ ადგილებს უზარმაზარი, ილუმინატო-რის შუქით ცხრა ადგილას განათებული, სამუშაო მაგიდის გარშემო, კედლებზე გამოჩენილ ადამიანთა სურათების და

გეგმის შესრულებისათვის აღმაფრთოვანებელი პლაკატების გვერდით ნახევრად მზა ნაწარმი ეკიდა – უსახელოებო პიჯაკები და თეთრი ძაფით დალამბული შარვლები.

მაგიდის ბოლოში, ფანჯრების მხარეს, ორი მოწაფე-მკერავი იჯდა და მორიგეობით ამთქნარებდა.

კარი გაიღო, ცხრამეტი-ოცი წლის ფართოყურებიანი, მაღალი ბიჭი პირდაპირ კაპიტონისკენ წამოვიდა. ეტყობოდა თმის დაწვენაზე დიდ დროს ხარჯავდა, რადგანაც თავზე მოკლე წითელი თმა მეხამრიდივით ადგა. კლიენტი, რომელმაც მშვენივრად იცოდა, რა თმის პატრონიც იყო, ვერ იდგა კარგ ხასიათზე, იგი თავს წაადგა კაპიტონს და ჯიბიდან ხელებისამოუღებლად ჰკითხა:

– რა ქენი?

– რაის? – უხალისოდ ამოხედა კაპიტონმა და ძაფი კიდევ ერთხელ გაკვნიტა სათანადო ადგილას.

– შარვლის.

– შენ როდის უნდა მოსულიყავი?

– გუშინ საღამოს.

– ცისფერი შალი, ოცდათორმეტმანეთიანი, უკან ერთი ჯიბით?

– ხო.

– მზადაა, ახლავე.

წითურთმიანმა დოინჯი გაიკეთა და ჭერს შეხედა, სანამ მკერავი შარვალს გამოიტანდა, აქაურობის დათვალიერების დრო ჰქონდა, რატომღაც ჭერიდან დაიწყო.

– მოდი! – დაუძახა კაპიტონმა, მკლავზე გადაფენილი შარვალი გაუწოდა და შირმაზე მიუთითა.

რამდენიმე წუთის შემდეგ იგი ლურჯ, ახალ შარვალში გამოწკეპილი კაპიტონ თავართქილაძის წინ იდგა და ბუზღუნებდა.

კაპიტონი უხმოდ შეჰყურებდა ჭირვეულ მოქალაქეს, კისერზე „სანტიმეტრი“ ეკიდა და მკლავებჩახვეული იდგა სარკესთან.

– რას უწუნებ, რა გინდა? – მერამდენეჯერ ეკითხებოდა კაპიტონი.

– ჩაიცვამ შენ ამნაირ შარვალს? – შორიდან იწყებდა წითურ ზღარბთა ოჯახის შორეული წარმომადგენელი,

– რატომ არ ჩავიცვამ? – მოწყენილად უმეორებდა კაპიტონი, – ოცი ხომ მითხარი ქვევით? ნახე თუ არაა სწორი.

– ეს ჯიბეები რომ აღებს პირს ღორჯოსავით და უკან გარმონივით რომ იკეცება, ვერ ხედავ, ვითომ, ამას?

– რას შვრება? – ყრუ ხმით ჰკითხა კაპიტონმა და მწარედ ინანა, რომ ასეთ წუნია მომხმარებელთან მიეცა საქმე.

– შენ თუ ჩემს შარვალზე სწავლობ კერვას, გეთქვა და ჯერ უფრო იაფიან ნაჭერს მოგიტანდი გასაფუჭებლად.

„წაარტყი ახლა ამ ლაწირაკს თავში და გააგდე გარეთ“, – გაიფიქრა კაპიტონმა, მაგრამ თქმით არაფერი უთქვამს, წითური ცოტა ახირებული ჩანდა. კაპიტონს შარვლის მეტი რა შეუკერავს, მაგრამ თუ ვინმე არ აწვალებდა, სწორედ ამ ასაკის ბიჭები იყვნენ. ისინი სწრაფად მოირგებდნენ შარვალს და ახლის ჩაცმით გახარებულები უკანმოუხედავად გარბოდნენ. ეს ადამიანის ჩასაცმელად არაა შეკერილიო, ფართოყურება რომ ამბობდა, ცოტა არ იყოს, აზვიადებდა, ხოლო რაც შეეხება თვით შარვალს, კაპიტონიც კარგად ხედავდა, რომ იგი უნაკლოდ როდი იყო შეკერილი.

– შენ, სიტყვებს პატარა დაუკვირდი, – ბიძია, – მშვიდად, გასაფრთხილებლად უთხრა კაპიტონმა და ხელები ჩამოყარა.

მეშარვლე თავართქილაძე ორმოცი წლის, საშუალოზე ცოტა მაღალი კაცი იყო. საფეთქლებიდან წამოღებული თმით შესანიშნავად იფარავდა გულისმომკვლელად გამელოტებულ თავს, პირველი შეხედვისთანავე მისი მაღალი, წინ წამოწეული შუბლი და ფართო სათვალეები მოგხვდებოდთ თვალში, წამდაუწუმ იხსნიდა სათვალეს, თვალებთან თითებს მიიჭერდა, ქუთუთოებს მიისრეს-მოისრესდა და სათვალეს ისევ რომ გაიკეთებდა, პირველ რიგში მის პირდაპირ დახრილ მოხუც მკერავს, ირაკლი ვაშაყმაძეს შეხედავდა, ალბათ, თავისი დაქვეითებული მხედველობის შესამოწმებლად. ახლაც, სიტყვებს დაუკვირდიო, კლიენტს, რომ უთხრა, სათვალე მოიხსნა, თვალები მოისრისა, და ირაკლის გახედა. ხელოსნებს არ უყვართ, საერ-

თოდ, როცა მუშტართან ჩხუბში კოლეგა შევსწრებათ. ამ ატელიეში მომხმარებელთან უსიამოვნო ლაპარაკი იშვიათი როდი იყო და სხვა მკერავები, ვითომც არ გვესმის, ვითომც ვერ ვხედავთო, ოსტატ-კლიენტს ერთმანეთი რომ შეეჭამათ, ჩამრევი არ იყვნენ, კაპიტონი ტანზე, მისი ეკონომიკური გაქანების კაცისთვის სრულიად შეუფერებლად მსუქანი იყო და ვერ დავმალავთ, არც თვითონ ეცვა გადასარევად შეკერილი შარვალი. ტანზე შემოჭერილი წითელი მაისურიდან, რომელსაც დიდი, თეთრი ასოებით ლათინურად „ობერლინ“ ეწერა, ყელმიწვდენილი ჭაღარა ხუჭუჭა თმა მოუჩანდა, სქელი კოტიტა თითები ჰქონდა და შუათითზე წამოცმული დიდი, ყვითელი, დაჩვრეტილთავიანი სათითური საგანგებოდ მისთვის გაკეთებულს ჰგავდა. როგორც მისი პროფესიის ხალხს სჩვევია, წელში ნაადრევად მოხრილიყო და შორიდან გეგონებოდათ, რომ დიდი, ლამაზი თავი ზედ მკერდზე ეკიდა.

ორივენი სარკეს შეჰყურებდნენ. სასაცილო სანახავი იყო: ავბეწვა ყმაწვილი ჯიბეებთან შარვალს განზე რომ გასწევდა, ბისზე გამოსულ ბალერინასავით რომ დაიხრებოდა და გულშემოყრილ მკერავს მორიგ, დამამცირებელ ფრაზას ესროდა.

– ერთი ის კაცი მომაძებნინა, ვის ტანზეც ეს შარვალი გაქვს აჭრილი და შეკერილი, სხვას აღარ დავეძებ არაფერს! – ამ სიტყვებს ბურძგლა წითური ხუმრობით კი არ ამბობდა, სევდანარევი მრისხანებით და ცოტა მუქარითაც.

– სახელი შენი? – ყრუდ ჰკითხა კაპიტანმა,

– სახელს რა ჭკუა აქვს ამ შემთხვევაში... ვთქვათ, ოთარი, მერე?

–ოთარ, მითხარი ლოთიანად, შარვალს ხომ პირველად იკერავ?

– მეორედ.

– არა, მართლა გეუბნები.

– ატელიეში პირველად ვარ, ქუთაისშიც პირველად ვარ, დღეს ჩამომიყვანეს გოდრით. ახლა გამახსენდა, მეორედ ვარ. ერთხელ ამ ათი წლის წინ ჩემს ბიძაშვილს მივყევი მკერავთან და უსიამოვნო ამბავს შევესწარი.

– რა ამბავს?

– თავი გოუტეხა ფინაჩ ხელოსანს, უბედური შარვლის შეკერვისათვის.

კაპიტონი მაშინვე მიხვდა გადაკრულს, სარკეს მოსწყვიტა მზერა და თავისი სუფთა, წაქისფერი თვალებით კლიენტს მიაცივდა.

– კაცო, შენ მე კი ნუ მიშტერებ თვალებს, ამ შარვალს დაუკვირდი, შენი თვალების ქაჩვის არავის ეშინია აქანა! – არ შეეპუა დაზარალებული.

– შენ ბიჭო, გლახა ფეხზე ხომ არ ამდგარხარ ამ დილით?

– მე მშვენიერ ფეხზე ვარ ამდგარი.

– ნუ გამაკეთებიებ გლახა საქმეს. ნუ გამიშობ ციხეში, მე შენ გელარაპარაკები.

–შენ რაც გულში გაქვს, გააკეთე და ნახე ერთი, თუ რამე კაი მოყვება შენს ფხუკურს. მე ხელები ჯიბეში კი არ მაქვს ჩაწყობილი, დამარტყამ და იმნაირს მიიღებ, რომ ხვეწნით გამოყავდეთ სტოლის ქვეშიდან.

– მერე გეიქცევი ხომ მილიციაში?

– მჩივლებელს ექცა შავად და ბნელად. რათ მინდა შენთან მილიცია.

კაპიტონს სისხლი თავში აუვარდა, რაც გარეგნულად იმაზე შეეტყო, რომ ორივე ხელი აუცახცახდა.

– ბიჭო, ოთარი, რაკი პარტნოვი ვარ, თავზე უნდა ის მიქნა მაინცდამაინც?

– მე არ ვიცი რა ხარ, მკერავს შენ რომ არაფერი გიგავს, ამ შარვალს ეტყობა და თუ ძველი ბიჭი ხარ, რა გინდა აქანა. წადი და დადექი ბაღის კიდეზე.

კაპიტონს ნესტოები გახეთქვაზე ჰქონდა და მარათონელივით ჩქარა სუნთქავდა, საოცარი ის იყო, რომ ოთარს აღელვება ოდნავადაც არ ეტყობოდა, იგი კვლავ სარკეში იხედებოდა და მკერავის რეპლიკებს გარეგნულად მშვიდად, მაგრამ ნერვებისმომშლელად პასუხობდა.

– ესე იგი, რა უქნა შენმა ბიძაშვილმა ფინაჩ მკერავს! – განწირული კაცის ხმით ამოიხრიალა კაპიტონმა.

– ყრუებისთვის ორჯერ არ რეკავენ. – სარკეს უთხრა ახალი შარვლის პატრონმა.

კაპიტონს მოთმინების ფიალა აევსო. პერანგი ელვის სისწრაფით შემოიხია. ოთარის წინ მუხლებზე დაეცა და დაიღრიალა:

– დამარტყი უთო! დამარტყი მე შენი!..

თითქოს ამ მომენტს ელოდნენო, მკერავები დარიგებულებივით ეცნენ მოჩხუბართ. ორმა ოთარს გაუკავა მხრები, ხოლო სამმა ბრგე მკერავმა (მათ შორის ერთი მოწაფე იყო) კაპიტონს გადაუჭრა გზა. ბოლოს, როცა მოჩხუბართ საშიშროება აღარ ემუქრებოდათ, მაგნიტურ ველში მოხუცი ოსტატი ირაკლი ვაშაყმაძე შევიდა.

ქუხილის შემდეგ რომ შიშიანი სიჩუმე ჩამოწვება, ისე გაქვავდა ყველაფერი.

– ვერ მოასწარით? – გაიცინა ირაკლიმ და ორივეს შეხედა, – თვალში მაკრატლის თხრა მაინც უნდა მოგესწროთ, უნდა დახოცოთ შარვლის გულიზა ქართველებმა ერთმანეთი, აბა რა!

– რას აკავებთ, გამოუშვით ერთი! – სიცილით ამბობდა ოთარი, – თუ ყველა კლიენტზე ასე გაიქაჩა, მაგის გაკავებას მონდომიხართ თქვენ, – მის მცველებს გადახედ-გადმოხედა და დაუმატა, – ან ფული გამოართვით გაზავებაში, ან ქე შეუშვით ხელი ცოტაზე, ერთი-ორჯერ მაგრად რომ გაილახება, ისწავლის ჭკუას.

საიმედოდ დამაგრებული კაპიტონი გაუგებრად ზმუოდა და კბილებს აღრჭიალებდა.

ირაკლიმ, ოთარის, ცოტა არ იყოს, თამამ ტლიკინს ყურადღება არ მიაქცია, მიუახლოვდა, ხელი მოჰკიდა, სარკესთან დააყენა და ჰკითხა:

– ამ შარვალს მოყვა ეს ამბავი?

– ნახე ერთი, ბიძაჩემო, წესიერადაა შეკერილი ახლა ეს? თუ მტყუანი ვარ, მითხარი და ტყვია მოხვდეს ხმის ამომღებს.

ირაკლი დაიხარა, ჯერ შარვლის ქუბა გასწია-გამოსწია, მერე ჯიბეებს მისწვდა და ცარცით ორ ადგილას ჯვარი გაუკეთა.

– შარვალი ვნახე დამწვარი, რაც შარვალია ყველა ერთად. შარვალზე მეტი არ ღირს, ბიჭო, თქვენი კაი გამარჯობა? შენ, გამეიხედე, ბიძია, შენ ჯერ ბავშვი ხარ და უფროსს პატარა ქე უნდა მოუთმინო. მტყუანიც, რომ იყოს, ხანდახან, უნდა გაჩუმდე, ასეა წესი. რა ნახეთ ჯერ ამისთანა, ყელში რომ გაქვთ გული მობჯენილი ყველას. რა ჭირს ამ შარვალს საჩხუბარი? აგერ უნდა პატარა გამოკერვა და ქვევით, აქიდან აქამდე გამოშვება უნდა, საქამრესთან ორ თითისდადებას ევიღებ და გასწორდება ყველაფერი. თუ მაინცდამაინც, შევკეცავ ზევით და დავამოკლებ უბეს. გაიხადე და წადი შენ ახლა, ორ საათში მოდი და შენ თუ რამე წუნს მოუნახავ ამ შარვალს, კეტი მირტყი თავში, თუ გინდა.

ოთარი შირმის უკან გაუჩინარდა, ცოტა ხანში თავისი ძველი შარვლით გამოეცხადა კომპანიას, ახალი ირაკლის დაუდო მაგიდაზე და უხმოდ, ჯიუტად აქოჩრილ თმაზე ხელის წასმით გავიდა.

– რა მოგივიდა, კაპიტონ, მეტი არა ხარ, შე კაცო? რას ეჩხუბები იმ ბაღანას. ტკბილ სიტყვას რა უდგას წინ. ამ ჩვენს საქმეში ჭიმვა ვინ გეიგონა.

– თავზე დამაჯდა მთლიანად, მასხარად ამიგდო, – კეფა მოიფხანა კაპიტონმა.

– მერე? აპა რავა გინდა, ზოგი ამნაირი შეგხვდება და ზოგი იმნაირი, გიყურებდი თავიდან. შენ გადარიე ის ბავშვი, სულ არ უნდოდა ჩხუბი იმას.

– ნაკლები რომ გამოვა დედმამისშვილი, ისაა სწორედ, თვარა რატომ სხვა არ მეჩხუბა?! სამი შარვალი გავუშვი დღეს.

–ა, მოვა ახლა ორ საათში და მე გავისტუმრებ. შენ სულ არ გამოჩნდე. აქით დადექი და მიყურე შორიდან.

– რა ვუყო ამას, ამ უპატრონოს, გამოვუშვა გვერდებზე? – შარვალს დაწვდა კაპიტონი.

– არაფერი გამოსაშვები მაგას არა აქვს, ნამეტანი აგიჭრია. იდოს მანდ, ხელი არ ახლო. მოვიდეს და აგერ ვარ მე, სულ მადლობას ვაძახებიებ, ისე გავუხდი საქმეს.

ფართო მაგიდაზე დახრილი თავები სიცილისაგან აძიგიძგდნენ.

„სახლში წასვლას მაინც ვერ მოვასწრებ“ – გაიფიქრა ოთარმა, სასტუმროს გვერდზე სახაჭაპურეში შევიდა, ნახევარი წრე დაარტყა, ტელევიზორების მაღაზიაში ფერადი გამოსახულებით მულტფილმს უყურა და ხუთს შვიდი წუთი აკლდა, №3 ატელიეს რომ მიადგა.

– მოდი, სად ხარ ამდენ ხანს! საათია მზად მაქვს, გადავდევი ყველაფერი და ამას ვუზივარ აგერ ამდენი ხანია! – დაუძახა ირაკლიმ შემოსულს, შარვალი გაუწოდა და მხარზე ხელი დაარტყა.

ოთარმა თავზე ერთხელ კიდევ ჩამოისვა მარჯვენა და გასახდელს მიაშურა.

მკერავებმა თავები შეაბრუნეს და რამდენადაც კი მოუხერხდათ, ჩუმი, კონსპირაციული სიცილით ჩაიცინეს.

როცა ოთარი სარკის წინ ისევ გამოჩნდა, ირაკლიმ ერთხელ კიდევ შემოატრიალა, საქამრე მაღლა აუწია და ხმის ამოღება არ აცალა.

– ა, ჩემო ბატონო, მე არაფერს არ გეუბნები, დაუძახე ახლა შენს ძმაკაცებს სუყველას. თუ ამ შარვალს რამე ნაკლს მოუძებნიან, კაპიკი არ გვინდა შენი, ჩემს ხარჯზე მე შეგიკერავ ორ ახალ შარვალს.

ოთარი სარკეს თვალს არ აცილებდა. ჯიბეში ჩაიყოფდა ხელს, ამოიღებდა და თავის თავს გვერდიდან შეჰყურებდა.

– მამია – დაუძახა ირაკლიმ მოწაფეებთან დახარილ მკერავს. – მოდი ერთ წუთს, შეხედე, შენ, რა შარვალი გამოვიდა? გელაპარაკები, სამაგალითო შარვალია, ამნაირი ათი წელიწადია არ შემიკერავს.

– იცის ხანდახან. კაი გამოვა, – წინ წამოვიდა მამია და ირაკლის თვალი გაუსწორა, – ის შარვალია, კაცო, ეს?!

– გლახათ კი არ იყო შეკერილი, მარა ოსტატის ხელი მაინც სხვაა, ნახე რავა მოუხდა გამოკლება? ნახე რავაა უკან? რავა დამშვენდა ჯიბეები?

– უკან გამოუკელი? – იკითხა ოთარმა,

– უკანაც გამოვუკელი და წელშიაც ევიღე. უბე გამოვარღვიე და ახალი ჩავუდგი. ჯიბეებთან თავიდან ავჭერი, მრუდედ იყო აჭრილი ცოტა.

– მეტს კი არაფერს ვამბობდი, ბიძია მე, – კმაყოფილების სიმი გაკრთა ოთარის ხმაში.

– არა, თუ ოდნავ რამე გეეჭვება, მითხარი, ახლა აგერ ვკითხოთ, ვისაც გინდა, უმაღლესი შარვალია ეს. არ გვინდა შენი არაფერი, წადი, გენდობით, მეიყვანე შენი ძმაკაცები. ჰკითხე, ვისაც გინდა, ანახე, შეამოწმებინე.

– რაც კაია კაია, რათ უნდა სხვისი ნახვა. ახლა კარგად რომ მადგას ტანზე, მე ვერ ვგრძნობ თუ? მართლა პირველად კი არ ვიკერავ შარვალს?! – მოლბა კლიენტი.

– შეხედე, კარგად დააკვირდი, ველაპარაკები, გულით რომ მომენდომებინა, ასე არ გამომივიდოდა. ამნაირი კაი შეკერილი ათასში ერთხელ გამოგივა კაცს! – ენად გაიკრიფა ირაკლი.

ოთარმა თავისი ძველი შარვალი გამოიტანა, ირაკლიმ იგი გაზეთში შეუხვია და როცა გასვლისას კმაყოფილმა მომხმარებელმა მადლობა გადაუხადა და ფული მაგიდაზე დაუდო, მოხუცმა მკერავმა ერთხელ კიდევ გაშალა ხელები,

– ნუ მიდიხარ, ბიძია, ჯერ! არ გვინდა შენი ფული, ნახე კარგად, შარვალი მოჯდეს ტანზე, მოიყვანე ვინმე და აჩვენე. გამქცევი ხომ არა ხარ, გენდობით ფულს. ფულზე ხომ არაა საქმე.

„არა ბატონო, თქვენ თქვენი აიღეთ და იმას მისი მიეცითო, თქვენი მადლობელი ვარ ძალიანო. ასე რომ ყოფილიყო შარვალი თავიდან, რავა ვიტყოდი რამესო. მაგას ინტრიგანი ვინმე არ ვეგონო; ინტრიგანი რომ ვიყო, ახლა რატომ არ ვიღებ ხმასო, ისე... თავიდან ისე შემაშინა ამ შარვალმა, არ მეგონა ასე თუ გასწორდებოდაო“... – კიდევ რაღაც თქვა ოთარმა, თავზე ხელი ჩამოისვა, კარებთან მოტრიალდა, ირაკლის ხელი ჩამოართვა, მადლობთო, უთხრა და წავიდა.

კაპიტონის გარდა მთელი ატელიე იცინოდა, ქვითრების გამომწერი, იუმორის გრძნობას მოკლებული ქალის ჩათვლით (რა თქმა უნდა, მოწაფეებიანად).

როცა ყველაფერი მიწყნარდა, ირაკლიმ ფული აიღო, კაპიტონის მაგიდასთან მივიდა უთოსთან დაუდო, უხმოდ გამოტრიალდა და თავის საქმეს დაუბრუნდა.

მკერავი კაპიტონ თავართქილაძე ფანჯარასთან იდგა და ფული არ დაუნახავს.

მას გულს ურევდა ყველაფერი რაც მოხდა.

ტკბილ სიტყვაზე უკეთესი მართლა რა არის ამ ქვეყანაზე, მაგრამ ის, რაც ახლახან, გამოცდილმა მკერავმა ასწავლა, მართლა ასე საჭირო, მართლა ასე სასარგებლო იყო ხელოსანი კაცისთვის?

ბიძგი

კინო „კომუნის“ წინ, წულუკიძის ბაღის შესასვლელთან, ტროლეიბუსის გაჩერებაზე ორმოციოდე წლის, ჩასკვნილი კაცი, მათე კილაძე იდგა.

ოქტომბრის სრულიად ჩვეულებრივი საღამო იყო.

საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობა ამ დროს თითქმის შეუძლებელი გახლდათ, რადგანაც ტროლეიბუსი პირველსავე გაჩერებაზე იტენებოდა სამსახურიდან გამოსული მოქალაქეებით და თუ ვინმე არ ჩადიოდა, ან ნაცნობს არ შენიშნავდა, მძღოლი გეგუთის გადასახვევამდე არ აჩერებდა. ამიტომაც რიგითი მოქალაქეები, თუმცა ძალიან ეჩქარებოდათ, მაგრამ მაინც უარს ამბობდნენ ისეთ უიმედო საქმეზე, როგორიც გახლდათ წულუკიძის ბაღის წინ ტროლეიბუსის ლოდინი.

მათე კილაძე მარტოდმარტო იდგა გაჩერებაზე, მათემ იცოდა, რომ კაცი, რომელსაც იგი ელოდებოდა, სწორედ ამ გაჩერებაზე უნდა ჩამოსულიყო, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ იგი ცეკავშირის მაღაზიის თავზე, ყოფილი ტურბაზის წინ ცხოვრობდა.

მათეს ფართოჯიბიანი, ყავისფერი ბერეტი ილინცურად ეხურა. მსუქან ლოყებს შავი ხუჭუჭა ბაკენბარდები უფარავდა. იტალიური საწვიმარი (რომელსაც კარგა ხანია ველარ იკრავდა) ქარში უსიამოვნოდ ფართხუნობდა. მათეს მარცხენა ხელი შარვლის ჯიბეში ედო, ხოლო მარჯვენით კი გაზეთში შეხვეული, სტანდარტული ზომის, წითელი აგური ეჭირა.

როცა ტროლეიბუსი მეზობელ გაჩერებიდან გამოვიდა, მგზავრებს შორის საიმედოდ ჩაჭედილი ეგნატე გარუჩავა საეჭვოდ ახვანცალდა. რაც ძალა და ღონე ჰქონდა წინ და უკან მიაწვა, მაგრამ დარწმუნდა, რომ ცოცხალი კედლის გარღვევა მის შესაძლებლობას აღემატებოდა და იყვირა: „ჩავდივარ, ბატონო!“

მგზავრები უკმაყოფილოდ შეიშმუშნენ და მკერდზე ჩანთაახუტებულ ეგნატეს როგორც იყო, გზა მისცეს გასასვლელისაკენ. რა იცოდა, რა დღე ელოდა ეგნატეს თავის გაჩერებაზე, თორემ ჩამოსვლაზე თავს მოიკლავდა? ტროლეიბუსი გაჩერდა. მგზავრები კარგა ხანს ყოყმანობდნენ, მაგრამ რაკი დარწმუნდნენ, რომ ეგნატე ნამდვილად აქ ცხოვრობდა, იგი შესამჩნევი ბიძგით ისროლეს ტროტუარზე.

ეგნატე ოთხით შეეხო ასფალტს და კმაყოფილმა იმით, რომ თავისას მაინც მიაღწია, ღიმილით გააყოლა თვალი ცალ გვერდზე გადახრილ ტროლეიბუსს, თეთრ ხიდზე ძლივს რომ მიირწეოდა.

ეგნატემ პიჯაკი და პორტფელი გაიფერთხა, შერჩენილი ღილები შეიკრა, წელში გასწორდა და ის-ის იყო ქუჩა უნდა გადაეჭრა, რომ უკანიდან მათე კილაძე წამოეპარა და ორივე ხელით ხეთქა თავზე გაზეთში გახვეული აგური.

აგური გატყდა და მათეს ნახევარი შერჩა ხელში, ეგნატემ კი საზარელი ხმით დაიბღავლა და ასფალტზე პირაღმა დაეცა.

შემთხვევის ადგილზე ხალხი შეგროვდა. მათეს მიმალვა არ უცდია, მან კბილების ღრჭიალით დახედა ხელში შერჩენილ აგურს და რადგანაც იგი თავის თავზე დასარტყმელად, ცოტა არ იყოს, მოუხერხებელი ეჩვენა, ელვის სისწრაფით შემოტრიალდა და შორიახლო განმარტოებით მდგარი ჭადრისაკენ გაექანა.

„დაიჭირეთ!“ იყვირა ვიღაცამ, მაგრამ უკვე გვიან იყო. მათემ თავგანწირულად ლეწა ჭადარს თავი და სანამ მის გასაკავებლად მოვიდოდნენ, ორჯერაც მოუნაცვლა. მეტი ვეღარ შეძლო. მას უკვე დაჭერა აღარ სჭირდებოდა, გული წაუვიდა, ჭადარს ხელები შემოჰხვია და ჩაიკეცა.

ორივეს თავპირზე სისხლი ჩამოსდიოდა. ორივენი ერთი სასწრაფოთი წაიყვანეს. წითელი ჯვრის მანქანის იატაკზე ერთმანეთის გვერდით იწვნენ და გაუგებრად ფსლუკუნებდნენ.

წულუკიძის ბაღის წინ კარგა ხანს ზრიალებდა ცნობისმოყვარეთა ბრბო. ერთმანეთს ამბავს ეკითხებოდნენ, მიზეზს არკვევდნენ, არჩევდნენ, ბჭობდნენ.

„დაიშალეთ ახლა, რა იყო, ჩხუბი არ გინახიათო?“, ეხვეწებოდა ხალხს პირტიტველა, ახმახი მილიციელი გიგლაია ხარაბაძე. გიგლაიას ტყუილაად ეშინოდა, დაინტერესებული მოქალაქენი თავისითაც მალე დაიშლებოდნენ.

* * *

სასწავლო-საწარმოო გაერთიანება „წინსვლის“ კანტორაში მათე კილაძემ შეიხედა და ქაღალდებში ჩაკარგულ ეგნატე გარუჩავას შეაჩერდა. კანტორაში სხვებიც ისხდნენ, მაგრამ მათეს სხვები ამჯერად არ აინტერესებდა.

– ეგნატე!

ეგნატემ თავი ასწია.

– რა იყო?

– გამობრძანდი ერთ წუთს.

– წადი, კაცო, შენ მოცლილი ხარ, ვიღაცა ხარ.

– ერთ წუთს გამობრძანდი.

– რა გინდა? – სათვალე მოიხსნა ეგნატემ, წამოდგომას კი არ აპირებდა.

– საქმე მაქვს პატარა.

– მე დასამალავი არაფერი მაქვს. აგერ მითხარი. ხომ ვილაპარაკეთ, ხომ გავარკვიეთ ყველაფერი, ახლა შენ შენთვის და მე ჩემთვის. გლახა სიტყვაა?

– გამოდი ერთ წუთს-თქვა, მე შენ გელაპარაკები!

– გადი ეგნატე, გადი ერთი რას გეტყვისო – შეუძახეს აქეთ-იქიდან. ეგნატე წამოხტა და ჯიქურ გავარდა გარეთ. აშკარად ჩანდა, ამ კაცთან ლაპარაკი სიამოვნებას რომ არ ჰგვრიდა.

ორივენი „წინსვლაში“ მუშაობდნენ. მათე ექსპედიტორი იყო, ეგნატე მთავარი საქონელმცოდნე. ორივეს საფერშლო ტექნიკუმი ჰქონდა დამთავრებული.

მთავარი საქონელმცოდნის ადგილი რომ გამოჩნდა, ორივემ სცადა ბედი. მიდგნენ-მოდგნენ და ეგნატემ აჯობა. სწორედ გუშინწინ დაიწერა ბრძანება. მერე ვიღაცამ მათეს

ენა მიუტანა, რომ თითქოს ეგნატეს ეთქვას, „ტყუილად გაიბითურა თავი, მე წინ არ უნდა გადამდგომოდა, უნდა ცოდნოდა, რომ ვვერაფერს გააწყობდა. ჯერ ერთი, რა იცის მაგან საქონელმცოდნეობის და მეორეც, ჩემი გამავლობა და მაგის გამავლობა ერთიაო?“. მათე ისედაც გაბოროტებული იყო და ამ სიტყვებმა სულ გადარია.

გუშინ გაიყვანა და მთელი საათი ელაპარაკა. ეგნატე ჯერ ცივ უარზე იდგა, არ მითქვამსო, მაგრამ ბოლოს ნერვები აეშალა და პირში მიახალა: „ბოლოს და ბოლოს ყველა ჩვენ-ჩვენთვის ვჩალიჩობთ. გულში რომც გქონდეს, შენ, ასეთ რაღაცას არ უნდა მეუბნებოდე. იცოდი შე რომ ამ ადგილს ველოდებოდი ოცი წელიწადია და, ვენაცვალე გამჩენს, სამართალმა პური ჭამაო. ახლა, თუ გინდა, ქე მითხარი ხვალიდან გამარჯობა, თვარადა შენ შენთვის და მე ჩემთვისო. მე შენთვის არაფერი წამირთმევია, მთავრობამ დამნიშნა ამ ადგილზე და საერთოდ უნდა იცოდე, ჭინჭყლი და უბედური არავის არ უყვარსო“. გუშინ ასე დაშორდნენ ერთმანეთს, სიმართლე გითხრათ, ასეთი საუბრის შემდეგ ეგნატე აღარც ელოდა, რომ მათე დღესაც გაიხმობდა.

მათე წინ გაუძღვა და კიბის თავზე, სალაროს წინ მიდგნენ.

ეგნატეს საჯდომზე და იდაყვებზე გაპრიალებული კრეპის კოსტუმი ეცვა. კოსტუმი დიდი ხნის წინათ უნდა ყოფილიყო შეკერილი, რადგანაც ჩამცმელს იგი ყოველდღიურ სამუშაო ტანსაცმელად გაეგდო. შარვალი საათის ჯიბის ქვემოთ საკმაოდ გამოსაჩენად იყო ამოკემსილი. ჩანდა გაუფრთხილებელმა უთოობამ გამოწვა, თორემ იმ ადგილზე შარვალი საერთოდ არ ცვდება. ყბებამდე ამოქაჩული მწვანე სვიტრი ეცვა. მისი კოსტუმი მხრებზე ისეთ ნაკეცებს ტოვებდა, რომ ადვილად მიხვდებოდით, ამ მხარ-მკლავის პატრონი სპორტით გატაცებული პიროვნება რომ არ იყო. ზურგიდან ეგნატე ძალიან გამხდარი ჩანდა. ჩავარდნილ გულმკერდს ქვემოთ, პატარა, წინწამოსროლილი ღიპი მოუჩანდა და ეტყობოდა, ამ ღიპის გამოისობით, შარვალი მუდამ ჩაჩაჩულად ეცვა. სასაცილოდ შევარდნილ ნიკაპს და ფართო ტუჩებს

ნახევარმთვარედ გადმომხობოდა ქერა ულვაშები. ეგნატეს თავზე და ხელის ზურგზე შავი, კუპრივით თმა ჰქონდა, მარტო ულვაშები უბზინავდა სანთლისფრად. თითქმის უწარბო იყო და წარბების მაგივრობას ავადმყოფურად გამობერილი, დასიებული ქუთუთოები სწევდნენ.

– რა ვქნათ ახლა? – ჰკითხა მათემ და დოინჯი შემოიდგა.

– ძიგლი-ძიგლი მამალო ვითამაშოთ. – ზიზღნარევი ირონიით მიუგო ეგნატემ, – რა გაწუხებს, რა გინდა ეს ორი დღეა რომ გამოგყავარ ძველი ბიჭივით გარეთ. ხვარაფერი გეშლება, მათეია, შენ?

– რა ვქნათ ახლათქვა, – დოინჯი მოიხსნა მათემ და ავისმომასწავებელი, გამჭოლი მზერით შეაჩერდა.

ეგნატეს სულ არ შეშინებია.

– რა გინდა?

– სამშობლოს ღალატისთვის იჯდა ბიძაჩემი? რამ გათქმევინა ამხელა ტყუილი, შე უნამუსო, შენ!

– შე ცხრაჯერ უნამუსო, მართლა. ბიძა თუ გყავდა პირველად ახლა გავიგე.

– არ გითქვამს აბა შენ გუშინ, ქვეყნის გამყიდველი ბიძამისის ძმისწული რა იქნებაო?

– ისე აუშენდა ოჯახი, ვინც ენა მოგიტანა და გაგახელა.

– კარგი, – ისევ შემოიდგა დოინჯი მათემ – რა ფასად გაგვიყიდია ჩვენ სახლი?

– ახლა მაგი მარკვევინე, მეტი საქმე არა მაქვს.

– ისე ხვავი და ბარაქა შენს ნაგრამს, რავარც ჩვენ მილიონი ევიღეთ იმ სახლში.

– გადამრევს ეს კაცი. – სიმწრით გაიცინა ეგნატემ.

– არ გითქვამს. რავა გითქვამს, ტყუილი მოგიგონეს. რატომ დათია ბუხაიძეზე არ მომიტანეს ენა, რატომ ჯემალ ქანთარიაზე არ გამახელეს.

– რაში მაინტერესებს შენ სახლი გაყიდე თუ ცეცხლი წაუკიდე. რაში მეხება მაგ ამბავი მე.

– იმდენი ვაჟკაცობა მაინც გქონდეს, შენი სიტყვის პატრონი იყო.

– ჩემი სიტყვის პატრონი ვარ მშვენივრად მე. არა, ბიჭო, მეშინია ახლა შენი და ვვაროფ. – თვალი თვალში გაუყარა ეგნატემ.

მათემ დოინჯი მოიხსნა.

– როდის იყო მკვდარს რომ ვყიდდით, ბიჭო, ჩვენ?

– ახალი ამბავი!

– რამ ამოგათქმევინა მაგ მყრალი პირიდან, ბაბუამისის გადასახურავით ცოლ-შვილი შემოსაო. ღმერთი არაა ქვეყანაზე? ფული შევაგროვე მე ბაბუაჩემის ქელეხზე? იქ არ ეგდე შეენც? რამდენი შემოიტანე თუ გახსოვს?

– ნამეტანს ნუ მირეკავ, გეყოფა ახლა. წამიყენე პირში ვინც გითხრა. სულ ბაბუაშენის ხსენებაში ვარ, მეტი არა მაქვს საქმე.

– ვინ წაგიყენო პირში. მე შპიონი გამოვალ და შენ ასე გადავარავ იმასთანაც.

– მომშორდი თუ ძმა ხარ, ცოდვას არ შემამთხვიო დღეს.

– რა გინდა აბა, რას მაგინებ, საქმის ჩაწყობით ადგილი ამაღლიტე პირიდან. გავჩერდი. ახლა აღარ მასვენებ? ოჯახსაც მილანძღავ? ევიღო თავზე ხელი?

ეგნატემ იგრძნო, რომ ამ საუბარს კარგი ბოლო არ უჩანდა და ხმას დაუწია.

– წამიყენე ის მკვდარგაციებული ვინც გადაგრია-თქვა და არ შვრები და მეტი რა გიყო. არ მითქვამს-თქვა და არ გეყურება და მეტი, ახლა, შელოცვით ვერ შეგილოცავ. მაინც არ გაჭრის, სულერთია.

– რა ვქნათ აბა?

– ნუ მელაპარაკები მათე ასე ქურდულად. ჩვენ ახლა თხუთმეტი წლის ბიჭები აღარა ვართ. რა ქნა და ურტყი თავი კედელს, მაგი მე არ ვიჯავრო.

– რისი ღირსი ხარ ახლა შენ! – თვალებში სისხლი მოაწვა მათეს.

– ხელები დაუშვი, შენთვის სჯობია, არ ხარ შენ მაგის კაცი. არ გიხდება მასე, ძველბიჭურად დგომა. დოინჯით შენ, სახლში, ბოვშებს ელაპარაკე და ისინი შეაშინე.

მათეს ადამიანის ფერი აღარ ედო.

– რა მიწერია მე საბუთებში?
– ყველაფერი კაი. – არ დაიბნა ეგნატე.
– ესე იგი სულელი ვარ მე?
– ვინ თქვა.
– რავა თქვი გუშინ? „სუსტი ნერვების მქონე“ უწერია საწყალს საბუთებში და თუ ჭკვიანად არ იქნება, აქედანაც გავუშვებთო? შენ უნდა გამიშვა მე, ასე წევიდა ჩემი საქმე?
– ღმერთი, რჯული, არ მითქვამს, არც ვიცოდი.
– რა არ იცოდი?
– სუსტი ნერვები თუ გქონდა.
– მერე ვისა აქვს სუსტი ნერვები?
– რა ვიცი მე?
„წინსვლის“ დოსააფის თავმჯდომარემ გურამ გვენეტაძემ გამოიარა და სისინით მოლაპარაკე ორ თანამშრომელს რომ მოჰკრა თვალი, შეატყო, უსიამოვნო საგანზე მსჯელობდნენ და ხუმრობით შეეხმიანა: – აბა, თქვენ იცით, პატარა რამეზე ჩხუბი არ მოშალოთო. როცა დარწმუნდა, რომ მისმა სიტყვებმა შედეგი ვერ გამოიღო, აქ რაღაც სერიოზულადაა საქმეო და შორიახლო გაჩერდა. სწორედ ამან გააფუჭა საქმე.
– სულელმა, ხომ იცი, რა იცის? – ხმას აუწია მათემ.
– რა იცის? – ჰკითხა ეგნატემ.
– რა იცის და დაგიმჟავებს მაგ ცხვირპირს!
– გაფიცებ ყველაფერს? – ცხვირი ცხვირთან მიუტანა ეგნატემ და ამით აგრძნობინა, სიგიჟემდე ნუ მივა საქმე თვარა, შენზე ნაკლებ გიჟს რა ვუთხრა, ჩემდა თავად, მეო.
ეგნატემ შენიშნა, რომ მათეს მარცხენა ქუთუთო უთამაშებდა და თვალებს სახიფათოდ წკურავდა, „ეტყობა დარტყმა უნდა, მაგრამ ბოლომდე ვერ გადაუწყვეტიაო“, დაასკვნა ეგნატემ, დერეფანს გახედა და მათეს ზურგს უკან, კედელს მიმდგარ გურამ გვენეტაძეს ჰკიდა თვალი. „ახლა რომ დამარტყას, ვაითუ დავეცე და ხელი ვეღარ მოვუქნიო, ხომ მომეჭრა თავი. არადა ნაღდია – გალახვას მიპირებს. იქნებ ჯობდეს, მე დავასწრო. რომც მომერიოს პირველი დარტყმა მაინც ჩემი იქნება. თანაც გურამი ახლოს დგას, ვინ იცის, მე რომ დავარტყამ, იქნებ მეტი ვეღარც მოვასწროთ, გურამი მოვარდება და

გაგვაზავებს. მერე? მაგას ქე შერჩება ხუთი თითი ლოყაზე და შეგვარიგებენ აბა რა იქნება, ხომ არ დაგვახოცინებენ ერთმანეთსო“ – ეს ყველაფერი ერთ წამში გაიფიქრა ეგნატემ და სანამ მათე ხელის მოქნევისათვის საკმარის გაბრაზების მარაგს დაიგროვებდა, მთავარმა საქონელმცოდნემ ერთი ნაბიჯით უკან დაიხია და ისე მოულოდნელად რეკა ყურისძირში მათეს, რომ ეს უკანასკნელი დაბარბაცდა: წაქცევით კი, ცოდვას ვერ ვიტყვით, არ წაქცეულა.

მერე ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ეგნატე ვარაუდობდა. გურამი მოვარდა და მათეს შეუვარდა წელში. მთავარი აქ მათეს დაკავება იყო, რადგანაც ეგნატე აღარც იწეოდა. ეგნატემ თავისი საქმე გააკეთა და აქაოდა მოთმინებიდან გამომიყვანაო, ფანჯრის წინ მიმოდიოდა, თანაც, ვითომ ქვეყანა დაექციოს, აჭარხლებული სახით და სიბრაზისაგან ჩახრინწული ხმით წამდაუწუმ იმეორებდა: „ეს გინდოდა შენ და გამომტყუე კიდეცო“.

– შედით ოთახებში! არაფერი სეირი არ მომხდარა, პატარას შელაპარაკდნენ. გამოაბით ახლა კუდი ყველაფერს. საქმე არა გაქვთ არაფერი? – დაუცაცხანა გურამმა დერეფანში გამოცვენილ თანამშრომლებს და წამსვე შეაბრუნა. თვითონ სამიოდე კაცის თანხლებით, მოჩხუბართ „დოსაააფის“ ოთახში შეუძღვა. ერთ საათს არკვია ჩხუბის მიზეზი და რაიმე სერიოზული საბაბი რომ ვერ იპოვა, გული დაწყდა. – ვიღაც, ოხერის შავბნელი ენის გულისათვის ამ ხნის ხალხი ხოცავთ ერთმანეთსო? სირცხვილი არ არის, სიკვდილი არ არის ახლა ესო? ჩამოართვით ახლა ერთმანეთს ხელი და, თუ ვაჟკაცები ხართ დღევანდელი წაკინკლავება აღარ გაიხსენოთ არასოდეს. ისედაც ბევრი გაჭირვებაა ამ ცხოვრებაში, ჩვენ რომ არ დავჭამოთ ახლა ერთმანეთიო.

გურამის პოზიცია ყველას მოეწონა. მოშუღარნი წამოდგნენ, ხელი უსიტყვოდ ჩამოართვეს ერთმანეთს და თითქმის სირბილით გაეშურნენ თავიანთი ოთახებისაკენ, არა, ბოდიშს ვიხდი, ეგნატემ თავის კაბინეტს მიაშურა, მათემ კი ლაბადა მოისხა და ქუჩაში გავიდა.

კაცმა რომ თქვას, მათე სწორად მოიქცა. ასეთ მდგომარეობაში დღეს მისი შრომის ნაყოფიერება ნულის ტოლი იქნებოდა. ქუჩაში ცოტა ხანს იარა, დაწყნარდა და თავისი სახლისაკენ გაემართა. მათე „მთვრალი ბაზრის“ წინ, აბანოს გვერდით ცხოვრობდა.

მათეს გამყოლი გული არ ჰქონდა. მართალია, იგი თავს შეურაცხყოფილად გრძნობდა, მაგრამ გაიხსენა ის სამაგალითო შეურაცხყოფები, ამ ქალაქში სხვადასხვა დროს სხვებისათვის რომ მიუყენებიათ და ეგნატეს საქციელი მათთან შედარებით სასაცილო ფხაკურად მოეჩვენა.

„ეგება მართლა არ უთქვამს ამ კაცს ჩემზე არაფერი და ტყუილი მითხრესო“, ერთი პირობა ეგეც კი გაიფიქრა – „მაინც რამ გააბედვინა ჩემთვის ხელის მოქნევა. მისდა იღბლად გვენეტაძეს რომ არ დავეჭირე, ხომ შევჭამდი თავის ჭინჭებიანადო. ისე ყოჩაღ. ვაჟკაცი ყოფილა მაინც, გული ჰქონია მაგარი მაგასაცო. ახლა ვინც მე მიცნობს და მაგას იცნობს, არაფრით არ დაიჯერებს, რომ ეგნატემ გამლახაო. ვინ იცის ახლა ზის და ვალიდოლს ყლაპავს საწყალიო. მოქნევით ქე მომიქნია ხელი, მაგრამ კაცის ფერი აღარ ედო, ორივე ხელი უკანკალებდაო. რა ვუყო ახლა, გარუჩავას ვერ გადავყობი, ხან ასე იქნება და ხან ისე. კაცმა რომ თქვას, პატარა დამნაშავე მეც ქე ვარ, ეს ორი დღეა არ მოვასვენე, გული და ნერვები მე თუ მაქვს, სხვასაც ქე აქვსო“ – დაახლოებით ამ ფიქრებით დაბრუნდა სახლში მათე. პირი დაიბანა, სარკეში ჩაიხედა და სახეზე ეგნატე გარუჩავას რბილი, კოტიტა თითების კვალიც რომ ვერ იპოვა, დღევანდელი შემთხვევა სულ გადაიგდო გულიდან. ტახტზე წამოწვა და გაზეთი გაშალა.

* * *

– მათეს გოგო ხარ შენ? – ჰკითხა კუკუშა სოფრომაძემ ცამეტ-თოთხმეტი წლის შავგვრემან გოგოს და მიპატიჟებისათვის არც კი დაუცდია, შესასვლელში შეაბიჯა.

– კი ბატონო.

– შენ რომელი ხარ?

– ნაია, უფროსი.

– ნაია, ბიძია, მოიცა არ დაკეტო კარი, კაცი მახლავს, – თავი გაყო და კიბესთან ატუზულ სვიტრიან ბიჭს გასძახა! – კურკუტია, შემოდი.

კურკუტიამ ფინური ლაბადის სახელო ჩამოიწია, ფეხებშუა ჩადგმულ პატარა ჩემოდანს ხელი დაავლო, აქა მშვიდობაო, თავაწეულად გასძახა ტანსაცმლის კარადას, ჩემოდანი კუთხეში მიდგა, ხელის თითები ერთმანეთს მოუჭირა და დასჯილ მოწაფესავით კუთხეში გაჩერდა.

– რას შვრება მამაშენი? – ჩურჩულით ჰკითხა კუკუშამ ნაიას და თანაც თითების მოძრაობით ანიშნა, საით შევიდეთ, აქეთ არის, თუ იქეთო.

– აქეთ მობრძანდით, წევს, – ჩურჩულითვე უპასუხა გოგონამ.

– წევს? – უკან დაიხია კუკუშამ.

– არა. ისეა წამოწოლილი, გაზეთს კითხულობს.

„გაზეთის საკითხავად აქვს ახლა მაგას საქმე?“ – გაიფიქრა კუკუშამ, კურკუტია წინ გაატარა და სასტუმრო ოთახში შევიდა.

კუკუშა სოფრომაძე არსად არ მუშაობდა. კიდეც რომ ემუშავა, სახელმწიფო მისგან ვერაფერს ხეირს ნახავდა, რადგანაც კუკუშა უპროფესიო კაცი იყო. ამბობდნენ ათას საქმეზე დააყენა მამამისმა ბავშვობაში, მაგრამ არსად არ ივარგაო. არც ნაკითხი იყო მაინცდამაინც და არც დალაგებული ლაპარაკი იცოდა. მაგრამ ფილარმონიის წინ, სადაც იგი ჩვეულებრივად დილის ცხრა საათიდან ექვსის ნახევრამდე იდგა, ყოველთვის გარშემორტყმული იყო ოთხი-ხუთი გამოსული ბიჭით. კუკუშას ბოლო წყება ცოლ-შვილიც მიტოვებული ჰყავდა. მისმა ახლო მეგობრებმაც კი არ იცოდნენ, ამ ოცი წლის წინ, რა დანაშაულზე ჩასვეს კუკუშა. ამის შესახებ თვითონაც არაფერს ამბობდა. ნაჯდომი იყო და ეს ბევრი რამეს ნიშნავდა. პატიმრობაში ყოფნის ათი წლის განმავლობაში

მას დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება შეეძინა და ახლა ის გამოცდილება აჭმევდა პურს. კუკუშა საქმეებს არჩევდა. ამ პატარა ქალაქში კუკუშას სიტყვას დიდი გასავალი ჰქონდა. რომ იტყოდნენ კუკუშამ ასე გადაწყვიტაო, წყალი არ გაუვიდოდა. ის ამბავი ისე უნდა გაკეთებულიყო. კუკუშას უყვარდა თავისი საქმე და ვერ იტანდა, როცა გასარჩევი არაფერი იყო. თუ არავინ ჩხუბობდა, მოვალენი ვალს დროზე და პირნათლად აბრუნებდნენ, წაგებული ნაღდით იხდიდა და არავინ არავისზე არაფერს ეჭვობდა, კუკუშა მოწყენილობისაგან ამთქნარებდა და უკმაყოფილოდ ბრუნდებოდა სახლში.

როცა ეგნატესა და მათეს ჩხუბის ამბავი გაიგო, გამოცოცხლდა. იგი ორივეს შორიდან იცნობდა და არც ერთის ძმაკაცი არ იყო, მაგრამ საქმე რომ აწონ-დაწონა, მათეს მხარეზე ყოფნა არჩია. შეღამებულზე აღიარებულ რეციდივისტს, კურკუტია სალდაძეს გაუარა და მათეს სახლს მიადგა.

როცა ოთახში შემოსულნი დაინახა, მათეს მაინცდამაინც არ ესიამოვნა – „საიდან გაიგეს ასე უცბადო“? გაიფიქრა, უსიტყვოდ ჩამოართვა სტუმრებს ხელი და სკამები გამოაჩოჩა. სამივენი მრგვალ მაგიდას შემოუსხდნენ და ყბებს ხელები ამოაფარეს. ასე, იდაყვსდაყრდნობილნი მდუმარედ ისხდნენ ერთხანს.

სიჩუმე კუკუშა სოფრომაძემ დაარღვია.

– რა გადაწყვიტე? – ჰკითხა მან გალახულს და ჭერს ახედა.

– რაის? – ყრუდ იკითხა მათემ.

– ამ საქმის.

– ჯერ არაფერი.

– ხალხში დაგარტყა?

– ერთი კაცი გვიყურებდა. ფილიპეს ბიჭი, გვენეტაძე.

– რატომ გაგარტყა?

– კითხე. – მხრები აიჩეჩა მათემ.

„უყურებ შენ რას ბედავს ეს ხალხი? შენ დაამყარებ ამ ქალაქში წესრიგს? რაც დრო გადის, მით უფრო გლახავდება და ბეჩავდება აქაურობა. ეგნატია მუდუ თუ კაცს გაარტყამდა ვის ეგონა“, – გაიფიქრა კუკუშამ.

– არ გახმაურებულიყო, კარგი იყო. – ჭერს თვალი მოაცილა და მათეს შეხედა ნაჯდომმა. „კი მარა ასე რბილად რა დაარტყა ამ მკვდარძაღლმა. ახალ დარტყმულს ცოტა მაინც ხომ უნდა ეტყობოდეს.

– გახმიანდა? – შიშით იკითხა მათემ.

– მთელი ქალაქი ამას ლაპარაკობს.

– უყურებ შენ?

– ვერ მოკალი იქვე, ვერ დაახჩვე?

– არ გამიშვა გვენეტაძის მუტრუკმა. გოდოუშენდა პატრონი, თვარა მე ვიცოდი მაგის წამალი.

– დაგაგდო?

– აპა, რის დამგდებია. გული რაღმე შეუწუხდა თვითონ.

– რა ვიცი, ასე თქვეს ცემით კინაღამ მოუკლავსო. ექვსი ნაკერი აქვს დადებული თავზეო.

– ისე აშენდა მაგის მთქმელი. არა კაცო, იმდენი კი არაფერი ყოფილა. მომიქნია ხელი და აწკავწკავდა გლახა ძაღლივით.

– ასე იყო თუ ისე, გალახული შენ ხარ. – აქაოდა საქმის სერიოზულობას ჩრდილი არ მიადგესო, ხაზგასმით თქვა კუკუშამ. – რავა იტყვი, კურკუტია, შენ?

– დიახ, პატივცემულო, – თქვა კურკუტიამ და ნიკაპზე ხელი ჩამოისვა.

– ხომ იცი, რა მდგომარეობაა ახლა ქალაქში? – იდუმალი ხმით ჰკითხა კუკუშამ.

– ვიცი. მეტი რა ვიცი, – თავი დაუქნია მათემ, თუმცა ნამდვილად არ იცოდა, რა განსაკუთრებული მდგომარეობა იყო ქალაქში ასეთი.

– მე კანონს ვერ გადავალ.

– არ უნდა ლაპარაკი.

– გამოჩენითაც ვერ გამოვჩნდები მაინცდამაინც. ისე შენთან ვარ სულით და გულით. დამნაშავე უნდა დაისაჯოს. რავა იტყვი, კურკუტია?

– ოღონდაც, პატივცემულო. ამ საქმეს აჩქარება არ უყვარს, – თქვა კურკუტიამ და სვიტრის შიგნით თეთრ პერანგზე მორგებული პეპელას ტიპის ყელსახვევი გაისწორა.

– არ მოგატყუოს არავინ. შენ რომ ახლა მაგას აპატიო, დაიღუპები.

– რატომ? – ხმის კანკალით იკითხა მათემ.

– მერე გადასახლდე აქედან გირჩევნია. რად გინდა ასეთი ცხოვრება ამ ქალაქში, თავს ვერ გამოყოფ, რაღა მკვდარი და რაღა ცოცხალი. ეღირება რამედ შენი ყოფნა? არაფრად.

– რა ვქნა, ვუჩივლო?

– რავარც ჭკუამ გაგიჭრას, ისე, მაგნაირ კაცთან ყოველთვის მთავრობის ენით სჯობია ლაპარაკი. რავა იტყვი, კურკუტია შენ?

– განსჯის და მოფიქრების ამბავია ყველაფერი, პატივცემულო.

– მოვკლა? – თითქმის ტირილით იკითხა მათემ და ხმაშივე შეეტყო, რომ იგი კაცის მომკვლელი არ იყო.

– მე ვერც ჰოს გეტყვი და ვერც არას. მე ერთი რამ ვიცი, არ უნდა ეპატიოს, თვარა რაც შენ ხარ ჩემთვის, იგია ეგნატე გარუჩავაც. მე სამართლიანი ლაპარაკი მიყვარს, – დაასკვნა კუკუშამ და კურკუტიას შეხედა, „ხომ ასეაო“.

კურკუტიამ თავი დაუქნია.

კუკუშას მისი ასაკისათვის შეუფერებელი, დანაოჭებული სახე ჰქონდა. შეწითლებულ ღაწვებზე და ბადრიჯნის მსგავს ნესტოებდაბერილ ცხვირზე ეტყობოდა, რომ ღვინისაგან თავს მაინცდამაინც არ იკავებდა. საშუალოზე მაღალი იყო. ბეჭებში წახრილი, წვერგაუპარსავი. ხმაში ხრინწი ერეოდა. რომ გაიცინებდა, ნიკოტინისაგან გაყვითლებული, თოხივით კბილები მოუჩანდა. კურკუტია სუფთად დავარცხნილგაკრიალებული, საპარიკმახეროების რეკლამისათვის დაქირავებულ მენატურეს გავდა. სუფთა სახეზე სიმშვიდისა და მტკიცე ნებისყოფის კვალი აღბეჭდოდა. გულმოდგინედ დაუთოვებული შარვალი ეცვა და თითქოს ეშინია მტვრით არ დაესვაროსო, ლაპარაკის დროს ხელების თითებს ერთმანეთს აწეპებდა. დახვეწილი მანერებით ლაპარაკობდა და ხანდახან მრავალმნიშვნელოვნად იღიმებოდა.

დერეფანში ვიღაცამ ჩაახველა. სანამ მასპინძელი გამოერკ-

ვეოდა, ოთახში ჯამ-ჭურჭლის გამქირავებელი პუნქტის გამგე, მათეს სკოლის ამხანაგი გრიშა ვაჩიბერიძე შემოფრინდა. სტუმრებს გვერდი აუარა, მათეს მივარდა, ნიკაპში ხელი მოკიდა და ელექტრონის სინათლეზე შემოატრიალა. კარგა ხანს ათვალიერა და ცოტა სული რომ მოითქვა, კუკუშას და კურკუტიასათვისაც მოიცალა.

– რა მოხდა, რა იყო?

– გალახეს კაცი. – კეფა მოიფხანა კუკუშამ.

– გამლახეს კი არა ის, – განზე გაიხედა მათემ.

– ეგნატია გლახას რავა დაარტყმევინე, ბიჭო, ხელი! – აღშფოთდა გრიშა ვაჩიბერიძე.

– ქე მაინც კაცს გეელახა, მაგას ვტირი მე, – ჩაილუღლუღა კუკუშამ.

რატომღაც გრიშამ დაასკვნა, მათგან ყველაზე საქმიანი კურკუტია არისო და მასთან ჩაიმუხლა.

– რავა გადაწყვიტეთ. ჩემგან ხომ არაფერია საჭირო?

– მე ვერას მოგახსენებთ, პატივცემულო, – ფეხი ფეხზე გადაიდო კურკუტიამ და გრიშას აუმღვრეველი თვალები შეანათა.

– ყველაფრად მზად ვარ. ხომ იცი შენ?! – ახლა კუკუშას მიუბრუნდა გრიშა.

– ჩემი გადაწყვეტილებით უნდა უჩივლოს. – განაცხადა კუკუშამ.

– აბა რა. ჩემი თავი აღარ მუშაობს, რავარც სჯობია, თქვენ უკეთ იცით, – ჩქარობდა გრიშა.

– ამას რომ ჰკითხო, პატიებას უპირებს.

– რას ჰქვია პატიებას?! – მაგიდას ხელი დაარტყა გრიშამ და კუკუშასათვის თვალი არ მოუცილებია. კუკუშამ მწყრალად შეხედა და ამით აგრძნობინა, შენ პუნქტის გამგე, თუ ვიღაც ოხერი ხარ, მე კი ნუ მიყურებ, შენს ძმაკაცს უყვირე და ჭკუა დაარიგეო.

– მე მაინც არ გამეგო, ათასჯერ მერჩივნა. ახლა მე რომ ჩავერიე ამ საქმეში, ქვეყანას ეცოდინება. თუ დამნაშავე, რავარც ღირსია, ისე არ დაისაჯა, მათეიას კი არ დაადანა-

შაულებენ. შენ რას შვრებოდიო. მე მომთხოვენ პასუხს, – თავის ავტორიტეტს გაუფრთხილდა კუკუშა.

მერე დიდხანს და ცხარედ ბჭობდნენ, სასჯელის რა ზომა გადაეწყვიტათ ეგნატესათვის. ლინჩის წესით დაესაჯათ თუ სასამართლოსათვის გადაეცათ. კუკუშა რატომღაც გადამწყვეტ სიტყვას ჯერჯერობით არ ამბობდა. ეშინოდა, ვაითუ ჩემი წინადადება მათემ არ მიიღოს, ხომ დავეცი სამუდამოდ კურკუტიას თვალშიო.

ვიღაცამ ზარი დარეკა. ნაია სასტუმრო ოთახში ეგნატე გარუჩავას დის ქმარს, ისტორიის მასწავლებელს, ზურაბ კუტალეიშვილს შემოუძღვა. ზურაბს არ ეჭაშნიკა, მათე რომ მარტო არ დახვდა, მაგრამ იხტიბარი არ გაიტეხა. ახლა მათე რომ ცალკე გავიხმო, სულერთია მაინც ყველამ იცის რა საქმეზედაც ვარ მოსული და ბარემ ამათთან ერთად ვეტყვი, იქნებ ამ ხერხმა აჯობოსო, მაგრამ მწარედ შეცდა.

ზურაბი ერთხანს ფეხზე იდგა. სკამი რომ არავინ მიაწოდა, თავის თავს თვითონვე მიხედა და გაბედულად დაიწყო:

– რა იყო, შე კაი კაცო. მაგი კი არა, შე კაი კაცო, ერთმანეთს ტყვიას ესვრიან, შე კაი კაცო და რიგდებიან მერე. სირცხვილი არაა, შე კაი კაცო, ამდენი ხანი ერთად მუშაობთ, შე კაი კაცო, და ერთმანეთს დაარტყით, შე კაი კაცო?

– ვინ დაარტყა! – კბილებში გამოსცრა კუკუშამ.

– რა მნიშვნელობა აქვს ვინ დაარტყა, – აწრიალდა ზურაბი. მაგრამ მიხვდა, რომ პირველსავე წინადადებაში ქულა დაკარგა.

– მნიშვნელობა როგორ არა აქვს, პატივცემულო, – მშვიდად, გარკვევით თქვა კურკუტიამ.

ზურაბმა პროფესიონალ მკვლელს ამრეზით შეხედა. აქაოდა მე შენთან არა მაქვს საქმე, შენს დონემდე არ მივიყვანთ ამ საქმეს ჩვენო.

– ახლა ამ საქმეს შერიგების მეტი არაფერი უშველის. შე კაი კაცო, არ დაქცეულა ქვეყანა. არ მომხდარა ისეთი არაფერი.

– შერიგება არ უშველის ამ საქმეს. – დაიბუბუნა გრიშა

ვაჩიბერიძემ. ზურაბმა ახლაღა შეამჩნია იგი, ამ სულით მათხოვარს რაღა უნდა აქაო, გაიფიქრა.

– რა გაქვს გადაწყვეტილი, მათე, შენ? შენ ჭკვიანი კაცი ხარ. – მათეს მობრუნება სცადა ზურაბმა და ინტონაციით აგრძნობინა, „შენ ჭკვიანი კაცი ხარ. არ აყვე ამ ჯიბგირებს, ამგენის ჭკუაზე სიარული არ გარგიაო“.

– ვერაფერს გეტყვით, – კუკუშას შეხედა მათემ.

– უჩივლოს. – ბეჭედი დაარტყა კუკუშამ.

– ღუპავთ კაცს, შე კაი კაცო! შენგან არ მიკვირს, კუკუშა? – უკანასკნელ იმედს ჩაებღაუჭა ზურაბი, – ჩივილი და შენ ერთად? შენ მაინც იცი, რას ჰქვია იქანა მოხვედრა.

– არაფერი. ის თუ კარგად შეუძლია, რომ კაცს ხელი გაარტყას, იმასაც კარგად შეძლებს.

– რა ჭირს ახლა ამას საჩივლელი?

– მსუბუქი დაზიანება აქვს თავის არეში. ექიმის ცნობა აღებული გვაქვს. – იცრუა გრიშამ და გულში დააყოლა, მართლაც როგორ ვერ მივხვდით, იმ წუთსავე ექსპერტთან გავქცეულიყავით და ჟურნალში გაგვეტარებინა, თუმცა ახლაც არაა გვიანო.

– ბოდიშს მოვახდევინებ. – მუდარა გაერია ხმაში ზურაბს.

მათემ კუკუშას შეხედა. ბოდიშს თუ მომიხდის, მოვეშვათ, ცოდოაო, მეტყველებდნენ მისი თვალები.

– ჩვენ არ ვვაჭრობთ, ბატონო ზურაბ. – კატეგორიულად განაცხადა კუკუშამ. ჯიბეში ხელებჩაყოფილი წამოდგა და ოთახში გაიარ-გამოიარა, რითაც ზურაბს ანიშნა, აუდიენცია დამთავრებულია და დროს ტყუილად კარგავთო.

ზურაბის გასვლა და კბილის ექიმ მირიან ჩხიკვაძის შემოსვლა ერთი იყო. მირიანი კაი ხნის მოსული გახლდათ, მაგრამ ნაიამ რომ უთხრა, ზურაბ მასწავლებელია ოთახშიო, სამზარეულოში გავიდა და ეგნატეს სიძის წასვლას დაელოდა.

– შესარიგებლად მოვიდოდა. – ისე ბუნებრივად და უშუალოდ შეერია საუბარში მირიანი, თითქოს თავიდანვე აქ იყო და ყველაფერი ესმოდა.

– კი, – დაუდასტურა გრიშამ.

– მაგათმა თავის ხეთქვამ. ბოდიშს ქე არიან მიჩვეული. მე ვინ მკითხავს, მარა ახლა გვაქვს დროი, ახლა უნდა ისწავლონ ჭკუა მაგენმა.

– ვინ მაგენმა? – იკითხა კუკუშამ.

– მაგათმა ოჯახმა საერთოდ. ვერ ეტევიან კანში. ჯერ არ ჩავარდნიათ ფეხი მაგენს. რტყმევა დეიწყო ეგნატია დაფეხვილმაც?!

კუკუშას მაინცდამაინც არ ესიამოვნა ამ ენადგაკრეფილი მოხუცის ბუნდოვანი საუბარი, მაგრამ ბოლომდე ყურადღებით მოუსმინა.

– ოთხი კბილი დამაპლობია შარშან და ფული რომ მოვთხოვე, ასე მითხრა: „რასი ფული, მთავრობა ხელფასს ხომ გიხდის ამაშიო“. ხელფასით ვარჩინო ცოლ-შვილი, მე ვუთხარი? შენ, მე ვუთხარი, ხელფასზე ცხოვრობ-მეთქი? გაიცინა და კარი მომიხურა. ეს რომ იყო, ახლა, აქანა, ეს თავგასიებული, ამას თურმე დიპლომი ნაყიდი ჰქონია. არაფერი უნივერსიტეტი მაგას არა აქვს, თურმე, დამთავრებული.

– ეს საკითხი ახლა ჩვენ არ გვაინტერესებს. – მოკლედ მოუჭრა კუკუშამ.

– რას შვრები ახლა? – გაწბილებულმა მირიანმა მათეს შეხედა.

– შეიძლება ვაპატიო, – ყველასაგან მოულოდნელად თქვა მათემ და ფანჯარას მიაჩერდა.

კუკუშამ ხელი ხელს გაუტყაპუნა, გრიშამ ამოიოხრა, კურკუტიამ შთაგონებული სახით მირიანს შეხედა. მირიანი აღავლავდა ბებერი ინდაურივით.

– აპატიე და ჩემდა თავად შენს ეზოში ფეხის დამდგმელს ექცა შავად და ბნელად! დევიჯინოთ თავზე სუყველა? შენი საქმე შენ იცი, ბაბაია, მარა არ უნდა დაგლახავდე მთლად. მე შენ კი არ გჯავრობ. მე ჩემს თავს ვტირი. დღეს შენ რომ დაგარტყა, თუ აპატიე, ხვალ მე შემდგება ეგნატია წიხლებით. პატარა წინაც უნდა გეიხედო. შენ ვინ რა გაპატია, აბა შენ დაგერტყა ხელი? რავა იტყვი, კურკუტია, ბიძია, შენ?

– ჭეშმარიტს ბრძანებთ, პატივცემულო, – დაუდასტურა კურკუტიამ და დაამთქნარა.

ღამის სამ საათამდე ითათბირეს მათე კილაძის ოჯახში. როცა საღორიას ტყეს სავსე მთვარე გაუსწორდა, სათითაოდ გამოემშვიდობნენ მასპინძელს და უკაცრიელ ქუჩაში გაიძურწნენ.

* * *

მთელი ღამე ფანჯარასთან იჯდა მათე და ფიქრობდა.

თავზე რომ დაათენდა, შესცივდა და ცოტა გამოფხიზლდა.

საწვიმარი მოიხურა, გაზეთით ხელში ქუჩაში გამოვიდა, აბანოს ეზოში ჩაფათურდა, ძველი აგური მოძებნა, გაწმინდა, გაზეთში გულმოდგინედ შეახვია და კიბის ქვეშ დამალა.

ამოსულ მზეს მათე კილაძე ფანჯარასთან შეეგება. იჯდა თავის შუშაბანდში და გაქვავებული სახით ქუჩას გაჰყურებდა.

თიხის ერთი ფირფიტა

– რა უნდათ? ჩასძახა ყურმილს ოთარ კაკუშაძემ და კარგა ხანს ამაოდ ელოდა პასუხს. ეტყობოდა, მოსაუბრე მისთვის ახსნა-განმარტების მიცემას არ აპირებდა. მერე ოთარი წამოდგა და თავის ვიწრო კაბინეტის კედელს სამჯერ მიუკაკუნა. მეზობელ ოთახიდანაც კაკუნით რომ უპასუხეს, თავი მაღლა ასწია და კედელს შესძახა:

– მელენტი!

– რა იყო? – დაიგუგუნა კედელმა.

– ქვევით ჩამოდითო ყველა.

– რა უნდათ?

– ვინ გეტყვის მაგას. სხდომა გვექნება ალბათ.

– როდისო?

– ახლავე, ამ წუთში.

– ვინ თქვა?

– კარპემ დარეკა.

– გოდოუშენდათ პატრონი!

კედელი დადუმდა. ოთარს გაეცინა.

მაგიდის უჯრა გამოსწია. ყოველ შემთხვევისათვის ცარიელი საქაღალდე ამოიღო და კარი გაიკეტა.

ვიწრო დერეფანში ერთიმეორის მიყოლებით იღებოდა კარები და საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარი სამმართველოს მუშაკები საქმიანი ნაბიჯებით გამორბოდნენ. „ეტყობოდა ყველა განყოფილებას დაუძახეს“, გაიფიქრა ოთარმა და ინანა რომ კროსვორდიანი ჟურნალი არ წამოიღო. „კაი ერთი საათის ამბავია. გაძლება არ გინდა?“.

ლოზუნგებითა და ტრანსფარანტებით აჭრელებულ სხდომათა დარბაზში ოთარმა მელენტი მოძებნა და გვერდით მიუჯდა.

„რა მოგარბენინებდა?“ ჰკითხა და პასუხს არ დაუცადა. „არიგებენ რამეს თუ?“. „კი – ერთი თვის სამყოფ ჭკუას“,

გაეცინა მელენტის. „დამანებონ თავი, არაფერი მინდა მაგათი. ეს გაუთავებელი თათბირები რომ არ იყოს, ჩვენ-ჩვენ საქმეს უფრო გავაკეთებდით“, – ჩაიბუზღუნა ოთარმა. „მასე გგონია შენ...“ – მელენტი კიდევ რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ წითლად აბრდღვიალებული მაგიდის თავში მჯდომი ადგილკომის თავმჯდომარე წამოდგა და აუდიტორიას შთაგონებული სახის, ფრაკითა და პეპელა-ჰალსტუხით მოჩითული სტუმარი წარუდგინა.

სტუმარმა სიზმრის წარმოშობაზე მოკლედ ისაუბრა, მსოფლიოს ცნობილ ილუზიონისტთა საზოგადო ღვაწლს შეეხო, ძილით მკურნალობის სიკეთენი დაახასიათა და ბოლოს, თითქოსდა სხვათა შორის, ჩაილაპარაკა: თქვენი მონამორჩილი ილუზიონიზმის საფუძვლებს საკმაოდ ფლობს და ვისაც სურს ამაში დარწმუნდეს, გამოვიდეს სცენაზეო. უმცროსი ინსტრუქტორები და განყოფილების წამყვანი ინჟინრები პანიკამ მოიცვა.

– რას გვიზამს? – წამოიძახა ვიღაცამ, ადგილკომის თავმჯდომარე ილუზიონისტთან მივიდა და რაღაც უთხრა. სტუმარმა გაიღიმა და თავის მხრივ რაღაც უპასუხა. თავმჯდომარემ თავი დაუქნია და დარბაზს მოუბრუნდა: – „ერთი სიტყვით, დააძინებს ვისაც უნდა. აქვე, სცენაზე“.

დარბაზი ისევ ახმაურდა. დაძინების მსურველი არ აღმოჩნდა. „მერე თვითონ გაგვაღვიძებს, თუ ჩვენით უნდა გავიღვიძოთ? – იკითხა ისევ იმ მსმენელმა, წელან „რას გვიზამსო“ რომ წამოიძახა. ადგილკომის თავმჯდომარე კვლავ მივიდა ილუზიონისტთან და შეეტყო, სასიამოვნო პასუხი მიიღო, რადგანაც აუდიტორიას სახეგაბადრულმა ამცნო: – „მე თვითონ გაგაღვიძებთო, კი“.

ილუზიონისტი, კაცმა რომ თქვას, განსაკუთრებულს არაფერს აკეთებდა. თვალებში შეჰყურებდა დასაძინებელ მსხვერპლს და თითებს ათამაშებდა.

ნახევარ საათში მეოთხე კაცი რომ მიაძინა სცენაზე, ოთარს ეჭვი შეეპარა; – ალბათ მართლა აძინებს, თორემ ოთხივე წინასწარ დარიგებული როგორ იქნებოდაო. ილუზიონისტმა მეხუთე სკამი რომ გამოიტანა, ოთარი გავიდა. მას ძა-

ლიან უნდოდა ამ სასწაულმოქმედი კაცის ძალა თავის თავზე გამოეცადა.

ილუზიონისტმა მშვიდად შესთავაზა მოსულს სკამი და თვალები გაუშტერა. ოთარი დაიძაბა. დაკვირვებული ათვალიერებდა იგი სტუმრის ხელებს, სამაიას მოცეკვავესავით რომ ირხეოდნენ, ლაკის პრიალა ფეხსაცმელებს, ჭროღა თვალებს, ცდილობდა დამჯერე და მორჩილი გამხდარიყო, მაგრამ ძილი არა და არ მოდიოდა.

ილუზიონისტი დაიღალა. შეწუხებული სახით ჩასცქეროდა იგი ოთარს, ჯიუტი სიფხიზლით რომ მიშტერებოდა მის ჯადოქრულ ხელებს. ილუზიონისტმა უეცრად სეანსი შეწყვიტა, ოთარი წამოაყენა, მიკროფონთან მიიყვანა და ჰკითხა:

– კონტუზირებული ხომ არა ხართ?

– არა, – მშვიდად მიუგო უცნაურმა პაციენტმა.

– ნერვული ხომ არა ხართ?

– არა.

– ძილი როგორი გაქვთ?

– შესანიშნავი, – გაეცინა ოთარს.

– დასამშვიდებელი ტაბლეტები ხომ არ მიგიღიათ? – წუხდა სტუმარი.

– არა.

– ამ წელიწადში სურდოთი ხომ არ ყოფილხართ ავად? – ჩააცივდა ილუზიონისტი.

– კი.

– გეთქვა მერე, შე კაცო, – დამშვიდდა ილუზიონისტი, – დაბრძანდით თქვენს ადგილზე, თავისუფალი ხართ. სხვა გამოვიდეს.

ოთარი ღიმილით მიაჩერდა სტუმარს და მოეჩვენა, რომ დაძინების ოსტატს იგი ამ წუთში ელემენტარულად სძულდა. თავის კანტურით დაეშვა კიბეზე და მაშინვე დაკარგა ყოველგვარი ინტერესი იმისადმი, რაც ამ დარბაზში ხდებოდა.

მელენტის პირზე ხელი აეფარებინა, ოთარს ათვალიერებდა და მოგუდული სიცილისაგან ვერტმფრენში მჯდომივით ძაგძაგებდა.

– რა გაცინებს? – შეუბღვირა ოთარმა.

– რა უქენი იმ პატიოსან კაცს იმნაირი, რომ აურიე მთელი პროგრამა? – რამდენადაც მოუხერხდა, სერიოზული სახე მიიღო მელენტიმ.

– აფერისტია, – მკაცრი განაჩენი გამოუტანა სტუმარს ოთარმა.

– რატომაა აფერისტი?

– აბა დამაძინოს მე, თუ ბიჭია.

– კი მარა ის ოთხი კაცი რომ მიასვენა სკამზე, არ უთვლი არაფრად?

– რაღაც მაიმუნობას აქვს ადგილი. არ მჯერა მაგი მე.

მელენტი ისევ ახითხითდა.

– თუ არ იწამე, არაფერი გამოვა. შენ რომ გახვედი, სახეზე გეწერა – ჩემი დამძინებელია ესო? პატარა შენც უნდა ენდო, პატარა შენც უნდა წაეხმარო, ილუზიონისტი ღმერთი კი არაა.

– რა უნდა წავეხმარო. თუ არ მეძინება, ძალით დავიძინო? გამოდიო – ხომ გავედი, დაბრძანდი სკამზეო – ხომ დავჯექი, მიყურე თვალებშიო – ხომ მივჩერებოდი. თქვენ ახლა ღრმა ძილში ხართო, რომ მითხრა, გამეცინა.

– რა გაგინა გულში ალბათ?

– თუ შემაგინა, მის გვარსა და ჯილაგს მიუვიდეს ხუთკეცად. რას მერჩის მე.

უკანა რიგებიდან ვიღაცამ ჩაილაპარაკა, – მოგვასმენინეთ თუ შეიძლებაო და მეგობრები გაჩუმდნენ.

ოთარმა მოწყენილად მიმოიხედა. მის გვერდით გამხდარი ინჟინერი იჯდა. იღლიაში ილუსტრირებული ჟურნალი ამოეჩარა, თვალებზე ქუდი ჩამოეფხატა და ეძინა. ოთარმა მოკრძალებით გააღვიძა გამხდარი ინჟინერი და ჟურნალი სთხოვა.

ილუზიონისტი თავის საქმეს განაგრძობდა. სცენა გაივსო დაძინებული საქონელმცოდნეებით, ინჟინერ-ეკონომისტებით, ინსტრუქტორებით, რევიზორ-ზედამხედველებით და პრაქტიკანტი სტუდენტებით.

ოთარი გაფართოებული თვალებით ილუსტრირებულ ჟურნალს ჩასცქეროდა. ილუზიონისტის ლექცია-კონცერტი

დასასრულს უახლოვდებოდა, როცა უფროსმა ინჟინერ-ეკონომისტმა ოთარ კაკუშაძემ ჟურნალი ცხვირწინ გაუშალა მელენტის და პატარა სტატიაზე ანიშნა.

– წაიკითხე.

მელენტიმ სათვალე გაიკეთა, ჟურნალი ცოტა მოშორებით დაიჭირა და კითხვა დაიწყო.

„ამ სურათზე თქვენ ხედავთ ორასი წლის წინ ქარჰეთში ნაპოვნ თიხის ფირფიტას წარწერით. ორასი წელია მსოფლიოს გამოჩენილი ენათმეცნიერები და ამომკითხველები ამაოდ ცდილობენ ამ წარწერის წაკითხვას. ინგლისელმა მეცნიერმა ჯეიმს ჰარმა თავისი შეგნებული ცხოვრების ორმოცდაათი წელი მოანდომა ამ საიდუმლო ანბანის ამოცნობას, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია. ხელმოცარულმა სწავლულმა საკუთარი თავის რწმენა დაკარგა. სამოცდაათს მიღწეულმა, თავი მოუყარა მოწაფეებს და მოწაფეთა მოწაფეებს; – ამ იდეალურმა ფირფიტამ დამამარცხაო. ჩემს სიცოცხლეს აზრი არა აქვსო, თქვა და მამაპაპური ბრაუნინგით, დემონსტრაციულად, იქვე მოიკლა თავი“.

მელენტიმ სათვალე მოიხსნა და ოთარს შეხედა. ჩანდა, იგი ვერ მიხვდა, რატომ მაინცდამაინც ეს სენსაციური (როგორც თვითონ ფიქრობდა) სტატია შესთავაზეს წასაკითხავად.

– ხომ ხედავ? – თავი დაუქნია ოთარმა.

– რას?

– წაიკითხე?

– კი.

– ხომ ხედავ, რას შვრება ხალხი.

– თავის მოკვლის მიზეზი ვერ გავიგე. ვერ წაიკითხა, რა მოხდა მერე?

– ამაშია საქმე.

– თავის მოკვლა ცოტა ყალბია, თეატრალური.

– ეს ჩვენი ჭკუით. კაცმა ორმოცდაათი წელი ერთი პატარა ფირფიტის წაკითხვას მოანდომა. გესმის შენ?

– და მაინც ვერ წაიკითხა.

– ამას მნიშვნელობა არა აქვს, – ოთარი კიდევ რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ ილუზიონისტის შემყურენი წამოიშ-

ალნენ და ტაში გაახურეს. სცენაზე ოვაციებით გაბედნიერებული სტუმარი მარტო იდგა.

ოთარი მეზობელს დაეღრიჯა, თუ შეიძლება, მაჩუქე ეს ჟურნალიო. გამხდარ ინჟინერს ჟურნალი აღარც ახსოვდა, მაგრამ ოთარის მუდარით სავსე თვალებს რომ შეხედა, ეტყობა რაღაცაშია საქმეო და დაამადლა: – არ წამიკითხავს, მაგრამ რაკი ასე ძალიან გჭირდებათ, თქვენი ფეშქაში იყოსო.

* * *

ოთარ კაკუშაძემ მოსვენება დაკარგა.

ქარჰეთის თიხის ფირფიტამ და ინგლისელი მეცნიერის ტრაგიკულმა ისტორიამ შეაძრწუნა იგი.

ეს დღეები სხვა საფიქრალი აღარ ახსოვდა. თავის თავს აღარ ეკუთვნოდა. სამსახურში დადიოდა, კრებებზე სიტყვით გამოდიოდა, შეკითხვაზე პასუხს იძლეოდა, კედლის გაზეთისათვის წკიპურტს წერდა, მაგრამ ამას ყველაფერს ანგარიშმიუცემლად, რობოტივით აკეთებდა. როგორც კი თავისუფალ დროს იშოვიდა, ილუსტრირებულ ჟურნალს დააძრობდა და ათასეული წლების წინათ გამოყვანილ ასოებს დაჟინებით დაჰყურებდა.

„ვინ იყო? რა უნდოდა? რისთვის დაწერა. არა და რა ნაცნობი ასოებია. ნეტა რა აწუხებდა, რა ეცვა, რანაირი თვალები ჰქონდა. დაავალა ვინმემ თუ თავისი ინიციატივით დაწერა? ისე, დინჯად კი უმუშავნია. ეტყობა არ ჩქარობდა. ორი წერტილიც სცოდნია. აქ, ალბათ, დაამთავრა აზრი და აბზაცით დაიწყო.

საშინელებაა, დანაშაულია ამ ფირფიტის დუმილი, ვინ იცის რა აწუხებდა კაცს. რისი თქმა სურდა ჩვენთვის, ახლა მისი ძვლები აღარ იქნება მიწაში. რა შესცოდა ასეთი მისმა ხალხმა, ამბის მომტანი რომ აღარ დარჩა? ასე პირწმინდად რამ გადააშენა. ყველაფერი მიწას შთაუნთქავს, ყველაფერს მტვერი დასდებია. ამ წარწერებითღა მოაღწია განწირული კაცის ბღავილმა ჩვენამდე და ესეც ვერ ამოგვიკითხავს ჩვენდა სამარცხვინოდ.

სისულელეა, მაგრამ უნდა ვცადო. ბოლოს და ბოლოს სულ თორმეტი ცოცხალი ანბანია ქვეყანაზე და რამდენიმე მკვდარი. წიგნები ხომ იქნება, დავძებნი ყველას, ვისწავლი, ვივარჯიშებ. ბოლოს და ბოლოს ვიღაცამ ხომ უნდა ამოხსნას, ვიღაცამ ხომ უნდა წაიკითხოს. მე ჩემსას ვცდი. ჩემის მხრივ არაფერს დავაკლებ. თუ ვერ ამოვიკითხე, სირცხვილად მაინც არ ჩამეთვლება, ჩემისთანებმა ვერ ამოიკითხეს?“

შუაღამისას ასოების კირკიტით გაწამებული ოთარი ცოტა ხნით ჩასთვლემდა და უკვე მერამდენედ ერთსა და იმავე სიზმარს ხედავდა: მოწაფეებით (მათ შორის ერთ-ერთ მოწაფედ ოთარიც ერია) გაჭედილ კაბინეტში ჩქარი ნაბიჯით შემოდიოდა თეთრწვეროსანი სწავლული. ჯოხს გაიშვერდა კედელზე ჩამოკიდებული თიხის ფირფიტისაკენ და ცახცახით ამბობდა: „ამ ფირფიტამ დამამარცხა მე. დღეიდან ჩემს სიცოცხლეს აზრი არა აქვს!“. ამ სიტყვებთან ერთად იშიშვლებდა იგი ბრაუნინგს და საფეთქელთან დააქუხებდა. ეს ყველაფერი ელვის სისწრაფით ხდებოდა. ამ სიზმრის ნახვისას ოთარმა წინასწარ იცოდა, რომ პროფესორი თავს მოიკლავდა. ყოველთვის სურდა ხელებში სცემოდა და ბრაუნინგი წაერთმია, მაგრამ ვერასოდეს ვერ ასწრებდა. სანამ იგი მოწაფეთა რკალს გაარღვევდა, პროფესორი უკვე უსულოდ ეგდო იატაკზე.

ასე გადიოდა თვეები. ოთარი თავისას არ იშლიდა. წუთს უქმად არ კარგავდა. სამსახურიდან პირდაპირ საჯარო ბიბლიოთეკაში გარბოდა და შინ მობრუნებული გვიანობამდე ლუპამომარჯვებული უჯდა მაგიდას.

ერთხელ, შესვენებაზე გამოქცეული, სახელდახელოდ სადილობდა და თან ცალი თვალით ცაცმცურ გადაშენებულ ანბანს რომ ათვალიერებდა, ოთარს ლუკმა ყელში გაეჩხირა და გველცემულივით გაშეშდა. ცაცმცური ასოები უსაშველოდ ჰგავდნენ ქართულს. ფირფიტის ანაბეჭდი მოარბენინა და სიხარულისაგან ელდა ეცა. ეს იყო ზუსტი იგივე ანბანი, სხვადასხვა კალიგრაფის მიერ შესრულებული. ოთარმა სათვალე მოიმარჯვა და კითხვას შეუდგა. ქარჰეთის ფირფიტა ალაპარაკდა:

„მე აბიათარ აბიათარის ძემ აიია წელს (ესე იგი ხუთი ათას ორას ოცდახუთი წლის წინათ) თავი მოვუყარე ჩემს მოძმეებს და განვუცხადე, რომ სამ დღეში მიწა იძვროდა და მეწყერი დაანგრევდა ჩვენს ქვეყანას. მოძმეებმა მშვიდად მომისმინეს, მაგრამ არ დამიჯერეს. – თავს ვუშველოთ, ავიბარგოთ აქედან! ვტიროდი მე, მაგრამ არა ირწმუნეს ჩემი. რაღაი არავინ მომყვება, მეც არსად წამსვლელი არა ვარ, თუ ოდესმე იპოვი ამ ფირფიტას, დამიჯერე წამკითხველო, რომ მე ყველაფერი წინასწარ ვიცოდი. მე ჩემი ხალხის გადარჩენის სურვილი მწვავდა“.

თოფის ხმაზე ოთარის ცოლმა და შვილებმა კარები შემოამტვრიეს. მათს ქმარს და მამას თავზე წითელი რიდე მოეხვია, თოფი ხალიჩაზე მიეგდო და ცეკვით უვლიდა გარს.

წრეგადასული სიხარულის გამოხატვა თურმე ასეც შეიძლება.

* * *

მეცნიერების ქურუმად მონათლულმა, პროფესორმა შალვა ჯალაბაძემ თუშური ქუდი დაიხურა, ხალათი მოიცვა და კართან მიფლატუნდა.

– ვინ არის?

– მე ვარ, – უპასუხა ოთარმა.

– ვინ თქვენ?

– ოთარ კაკუშაძე.

– რას წარმოადგენთ?

– ინჟინერ-ეკონომისტი ვარ.

– მაპატიეთ, მაგრამ ჩემთან რა საკითხზე მობრძანდით?

– ქარჰეთის ფირფიტა წავიკითხე.

– სასიამოვნოა, მაგრამ იქნებ სხვა დროს მობრძანებულიყავით, ახლა არა მცალია.

– ქარჰეთის ფირფიტა წავიკითხე, გესმით თქვენ!!!! – გასაღების ჭუჭრუტანას ჩაჰყვირა ოთარმა.

შეშინებულმა პროფესორმა კარი გააღო, და სახეგა-

ბადრულ ინჟინერს უხალისოდ შეუძღვა კაბინეტში. ამ კვირაში უკვე ქარჰეთის ფირფიტის მეხუთე წამკითხველი მოდიოდა და მეცნიერების ქურუმს თავი ჰქონდა გაბეზრებული მათი პრიმიტიული აზრებითა და უსაბუთო ახსნა-განმარტებებით.

– დაბრძანდით და მოკლედ ამიხსენით რას აკეთებთ. თქვენ ხარისხი გაქვთ?

– არა.

– მერე რაღა ქარჰეთის ფირფიტის ამოკითხვით იწყებთ. ოთარმა დაიმორცხვა.

– მაჩვენეთ, აბა რა მონაცემები გაქვთ, – საქმეზე გადავიდა პროფესორი.

ოთარმა მოკლედ განუმარტა: მე დავამტკიცე, რომ ცაცმცური და ქარჰეთული ერთი და იგივე ანბანია. აი, დააკვირდით (ოთარმა საქაღალდე გაშალა), ასოების მოხაზულობა ძირითადად ერთმანეთს ემთხვევა. ზოგიერთ ასოს კი დროთა განმავლობაში სახე უცვლია, რადგანაც ჩვენს ხელთ არსებულ ცაცმცურისა და ქარჰეთულის წერილობით ძეგლებს შორის, სულ მცირე ათასი წელი მაინც ძევსო.

პროფესორმა გულდასმით გასინჯა ორივე ანბანი, შეადარა ერთმანეთს და ოთარს მიუბრუნდა:

– მაინც რა ამოიკითხეთ, რა წერია?

ოთარმა გაშიფრული ქარჰეთული წარწერა დაუდო წინ.

პროფესორმა წაიკითხა და მოწამლულივით გადასდო გვერდზე.

– ერთი მითხარით გეთაყვა, თქვენ თუ გაგიგონიათ ჯეიმს ჰარის ამბავი?

– კი, თავი მოიკლა.

– როგორ ფიქრობთ, ჯეიმს ჰარმა ცაცმცური არ იცოდა?

– როგორ არა, კოლეჯი ცაცმცურ ენაზე დაამთავრა და მისი წინაპრებიც ცაცმცურად მეტყველებდნენ.

– მერე? როგორ ფიქრობთ, ქარჰეთის ფირფიტის ამოკითხვას ინგლისელი მეცნიერი ცაცმცური ანბანით არ ეცდებოდა?

– ადვილი შესაძლებელია რომ არა.

– რატომ?

– იცით? ცაცმცური ჯეიმს ჰარისათვის ძალიან ახლოს იდო. ქარჰეთის ფირფიტის საიდუმლო კი მას შორს ეგულებოდა და ამიტომაც ცაცმცური არც გახსენებია.

მეცნიერების ქურუმი მოიღუშა.

– მე მეტს ვერაფერს გეტყვით. მე ამ საკითხზე აღარ ვმუშაობ. ამიტომ კომპეტენტური ვერ ვიქნები. მიბრძანდით პროფესორ შალვა ნაცვალაძესთან, ის დაგეხმარებათ.

– მე დახმარება კი არ მჭირდება, – პატივცემულო, – მე ეს ფირფიტა ამოვიკითხე და მინდა, გახაროთ. მე არც იმის გასაგებად მოვსულვარ თქვენთან: სწორი ვარ თუ არა. მე დარწმუნებული ვარ ჩემს აღმოჩენაში. თქვენი მოვალეობაა ირწმუნოთ ეს ამბავი.

– ასე ადვილი არ არის მეცნიერება, ჩემო კარგო. – გაუღიმა ქურუმმა და კარი ცხვირწინ მიუჯახუნა.

დაახლოებით თხუთმეტ წუთში ოთარი შალვა ნაცვალაძის პირისპირ იჯდა.

– ეს მექანიკური დამთხვევაა, – უხსნიდა პროფესორი.

– რა არის მექანიკური დამთხვევა? მექანიკურად შეიძლება ხუთი-ექვსი ასო დამთხვეოდა, აქ კი მთელი ანბანია იდენტური.

– შეიძლება ასეც მოხდეს, – ოფლს იწმენდდა პროფესორი.

– იქნებ წაკითხვაც მექანიკურია? – არ ცხრებოდა ოთარი.

– თქვენთვის ძნელი გასაგები იქნება. არ გეწყინოთ და თქვენთან ძნელია მეცნიერების ენაზე ლაპარაკი.

– ფაქტებით ვილაპარაკოთ, პატივცემულო, – სევდა გაერია ხმაში ოთარს, – მე რაც წავიკითხე, ხომ სწორია?

– არ არის სწორი.

– სწორი არის თუ არა, ამას ვინ დაამტკიცებს. მე მოგახსენებთ, რაც მე წავიკითხე, ის ხომ სწერია ქარჰეთის თიხის ფირფიტაზე?

– ეგ თქვენი ჰიპოთეზაა.

– რა არის?

– ჰიპოთეზა.

– ასე არ შეიძლება, პატივცემულო, ცოტა უნდა მენდოთ. ცოტა თქვენც უნდა ირწმუნოთ. მე სხვა იარაღი არ გამაჩნია. თუ არ დამიჯერებთ, არაფერი გამოვა.

პროფესორს გაეცინა.

– რა უნდა დაგიჯერო, ბიჭო, მე შენ? შენ ახლა მოკიდე წიგნს ხელი და ჩვენ, ხალხი, გავთეთრდით ამ პრობლემებზე მუშაობით.

– და მაინც ხომ მე წავიკითხე?

– რაი?

– ფირფიტა.

– რომელი?

– ქარჰეთის.

– ისევ იმას ამბობ? აბა რას გელაპარაკები, გენაცვალე, არ ხდება ასე. არა ხარ სწორი.

– რატომ?

– თუნდაც იმიტომ, რომ არ შეიძლებოდა შენ წაგეკითხა. შენ არ უნდა წაგეკითხა. შენ ვერ წაიკითხავდი.

– რატომ, რატომ?

– არა გაქვს შენ მაგის საშუალება. მაშინ მეცნიერება და ხარისხი არაფერი ყოფილა და შენ ყოფილხარ ყველაფერი.

– თუ არ დამიჯერეთ, თავიდანვე თუ უნდოდ შემხედეთ ცოდო ვარ, პატივცემულო.

– რა ვქნა, მეგობარო, მეტი. მიმიღეთო – მიგიღე, მომისმინეთო – მოგისმინე. ახლა რაც არ მჯერა, ის დავიჯერო?

ამ სიტყვების შემდეგ ბატონმა შალვამ აუდიენცია დამთავრებულად ჩათვალა და სტუმარს შემდგომი წარმატებანი უსურვა როგორც პირად ცხოვრებაში ისე საზოგადოებრივ-სასარგებლო საქმიანობაში.

„მაინც დავამტკიცებ, ჩემს სიმართლეს მაინც გავიტან“, – ფიქრობდა ოთარ კაკუშაძე და შუა ქუჩაში ფართო ნაბიჯებით მიდიოდა.

ღამის პირველ საათს გადაცილებული იყო და ტროლეიბუსი არ მუშაობდა. ოთარი გოჭოურაზე ცხოვრობდა და წინ კარგა მოზრდილი გზა ედო.

* * *

ის-ის იყო შალვა ნაცვალაძემ ოთარი გააცილა და ძილისპირულის ღიღინს შეუდგა, რომ ტელეფონი აწკრიალდა.

– პროფესორი ნაცვალაძე! – ჩასძახა შალვამ.

– მე ვარ კოლეგა, მიცანი?

– გიცანით, ბატონო შალვა, – ხმაზე ყოველთვის ცნობდა შალვა თავის მასწავლებელს, მეცნიერების ქურუმად წოდებულ შალვა ჯალაბაძეს.

– ჩემთან ერთი ახირებული კაცი იყო. თქვენთან გამოვუშვი, ხომ არ მოსულა?

– კი, იყო.

– აი, ქარჰეთის ფირფიტის ამომკითხველი.

– დიახ, დიახ. ვესაუბრე, არ არის ეს თქვენი საქმე-მეთქი. ინჟინერი ყოფილა.

– მეც დაახლოებით ამგვარად ვუპასუხე.

– არადა ამოკითხული აქვს, ბატონო შალვა, ხომ იცით. ყველაფერი ზუსტადაა.

– რა თქმა უნდა, რასაკვირველია, რასაკვირველია. – ყურმილში შალვა ჯალაბაძის ხითხითი გაისმა.

შალვა ნაცვალაძემ კარგად კი ვერ გაიგო, რა აცინებდა მის მასწავლებელს, მეცნიერების ქურუმად მონათლულ პროფესორ შალვა ჯალაბაძეს.

სასტუმრო ოთახში პროფესორის მრავალრიცხოვანი ოჯახი მდუმარედ იჯდა. ყველას ვერცხლისფერი ათინათი გადაჰკრავდა სახეზე.

ტელევიზორში ფიგურულ სრიალს უჩვენებდნენ.

მარტო

კიბეზე სვენებ-სვენებით ადიოდა შავსათვალიანი კაცი. ხელში ტყავის სუროგატისაგან შეკერილი ყვითელი ჩემოდანი ეჭირა. ჩემოდანი, ეტყობოდა, ძალიან მძიმე იყო, რადგანაც უცნობს შესვენების დროს დაგროვილი ენერგია ხუთ საფეხურზე ძლივს ჰყოფნიდა.

შეჩერდებოდა, ჩემოდანს ფეხებს შორის ჩაიდგამდა, თითქოს ვიღაცას ეძებსო, ირგვლივ ქურდულად მიმოიხედავდა, გახუნებული, ფართოპლატფორმიანი ცილინდრული სისტემის ქუდის მოუხდელად ცხვირსახოცით მოიწმენდდა ოფლს და გზას განაგრძობდა.

როცა მეოთხე სართულს მიაღწია, ბეწვის საყელოიანი პალტო გაიხადა (პალტო ძველი იყო, მაგრამ ნაცრისფერი კურდღლის ტყავის საყელო ახალი გახლდათ), მოსაცდელში სკამზე დაჰკიდა, ჩემოდანი ჩვეულებისამებრ ფეხებშუა ჩაიდო და დაჯდა. მოსაცდელში მის გარდა არავინ იყო. ცოტა მუხლს შევასვენებ და საქმეს შევუდგებიო, ფიქრობდა უცნობი და იქაურობის დაზვერვას განაგრძობდა.

მუხლებს ცოტა შეღავათი რომ მისცა, ჩემოდანი გახსნა, პასპორტი და საგზური ამოიღო და ჩემოდანი ისევ დაკეტა. ამას რომ აკეთებდა, დერეფნისთვის თვალი არ მოუშორებია. ვინმემ რომ გაიაროს, არ გამომეპაროსო. საღამოს შვიდი საათი იყო და შენობაში არაჩვეულებრივი სიმყუდროვე სუფევდა, რადგანაც ყველანი სავახშმოდ იყვნენ წასულნი.

გამოჩნდა.

საათიც კი არ დასჭირვებია ლოდინი. დერეფნის ბოლოდან მხარზე პირსახოცგადაკიდებული კაცი გამოვიდა, ვითომც აქ არაფერიაო, ღიღინითი წამოვიდა უცნობისაკენ.

უცნობმა ქაღალდები ელვისსისწრაფით ჩამალა უბეში, ცილინდრი შუბლზე ჩამოიფხატა, პალტო მხარზე ნაბადი-

ვით მოიგდო და პირსახოციანს გზა გადაუჭრა. პირსახოციანს ჯერ შეეშინდა და უკან დაიხია, არაპროფესიონალური თვალით თავდაპირველად ხელებში შეაჩერდა უცნობს, მერე მის დანაოჭებულ სახეს და წვრილ კისერს დააკვირდა და ოდნავ დამშვიდდა.

– ბოდიში, აქ სარეგისტრაციო ოთახი სად არის? – ჩურჩულით ჰკითხა უცნობმა.

პირსახოციანმაც ხმადაბლა აუხსნა, – მარჯვნივ, დერეფნის ბოლოში „წითელი კუთხე“ რომ აწერია, იქ ტელევიზორი დგას, ტელევიზორთან არ შეიძლება ამ დროს ვინმე არ იჯდეს, იმას ჰკითხე და გასწავლისო.

უცნობმა მადლობა გადაუხადა. დაახლოებით ოცდახუთი წუთის შემდეგ იგი რეგისტრატორის სარკმელთან იდგა და ანკეტას ავსებდა.

– მე ცალკე ოთახი უნდა მომცეთ, – ჩაილაპარაკა უცნობმა ისე, რომ მის ხმას მხოლოდ ადმინისტრატორამდე მიეღწია. როცა ადმინისტრატორმა გაკვირვებით შემოხედა, უცნობმა თავი დაუქნია და მისი პიროვნებისათვის მეტი იდუმალების მისაცემად წარბები ასწია.

– ჩვენ ცალკე ნომრები არა გვაქვს! – ცოტა არ იყოს, ხმამაღლა უთხრა ადმინისტრატორმა და ამით აგრძნობინა, მე არავისი არ მეშინია და საჩურჩულოც არა მაქვს რაო.

– რა გაყვირებთ! შიშით მიმოიხედა უცნობმა და ცხვირზე მარცხენა ხელი ჩამოიფარა, – მე მარტო უნდა ვიყო.

– რატომ? რატომ? – ხმადაბლა, გამოჯავრებით უთხრა ადმინისტრატორმა და ისევ აუწია ხმას, – მე მგონი, გასაგებად მოგახსენეთ: ერთადგილიანი ნომრები არა გვაქვს. ეს სასტუმრო არ არის, დასასვენებელი სახლია. ორიანიც ერთი დაგვრჩა, თქვენს იღბლად, თორემ ოთხიანში შეგასახლებდით.

– თქვენ მე ყველაფერს ვერ აგიხსნით, – არ დაიბნა უცნობი, – მე სამუშაოდ ჩამოვედი. მეტის თქმის უფლება არა მაქვს. – ხმას უფრო დაუწია და გაოცებისაგან პირდაღებულ ადმინისტრატორს ჩემოდანზე მიუთითა: – ამ ჩემოდანში

სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დოკუმენტებია. ეს რომ უცხოეთის დაზვერვას ჩაუვარდეს ხელში, დავიღუპებით.

– მაპატიეთ, – აწრიალდა დასასვენებელი სახლის თანამშრომელი, – ვერ გიცანით (თუმცა ვერც ახლა იცნო). მოვახერხებთ რამეს. ხომ იცით, ყველას ცალკე უნდა. არ დაიჯერებთ; ერთკაციანი ოთახები მართლა, არა გვაქვს, რამდენჯერ ვუთხარი დირექტორს, ყოველ სახანძრო შემთხვევისათვის თითოკაციანი ნომრები უნდა გვქონდეს-მეთქი, მაგრამ ესმის?

უცნობმა განზე გაიხედა. მან ჩათვალა, რომ რეგისტრატორზე საკმაო ეფექტი მოახდინა და შემდგომი დაკონკრეტება საჭირო აღარ იყო. ადმინისტრატორს ლაპარაკში შეატყო, რომ დირექტორთან მთლად კარგად ვერ უნდა ყოფილიყო. არც დირექტორ-ადმინისტრატორის ურთიერთობის გარკვევა აინტერესებდა უცნობს. მას ცალკე ოთახი უნდოდა.

ადმინისტრატორი არც ისე მიამიტი კაცი იყო, მაგრამ „საზღვარგარეთი“ და „დაზვერვა“ რომ უხსენეს, რამე საშარო საქმე არ იყოსო და შესაძლებლობის მაქსიმუმი გააკეთა:

– ორკაციან ნომერში გაგაფორმებთ. ნუ ღელავთ, მეორეს არ შემოგისახლებთ. მარტო იქნებით. ხვალ დირექტორსაც მოველაპარაკები და თუ რაიმე შევაგნებინე, ხომ კარგი, თუ არადა, პატიოსან სიტყვას გაძლევთ, თუ დირექტორმა ნება არ დაგვრთო, სანამ ძალიან არ გამიჭირდება, არავის შემოვუშვებ თქვენს ოთახში.

უცნობმა იცოდა, რომ ზედმეტი მადლობები და რევერანსები, ასეთ შემთხვევაში, მოსულს დამხვდურის თვალში გააუფერულებდა. ამიტომაც, ცოტა არ იყოს, ზანტად აიღო გასაღები, ჩემოდანი კარამდე მიიტანა, დადგა, სწრაფად შემოტრიალდა და ისევ ადმინისტრატორის სარკმელში შეყო თავი.

– თუ იცით, რამდენი გრადუსი იქნება ახლა გარეთ?

ადმინისტრატორი ასეთ უბრალო შეკითხვას არ ელოდა და უხერხულობის თავდასაღწევად, საკმაოდ ზოგადად უპასუხა:

– ვერ გეტყვით. ყინავს.

– ეგ უთქვენოდაც ვიცი. მე მაინტერესებს, ზუსტად რამდენი გრადუსი ყინვაა.

– ფანჯარას გამოვაღებ და ახლავე მოგახსენებთ, – შეშფოთდა ადმინისტრატორი.

– არ არის საჭირო, – მოუჭრა უცნობმა და ამით აგრძნობინა, ფანჯარა თუ გამოაღე და თერმომეტრს თუ დახედე, ასე ხომ ყველა გამოიცნობსო.

შავსათვალიანმა უცნობმა ფეხაკრეფით გაიარა დერეფანი. თავის ოთახამდე არავინ შეხვედრია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ქალ-ვაჟს, რომლებიც კიბის ქვემოთ, მოსაწევ კუთხეში ერთმანეთს ჩაფსკვნოდნენ და როცა უცნობმა გაიარა, თვალი გააყოლეს, რადგანაც ხნიერ კაცად მიიჩნიეს. ხნიერები კი ამ დასასვენებელ სახლში იშვიათი მოვლენა იყო.

უცნობმა №11 ოთახს გასაღები მოარგო, უხმაუროდ გადასწია, ერთხელ კიდევ მიიხედ-მოიხედა და კარი შეაღო.

ჩემოდანი ლოგინქვეშ შეაცურა, პალტო გარდერობში დაკიდა, ცილინდრი მაგიდაზე დადო, ფეხსაცმელი დაუხრელად, ფეხების დახმარებით გაიხადა და ლოგინზე წამოწვა.

უცნობი კმაყოფილი იყო. ოპერაციამ კარგად ჩაიარა. ამ ხერხს იგი პირველად არ მიმართავდა. დასასვენებელ სახლებში ყოველთვის „სახელმწიფო მნიშვნელობის დოკუმენტებით დატვირთულად“ გაასაღებდა თავის ჩემოდანს და ეს მეთოდი ჯერჯერობით ყველგან ჭრიდა.

ვინ იყო ეს კაცი და რატომ მოითხოვდა ასე დაჟინებით ცალკე ნომერს? ეს უცნობი გახლდათ საპროექტო ლაბორატორიის რიგითი მხაზველი, სამოცსმიღწეული, კაფანდარა, უცოლოდ დაბერებული კირილე ვაშაყმაძე. უკანასკნელ თვეებში კირილეს ბევრი საქმე დაუგროვდა. თავს ძალა დაატანა. თითქმის დღედაღამ ხაზავდა. ბოლოს შეატყო, რომ დასუსტდა. დღის ბოლოს უგუნებოდაც იყო და თავბრუ ესხმოდა. ექიმისათვის არ მიუმართავს. თავისი თავის ექიმი თვითონ იყო. ერთი ათი დღით თუ სადმე არ წავედი და არ დავისვენე, ცუდადაა ჩემი საქმეო. მიაკითხა ადგილკომს და სხვა რომ აღარაფერი შემორჩენოდათ, სოფელ მაღლაგორის სათხილ-

ამურო ბაზის საგზური შესთავაზეს. კირილეს თხილამურები ახლოდან არც კი ენახა, მაგრამ ჰაერს ხომ გადავყლაპავ ერთ ათ დღესო, დაასკვნა და საგზური გამოაწერინა.

„ნეტავი ვინმე ნაცნობი არ შემხვდებოდესო“, – ფიქრობდა ლოგინზე წამოწოლილი კირილე. იმდენად დაღლილი იყო, რომ ნაცნობის მისალმება-მოკითხვის თავიც აღარ ჰქონდა. „გარეთ არც კი გავალ, წამოვწვები, კარგად გამოვიძინებ, რასაც მაჭმევენ, შევჭამ და ხანდახან ჩემს საქმესაც მივხედავო“.

მკითხველს ალბათ, აინტერესებს, თუ რას გულისხმობდა კირილე „თავის საქმეში“. გამოვუტყდებით და საიდუმლოდ ვეტყვით, რომ კირილე მემუარებს წერდა.

ამას წინათ, მან ერთი ცნობილი ავტორის კარგი მემუარები წაიკითხა და ძალიან მოუნდა თვითონაც დაეწერა თავისი თავგადასავალი.

მართალია, კირილეს სამემუარო ასაკი ჯერ არ ჰქონდა, მაგრამ ძალიან მოეწონა ეს მისთვის ახალი საქმე და წერდა მთელი გატაცებით. კირილეს მარტო ყოფნა საერთოდ უყვარდა და ახლა მით უმეტეს. სურდა, ოთახში მასთან არავინ შემოსულიყო, რათა თავისუფლად წერის საშუალება ჰქონოდა.

ცოტა რომ დაისვენა, კირილემ ჰალსტუხი მოიხსნა, მრგვალად დაახვია და ჩემოდანში ღრმად ჩაჩურთა. ამას რომ არ წავიჭერ ყელში, მარტო ეს რად ღირს ამ თორმეტ დღესო. კირილეს ჰალსტუხი საშინლად სძულდა, მაგრამ ინტელიგენტთა ძველი თაობის წარმომადგენელი იყო და უჰალსტუხოდ სამსახურში არავის უნახავს. აღშფოთებას ვერ მალავდა, როცა საპროექტო ლაბორატორიაში თანამშრომლები გაცვეთილი „ჯინსებითა“ და სვიტრებით მიუსხდებოდნენ სახაზავ მაგიდებს. ერთი-ორჯერ ხუმრობით წამოცდა – დიპლომიანები მაინც არ იყოთ, თქვე კაი ხალხო, უწინ ინჟინერს რომ ახსენებდნენ, ხალხი სანახავად მოდიოდა – რანაირია, ნეტავი, ცოცხალი ინჟინერიო, ვიცი, ახლა სმოკინგის და ტროსტის დრო აღარ არის, მაგრამ ჩაცმულობით ცოტათი მაინც ხომ უნდა განსხვავდებოდეთ კალიფორნიელი მწყემ-

სებისაგანო. ახალგაზრდა მხაზველები ღიმილით უსმენდნენ. იმდენად გულუბრყვილოდ მიაჩნდათ მისი ნათქვამი, რომ კამათითაც აღარ ეკამათებოდნენ. კირილე დროზე მიხვდა, რომ არაფრის შეცვლა არ შეეძლო, დამრიგებლობით საქმიანობას თავი გაანება და, თუ საგანგებოდ არ მიმართავდნენ, რჩევასაც აღარავის აძლევდა. ცხოვრობდა თავისთვის.

კირილემ კოსტუმი გაიხადა და ახალი, მწვანეზოლებიანი ფლანელის პიჟამო ჩაიცვა. ეს პიჟამო მხაზველს დიდი ხნის ნაყიდი ჰქონდა, მაგრამ არ იცვამდა, მანამ, სანამ ძველი (ისიც ფლანელის იყო) თითქმის ტანზე არ შემოეხა. კირილე სპორტულ პიჟამოებს ვერ იტანდა, ორგანიზმმა უნდა ისუნთქოსო. პიჟამო დასასვენებელი ტანსაცმელია და ტანზე შემოტმასნილი არ უნდა იყოსო. ფლანელი რბილი და ალერსიანი ნაჭერიაო. რომელიღაც არტელის მიერ გამოშვებული კირილეს ახალი პიჟამო სრული კი იყო, მაგრამ, შეკერილი ულაზათოდ გახლდათ. სანამ აბაზანაში შევიდოდა, კირილე ერთხანს სარკის წინ შეყოვნდა და ცდილობდა აღმოეჩინა არტელის მკერავთა საშემსრულებლო ხარვეზი. კირილეს კერვისა მაინცდამაინც არაფერი გაეგებოდა.

საშუალი სიმაღლისა იყო. ბეჭებში მოხრილი. გრძელი ექვსკუთხედი სახე ჰქონდა, გაცრეცილი ჭაღარა თმა საფეთქლებსღა შემორჩენოდა. სათვალიდან ფართო, წაქისფერი თვალები უჩანდა. კირილე ჩვეულებრივ ორ სათვალეს ხმარობდა, ერთს მუშაობისათვის, მეორეს დანარჩენ დროს.

შუა ბანვაში იყო კირილე, როცა აბაზანაში ახალშერემონტებული ზარის მკაფიო ხმა გაისმა. კირილემ შხაპი ჩაკეტა, თავიდან (თვალში არ ჩამივიდესო) საპნის ქაფი ჩამოიწმინდა, კარი ნახევრად გამოაღო და გასძახა:

– რომელი ხარ?!

– მეზობელი ვარ, მეზობელი!

– რომელი მეზობელი?

– თქვენ გვერდით ვცხოვრობ, გამიღე ერთ წამს.

– ახლა ვერ გაგიღებთ. ტანს ვიბან. ხვალ მობრძანდით, საჩქაროა რამე?

დერეფნიდან ნაბიჯების ხმა მოისმა. ეტყობოდა მეზობელი მოშორდა კარს და თავის მეზობლურ საქმეებს დაუბრუნდა.

ისე გემრიელად იბანავა, ისე მადიანად გაეხვია სუფთა საწოლში, რომ კირილეს გადაავიწყდა კიდევაც მეზობელი, მაგრამ ამ უკანასკნელმა შუაღამის ორ საათზე გაახსენა თავი. ისევ აწკრიალდა ზარი.

კირილემ შეკითხვისმიუცემლად გააღო. მისთვის ახლა სულერთი იყო ვინ იქნებოდა.

– მობრძანდით, – დააგდო კირილემ, შემოსულს მაშინვე ზურგი უჩვენა, ფეხები ლოგინის წინ დაგებულ მომცრო ფარდაგს გაუსვ-გამოუსვა, და უბოდიშოდ შეგორდა საწოლში.

მეზობელი მაღალ-მაღალი, გახუნებულულვაშიანი, მხარბეჭიანი ახალგაზრდა კაცი გამოდგა. სპორტული ლურჯი შარვალი და იაფფასიანი სარეკლამო პერანგი ეცვა. პერანგზე მსოფლიოს საუკეთესო სიგარეტთა ეტიკეტები ეხატა.

– გამარჯობათ! – რიხიანად თქვა მოსულმა. სკამი გამოსწია და უნებართვოდ მოკალათდა. ღმერთო შეგცოდე და იგი ცოტა თამამად, ცოტა უმიზეზოდ იღიმებოდა.

– როდის ჩამობრძანდით, ბიძაჩემო?

– დღეს, – მოუხედავად მიუგო კირილემ და გაიფიქრა, ეს მინდოდა ახლა, დაღლილ, გაწამებულ კაცს მეო?

– ანზორი ვარ ხუნდაძე, ბათუმელი. ხუთი დღის ჩამოსული ვარ. რა ყოფილა, კაცო, ეს მაღალგორა. თხილამურებზე დგომას რა უნდა, ხელათ ვისწავლი-მეთქი, საქმეში ხარ? პირველ დღესვე ფეხი ვიღრძე და ქე დავდივარ ასე. როდის გავა ცხრამეტი დღე კიდევ. გოგოს აქანა ვერ დაელაპარაკები. ერთმა ხმა არ გამცა და მეორემ იმნაირი შემომიბღვირა, რომ იმ საღამოს ვახშამი არ მიჭამია. ისევ ჩემი გემი დალოცა ღმერთმა. თავისუფლად მაინც ხარ კაცი. ყველაფერს რომ თავი დაანებო, ღამეც რომ აღარ მძინავს?

„დავიღუპე, – ფიქრობდა კირილე, – ამას თუ მე ახლა ლაპარაკში ავყევი, აღარ მომშორდება. ყოველ საღამოს დამიჯდება აქ და თავის მოსაწყენი თავგადასავლებით გულს

გამიწყალებს. რაც შეიძლება ცივად შევხვდები, ინტერესს არაფრისადმი არ გამოვამჟღავნებ. სიტყვაძვირ კაცად რომ მიცნობს, მოწყინდება და წავა“.

ანზორი განაგრძობდა:

– წამევედი, მე ვთქვი, დავისვენებ პატარას-თქვა, შვებულება მაქვს, ხომ იცით, მეზღვაურისათვის შვებულება რას ნიშნავს? ქართულ კურორტზე მიდღემჩი არ ვყოფილვარ. ეს რა ბრაზიანები ყოფილან მოთხილამურეთა ბაზაში. წავსულიყავი ადესაში არ ჯობდა? გოგო მყავს იქ, ცხრა წერილი მომწერა გემზე, შვებულება ჩემთან გაატარეო.

– რომელი საათი იქნება ახლა? – ყრუდ იკითხა კირილემ. როცა საათზე დაიხედავს ეს ოჯახაშენებული, მიხვდება რომ გვიან არის და ინებებს წასვლასაო.

– სამის თხუთმეტია, – სულმოუთქმელად თქვა ანზორმა და მაშინვე გადააბა, – ახლა ვლადივოსტოკში თერთმეტი საათია. ოცდაშვიდი წლის კაცი ვარ, ბიძაჩემო, და მთელი ქვეყანა შემოვიარე. უნახავი აღარაფერი დამრჩა. ჩვენ ნავთობს ვეზიდებით. ტანკერი გვყავს. „გალი“ ჰქვია. ასოცდარვა კაცი ვემსახურებით. ყველას ჩვენ-ჩვენი კაიუტა გვაქვს.

„რა მეშველება ახლა, დაიწყებს, მოიგონებს რამეს. გასახსენებელი და მოსაყოლი არა აქვს თუ? რა გზას დავადგე?“ – ფიქრობდა კირილე.

ანზორმა მართლაც, სად იყო კარგი მსმენელი თორემ, საინტერესოდ და შთამბეჭდავად უამბო მოხუც დამსვენებელს, თუ როგორ აჩუქა ახალზელანდიელმა მუშამ პატარა მაიმუნი. ცეროდენა მაიმუნის იშვიათი ჯიში. წამოყვანა არ შეიძლება უსაბუთოდ, საბუთების გაფორმების (მაიმუნის პასპორტი, ჯანმრთელობის მოწმობა, ნასყიდობის აქტი და სხვ.) დრო აღარ იყო. პატარა ყუთში ჩავსვი და გემზე ამოვაპარეო. მერე დაწვრილებით აღწერა მეზღვაურმა მაიმუნის ავადმყოფობის მთელი ისტორია და ის სავალალო ამბავიც, რომ პატარა მაიმუნი სწორედ მოგზაურობის დასასრულს, ბოლო ნავსადგურთან სულ ახლოს, გიბრალტარის სრუტეში გარდაიცვალა.

კირილემ ოთხ საათზე თავი მოიმძინარა. მეზღვაურმა მასპინძლის ხვრინვა რომ გაიგონა, ღონივრად შეანჯღრია იგი და ჩასძახა: – ბიძაჩემო, თუ გეძინება, არაყს მოვიტან და გამოგაფხიზლებსო. – მეძინება ძალიან და თუ კაცი ხარ დამაძინეო. შეეხვეწა კირილე.

ანზორი ლაპარაკ-ლაპარაკით გავიდა.

მეორე დღეს კირილე, რაც შეიძლებოდა, ცივად შეხვდა ანზორს. მთელი დღე მასთან ლაპარაკს გაურბოდა, ცდილობდა ეგრძნობინებინა, რომ მეზღვაურსა და მოხუც მხაზველს შორის საერთო არაფერი იყო. ანზორი კი პირიქით, თითქოს მთელი დღე მას დაეძებდა, დაინახავდა თუ არა, ხელებს გაშლიდა და ღიმილით მისკენ წავიდოდა, მაგრამ დღე იყო და კირილე სხვადასხვა გარემოების მომიზეზებით სწრაფად უსხლტებოდა ხელიდან. ვახშმის შემდეგ კი ანზორმა ჭკუა იხმარა და ერთ ნაბიჯზეც არ მოშორებია. თავისი ოთახისაკენ გაქცეულ კირილეს კარშივე დაუხვედრა ფეხი და სხვა გზა არ იყო – ვიზიტი შედგა.

იმ ღამით ანზორმა მეზობელს ინდოეთში მოგზაურობის შთაბეჭდილებანი გააცნო. ბომბეიში საპირფარეშოს ვერ მივაგენი, ვისაც ვკითხე, ყველამ მხრები აიჩეჩაო. გავგიჟდი კაცი, აღარ ვიცოდი რა მექნაო. მერე ერთ ახალგაზრდას ვსტაცე ხელი და საკმაოდ უხერხული ჟესტებით მივანიშნე, რასაც ვეძებდიო. ხუჭუჭთმიანმა ინდოელმა ასევე ჟესტებით გამაგებინა, ფული მომეცი და გასწავლიო. მივეცი, რა მეტი გზა მქონდაო. ჩაიდო ფული ჯიბეში, ცხენის თეთრი კბილები შემომანათა და ტროტუარზე მიმითითაო. გავცეცხლდი და ფულის უკან გამორთმევა მოვუნდომე, მაგრამ გამექცაო.

ეს და სხვა უფრო საინტერესო ამბებით გაანათლა ანზორმა კირილე და იმ ღამესაც კირილეს დაჟინებული თხოვნით ოთხ საათზე გაიხურა კარი.

მესამე დღეს ანზორმა კონგოს ამბები გაიხსენა.

– კონგო, კირილე ბიძია, კონტრასტების ქვეყანაა. დიდი მშრომელი ხალხი ცხოვრობს. ზანგები დიდხანს ვერ ცოცხლობენ. იშვიათად ნახავ ორმოცი წლის ზევით კაცს. ერთხელ გემს ვარემონტებთ და ნავსადგურში ვდგავართ. მომშივ-

და და პური წავიტეხე. წყლის დასალევად გარეთ გამოვედი. უბედური სიცხეა. ეს პური ასე მიკავია ხელში. პალმის ქვეშ პატარა ბიჭი დგას. ჩემთვის ყურადღება არ მოუქცევია. პურის გადაგდება საერთოდ არ მიყვარს და ზანგის ბიჭს ხელი დავუქნიე – პური ხომ არ გინდა-მეთქი. ხელი გამიქნია, ფული არა მაქვსო. ფულს ვინ გთხოვს, მე ვუთხარი. მოდი და, თუ გესიამოვნება, მიირთვი, გამოიქცა, უნდა გენახა, რა ხარბად შეექცეოდა პურს. თურმე შიებია მგელივით, თურმე მისი მადლი მომისხამს. ხელი დავუქნიე და ჩემს საქმეს დავუბრუნდი. არ გაუვლია თხუთმეტ წუთს, ჩემს ფანჯარას სარემონტო კანტორაში ორმოცდაათამდე შავკანიანი ბავშვი მოაწყდა. აკაკუნებენ, ჭყივიან, ხელს მიქნევენ, რა უნდათ-მეთქი, ძლივს ვიცანი ჩემი ნაცნობი ბაღანა, რას იცნობ, ერთმანეთს ჰგავს ყველა. ფანჯრიდან ნიჟარებს მაწვდის და მეხვეწება: ამათაც პური შიათ და მოგვეციო. შევეხვეწე მზარეულს და რაც შეგვეძლო მივეცით. რამდენს გაწვდები. ერთმანეთს ხელიდან გლეჯდენ, უბეში იყრიდნენ პურის ნაჭრებს და გარბოდნენ.

მეოთხე ღამესაც არ შეტყობია ანზორს, რომ სალაპარაკო უახლოეს ხანში შემოელეოდა.

მეხუთე ღამეს კი უძილობისაგან გათანგულ კირილეს მოთმინების ფიალა აევსო, მან შუაზე შეაწყვეტინა (დაახლოებით ღამის ორი საათი იყო) კოსტა-რიკის ამბები ანზორს და მარცხენა ლოყის ცახცახით ჰკითხა:

– კი მაგრამ, გემზე ასე უპრაგუნოდ შეგიძლია შეხვიდე ყველასთან და გაუთავებლივ ილაპარაკო?

– კი, ბიძაჩემო, გემზე უხარია კაცს, რომ შეხვალ და ხმას გასცემ.

– მერე გემზე ვართ ჩვენ ახლა?

– არა.

– ერთი სიტყვით, აქ მეტი აღარ შემოხვიდე, თუ ძმა ხარ. შენ კრუხის თავი გაქვს გადაყლაპული და მე დაღლილობისაგან ისე ვარ დასუსტებული, რომ ხვანჯარს ძლივს ვიბნევ ხანდახან.

ანზორი შეცბა. მეზღვაური ამგვარ საუბარს არ ელოდა. მან გაკვირვებით შეხედა მოხუცს და ღიმილით ჰკითხა:

– რა მაქვს გადაყლაპული?

კირილე მიხვდა, რომ უტაქტოდ მოიქცა. თანაც, ცოტა არ იყოს, შეეშინდა, შეურაცხყოფას რომ ვაყენებ, არ ადგეს და არ დამიშვას სკამი თავშიო. ამიტომ უკან დახევა ამჯობინა:

– გადაყლაპული კი არაფერი გაქვს, ჩემო ბიძია, მარა, მე ავადმყოფი კაცი ვარ. შენი ხნის რომ ვიყო, სხვა ამბავია, სად შემიძლია მე ღამეების ტეხვა და შენთან ლაპარაკი. მე დასვენება მინდა და შენ დასვენებული ხარ. ღმერთმა კარგად გამყოფოს. ამიტომ შენ შენთვის და მე ჩემთვის. არ გამოგადგები ამქრად, რომ ხედავ, მე ჩემი გაჭირვება მაქვს. ჩემი სამუშაო მაქვს. ასე ვქნათ, ჩვენ-ჩვენ საქმეს მივხედოთ ყველამ.

ანზორი წამოდგა. ერთხელ კიდევ გაიღიმა. ხელები გაშალა. კირილეს თავი დაუკრა და გავიდა. თქმით არაფერი უთქვამს.

მეორე დღეს კირილემ კარგად დაისვენა. იგი უსაზღვროდ კმაყოფილი იყო. ანზორს მხოლოდ ერთხელ მოჰკრა თვალი, შორეული ცურვის მეზღვაური სასადილოს წინ ფანჯარასთან მიმდგარ ექთანს ესაუბრებოდა.

მესამე დღეს კირილეს გვიან დაეძინა. იგრძნო, რომ რაღაც აწუხებდა, რაღაც აკლდა. ანზორი თითქმის ყურადღებას აღარ აქცევდა. შეხვედრისას თავს დაუკრავდა და სწრაფად გაეცლებოდა.

კირილე წუხდა. ადგილს ვერ პოულობდა. დამნაშავესავით უღიმოდა გვერდით ჩავლილ ანზორს. უნდოდა, გამოლაპარაკებოდა, მაგრამ მომენტი ვერ შეარჩია. „აშკარად ჩანს, რომ ნაწყენია. ესაა საქმე? კაცი შემოდიოდა, თავისი კეთილი გულით ქვეყნის ამბებს მაგებინებდა. რა ეშმაკად მინდა ეს გამხმარი თავი, რას ვაკეთებ იმნაირს ახლა, რომ ჩემს მარტო დარჩენას ასე ვაფასებდე. კაცმა კაცად გიცნო, შენთან ლაპარაკი უნდოდა, ვინ ოხერი ხარ, რა უფლება გაქვს შენ. კარგი, აღარ შემოდის, აღარ უნდიხარ, მერე? რა შეიცვალა ამით? ძილის ორი საათი მოგემატა, სიკვდილის ორი საათი მოგემატა, მარტოყოფნის ორი საათი მოგემატა, მეტი ხომ არაფერი“...

* * *

– ახლავე! – მოისმა ოთახის სიღრმიდან და მასპინძელმა კარამდე ისე სწრაფად მოირბინა, თითქოს კიბესთან მისთვის უძვირფასესი არსება იდგა, რომელიც წამის დაგვიანებით შეიძლება სამუდამოდ დაეკარგა.

– შეიძლება, ანზორ ბიძია? – იკითხა კირილემ და პასუხის მოლოდინში, გულმა ორჯერ დაქაჩა.

– მობრძანდით? – მიუგო შემცბარმა ანზორმა, და შარვალი ასკინკლით ჩაიცვა.

მენზობლები კარგა ხანს მდუმარედ შეჰყურებდნენ ერთმანეთს.

ანზორი, საოცარი თავგადასავლების მქონე, მოლაპარაკე ანზორი, არაფერს ამბობდა.

– დასალევი ხომ არაფერი გაქვს? – იკითხა ბოლოს კირილემ.

ანზორი დაფაცურდა.

დალიეს.

არაყმა ორივეს მხნეობა შემატა. კარგა ხანს ისაუბრეს.

გასვლისას კირილეს „აწყვეტამ“ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

– ანზორ, ბიძია. შენ რომ ექთანი გოგო გელაპარაკება, მაგას დეიდა ეყოლება, ასე, ჩემი ხნის, ჩემი შესაფერი. გევიარგამევიაროთ-თქვა. მთლად ჩამოწერილი კი არ ვარ, – მერე გაიცინა, ნამეტანი მომივიდაო, გაიფიქრა და მეზღვაურს ხელი გადახვია, – ისე გითხარი, ჩემო ანზორ, მართალი არ გეგონოს, სიტყვის მასალად გითხარი; რა ვქნა, ბიჭო, გამომაყრუა მარტო ყოფნამ.

მეზღვაურმა გაიღიმა, ყოვლისმომტევებელი, ალალი, გულწრფელი ღიმილით.

ღამის სამი საათი იყო.

ექიმი

შუადღეა, ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან სუნთქვისშემ-კვრელი, ცხელი ქარბორია უბერავს.

ქუჩაში კაცის ჭაჭანება არ არის.

გაისმის დოლის ყურისწამღები ბაგაბუგი, რომელიც ქუთაისის ქარ-სიცხეს კიდევ უფრო აუტანელს ხდის.

შუადღის სიჩუმეში მარტო დოლის ხმა ისე მკაფიოდ ისმის, რომ ვერც გაასწრებ და ვერც დაემალები. ყურსიძირში უბრა-გუნებს დოლი № 3 საქალაქო ბიბლიოთეკის მკითხველებს და „სქურის“ მინერალური წყლები კიოსკის მომხმარებლებს, სახდაზღვევის აგენტებს და გამწვანების ტრესტის უდანა-შაულო მუშაკებსაც. ეს უკანასკნელნი ყურში თითებს იცობენ და კიდევ კარგი რომ ერთმანეთსაც ვერ აგებინებენ, თორემ, ტუჩების ცმაცუნზე ეტყობათ, მთლად სასიამოვნო სიტყვებს არ უნდა ამბობდნენ ჯიუტი მედოლის მისამართით, რომელსაც ამ გაგანია სიცხეში ხელოვნებისათვის თავი გადაუდვია და ნინოშვილის ქუჩის მცხოვრებთა ერთსულოვანი პროტესტის მიუხედავად, დოლზე სოლო-კონცერტს ამუშავებს.

აივანზე ნიფხავ-პერანგისამარა მაღალი, გრძელკისერა ექიმი, ალექსანდრე გობრონიძე, გამოვიდა და მოაჯირს გა-დაეყრდნო.

– გურამ!

დოლის ხმა არ შემწყდარა.

– გურამ! არ გესმის შენ?! – რაც შეეძლო იყვირა ექიმმა. მაგრამ თავისი საქმით გართულ მედოლეს მაინც რომ ვერ შეასმინა, გაგებინების უფრო ეფექტურ საშუალებას მიმარ-თა; იატაკის საწმენდი ჯოხი აიღო, რიკულებში გააძვრინა და აივნის ბოძს მიუკაკუნა.

დოლის ხმა მიწყდა და პირველი სართულიდან თმაშეთხ-ელებული თავი გამოჩნდა.

– რა იყო? – იკითხა დოლზე დაკვრის მომავალმა ვირტუოზმა და მამას უხალისოდ ამოხედა.

– დაისვენე ცოტა აღარა ვართ მეტი. შევწუხდით!

– რამ შეგაწუხათ? – თითქოს ამ საყვედურით პირველად მიმართავენო, ხმის დანაზებით, აშკარად დაცინვით იკითხა გურამ გობრონრიძემ და რაკი ექიმს ქვემოდან ცოტა უხერხულად შეჰყურებდა (თანაც სინათლე თვალებს სჭრიდა), თვალები დახუჭა და პირი გააღო. ლითონის კბილები მაშინ მოდაში იყო და გურამსაც პირი სავსე ჰქონდა კეთილშობილი ლითონებით. იმის მიხედვით, თუ რა ეკონომიური გასაქანი მისცემოდა ამა თუ იმ პერიოდში, მიმდგარიყო მედოლე და ოქროსა და ვერცხლის კბილები ჩაეკიწკიწებინა. ახლა ზემოდან მზე რომ ანათებდა, გურამის ღია ხახა არაჩვეულებრივ ბრჭყვიალს გამოსცემდა და ალექსანდრე გობრონიძემ გაიფიქრა – ამ კბილების პატრონი ხეირს დააყრის კაცსო?

– რამ შეგვაწუხა და ამ გაუთავებელმა ბრაგუნმა, შვილო. ჯერ დაგვხოცე მე და დედაშენი და მერე უბრახუნე რამდენიც გინდა, მაგ უპატრონოს.

გურამს გაეცინა.

– კი მარა ვინც კარგად უკრავს, მამაჩემო, რავა ფიქრობ შენ, იმას არ ყავდა დედ-მამა და მეზობლები?

– რა ვიცი მე?

– მე ვიცი. ტყეში არავინ დადის დოლის დასაკრავად. ასე სახლში აქვს ნასწავლი სუყველას. პატარა ქე უნდა მეითმინოთ.

– რა მევითმინოთ, ბიჭო. რას ეძახი პატარას შენ. ან რა მკლავები გიძლებს, არ იღლები ქე მაინც? ამოუწყდა პატრონი. ვინც შენ დოლი შეგაყვარა და ამომაგდო კაცი.

– კაი დაკრული რომ ძაან მოგწონთ და ქეიფი რომ ქე გიყვართ სუყველას? დოლზე დაკვრა კი არ ესიზმრებათ ღამე. ასე წვალობს და ასე სწავლობს ყველა მედოლე.

ალექსანდრეს გაეხარდა. ცოტა ხანს იქნებ კამათში ავიყოლიო და დავასვენო მთელი ქუჩაო, მაგრამ ღრმად ცდებოდა.

– სწავლას ვინ გიშლის, მარა შენ იმნაირ ინსტრუმენტთან გაქვს საქმე, რომ მარტო ჩვენ რომ ვწუხდებოდეთ, ჯანდაბას,

მთელ ქუჩას აყენებ ფეხზე. ვიცი ნაღდათ: ამოტრიალებული იქნება ახლა საფლავში ბაბუაშენი ამდენი გინებით შენი დატოვებისათვის.

– როდის ვიმუშაო, მითხარი. ბატონო, ჩემს თავზე? – გულწრფელად იკითხა გურამმა, – დილას ხალხს სძინავს, – შეგაგინებენო, შუადღეს ხალხს ძინავს, – შეგაგინებენო, საღამოს ხალხი იძინებს – შეგაგინებენო, რა მომენტი შევურჩიო, მითხარი. მაგინონ და იყვნენ. აკარდიონის პრუწუნს არ ჯობია დოლის ხმა?

– მერე, რა შეღავათია ჩვენთვის? – ანგარიშმიუცემლად იკითხა ალექსანდრემ და მაშინვე მიხვდა, რომ შეკითხვა ჩაუვარდა. უფრო რთული პრობლემა დაესვა, შეიძლება ცოტა ხანს შეჰყოლოდა ლაპარაკში თავისი მედოლე შვილი, მაგრამ ახლა დოლისთვის თავგადამკვდარმა პირმშომ კამათი დამთავრებულად ჩათვალა და მოკლედ მოსჭრა.

– მოჭიმული მაქვს დოლი და ნუ მაცდენ ტყუილად. სულ ერთია, სანამ დღევანდელ ნორმას არ შევასრულებ გამჩერებელი არ ვარ. თუ გული გერევა, ჩაიცვი და წადი, გაისეირნე ქუჩაში ცოტა. რას უზიხარ სახლში ამ შაბათ დღეს.

ამ სიტყვებს დოლის ენერგიული ბრაგაბრუგი მოჰყვა.

ალექსანდრეს შვილის სიტყვები ჭკუაში დაუჯდა. თვალს წყალს დავალევინებო, თქვა და ჩაიცვა, ჭიშკარს რომ აღებდა, დოლი ერთი წამით შეჩერდა და ექიმს გურამის მზრუნველი ხმა წამოეწია.

– არ დალიო! ვინც არ უნდა შეგხვდეს, უარი უთხარი, არ დალიო, ჩემს თავს გაფიცებ. ხომ იცი, რომ იხრჩობოდი იმ დღეს. გესმის ჩემი?! – თანდათან ხმას უმატებდა მედოლე.

– მესმის. – უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა ალექსანდრემ და მართალია, შვილის სიტყვებმა ცოტა გული გაუთბო, მაგრამ მაინც გაიფიქრა, – შენ რომ წესიერი შვილი მყავდე, დოლის მაგივრად წიგნი გექნებოდა ახლა ხელში და მეც „სასეირნოდ“ არ გამიხდიდი საქმესო.

ალექსანდრე გობრონიძე ქირურგი გახლდათ. მისი საქირურგო ბიოგრაფია მართალია, გულის გადანერგვის მსგავსი

გაელვებებით არ იყო გაბრწყინებული, მაგრამ სამაგიეროდ, მთელმა ქალაქმა იცოდა, რომ ალექსანდრეს შემთხვევა არ ჰქონია პაციენტის სტომაქში მაკრატელი ან პინცეტი ჩაეტოვებინოს. იგი ძირითადად ბრმა ნაწლავის ამოკვეთის და ხელ-ფეხის ამპუტაციის ხაზით მუშაობდა. ამგვარ ოპერაციებს ექიმები შედარებით მარტივად თვლიან, თორემ ავადმყოფისთვის ყველანაირი ოპერაცია საშიშია და სერიოზული. ახალგაზრდობაში იქნებ დიდი სურვილიც ჰქონდა ალექსანდრე გობრონიძეს გაუკვალავი გზებით ევლო და ქირურგიული ხელოვნება ახალი ექსპერიმენტებით გაემდიდრებინა, მაგრამ საავადმყოფო, რომელშიც იგი მუშაობდა, თავისი ტექნიკური აღჭურვილობით სტერილურობის მიღწევის თვალსაზრისით არ იძლეოდა დიდ გასაქანს, ამიტომაც ქირურგი ბედს შეეგუა და ცხოვრების მდინარეს თავქვე დაჰყვა. არც მთლად კრისტალურობაზე დებდა თავს და სინდისგარეცხილი კაციც არ გახლდათ. ზოგიერთ მის კოლეგასავით წინასწარ როდი ურიგდებოდა ავადმყოფის მეინახეს, ამდენი და ამდენი დასჭირდება ამ ოპერაციასაო, რასაც ხელს მოჰკიდებდა, პატიოსნად გააკეთებდა. თუ ვინმე პატივს სცემდა, უარს არ ამბობდა. თუ (ზოგჯერ ასეც ხდებოდა) მადლობასაც არ ეტყოდნენ, გული, რა თქმა უნდა დაწყდებოდა, მაგრამ გარეგნულად არ შეიმჩნევდა.

მისალმებისას თავს კი არ ხრიდა, მაღლა აისროდა და მარჯვენა ხელსაც ააყოლებდა. სალამს უფრო ხშირად უხმოდ, ჟესტებით გამოხატავდა. ოთხჯიბიანი, ქამრიანი მოყვითლო ტილოს კიტელი ეცვა. ტილო რეცხვისგან საგრძნობლად მოკლდება და ამ უძველესი ქსოვილის მამა-პაპური თვისება არც ალექსანდრეს კიტელისთვის აღმოჩენილიყო უცხო რამ. სახელოები ისე დამოკლებოდა, რომ შორიდან იფიქრებდით, ალექსანდრეს პროფესიული ჩვევისთვის ქუჩაშიც არ უღალატნია, ქუჩაში მკლავებდაკარწახებული დადისო. სიარულის დროს შევარდნილ მუცელზე ჩამოცურებულ შარვალს ხშირად ხელით ისწორებდა. თვალის გუგებს მოყოლებული, გრძელი, ჩამოტეხილი წარბები და ისეთი მშვიდი თაფლისფერი თვა-

ლები ჰქონდა, რომ უმეტესწილად მთვლემარე კაცის შთაბეჭდილებას სტოვებდა. გრძელი სახით, მაღალი, კეხიანი ცხვირით და შუაზე პროპორციულად გაყოფილი სოლისებური ნიკაპით ძალიან გავდა დე გოლს.

ალექსანდრეს გვერდით ღრჭიალით გაჩერდა ავტობუსი. ქირურგი გვერდზე გახტა რადგანაც ავტობუსის გაჩერებას მისი ნახევრადღია კარებიდან ორმოციოდე წლის, თავგაპარსული შავპერანგიანი კაცის გამოვარდნა და საშინელი გინება მოჰყვა.

მგზავრი წინიდან ეცა ტროლეიბუსს და აკვარიუმის თევზივით მინის მიღმა დარჩენილ მძღოლს ღრიალით აუწყა:

– გააჩერე ტროლეიბუსი და ფეხი არ მეიცვალო, თვარა პირველს შენ გაგაგზავნი ბაბუაჩემის მამასთან!

– რა გინდა, კაცო?! – აყვირდა შოფერი.

შავპერანგიანი ახლა გვერდიდან მივარდა ტროლეიბუსს და ფანჯარასმოხუტებულ მგზავრებს ასეთი უმტკივნეულო წინადადება მისცა:

– გადმოდით თქვენი... თავები უნდა დაგაჭრათ ყველას!

საზოგადოებრივი ტრანსპორტის მგზავრთაგან მსურველი არ აღმოჩნდა.

მოძალადემ პერანგი შემოიხია და ასეთ ფორმაში მისი დანაქადები უფრო დამაჯერებელი და შემაძრწუნებელი ჩანდა.

– ახლავე ჩამოდით ძირს, თვარა აგაფეთქებთ ერთიანად. სულ ერთია ვერ წამიხვალთ! თქვენ სისხლს დავლევ, გელაპარაკებით!

ტროლეიბუსში მსხდომნი ჩუმად, დაფიქრებული სახეებით შესცქეროდნენ კაცს, რომელიც მანქანას მიმხტარ მარტორქასავით ბრდღვინავდა და, ღმერთმა ნუ ქნას, კარის გაგლეჯას ლამობდა.

ქუჩა სეირისმოყვარულებით გაივსო.

რამდენჯერაც დააპირა მძღოლმა მანქანის დაძვრა, შავპერანგიანი (სადღა იყო პერანგი, მის ნაცვლად გამწარებულ მოქალაქეს შავი ნაფლეთებიღა ეკიდა ტანზე) წინ გადაუდგა და ტროლეიბუსის პარპრიზს მუშტები დაუშინა.

ტროლეიბუსის მტერი ხანდახან საქმეს შეწყვეტდა, უკან მოიხედავდა და მაყურებლებს აფრთხილებდა.

– ფეხი არ გადმოდგათ! ღმერთი არ გაგიწყრეთ არავის!

ბოლოს ვიღაცამ მაინც გაარღვია წრე და სწორედ მაშინ წაავლო მკლავზე ხელი, როცა მოჩხუბარმა ორი დიდი ქვა აიღო და ტროლეიბუსის ფანჯრების ჩამტვრევა დააპირა.

– რა მოგივიდა, მაქსიმია?

მაქსიმემ მოიხედა. ეტყობა იცნო შეკითხვის მიმცემი და მისი მდგომარეობის კაცისთვის სრულიად შეუფერებელი სიმშვიდით მიუგო.

– არაფერი.

მერე ისევ შეტრიალდა, ქვები ერთმანეთს დაუჯახუნა და გულისამრევი გინება აღავლინა ტროლეიბუსში მსხდომთა მისამართით.

ნაცნობს მაქსიმე უკვე ორივე ხელით გაკოჭილი ჰყავდა. ნათელი იყო, სისხლი აღარ დაიღვრებოდა.

– მაქსიმე, ვინ გაწყეინა, მე მითხარი. მე განახებ იმის სეირს. ვინაა, რომელია? – ტროლეიბუსს თვალს არ აცილებდა გამზავებელი.

– ეს ტროლეიბუსი უნდა ამოვხოცო. არაფერი უშველის ამ საქმეს. – დაბეჯითებით თქვა მაქსიმემ.

– რატომ? რატომ?

– ღირსია და იმიტომ.

– მთელი ტროლეიბუსი?

– მთლიანად. არ მომეწონა არც ერთი. არც ერთს არა აქვს ადამიანიშვილის სახე. ეს ტროლეიბუსი უნდა დეიწვას, ასეა ეს! – ყვიროდა მაქსიმე.

ამასობაში მძღოლმა დრო იხელთა და ტროლეიბუსი საშინელი სისწრაფით გააქანა, მაქსიმეს კი სიბრაზისაგან ტირილი აუვარდა და კისერზე ჩამოეკიდა იმ ძმაკაცს, თავის ახირებულ სურვილში ხელი ასე ენერგიულად რომ შეუშალა.

ალექსანდრე ტროტუარზე მოაბიჯებდა და ფიქრობდა: „საგაზეთოა აბა რა არის ახლა ეს ამბავი. ასეთი რამ მხოლოდ ამ ქალაქში შეიძლება მოხდეს, მე ვთქვი, ალბათ მოსისხლე

ჰყავს ტროლეიბუსში და გამწარდა კაცი-მეთქი. თურმე ამას მთელი ტროლეიბუსი არ მოწონებია. ყველა მგზავრს ერთბაშად გასწყრომია. მოდი და ელაპარაკე; არც ერთს არა აქვს ადამიანიშვილის სახეო. მგზავრებიც რომ დამნაშავეებივით ისხდნენ და შესცქეროდნენ? ნეტავი, რომ გაეშვათ, რას იზამდა? არა, რაღაცა სჭირს ამ ქალაქს. აუღებელი ქალაქია, მორჩა და გათავდა. ახლა, ამ ეტაპზე, შეიძლება ჭკუათამყოფელმა კაცმა მთელ ტროლეიბუსს თავის მგზავრებიანჭანჭიკებიანად, შეჭმა დაუპიროს? რაღაცაშია საქმე...“

ბაზრის შესასვლელთან ერთი გნიასი და აურზაური იდგა. ქორვაჭრები და პატიოსანი მოქალაქენი სიცილით იჭაჭებოდნენ. სეირი ამჯერად ასეთი სახისა იყო: ორი ზორბა მილიციელი სიცხეს შეეწუხებინა, წესრიგის დაცვის ურთულესი საქმე ბედის ანაბარა დაეგდოთ და წუწაობა გაეჩაღებინათ. წყლით სავსე ვედროებით დასდევდნენ ერთმანეთს. ჯიბის ქურდებიც კი (რომელ ბაზარში არ შეხვდებით მათ) მოენუსხა ამ თვალწარმტაც სურათს. იდგნენ და სიცილისგან სულს ძლივს ითქვამდნენ.

სიროფიანი წყლის გამყიდველს, სპილოსფეხება ურიის ქალს მუშტარი ბლომად ჰყავდა. მეწყლე გამალებით მუშაობდა და ალექსანდრეს რიგმა ჩქარა მოუწია. ის იყო ჭიქა მოიმარჯვა და დასალევად განზე გადგა, რომ ზურგს უკან გარკვევით მოესმა:

– რა გიჭირს, რა, რატომ არ დალევ ტკბილ წყალს. ქვისლი ქე ჩამიწვინე მიწაში.

ალექსანდრემ წაუყრუა. გულით სურდა ეს სიტყვები მისი მისამართით არ ყოფილიყო.

– დასანდობი არაა არც ერთი ექიმი! – განაგრძო ხმამ და ალექსანდრე მიხვდა რომ გაება, რამდენადაც შეატყო, წყლის რიგში ექიმი მარტო თვითონ გახლდათ.

– თქვენ, ჩემზე ამბობთ? – შემოტრიალდა ალექსანდრე. მის წინ თავზე ცხვირსახოცწაკრული, დაბალი ტანის, სიმსუქნემორეული, ღორჯოსპირიანი მოქალაქე იდგა. მოქალაქეს ხელში საზამთრო ეჭირა.

– ვერ მიცნობთ, ახლა რავა მიცნობთ, აწი რაღა საჭირო ვართ. მაშინ უნდა დაგვემახსოვრებია შენთვის თავი! – დამარცვლით, საშინელი ჩურჩულით უთხრა ღორჯოსპირიანმა და განზე გაიხედა.

– ჩემზეა ლაპარაკი? – იკითხა შემცბარმა ექიმმა.

– მე მგონი თქვენს მეტი საშა გობრონიძე, ექიმი, ჯერ არავინაა ქუთაისში.

– ნამდვილად.

– რაღას გაიხსენებთ. ადამიანი თქვენთვის ბუზია. კაცის მოკვლაში ხუთი გიწერიათ ყველას. იმის მერე რამდენი გეყოლებათ გასტუმრებული საიქიოს. მარა, ეგება დაგვდოთ პატივი და მოიგონოთ, შარშანწინ, ჩემს ქვისლს მელიტონა კირვალიძეს ბრმა ნაწლავი ამოუჭერით და მეორე დღეს მოკვდა.

– რა გვარს?

– კირვალიძეს. ოკრიბელი მესანთლე იყო. მოხუცებული, ჩემი ტანის, ასე ჩასხმული, ასე ლამაზად ა, რავარც მე ვარ.

სხვა შემთხვევაში ალექსანდრეს გაეცინებოდა, რადგანაც ერთხელ კიდევ ააყოლ-ჩამოაყოლა მოსაუბრეს თვალი და საბოლოოდ დარწმუნდა, რომ გარდაცვლილი კირვალიძის ჭირისუფალს სილამაზის ნატამალიც არ ეცხო. უფრო სწორად, იმ ელეგანტურობის გახლდათ, რაც ლოტოს კოჭს გააჩნია.

რაც შეეხება მიცვალებულს, ალექსანდრემ გაიხსენა. მართლაც იყო ასეთი შემთხვევა. ავადმყოფს ბრმა ნაწლავი გასკდომოდა. ქირურგიული ჩარევა გვიან იყო. ორგანიზმი უკვე მოწამლული გახლდათ. პერიტონიტი სწრაფად ვითარდებოდა. ახლობლების დაჟინებული თხოვნით (მათ შორის, ეს კაცი არ ახსოვს) ალექსანდრემ მაინც გაკვეთა ავადმყოფი, მაგრამ უშედეგოდ.

– თქვენ გესმით რამე ამ საქმის? – ნახევრამდე დაცლილი ჭიქა დადო ალექსანდრემ. წყურვილმა ერთბაშად გაუარა.

– თქვენ რომ კარგად გესმით, იმიტომაა ჩემი ქვისლი ახლა შავ მიწაში! – გამოაცხადა ღორჯოსპირიანმა.

– რა გაყვირებთ! იცით რა მდგომარეობაში მოიყვანეს ჩემთან?

– კი. მკვდარი მოვიყვანეთ და გაგვიცოცხლეთ რამენაირათ-თქვა, გეხვეწებოდით.

– არა.

– მევიყვანეთ ცოცხალი და წევიღეთ მკვდარი. ასე არ იყო? რათ უნდა ახლა კამათი ამას.

– მე თქვენ არ გეკამათებით.

– ჩვენ რავა შეგვეკამათებით. ჩვენ ბნელი ხალხი ვართ, რომ გვეჩივლა მაშინვე, გეგვეშვით „კუტუსკაში“, სხვა საქმე იყო, ახლა რაღა დროსია.

– რა მქონდა დასაჭერი? – ხმა აუკანკალდა ალექსანდრეს.

– დღეში ხუთჯერ ხართ დასაჭერი. შენ კი არა მარტო: აქაური ექიმები ყველა, ფულზე ხართ გამეცადინებული. კაცი თქვენ ფეხებზე გკიდიათ, ასეა ეს!

ალექსანდრეს ცივმა ოფლმა დაასხა. საზამთროს პატრონი ირგვლივ მყოფთა გასაგონად ლაპარაკობდა. ექიმს მოეჩვენა რომ ღორჯოსპირიან მოქალაქეს ახლა სიმართლე კი არ აინტერესებდა, მას უბრალოდ ალექსანდრეს დამცირება, მისი ავტორიტეტის შერყევა, მისი გაბიაბრუება სურდა. და როგორც წყლის რიგში მყოფთა სახეებს ეტყობოდა, ექიმებზე გამწყრალი თავის მიზანს აღწევდა.

ექიმს გული შეეკუმშა და ყურების შუილზე იგრძნო, როგორ აუწია წნევამ. „ეტყობა, ცუდ ფეხზე ვარ დღეს გამოსული. სეირნობა, როგორც ჩანს, არ გამოდის, წავალ, ჩემს ძმასთან დავჯდები ცოტა ხანსო“, გაიფიქრა და ჩქარი ნაბიჯით გაშორდა ლანძღვის ექსტაზში შესულ მოქალაქეს. ალეექსანდრემ სწორი გადაწყვეტილება მიიღო. ქვისლდაკარგული იმ ადამიანების კატეგორიას ეკუთვნოდა, კამათით და მტკიცებით რომ ვერ გადაარწმუნებ. ამ ჩხუბში შეიძლება ექიმს ინფარქტი დაემსახურებინა. ღორჯოსპირიანს კი ვერაფრით გადაათქმევინებდა ექიმებზე ერთხელ და სამუდამოდ შემუშავებულ აშკარად მცდარ წარმოდგენას.

ალექსანდრე გობრონიძის უფროსი ძმა, პენსიონერი გრიგოლ გობრონიძე სტალინის ქუჩის დასაწყისში პიონერთა სასახლესა და აფთიაქს შორის ცხოვრობდა. ქირურგმა ქუჩა

მისი ასაკისთვის შეუფერებელი სისწრაფით გადაირბინა, რათა მოახლოებული ტრამვაისთვის გადაესწრო და ხიდის გასწვრივ ქვაფენილს დაადგა.

ხიდთან მისულს ტრამვაის გაბმული ზარი წამოეწია. ალექსანდრეს არ მოუხედავს, რადგანაც ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ფეხით მოძრაობის წესებს ზუსტად იცავდა და ნაბიჯს მოუჩქარა. ტრამვაის მომაბეზრებელი ზარი არ ცხრებოდა. ექიმს მოეჩვენა, რომ ხიდზე ტრამვაი მას მოსდევდა, რადგანაც უჩვეულოდ ნელი სვლის შემთხვევაშიც კი ამ მოძველებულ საზოგადოებრივ ტრანსპორტს ბრმა ნაწლავის ამოკვეთის სპეციალისტისათვის კარგა ხნის წინ უნდა გადაესწრო.

ალექსანდრე თითქმის გარბოდა. ტრამვაის გაბმული ზარი მისდევდა. ექიმმა ნაბიჯი შეანელა, ტრამვაიც მორჩილად მიჰყვა უკან. როცა ილაჯგაწყვეტილმა ალექსანდრემ მოიხედა, ტრამვაი მის გვერდით შუა ხიდზე გაჩერდა, ვატმანმა სიგნალის ღილაკს ხელი უშვა და კაბინიდან გადმოხტა. ქირურგმა უკან დაიხია და შეშინებული, ხიდის მოაჯირს გადაეყრდნო. ტრამვაის სახეგაბადრულმა მძღოლმა მოირბინა, ხელი ღონივრად ჩამოართვა ალექსანდრეს და ჯიბეში ჩაკეცილ ხალათის ცარიელ სახელოზე მიუთითა.

– ბატონო საშა, ვერ მიცანით?

– გიცანი, რავა ხარ? – ანგარიშმიუცემლად შეაგება ქირურგმა. იცნო. შარშან ამ ბიჭს მარცხენა ხელის ამპუტაცია გაუკეთა. საწარმოო ტრამვის შედეგად (ავტოქარხნის მუშა იყო, მკლავი სახარატო ჩარხში ჩატნეოდა) მარცხენა კიდური ისე იყო დაჩეჩქვილ-დაჟეჟილი რომ არაფერი ეშველებოდა. სიმსივნე ბეჭზეც გადასულიყო და შეიძლებოდა ორგანიზმისთვის ფრიად საზიანოდ განვითარებულიყო. ამიტომ ქირურგმა იდაყვს ზემოთ მოჰკვეთა მკლავი ავადმყოფს და ამით მოსალოდნელ სიკვდილს გადაარჩინა.

– როგორ ბრძანდებით, ბატონო საშა? – ექიმის ხელი ტრამვაის მძღოლს ღონივრად ეჭირა.

– რა ვქნა, ვწვალობ, – ამ ორიგინალურ შეკითხვაზე, ალექსანდრე ყოველთვის ასე პასუხობდა.

– წვალობთ კი არა, კარგად უნდა იყოთ. თქვენ ოქრო კაცი ხართ, თქვენნაირი კაცი არც მეგულება წიფის ტუნელს აქეთ.

– გმადლობთ, – დაიმორცხვა ექიმმა.

– ბატონო საშა, თქვენს პატივისცემას მე მიდღემჩი ვერ გადავიხდი, მარა ღმერთია მოწყალე. ჩემს ნაგრამს ანდერძად დავუბარებ თქვენს სიყვარულს და ხელზე კოცნას.

– კაი ერთი, თუ კაცი ხარ.

– ოთხივე ბავშვს გეფიცები, თუ ასე არ იყოს ეს. თქვენ მე სიცოცხლე მაჩუქეთ. მე თქვენთან რომ მომიყვანეს, ჩაქნეული მქონდა ხელი. გამოტირებული მყავდა ჩემი თავი.

ტრამვაი შუა ხიდზე იდგა. გრძნობამორეული ვატმანი წასვლას არ აპირებდა. უკმაყოფილო მგზავრებმა ფანჯრებს ტყაპა-ტყუპი აუყენეს.

– წადი ახლა, გეძახიან, – ტრამვაისკენ მიახედა ალექსანდრემ, მაგრამ ყოფილმა პაციენტმა მისი თხოვნა შორს დაიჭირა.

– არაფერი უჭირთ, მოიცდიან ცოტას. ვაიმე, რავარ დროს შემხვდით, ახლა, ბატონო საშა! – შეწუხდა ცალხელა.

– რავა გეკადრება, წადი თუ კაცი ხარ, ხალხი გიცდის.

– ასე უპატივცემულოდ როგორ გაგიშვათ. თქვენ იცით რა ხართ ჩემთვის? დილა არ გამითენდეს თუ თქვენსიგრძე სანთელს არ გინთებდეთ ყოველ აღდგომას პეტრე-პავლეს ეკლესიაში.

გაჩერებული ტრამვაიდან უკმაყოფილო შეძახილები და მუქარა ისმოდა.

– წადი თუ კაცი ხარ.

მძღოლი კვლავ აღტაცებით შეჰყურებდა თავის გადამრჩენელს და მოწიწებით უსვამდა ხელებს მხარზე.

– ბატონო საშა! – თითქოს რაღაც აღმოჩენას მიაგნოო. წამოიძახა მეტრამვაემ, – წამოდი ჩემთან, ადამიანობას გაფიცებ!

– აგერ მივდივარ, ძმასთან, ორ ნაბიჯზე. – განზე გაიწია საშამ.

– ამოდი და მიგიყვან. ზედ ჭიშკართან გაგიჩერებ. – პა-

სუხს აღარ დაელოდა მძღოლი, ალექსანდრეს მაჯაში ხელი ჩაავლო და თითქმის ძალით აათრია ვაგონის კიბეზე.

– რატომ შეწუხდი ახლა. ასე რავა შეიძლება, ჯერ ხალხს აცდევინე იმდენი ხანი. დაგიწერს ვინცხა. ა, აგერ ჩამოვალ, შემინელე პატარა და გადავხტები!

– რავა გეკადრება, ბატონო საშა. ძლივს შეგხვდი ჩემს საყვარელ კაცს და ასე გაგიშვებ? ამას მე მოვუვლი.

– რას მოუვლი, სამსახურში ხარ. ხომ არ გადაირიე ჩემი მტერი?!

ტრამვაიმ სისწრაფეს უმატა.

– შენ არ მომიკვდე, არ გაგიშვა, საშა ბატონო. ჩემს გადამრჩენელს, საიქიოდან ჩემს მომბრუნებელს პატივი თუ არ ვეცი, რა ჯანდაბათ მინდა თავი. ახლავე სადგურის მოედანზე გავალთ. დავცლი ამ უპატრონოს და გადავაყენებ რელსიდან. ათი წუთის ამბავია სულ.

– აჰ, არავითარ შემთხვევაში! არ ქნა მაგი, თვარა დაგკარგავ სამუდამოდ! – იყვირა ალექსანდრემ, მაგრამ თვითონვე იგრძნო, რომ არაბუნებრივად გამოუვიდა, უფრო განწირულადაც რომ ეყვირა, ტრამვაის მძღოლი დღეს მისი გამშვები აღარ იყო.

ბოლო გაჩერებაზე მეტრამვაემ გაჩერებასთან შეკრებილთ განუცხადა: – ტრამვაი პარკში მიდის, გაფუჭებულია, სარემონტოა ყოველ წუთს, ამას წაეკიდა ცეცხლი. მეორე მოდის უკან!

არც კი დაინტერესებულა იმით, თუ რა რეაგირებას მოახდენდა მისი ნათქვამი ლოდინით მოღლილ მგზავრებზე. ტრამვაის სახელური ოდნავ შეატრიალა და ცარიელი მანქანა რახრახით გააქროლა.

* * *

„ხმას არ გავცემ. ისე რას შემატყობს, ხმას არ გავცემ არავის. ჩუმად შევალ ჩემს ოთახში. რაღაცა თავი მტკივა-თქვა ვიტყვი და დავწვები. რას მიხვდება. რა დავლიე, კაცმა რომ

თქვას? იმ დღეს სხვა იყო. იმ დღეს დილიდან ვსვამდი. მინდოდა ახლა მე დღეს დალევა? არ მინდოდა, მარა, თქვას ახლა ვინმემ რამე. კაცმა ჩემი გულისთვის ტრამვაი დააყენა. არ წაყვები, არ მიუჭახუნებ ჭიქას? რას ეტყვი? გარედან მაყურებლისთვის, კი ბატონო, იოლი სათქმელია. აბა ჩავარდნილიყავი ჩემს დღეში, თუ დაიძვრენდი თავს. მომსდევდა კაცი, გაქანებული ტრამვაით მომსდევდა. ვინ გამეგეკიდება, ვინ მოიკლავს დღეს შენი გულისთვის თავს. უჰ, ავშენდი კაცი, დოლის ხმა არ ისმის. ეტყობა წასულა სადღაც. რა ვქნა ახლა. უკრას და იყოს. ჯანმრთელად იყოს და არ დავეძებ არაფერს. არ უნდა ეს წიგნი და მოკალი თუ გინდა. თუ კაი მედოლე დადგა, პურის ფულს ქე იშოვის და მე სანამ ცოცხალი ვიქნები, მაგისთვის არ ვარ? ვისთვის მინდა აბა რამე. ახლა მთავარია ჩუმად შევიდე და მის მობრუნებამდე დავიძინო. რა სიწყნარეა ამ ეზოში. არ დაისვენა ყურებმა? მაინც ნამეტანს შვრება. მოაბეზრა ხალხს თავი. დილიდან საღამომდე ვინ მოგითმენს დოლის ბრახუნს. სხვა ქალაქში რომ ვცხოვრობდეთ, გაგვასახლებდნენ ამდენ ხანს“, – ამ ფიქრებში გართულმა ალექსანდრე გობრონიძემ ჭიშკარი შეაღო, ფეხი არ ამერიოსო და სერიოზული სახით, ნელი, დათვლილი ნაბიჯებით გაემართა კიბისაკენ, მაგრამ კიბის პირველი მონაკვეთი ჯერ არ აეთავებინა, რომ დოლის უეცარი ბრაგუნი მუხლებში ეძგერა და სასო წარუკვეთა.

ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო. საფეხურზე ფრთხილად გააფინა, ნელ-ნელა დაეშვა და დაჯდომისას ხელით ერთხელ კიდევ მოსინჯა, მტვრიან კიბეზე არ ვჯდებოდე და ცხვირსახოცი განზე არ დამრჩესო.

იჯდა იდაყვსდაყრდნობილი და დაღლილი, განაწამები სახით სიბნელეს შეჰყურებდა.

ბებერი

ახალგაზრდული დასასვენებელი სახლის „მზეწვიას“ წესიერ დამსვენებლებს კარგა ხანია მშვიდი ძილით ეძინათ, როცა მეშვიდე კორპუსის კიბეს ფეხაკრეფით მიუახლოვდა კაცი, რომლის შესახედაობას და ასაკს მისი მიხრა-მოხრისა და ფრთხილი, მოზომილი ნაბიჯების მიხედვით ვერაფრით ვერ გაარკვევდით.

იქნებოდა ასე, ღამის სამი საათი.

ღამეულმა სტუმარმა შესასვლელის სახელური ერთი-ორჯერ გადასწია და რაკი დარწმუნდა, რომ კარები დაკეტილი იყო, კედელს ზურგით აეკრა და ეზო მოათვალიერა.

კაციშვილი არ ჭაჭანებდა.

ყოველი წუთი ძვირფასი იყო. კიბის ბოლოსაკენ გაჩოჩდა და შავად აბიბინებულ ბალახებს ავად ჩააცქერდა. ეტყობოდა, გზის მოჭრის მიზნით გადახტომას აპირებდა, მაგრამ გადაიფიქრა და ყაჩაღურად, იდუმალი პაუზებით ჩაუყვა კიბეს.

სახლს უკანა მხრიდან მოექცა. შარვალ-პერანგი გაიხადა, ერთმანეთს გადაასკვნა და თავზე შემოიხვია. ფეხსაცმელები თასმებით გადააბა და მხარზე გადაიგდო, საწვიმარი მსხვილი მილი ხელით მოსინჯა და დასასვენებელი სახლის არასაუწყებო დაცვის მისამართით ისეთი უხერხული რამ ჩაილაპარაკა, რასაც უთავბოლოდ შეთამამებული ჯიბგირებიც კი ყურში ეუბნებიან ერთმანეთს და მერე ყველანი (რაც მათი სოციალური მდგომარეობის პირთაგან სრულიად მოულოდნელია) წითლდებიან.

საწვიმარი მილი, ცოტა არ იყოს, დაჟანგული იყო და უცნობს ფეხი არ უსხლტებოდა, მაგრამ სანამ მეორე სართულს ააღწევდა, ცოტა ჯაფა როდი დაადგა.

აივანს რომ მიადგა, გულზე მოეშვა. ოთახის კარი ღია იყო. ფეხაკრეფით აუარა გვერდი საწოლებს. სიბნელეში ხე-

ლისფათურით მოძებნა სკამი, თავ-კისრიდან უცნაური ბარგი ჩამოიხსნა, ფეხისგულებიდან ხელით ჩამოიფერთხა მტვერი, ლოგინზე წამოწვა, მუხლი გამართა და ხელები თავქვეშ ამოიდო. ოთახში ხუთი იაფფასიანი საწოლი იდგა კუთხის საწოლიდან მოზომილი ხვრინვა ისმოდა. დანარჩენებს კი ასატანი ფშვინვით ეძინათ. ის იყო საბოლოოდ დარწმუნდა, ვერავინ შემამჩნიაო, რომ სწორედ გვერდითა საწოლიდან ყურში ჩასჩურჩულეს:

– რა ქენი?

– რა უნდა მექნა? – ჩურჩულითვე უპასუხა მოსულმა.

– აბა რას დაწანწალებ ამ შუაღამეზე გლახა ძაღლივით.

– ნუ იკბინები!

– რა გაყვირებს, ხალხს სძინავს, შენი გულისათვის მეც ვერ დავიძინე. თავი გამისკდა. რომელი საათია? – დამხვდურმა პასუხს არ დაუცადა, კარადიდან საათი აიღო და მთვარის სინათლისაკენ შეატრიალა, – სამი ყოფილა. სად დაბორიალობდი მაინც აქამდე?

– რა მნიშვნელობა აქვს. აქ ნიანგს არავინ იჭერს და უძიროებს არავინ კერავს, ყველა ერთ საქმეს აკეთებს და მეც იმ საქმეზე ვიყავი.

– რა საქმეზე?

– არ იცი ვითომ? ჯერ თორმეტის ნახევრამდე ცეკვებზე ვიყავი. მერე ვინცხა ინჟინერ ქალთან ვიჯექი სკამეიკაზე ზღვის ნაპირას. კარგად, ლამაზად, მე ჩემი ვუთხარი, იმან თავისი მითხრა და ამასობაში ქე მოვიდა ორი საათი. მერე სანამ ის გადავახოხე თავისი სანატორიუმის ღობეზე და უკან გამოვბრუნდი, ეს დროც გავიდა.

– მერე კმაყოფილი ხარ?

– რისი?

– შენი გამხმარი თავის.

– რა გინდა, რას მერჩი?

– მაგის გულისათვის აუთოვებდი ორ საათს შარვალს? მაგის გულისათვის იყენებდი 105-ზე ულვაშებს?

– ცხოვრება ესაა, აბა ღამის ათ საათზე ჩვენ თბილისშიც

კარგად ვიძინებდით. აქ ძილისათვის კი არ ვართ ჩამოსული.

– მენ მაგას არ გეუბნები. ღამის სამ საათამდე ქურდივით ქუჩაში ხეტიალი ხომ უნდა ღირდეს რამედ.

– ხან ასე იქნება და ხან ისე. ყოველთვის კი არ შეგხვდება შენი ჭკუის.

– ვაი, რა ცანცარა ხარ, ნუგზარ ჩემო?

– რა კაცი მარიგებს ჭკუას? როდიდან დაბრძენდი ასე? არ გახსოვს „ტანცების“ გულისათვის რვა კილომეტრს რომ აკეთებდი და მთელი ლესელიძე აკლებული გქონდა?

– მერე როდის იყო ეგ ამბავი?

– როცა იყო, ხომ იყო.

– მაშინ მესამე კურსის სტუდენტები ვიყავით. ახლა კაი ორმოცი წლის ვირები ვართ, შენ თავს ვერაფერ სხვაობას ატყობ? არ იხედები სარკეში?

– სარკეში რომ ვიხედები იმიტომ წამოვედი აქ. ყოველღამე ყურში ჩამჩხავის ჩემი წილი სიბერე. მინდა პატარა დრო ვატარო, სანამ შემიძლია.

– უნდა გიხდებოდეს, რასაც აკეთებ.

– ახლა მაგაზე ფიქრით მოვიკლავ თავს. ვინ გაიგებს, რა მიხდება და რა არა. აქ მაინც არავინ მიცნობს, კარები დაკეტილი დამხვდა, საწვიმარს ამოვყევი, დაიქცა ქვეყანა?

– ქვეყანას რას უყურებ. რომ დაენახე ვინმე ნაცნობს შემთხვევით?

– ისიც ჩემნაირი ნაცნობი იქნებოდა, თორემ შენნაირ ნაცნობებს ამ შუაღამისას რა უნდა გარეთ.

– დაიძინე, დაიძინე. სულერთია, შენ კაცი ვერ გადაგარწმუნებს.

– რა გადარწმუნებები და გადაკეთებები შეგიჩნდა, გენო. პატარა უნდა შეებრძოლო შენს თავს, ხომ ხედავ, სიბერე იმდენად სხეულის თვისება არ არის, რამდენადაც ხასიათის თვისებაა.

– ეგ შენი სიტყვები არ არის.

– ვისიც არის, ხომაა.

– მე სიბერეზე კი არ გეუბნები. მე უჭკუობაზე და უაზრობაზე მაქვს ლაპარაკი.

– მაინც?

– თუ გინდა ამაღამ მიტოვებული შუქურა რომ დგას ქალების პლიაჟზე იმის წვერზე ავფორთხდები, მარა ხომ უნდა ჰქონდეს აზრი.

– რა აზრი?

– რაღაცას ხომ უნდა ნიშნავდეს, რაღაცას ხომ უნდა გაძლევდეს შენი ეს თავაწყვეტა. რანაირად შეგიძლია მთელი საღამო ირიკო და მერე ვიღაც სულელი ქალის იაფი აზრები ისმინო ღამის ორ საათამდე.

– ამას გეუბნები მეტს კი არაფერს, ესაა სიბერე, მეტი კი არაფერი, რაღაცა ხომ უნდა მოყვესო? ნაღდი, შე კაი კაცო, ცეკვებზე გაცნობილი კი არა, ისიც არ არის ბებიაჩემი რომ ყველს დააყენებს. ეგება საკვეთომ არ გაამართლოს და აიჭრას რძე.

– როცა ამდენს ელაპარაკები, რაღაცით ხომ უნდა გაინტერესებდეს.

– მე ყველასთან ლაპარაკი მაინტერესებს. გამოვიწერ ახლა შენთვის ინტელექტუალურ მოსაუბრეს.

– ესაა ცანცარობა, მეტი კი არაფერი.

– ვიყო, ბატონო, ცანცარა.

– უნდა იცოდე სად ხარ. დამსვენებლების სასაცილოდ და საგლახაოდ ნუ გაიხდი თავს.

– რას ვუყურებ სხვას. სხვისი ჭკუით სიარული მეყოფა. ამ ოცდაოთხ დღეს მაინც ვიქნები ჩემს გემოზე.

– ო, რა გემოზე ხარ.

– რატომაც არა.

– არ გეზარება მაინც ხუთი კაცის ხვრინვის მოსმენა და დილას ტუალეტის რიგში დგომა?

– უნდა მიეჩვიო ყველაფერს. ახალგაზრდულ დასასვენებელ სახლებში ყველგან ასეა.

– არ მოგბეზრდა ეს უჭკუო ლაქლაქი? დამაძინე ახლა.

– დევიძინოთ, ბატონო. შენ მელაპარაკები და მე პასუხს გაძლევ. თორემ მე ჩუმად მოვედი ჩემთვის და არავინ გავაღვიძოთ-თქვა სულს ცხვირით ვითქვამდი.

– ა, ჭკვიანი ხალხი. თავის დროზე მოვიდნენ და სძინავთ, – თქვა გენომ და საწოლებს გადახედა.

გენო არ იყო მართალი. ოთახში კიდევ ერთ კაცს არ ეძინა. ეს იყო სამარყანდელი სტუდენტი ხამიდი. ხამიდი მეგობრების ჩურჩულმა გამოაღვიძა. თავზე საბანი წაიფარა და მოინდომა გამოერკვია ჩხუბობდნენ თუ მშვიდად კამათობდნენ მაგრამ ვერაფერს გახდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ქართული არ იცოდა.

* * *

გენო შარიქაძე ცოლ-შვილს ადრე მოეკიდა. თუ სადმე იყო მშვიდი და წყნარი ოჯახი, გენო შარიქაძის ოჯახიც იყო, თუ ვინმე გახლდათ მოსიყვარულე ქმარი და მამა, გენოც იყო. სამსახურის მერე სულ შინ იჯდა და დასვენებითაც უცოლშვილოდ არასოდეს დაუსვენია. ამ ზაფხულს უღალატა თავის ჩვეულ ტრადიციას. ამ ზაფხულს გატეხა ნავსი. ცოლს უთხრა, ლექციების წასაკითხად მივლინებით მგზავნიანო (გენო, პედაგოგიურ ინსტიტუტში მუშაობდა და „ცოდნის“ ლექტორიც იყო) და ნუგზარ ფხაკაძესთან ერთად ახალგაზრდულ დასასვენებელ სახლში დაიდო ბინა. ნუგზარიც წვრილი ცოლ-შვილის პატრონი გახლდათ და გეოფიზიკის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მუშაობდა. როცა გენოს გადაწყვეტილება გაიგო, სიხარულისაგან კინაღამ შეხტა, საირმეზე მკურნალობის აუცილებლობა მოიმიზეზა, ცოლ-შვილი წყნეთს შეაფარა და „მზეწვიასაკენ“ გამოეშურა. ნუგზარი და გენო ბარე ოცი წლის მეგობრები იყვნენ. სტუდენტობისას მოვლილი ჰქონდათ შავიზღვისპირეთის კურორტები, რაც ოჯახის კაცები გახდნენ, ერთად აღარ დაუსვენიათ. და აი, თვრამეტი წლის შემდეგ ისინი კვლავ ერთად შეყარა განგებამ.

დასასვენებელი სახლის ადმინისტრატორს, შუახნის კარგად შენახულ ქალს, ესიამოვნა მის მაგიდას ორი ახოვანი, საფეთქელშევერცხლილი მამაკაცი რომ მიადგა. კარგა ხანს უჟუჟუნა თვალები ამ დაწესებულებისათვის ასაკით ცოტა

არ იყოს უჩვეულო დამსვენებლებს, მაგრამ მათი მხრიდან ვერავითარი დაინტერესება რომ ვერ იგრძნო, გაბრაზდა და მოსულნი ხუთკაციან ნომერში შეასახლა, თუმცა ნაკადი ახლად ივსებოდა და ორადგილიანი ოთახები ცარიელი იყო.

გენოს, რასაკვირველია, არ მოეწონა საერთო ნომერი. მიდგა-მოდგა, დირექტორთანაც შევიდა და უფროს დიასახლისსაც სთხოვა, აქაოდა გული მაწუხებს, ხუთკაციანში ჩემი შესახლება არ შეიძლებაო, მაგრამ ვერას გახდა. ადმინისტრატორმა თავისი გაიტანა. ამ გასაჭირს რომ გადარჩენილიყვნენ თავიდანვე საჭრო იყო ერთი მრავალმნიშვნელოვანი ღიმილი და მეტი არაფერი. ადმინისტრატორ ქალს ძალიან უყვარდა, როცა ულიმოდნენ. პირველივე წარუმატებლობით გულშემოყრილი გენო ნუგზარმა დაამშვიდა: „ჩვენ ხომ მხოლოდ იმისათვის არ ჩამოვსულვართ ოთახში მარტო ვიყოთ და ერთმანეთს ვუყუროთო. მშვენიერი ბიჭები ჩანან, ესენი ჩვენ ხელს არ შეგვიშლიანო. ესეც არ იყოს, ხომ გაინტერესებს, რა ხალხია, რა სულისკვეთების, რა ჭკუა-გონების; ასე ახლოს ჩვენ არასოდეს ვყოფილვართ ამ ასაკის ახალგაზრდებთანო.

გენო ბედს დამორჩილდა და აივანსმიდგმული პირველივე საწოლი დაიჭირა. ეს საწოლი; მართალია, ჰაერიან ადგილას იდგა, მაგრამ ყველა დაგვიანებულს გენოს საწოლთან უნდა გამოევლო, რაც ნორმალური ძილისათვის ფრიად საეჭვო პირობებს ქმნიდა.

ნუგზარისა და გენოს ამ არალეგალურ დასვენებას სხვადასხვა მიზეზი ჰქონდა: გენომ ერთ საღამოს სამსახურიდან ჩვეულებრივ ბაზარში გამოიარა და როცა სურსათ-სანოვაგით დატვირთული თავის სადარბაზო შესასვლელთან ლიფტს უცდიდა, კიბეზე თავპირისმტვრევით დაშვებული თავისი თოთხმეტი წლის ბიჭი კინაღამ ზედ შეასკდა. ბიჭმა გაუცინა, „ვაკის პარკში მივდივარ, მამიკო, დედა და ნანა (ნანა გენოს უფროს ქალიშვილს ერქვა) იქ არიანო“, ესროლა და ქუჩას შეერია. ლიფტი არ მუშაობდა. გენომ წელის თრევით აიტანა მეათე სართულზე გატენილი ჩანთა და როცა კარი შეაღო პირდაპირ სარკეს მიაშურა. „ერთი ასე უნდა ჩავიხედო, რა

სახე მაქვს, სამსახურიდან მოთრეულს და ბაზარში გაწამებულს. მაქვს თუ არა მართლა ისე საწყალი გამოხედვა, როგორც სხვებსა აქვთ. ჩემს დღეში მყოფთ“. გენომ დიდხანს ათვალიერა სარკეში თავი და პირველად მის ცხოვრებაში უჩვეულო ფიქრებმა შეიპყრო. „ამისათვის ვიკლავდი თავს? ესაა ცხოვრება? ამას ჰქვია წუთისოფელი? რატომ, რისთვის, რა მიზნით გადავიქეცი მეწველ ფურად? კარგია, ჩემმა მზემ. მზამზარეულს რამე სჯობია? ისე მომიწყვეს საქმე, რომ ჩხუბისთვისაც არ მრჩება დრო. მიზეზსაც ვერ იპოვი. ესენი დაკავებული არიან საქმეებით. ცოლი, ამხელა ოჯახის მოვლა – რეცხვა, სადილი, წამსვლელი, მომსვლელი, ათად ხომ ვერ გაიჭრება! შვილები? – სკოლა, უცხო ენა, სპორტი, გაკვეთილების მომზადება. ნახევარი საათიც კი არა აქვთ თავისუფალი. ყველაზე „მოცლილი“ კიდევ მე ვარ. კეთილი უნდა ვინებო და სამსახურიდან ბაზარში გამოვიარო. კეთილი უნდა ვინებო და მეათე სართულზე უნდა ვათრიო კომბოსტო და კარტოფილი. ვის თხოვ პასუხს, განა შენი ნებით არ გაყავი ამ უღელში თავი? განა ყველა ოჯახის კაცი ასე არ იქცევა? ნუ ფილოსოფოსობ. გაიხადე ფეხზე. ხილი სარეცხ ცხრილში ჩაყარე, არ ჩაცხელდეს და არ ჩაიხუთოს. ხორცი და მწვანილი მაცივარში შეაწყვე. ნუ იღრინები და უკმაყოფილო სახით ნუ ათვალიერებ სამზარეულოს. ნუ გეშინია, ჩინ-მენდლებს არავინ აგყრის, ოქროსავით ცოლ-შვილის პატრონი ხარ. მიდი, მიდი, გასწიე“. და გენოს ერთბაშად მოეჩვენა, რომ ორთვალაში შებმული ჯაგლაგი იყო, რომელსაც თვალებთან ტყავის ნაჭრები ჰქონდა აფარებული, რომ გვერდზე არ ეცქირა. სადავე ცოლს ეპყრა ხელთ და ხარხარებდა.

არ ვიცი ამგვარი უცნაური და უადგილო ფიქრები სხვა მამებსაც თუ მოსვლია თავში, მაგრამ გენოს არსება იმდენად შეიპყრეს, რომ პედაგოგიური ინსტიტუტის ლექტორმა მაცივარში ანგარიშგაუწევლად ფეხსაცმელები შეაწყო და ფეხსაცმლის კარადაში გაზეთში გახვეული ხორცი შეჩურთა.

„ჩემს თავს თუ არ მივხედე, ცოტა თუ არ ავიშვი, სიბერე კარებზე მიკაკუნებს და ამათგან არავითარ ხეირს არ მოვე-

ლი“ – დაასკვნა და სწორედ მაშინ გადაწყვიტა ახალგაზრდული დასასვენებელი სახლის „მზეწვიას“ საგზური ეშოვნა და გარდასული ყმაწვილკაცობა ოცდაოთხი დღით მაინც დაებრუნებინა.

რაც შეეხება ნუგზარს, მას გენოს მსგავსი უგემური ფიქრებისათვის არ მოუცლია. მან უბრალოდ მეგობარს მხარი აუბა და როგორც ამაღამდელი ეპიზოდიდან დავინახეთ, „მზეწვიასაც“ მალე აუღო ალღო. უნდა გამოვტყდეთ, რომ პედაგოგიური ინსტიტუტის თანამშრომელი უკვე ნანობდა აქ ჩამოსვლას. მესამე დღე იყო, რაც ახალგაზრდულ დასასვენებელ სახლში ათენ-აღამებდნენ და გენოს მოსწყინდა. ეჩვენებოდა, რომ იგი „მზეწვიაში“ სრულიად ზედმეტი იყო, სხვებს ხელს უშლიდა, ვიღაცის ადგილს იკავებდა. თავიდანვე მოინდომა სტუდენტ დამსვენებლებთან თამამი და უშუალო დამოკიდებულების დამყარება, მაგრამ არ გამოუვიდა, ბიჭები, „ბატონოსა“ და „პატივცემულოს“ გარეშე სიტყვას არ ეტყოდნენ და გენოც მოეშვა. რაც დრო გადიოდა, მით უფრო უფუჭდებოდა გუნება. უფრო და უფრო ღრმავდებოდა უფსკრული, რაც მისი აზრით მასა და ამ ოცი წლის ყმაწვილებს შორის გაჩენილიყო. „ტყუილად ვკარგავ დროს. ამათ ჩემი არ ესმით და მე კიდევ მათი. სულ სხვა ხალხი მოსულა. ინსტიტუტში ეს განსხვავება ასე მძაფრად არ იგრძნობა, იმიტომ რომ იქ ყველაფერი თავის ადგილზეა. იქ მე კათედრაზე ვდგევარ და ვღაღადებ. ლექტორი ვარ – დაფასებული და პატივცემული. სტუდენტებში გათქვეფის საშიშროება არ არსებობს. მე მათ მხოლოდ ათასში ერთხელ ვხვდები თავისუფალ გარემოცვაში – ექსკურსიებზე, მაგრამ იქაც იშვიათად იშლება დისტანცია, რაც ჩვენ შორის არსებობს. აქ კი სულ სხვაა. არ მეგონა თუ ასე წავიდოდა საქმე, თორემ რა ჯანდაბა მაქნევინებდა აქეთ პირს“ – ფიქრობდა იგი და ნელ-ნელა ეპარებოდა სიბრაზე მის ირგვლივ მორიალე სრულიად უდანაშაულო ადამიანების მიმართ. გენო ვერაფრით ვერ აგიხსნიდათ, საიდან მოდიოდა ის შინაგანი ქიშპი, უკმაყოფილება, ცოტაოდენი შულლიც ამ ორმოცს მიღწეულ კაცს ახალგაზრდებთან რომ აკავშირებდა, რა უნდოდა, რას მოითხოვდა,

რა დაუშავეს? ფაქტი ის იყო, რომ დღითი დღე ყველაფერი აღიზიანებდა; მათი ერთმანეთთან გადაბმული მეგობრობა, მათი გაუთავებელი ხალისიანობა და ხშირად უმიზეზო სიცილიც, წუხელი ბიჭები დაწოლისას მთელი საათი ჩურჩულებდნენ, მერე ხითხითი ატეხეს და ვერაფრით ვერ დაიოკეს, ხამიდიც აიყოლიეს დაა სამივენი გულიანად ხარხარებდნენ. წუთით გაჩუმდებოდნენ, ერთმანეთს მიაშტერდებოდნენ და ისევ იწყებდნენ ხარხარს. გენოს მოთმინების ფიალა აევსო, ნერვები დააწყდა, წამოდგა და სიცილისაგან სუნთქვაშეკრულთ თავზე დაადგა. სიცილი ერთბაშად შეწყვიტეს, მაგრამ როგორც კი გენომ სთხოვათ, გამაგებინეთ ერთი რაზე იცინოდითო, ისევ დააღეს პირები და სიცილისაგან აძიგძიგდნენ. ბოლოს, როგორც იქნა, სული მოითქვეს და სანამ სიცილის ახალ პარტიას დაიწყებდნენ, სწრაფად აუხსნეს გენოს, თუ რაზე იცინოდნენ. აუხსნეს და ისევ გაიტაცათ სიცილის ტალღამ. იმდენად სულელურად და უმნიშვნელოდ ეჩვენა გენოს მათი სიცილის მიზეზი, რომ ერთი გაიფიქრა, წამოვყრი ახლა ამ ლაწირაკებს და პანღურის კვრით გავყრი გარეთო. მერე ერთბაშად მოეშვა, ლასლასით მივიდა თავის საწოლთან, პირქვე ჩაემხო და ყურებში თითები გაირჭო, რომ ბიჭების უტიფარი უზომო ხარხარი არ გაეგონა.

დღისით გენო, როგორც იყო, ერთობოდა, რადგანაც მზიანი ამინდები დაიჭირა და პლიაჟს არ შორდებოდა, ვახშმის შემდეგ იწყებოდა მისი წამება. სერიოზული სახეებით გარბოდ-გამორბოდნენ ახალგაზრდები, რიგი იდგა დერეფანში გამოტანილ ერთადერთ ჩამრთველთან, კედელს აჰკვროდნენ ელექტროსაპარსმომარჯვებული გრძელთმიანი ბიჭები და ხმამაღლა კამათობდნენ, გენოს აზრით, რაღაც უმნიშვნელო, ყველასათვის ნათელ მოვლენებზე. გოგონები უთოს ხელიდან სტაცებდნენ ერთმანეთს და წივილ-კივილით იკლებდნენ იქაურობას. კარგად შეღამებულზე დასასვენებელი სახლის ასფალტის მოედანზე ორკესტრი აგრიალდებოდა და კორპუსები ერთბაშად დაცარიელდებოდა. ყველანი საცეკვაოდ გაიკრიფებოდნენ. ღამის თერთმეტ საათზე ორკესტრი მიწყნ-

არდებოდა და ორი საათის შემდეგ შეყვარებულები ორ-ორად ფეხაკრეფით, მაგრამ არცთუ სხვებისათვის შეუმჩნეველი კოცნა-ხვევნით მოაცილებდნენ ერთმანეთს.

თვითონ ხომ ამ დღეში იყო, გენოს გულს ურევდა ნუგზარის ენერგიული სწრაფვა პირობებთან შეგუებისაკენ, ვერ გაიგებდით, გეოფიზიკის სპეციალისტი თავს იბავშვებდა თუ იგიჟიანებდა. იგი მთელი არსებით იყო ჩაბმული საერთო ფერხულსა და აჟიოტაჟში. ვერცხლისწყალივით სწრაფად იცვლიდა ადგილს. სრულიად უცნობებს ისე უტიფრად გამოელაპარაკებოდა, რომ გენო სირცხვილისაგან თვალებს ხუჭავდა. თუ ცოტა უკმეხად დაელაპარაკებოდნენ, ნუგზარს გული როდი მოსდიოდა, უცერემონიოდ გაშორდებოდა თავის ახალ ნაცნობს და სხვებისაკენ გარბოდა. ამაოდ არიგებდა ყოველ დილით გენო, ნუ ხტუნავ, ცოტა თავი დაიფასეო. როცა გრძელ სასადილო მაგიდას მიუსხდებოდნენ, ნუგზარი ლოკატორივით ატრიალებდა თავს – ზოგს თვალს უკრავდა, ზოგს ჰაეროვან კოცნას უგზავნიდა. მთელი დასასვენებელი სახლი თავის გუნებაში აღრიცხული ჰქონდა. იცოდა ვინ როდის ჩამოვიდა და ვინ როდის მიდიოდა, ვინ ვისი საყვარელი იყო და ვინ ვის უბრალოდ, უანგაროდ მოაცილებდა ყოველგვარი მიზნის გარეშე. ამგვარი საქციელის გამო გენო ნუგზარსაც ხშირად უმართავდა აშკარა თუ ფარულ პოლემიკას. „ეს ვინ ყოფილა, აქამდე როგორ არ ვიცოდი თუ ასე მჩატე კაცი იყო“, – გაიფიქრებდა ზოგჯერ გენო გეოფიზიკის სპეციალისტზე და ოცწლიანი მეგობრობა რომ არა, ვინ იცის რა ბედი ეწერა ამ ორი ჭკუადამჯდარი კაცის ხვალინდელ ურთიერთობას. გენოს უფრო იმაზე წყდებოდა გული, რომ მას არაფრის შეცვლა არ შეეძლო. ნუგზარი მთელი დღე ღიმილით უსმენდა და ბოლოს მაინც თავისას აკეთებდა, საღამოს თმას გაიჩეჩავდა, პერანგს სამ ღილზე შეიხსნიდა, ნათხოვარ ფართო ქამარს შარვალზე გარედან შემოირტყამდა (რადგანაც საქამრეში არ ეტეოდა), და საცეკვაოდ გარბოდა. ყოველთვის შუაღამისას ბრუნდებოდა გასავათებული და მთელი ღამე მკვდარივით ეძინა.

...გამაყრუებლად გრიალებს ორკესტრი. საცეკვაო მინდორზე ნემსი არ ჩავარდება. თუ ერთი წუთით მაინც დათმე პოზიცია, მორჩა, საცეკვაო ფართობს უნდა გამოეთხოვო. ამიტომაც ცეკვის მოყვარულნი შუალედებში მოედნიდან არ გამოდიან. გულზე აუხუტებიათ თავიანთი მოცეკვავე პარტნიორები და ორკესტრის კვლავ აჟღრიალებას ელოდებიან... ორკესტრი, ეტყობა, ნებაყოფლობით საწყისებზეა შექმნილი. თავი მოუყრია შვიდიოდე საეჭვო მუსიკალური მონაცემების მქონე ახალგაზრდას და ბალაგნის პრინციპით ისვენებენ, ჯერ ერთ დასასვენებელ სახლში ჩამოხტებიან, სამ-ოთხ დღეს საწოლისა და კვების ანგარიშზე დაუკრავენ, როცა მასპინძლები გაუგებენ, რომ ამ „მუსიკოსებს“ ჭეშმარიტ ხელოვნებასთან ცოტა რამა აქვთ საერთო, ორკესტრი აიყრება და უკმაყოფილო ბუზღუნით („რა ესმის ამას მუსიკის“) სხვა სანატორიუმში გადადის. ამასობაში სეზონიც გავა და სახელდახელო ორკესტრის წევრები თავიანთ ბუდეებს მიაშურებენ.

მოაჯირს მიყრდნობია გენო და აგზნებული გასცქერის საცეკვაო მოედანს. კარგი ჰქნა რომ წამოვიდა. გენომ აღმოაჩინა, რომ მოცეკვავე წყვილების ცქერა სიამოვნებას ჰგვრიდა. აკვირდებოდა მათს სახეებს, გამომეტყველებას, ჩაცმულობას, მიხრა-მოხრას. ადარებდა ერთმანეთს, თავის თავს, გამოჰქონდა უმეტესწილად ცოტა არ იყოს საკამათო დასკვნები და თავს ირთობდა. ცეკვით მარტო ერთხელ იცეკვა. თითქმის ძალით გააგდო ნუგზარმა. ვიღაც მაღალ შავთმიან გოგოს ეცეკვა. ეს ერთადერთი ქალი იყო კაბიანი მოედანზე. ქალი უხალისოდ დათანხმდა. იქვე მოედნის სიღრმეში შესვლა შეუძლებელი იყო. გენომ მარჯვენა, წელზე მოკრძალებით მოსდო და მარცხენა ხელი მხარის სიგანეზე გაშალა, როგორც მის ყმაწვილკაცობაში იყო მიღებული, მაგრამ ქალმა ორთავე ხელი ბეჭებზე დაადო და ამით გენოს მიერ გულმოდგინედ მიღებულ ცეკვის საწყის მდგომარეობას ნიადაგი გამოაცალა. „მიხვდა, ალბათ, ვისთანაც აქვს საქმე“, – გაიფიქრა გენომ და გუნება გაუფუჭდა. თავი გვერდზე შეაბრუნა და ისე ჩაამთავრა ცეკვა, რომ ქალისათვის არც

კი შეუხედავს, კაცმა რომ თქვას, ადგილზე ამ ნელა, მოწყენილად სიარულს ცეკვა არ ეთქმოდა. უსიტყვოდ მიაცილა შავთმიანი თავის ადგილზე. გამობრუნდა ჩაბნელებულ კუთხეში, მოაჯირს მკლავები გადააწყო და ჯვარის პოზაში მიაჩერდა მოცეკვავეებს. მალე შენიშნა, რომ ოფლში გაღვარული ნუგზარი გამოეყო ჩრდილებს და შორიახლო დააბიჯებდა. აშკარად ჩანდა გენოს ეძებდა.

– აგერ ვარ, – დაუძახა სიბნელიდან გენომ.

ნუგზარი მაშინვე მასთან გაჩნდა.

– რატომ აღარ ცეკვავ?

– აღარ მინდა, აქ მირჩევნია.

– გცხელა?

– ცოტა კი,

– ხომ გითხარი. რად გინდოდა ასე საგულდაგულოდ რომ გამოეწყვე?

გენო შავ კოსტუმსა და თეთრ პერანგ-ჰალსტუხში გამოწყობილი პროვინციელი ფოტოგრაფის მიერ გადიდებულ სურათს ჰგავდა. მიცვალებულისას თავს რომ დატოვებს მარტო და ჩაცმულობას თვითონ რომ მიახატავს.

– წამოდი, ვიცეკვოთ, – ხელი მოჰკიდა ნუგზარმა.

– მოიცა. არ მოგწყინდა? დადექი აგერ და ვუყუროთ ცოტა ხანს.

– რას ვუყუროთ? – ნუგზარი პრაქტიკული კაცი იყო.

– ა, ვათვალიეროთ ეს შენი მოწონებული ხალხი. ასზე მეტი წყვილი ხომ მაინც ქანაობს ახლა აქ. ერთ ნორმალურ სახეს თუ მაჩვენებ, შენ იქნები ყველაფერში მართალი.

– კარგი ახლა. დაიწყე ისევ?

– რა დაწყება უნდა, ბიჭო. მართლა გელაპარაკები.

– არ ვარგა, გენო, ასე ლაპარაკი. დავიჯერო ახლა მე და შენ ვჯობივართ ყველას და ესენი გადასაყრელია წყალში?

– კაცო, მე ჩვენზე ხომ არ გეუბნები. რად მინდა ახლა სიტყვის ბანზე აგდება, ჩვენ დავლპით და დავბერდით თუ გინდა, მარა მე ამათ ჩვენს სიყმაწვილეს ვადარებ. ჩვენს ოც წელიწადს ვადარებ.

– მერე?

– რა მერე. ასეთები ვიყავით, ამნაირები ვიყავით, ასე გვეცვა?

– შე კაი კაცო, ჩვენ რომ გვეცვა, ისე რომ ახლა აქ კაცი მოვიდეს, პირველს შენ თვითონ გაგეცინება. არ გახსოვს, ერთ-ორ წელიწადს ლურჯი აბრეშუმის ფართო სპორტული შარვლებით რომ დავდიოდით კინტოებივით? აბა მოდა იყო ის? იმაზე სასაცილო თუ იქნება ნეტავ რამე. ანდა ჩვენ რომ „ბუტილკა“ შარვლები გვეცვა და ერთმანეთს ძლივს ვხ-დიდით, ის უფრო ლამაზი იყო?

– გააბი, გააბი შენებურად, ჰო. დახუჭე თვალი და ილ-აპარაკე. ნუთუ შენ ახლა იმდენად სულელი გგონივარ მე, რომ ჩაცმა-დახურვაზე დავიწყებ ლაპარაკს. ჩაცმას რა ჭკუა აქვს, შე კაი კაცო.

– აბა, რა გინდა, რა არ მოგწონს?

– რა დაიჟინე, „მომწონს, არ მომწონს“. მოწონებაზე მერე ვილაპარაკოთ. ახლა დავდგეთ და ვუყუროთ ამ ბავშვებს. მე შენ გითხარი ერთს მაინც თუ მაჩვენებ ნორმალურს, ყველაფერში მართალი იქნები და ხმის ამომღები არა ვარ-მეთქი.

– კაი თუ ძმა ხარ, გამიშვი. ავფართხალდები, ცოტას ვიცეკვებ, გულს გადავაყოლებ. ასე შორიდან თუ უყურე და იფილოსოფოსე, ყველა ურჩხულად მოგეჩვენება. გავერიოთ შიგ და ნახავ ახლოდან რა ლამაზები და რა საყვარლები არი-ან.

– რად მინდა, ბიჭო, მაგენის სილამაზე. არ წახვიდე, ბავშ-ვებს გაფიცებ.

ნუგზარი შეჩერდა.

– ბოძთან რომ ცეკვავენ, იმ ორს ხედავ?

– რომელ ბოძთან?

– აგერ ჩვენს წინ, საით იხედები, ბიჭს ზურგზე მამალი რომ ახატია, ჰო, დააკვირდი ერთ წუთს.

ბიჭი ნატიფარივით გამხდარი იყო. სწორი ნაცრისფერი თმები კისერსა და თვალებში ჩასვლოდა. მოკლესახელოიანი ტანზე შემოტმასნილი ნაქსოვი პერანგიდან სუსტი მკლავები

მოუჩანდა, ეტყობოდა, ცეკვის თავი აღარ ჰქონდა. თავი გადაეგდო, თვალებს უაზროდ ახამხამებდა. გოგოს ზედაც არ უყურებდა. ნელა, უსიცოცხლოდ, ხან ერთ ფეხს ასწევდა და მეორეს სამხედრო წესით მიადგამდა, ხან წინ გადადგამდა ნაბიჯს და დუნედ სასაცილოდ შეხტებოდა. იქეთ-აქეთ მხოლოდ ერთი ნაბიჯის რადიუსზე ინაცვლებდნენ. გოგოს საკმაოდ შესუქებულ ქვედა ტანზე თავგანწირულად შემოტმასნილი ჯინსი ეცვა. კიდევ კარგი, ნელა ცეკვავდნენ, თორემ ერთი ჩაბუქვნა საკმარისი იყო, რომ ჯინსისაგან მხოლოდ სრულიად გამოუსადეგარი პატარ-პატარა ნაფლეთები დარჩენილიყო. ზემოთ გადაჭრილი საწოლის მაისური ეცვა. თავი დაეხარა და თვალებში ჩასული თმების უკან გადაყრას არც აპირებდა, რადგანაც ეტყობოდა, არაფრის ნახვა აღარ აინტერესებდა. დროგამოშვებით თავს მაღლა ასწევდა, გამომშრალი ტუჩებით „ჰოპს“ დაიძახებდა და ისევ ჩაჰკიდებდა თავს.

– ხედავ? – ჰკითხა გენომ.

– კი, მერე რა იყო?

– არაფერი. ახლა აფიშასთან მაღლები რომ ირწევიან, იმგენს დააკვირდი.

ორკესტრის გვერდით, ცირკის გასტროლების მაუწყებელ აფიშასთან გოგო-ბიჭი ისე თავგამეტებით ჩაფსკვნოდა ერთმანეთს, რომ თუ ძალიან არ დააკვირდებოდით, ერთი კაცი გეგონებოდათ. ორივეს წითელი პერანგი ეცვა. მაღალი ბიჭის გრძელ მკლავებში სიფრიფანა გოგო თითქმის ჩაკარგულიყო. მას თვალები დაეხუჭა და გულ-მუცელზე აწეპებული მკერდსქვემოთ კბილებით ჩაფრენოდა ვაჟს, არც ამ უკანასკნელს აწუხებდა ცეკვის დარდი. მეფსალმუნესავით რაღაცას ლუღლუღებდა, ხანდახან მარცხენა ხელით თმებზე დაქაჩავდა გოგოს, ამ ხერხით თავს ააწევინებდა და ამდენი ხალხის თვალწინ სრულიად უსირცხვილოდ ტუჩებში კოცნიდა.

– ხედავ? – ჰკითხა გენომ.

– კი. რა იყო მერე?

– არაფერი. ახლა იმ მსუქან კაცს ხედავ?

– მოკლე შარვლით რომ დგას? კი.

– იმის გაყოლებაზე ხანდახან ჰაერში ხელი გამოჩნდება.

– ჰო.

– ერთი იმათ დააკვირდი.

გოგო ბიჭზე მაღალი იყო. წელში მოხრილი მხარზე გადაჰკიდებოდა თავის „მსხვერპლს“ და კი არ ცეკვავდა, ეძინა, ბიჭი ფხიზლობდა. იგი წამდაუწუმ ხელს შემართავდა მაღლა და რაღაცას ყვიროდა. ორკესტრის ღრიალში მისი ხმა არ ისმოდა, მაგრამ როგორც ეტყობოდა, იგი რთულსა და დამაფიქრებელს არას იძახდა, რადგანაც მის ახლოს მოცეკვავე წყვილები ამას არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ. ვაჟს ტოტებზე საგანგებოდ შემოღინჯილი შარვალი ეცვა. თითქოსდა ნაჯახით დაჩეხილი შარვალი, მაინც იმდენად გრძელი და ფართო იყო, რომ ეს გამხდარი ბიჭი ჭკვიანად რომ მოქცეულიყო, ამ ნაჭრისაგან სამ ნორმალურ შარვალს შეიკერავდა. გოგოს გრძელი ულაზათოდ შემოხვეული შარვალი ეცვა და საბანაო კოსტიუმის მსგავსი მაისურიდან გამხდარი კისერი და მთელი ზურგი უჩანდა. აქ საოცარი ის იყო, რომ დიდი დაკვირვება სჭირდებოდა კაცს, რათა შორიდან გაერჩია, რომელი იყო გოგო და რომელი ვაჟი. ორივე ერთნაირად გამხდარი იყო. ორივეს სუსტი მხრები და მკლავები ჰქონდა. ორივეს გრძელი თმები და ნატიფი თითები, თუ ახლოდან დააკვირდებოდით, ორივეს შესახარბებლად სუფთა სახე და საულვაშეზე დაყრილი მოშავო ბუსუსები მოუჩანდა.

სხვა რამდენიმე მოცეკვავე წყვილიც დაანახვა გენომ ნუგზარს, მაგრამ ეს უკანასკნელი არავითარ აღშფოთებას არ გამოთქვამდა და „მერე რა მოხდაო?? მოუბრუნდებოდა გენოს.

– როგორ რა მოხდა, კაცო. არაფერი არ მოხდა?

– რა მაგალითად?

– ადამიანის სახე, გამომეტყველება, ვარცხნილობა აქვს რომელიმეს? იგრძნობა რაიმე ენერგია მათს მიხრა-მოხრაში, გამოხედვაში?

– მეტი რა გინდა? ახლა ცეკვავენ ესენი და ერთობიან. ცეკვის დროს მართლა ძნელი დასადგენია „პროლეგომენები“ რომელ მათგანს აქვს წაკითხული. რას უწუნებ, რას ერჩი? ბავშვები არიან და ცეკევავენ, შე კაი კაცო. არ გინახავს რა შარვალი აცვია ნაპოლეონს, ან რა დახუჭუჭებული პარიკი ახურავს ლომონოსოვს თავზე? რაღა შორს წავიდეთ, ასე არ ქონდათ თმები გიორგი სააკაძეს და ცოტნე დადიანს? რას ჩაასვე კბილი ამ ბაღნებს.

– ისევ შენსას ამბობ, კაცო? რა ღია კარებს ამტვრევ. ჯერ ერთი, რომელ ბაღანას ხედავ აქ. მაგათი ხნის ხალხს ბავშვები ეთქმის? და მეორეც, კიდევ გეუბნები. ჩაცმა-დახურვასთან არ მაქვს მე საქმე.

– აბა?

– ვერ მიხვდი რატომ დაგანახვე ის წყვილები?

– ვერა.

გენომ მწარედ გაიცინა. კენჭი აიღო და ზღვისაკენ სიბნელეს ესროლა.

– როგორც ჩანს, შენ მე ვერაფერს გაგაგებინებ. ცხრა ძმა ხერხეულიძე გაგიგონია, შენ, ან სამასი არაგველი?

– რა გინდა მერე?

– არასოდეს დაფიქრებულხარ, რანაირები იქნებოდნენ ისინი ამათ ასაკში? რანაირად იქცეოდნენ, რას ლაპარაკობდნენ?

– ვთქვათ, დავფიქრებულვარ.

– როგორ გინდა დამარწმუნო, რომ ახლა აქ ცხრა ძმა ხერხეულიძეს რომ ეცეკვა, ასე ჩაიხუტებდნენ გოგოს სახალხოდ. ასე ჩამოეკონწიალებოდნენ კისერზე ერთმანეთს, ასე გამხდრები და გალეულები იქნებოდნენ?

– სისულელეს ნუ ამბობ. მაშინ სხვა ცეკვა იყო და ალბათ ისე ეკონწიალებოდნენ, როგორც სხვები. შენ ისევ გარეგნულ ამბებზე ლაპარაკობ.

– არა, ჩემო ნუგზარ. ასე არ შეიძლება. შენისთანებია რომ ეფერებით და აგულიანებთ. პასუხს მაგებინებენ, თვარა სათითაოდ გამოვხიკავდი ახლა, მე რომ წყვილები დაგანახვე

იმათ, ბიჭებს მათრახით ვცემდი უკანალზე და გოგოებს ყურებს ავახევდი. ყველაფერი ავიტანეთ, ვთქვათ, ყველაფერში კარგები არიან. ის როგორ მოგწონს, მკითხაობას რომ ვიწყებთ გოგო-ბიჭების გასარჩევად. ის როგორ მოგწონს, ყოველ ხუთ წუთში საცეკვაო მოედნიდან რომ გამორბიან ეს ანგელოზებივით გოგონები და პაპიროსებს ირჭობენ პირში? ესეც არაფერია? მიკვირს, კაცო, ამ ბიჭების. აღარ არის შეყვარებულის კოცნა, ფერება, ჩვენს დროს რომ იყო? და თუ კიდევ არის, გული არ ერევათ ამ ნიკოტინის სუნით აყროლებულ გოგოებს რომ იხუტებენ გულში? ჩვენ, მე და შენ რამდენიც არ უნდა ვარიგოთ, არ მოწიოთო, ეს გოგონები ცალ ყურში შეუშვებენ და მეორეში გამოუშვებენ, მაგრამ თავის შეყვარებული რომ ეტყვის, არ მოწიო, თორემ შემძულდებიო, იმის სიტყვას, ჩემი ფიქრით, არ გადავლენ.

– რა უბედურებაა, ახლა ეს პაპიროსი ამისთანა. პატარა გოგოები არიან ჰგონიათ გვიხდებაო და ეწევიან. მერე თანდათანობით დაანებებენ თავს. ესეც მოდაა.

– რატომ არმოწევის მოდა არ არის. მაინცდამაინც მოწევის მოდა რომაა. როგორ რა უჭირს, ნუგზარ. თექვსმეტი წლის გოგოს მარწყვის გემო აქვს ტუჩებზე. უხდება მის თეთრ კბილებს, მის სუფთა ფილტვებს ნიკოტინის კვამლი?

– ყოველ შემთხვევაში ქვეყანა არ იქცევა.

– ვუცადოთ ქვეყნის დაქცევას? ახლა იმ ბიჭებს შეხედეთ-მეთქი რომ გეუბნებოდი. ბიჭო, კაცი კაცს არ უნდა ჰგავდეს? მამაკაცს არ უნდა ეტყობოდეს მამაკაცობა? ვის რად უნდა ეს წელწაწყვეტილი, მკერდჩავარდნილი ბიჭები. კაცი ცოტა ოთხკუთხედი არ უნდა იყოს?

– შენც ხომ იცი, რომ არ არის მთლად მასე. აბა ვინ მიფრინავს მთვარეზე, ვინ აშენებს ბამს, შენ ხარ ჩემი ბატონი, მე და შენ? შენ ეს საცეკვაო მოედანი მთელი ქვეყანა გგონია? ნახავ ორ-სამ მორფინისტს და მერე მთელ ქვეყანაზე ხარ აღრენილი.

– ნეტავი ასე იყოს. ბევრია, ძალიან ბევრია, ნუგზარ. მე შენ გითხარი. ასამდე წყვილი მაინც ირწევა ახლა აქ. ერთი-

ორი ნორმალური დამანახვე-მეთქი. მერე? ერთ-ორს რომ გამოარჩევ, ეს უშველის საქმეს?

– რაღა აქ ათვალიერებ, სხვაგან ნახე.

– სად სხვაგან. მე რომ ვინმეს დავენახე, გოგოსთან ჩახუტებული, სირცხვილით დავიწვებოდი. ასე არ ვიყავით ყველა? ახლა ქვეყნის დასანახავად წრუპავენ ერთმანეთს და გინდა შენ წასწრებიხარ და გინდა ბუზს გადაუფრენია. გუშინ ასანთისთვის შევედი ჩვენს გვერდით ოთახში, ხუთი ბიჭი რომ ცხოვრობს. ნეტავი არ შევსულიყავი, კაცო. ისხდნენ საწოლებზე, თითოს თითო გოგოსათვის გადაედო მხარზე ხელი, მაგნიტოფონი ხრიალებდა. თვალდახუჭული ისხდნენ და ტუჩებს აცმაცუნებდნენ. ჩემი შესვლა არ გაუგიათ. რა იყო ეს? რა ხდებოდა? ვერაფრით ვერ გავარკვიე.

ნუგზარს გაეცინა.

– სულ არ არის ეს ამბავი სასაცილო, – ეწყინა გენოს, – თავი მომჭერი თუ სასაცილო იყოს. ჩვენ სხვაგვარად გვიყვარდა. მე ცხრა ძმა ხერხეულიძე შემთხვევით არ მიხსენებია. თუ მოხვედრილხარ მაგათ სუფრაზე. შენ იცი, რომ სადღეგრძელოებს უკვე აღარ ამბობენ? თამადასაც აღარ ირჩევენ ხანდახან. შენ მეტყვი: მერე რა არის ამაში ცუდიო. მთელი სუფრა ერთი კაცის ჭკუაზე რომ იქცევა, ოთხ საათს რომ წელს ვერ გამართავენ, ეს არის კარგიო? თუ სადმე სამართალია, ჩვენი სუფრა ადამიანების გაცნობის, დამეგობრების, სადილის ლხინად გადაქცევის კლასიკური ფორმაა. ნელა, თანდათანობით თვრება კაცი. აზრს გამოთქვამს, ახალ ამბავს იგებ. აბა ჭამას კაცი ათ წუთში მორჩება, მერე უპრაგუნოდ დაისხამს ზოგი და ერთბაშად დათვრება. უყურე მერე სუფრაზე მთვრალ კაცს.

– შენც ნუ უყურებ, ადექი და წადი.

– სად წავიდე, ნუგზარ. მასპინძელი იმიტომ შეწუხდა, რომ ვჭამოთ, გავძღეთ და ნახევარ საათში გავიქცა-გამოვიქცეთ? ახლა თითქმის არავის შია, შე კაცო, სუფრა ხალხში ყოფნაა, ხუმრობაა, სიმღერაა, დროის გატარებაა, თორემ გაძღომით ავტომატურ სასადილოშიც ქე გაძღები კაცი. ჰოდა ეს სუფრა

კვდება. ამ დიდებულ ადათს ვივიწყებთ. კიდევ მეტს გეტყვი.

– აბა, – გულდაწყვეტით თქვა ნუგზარმა ისე, რომ საცეკვაო მოედნისათვის თვალი არ მოუშორებია. იგი უკვე ნანობდა, რომ გენო აქ წამოიყვანა. ახლა მალე გამოსამშვიდობებელ ტანგოს დაუკრავენ და მე კი ორი ცეკვის მეტი ვერ მოვასწარიო.

– გაგიკვირდება და არ დამიჯერებ, მაგრამ ასეა. არ შეიძლება, არაფრით არ შეიძლება, მე რომ დაგანახე, იმათ ჩემსავით უყვარდეთ სამშობლო. გესმის შენ? არ შეიძლება ჩემნაირად სტკიოდეთ გული ქართველ ხალხზე, მის მომავალზე. შეიძლება თქვას, გაუმარჯოს ჩემს სამშობლოსო, მაგრამ ეს არ იქნება იმ ტკივილით, იმ განცდით ნათქვამი, როგორც ჩვენი წინაპრები იტყოდნენ.

– ნამეტანი შეტოპე, შენს თავს ვფიცავარ. შენი მსჯელობა ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს.

– ბედნიერი კაცი ხარ, ნუგზარ.

– რატომ?

– გჯერა და იმიტომ. არ მინდა, ბიჭო, შენი დეკლამატორული ლაპარაკი მინდა ახლა მე? რა კრიტიკას ვერ უძლებს? შენ ახლა დამიწყებ; მაშ, ვინ არიან ესენი და ესენიო, მაშ, ვინ არიან მესამე სემესტრში ყანას რომ თოხნიან, ან ყამირს ებრძვიანო. მაშ, ვინ არიან ძეგლების რესტავრაციაზე რომ მუშაობენო. შენ გგონია მე ეს ყველაფერი არ ვიცი? ვიცი.

– იცი, მაგრამ უნდობლობის ჭია გხრავს.

– საიდან მოვიდა მერე ეს „უნდობლობის ჭია“?

– შეგეშინდა. აი, საფეთქლებზე ჭაღარა შენიშნე და შეგეშინდა. სწორედ ამან გაგაბრაზა. დაკარგულმა სიყმაწვილემ გატკინა გული. ვერ ეგუება შენი გონება, რანაირად, ჩემს ადგილზე ესენი როგორ მოდიანო, ფიქრობ და სივდები გულზე. თორემ დაწყნარებულ ხასიათზე რომ გადახედო, რაც ახლა თქვი, ნახევარზე მეტს უკამათოდ წაიღებ უკან.

– სად ერეკლე და სედ თეკლეო. მე სად გიკაკუნებ და შენ სად ჩამოდიხარ. როგორ გამიპუსტიაკე მთელი ჩემი ნალაპარაკევი.

– დამიჯერე, ასეა.

– წადი, წადი იცეკვე. მე დავიძინებ, თუ დამეძინა.

თითქოს ხელის აქნევას ელოდაო, ნუგზარი სწრაფად მოწყდა ადგილს და მოცეკვავეებს შეერია, გენო კი დაღლილი კაცის მოშვებული ნაბიჯებით წავიდა „მზეწვიას“ ჩაბნელებული კორპუსისაკენ.

* * *

მეორე საღამოს გენო, რასაკვირველია, საცეკვაოდ არ წასულა; როცა ყველანი გაიკრიფნენ, სპორტული პიჟამო ჩაიცვა და ქვევით ჩამოვიდა, ზღვის ნაპირას გავივლი, სუფთა ჰაერს მაინც გადავყლაპავო.

ცხელი, ჩახუთული საღამო იყო. ნიავი თითქმის არ იძვროდა. მთვარის ვიწრო, ვერცხლისფერი ბილიკი გაწოლილიყო ზღვაზე. ზედ ბაქანთან იწყებოდა ეს ბილიკი და შორს უკიდეგანო სიბნელეში იკარგებოდა. ფარვანები რომ სინათლეს დაესევიან, ისე ირეოდნენ ქვევით გაჩახჩახებულ მოედანზე მოცეკვავენი. აქამდე მუსიკის ხმა ძლივს აღწევდა და თუ ზღვისაკენ შებრუნდებოდით, ღამის ზღვის წყნარი, იდუმალი შრიალი ჩაგესმოდათ. გენომ შენიშნა, რომ ილუმინატორის ბოძთან გრძელ სავარძელში ვიღაც იჯდა და ანგარიშმიუცემლად იქითკენ წავიდა.

– შეიძლება?

სწორთმიანმა ქალიშვილმა, რომელსაც მეზღვაურის მაისურა ეცვა და ჯინსიანი ფეხები ერთმანეთზე გადაეწყო, მოგვიანებით ამოხედა გენოს და დიდი თაფლისფერი თვალები შეანათა. გენოს სადღაც ენახა ასეთი თვალები. მას ჩვეულებად ჰქონდა, პირველად თვალებისათვის მიექცია ყურადღება და უმეტესობა მისი ნაცნობთაგანი მხოლოდ თვალების ფერით ახსოვდა. გენო ამტკიცებდა, რომ ადამიანებს საოცრად განსხვავებული თვალების ჭრილი და სრულიად სხვადასხვა ფერის თვალები აქვთო. ქალიშვილს თმებზე და მხრებზე ილუმინატორის ცივი, არაამქვეყნიური ნათელი ადგა.

– რა ბრძანეთ? – ჰკითხა მან და გრძელ თმებზე ხელი ჩამოისვა.

– თუ შეიძლება-მეთქი თქვენს გვერდით დაჯდომა. – ხმის კანკალით ჰკითხა გენომ. „ალბათ მიპასუხებს – კი მაგრამ, სკამეიკების მეტი რა არის, ბიძია, ამ სანაპიროზე, მე რომ არ მომისკუპდე გვერდით“, – გაიფიქრა მან.

– დაბრძანდით, – მიუგო ქალიშვილმა და ისევ ზღვას დაუბრუნდა.

– მარტო ხართ? – ჰკითხა გენომ და იმწამსვე ინანა, ცოტა რომ დავფიქრებულიყავი, უფრო მომგებიანი შეკითხვის მოფიქრება შეიძლებოდა. „ამას თქვენთვის რა მნიშვნელობა აქვს“, ალბათ ასე მიპასუხებსო, გაუელვა გენოს, მაგრამ აქაც შეცდა.

– დიახ. – უპასუხა ქალიშვილმა.

– მე გეკითხებით, საერთოდ, აქ მარტო ისვენებთ-მეთქი? – გაასწორა გენომ. „ეტყობა თავი მოვაბეზრე“, გული შეეკუმშა, რადგანაც ქალიშვილმა ეს შეკითხვა უპასუხოდ დატოვა.

– საცეკვაოდ რატომ არ წახვედით? – „რა მჭირს დღეს, ეს რა პრიმიტიულ შეკითხვებს ვიძლევი, გოგოსთან ლაპარაკი მაინც ვიცოდი მე საწყალმა“, – ფიქრობდა გენო და დარწმუნებული იყო, რომ ქალიშვილი უპასუხებდა: „შეუძლოდ ვარ, ან ცეკვა არ ვიცი“.

– ბევრი ხალხის ერთად ყურებას ვერ ვიტან, – ჩაესმა გენოს, – თანაც ცეკვის დროს ადამიანებს ძალიან სულელური სახეები აქვთ და მათდამი რწმენას ვკარგავ.

„ეს რა ჩემნაირი ხასიათისას შევხვდი“, – გაეხარდა გენოს და საქმეზე გადავიდა.

– რა კარგია, რომ თქვენ შეგხვდით. დიდი ხანია თვალს გადევნებთ. თქვენ სულ სხვანაირი გოგო ჩანხართ. წყნარი, სუფთა... – ალუღლუღდა გენო და იმწამსვე გაიფიქრა, „ეს რა საძაგლად ვლაპარაკობ, მე რომ გოგო ვიყო და ასე გულისამრევად, ასე ყალბად და ხელოვნურად დამიწყოს ვინმემ გამოჭერა, თვალებში ქვიშას შევაყრი“. „მე თქვენი მაინც არ

მჯერა, გთხოვ, მოეშვათ ქათინაურებს“, – ალბათ ასე მეტყვის“, – დაასკვნა გენომ.

– რა სასიამოვნოა! – აღტაცებით წამოიძახა ქალიშვილმა და გენოსაკენ მთელი ტანით შემობრუნდა. გენო ცოტა არ იყოს შეაშინა ამ უეცარმა დათბობამ ორი უცნობი ადამიანის ურთიერთობაში, და კარგად ვერ გაიგო, მის ქათინაურებს ეს გოგო მართლა ბაჯაღლო ოქროდ იღებდა, თუ დასცინოდა.

– მე ვიცოდი, რომ თქვენ აქ იქნებოდით. თითქოს მართლა არსებობს ტელეპატიის მსგავსი რამ. მაშ, რა ძალამ მათქმევინა უარი დღეს ცეკვაზე.

– ცეკვა ძალიან გიყვართ?

– ვგიჟდები, – მიუგო გენომ და ისევ დაწყებულ ხაზს დაუბრუნდა, – თქვენთან არასოდეს მომწყინდება. „ახია ახლა ჩემზე, რომ მითხრას, რამ აგაცუნდრუკა ეს ამხელა კაცი. ღმერთმა ხომ იცის, რომ თქვენ ცეკვა არ გიყვართ, თანაც თქვენთვის სულერთია, მე ვიქნებოდი დღეს აქ, თუ სხვა ვინმე; თქვენ, უბრალოდ გსურდათ ვინმეს გამოლაპარაკებოდით. თქვენი ლამაზი სიტყვების მარაგი დაგეხარჯათ, სხვა არაფერი. – ასე მეტყვის და მართალიც იქნება, – ფიქრობდა გენო.

– არ მიყვარს ჯგუფური გართობანი და კულტმასიური ღონისძიებანი, მე მარტო ყოფნა მიყვარს და ცოტა სინათლე, – მოუხედავად, შორიდან თქვა ქალიშვილმა.

– მთლად მარტო? – თვალი ჩაუკრა გენომ და მხარზე ხელი გადაადო. მაშინვე გულმა რეჩხი უყო, ხომ არ ვიჩქარე. ახლა ალბათ მეტყვის „აბა, აბა ეგეთები არ იყოს. კაცი რომ დაგელაპარაკებათ, მთლად კი არ უნდა გათამამდეთ, და საერთოდ, სხვა სკამეიკაზე გადაჯექით“, მაგრამ წარმოიდგინეთ გენოს გაოცება, როცა ქალიშვილი არათუ გაბრაზდა, თავი გვერდზე გადახარა და გენოს მარჯვენა ხელს ლოყით დაეყრდნო. გენო გაქვავდა. მან სუნთქვაც კი შეწყვიტა, არ გამოერკვეს ეს გოგო და არ მიხვდეს, რომ ჩემს მკლავზე უდევს თავიო.

– არიან კიდევ შენნაირი სუფთა, ტკბილი, საყვარელი გო-

გონები ამ ქვეყანაზე?– სხაპასხუპით აყრიდა გენო ერთიმეორეზე უნაკლო სიტყვებს და ყურზე ტუჩებს არ აცილებდა.

– არა, მე ერთადერთი ვარ! – გადაიკისკისა გოგომ და გენოს ერთხელ და უკანასკნელად გამოხედა.

„ალბათ უნდა დარწმუნდეს, მთლად ბებერი ხომ არა ვარ. ახლა რაკი ჩემს ჭაღარა საფეთქლებს დააკვირდება, ხელს მკრავს და გამექცევა“, – გაიფიქრა გენომ, მაგრამ ქალიშვილი არ ჩქარობდა.

– როგორ ცხოვრობ?

– ჩვეულებრივად.

– გიჭირს ცხოვრება?

– ცოტა კი, – ქალიშვილმა თმებზე ჩამოისვა ხელი.

– ?!

– ყველაფერი ვერ არის ისე, როგორც უნდა.

– სტუდენტი ხარ?

– კი. მაგრამ, რა მნიშვნელობა აქვს.

– რატომ?

– ხანდახან მეჩვენება, რომ ეს ყველაფერი მე თვითონ გამოვიგონე, ჩემი სტუდენტობა, ფრიადებზე სწავლა, გართობა, სინამდვილეში ყველაფერი ყალბია.

– მაინც?

– არავის სჭირდება. მეც თვითონ არავის ვჭირდები. აი, დავამთავრებთ და ერთბაშად ვიგრძნობთ, რომ ყველაფერი ტყუილი იყო.

– ვინ გითხრათ?

– ხუთი წლის წინ რომ დაამთავრეს, იმათგანაც კი სამოოთხი თუ მოეწყო სამსახურში. საშინელებაა იმის შეგნება, რომ ზედმეტი ხარ და აღარავის სჭირდები.

– რატომ ამბობთ ამას. ჯერ თქვენ რა ნახეთ, რომ ასე გადაგიწყვეტიათ, – აენთო გენო.

– თუ შეიძლება, ფრაზებით არ მელაპარაკოთ. მე ხმამაღალ სიტყვებს ინსტიტუტშიც ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვისმენ.

– ვინ დაგარწმუნათ, რომ თქვენ შაშვის ბარტყები ხართ და მზამზარეულ ლუკმის მოტანისას მხოლოდ პირს უნდა აღებდეთ.

– არა ხართ მართალი. მე მაგალითად დღე ვსწავლობ და ღამე სტუდენტთა სასადილოში თეფშებს ვრეცხავ, ვმუშაობ. სულ არ მეთაკილება, მაგრამ ვერ ვიტანი, როცა მატყუებენ.

– ცხოვრებაში შენი ადგილის პოვნა ასე ადვილი როდია, – წინააღმდეგობები, რასაკვირველია, იქნება.

– წინააღმდეგობანი, რომელთა გადალახვაც შეიძლება იქნებ საჭიროც იყოს, ცხოვრებას მეტ ლაზათს აძლევს. მაგრამ გადაულახავი წინააღმდეგობანი საშინელებაა. თქვენს დროს სხვა იყო. თქვენ გელოდებოდნენ გეძახდნენ. ჩვენ არ გველოდებიან. კადრები თავზე საყრელად არის.

– საიდან მოიტანეთ. დედაქალაქში იქნებ ჰო, მაგრამ დღედაღამ იხვეწებიან, სპეციალისტები რაიონებში წადითო.

– ესეც ფრაზაა. არც ერთი მათგანის შვილი, ვინც ამას ქადაგებს, რაიონში არ მუშაობს.

- ასე რომ გატეხოდათ გული იმათ, ვის ბეჭებზეც ჩვენ ამოვიზარდეთ, რა ვიქნებოდით დღეს.

– მე გმირი არა ვარ და ჩემგან, ხომ შეიძლება, სასწაულებს არ მოელოდეთ. რატომ არ არის ჩემნაირი ჩვეულებრივი მოქალაქის ადგილი?

– ვინ გითხრა, რომ არ არის?

– ნეტავი თქვენი თავი შემახვედრა, როცა მე ამ სამი წლის შემდეგ ჩანთაგადაკიდებული ვივლი ინსტანციიდან ინსტანციაში სამსახურის საძებნელად.

– თქვენ არ განაწილებენ?

– არა. თვითმოწყობის იმედზე გვტოვებენ.

– რატომ გადაგიწყვეტიათ, რომ ერთადერთი ბედნიერება კარგი, თბილი ადგილის შოვნაა ცხოვრებაში.

– ბედნიერებაზე მე სულ სხვაგვარი წარმოდგენა მაქვს.

– რა არის, მაგალითად, თქვენი იდეალი?

– ამ შეკითხვით მერვეკლასელებს მიმართავენ. ჩემი იდეალი ადამიანური ცხოვრებაა.

– ნუ ლაპარაკობთ ასე აბსტრაქტულად.

– თქვენ თავისუფალი ხართ?

– გააჩნია რისგან, ყველაფრისაგან თავისუფალნი სამარეში წვანან.

გოგონამ გაიცინა.

– შეგიძლიათ, ყოველთვის თქვენი გულის კარნახით იმოქმედოთ?

– რატომაც არა.

– ბედნიერი კაცი ყოფილხართ.

აქ ორივენი გაჩუმდნენ. ორივემ ერთბაშად იგრძნო, რომ მათი საუბარი რაიმე ახლებურს, ორიგინალურ გაგრძელებას ვერ იძენდა, საყოველთაოდ ცნობილი, ტრივიალური დიალოგის გულუბრყვილო პერსონაჟად ქცევა კი არც ერთ მათგანს არ სურდა.

გენომ, მისთვის სრულიად მოულოდნელად, რაღაც გასაოცარი სიყვარული იგრძნო ამ უმიზეზოდ გულმოსული, ჯიუტი გოგონასადმი და სურდა დაერიგებინა, შემოებრუნებინა, დაერწმუნებინა იგი, მაგრამ ხვდებოდა, რომ ეს სუსტმხრებიანი გოგონა იმათგანი არ იყო, ვინც უფროსებს ყველაფერს უჯერებდა.

გენო დაიხარა, მარჯვენა ხელი კისერს ზემოთ მოხვია გოგონას, მარცხენათი ბეჭები გაუკავა და გულზე მიიკრა. გაშმაგებით ჰკოცნიდა თვალებზე, ტუჩებზე, ღაწვებზე, ცხვირზე, შუბლზე. მერე ერთბაშად შეეშინდა: „ახლა კი მომიბრუნდება და მცეცხლავს, თქვენ მე მოგენდეთ, კაცი მეგონეთ და რა მხეცი ყოფილხართო, ჩამანათებს სახეში და გაიქცევა“, – მაგრამ გენო შეძრწუნდა, როცა დარწმუნდა, რომ ქალიშვილი მოშვებულად მიყრდნობოდა გულზე, იგი წინააღმდეგობის გაწევის არავითარ ნიშანწყალს არ ამჟღავნებდა. მოჩვარული, დაღლილი, მოდუნებული, ქანცგალეული ჩახვეოდა იგი გენოს მკერდში და ხმას არ იღებდა.

ამ უნიათობამ, უმოძრაობამ, უსირცხვილობამ გული აურია გენოს, წამოხტა და ჩქარი ნაბიჯით შეერია სიბნელეს. გაოგნებული ქალიშვილი კი ზღვასა და ილუმინატორის სინათლეს შეატოვა.

* * *

ნუგზარი გულხელდაკრეფილი შეჰყურებდა გენოს, რომელიც გახალისებული ალაგებდა თავის ნივთებს ფართო ტყავის ჩემოდანში.

გენო დასასვენებელ სახლს სტოვებდა. შვიდი დღე, რომელიც მან აქ გაატარა იძულებითი დასვენების დღეები იყო და მეტს ველარ გაუძლო.

ნუგზარი არც კი ცდილა, ეთხოვა, მისთვის საგზურის გათავებამდე დარჩენა. ჯერ ერთი მან იცოდა გენოს კერპი ხასიათი და მეორეც, ნუგზარი ფიქრობდა, რომ გენოსათვის ახლა წასვლა სჯობდა.

– რა ეშველება ამას, როგორ ჩამორჩა ცხოვრებას ეს უბედური, – გულში უკვე მერამდენედ იმეორებდა ნუგზარი, რადგანაც მეგობრისათვის ხმამაღლა ამ სიტყვების თქმა უტაქტობა იყო.

მეთოკე

მოხუცთა და ბავშვთა დაცვის წელი მიწურულიყო და სადარბაზოს სანიმუშოდ მოვლის წელი იდგა.

მხატვართა კავშირის წევრი ვაჟა მამაცაშვილი თავის ახლადმიღებულ ბინაში კედელზე გაკრული სამმეტრნახევრიანი ტილოს წინ იდგა და გულმოდგინედ შრომობდა. ვაჟა თანამედროვეობის ამსახველ ნაწარმოებს ქმნიდა. უზარამაზარ ტილოს „მოდის ქართული ვარია“ ერქვა. ტილოს სახელწოდება პირობითი როდი იყო. ახალგაზრდა მხატვარს ამ თემაზე ხელშეკრულება დადებული, ხოლო ჰონორარის გარკვეული პროცენტი შეჭმული ჰქონდა.

ვაჟა მამაცაშვილი ჩქარობდა. მისი ვარაუდი – ახალი წლის დღეები საყვარელი საქმისათვის გამოეყენებინა, არ გამართლდა. ცოტა სმამ მოუწია და ორი გამოსასვლელი დღე ხახვივით შემოეფცქვნა ხელში.

ვაჟა პასუხისმგებლობის გრძნობით ეკიდებოდა თავის პროფესიას. იგი მთვრალი, გინდა შეზარხოშებული, ფუნჯს არავითარ შემთხვევაში ხელს არ მოჰკიდებდა. არადა, ნახატს დღეს და ხვალ თუ არ დაამთავრებდა, ორშაბათს სახელშეკრულებო ვადა გადიოდა. ერთი-ორი დღის დაგვიანებისათვის კი არ დასჯიდნენ, მაგრამ, ვაჟა, როგორც მხატვარი, ახლა იდგამდა ფეხს და სულ არ უნდოდა დამკვეთი მხარის თვალში მოუწესრიგებელი ამხანაგის შთაბეჭდილება დაეტოვებინა.

ვაჟასათვის ხელშეკრულების დადებისას წინასწარ არავითარი რეცეპტები არ შეუთავაზებიათ, მაგრამ მხატვარს ტანი უგრძნობდა, რომ სამხატვრო საბჭო ნახატს უსათუოდ დაუწუნებდა, თუ ზედ თანამედროვე მეფრინველეობის მიღწევები ფართოდ არ იქნებოდა ნაჩვენები.

უმთავრესი სიძნელე, რაც გარდა ცაიტნოტური დროისა ვაჟას წინაშე იდგა, ის იყო, რომ უიღბლო ფაქტურასთან ჰქონდა საქმე. თითქმის შეუძლებელი ხდებოდა სიხარულით

ანთებული თვალების, ან ბედნიერი გამომეტყველების მქონე ფიგურების გამოკვეთა.

ტილოზე ფანქრით მოხაზული ვარიების უმეტესობას თითქმის სტანდარტული, არაფრისმთქმელი გამოხედვა და თავნისკარტის უმარტივესი გარშემოწერილობა ჰქონდა. ავტორს ნახატისათვის ოპტიმისტური იერი ვარიების მომვლელი პერსონალის გაღიმებული სახეებით და, რაც შეიძლებოდა, ხალისიანი ფერებით უნდა მოეცა. ტილოს ცენტრალური იერსახე – ვარია კი, ამ შემთხვევაში დაკარგულ შესაძლებლობად რჩებოდა.

არც მეტი, არც ნაკლები, ზუსტად ორის თხუთმეტი წუთი იყო, როცა ვაჟა მამაცაშვილის ბინის კარებზე ვიღაცამ დააკაკუნა. ვაჟას ხატვა არ შეუწყვეტია. სულ ერთი იყო, მეუღლეს მაინც ვერ მიასწრებდა კარებამდე.

ცოტა ხნის შემდეგ მხატვართა კავშირის წევრთან მისი მეუღლე, ქალბატონი მარინე შევიდა და მხარზე შეეხო.

– გესმის?

– რა იყო? – არ მოუხედავს ვაჟას.

– კაცია.

– რა კაცი?

– ბებერი კაცია.

– რა მინდაო?

– სარეცხის თოკს ვკიდებო.

– არ გვჭირდება-თქო.

– როგორ არ გვჭირდება. ჟანგიან მავთულზე გვიკიდია სარეცხი...

ვაჟამ მწყრალად მოხედა თანამეცხედრეს და ღრმად შეისუნთქა.

– სარეცხის თოკისთვის მცალია, ქალო, ახლა მე?

– ისეთი საყვარელი მოხუცია, ვერ გავაწბილე, შემოვიყვან და შენ უთხარი უარი!

– შემოიყვანე.

მარინე გავიდა, დაბამბულ სერთუკში გამოწყობილ კაცს შემოუძღვა.

სარეცხის თოკის გაჭიმვის ოსტატმა შემოსვლისთანავე ყურებიანი ქუდი იშვლიპა და თითქოს რჩევას ეკითხებიანო, პირველად მხატვრის ნახელავს მიაჩერდა.

ვაჟამ ხელი ჩამოართვა და სკამი შესთავაზა. ხელოსანი საშუალოზე დაბალი ტანის, ყურის ბიბილოიანად სუფთად გაპარსული მოხუცი იყო. ნაოჭებით დაღარულ ნაყვავილარ სახეზე ყბები ისე გამოკვეთოდა, რომ ვერაფრით ვერ წარმოიდგენდით, ჰქონდა თუ არა ლოყები საერთოდ. გეგონებოდათ, რომ გადაგეწიათ ყბებზე მოშვებულად ჩამოფარებული თხელი, გაცვეთილი კანი, ძვლებს ხელით შეეხებოდით. წინ გამოშვერილი ქვედა დიდი ტუჩი სასწაულებრივად შემორჩენილ ქვედა კბილებს გახევამდე შემოტმასნოდა და მოხუციც, ტუჩები რომ მაინცდამაინც არ გაეწვალებინა, პირს ღიად სტოვებდა, ან, იქნებ ქვედა ყბა იმდენად დამძიმებულიყო, რომ საფეთქლები ვეღარ იჭერდნენ ძველებურად. ხშირი თეთრი წარბ-წამწამით დაფიფქული, ფართო, ნაღვლიანი თვალები ჰქონდა, ოთხკუთხედ ნიკაპს ქვემოთ, ყელამდე ჩასდევდა ორად გაკეცილი ცარიელი ღაბაბი. კანდამსკდარი, ძარღვებამობურცული უზარმაზარი წითელი ხელები მუხლებზე ეწყო და საოცრად ჰგავდა გარემოების მიზეზით ყურებამდე გაპარსულ ბებერ ლომს.

ისე მშვიდად იჯდა მოხუცი, რომ ვაჟას ეუხერხულა კიდეც თოკზე სიტყვის ჩამოგდება, მაგრამ დრო არ ითმენდა.

– თოკი გაქვთ, ბიძია?

– რა თოკი? – გაიკვირვა მოხუცმა.

– უკაცრავად, ჩემმა მეუღლემ მითხრა, თუ არ ვცდები, თქვენ თვითონ გამოგითქვამთ სურვილი.

– ჰოო. – ამოიხვნეშა მოხუცმა და ხელისგულები გადაადაჯვარედინა, – სარეცხის თოკი მთავარია. მავთული არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. სარეცხს აფუჭებს. დამიჯერეთ. ორმოცდაათი წელიწადია ამ საქმეზე ვმუშაობ. ისე, თუ არ გნებავთ, თქვენი ნებაა.

– თოკი გაქვთ? – ჰკითხა ვაჟამ.

– მაღაზიაშია. კოლმეურნის მოედანზე, სპეციალური სარეცხის თოკი. თუ მოვრიგდებით, წავალ, ვიყიდი და მოვიტან.

– დღესვე გააბამთ?

– რა არის აქ გადასადები?! – გაიკვირვა მოხელემ.

– იცით, რა, დღეს და ხვალ არ მცალია. ეს ნახატი, ეს უპატრონო, საჩქაროდ უნდა დავამთავრო. იქნებ სხვა დროს, ა?

– თქვენ მე სრულებითაც არ მჭირდებით. თქვენ თქვენი საქმე აკეთეთ. მე ხელად გავაბამ თოკს და წავალ. ხომ იცით, გადადებული საქმისა... ესეც არ იყოს, ვერ მოგატყუებთ, მერმისს იქნებ აღარც ქე დამირჩეს აქეთ გზა.

– კარგი აბა, რამდენს გამომართმევთ?

მოხუცს გაეღიმა.

– საქმე გაკეთდეს, ბიძია, და ჩვენ არ ვივაჭრებთ.

– არა, მაინც, თავიდანვე რომ ვიცოდეთ.

– ოც მანეთს ვიღებთ საერთოდ.

– ოცი მანეთი რა ამბავია, ბიძია. დაგვიკელი ცოტა, ახალგაზრდა ხალხი ვართ! – ჩაერთო ვაჟას მეუღლე.

– საერთოდ ასე ღირს, ქალბატონო, სუფთად უნდა გავჭიმოთ. მერე გაჭიმვასაც თავისი კანონი აქვს. არც უნდა გაწყდეს და არც უნდა ჩამოიწელოს სიმძიმისაგან. თავებიც სხვანაირად უნდა დამაგრდეს, ყველას გაჭიმული კი არ ვარგა.

– ათ მანეთს მოგცემ, – უკან არ დაიხია მხატვრის მუყაითმა მეუღლემ.

– დრო რომ არ დავკარგოთ, მარინე წავა და თოკს იყიდის, რამდენი მეტრი დასჭირდება?

– გაზომვის ამბავია! – შეაგება მოხუცმა.

– მარინე თოკს მოიტანს და თქვენ ამასობაში ის ძველი მავთულები დააძვრეთ. ხელსაწყო არაფერი გაქვთ?

– რა ხელსაწყო მინდა, ბატონო, ხელით ვერ დავაძრობ და ვერ გავაბამ? დღეს კი არ მისწავლია ეს ხელობა.

ვაჟას გაეცინა.

– ერთი სიტყვით, თქვენ და მარინემ მიხედეთ მაგ საქმეს. მე ბოდიშს ვიხდი, მაგრამ წუთი დრო არა მაქვს.

– არა, ბატონო, თქვენ თქვენს საქმეს არ მოწყდეთ. ხელი არ შეიშალოთ. მეტრიანი ხომ გაქვთ, ქალბატონო?

– კი.

– მომიძებნეთ თუ შეიძლება და ამ წუთში გეტყვით რამდენი მეტრი თოკი დაგვჭირდება.

თოკის გაჭიმვის სპეციალისტი და ოჯახის დიასახლისი შუშაბანდში გავიდნენ, მხატვარი ვაჟა მამაცაშვილი კი სამუშაოს მიუბრუნდა.

ის იყო მეფრინველეობის ფერმის შესასვლელთან გასაკრავი პლაკატის ხატვა დაამთავრა, რომ ვაჟასთან ოსტატი შევიდა.

– ჩვენ ბოდიში.

– გისმენთ.

– „გაზი“ ან „პლოცკო“ გექნებათ.

ვაჟამ მოლბერტი სკამზე დადო, ხელი ჩვრით შეიწმინდა, საკუჭნაოში გავიდა და ნახატს მიშტერებულ მოხუცს გაზი ხელში შეაჩეჩა.

მხატვარი ნერვიულობდა. ფერმის ჭიშკართან ჩამწკრივებული ვარიების თეთრ ფერში გამოყვანა ნახატს გააუფერულებდა, არადა, სხვა ფერის ვარიები ფერმაში არ მოიძებნებიან.

– ჩვენ ბოდიში! – ისევ შემოვიდა მოხუცი და ფანჯარასთან მიდგა, რომ ნახატისათვის უფრო მოხერხებულად შეეხედა.

– გისმენთ.

– ეგებ ერთ წუთას შემეშველოთ. ჩაჟანგულია და ვერაფერი მოვუხერხე.

ძველი მავთულების მოხსნაზე ცოტა წვალება როდი დასჭირდათ. მოხუცს ხელები უკანკალებდა და მხატვარმა იგრძნო, რომ საცოდაობა იყო ახლა მისთვის შუშაბანდის მოაჯირზე გადაკიდება. ამიტომაც ხუთივე მავთულის ჩამოხსნა-ჩაგვირისტება ვაჟას მოუწია. მოხუცი კედელს მიყრდნობოდა და როცა მხატვარი რკინის ყოველი რგოლის განთავისუფლებისას ამოიხვნეშებდა, ლოცვა კურთხევას არ აკლებდა.

ამასობაში ქალბატონი მარინეც დაბრუნდა.

ვაჟამ საათზე დაიხედა და ბუზღუნით შევარდა სახელოსნოში.

აშკარად გრძნობდა, რომ ფონი არ გამოუვიდა. ფერმის ეზო რეალისტურ პლანში გადაწყვიტა, მწვანე ბალახი და ჩარიგებული საქათმეები საკმაოდ სიმპათიურად გამოიყურებოდა, მაგრამ ტილოზე არ იგრძნობოდა მეოცე საუკუნე. იქნებ შორს, სადღაც რაკეტების სილუეტები გამოესახა? ჩანაფიქრი მოეწონა, რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხია, ცალი თვალი მოჭუტა და ტილოს ისე მიაჩერდა. ერთი ნაბიჯი კიდევ გადადგა უკან, უცებ ვიღაცას წამოედო.

– ჩვენ ბოდიში! – ჩაესმა ყურში.

ვაჟას არ გაუგია, როდის შემოიპარა მოხუცი, ამიტომაც, ცოტა არ იყოს, გაბრაზდა, მაგრამ გარეგნულად არ შეიმჩნია.

– გისმენთ.

– თუ არ გეწყინებათ, ვერ გავჭერი თოკი, ეს ოხერი! დანა არ ჭრის და ძალაც აღარ მყოფნის. ღმერთმა ჯანი და სიმრთელე მოგცეს.

ვაჟამ სიბრაზისაგან თვალები გადაატირალა და კარი გამოაღო. მოხუცმა ერთხელ კიდევ შეხედა ნახატს და ვაჟას გაჰყვა.

რკინის ჯოხებს შორის მანძილი ერთხელ კიდევ გაზომეს. მხატვარმა სარეცხის თოკი ხუთ თანაბარ ნაჭრებად დაჰყო და საათზე მრავალმნიშვნეელოვნად დაიხედა. მოხუცმა მადლობა გადაუხადა. ყველაფერი მზად იყო. ახლა რჩებოდა მთავარი – სარეცხის თოკების გაჭიმვა.

ოჯახის უფროსი სამზარეულოში შევიდა, წყალი დალია, დოინჯშემოყრილი ცოლის წინ ხელები გაასავსავა, რაც დაახლოებით ნიშნავდა: „შენგან მჭირს, რაც მჭირს, ვინ მომიყვანე ეს ფინაჩი, გამაცდინა დღეს კაციო“, მერე ხელი ჩაიქნია და სახელოსნოში შევარდა.

ისევ ნახაზს დააკვირდა. ფიქრობდა, კომპოზიციურად სად აჯობებდა რაკეტების სილუეტები გაეკეთებინა. თვალი მაინც თეთრი ქათმების უფერულმა ფონმა მოსჭრა. უეცრად ახალი იდეა დაებადა, წითელი მამალი დაეხატა, დიდი წითელი მამალი, რომელიც უფერულ ფონს ერთბაშად ამოქაჩავდა, მოლბერტს ხელი წამოავლო, რომ ისევ ნაცნობი ხმა ჩაესმა:

– ჩვენ ბოდიში.

– გისმენთ. – ვაჟამ მოლბერტი სკამზე დააგდო, ხელი შარვალზე შეიწმინდა და შუშაბანდისაკენ გაიქცა. მოხუცს თოკის თავები ისე უხერხულად დაემარყუჟებინა, რომ პირველი გაწევისთანავე გაიხსნებოდა. როცა ვაჟამ ურჩია, ასე კი არა, ასე უნდა გავაკეთოთო, მოხუცი უყოყმანოდ დათანხმდა.

დრო კი ულმობლად გარბოდა.

ვაჟა თოკების გაჭიმვისა და დამაგრების რთულ საქმეს შეუდგა. მოხუცი ტაბურეტზე იჯდა, ხელები მუხლებზე დაეწყო და რაღაცას ჰყვებოდა. თოკების გაჭიმვაში თუ არ დახმარებია ვაჟას, არც ხელი შეუშლია მისთვის.

დაღამდა, ხატვას მაინც ვეღარ შევძლებ და ამ საქმეს მაინც გავაკეთებ ხეირიანადო, ფიქრობდა ვაჟა და უნდა გამოვტყდეთ, როცა მის მიერ გაბმული თოკები მოხუცმა ხელით ფრთხილად შეამოწმა, თვით ამ საქმეში გამობრძმედილი ოსტატიც კმაყოფილი დარჩა.

როცა კიბეზე ჩადიოდნენ, მოხუცი მიუბრუნდა ვაჟას და თუმცა ახლომახლო არავინ იყო, მაინც ჩურჩულით უთხრა:

– მე დურგალი ვარ, ბიძია. ახლა ვეღარ ვმუშაობ, ხელი მიკანკალებს. სიმართლე გითხრა, თოკები დღეს პირველად გავჭიმე. არც ისე ადვილი ყოფილა, როგორც მეგონა.

მხატვარს გაეღიმა, თქმით არაფერი უთქვამს.

ამობრუნებულს ღია კარში ცოლი დახვდა.

– ფული მიეცი იმ კაცს?

ვაჟამ შუბლზე იტკიცა ხელი.

– დამავიწყდა!

კარადას მივარდა, ათმანეთიანი დააძრო და გასასვლელს ეცა, მერე შემობრუნდა, ბერეტს ხელი დასტაცა, თავზე დაიმხო და კიბე ჩაირბინა.

დოღი

არჩილ ერკემლიძეს ხალხი მოსწყინდა.

გუნება ერთბაშად გაუფუჭდა. პატარაზე გული მოსდიოდა, ჭირვეულობდა, ილანძღებოდა, ბუზღუნებდა, ერთი სიტყვით სულ რაღაცით გულნაკლული, რაღაცით უკმაყოფილო იყო.

ჰიპოდრომზე ცხენების გამქირავებელი პუნქტის გამგედ მუშაობდა.

მის განკარგულებაში იყო ოთხი, სადოღედ უვარგისი, ხანშიშესული ცხენი.

არჩილს ევალებოდა ამ ცხენების მოვლა, ლაგამ-უნაგირის წესრიგში მოყვანა და დღეგამოშვებით ჰიპოდრომის მცირე მოედანზე მოყვარულთათვის გასაქირავებლად გამოყვანა.

ცხენი ორმოცი წუთით ქირავდებოდა. ამ ხნის განმავლობაში პატარა მოედანზე მხედრის ძუნძული მანეთი ღირდა. როცა ოთხივე ცხენოსანი მზად იყო, არჩილი ხელში თუნუქის საყვირს მოიმარჯვებდა და ჩასძახებდა: „ნელი სვლით იარრ!“ მოყვარული ცხენოსნები კარგა ხანს ირწეოდნენ ნელა, გავის რხევით მიმავალ ცხენებზე. „თოხარიკი!“ დაიძახებდა მოულოდნელად არჩილი და მხედრები შებრუნდებოდნენ. ვერ მიმხვდარიყვნენ, რა ნიშნით გადაეცათ არჩილის ბრძანება ცხენებისათვის. მაგრამ ცხენებმა თავისი საქმე შესანიშნავად იცოდნენ და არჩილის ხმაც პირველად როდი ესმოდათ. ფრუტუნით აფრთხილებდნენ ერთმანეთს და თოხარიკზე გადადიოდნენ. თანაც რამდენიც არ უნდა ეხტუნა და ფერდებში წიხლები დაეშინა მხედარს, ნაბიჯს არ აუჩქარებდნენ. ერთ მწკრივად, თანაბარი სვლით მიირხეოდნენ და ხანდახან გამოუცდელი მხედრის შესაშინებლად, თავს სწრაფად ჩააქანებდნენ, რომ უყურადღებობისათვის დაესაჯათ მოყვარული და ხელიდან აღვირი წაერთმიათ. რასაკვირველია, ამას ისე, თავის გასართობად აკეთებდნენ, თორემ დამქირავებლის გადმოგდების განზრახვას გულში როგორ გაივლებდნენ.

„ჩორთით იარრ!“ – ჩასძახებდა არჩილი საყვირს. როცა საქირაო დროის ამოწურვას ათი წუთი აკლდა. ეს იყო ყველაზე სასიამოვნო წუთები მოყვარულთათვის. ცხენები, შენელებულ კინოკადრებზე რომ უჩვენებენ, დაახლოებით ისეთ ჩორთზე გადადიოდნენ. არაპროფესიონალი ცხენოსნებისთვის ესეც საკმარისი იყო.

წინ შავი ფერის, ძვალმსხვილი ბედაური „ატლანტიკი“ გარბოდა. „ატლანტიკს“ თეთრი, კუდდაპწნილი „ქარიშხალა“ მიჰყვებოდა, „ქარიშხალას“ ოქროსფერი, მაღალკანჭებიანი ულაყი „მირანგულა“ და ბოლოს სახელოვანი სპორტული წარსულის მქონე, კალმახივით დაწინწკლული, ნაცრისფერი „ჰერაია“ მოყელყელაობდა. „ჰერაიას“ ერთ-ერთი სპორტული შეკრებისას ცხენის უმძიმესი ავადმყოფობა შეჰყროდა და მორჩენით კი მოერჩინათ, მაგრამ ზედ მისი სპორტული კარიერის გაფურჩქვნისას დიდი არენისთვის უვარგისად მიეჩნიათ და ცირკისთვის გადაეცათ.

ვერ აეტანა „ჰერაიას“ ცირკის სულისშემხუთველი ატმოსფერო და ყოველ საღამოს აცეტებული მაყურებლის თვალწინ მანჭვა-გრეხვა. ღალატსდაჩვეული ცხენი არ იყო და თავისი უდანაშაულო მწვრთნელისთვის სახალხოდ თავის მოჭრას მორიდებოდა. იქნებ თავი გამანებონო და შიმშილობა გამოეცხადებინა. ამ უკანასკნელ ხერხს, როგორც ხედავთ, გაეჭრა, ჰერაია გასაქირავებელ პუნქტში მოხვერილიყო. საქმე აქაც თავზე საყრელად ჰქონდა, მაგრამ მარტო ის რად ღირდა, რომ ყოველ საღამოს ორკესტრის თანხლებით დამამცირებელი ცეკვა-თამაში არ უწევდა.

საცხენოსნო სპორტი იმხანად ქალაქში მაინცდამაინც პოპულარული არ იყო და გაქირავების პუნქტს თითქმის ერთი და იგივე მომხმარებელი ჰყავდა.

მართალია, ჰიპოდრომის მცირე მოედანზე თავს ცოტა როდი იყრიდა, მაგრამ ისინი ძირითადად მაყურებლის ფუნქციით კმაყოფილდებოდნენ და მანეთის გადახდისა და ცხენზე შეჯდომის სურვილი მხოლოდ თითზე ჩამოსათვლელ მოქალაქეებს ჰქონდათ.

პუნქტის ყველაზე თანმიმდევრულ მოხალისე მხედრებად შეიძლებოდა ჩაგეთვალათ გადამდგარი პოლკოვნიკი, ყოფილი კავალერისტი, შანშე სალდაძე, დიასახლისი, ეკატერინე დადიანი, მენავთე კოკი ფხაკაძე, საეჭვოდ სწავლა-გახანგრძლივებული დაუსწრებელი (როგორც თვითონ ამბობდა) სტუდენტი, გერასიმე მიქელთაძე და არქიტექტორი ქუჯი სამხარაძე.

იმ დღეს არჩილი სამსახურში ჩვეულებრივზე გვიან მოვიდა. სუფთად გაპარსული, საგარეოდ გამოწყობილი.

შესასვლელთან ჩამომჯდარ შანშე სალდაძეს და კოკი ფხაკაძეს არც მისალმებია, ჭიშკარს ურდული ჩამოხსნა და პირდაპირ თავლას მიაშურა. წყალი ჩაუსხა, თივა დაუყარა, გავაზე ხელი გაუტყაპუნა ცხენებს და ხელების ფერთხვით თავის ჯიხურში შევიდა.

ბაკენბარდებიანი პოლკოვნიკი, შანშე სალდაძე და მენავთე კოკი ფხაკაძე ფეხდაფეხ შეჰყვნენ. არჩილი ნერვების მომშლელად დუნედ მოქმედებდა. ერთხანს შუაზე გატეხილ სარკესთან დადგა და ცხვირის ნესტოებთან მაღლა ახვეულ, ნიკოტინისაგან გაყვითლებულ ულვაშებს ისწორებდა. გამეჩხერებული თეთრი თმა შუაზე გულმოდგინედ გაიყო და უპეჩამობერილ დიდრონ თვალებში ჩაზრდილ თეთრ წარბებზეც გადაისვა სავარცხელი. ნაცრისფერი კიტელი და გალიფეს სისტემის შარვალი ეცვა, ფეხის მთავარი თითის დასაწყისთან უძიროებში ძვალი ისე გამოჩხერილიყო, რომ იფიქრებდით, ნუთუ სიარულში ხელს არ უშლისო. მარჯვენა გულისჯიბიდან გამოსული, ორ ღილს შორის გამოტარებული მსხვილი ვერცხლის ძეწკვი მკერდთან გარეთა ჯიბეში იკარგებოდა. არჩილს ჩამქრალი, გაცრეცილი სახე და თეთრი ბალნით დახაზული დიდი წითელი ცხვირი ჰქონდა. როცა თავის მაგიდასთან მოკალათდა და მოსულებს უხალისოდ, ახალგაღვიძებულივით მიაჩერდა, მენავთე კოკი ფხაკაძეს, რატომღაც მოეჩვენა, რომ მაგიდიდან გარეული, ბებერი, ხვადი კატა შესცქეროდა და გული შეეკუმშა.

– რაშია საქმე? – მზრუნველი მამის გამომეტყველებით იკითხა არჩილმა და შემოსულებს ისე მიაჩერდა, თითქოს პირველად ხედავდა.

შანშე სალდაძემ და კოკი ფხაკაძემ ერთმანეთს გადახედეს. ასეთი შეკითხვა მათთვის პუნქტის გამგეს არასოდეს დაუსვამს. ჩვეულებრივად ასე ხდებოდა: არჩილი ერთ-ორს მისი მდგომარეობისა და განათლების კაცის შესაფერისად გაიხუმრებდა, მანეთიან ქვითრებს გამოწერდა და თითოეულ მოხალისე სპორტსმენს დაუსახელებდა, რომელ ცხენზე უნდა შემჯდარიყო. დილით მომსვლელებს თვითონ უნდა შეეკაზმათ ცხენები და აუმხედრებლად, მოკლე აღვირით უნდა გამოეყვანათ. არჩილი სათითაოდ შეამოწმებდა სწორედ იყო თუ არა აბზინდი მოჭერილი და მხოლოდ მისი ნებართვით სხდებოდნენ ცხენებზე. დღეს კი არჩილს ფეხი-ფეხზე გადაედო, მკლავები ერთმანეთში ჩაეხვია და ქვითრების გამოწერას არც კი აპირებდა.

– არ მოგბეზრდათ? არ დაიღალეთ? – სხვისი ხმით იკითხა არჩილმა.

– რაი? – გაიკვირვა მენავთე კოკი ფხაკაძემ.

– თითო საათიანი ცხენოსნობის თამაში.

შანშე ფხაკაძემ სათვალე ამოიღო და გაიკეთა.

- ეს კარგი, მენავთეა, მარა შენ რით ვერ მოიკალი ჟინი! ამ ხნის კაცი მოდიხარ აქ და მანეთად ნაქირავებ ცხენზე ჯდები, – მიუბრუნდა არჩილი შანშეს.

შანშე აიმრიზა.

– რას იბერები, რა იყო? მთელი ცხოვრება ცხენებთან გაატარე. კავალერისტობა მოათავე და ახლა „პრაკატის“ ცხენზე ჯდები, არ გეცინება შენს თავზე?

– რა დისკუსიაა, ჩტო სვამი? – ბოლო ორი სიტყვა შანშემ შესამჩნევი ქართული აქცენტით წარმოთქვა.

– გული მერევა, რომ გიყურებ. გამოდიხარ დილით სახლიდან, ვინ იცის მეზობლები ფიქრობენ, რაღაც ქვეყნისთვის სასარგებლო საქმეზე გასწიაო. მოდიხარ ამ ხნის, სერიოზული კაცი და დახტუნაობ წრეზე ცხენის უნახავივით.

– ვილაპარაკოთ ახლა ასე მთელი დღე? – გაწყრა მენავთე. არჩილს იგი თითქოს ახლა გაახსენდაო, შანშეს თვალი მოარიდა და მთელი ტანით კოკისკენ შეტრიალდა.

– შენ რა გჭირს იცი? სიპატარავე გაწუხებს. ნავთის სუნად რომ ყარხარ გული გწყდება და გამოუგონე შენს თავს გასართობი. შენ სპორტი ფეხებზე გკიდია. ცხენზე რომ ზიხარ იმ ერთ საათს თავი კაცი გგონია. ვიღაცას ზევიდან უყურებ, რაღაცას წარმოადგენ.

– ვთქვათ ასეა, – უკან არ დაიხია კოკიმ.

– წადი, წადი, საქმე ნახე. მე ჩემი ცხოვრება მაქვს და ამ ცხენებსაც თავისი ცხოვრება აქვთ. შენი სიპატარავის გასალამაზებლად არ ვართ გაჩენილი, – არჩილი სარკის მიღმა შორს იცქირებოდა.

წამოდგა, საკანცელარიო სკივრიდან მათრახი ამოიღო და ჩექმაზე გაიტკაცუნა. გაიარა-გამოიარა, ავადგაჩუმებულ კლიენტებს კარგა ხანს უყურა და ამ ხნის კაცმა თითქმის ტირილთ თქვა:

– წადით, დღეს არ ვმუშაობ.

შანშე სალდაძე და კოკი ფხაკაძე უკანმოუხედავად გავარდნენ კარში.

დიასახლისი ეკატერინე დადიანი მისი სოლიდური ასაკისათვის სრულიად შეუფერებელი სიგიჟმაჟით შემოფრთხიალდა, გამარჯობათ ძია არჩილო, თქვა და მანეთიანი დააგდო მაგიდაზე. სარკეს მივარდა, თმა გაისწორა და შემობრუნებული, არჩილის გაქვავებულ სახეს რომ წააწყდა, გაუკვირდა.

– ცუდად ხომ არა ხართ, ძია არჩილ? – ამ ბოლო ორ სიტყვას ქალბატონი ეკატერინე ხაზგასმით ამბობდა, ამით თავის ხნოვანებას ნიღბავდა, თორემ „ძია არჩილზე“ ბევრად უმცროსიც კი არ იყო. სახის კანის ნაოჭებს რაღაცას კიდევ შველოდა, სქელი მოვარდისფრო ტონით ამოილესავდა თვალთან და ტუჩებთან მიჯრილ ღარებს, მაგრამ დაჭმუჭვნილი ყელი, დაბერების პირველი მოწმე, უმოწყალოდ აშიშვლებდა მის ასაკს. თმას იღებავდა, ახალგაზრდულად იცვამდა, მაგრამ მოხრილ ბეჭებზე და შებრტყელებულ ქვედატანზე

ეტყობოდა, რომ მისი ყავლი გასული იყო. ქალბატონ ეკატერინეს მდგომარეობას ამასთან ერთად ისიც ამძაფრებდა, რომ იგი ქალწული გახლდათ.

– ახლა კარგად ვარ, ქალბატონო ეკატერინა.

– სხვები არ ჩანან? – იკითხა მოსულმა, მანეთიანს ორი თითით მიწვდა და არჩილს ახლოს დაუდო. ამით აგრძნობინა, სხვები მე არ მეხება, მე დროზე მოვედი, ქვითარი გამომიწერეთ და ცხენზე შემსვითო.

არჩილმა მანეთიანი აიღო, საეჭვო სითამამით მიუახლოვდა ქალწულს, მარჯვენა ხელი დაუჭირა, ფული გაშლილ თითებში ჩაუდო და თითების მოკეცვაზეც თვითონ იზრუნა.

დადიანების მარცხენა შტოს ამ ერთ-ერთ უკანასკნელ წარმომადგენელს ცოტა არ იყოს, ეხამუშა არჩილის საქციელი. მაგრამ, როგორც თავდაჭერილმა ქალმა, პუნქტის გამგეს ეს ნაბიჯი მამაკაცურ ქათინაურში ჩაუთვალა და მრავალმნიშვნელოვნად გაუღიმა.

– დღეს რამეფრად უნდა გვაპატიოთ, ქალბატონო ეკატერინა.

– რა? არ იქნება? – შეწუხდა კლიენტი.

– არა, ცხენებს დღეიდან სემინარები ეწყებათ.

– ხუმრობთ?

– კი.

– მართლა სად არიან ამდენ ხანს სხვები?

– თავ-თავიანთ მამიდებთან.

– რატომ ასე მხიარულად დღეს, ძია არჩილ? – ქალბატონი ეკატერინე ვერ გარკვეულიყო, რა ხდებოდა.

– სიხარულისგან ლამის ავქვითინდეთ, ქალბატონო ეკატერინა.

– თქვენ რომ ასე ლაპარაკი არ იცოდით, ძია არჩილ?

– ვიცოდი, – თავი დაუქნია მოხუცმა, თვალები მოჭუტა და თითქოს საიდუმლოს უმხელსო, ჩურჩულით აუწყა, – დავიწყებული მქონდა.

– თქვენს ასაკში მავნებელი არ არის? – გულწრფელად იკითხა ეკატერინე დადიანმა.

– რა?

– ასეთი ლაპარაკი.

– თქვენ, ქალბატონო ეკატერინა, შვილიშვილები გყავთ? – თითქოს საქმეზე ახლა გადავიდაო, სერიოზულად იკითხა არჩილმა.

– არა, საიდან? – წყრომა გაერია ხმაში ქალწულს.

– როგორ საიდან?

– შვილიშვილები რომ გყავდეს, ამისათვის ჯერ, მე მგონი, შვილები უნდა გყავდეს.

– ჰოო, – ისეთი სახე მიიღო არჩილმა, გეგონებოდათ კაცობრიულ სიბრძნეს ახლა ჩახვდაო, – მე მესმის თქვენი ქალბატონო ეკატერინა, მაგრამ სხვები სხვანაირად იგებენ და ამიტომ სჯობია ამ საქმეს თავი გაანებოთ.

– რომელ საქმეს? დაინტერესდა ქალბატონი ეკატერინა.

– ცხენების საქმეს.

– თქვენ ცუდი სიზმარი ხომ არ გინახავთ, ძია არჩილ, რაზე შემატყვეთ რომ თქვენი ჭკუის დარიგება მჭირდება?

– არ კი გეწყინოთ და თქვენ დაგცინიან.

– ვისი სასაცილო რა მჭირს დადიანის ქალს, ღმერთო კი მომკალი!

– აი, დადიანის ქალი რომ ხართ, შეიძლება იმიტომაც დაგცინიან. ეს მილეთის ხალხი მხოლოდ და მხოლოდ თქვენს სანახავად მოდის. თქვენ ვერ ამჩნევთ, ისინი ჩუმჩუმად ხითხითებენ.

– მაინც რაზე?

– ვერ ხვდებით? დადიანის ქალი, უშვილძიროდ დაბერებული, ტუჩებმოკუმული, მრისხანე სახით რომ ზის მანეთად ნაქირავებ ცხენზე და გულისფანცქალით ელოდება მალე არ გავიდეს ორმოცი წუთი, რის შემდეგაც მას ცხენიდან გადმოაბრძანებენ და საზოგადოებრივი ტრანსპორტით მოუწევს შინ წასვლა.

ქალბატონმა ეკატერინემ ხელჩანთა გახსნა, ცხვირსახოცი ამოიღო, რატომღაც ერთი-ორჯეო დაიქნია და თვალებზე მიიფარა.

– მე დავიტანჯე. – განაგრძობდა არჩილი, – მე ვეღარ ვუძლებ თქვენს ყურებას. დავიღალე, აღარ შემიძლია, მეგონა მოგწყინდებოდათ და აღარ მოხვიდოდით. ღვთის გულისათვის მე მაინც შემიცოდეთ. ეს არაფერი თამაში არ არის. თქვენ დოღიდან ჩამოწერილი, ბებერი ცხენი არ გიხდებათ. მე არ მინდა რომ დაგცინოდნენ.

ქალბატონი ეკატერინა ტიროდა.

არჩილი მიუახლოვდა, მხარზე ხელი დაადო და გაწამებული კაცის ხმით უთხრა:

– წადით შინ, ქალბატონო ეკატერინა.

ეკატერინე დადიანმა თვალები შეიმშრალა. ცხვირსახოცი ისევ ნაზად დაიქნია, ოთხად გაკეცა და ხელჩანთაში ჩადო, სარკეს უგემურად შეავლო თვალი და არჩილს არც დამშვიდობებია, კიდევ უფრო მოხრილი და მოტეხილი, უფრო ბებერი ვიდრე შემოსვლისას იყო, გავიდა.

სტუდენტი გერასიმე მიქელთაძე და არქიტექტორი ქუჯი სამხარაძე არჩილს ჰიპოდრომის შესასვლელთან, ტროლეიბუსის გაჩერებაზე შეხვდნენ. მათ იშვიათად ენახათ გამქირავებელი პუნქტის გამგე ასე კოხტად, საგარეოდ გამოწყობილი. ეტყობა დღეს არ მუშაობსო, თვითონვე დაასკვნეს და გატრიალდნენ, ჯოხზე დაყრდნობილი არჩილი ფიზიკის ინსტიტუტის დიდ შენობას ბუტბუტით შესცქეროდა და ისინი არ შეუნიშნავს.

* * *

შუაღამეს ბევრი არაფერი აკლდა, როცა არჩილი დაბრუნდა. ცხენები აუშვა და მოედანზე გამოიყვანა.

გამობრუნდა. ტრიბუნები კოჭლობით აიარა, ფიცარნაგზე აფოფხდა, ხელები დაიჭდო და ჰიპოდრომს გადახედა.

– ნელი სვლით იარრ! – გაისმა სიბნელეში არჩილის ბრძანება.

ცხენები დაიძრნენ.

„ჩორთით იარრ!“ „თოხარიკი!“ „ნელი სვლით იარრ!“ „თოხ-

არიკი!“ „ჩორთით იარრ!“ – დიდხანს ისმოდა უკაცრიელ მოედანზე არჩილის ბოხი, ჩახლეჩილი ხმა.

გაკვირვებული ცხენები თავს არ ზოგავდნენ. ღამეში ისინი ზღაპრული რაშებივით დაქროდნენ. უმხედროდ უფრო ლამაზები ჩანდნენ.

პუნქტის გამგე ნაპოლეონივით ხელებდაჭდეული შეჰყურებდა სიბნელეში ბებერი ცხენების დაუოკებელ ქროლვას.

არჩილი ზოგჯერ თვალს დახუჭავდა და ხედავდა: წინ შავი ფერის ძვალმსხვილი ბედაური ატლანტიკი“ გარბოდა. „ატლანტიკს“ თეთრი, კუდდაპწნილი „ქარიშხალა“ მიჰყვებოდა. „ქარიშხალას“ ოქროსფერი მაღალკანჭებიანი ულაყი „მირანგულა“ და ბოლოს სახელოვანი სპორტული წარსულის მქონე, კალმახივით დაწინწკლული, ნაცრისფერი „ჰერაია“ მოყელყელაობდა. „ჰერაიას“ ერთ-ერთი სპორტული შეკრებისას ცხენის უმძიმესი ავადმყოფობა შეჰყროდა და მორჩენით კი მოერჩინათ, მაგრამ ზედ მისი სპორტული კარიერის გაფურჩქვნისას დიდი არენისთვის უვარგისად მიეჩნიათ და ცირკისთვის გადაეცათ. ვერ აეტანა „ჰერაიას“ ცირკის სულისშემხუთველი ატმოსფერო და ყოველ საღამოს აცეტებული მაყურებლის თვალწინ მანჭვა-გრეხა. ღალატსდაჩვეული ცხენი არ იყო და თავისი უდანაშაულო მწვრთნელისთვის სახალხოდ თავის მოჭრას მორიდებოდა. იქნებ თავი გამანებენო და შიმშილობა გამოეცხადებინა.

ბოლოს ფიცარნაგიდან ჩამოვიდა. მოედნის ჭიშკარი ფართოდ გამოაღო და ჯირითის ეშხში შესული ცხენები გარეთ გამორეკა.

კიდევ ერთხელ მიმოავლო თვალი შავად აელვარებულ, მდუმარე ჰიპოდრომს და წავიდა.

ცხენები თავისუფლებას მიჩვეული არ იყვნენ და შორს არ წასულან, იქვე ეზოში, ბილიკების პირას ამოსულ ბალახს დაუწყეს ძოვა.

აბესალომ

ამ ოცი წლის წინათ ჩამოვიდა აბესალომ ტოგონიძე ქუთაისში. თან ოთხი პატარა ბავშვი ჩამოიყვანა.

ბავშვები დაახლოებით იმ ასაკისანი იყვნენ, მარტო ორი ფეხის ნაბიჯზე რომ ვერ ენდობი. ოთხი პატარა, უმწეო ადამიანი აბესალომმა ხის ჩემოდანს ირგვლივ შემოუსხა და მათთვის თვალი რომ არ მოეშორებინა, უკანსვლით გაეშურა ტაქსის დასაძახებლად.

ტაქსის შოფერს მოკლედ აუხსნა: ჩამოსული კაცი ვარ, არაფერი ვიცი ამ ქალაქისა, თუ ღმერთი გწამს, ისეთ ქუჩაზე მიმიყვანე, სადაც ოთახის დაქირავება შეიძლება და ისეთი ვინმე მომაძებნინე, ამ ჩემი ოთხი ბავშვით და თანაც ცოტა შეღავათიანად რომ შემიკედლებსო.

მალე, აბესალომ ტოგონიძე ნინოშვილის ქუჩის ბოლოს პენსიონერ ცოლ-ქმარს, სინაურიძეებს ელაპარაკებოდა: „ეს ორი ბავშვი პირველი ცოლიდან მყავს, ეს ორი მეორე ცოლიდან. ცოტა უცნაურად ჟღერს, მარა არ გამომადგა არც ერთი, რომ გამომდგომოდნენ, ვის უხარია ოჯახის დანგრევა და სხვის კარზე წანწალი. არ ივარგა არც ერთმა. გლახა ენის ქალს ვერ ვიტან. ტკბილი სიტყვა მითხარი და ცხვირით მიწას მოვხნავ შენი გულისათვის. პირველ ცოლს რომ გავშორდი, ვტაცე ჩემს ორ ბავშვს ხელი და მეორე ცოლი შევირთე. ახლა ისე მოეწყო ჩემი საქმე, რომ ვერც მეორემ გამიმართალა. ოთხი ბავშვის მოვლა შემიძლია მეე? მარა დატოვებით მაინც ვერ დავუტოვე. არც ერთი ღირსი არ იყო და იმიტომ. ახლა თქვენთან ვარ. თუ ცუდი კაცი გამოვდექი, ქე დაინახავთ. მე თავს არ ვაწონებ არავის, ჩემო ბატონო, და არც მოწყალებას ვითხოვ. ჩემი ბავშვების არ შეგეშინდეთ, არ შეგაწუხებენ. ბინის ქირას ყოველ სამ რიცხვში მოგართმევთ, ვიყოთ ასე, სანამ არ მოგწყინდებით, ამასობაში მეც გავახერხებ რამეს,

სულ ქუჩაში ხომ არ ვიქნები. კიდევ ერთი სათხოვარი მაქვს: ჩემს მდგომარეობას ქე ხედავთ. სასწრაფოდ ცოლი უნდა ვითხოვო. არაფერს არ დავეძებ, არც წარსულს მისას და არც შესახედაობას. ამ ჩემს ოთხ ბავშვს რომ დედობას გაუწევს, ისეთი თუ ვინმეა ამ სამეზობლოში, დღესვე მთხოვნელი ვარ“.

აბესალომი არც ისე გულუბრყვილო გახლდათ; მან მშვენივრად იცოდა, რომ ქალი, რომელიც ოთხი ბავშვის დედობას იკისრებდა, არ შეიძლებოდა ცუდი წარსულის მქონე, ან საეჭვო ბუნების ქალი ყოფილიყო.

აბესალომმა მეორე დღეს ბავშვები დააპურა, მასპინძლებს ჩააბარა; ცოტა ხანს მიმიხედეთო და თვითონ თეატრისაკენ გაიქცა.

სარეკვიზიტო საამქროს დამხმარე მუშად და სტატისტ მსახიობად მიიღეს.

აბესალომი მოწოდებით არტისტი არ გახლდათ, მაგრამ ქუთაისის მატარებელშივე ურჩია ვაგონის გამცილებელმა: ჯერ, პირველად თეატრში მიდი (ყველანი ასე იქცევიან). იქ ადვილად მიგიღებენ და მერე ეძებე კარგი სამსახურიო. აბესალომი ასეც მოიქცა.

ერთი კვირის თავზე სახლის პატრონის მეუღლემ მორცხვად შეახსენა – თქვენ რომ ქალის თხოვნაზე ბრძანეთ, მართლა გნებავთ ცოლი თუ იხუმრეთო?

აბესალომმა მაშინვე დაუდასტურა, მე იმნაირ საქმეზე ვმუშაობ, რომ ქალების თვალიერებისათვის დრო არ მრჩება, ამიტომ უნდა მომეხმაროთო. ცოლი მართლა მინდა, და თანაც, რაც შეიძლება სასწრაფოდო.

– თუ ასეა, ხონის გადასახვევთან მეგულება ასეთი ქალი, კაი კაცის ნაცოლარია. ვინცხა დიდი კაცი ჰყოლია ქმარი და თბილისში გაქცევია. თვითონ მამაგეიშვილის ქალი გახლავთ და ხომ არ ინებებდით ნახვას? – შეჰკადრა დიასახლისმა.

– ჩემი ამბავი იცის? – იკითხა აბესალომმა.

– იცის და თანახმაც არი, – გაუღიმა დიასახლისმა.

– აბა რა გადანახულება უნდა. გათავებულია საქმე და ეგ არის! – განაცხადა აბესალომმა და რამდენიმე დღის შემდეგ

თავისი ოთხი ბავშვით ახალშერთული მეუღლის ბინაზე გადასახლდა.

მამაგეიშვილის ქალი მართლაც ღვთისნიერი ადამიანი აღმოჩნდა. გამჩენს მისთვის შვილი არ მიეცა, მაგრამ რომელი დედა გადაყვება ისე საკუთარ შვილებს, როგორც ქალბატონი ლეილა თავის ოთხ გერს უვლიდა.

აბესალომი თეატრს დიდხანს არ შერჩენია. იგრძნო, რომ ამ გზით, ხელოვნების სამსახურით ცოლ-შვილს ვერ არჩენდა და სხვა გზა მოძებნა. პიონერთა სასახლეში დაიწყო მუშაობა დრამწრის ხელმძღვანელად. ამ საქმეში იპოვა აბესალომმა თავისი მოწოდება.

ისეთი მუყაითობა გამოიჩინა, რომ ორ თვეში დრამწრემ ორი ახალი სპექტაკლი უჩვენა დრამწრის, სპექტაკლების მოყვარულ მაყურებელს. მალე პიონერთა სასახლეში ხატვისა და ნორჩ ალპინისტთა წრეების ხელმძღვანელის ადგილიც განთავისუფლდა და ისინიც აბესალომს ჩააბარეს.

აბესალომმა შორს გაითქვა სახელი: თვითმოქმედი კოლექტივების ნაცადი ხელმძღვანელი, საქალაქო ოლიმპიადების ჟიურის უცვლელი წევრი, ყველასათვის საყვარელი და სასურველი კაცი გახდა. აბესალომმა არც ხატვა იცოდა მაინცდამაინც კარგად და, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, არც მსახიობის მონაცემებით იყო დაჯილდოებული ბუნების მიერ, მაგრამ ისე საქმიანად აუხსნიდა გაკვეთილს დამწყებ დეკლამატორს, რომ თქვენი მოწონებული. თანაც მხატვრული მონტაჟების დამუშავებისა და კონცერტების შეკვრის დიდი გამოცდილება შეიძინა.

ის კოლექტივებიც კი, ვისაც ბედმა არ არგუნა აბესალომის ხელმძღვანელობით ემუშავა, დასკვნითი კონცერტის წინ ყოველთვის მიიწვევდნენ აბესალომს პროგრამის გასასინჯად. კონფერანსიეს ტექსტს შეუდგენდა, ნომრებს გადასვამ-გადმოსვამდა, განათებასა და დეკორაციებს მოიყვანდა წესრიგში და კონცერტს სხვა ელფერი ეძლეოდა. ამასთან ერთად აბესალომს გასაოცარი პედაგოგიური ალღო ჰქონდა. მისი წრეები წევრებით ყოველთვის გადატვირთული იყო.

მშობლები დიდი თხოვნითა და შუამდგომლობით ახერ-ხებდნენ მათი შვილების „აბესალომთან მოხვედრებას“. მაშინ ქუთაისში რამდენიმე ალაგას მუშაობა ჯერ კიდევ შეიძლე-ბოდა და აბესალომიც ბარე ათ-თხუთმეტ წრეს ხელმძღვან-ელობდა ერთდროულად.

ნორჩ მხატვრებს ზევსის ქანდაკების დეტალს დაუდებდა ხავერდის ნაჭერზე და ეტყოდა, ორ საათში უნდა დახატ-თო, – მერე დრამწრეზე ჩაირბენდა, აქტიურ წევრს მორი-გი სურათის რეჟისორობას დაავალებდა და ნორჩ ალპინ-ისტებთან გარბოდა. – დღეს თენსინგ ნორგეიზე დაწერილი წიგნის პირველი თავის კოლექტიური კითხვა გექნებათო, გამოუცხადებდა, ერთ-ერთ ნორჩ ალპინისტთაგანს წიგნს მი-აჩეჩებდა და თვალის დახამხამებაში ქუჩაში იყო.

ელვის სიწრაფით ჩამოივლიდა წრეებს: საკონსერვო ქა-რხანა – დრამწრე, სამკერვალო ფაბრიკა – ქარგვის წრე (აქ საქმე შედარებით იოლად მიდიოდა. აბესალომი დაფაზე „უზორს“ დახატავდა და ქარგვის წრის მშვიდი წევრები ქა-რგავდნენ), ლითოფონის ქარხანა – ესტრადის წრე (ეს წრე თვითმოქმედ წრეთა სიაში არ შედიოდა, მაგრამ თვით აბესა-ლომმა გამოიგონა, პატარა სკეტჩებს და ორკაციან სახუმა-რო ნომრებს ამუშავებინებდა პოპულარობის მოსურნე წრის წევრებს), მაუდის ფაბრიკა – ხელგარჯილობის წრე და ა. შ. არ იფიქროს მკითხველმა, რომ აბესალომ ტოგონიძე ფულს-გამოდევნებული გახლდათ, არამც და არამც. პირიქით, იხ-ვეწებოდა – აღარ შემიძლია, დავბერდი, დამანებეთ თავიო (ამასობაში ორმოცდაათს გადაშორდა), მაგრამ ვინ ეშვებო-და. ახლა სკოლები? სკოლის დირექტორები ორი წლით ადრე ართმევდნენ პირობას, რომ ამა და ამ წელს მათს თვითშემო-ქმედებას მიხედავდა. ვარაუდი ყოველთვის მართლდებოდა. აბესალომ ტოგონიძის ხელდანადები მხატვრული კოლექტივი შესაბამისად ყოველთვის საპრიზო ადგილზე გადიოდა.

ხანდახან ქალაქში ხმა დაირხეოდა, – „რა არის ბოლოს და ბოლოს, ეს აბესალომ ტოგონიძე რომ გაგიღმერთებიათ, როგორ შეიძლება ყველა წრეს ერთი კაცი ხელმძღვანელობ-

დეს. არ მოიძებნება ჩვენს ქალაქში კვალიფიციური ხალხი თუ რაშია საქმეო!“

ეს ხმა ხელად მოედებოდა ქალაქს და აბესალომს მორცხვად ეტყოდნენ უარს ხან ერთ წრეზე, ხან მეორეზე და ბოლოს, უკეთეს შემთხვევაში, ნორჩ ალპინისტთა წრეს უტოვებდნენ. პიონერთა სასახლის მესვეურნი რატომღაც ფიქრობდნენ, რომ ამ წრეს სპეციალისტი მაინცდამაინც არ სჭირდებოდა, რადგანაც ყოველწლიურად საპირველმაისოდ ხვამლის მთის დალაშქვრა (ახლო-მახლო სხვა მწვერვალი არც კი იყო) დიდ ალპინისტურ გამოცდილებას არ მოითხოვდა.

აბესალომი ერთ სამ თვეს გაქრებოდა არენიდან; მაგრამ მალე რწმუნდებოდნენ ყველანი, რომ უიმისოდ მხატვრული თვითმოქმედება ნაბიჯსაც ვერ დგამდა წინ.

დრამწრის ხელმძღვაანელად დიდი ხვეწნით მოწვეული თეატრის მთავარი რეჟისორი ორი თვის განმავლობაში პანტომიმაში აოსტატებდა წრის წევრებს, ხოლო მესამე თვეს კლუბში მარტო თვითონ იჯდა და მოწყენილობისაგან ამთქნარებდა.

სამხატვრო აკადემიადამთავრებული მოქანდაკე წრის ჩაბარების დღიდანვე აფრთხილებდა მოსწავლეებს, ჯერ მოლბერტს და ფანქარს ხელი არ მოკიდოთ, ხელოვნების თეორიასა და ისტორიაში უნდა გაგარკვიოთო. იწყებოდა მოსაწყენი ლექციები, რაც რამდენიმე ხნის შემდეგ იმით თავდებოდა, რომ დიდი ტრადიციების მქონე სამხატვრო წრე მოწაფეთა განთესვის გამო დახურვის საშიშროების წინაშე დგებოდა.

აქ კი ისევ აბესალომი იყო მხსნელი. დირექტორები და სასწავლო ნაწილის გამგეები სახლში მიაკითხავდნენ, სთხოვდნენ, ემუდარებოდნენ თავმოყვარეობაშელახულ მასწავლებელს და ბოლოს (გამყოლი გული არ ჰქონდა), როგორც იყო, ითანხმებდნენ.

ისევ გამოცოცხლდებოდა ნორჩ მხატვართა წრე, თვის ბოლოს ისევ გამოჩნდებოდა პიონერთა სასახლის დრამატული წრის პრემიერის მაუწყებელი აფიშები. ისევ გამოცოცხლდებოდა ქალაქის თითქმის ჩამკვდარი თვითშემოქმედება.

ისედაც მომხიბვლელი კაცი იყო აბესალომი. გრძელი ჭაღარა თმა ქარში ისე მოხდენილად ეშლებოდა კისერზე, როგორც რომელიღაც ლუდოვიკოს კარზე მაღალსაყელოიან დიდებულებს აქვთ კლასიცისტი მხატვრების ქმნილებებში. ფართო, ცისფერი თვალები ჰქონდა. მაღალი, ლამაზი შუბლი, სწორი ცხვირი, თხელი ულვაშები და ოდნავ გადმობრუნებული ქვედა ტუჩი. არაჩვეულებრივად ჩქარი სიარული იცოდა. სიარულის დროს თავს მაღლა სწევდა და ხელებს ისე შორი-შორს იქნევდა, თითქოს ხალხი უნდა გასწი-გამოსწიოს და საჭიდაოდ უნდა გავიდესო.

ერთ დღეს ქალაქში ხმა გავარდა – აბესალომი დაიჭირესო.

მთელი სიმწარე ის იყო, რომ ეს ხმა მართალი გახლდათ. აბესალომი დააპატიმრეს უბრალოდ, ყოველგვარი სროლისა და აჟიოტაჟის გარეშე. ვიღაცამ უჩივლა – წრის საღებავებს პირადი გამდიდრებისათვის იყენებსო, პიონერთა სასახლის სამხატვრო კაბინეტი შემოსავლის წყაროდ გაიხადა და ლამის სამხატვრო საამქროდ აქციოსო. მოსწავლეებს ექსპლოატაციას უწევსო.

ანონიმმა მომჩივანმა, რა თქმა უნდა, აბესალომის დანაშაული გაზვიადებულად წარმოადგინა, მაგრამ შემოწმებისას სამხატვრო წრის ხელმძღვანელს მართლაც აღმოაჩნდა საღებავების დანაკლისი, სასაფლაოს გვირგვინების მოსართავი თეთრი აბრეშუმი და გულის ფორმაზე გამოჭრილი მუყაოს ქაღალდები. ვერ დავმალავ, თავისუფალ დროს აბესალომი სასაფლაოს წარწერებს აკეთებდა და მადლობელი რჩებოდა, თუ რომელიმე ერთგული მოწაფე შეაშველებდა ხელს, დაპატიმრებისათვის ესეც კმაროდა.

რაიონის გაღმა-გამოღმა მცხოვრები მოქალაქენი ქალაქის ერთადერთი ბებერი ასოკირკიტა ნოტარიუსის დაპატიმრებასაც კი იფიქრებდნენ, მაგრამ აბესალომ ტოგონიძისას – არავითარ შემთხვევაში.

აბესალომი წესრიგის დაცვის კვირეულის რეიდში მოჰყვა, თორემ, მართლა და მართლა, რა ჰქონდა დასაჭერი და დასაკავებელი.

როცა მოსამართლე განაჩენს კითხულობდა და საჯაროდ აცხადებდა: „მიესაჯოს აბესალომ ტოგონიძეს თავისუფლების აღკვეთა ერთი წლით, სასჯელის ადგილობრივ ციხეში მოხდითო“, თვით გამოცდილ მოსამართლეს ვახტანგ იობიძესაც რცხვენოდა: ამ სანთელივით კაცს ციხეში ვგზავნი და ათასი მექრთამე და ყალთაბანდი გარეთ დასეირნობსო.

თვით აბესალომი მთელი პროცესის განმავლობაში მშვიდად იჯდა, თავის ოთხ მოწიფულ შვილს და მეუღლეს უღიმოდა და შეკითხვებზე წყნარად, ფეხზე ადგომით პასუხობდა.

აბესალომი წვრილმან დამნაშავეთა შორის მოათავსეს. ისინი სულ ექვსნი იყვნენ. ხუთი სერიოზული გამომეტყველების მქონე საქმიანი კაცი დახვდა. ეზოში სეირნობის დროსაც ამჩნევდა აბესალომი, რომ პატიმრებიც და კოლონიის ადმინისტრაციაც მათს ექვსეულს განსაკუთრებული მოკრძალებით ექცეოდა. თითქოსდა თანამოკამერენი ორდღიანი მივლინებით იყვნენ აქ და ხვალ-ზეგ ისევ თავიანთ მაღალ თანამდებობებს უნდა დაბრუნებოდნენ. პირველი სამი დღის განმავლობაში ისინი თავს ძლივს უყადრებდნენ თვითშემოქმედებითი კოლექტივების ყოფილ ხელმძღვანელს: მაგრამ მალე დარწმუნდნენ ყველანი, რომ აბესალომის სახით სწორედ ის კაცი გამოჩნდა, რომელიც აქაურ ერთფეროვან და მოსაწყენ ცხოვრებას ძირფესვიანად შეცვლიდა.

გამოვტოვებ რამდენიმე მნიშვნელოვან დეტალს და მოვახსენებ მკითხველს, რომ რამდენიმე თვის შემდეგ ერთ დროს თითქმის შეუმჩნეველი, ჩვეულებრივი შრომაგამასწორებელი კოლონია, მთელს ოლქში საჩვენებელ და სამაგალითოდ იქცა.

აბესალომ ტოგონიძის დაუცხრომელი მეცადინეობით აქ ერთბაშად დაიწყო მუშაობა სიმღერის, ხატვის, ხელგარჯილობის, დრამატულმა, ფოტო და სანიტარულმა წრეებმა.

საქვეყნოდ გაითქვა სახელი სათამაშოების მანუფაქტურულმა წამოწყებამ, რომლის მიერ დამზადებული სათამაშოები, ცნობილ ფირმათა სათამაშოებს არ ჩამოუვარდებოდა.

როგორც იქნა დამყარდა წესრიგი.

აბესალომის თანამესაკნე ხუთი სერიოზული მამაკაციც კი

მდუმარედ, მაგრამ ხალისით აკეთებდა საბავშვო სათამაშოებს. კოლონიის უფროსი მირზა გოშხეთელიანი სიხარულით ფეხზე აღარ იდგა. რამდენიმე წელიწადს უსაყვედუროდ მუშაობა გარანტირებული ჰქონდა.

მირზა გოშხეთელიანის მუშაობის გამოცდილებაზე ლექციებს უკითხავდნენ სხვა კოლონიის უფროსებს და უფროს ზედამხედველებს. სემინარებსა და თათბირებზე მირზა გოშხეთელიანის კოლონიის მიერ მოპოვებულ წარმატებებზე იყო ლაპარაკი. მირზამ კი მშვენივრად იცოდა, რომ ეს ყველაფერი, ეს გრანდიოზული წარმატება პატიმარ აბესალომ ტოგონიძის დამსახურება იყო.

თავის მხრივ მირზა უფროსიც ხელს უწყობდა აბესალომს, როცა მოეხასიათებოდა, შინ უშვებდა. ერთი-ორჯერ ხაზის წინაშე მადლობაც კი გამოუცხადა.

მიდიოდა დღეები. ერთ მშვენიერ საღამოს მირზა გოშხეთელიანი ქალაქის პროკურორს ეახლა.

– ვიღუპები, არჩილ! – შესვლისთანავე ამოიკვნესა მირზამ.

– რა იყო? – პროკურორს ეს დასაწყისი მაინცდამაინც არ გაკვირვებია, რადგან მასთან შესვლისას დაახლოებით სხვებიც ამ სიტყვებით მიმართავდნენ.

– აბესალომი მიდის კოლონიიდან.

– როდის უთავდება?

– ზეგ.

– მერე? – რა მერე, შე კაცო! მარჯვენა ხელის მოჭრაა ჩემთვის მაგის წასვლა. ბანაკი ფეხზე დამიყენა. ამიყვავა იქაურობა. გინდა ახლა ჩამეშალოს საათივით აწყობილი საქმე?!

– რა გიყო, ძმაო, მე?

– რაღაც უნდა მიშველოთ, ცოტა ხანს უნდა დავაკავოთ ჩემთან.

იმ ღამეს პროკურორმა და მირზა უფროსმა დიდხანს ისაუბრეს.

მეორე დღეს კოლონიის პოლიტხელმა აბესალომი დაიბარა და რამდენადაც კი შეეძლო, სერიოზული გამომეტყველებით აცნობა: თქვენ პატიმრობის ვადა ხვალ გითავდებათ, მაგრამ

ლაყბობისა და უცენზურო ანეკდოტების გავრცელებისათვის, აგრეთვე ჩვენი კოლონიის ადმინისტრაციის ნდობის ბოროტად გამოყენებისათვის სამი თვე კიდევ მოგიწევთ აქ ყოფნაო.

აბესალომს ეს განაჩენი გაუკვირდა, მაგრამ პროტესტი არ განუცხადებია, რადგანაც დიდი, ცისარტყელასფერი, პანორამული ტრანსპარანტი ჰქონდა დასამთავრებელი და თვითონაც მაინცდამაინც არ ეჩქარებოდა კოლონიიდან გასვლა.

* * *

ახლა აბესალომ ტოგონიძე პენსიონერია.

ძველებურად მუხლი აღარ ერჩის.

პიონერთა სასახლეში მარტო დრამწრეს ხელმძღვანელობს, ხოლო შრომა-გამასწორებელ კოლონიაში საზოგადოებრივ საწყისებზე ხელგარჯილობის წრეს.

ამას ისე, სახალისოდ აკეთებს, თორემ არც ძალი შესწევს და აღარც სცალია – შვილიშვილები ახვევია.

შემთხვევა

ჯიხურიდან ვიღაცამ წვიმას ხელი გაუწოდა.

ერთხანს აწვიმდა ხელისგულზე. მერე სველი მარჯვენა ისევ ჯიხურში შემალა და იმ მარჯვენის პატრონმა, ოციოდე წლის მსუქანმა ახალგაზრდა კაცმა ავტობუსის მოსაცდელ ჯიხურში მყოფთა გასაგონად ჩაილაპარაკა: „ეს დღეს გადამღები არ არის“.

ლოდინით დაღლილმა მგზავრებმა ერთბაშად დახედეს მის ხელისგულს, თუმცა ცხადად ხედავდნენ რომ წვიმდა.

მსუქან ახალგაზრდა კაცს ეტყობა, მოსწყინდა, შარვალი აიკაპიწა, მარჯვენა ხელისგული თავზე დაიდო, მარცხენა კი გულმოდგინედ ჩაჩურთა ღრმა ჯიბეში. გულმოსულად ახედა მკრთალად დახაზულლ ცას და წვიმისადმი პროტესტის ნიშნად ჩქარი ნაბიჯით გაუყვა ქუჩას.

ჯიხურში დარჩენილებმა იფიქრეს, როგორც ჩანს, ეჩქარება ამ კაცსო და მხრები არ აუჩეჩავთ. მგზავრებს არც იმისათვის მიუქცევიათ ყურადღება, რომ მსუქანი ახალგაზრდა კაცი, ცოტა არ იყოს, უხერხულ პოზაში მიაბიჯებდა, წვიმა იყო და წვიმაში, მოგეხსენებათ, ოღონდ დასველებას გადაურჩნენ და რას არ მოიფიქრებენ ადამიანები, წვიმის პირველი სერიოზული წვეთებიდანვე ისინი თავზე იფარებენ ახალ გაზეთებს, გოგრის ფოთლებს, წამლის რეცეპტებს და პლასტმასისაგან დამზადებულ ბავშვის აბაზანებსაც კი, მსუქან უცნობ ახალგაზრდას მარჯვენა ხელი ედო თავზე და ამიტომაც ჯიხურის დროებით ბინადართ არაფერი გაკვირვებიათ.

გასაკვირი აქ მხოლოდ ის იყო, რომ ჩვენი ნოველის გმირს არსად არ ეჩქარებოდა, ისინი, ვინც ეს კაცი ჯიხურიდან თანაგრძნობით აღსავსე თვალებით გამოაცილა და ისინიც ახლა ქუჩაში მიმავალს საიმედოდ გადახურული სახლების ფანჯრებიდან ყოველშემთხვევისათვის რომ შესცქეროდ-

ნენ, ვერასოდეს გაიგებდნენ, რომ მსუქან უცნობ მოქალაქეს არაფერი საქმე არ ჰქონდა, ხომ შეიძლებოდა მას უბრალოდ ვერ აეტანა გულისგამაწვრილებლად გაჭიმული წვიმა.

ეს ამბავი ზაფხულში მოხდა. მსუქანი ახალგაზრდა კაცი ტროტუარზე დაშვებულ საწვიმარ მილებს ხტუნვა-ხტუნვით გვერდს რომ უქცევდა და ავტობუსის ერთი გაჩერებიდან მეორისაკენ თავზე ხელდაფარებული რომ გარბოდა, იყო სართავ-სატრიკოტაჟო ფაკულტეტის დღის განყოფილების მესამე კურსის სტუდენტი ნოდარ ბერძენაძე, რომელიც ამ პატარა ზღვისპირა სოფელში ქალაქ საყოლიას №4 საბავშვო ბაღს ჩამოჰყოლოდა დამსვენებლად.

შეიძლება მკითხველს გაუკვირდეს, რაღა დროს ნოდარის საბავშვო ბაღიაო, მაგრამ ყველაფერი ნათელი გახდება მას შემდეგ, რაც იგი შეიტყობს, რომ ნოდარის დედა – ქალბატონი ლუბა ფახურიძე ხსენებული საბავშვო ბაღის აღმზრდელი გახლავთ.

ნოდარს მალე მოსწყინდა წვიმისაგან დასაცავი ილეთების კეთება და ნაკლებად დასველების იმედით კედელ-კედელ სიარული. ჯიბიდან ხელი ამოიღო და ნაბიჯი შეანელა. იგი ხანდახან შეორთქლილ სათვალეს მოიხსნიდა, ჯერ კიდევ მშრალი ცხვირსახოცით გაწმენდდა და გაიკეთებდა. მერე ისევ მოიხსნიდა სათვალეს, წყლადქცეულ თმებზე ხელს ჩამოისვამდა და გზას განაგრძობდა. ნოდარი, მართალია, არსად არ მიდიოდა, მაგრამ მაინც კმაყოფილი იყო.

ეს სურათი რომ ქალბატონ ლუბას დაენახა, რბილად რომ ვთქვათ, შეშფოთდებოდა, ნოდარს უწაუწა გამოაქცევდა შინისაკენ. სველ ტანსაცმელს გახდიდა, თმას გაუმშრალებდა, დააწვენდა და მაშინვე სიცხეს გაუზომავდა, დატუქსავდა, თავის მოკვლით დაემუქრებოდა და მოეფერებოდა.

ლუბას სხვა შვილი არ ჰყავდა და ნოდარი ისე გაზარდა, როგორც თავგადაკლული დედები ზრდიან ერთადერთ პირმშოს, მას შემდეგ, რაც ქმარმა მიატოვა (ეს იყო მაშინ, როდესაც ნოდარი მხოლოდ ორი წლისა იყო), ლუბას დასჩემდა მარტოობის შიში. მას ეჩვენებოდა, რომ ნოდარი რაც უფრო

იზრდებოდა, თანდათან შორდებოდა დედას და ერთ დღეს შეიძლებოდა მამამისის კვალს გაჰყოლოდა.

გადარეული დედაო, რომ იტყვიან, სწორედ ლუბა გახლდათ. მას ყოველთვის კაბის კალთაზე ჰყავდა გამობმული თავისი ვაჟი.

დედისთავის სხვა ცხოვრება არ არსებობდა.

სკოლა თითქმის შვილთან ერთად დაამთავრა, ცდილობდა არ გამორჩენოდა ნოდარის ცხოვრების უმნიშვნელო ეპიზოდიც კი. უკვე ულვაშებაბიბინებულ ყმაწვილს სკოლამდე მიაცილებდა და გაკვეთილების შემდეგ ჭიშკართან უცდიდა. ნოდარის ამხანაგები მალე შეეჩვივნენ ამ ამბავს. მათ იცოდნენ, რომ ნოდარს ერთადერთი მესაიდუმლე და მეგობარი ჰყავდა დედამისი – ქალბატონი ლუბა.

ნოდარი თითქმის საბავშვო ბაღში გაიზარდა, გაკვეთილებსაც ხშირად იქვე ამზადებდა, იქვე სადილობდა, ერთობოდა კიდეც ბავშვებთან, თავისუფალ დროს ხანდახან დედას ცვლიდა სამსახურში.

პატარა შეგირდებს ზღაპრებს უამბობდა და ლექსებს ასწავლიდა, დასასვენებლად, რასაკვირველია, ყოველთვის ბაღს დაჰყვებოდა. დედა-შვილი ერთად ცხოვრობდნენ ბაღის მომსახურე პერსონალისათვის გამოყოფილ ოთახში.

რაც სტუდენტი გახდა, ნოდარს ჩვენს შორის დარჩეს და, ეუხერხულებოდა ბაღის უასაკო მრევლთან ჭამა, ხანდახან დედას შეეხვეწებოდა, სადილი ოთახში ამომიტანეო, მაგრამ ეს მხოლოდ ხანდახან. საერთოდ ნოდარ ბერძენაძე დედის მორჩილი და დამჯერე იყო, ნიადაგ დედის გაორკეცებული ყურადღების ქვეშ ყოფნამ თავისი კვალი დააჩნია ნოდარის პიროვნების ჩამოყალიბებას, გაიზარდა იგი „დედის ბიჭად“.

სწავლით კარგად სწავლობდა. ბუნებით მშვიდი ყმაწვილი იყო. ახირებული არაფერი იცოდა, მის გულწრფელობას და სათნოებას ყველანი პატივს სცემდნენ.

ბავშვობაში დედა ენერგიულად ცდილობდა მისი პირმშო მუდამ მოწინავეთა შორის ყოფილიყო. რა გაიზარდა, რჩეულთა შორის ყოფნა თითქოს ბუნებრივ მოთხოვნილებად ექცა ნოდარს.

ინსტიტუტის საპატიო დაფას პირველი კურსიდანვე ამშვენებდა ნოდარის სურათი, ამ სურათიდან მნახველს ღიმილით შესცქეროდა მრგვალი პირისახის, ოდნავ ღაბაბიანი, თხელცხვირა, სქელწარბებიანი ახალგაზრდა, რომელიც სათვალეს ჩვეულებრივზე ცოტა ქვემოთ, ცხვირის წვერზე იკეთებდა და კითხვისას ზემოდან ჩახედავდა მინებს, ხოლო სიარულის დროს იმავე მიზეზის გამო თავს მაღლა სწევდა.

ნოდარს წაბლისფერი სწორი თმები ჰქონდა და დინჯი, გრძელი ნაბიჯებით დადიოდა. შეხედავდი თუ არა ის კეთილი და სანდომიანი სათვალიანი კაცები გაგახსენდებოდათ, შესაყვარებლად ტკბილად რომ ასახეს მწერლებმა გრძელ მოთხრობებსა და რომანებში. ნოდარის გარეგნობაც კი მორიდებით განგაწყობდათ მის მიმართ. ნოდარის თანდასწრებით მოერიდებოდით უწმაწური სიტყვის თქმას, ქვის სროლას, ძაღლისათვის კუდზე ძველი კასრის გამობმას და სხვისი მტრედების „ჩამოჟენას“.

ზღვაზე დამსვენებელთათვის ცუდი ამინდი ხომ გულიმომკვლელია საერთოდ, მაგრამ საბავშვო ბაღის პედაგოგთათვის ორმაგად ძნელი გახლავთ.

ბავშვებს საბანაოდ ვერ წაიყვან, ეზოში ვერ გაუშვებ (სხვათა შორის ეზოში ჩასვლისთანავე საყოლიას № 4 საბავშვო ბაღის აღსაზრდელები სულ ერთსა და იმავე, აუტანლად არასერიოზულ თამაშს თამაშობდნენ. დაკვირვებული მაყურებელი ამ თამაშიდან ვერავითარ შინაარსს ვერ გამოიტანდა. აღსაზრდელები უაზროდ ჰყვიროდნენ, უმიზნოდ იქნევდნენ ხელებს, ხტებოდნენ და ერთმანეთს მანჭვა-გრეხაში ეჯიბრებოდნენ), უნდა გყავდეს ოთახში. ოთახში გაშვებული თუნდაც ათიოდე ბავშვი კი, სათამაშოდ, რა მოხერხებულიც არ უნდა იყოს ის ოთახი, მოგეხსენებათ, რა სანახაობაა; თუ ამას დავუმატებთ იმ გარემოებასაც, რომ საკურორტო სოფელში, სადაც ამ ზაფხულს საყოლიას № 4 საბავშვო ბაღია დაბანაკებული, გრძელვადიანი, ბარაქიანი წვიმები იცის, მიხვდებით, რატომ გადაწყვიტა ნოდარ ბერძენაძემ ბავშვების ყურისწამღებ ჟრიამულს ცოტა ხნით გარიდებოდა.

„ჰაერზე გავივლიო“ უთხრა დედამისს და სანამ ქალბატონი ლუბა თბილ პიჯაკს, საწვიმარს და ძველთაძველ შავ ქოლგას გამოარბენინებდა, კიბეზე დაეშვა.

ფრჩხილებამდე დასველებულმა ნოდარ ბერძენაძემ შეამჩნია, რომ მის გვერდით ავტობუსი გაჩერდა. მძღოლმა თავი გამოჰყო და თითქოს საგანგებოდ ნოდარს ჩასძახა: „დიოსკურია!“

ნოდარმა ყურადღება არ მიაქცია. მან იცოდა, რომ ქალაქი დიოსკურია ამ საკურორტო სოფლიდან შვიდ კილომეტრზე მდებარეობდა. ისიც იცოდა, რომ ყველა ავტობუსი ან დიოსკურიაში მიდიოდა, ან დიოსკურიიდან ბრუნდებოდა. ამიტომ სართავ-სატრიკოტაჟო ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტს მიაჩნდა, რომ ყოველ გაჩერებაზე „დიოსკურიას“ დაძახება არც კი იყო საჭირო. „დიოსკურია“ მეორედ დაუძახა შოფერმა და რაკი შეატყო, რომ ჯიუტ მგზავრს დიოსკურია არ აინტერესებდა, ნელა დაძრა მანქანა.

ამასობაში ნოდარ ბერძენაძემ იფიქრა: „მაინც წვიმს, გავყვები ამ ავტობუსს, გავივლ-გამოვივლი დიოსკურიაში, თვალს წყალს დავალევინებ და სადილობამდე დავბრუნდებიო“.

ავტობუსი რომ გაუსწორდა, ნოდარი სწრაფად მოტრიალდა და ხელი აუწია. მძღოლმა წინა კარი გაუღო და საეჭვოდ შეათვალიერა თავიდან ბოლომდე გალუმპული მგზავრი.

ავტობუსში თბილოდა, ნოდარს თავზე და მხრებზე ორთქლი ასდიოდა. გრძნობდა, როგორ აშრებოდა, ტანზე ტანსაცმელი.

ერთი რამ ადარდებდა, საზაფხულო, დაჭრილ ფეხსაცმელებში წყალი შესულიყო და, ვაითუ, გავცივდეო. ახსოვდა დედის დარიგება, ფეხები ყოველთვის თბილად უნდა გქონდეს, გაცივება ფეხებიდან იწყებაო.

დიოსკურიამდე სანაპირო უშველებელ, კოხტად მოვლილ პარკს წარმოადგენდა. პარკი სავსე იყო ერთი-მეორეს მიჯრილი სანატორიუმებით, დასასვენებელი სახლებითა და პანსიონატებით.

ავტობუსის ფანჯრიდან წვიმა მოჩანდა. წვიმას ერთბაშად შეეცვალა კურორტი, თავისი იერი მიეცა.

ცარიელ ქუჩებში კანტიკუნტად გაირბენდა საწვიმრიანი მგზავრი, რომელიც აუცილებელი საქმისაკენ იძულებულის სახით გარბოდა.

სანატორიუმებსა და კვიპაროსის ხეებს შორის ხანდახან ზღვა გაკრთებოდა.

უკაცრიელ პლაჟზე აქა-იქ შემორჩენილ მზის ქოლგებქვეშ ისხდნენ შეყვარებულები და პოეტები და ზღვას გაჰყურებდნენ.

ზღვაზე ერთი გემიც კი არ ჩანდა და საოცრად ჰგავდა იგი მიტოვებულ და გაუქმებულ ზღვას, რომელსაც სიცოცხლის ნიშანწყალს მხოლოდ სუსტ ტალღებზე დაშვებული თოლიები უბრუნებდნენ.

– ყურში წყალი არ შეგდით? – ჰკითხა ნოდარ ბერძენაძემ მის გვერდით მჯდომ შუახნის რუხჩოხიან მამაკაცს, რომელიც ფანჯარაში იხედებეოდა და ხანდახან მრავალმნიშვნელოვნად ამოიხვნეშებდა, „მდაა“...

რუხჩოხიანმა ერთი კი მოიხედა და თითქოს ამ შეკითხვას უცდიდაო, მეყვსეულად უპასუხა:

– არა, არ შემდის, რაზე მკითხეთ?

– ისე, – მიუგო ნოდარმა. სინამდვილეში სტუდენტს ეს შეკითხვა ისე არ დაუსვამს. განსხვავებით დამსვენებელთა უმეტესობისაგან ლუბას ვაჟიშვილს ყვინთვისას ყურში წყალი ჩასდიოდა, ახლაც ფრატუნობდა მის ყურებში წყალი და ნოდარს ამ რამდენიმე წლის წინ გადატანილი ყურის ანთების უსიამო მოგონებებს აღუძრავდა.

– მაინც რატომ მკითხეთ? – არ ეშვებოდა ჩოხიანი.

– ისე, უბრალოდ, – გაუმეორა ნოდარმა, მაგრამ მისი თანამგზავრის ცნობისმოყვარეობა ოდნავადაც ვერ დააკმაყოფილა.

ნოდარს არ მოეწონა ამ კაცის დაჟინებული მზერა.

ჩოხა-ახალუხსა და აზიაცკ-ლეკვერთხებში ჩამჯდარი, შუახანს გადაცილებული წითელულვაშა კაცი კულტურის სა-

სახლიდან შესვენებაზე გამოქცეულ დრამატულ დასის წევრს ჰგავდა, ან, უკეთეს შემთხვევაში, ხალხურ საკრავთა ორკესტრის ერთ-ერთ წამყვან დამკვრელს, რომელიც სარაიონო ოლიმპიადაზე მიიჩქაროდა.

ერთი სიტყვით, ნოდარი მიხვდა, რომ ჩოხა-ახალუხი არ იყო ამ კაცის ყოველდღიური ფორმა და გული შეეკუმშა. მას მოეჩვენა, რომ თუ საუბარს გააგრძელებდა, თვითონაც ძალაუნებურად, რომელიღაც იაფფასიანი ვოდევილის პერსონაჟად იქცეოდა, მაგრამ უკვე გვიან იყო.

– წყალი ყველას არ შესდის ყურებში, – დაიწყო ჩოხოსანმა, – ყურის ნიჟარაზეა დამოკიდებული. თუ ერთხელ ჩაგივიდა, მერე ველარ დააკავებ, ესე იგი დაზიანდა რაღაც, ყვინთვას უნდა ერიდო, ან, თუ იმნაირი სამსახური გაქვს, რომ უსათუოდ წყალში გიხდება ყოფნა, ყურები ვაზელინიანი ბამბით უნდა დაიცო, შველის ძალიან.

ნოდარმა არაფერი შეიმჩნია. ეგონა, ამ ახსნა-განმარტებას დასჯერდება ჩემი თანამგზავრი და გაჩუმდებაო, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ.

– მე, მაგალითად, ყურში წყალი არ შემდის. უფრო სწორად, არ ვიცი შემდის თუ არა, იმიტომ რომ ზღვაში არ ვყვინთავ. ყვინთავ კი არა, ზღვაში არც ვბანაობ. ჩვენ, აქაურებს, დრო არ გვრჩება ზღვაში სანებივროდ. ჩამოსული კაცი სხვაა. თქვენ ამ საქმისათვის ხართ ჩამოსული და მეტი რა უნდა გააკეთოთ. არ დაიჯერებთ, მე ხანდახან საგზურს ვყიდულობ და ზღვაზე დასასვენებლად სხვაგან მივდივარ. იქ შეიძლება პლაჟიც ნაკლები იყოს და კვებაც. შენი ოჯახობისნაირ სადილს გაგიკეთებს ვინმე? მაგრამ მივდივარ და ვისვენებ. რამდენჯერ ვთქვი, ახლა წავალ, ხვალიდან ვივლი, საღამოობით მაინც ვივლი პლაჟზე-მეთქი, მაგრამ ვერ მოვახერხე. ჩემი ძმა მაგალითად, მე ძმა მყავს უმცროსი...

ნოდარს მეტი აღარაფერი გაუგონია. ჩოხიანი ენერგიულად ლაპარაკობდა. ნოდარს სიბრაზე მოერია და ყურს აღარ უგდებდა. ხანდახან თავს დაუქნევდა მხოლოდ. ჩოხოსანი ფიქრობდა, მისმენსო და ჰყვებოდა. დიოსკურიაში ჩასვ-

ლამდე ენა არ გაუჩერებია. ისე ახი კი იყო ნოდარის თავზე. თავდაპირველად ხომ სტუდენტმა ჰკითხა, ყურში წყლის შესვლის საკითხზე. რომ არ ეკითხა, იჯდა კაცი მშვენივრად თავისთვის, კოხტად მოქარგულ სანაპიროს ათვალიერებდა და ხანდახან, სრულიად უმიზეზოდ იტყოდა: „მდა“...

– დიოსკურია! – დაიძახა მძღოლმა.

ეს ბოლო გაჩერება იყო. ფანჯრიდან მართლა დიოსკურია მოჩანდა.

ტროტუარზე ფეხი ჩამოდგა თუ არა, ნოდარმა ჯერ, რატომღაც, მარჯვნივ მიიხედა, სალუდესთან მამაკაცების გრძელი რიგი იდგა. ნოდარს ლუდი არ უყვარდა და ამიტომ მარცხნივ შეუხვია.

პირველსავე შემხვედრს ჰკითხა; მთავარ ქუჩაზე როგორ გავალო, შემხვედრმა აქეთ ჰკითხა; რომელ მთავარ ქუჩაზეო, იგი კიდევ რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ ნოდარმა ხელი ჩაიქნია და წავიდა.

ნოდარი მის სიცოცხლეში პირველად იყო უცნობ ქალაქში და საქმე არ ჰქონდა, სულერთია საითკენ წავიდოდა, ავტოსადგურის თავზე დიდი ელვარე რეკლამა (რომელსაც ეწერა „ლუდი სასიამოვნო და მარგებელია“) ინიშნა, ისევ აქ უნდა მოვბრუნდეო, ჩაილაპარაკა და მხიარულად დაუყვა ქუჩას. ნოდარი არ სტვენდა, სტვენა საერთოდ არ უყვარდა.

* * *

წვიმას გადაეღო, მაგრამ მზე არ ჩანდა. ქუჩა ნელ-ნელა ცოცხლდებოდა, სახლებს სტოვებდნენ სხვადასვა მიზეზითა დ საბაბით დაწყვილებული დამსვენებლები და სეირნობას იწყებდნენ.

ნოდარს მოეწონა დიოსკურია. ისე გატაცებით აკვირდებოდა ყველას და ყველაფერს, თითქოს ერთხელ და სამუდამოდ დამახსოვრება სურდა.

– მომენტო! – მოესმა უკნიდან სართავ-სატრიკოტაჟო ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტს.

ნოდარმა მიიხედა.

მისკენ ხის ქვეშ მდგომი გრძელთმიანი ყმაწვილი წამოვიდა, გულზე ხელი დაიდო და ნოდარს დამტვრეული რუსულით გააგებინა, ბოდიშს ვიხდი, რომ შეგაჩერეთ, მაპატიეთ ალბათ ძალიან გეჩქარებოდათო.

ნოდარი მიხვდა, რომ მის წინ უცხოელი იდგა. თავაზიანად გაუღიმა და დაამშვიდა; არა უშავს, არსად არ მეჩქარება, რაშია საქმე მითხარითო.

უცხოელი საშუალო ტანის ჩასკვნილი ბიჭი იყო. ეტყობოდა პირი ჯერ არ გაეპარსა, სახეს პირველყოფილი ღინღლი უფარავდა. ყურების გასწვრივ და ნიკაპზე ძლივს მოუჩანდა ფაფუკი, მეჩხერი წვერი. სამაგიეროდ თმა უხვად მოეშვა, შუბლზე გაყოფილი, იქეთ-აქეთ გადავარცხნილი გრძელი ქერა თმა უცხოელს თითქმის ნახევარ სახეს უფარავდა და უსამართლობა იქნება ჩვენის მხრივ იმის მტკიცება, რომ თითქოს ამ ახაოლგაზრდას გრძელი თმა არ უხდებოდა. ნოდარმა მაშინვე ყურადღება მიაქცია; უცხოელს ლურჯი, კოხტადშეკერილი, ტანზე შემოტმასნილი შარვალი ეცვა.

– თქვენ, ალბათ, გაგიკვირდებათ, – მორცხვად განაგრძო უცნობმა, – შეიძლება გკითხოთ? ოღონდ არ გამიჯავრდეთ. მე ვიცი, ეს ლამაზი არ არის.

რა უნდა მკითხოს ასეთიო, გაიფიქრა ნოდარმა და თავი დაუქნია.

– სად იყიდეთ ეს პერანგი? – ძლივს ამოღერღა უცხოელმა ისე, რომ ნოდარის პერანგისათვის თვალი არ მოუცილებია. ნოდარი ერთბაშად შეტრიალებას და წასვლას აპირებდა, მოცლილია ვიღაცო, მაგრამ იმდენად სერიოზული სახე ჰქონდა იმ კაცს, რომ ნაბიჯი ვერ გადადგა.

ნოდარ ბერძენაძეს გრძელსახელოებიანი, ყვითელხაზებიანი, აბრეშუმნარევი, ჩითის პერანგი ეცვა – ადგილმრეწველობის კომბინატის გამოშვება.

– ახლა არ მიყიდია. დედამ მიყიდა ორი წლის წინ, რა იყო? – ჰკითხა ნოდარმა. უცხოელმა მოიწყინა. ძალიან მინდა ასეთი პერანგი მქონდესო, ეს ფერი ხაზები ძალიან მიხდებაო,

ოღონდ სადმე ვიშოვიდეო. აქ მაღაზიებში მე არ შემხვედრია, თანაც დრო არა მაქვს ხვალ გემით სამშობლოში მივდივართო.

ნოდარს მოეჩვენა, რომ შეიძლება ცოტა თამამად და იქნებ უტაქტოდაც იქცეოდა უცხოელი, მაგრამ იგი გულწრფელი იყო. ამიტომაც ძალიან სურდა დახმარებოდა სტუმარს. ჩემი პერანგი რომ შევთავაზო, ვაითუ ეწყინოსო, გაიფიქრა, ისინი ცოტა ხანს მდუმარედ შესცქეროდნენ ერთმანეთს. უცხოელმა კიდევ ერთხელ მოუხადა ბოდიში და წასვლა დააპირა. ნოდარმა გაბედა:

– თუ არ მიწყენთ, ჩემსას დაგითმობდით, ახალია, პირველად შარშან ზაფხულზე მეცვა. დასასვენებლად რომ მივდივარ მარტო მაშინ მაცვია.

უცნობს თვალები გაუბრწყინდა. იგი მოხიბლული და თანაც გაოცებული დარჩა. ფული ამოიღო და შეაძლია ნოდარს. როცა სტუდენტმა ფულზე უარი უთხრა, საათი შეიხსნა, საათიც რომ უკან დაუბრუნეს, ხუმრობა ეგონა და დაიმორცხვა, როგორ ვერ მივხვდი, თქვენ საკუთარ პერანგს როგორ გაჰყიდიდით, სახლში რით წახვიდოდითო, მერე თითქოს გამოსავალი იპოვაო, წამოიძახა, თუ არ მიწყენთ, როგორც ფეხბურთელებმა, სახსოვრად გავცვალოთ პერანგებიო.

ნოდარმა უარი ვეღარ უთხრა. პირველსავე სადარბაზოში შევიდნენ და პერანგები გაცვალეს. ყველაფერი კარგად იქნებოდა, მაგრამ სადარბაზოდან გამოსულები სახალხო რაზმელებმა დააკავეს, რაზმელები ორნი იყვნენ. ერთმა უცხოელს ვინაობა ჰკითხა, საბუთი გაუსინჯა, გაუცინა, გაეხუმრა, ხელი ჩამოართვა და გაუშვა. მერე ნოდარისთვისაც მოიცალა. „რატომ გვჭრი თავს, არ გრცხვენია შენხელა კაცსო?“ – მშვიდად ჰკითხა. სანამ ნოდარი ახსნა-განმარტებას დაიწყებდა, პირველმა რაზმელმა მეორე, უფრო დაბალ, რაზმელს გადაულაპარაკა წავიყვანოთ, იქ გავარკვიოთო. სახალხო რაზმელებმა ნოდარი შუაში ჩაიყენეს და მთავარი ქუჩისაკენ წაიყვანეს. ნოდარი ჩუმად იყო. არც მეორე, დაბალი რაზმელი იღებდა ხმას, პირველი რაზმელი კი აღშ-

ფოთებით ლაპარაკობდა, ნოდარს სულმოკლეობაში სდებდა ბრალს, შემარცხვენელს უწოდებდა და ასკვნიდა, რომ მის დანაშაულში წვლილი უპირველესად, ოჯახს და შემდეგ სკოლას მიუძღოდა.

სახალხო რაზმელის შტაბი ღია იყო, მაგრამ ცარიელი. ნოდარი გზაშივე დარწმუნდა, რომ ამ ორი რაზმელიდან უფროსი სწორედ ის მეორე რაზმელი იყო, რომელსაც არც ნოდარის დაკავებისას და არც მერე, გზაში ხმა არ ამოუღია. ახლა კი დაბალი ტანის სახენაყვავილარმა რაზმელმა, რომელსაც წარბები ლაპარაკის დროს უცნაურად აუდ-ჩაუდიოდა, პირწმინდად შეკრულ, ზოლებიან ხალათზე რატომღაც ჰალსტუხი ეკეთა და მარცხენა ხელის ორი თითი შეხვეული ჰქონდა, სკამებს შორის გზა გაიკვლია, ტელეფონთან მოკალათდა, ერთხანს აფათურა უჯრაში ხელი, ქაღალდი და კალამი გადაუგდო ნოდარს და სთხოვა, ყველაფერი როგორც მოხდა, ისე დაეწერა.

– რა არის დასაწერი? – ცოტა არ იყოს მიამიტი კითხვა დასვა ნოდარმა.

- ეს ლაპარაკი მინდა ახლა მეე? – მოწყენილად თქვა რაზმელმა. – არ იცი ვითომ, რაზე ხარ აქანა მოყვანილი?

– არ ვიცი, – მოკლედ მოჭრა ნოდარმა.

მასპინძელმა დაწვრილებით გამოჰკითხა ვინაობა. ნოდარს, მისდა იღბლად, სტუდენტის ბილეთი აღმოაჩნდა. დიდხანს წერდა რაზმელი, ვინ იყო ნოდარი, საიდან ჩამოვიდა, რა საქმიანობას ეწეოდნენ მისი მშობლები. ყველაფერი რომ დააზუსტა, ცოტა არ იყოს შეწუხდა, თითქოს სურდა უფრო გამოცდილ ბოროტმოქმედთან ჰქონოდა საქმე. ვიდრე ეს სათვალიანი, წყნარი ბიჭი იყო, მერე ნოდარის პერანგი შეათვალიერა და თქვა:

– რა ჰქონდა, ახლა, ბიჭო, ამ საროჩკას დასაფეთებელი?

– ვინ ეფეთება?

– რა ვიცი, სტუმარ კაცს ქუჩაში გახადე და ტანზე გაცვია.

– კი არ გავხადე, ჩემი პერანგი მივეცი.

– რატომ მიეცი თუ გახსოვს?

– გავცვალოთო.
– იმან გითხრა?
– ხო.
– რატომ მოუნდა, თუ იცი, გაცვლა?
– მომწონსო, მიხდებაო, სად იშოვეო, ჯერ მკითხა.
რაზმელმა ნაიცინა ნაძალადევად, გულმოსული კაცის სიცილით.
– ხა, ხა, ხა, ხა! უყურებ შენ რა მომხდარა? ესე იგი გადეირია, კანადიდან ჩამოსული კაცი შენს საროჩკაზე ხომ? ვერ ვშოულობ ვერსად, არიქა, შენი ჭირიმე მიშველო ეგებო, ხომ?
– კი.
– შენ შეგეცოდა და შენი პერანგი მიეცი, ,ხომ?
– კი.
– მერე შიშველი ხომ არ წამოხვიდოდი უკან და იმისი პერანგი ჩაიცვი, ხომ?
– გავცვალოთო მითხრა, რავარც ფეხბურთელებმა იციანო.
– ისე დაგეწყო თავზე ბალანი, რავარც ახლა შენ მართალს ამბობ, – გაბრაზება გაერია ხმაში რაზმელს.
– ჰკითხეთ, თუ გინდათ.
– ვის ვკითხო? ჩვენს ხელში გაზრდილი ღლაპი, შენ არ ამბობ სიმართლეს და ის მეტყვის, გადამთიელი კაცი?
– რა ვქნა აბა მე? – დაიბნა ნოდარი.
– ვერაფერს ვერ იზამ!
– დედას გეფიცები, თვითონ გამაჩერა, თვითონ დამიწყო ლაპარაკი, რად მინდოდა მე მაგის პერანგი.
– ეს ლაპარაკი მინდა ახლა მეე? - საქმიანი სახე მიიღო რაზმელმა, – ხომ შეხვედით ერთად „სახინკლის“ გვერდზე, სადარბაზოში?
– კი.
– ხომ გაცვალეთ პერანგები?
– კი.
– კი არ უნდა ამას, ხომ აცვია ახლა იმ კაცს შენი პერანგი და შენ ხომ გაცვია იმისი საროჩკა?

– კი.

– ა, ეს დაწერე. ასე, მოკლედ. ჩვენ კი არ გიჭერთ, ან კი არ გჭამთ აქანა. რა უნდა ამას; ვინ გაგაჩერა პირველად, ვინ დაიწყო ტირილი: პერანგი გავცვალოთო, თორემ მოვიკლავ თავსო. არც ის უნდა, შენ რომ არ მოგწონს იმისი პერანგი და ის რომ ჩამწვარია შენს პერანგში. ამას ყველაფერს დაგიჯერებთ, რაც მე გითხარი ახლა, დაწერე და წადი შენს გზაზე.

ნოდარმა დაწერა.

* * *

შინ უგუნებოდ დაბრუნდა.

დედამ ჯერ პერანგს მიაქცია ყურადღება, მაგრამ ნოდარმა შუბლზე აკოცა და დაამშვიდა, ერთ საყოლიელ ბიჭს გავუცვალე, არ გეწყინოსო.

თავი ტკიოდა.

უქეიფოდ ისადილა, და რაც არასოდეს უქნია, ფეხებში გაბლანდულ ერთ-ორ აღსაზრდელსაც წაუთაქა თავში.

ბავშვებმა ჯერ გაკვირვებით შემოხედეს და მერე საშინელი ღრიალით გაცვივდნენ ოთახიდან. შემჩნეულია, რომ ბაღის უფროსი ჯგუფის აღსაზრდელები ტირილს უფრო ენერგიულად იწყებენ, მაშინ, როცა ის კაცი აწყენინებთ, ვისგანაც წყენას საერთოდ არ ელიან.

ზღვას მივჩერებოდიო, უთხრა დედამისს, მიყვარს წვიმაში ზღვის ყურება და ამიტომ შემაგვიანდა სადილზეო, ქალბატონმა ლუბამ, რასაკვირველია, არ დაუჯერა ნოდარს, რა ღონე არ იხმარა, რანაირად არ ეფერა, თუ გიყვარვარ მითხარიო, მაგრამ შვილისგან მეტი ვერაფერი გაიგო. ნოდარი ტახტზე წამოწვა და ჭერს მიაჩერდა. ჭერის ფიცრები დანომრილი იყო, ეტყობა დურგალს ჯერ იატაკზე მოერგო ისინი ერთმანეთისათვის, დაენომრა, და მერე აეკრა, ნოდარი იმ ციფრებს უმატებდა ერთმანეთს, მერე ყოფდა, ამრავლებდა და ამით ცოტას ერთობოდა.

გულის სიღრმეში, სადღაც, კმაყოფილიც იყო. კმაყოფილი

იყო იმით, რომ დედას არ გაუმხილა დღევანდელი შემთხვევა.

ნეტავ ინსტიტუტს, არ მიწერონო, შიშობდა.

სხვა არაფერი აწუხებდა ნოდარს. მას სინდისი სუფთა ჰქონდა.

დღეს პირველად იყო იგი მარტო, უცხო ქალაქში, დედის გარეშე. იყო უსაქმოდ, თუ უცხო ქალაქის დათვალიერების სურვილს საქმედ არ ჩაუთვლით. და ეს ამბავი შეემთხვა.

ნოდარს ეჩვენებოდა, თითქოს მისთვის ცხოვრება დღეს დაიწყო.

დღეს იგი პირველად თავისი საქციელისათვის ახსნა-განმარტებას აძლევდა დაინტერესებულ კაცს და მის გვერდით არავინ იყო.

ასეთ საქმეებს დედას აღარასოდეს მოვუყვებიო, მტკიცედ გადაწყვიტა.

ნოდარი დღეიდან უკვე კაცი იყო.

თავისი საიდუმლო ჰქონდა.

მოსე

მოსე ორთოვიძე კარგა ხანს იჯდა.

შორს არ წაუყვანიათ, მისი მშობლიური ქალაქიდან თხუთმეტი კილომეტრის დაშორებით მშვენიერი საგუბერნიო ციხეა, – იქ იჯდა.

მართალია, სახლთან ახლოს უწევდა სასჯელის მოხდა, მაგრამ მნახველებს მაინცდამაინც არ შეუწუხებიათ.

შინ ერთი მოხუცებული დედა ჰყავდა, რომელიც ნახევარჯერ ფეხზე არ იყო. პირველივე ვიზიტის შემდეგ თვითონ მოსემ აუკრძალა; რად მინდა, დედაჩემო, შენი აქ ღოღიალი, თავს მიხედე, რა მიჭირს მეო.

რაც შეეხება მეგობრებს, მოსეს ჰყავდა ორი-სამი ძმაკაცი, მაგრამ გარემოებათა გამო ისინიც დაკავებული იყვნენ და რესპუბლიკის სხვადასხვა ციხეებში სხვადასხვა ვადით ისხდნენ.

ვერ ვიტყვით, რომ ამ ოთხ-ნახევარი წლის განმავლობაში მოსე სავსებით გამოსწორდა. რომ მან ციხეში შეიგნო თავისი დანაშაულის მთელი სიმძიმე და ამიერიდან საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას მოჰკიდებდა ხელს, მაგრამ ერთი რამ ცხადზე უცხადესი იყო; მოსეს ციხეში მიბრუნება აღარ უნდოდა.

„მეყო რაც ვხეხეო. ოცდათექვსმეტი წლის კაცი ვარ: რაღა დროს მაიმუნობა და მამაძაღლობაა აწიო, შენსას ვერ გაექცევი მაინცო. დღეს არა, ხვალ მოგკიდებენ კისერში ხელსო. ახლა მთლად ვირის მუშად ვერ გადავიქცევი (მოსეს ფიზიკური შრომა არ იზიდავდა), მარა რამე ადვილ საქმეს მოვკიდებ ხელსო (ადვილ საქმეებში მოსე ნოქრობას ან, უკიდურეს შემთხვევაში არასაუწყებო დაცვაში მუშაობას გულისხმობდა), ცოლს ვითხოვ და ერთ-ორ დღეს, მაინც გავატარებინებ დედაჩემს მშვიდადო“.

ამ მიზეზთა გამო მოსე ყველაფერს იღონებდა, რათა ციხეში ხელახლა არ მოხვედრილიყო. და, კაცმა რომ თქვას, გამოსწორება მეტი კი არაფერია.

სასჯელის ვადა არ გათავებია. სამაგალითო ყოფაქცევისათვის წლინახევრით ადრე გაათავისუფლეს და დღეს 197... წლის 21 აგვისტოს დღის თორმეტ საათზე, მოსე ორთოვიძე თავის მშობლიურ ქალაქში ჩამოვიდა.

სადგურიდან (მოსე საბარგო მატარებელს ჩამოჰყვა) სოხუმის პროსპექტით პირდაპირ შეეძლო ნინოშვილის ქუჩაზე გამოსვლა, მაგრამ ერთი ცენტრში გავივლიო, გადაწყვიტა და ტროლეიბუსს დაელოდა.

მოსეს მოეჩვენა, რომ ქალაქი ძელქვიანა დაძველებულიყო და ცოტა დაპატარავებულიყო კიდეც.

ორჯერ შემოუარა აკაკის ბაღს, მაგრამ ნაცნობი არავინ შეხვედრია. ბაღის კიდეზე სულ უცნობები დადიოდნენ. მოსალოდნელიც იყო, მოსეს ხნის კაცებს ბულვარში სასეირნოდ და სასტუმროს წინ დასადგომად აღარ ეცალათ, პატარა ბიჭები წამოზრდილიყვნენ, თმები მოეშვათ, წვივებთან მარაოსავით გაშლილ შარვლებს დააფრიალებდნენ და თხელ ბეჭებზე პაჭიჭებივით მორგებული პერანგები ასკდებოდათ.

ისინი დაპატრონებოდნენ ქალაქს, ახლა ისინი ისხდნენ ძველი თეატრის გასწვრივ გრძელ სკამებზე და ღლაბუცობდნენ. მოსეს ამ ასაკის ყმაწვილები რატომღაც არ უყვარდა და აბანოსკენ გადმოუხვია.

მოაბიჯებდა თეთრ ხიდზე ციხიდან ახალგამოსული კაცი, მოსე ორთოვიძე. ტანსაცმელი, რომლითაც მოსე საპატიმროდან გამოვიდა, მოდიდან კარგა ხნის წინ გამოსულიყო. დაჭმუჭვნილი შავი პიჯაკი თითქოს დამოკლებულიყო. წვრილი, თეთრი, ნაქსოვი ქამარი, რომელიც მოსეს დაჭერამდე ქალაქში ულტრამოდად ითვლებოდა, აღარავის ეკეთა. ერთი სიტყვით, ქალაქი წინ წასულიყო და მოსემ გაპარსულ თავზე თავისი გრძელკეპიანი, ბუკლეს ქუდი უფრო ჩამოიწია. ამ ქალაქში დაბადებულს და გაზრდილს, ძელქვიანას ყველა კუთხე-კუნჭული რომ იცოდა, თავი რა-

ტომღაც უცხოდ მოეჩვენა და შინ მისვლამდე აღარც კი უნდოდა ვინმეს ეცნო.

ერთი რამ დარჩა მოსეს სასიამოვნოდ. თეთრ ხიდს გაღმა, ახლანდელი ბახტრიონის ქუჩის მარცხენა მხარეს, ჩამწკრივებულ სახელოსნოებში, თავიანთ სამუშაო მაგიდებს ისევ ძველებურად უსხდნენ მესაათეები, თერძები და მექუდეები. მოსე გაახარა ნაცნობი სახეების დანახვამ. ამით ჰგავდა ძელქვიანა ძელქვიანას. მოსეს უყვარდა ეს ხალხი თავიანთი შრომისმოყვარეობის, მკვირცხლი გონებისა და ფულის შოვნის არაჩვეულებრივი უნარის გამო.

რატომღაც მოუნდა ერთ-ერთ სამკერვალოში შესულიყო და გაოცებისაგან პირდაღებული ხელოსნებისათვის თავისი ჩამოსვლა ეხარებინა, მაგრამ გადაიფიქრა.

ქუჩაში ლამაზად მომავალი, მაღალი, გამხდარი მოსე ხელოსნებმა მაინც იცნეს. მის უკან ფრთხილად, ერთიმეორის მიყოლებით გაიღო დუქნის კარები და შეშინებულმა სახეებმა ერთმანეთს შეხედეს: „გამოუშვიათ“.

მოსეს გრძელი, ნატიფი თითები ძირს დაეშვა, სიარულის დროს ხელებს თითქმის არ ამოძრავებდა, კეპის ქვეშ სწორი ცხვირი და სქელი შავი ულვაშებით ნახევრად დაფარული თხელი ტუჩები უჩანდა. თითქოს თვალები დახრილი ჰქონდა, მაგრამ ისე სწრაფად, მიმინოსებურად ტრიალებდნენ ისინი ოდნავ მოჭუტულ თვალთა გუგებში, რომ მოსეს გარშემო ოდნავი მოძრაობა, ჩქამიც კი არ გამოეპარებოდა.

კინო „ქრონიკასთან“ ნინოშვილის ქუჩაზე გადმოუხვია.

ახლა უკვე თავის ქუჩაზე იყო. მოსე „მთვრალი ბაზრის“ იქეთ, მერვე შესახვევში ცხოვრობდა. სახლამდე ერთი კილომეტრიღა რჩებოდა. მოსემ ძალაუნებურად ნაბიჯს აუჩქარა.

აფთიაქთან კედელს აკრული ბერეტიანი კაცი შენიშნა. გაოცდა: რამ გააქვავა, რას უთვალთვალებს ეს კაცი ნეტავი, რომ მიუახლოვდა, კიდევ უფრო გაკვირვებული დარჩა. ინტელიგენტური გარეგნობის, უულვაშო, ასე ორმოციოდე წლის კაცს ორივე ხელი საფოსტო ყუთისთვის ჩაევლო და მოსეს ელოდა.

– ჩვენი ძმა! – ჩუმად მიმართა მან, როცა მოსე გაუსწორდა.

მოსემ მოიხედა.

– თუ კაცი ხარ, მეცი პატივი.

– რა იყო?

– დამიკავე ცოტა ხანს, – ბერეტიანმა ნიკაპით საფოსტო ყუთზე მიუთითა.

– რა მოუვიდა? – ახლოს მივიდა მოსე, მართალია, ციხიდან ახალი გამოსული იყო და შინ მიეჩქარებოდა, მაგრამ კაცს დახმარება სჭირდებოდა და უარს როგორ ეტყოდა მოსე.

– ვარდება ეს უპატრონო. შევალ აგერ ბაზარში ჩაქუჩს და ლურსმანს ვიშოვი და დავამაგრებ. ცოტა ხანს დამიკავე. ძირს რომ დავდო, ვიღაცა წეიღებს და შარია, ხომ იცი, ათასი უბედური დადის ამ ქუჩაზე. მოდი, მოდი, ა, ასე... ცოტა მძიმე ქეა, მარა რას იზამ. კედელს მიაჭირე, მაგრად მიაწექი და არ ჩამოვარდება.

მოსემ ხელები მიაშველა. ცოტა ხანს ორივეს ერთად ეჭირათ ყუთი. როცა მოსე კედელთან საიმედოდ მოკალათდა, უცნობმა ფრთხილად გაუშვა ხელები, შარვალი გაიფერთხა და მოსეს გაულიმა.

– აგაშენა ღმერთმა. ჯანი და სიმართლე არ მოგაკლდეს. ერთი საათია ვდგავარ, არაკაცმა არ მოკიდა ხელი. ყველას ეჩქარება დღეს. რავა მე მოცლილი ვარ თუ? არ ჩამოგივარდეს, არ დავიღუპოთ. კედელს მიაჭირე, მე მოვალ ამ წუთში.

ბერეტიანმა ერთხელ მოიხედა და ბაზრის კარებში გაუჩინარდა.

სანამ უცნობი ჩაქუჩ-ლურსმანს მოიტანდეს, დრო გვაქვს და თუ მკითხველსაც აინტერესებს, მოკლედ გავიხსენოთ რა საქმეზე იჯდა კაცი, რომელსაც ახლა (როგორც არ უნდა გაკვირვებოდა გამვლელ-გამომვლელს), მშვიდი სახით ეჭირა საფოსტო ყუთი და ამ უცნაურ პოზაში რომ არავის ეცნო: კედლისაკენ იყო მიბრუნებული.

მოსე ორთოვიძე თაღლითი იყო.

„აფერისტი“, „აფიორა“ „ყალთაბანდობა“ ასეთ კვალიფიკა-

ციას აძლევდნენ მის პიროვნებას და საქმიანობას გამომძიებლები.

უკულმართობაზე ჰქონდა ჭიპი მოჭრილი.

ბავშვობიდანვე სული მისდიოდა სხვის მოტყუებასა და გაბიაბრუებაზე.

მთელი დღე შეეძლო მჯდარიყო თავისი ღობის ძირას ძაფით ხელში. ძაფის მეორე ბოლოზე სამმანეთიანი იყო გამობმული, როცა სამმანეთიანის პოვნით გახარებული მოქალაქე ფულისაკენ დაიხრებოდა, მოსე ძაფს გამოსწევდა და მამალივით დაიყივლებდა, შერცხვენილი მგზავრი ავადგასაგონი ჩურჩულით ტოვებდა იქაურობას. მოსე კი ფულს კვლავ ძველ ადგილს დაუბრუნებდა და თვითონ ბუჩქებს შეფარებული ახალ მსხვერპლს ელოდა.

მოწაფეობისას ერთხანს კინოს ბილეთებით ქორვაჭრობდა.

მისი გონება სულ საუკულმართოდ იყო მიმართული, გზაჯვარედინზე გზის მაჩვენებელ ისრებს მიმართულებას შეუცვლიდა და სამტრედიაში მიმავალ მანქანას ხონისაკენ აქნევინებდა პირს. ხატვა ეხერხებოდა და სახლში ყოველთვის ბლომად ჰქონდა მუყაოს ქაღალდზე დაწერილი: „არ მუშაობს“, „რემონტია“, „ეს სახლი იყიდება“ და სხვ. მოსეს ოინბაზობით არ მუშაობდა აბანო, რემონტში იყო ქალაქის ცენტრალური საზოგადოებრივი საპირფარეშო, იყიდებოდა მის ქუჩაზე ახალთახალი სახლი, რომელიც პატრონმა სიმწრით ააშენა და გაყიდვა აზრადაც არ მოსვლია. მოსეს ეძებდნენ, მოსდევდნენ, ემუქრებოდნენ ილაჯგაწყვეტილი აბანოს უფროსები, საზოგადოებრივი საპირფარეშოს უდანაშაულო მომხმარებლები, მაკლერებისაგან გულშემოყრილი სახლის პატრონები. მოსე თვალდახელშუა გაქრებოდა და სულ მალე ახალი ოინბაზობით აალაპარაკებდა ქალაქს.

„მოსეია ორთოვიძის გადაკიდებას შავი ჭირი ჯობია ოჯახშიო“, იტყოდნენ ძელქვიანას დარბაისელი მოქალაქენი. ვისაც შეუჩნდებოდა, შავ დღეს დააყრიდა. სასწრაფო დახმარების და სახანძრო რაზმის მანქანებს არ მოაკლებდა ძაღლს (თუ ყავდა), ნემსიან პურს გადააყლაპებდა, დღე ერთი იყო და

სამჯერ მაინც დაურეკავდა: წყალი შეწყდება და მოიმარაგეთო, სახლში ყალბ დეპეშას გაუგზავნიდა და უახლოესი ნათესავის გარდაცვალებას შეატყობინებდა, რადიოს ხაზებს გადაუჭრიდა...

ხომ ასეთი მავნე იყო, თავის დღეში არაფერი მოუპარავს. ქურდობა ჭირივით სძულდა. სხვის ჯიბეში რავა ჩავყოფ ხელს, ან საათს რავა შევხსნი კაცს მაჯაზეო. პატარა ნიჭი თუ გაქვს კაცს, ფულის შოვნაზე ადვილი რაა ამ ქვეყანაზეო. კაცს ისე წაართვი ფული, რომ მადლობას გეუბნებოდესო.

ფულს გადაყოლილი არ იყო მოსე, მაგრამ როცა დასჭირდა, იშოვა. იშოვა ტკბილად, უმტკივნეულოდ, ნერვების აუშლელად.

ტელეფონის დადგმა სად არის იოლი და ძელქვიანაში ძალიან ჭირდა.

იშოვა მოსემ სადღაც ძველი ქვითრები. ქვითარი მოკლედ აუწყებდა წამკითხველს ამა და ამ კაცმა ხუთი მანეთი გადაიხადაო.

ჩაყარა ეს ქვითრები მოსემ ჩანთაში, თეატრალურ მაღაზიაში გოგოლის რომელიღაც პერსონაჟის დიდი, წითელი ულვაშები იყიდა და მიიწეპა. გაიკეთა ჰალსტუხი და ახალი ძელქვიანას მხარეს, ტუმბოთმშენებელი ქარხნის უტელეფონო დასახლებისაკენ გაემართა.

პირველივე სახლიდან დაიწყო.

ზარის ღილაკს თითი დააჭირა და სტუმრის შესათვალიერებელი სპეციალური ჭუჭრუტანის წინ გაჩერდა. საერთოდ მოსეს არ უყვარდა, მასპინძელი რომ დურბინდისმინიანი ნახვრეტიდან დაუწყებდა ცქერას, მაგრამ ახლა საქმისათვის ასე იყო საჭირო.

– ვინ არის? – მოისმა შიგნიდან ქალის ხმა. თერთმეტი საათი იყო, მოსემ სპეციალურად შეარჩია ეს დრო, რადგანაც ჯანმრთელი და სამსახურიანი მამაკაცების უმეტესობა ამ დროს შინ არ არის. ხოლო საქმე, რომელზედაც მოსე იყო მისული, დედაკაცთან უფრო მოგვარდებოდა.

– მე ტელეფონის საკითხზე ვარ, ქალბატონო.

– რაის ტელეფონის? – კარს არ აღებდა დიასახლისი.

– რაის და რკინის ტელეფონის. თუ გჭირდებათ გააღეთ კარი, თუ არა და წავალ სახლში.

– რას ჰქვია არ გვჭირდება! – გამოფრიალდებოდა დიასახლისი, – იმ დღესაც იყო ჩემი ქმარი, მარა ვერ ნახა უფროსი, გვეშველა ქე მაინც?

– როგორც ხედავთ, – მშვიდად თქვა მოსემ და ქვითარი ამოიღო.

– მარტო ჩვენ გვიდგამენ? – საიდუმლოდ ჰკითხა ქალმა.

მოსემ თავი არ გაუყადრა. ტელეფონის დამდგემელმა თავისი საქმე იცოდა.

– მარტო თქვენ რა, წითელი კვერცხი ხართ? ყველას უდგამენ. კაბელი შემოდის ამ სახლში. აპარატის ფული ხუთი მანეთია საჭირო. თუ გაქვთ ახლა გადაიხადეთ და გამოგიწერთ ქვითარს. თუ არა და თქვენ თვითონ შეიტანეთ სალაროში და ქვითარი ხელზე გქონდეთ, – გულგრილად თქვა მოსემ და წასვლა დააპირა.

– მოიცათ, ახლავე, – შეტრიალდა დიასახლისი და მოსეს ორი სამმანეთიანი გამოურბენინა. მოსემ მანეთი თავაზიანად დაუბრუნა. ქვითარი გამოუწერა, მისცა და თითქოს ძალიან ეჩქარებაო, კიბეს აჰყვა, თან ბედნიერ დიასახლისს ჩასძახოდა.

– სამ-ოთხ დღეში ტელეფონი გექნებათ! აპარატი როგორი გინდათ. შავი თუ თეთრი?

– თეთრი! – ანგარიშმიუცემლად დაუძახა დიასახლისმა. მოსემ უბის წიგნაკი ამოიღო და სიარულში ჩაიწერა:

„ერთი თეთრი აპარატი“.

იმ სამი დღის განმავლობაში მოსემ თითქმის მთელი დასახლება, დაახლოებით, ხუთასი ოჯახი შემოიარა. ფული ბლომად იშოვა, მაგრამ მხოლოდ ის აწუხებდა, რომ ხუთასი ოჯახიდან ოთხასზე მეტმა ტელეფონის თეთრი აპარატი მოინდომა. სად ვიშოვი ამდენ თეთრ აპარატსო, იცინოდა მოსე და გოგოლის რომელიღაც პერსონაჟის ულვაშებს ფრთხილად იხსნიდა, რაც ცოტა უსიამოვნო საქმე იყო, რადგანაც

ხსენებული ულვაშები თავის შავ ულვაშებზე დაიწეპა და ახლა ახსნისას წიწკნიდა.

ამ ამბავმა უხმაუროდ ჩაიარა. ტუმბოთმშენებელი ქარხნის დასახლების მცხოვრებთა უმეტესობას ტელეფონის დადგმის იმედი გადაწურული ჰქონდა. ესეც არ იყოს, ხუთი მანეთი არც ისე დიდი ფული იყო, რომ გამოდევნებოდნენ კაცს, რომელმაც თავისი ხუთმანეთიანი ქვითრით მათ ოჯახში ათი დღით მაინც შეიტანა ტელეფონის სასიამოვნო მოლოდინი.

თვით მოსე ორთოვიძე კი ამ ოპერაციას ცოტა სხვაგვარად უცქეროდა. საშიშ საქმედ ეჩვენებოდა, რომ გიცნოს ვინმემ ტროლეიბუსში და დაგიწყოს ლანძღვა; ხომ შერცხვი კაციო. ტელეფონის საქმემ უმტკივნეულოდ ჩაიარა. მოსე ვერავინ იცნო. სხვა საქმეზე როცა ჩავარდა, მოსემ თვითონ უამბო ეს შემთხვევა გამომძიებელს. ორივემ ბევრი იცინა. მერე გამომძიებელმა ეს დანაშაულიც საქმეს მიუმატა (რითაც მოსეს საბოლოო ჯამში ორი წლით გაუხანგრძლივეს ჯდომა), ხოლო მოსეს გულუბრყვილო აღიარება, თავის გამომძიებლურ ნიჭს მიაწერა.

მოსე სხვა საქმეზე ჩავარდა.

ტელეფონის ოპერაციის ორი წლის თავზე მოიფიქრა მოსემ თაღლითური სვლა, რომელსაც მსოფლიოს ცნობილი თაღლითებიც სიამოვნებით მოაწერდნენ ხელს. საქმე თითქმის ურისკო იყო. მოსეს შეეძლო სახლიდან არც კი გასულიყო. მხოლოდ მოკლე წერილები უნდა ეწერა და იმ წერილებს დაუყოვნებლივ მოჰყვებოდა ფული.

აი, როგორ ხდებოდა ეს.

მოგეხსენებათ, საღამოს გაზეთი ყოველდღე დაახლოებით ორმოცდაათამდე სამწუხარო განცხადებას ბეჭდავს. ახლობლები გულისტკივილით იუწყებიან მავანი ადამიანის გარდაცვალებას, რომლის პანაშვიდი ამა და ამ დღეებშია დანიშნული, ხოლო გამოსვენება მიცვალებულის ბინიდან ამა და ამ მისამართზე.

მოსე ამოიწერდა ამ მისამართებს და მაშინვე გზავნიდა წერილს. წერილი მოკლე იყო, მაგრამ თითქოსდა მიცვალე-

ბულის იმ შორეული ნაცნობის მიერ დაწერილი, რომელმაც არაფერი იცოდა მისი გარდაცვალების შესახებ.

ლიტერატურულ შრომაზე ბევრი დრო რომ არ დაეხარჯა, წერილი სტანდარტული იყო:

„ჩემო... (აქ წერტილების ნაცვლად მოსე მიცვალებულის სახელსა და მამის სახელს ჩაწერდა) რას შვრები, როგორა ხარ. მე იქ აღარ ვმუშაობ, მოლარესთან ჩხუბი მომივიდა. მომენატრა შენი ნახვა, მოვიცლი თუ არა, შემოგივლი, თუ კაცი ხარ ამ ორი თვის წინ თხუთმეტი მანეთი რომ გასესხე, თუ გექნეს გამომიგზავნე. ხომ იცი უმუშევარი კაცის ამბავი. თანაც ცოლი ავად მყავს და ჰაერზე უნდა წავიყვანო, თორემ არ შეგაწუხებდი.

გულწრფელი შენი მოსე

მისამართი: ძელქვიანა

ნინოშვილის ქუჩა, მერვე

შესახვევი, №10“.

ამ ბარათს ადრესატი მიიღებდა მისი დაკრძალვის დღეს ან უარეს შემთხვევაში, დაკრძალვის მეორე დღეს.

ვინ იქნებოდა ისე დაფსებული ჭირისუფალი, რომ რაღაც თხუთმეტი მანეთს არ გაუგზავნიდა კაცს, რომლისგანაც, როგორც წერილიდან აშკარა იყო, მიცვალებულმა ორი თვის წინათ ისესხა (რის შემოწმებაც, რასაკვირველია უფრო ძნელი იყო და მეტ წვალებას მოითხოვდა, ვიდრე კუთვნილი თხუთმეტი მანეთის გაგზავნა უმუშევარი კაცისათვის, რომელსაც ავადმყოფი ცოლი კურორტზე უნდა წაეყვანა).

თხუთმეტი მანეთის გულისთვის ჩვენებური კაცი მკვდარს არ შეაგინებინებს და მოსე ორთოვიძეს ყოველდღიურად დაახლოებით ორას მანეთამდე მოსდიოდა ფოსტით. ხშირად თანხას პატარა ბარათიც ახლდა, რომელშიც დამწუხრებული ჭირისუფლები მოსეს მისი ახლო ნაცნობების გარდაცვალების ამბავს აუწყებდნენ. მოსე ამ ცრემლიან ბარათებს არ კითხულობდა.

ერთი თვის თავზე მოსე ჩავარდა.

ფოსტის განყოფილების მუშაკები მოსე ორთოვიძის ქვითრების გამოწერას ვერ აუდიოდნენ. და სწორედ ერთი თვის თავზე ისინი დაეჭვდნენ. საიდან მოდიოდა მოსეს მისამართზე ამდენი ფული ყოველდღიურად და რატომ მაინცდამაინც თხუთმეტ-თხუთმეტი მანეთი.

ეტყობა იჩქარა მოსემ.

სულ უბრალო რამ იყო საჭირო.

მოსეს წერილები სხვადასხვა გვარით (ადრესატებთან შეთანხმებით) უნდა ეგზავნა და ჭირისუფლებიდან სხვადასხვა ვალი მოეთხოვა (მაგალითად შვიდი მანეთიდან თხუთმეტ მანეთამდე).

თუ ადრესატების მოძებნა გაუჭირდებოდა, მოსეს შეეძლო თავისი სახელით ეგზავნა წერილები, მაგრამ ზომიერად, არც ისე ხშირად და აუცილებლად მეორე გარემოების გათვალისწინებით.

მოსე ორთოვიძემ ეს ორი უმმნიშვნელო გარემოება ვერ გაითვალისწინა, თორემ მას შეეძლო მთელი სიცოცხლის მანძილზე პენსიასავით ჰქონოდა ეს, საკუთარი გონებით მოპოვებული დაუმადლებელი ფული.

ფოსტის მოხელემ თავისი ეჭვი სხვასაც გაუზიარა და მოსე ორთოვიძე ჩავარდა.

მოსეს გამომგონებლობით და გამჭრიახობით მოხიბლული მოსამართლე ღიმილნარევი სიმკაცრით წარმართავდა პროცესს და დარცხვენილი ბრალდებულისთვის აღტაცებული მზერა ბოლომდე არ მოუშორებია.

კანონი ითხოვდა და მოსეს ძველი და ახალი დანაშაულისათვის ექვსი წელი მისცეს.

* * *

ნინოშვილის ქუჩაზე, „მთვრალი ბაზრის“ კუთხეში, აფთიაქთან იდგა კაცი და იობის მოთმინებით ეჭირა საფოსტო ყუთი.

დაიღალა.

დროდადრო ცალ ხელს შეასვენებდა და მუცლით აწვებოდა საფოსტო ყუთს.

დაახლოებით ორმოცდაშვიდი წუთი გავიდა.

კაცს ეჩქარებოდა.

ბერეტიანი კი არა და არ ჩანდა.

ბოლოს ილაჯგაწყვეტილმა კაცმა საფოსტო ყუთს ნელ-ნელა გაუშვა ხელი, კედელ-კედელ ჩამოვაცურებ და ძირს დავდგამო.

საფოსტო ყუთი არ განძრეულა. კაცმა უკან დაიხია. მერე ორივე ხელი ჩაავლო ყუთს და გამოსწია, მაგრამ ძვრაც ვერ უყო.

საფოსტო ყუთი მაგრად, საიმედოდ ეკიდა.

კაცმა იქეთ გაიხედა, საითკენაც ბერეტიანი გაიქცა და გაიცინა ხმამაღლა, ღონიერი სიცილით.

არ იცოდა რა ექნა, თან გაბრაზდა, თანაც მოეწონა ხუმრობა.

მოაბიჯებდა თავისი სახლისაკენ. შეჩერდებოდა, უკან მოიხედავდა, გაიცინებდა და ისევ განაგრძობდა გზას.

„რაღა მე გამიკეთა, რაღა დღევანდელ დღეს, ვინ ვეგონე ნეტავი. აქაურს არ გავდა, ო, რა უბედური ეყოლება ვინცხაა გამჩენს. მაინც რანაირად მოვტყუვდი. მთელი საათი საფოსტო ყუთი დამაკავებია ხელში კაცმა აგერ ა, ჩემს ქუჩაზე, ჩემს სახლთან, იცხოვრე ახლა შენ ამგენის ხელში წესიერად“, – ფიქრობდა მგზავრი.

რომ შეხვედროდა სადმე იმ ბერეტიანს, არ გაუჯავრდებოდა, ხელს გადახვევდა, გაუცინებდა, მისას მოისმენდა, თავისას მოუყვებოდა.

მოსე ორთოვიძე შინ ბრუნდებოდა.

მე ვარ...

შალვა მატარაძე სატყეო ტექნიკუმში ხაზვას ასწავლიდა. შალვას უყვარდა თავისი პროფესია და ქალაქში ერთი სერიოზული და წესიერი კაცის სახელი ჰქონდა დაგდებული.

ცხოვრობდა შალვა ტექნიკუმის მასწავლებლის მომჭირნე, ერთფეროვანი ცხოვრებით.

ორმოცდაორი წელი გასულ კვირას შეუსრულდა და გამჩენის წყალობით ერთ ამდენ ხანს კიდევ უნდა ეცოცხლა.

უწყინარი კაცი იყო შალვა და ჭირში უღალატო. შალვას რკინის ნერვები ჰქონდა... მდგომარეობიდან მისი გამოყვანა თითქმის შეუძლებელი იყო. გარეგნულადაც მაინცდამაინც არ გამოირჩეოდა სხვებისაგან შალვა. ერთადერთი ეგ იყო, რომ დიდი პირი ჰქონდა და მქუხარე სიცილი იცოდა. დიახ, სიცილი ცოტა ახირებული იცოდა. სიცილის დროს შალვა მარჯვენა თვალს ფართოდ გაახელდა და მარცხენას მოჭუტავდა. ტუჩ-კბილს ცალ მხარეს მოაგროვებდა (ცალ მხარეს ქაჩავდა რაღაც). შალვა ცალყბად იცინოდა, ამ სიტყვის ფიზიკური გაგებით. და ვინც კარგად არ იცნობდა, ვისაც მისი სიცილი ერთხელ მაინც არ ენახა, იფიქრებდა – დამცინისო.

უმეტეს შემთხვევაში შალვას ნაცნობებთან ჰქონდა საქმე. სიცილითაც, ბუნებრივია, იგი ნაცნობებთან უფრო იცინოდა და ამიტომ თავისი ახირებული სიცილის გამო, უსიამოვნებაც ცოტა ხვდებოდა.

შალვა მზრუნველი და მოსიყვარულე მამა იქნებოდა, რომ მამა ყოფილიყო. საქმე იმაში გახლავთ, რომ ამ ათი წლის წინ, შალვამ ცოლი შეირთო და ამ ცხრა წლის წინ განქორწინდა. გაშორების მიზეზად, ძალიან ვიწრო და შინაურ წრეში, შალვა ისეთ რამეს ასახელებდა, რომ მსმენელთ ყურები უწითლდებოდათ და ოჯახის ყოფილ უფროსს დამსახურებულად დატუქსავდნენ: „არა გრცხვენია? ასეთი რამ როგორ

უნდა ილაპარაკო შენხელა კაცმა“. „თუ სიმართლე გინდათ, ეგ არის, თვარა ვიტყოდი, ვერ შევეწყვეთ ხასიათებით-თქვა და მორჩებოდა საქმე“, გულწრფელად იტყოდა შალვა და უკვირდა, რომ ადამიანებს, ხშირად ესთეტური ტყუილი ურჩევნოდათ უხერხულ და მწარე სიმართლეს.

ამის შემდეგ შალვა მარტო ცხოვრობდა. სოფელში მოხუცი დედ-მამა ჰყავდა და თავისი ხელფასის ნახევარს მათ უგზავნიდა.

ცოლის შერთვაზე ფიქრით კი ფიქრობდა, მაგრამ პირველი ცოლის გაშვების მიზეზი გაახსენდებოდა და შეაჟრჟოლებდა. ამიტომაც შალვა დაოჯახებას არ ჩქარობდა. მამაკაცს არ უგვიანდებაო, იტყოდა იგი და თუმცა მთლად მართალი არ იყო, მაინც მარტოხელა კაცის მდგომარეობა იზიდავდა.

ორმოცსგადაცილებული უცოლო მამაკაცების ემეტესობა ფიქრობს, რომ მათთვის დრო შეჩერებულია (იმ მიზეზის გამო, რომ უცოლოები არიან). თავი ყოველთვის ნანატრ სასიძოდ წარმოუდგენიათ და ამაოდ ეჩვენებათ, რომ სარკიდან ისევ ის, ოცი წლის წინანდელი თმაქოჩორა და კაფანდარა ორეული შესცქერით. ისინი ჩვიდმეტი წლის გოგონებისაგან „ბიძიას“ დაძახებას ვერ იტანენ და საოცრად სიამოვნებთ, როცა ქათინაურების მოყვარული მოსაუბრე გაცვეთილი ინტონაციით განუცხადებთ – ამდენ წელზე მეტს არავინ არ მოგცემთო.

რა სჯობია, რომ კაცმა თავისი ადგილი იცის, თავის ძალებზე სწორი წარმოდგენა აქვს. ადამიანთა ცხოვრების მოუწესრიგებლობის ერთი მთავარი მიზეზი საკუთარი ძალების გადაფასებაა (რასაც ყოველდღიურ საუბარში – „თავზე დიდ წარმოდგენას“ ეძახიან). შენი მდგომარეობის და ასაკის შესაფერისად უნდა გეჭიროს ყოველთვის თავი.

ჯერ ქალი არ ვარგა, თავს რომ იბავშვებს და თავისი გასაიდუმლოებული ხნოვანებისათვის სრულიად შეუფერებელ კეკლუცობას იწყებს, და კაცი ხომ საშინელებაა.

ცხოვრებას ამაოდ არ უნდა დაედევნო. ყველა ასაკს თავისი სილამაზე და სინათლე აქვს.

ეს ყველაფერი, იმიტომ გავიხსენე, რომ შალვა მატარაძემ

შესანიშნავად იცოდა თავისი თავი. შალვა საკუთარ ღირსებებზე ხმას არ ამოიღებდა, შალვასთვის ქადილი (თუნდაც საბუთიანი) უცხო იყო და განსხვავებით მისი ასაკის უცოლო მამაკაცთა უმეტესობისაგან, თავის ორმოცდაორ წელსაც საკმაოდ საღად უყურებდა. როცა ადღეგრძელებდნენ, შალვა სირცხვილისაგან წითლდებოდა, როცა სხვების სადღეგრძელოს სვამდა: ცდილობდა ლამაზად ეთქვა, მაგრამ, უმეტეს შემთხვევაში, არ გამოსდიოდა. ამიტომ შალვა ყველაფერში სიჩუმეს არჩევდა. შალვა მღელვარე, ენერგიული, ენთუზიასტი კაცი არ იყო. რასაც დაავალებდნენ, გააკეთებდა, არ დაავალებდნენ და იყო თავისთვის.

დაწინაურების არც იმედი ჰქონდა და არც სურვილი მაინცდამაინც. ასეთი წყნარი თანამშრომლები, ალბათ, თითო-ოროლა თქვენცა გყავთ სამსახურში. ისინი არასოდეს ბინას არ ითხოვენ და ამიტომაც არც ღებულობენ. ისინი არასოდეს არ მოგთხოვენ საგზურს დასასვენებელ სახლში და გულზე ხელი დაიდევით და თქვით; ხომ არც თქვენ აწუხებთ მაინცდამაინც პრემიებითა და წამახალისებელი ფურცლებით.

ასეთები თავიანთი სიცოცხლის შემოდგომაზე ერთხელ შეახსენებენ თავს უფროსებს პენსიაში გასვლის თაობაზე. მათ ტაშფანდურით გააცილებენ და მეორე დღესვე დავიწყებას მისცემენ. ის ერთი საბედისწერო ღამე რომ არა, შალვა მატარაძის ცხოვრებასაც სრულიად ჩვეულებრივი დასასრული ექნებოდა.

დაიძინა შალვამ საღამოთი და გამოიღვიძა დილით. ამაში არაჩვეულებრივი არაფერი გახლავთ. გარეგნულადაც შალვას არაფერი ეტყობოდა. მაგრამ დილით შალვამ კრიტიკულ ხასიათზე გაიღვიძა.

სხვებისაგან ეს ამბავი არ გამიკვირდებოდა, რადგანაც არიან ადამიანები, კრიტიკულ ხასიათზე რომ იძინებენ და ასეთივე განწყობილებით დგებიან დილით, მაგრამ შალვას მდგომარეობა სხვა იყო; სატყეო ტექნიკუმის წყნარმა და უპრეტენზიო მასწავლებელმა დილით კრიტიკულ ხასიათზე გაიღვიძა.

* * *

– შანშე, მოიწი ერთი აქეთ, – გადასძახა შალვამ თავის კარის მეზობელს, სინოპტიკური ობსერვატორიის ლაბორანტ შანშე დეისაძეს, რომელიც ზოლებიანი ქვედა საცვლის და ნაჩვრეტებიანი მწვანე მაისურის ამარა ეზოში გამოსულიყო და რეზინის მილით ხელში, ყვავილებს რწყავდა.

შანშემ მოიხედა და მავთულის ბადურ ღობესთან საგულდაგულოდ ჩასაფრებული მეზობელი რომ დაინახა, გაუკვირდა. შანშე და შალვა, მართალია, უახლოესი მეზობლები იყვნენ, მაგრამ ერთმანეთს თითქმის არ ელაპარაკებოდნენ, ხაზვის სპეციალისტი ყოველთვის უხალისოდ პასუხობდა სალამზე და მეზობელთან დაახლოების სურვილს არასოდეს ამჟღავნებდა. ახლა კი შალვა მატარაძე ღობესთან ჩაცუცქულიყო და დამწყებ სინოპტიკოსს ისეთი სახით უხმობდა, თითქოს ეს-ესაა უდიდესი საიდუმლო უნდა გაანდოსო. შანშემ რეზინის მილს ხელი უშვა და ალუბლის ხეს მიუახლოვდა.

– დიდი ხანია მინდოდა მეთქვა, შანშე, შენთვის და ვერ გიბედავდი, – დაიწყო შალვამ.

– ბრძანე, ბატონო.

– ისეთი კი არაფერი, ერთი არაკის არ იყოს, მარა, მაინც, მე ვთქვი, არ ეწყინოს-თქვა.

– რავა შეიძლება, ბატონო.

– ახლა, ჩემო შანშე, რომ არ გითხრა, მტერი ვიქნები შენი.

– რაშია, ბატონო, საქმე? – ფერი წაერთვა შანშეს.

– რასაც მენ გეტყვი, ჩემო შანშე, სხვამ, ერთი არაკის არ იყოს, ეგება არც ქე გითხრას.

– ჰო.

– ახლაც გვიანაა, ამის თქმა, მარა ადრე რომ მეთქვა, ჩემს სიტყვას არ გეიგონებდი, არც ახლა გეიგონებ, რავარც გინდა, იმ ერთი არაკის არ იყოს, მე ქე უნდა გითხრა... მეზობელი ვარ და უნდა გითხრა.

– აღარ იტყვი, რა მჭირს ამისთანა? – ნერწყვი გაუშრა მეზობელს.

– რა გჭირს და, – შალვამ იდუმალი მზერა მოავლო გარემოს, შანშეს ხელი დაუქნია, ახლოს მოიწიო, ყოველ შემთხვევისათვის კიდევ ერთხელ-მიიხედ-მოიხედა და ჩურჩულით აუწყა:

– შენ, ჩემო შანშე, დაგიჭერენ მალე.

– რას მიზამენ? – თავი გასწია შანშემ, თითქოს მეზობელი ახლა, ამ წუთში, მავთულის ბადიდან ხელს გამოჰყოფდა და როგორც ცელქ ბავშვს, ყურით დაითრევდა.

– დაგიჭერენ, ჩაგსვამენ, – თვალი მოჭუტა და თავი დაუქნია შალვამ.

– ვინ გითხრა? – ხმას დაუწია მეზობელმაც.

– არ უნდა მაგას თქმა. ერთი არაკის არ იყოს, შენ ორივე ფეხებით გაბმული ხარ. შენ, აგერ გეტყვი, ათ წელიწადს მაინც მოგცემენ ქონების კონფისკაციით.

– შენნაირი მეფეხური არ მოცილდა ჩემს დამაწყევარს, არ ამაშენა ამ დილით? გამაგებინე, კაცურად, ვინ მიჭერს, როდის მიჭერენ?! – იყვირა შანშემ და მავთულს ორივე ხელით ჩააფრინდა.

– შენით რომ ჩაბარდე, უკეთესია, – მშვიდად ურჩია შალვამ. – ეგება შეგიმსუბუქონ დანაშაული. შენთვის ჯდომა სჯობია, დამიჯერე, შანშე. იქანა დაცული მაინც იქნები, თვარა ჩაგქოლავენ იცოდე.

– რატომ ჩამქოლავენ? ვინ ჩამქოლავს?!

– ხალხი, მეზობლები, ვინც გიცნობს სუყველა. ხალხი ყოველთვის კი არ მოგითმენს. ერთ დღეს ეიღებენ დიდ ქვებს და მოგსრისავენ. – ისეთი მშვიდი, სერიოზული და თანაც კეთილმოსურნე სახე ჰქონდა შალვას, რომ მეზობელს ცრემლები მოადგა და მუდარით ჰკითხა:

– კი მაგრამ, რისთვის, რისთვის?

შალვას ჯერ გაუკვირდა შეკითხვა, მერე წარბი შეიკრა და ბოლოს გაეცინა.

– არ იცი რისთვის?

– არ ვიცი.

– ქვეყანამ იცის და შენ არ იცი, შე კაცო?

– რა იცის ქვეყანამ?

– შანშე, მე შენთვის გეუბნები, ერთი არაკის არ იყოს, მე თუ არ გითხარი, თაღლითი რომ ხარ, ვითომ შენ არ იცი, რაცხა ხარ?

– ააა... ხოოო, გასაგებია, ახლა მივხვდი ყველაფერს. – ძლივს ამოილაპარაკა შანშემ და ახლა შალვას სახეში კი არ შესცქეროდა, არამედ ხელებში; ქვა არ აიღოს და არ დამკრასო.

ღვთის წინაშე ვერ დავმალავთ და შანშეს სინოპტიკური ობსერვატორიის გარდა სხვა შემოსავალიც ჰქონდა. ლაბორანტის (თუნდაც უფროსი ლაბორანტის) პირობაზე შანშე, შეიძლება ითქვას, დიდებულად მოეწყო. მართალია, უფროს ლაბორანტებს ხელფასი დიდი აქვთ, მაგრამ შანშე სინოპტიკის გარდა სხვა საქმეებითაც იყო დატვირთული. შანშე ცოტას „მაკლერობდა“ (ბინების ყიდვა-გაყიდვაში მომრიგებლის როლს ასრულებდა), ცოტას „სპეკულანტობდა“ (მოსკოვში შეიძენდა ავეჯს და თბილისში ყიდდა), ცოტას „შანსაობდა“ (საეჭვო უცხო ნათესავებს აწყობდა უმაღლესში) და ცოტას სინოპტიკურ ობსერვატორიაშიც მუშაობდა. შანშესთვის, ეს ყველაფერი, იმდენად ჩვეულებრივი საქმე იყო, რომ ვერასოდეს ვერ წარმოიდგენდა, თუ ამას და ამის მსგავს რამეებს ოდესმე შალვა მატარაძე თაღლითის კვალიფიკაციით მონათლავდა. თაღლითობა შანშეს სხვა რამ ეგონა. თაღლითებსა და პირის გამტეხებზე იგი ხანდახან დიდი აღშფოთებით ლაპარაკობდა. შანშეს ვერაფრით ვერ დაარწმუნებდით, რომ თაღლითი იყო.

– დამიჯერე, შანშე, – ყურში ჩასძახოდა ხაზვის მასწავლებელი, – წადი და დანებდი. დანებდი გირჩევნია. შენ გეძებენ და მალე დაგიჭერენ. შეიძლება დღესვე დაგიჭირონ.

– რატომ დღესვე? – ცოტა დამშვიდდა შანშე, თუმცა ერთი პირობა ეჭვი შეეპარა, ამ ფეხბედნიერმა ხომ არ დამასმინაო.

– რატომ აქამდე არ ეცალათ შენთვის? აქამდე სხვა საქმეები ჰქონდათ და შენ ისე გაჩნდი, რომ ყურადღება ვერ მოგაქციეს. ახლა შენ აბრეშუმის ჭიასავით ტანსავსე ხარ.

ახლა შენ ჩანხარ, ჩელტზე აღარ ეტევი და სანამდე აბრეშუმის პარკს მოიქსოვდე, მოქსოვილ რკინის პარკს მოგიტანენ და ჩაგსვამენ შით.

– დიდი მადლობა, ჩემო შალვა.

– რავა გეკადრებათ, – დაიმორცხვა შალვამ, – მე კიდევ დიდხანს ვჭოჭმანობდი, არ ეწყინოს-თქვა. ესე იგი წახვალ და ჩაჯდები შენით ხომ?

– კი, ჩემო შალვა, – დაუყვავა მეზობელმა, მერე კიდევ გახედა მანძილს შალვასა და უახლოეს ქვების გროვას შორის შუშაბანდის კარებამდე, თვალით გაზომა და როცა დარწმუნდა, რომ ვერ შეასწრებდა, მშვიდად ჰკითხა:

– წუხელი კარგად გეძინა, შალვა?

– შალვამ არაფერი უპასუხა. იგი სწრაფად დაიხარა და შანშე გვერდზე გახტა, მაგრამ ლაბორანტი მაშინვე დამშვიდდა, როცა შეატყო, რომ შალვა ქვის ასაღებად კი არა, ახალდარგული ყვავილისთვის მიწის გამოსაფხვშნელად დახრილიყო.

– გიყვარს ყვავილები, შალვა? – კვლავ ტკბილად ჰკითხა მეზობელმა.

– კი, ძალიან მიყვარს.

– ასე უნდა, აბა რა, შენ ოქრო კაცი ხარ, ჩემო შალვა. წყნარად იყავი. ჭკვიანად. ზოგმა ქვის სროლა იცის, ქვის სროლა ცუდია. მალე ექიმს მევიყვანთ. ხომ გიყვარს ექიმი, ჩემო შალვა?

– ექიმი საჭიროა, – წყნარად მიუგო შალვამ და ტყემალზე გასულ მაღლარს ცრუ ყლორტები შეამტვრია.

– მე ხომ მცნობ, ჩემო შალვა? მე შანშე ვარ, შენი კარის მეზობელი. იქით ირაკლი სოხაძე ცხოვრობს. კაი კაცია ძალიან. ხომ გიყვარს შენ ირაკლი? – ჭიკჭიკებდა შანშე და შეუმჩნევლად უკან, შუშაბანდის კარებისაკენ იწევდა.

– შენ რავა არეულად ლაპარაკობ ამ დილით, შანშე. სამასხროდ გაქვს საქმე? – საკმაოდ მკაცრი ტონით ჰკითხა მოთმინებადაკარგულმა შალვამ, – რა ბანზე მიგდებ სიტყვას. ხომ გითხარი, წადი, დანებდი-თქვა. გინდა გაგბაწრონ და ისე წაგიყვანონ ქვეყნის დასანახავად?!

– კი შენი ჭირიმე, კი, ჩემო შალვა, წავალ, აი, ახლავე წავალ... – ამ სიტყვებთან ერთად შანშე დეისაძემ ტუცა თავი შუშაბანდის ნახევრად ღია კარებში და კარის მეზობელი ღობეს შეატოვა.

თვალისდახამხამებაში ფანჯრის ღრიჭოდან შანშეს მეუღლემ გამოიხედა, როცა მეუღლის თავი მიიმალა, შანშეს ქალიშვილმა და მისმა საქმრომ ერთად გამოიჭყიტეს. ისინი შიშნარევი ცნობისმოყვარეობით შესცქეროდნენ შალვას ყოველ მოძრაობას და როცა ხაზვის მასწავლებელი თავისი განუყრელი თეთრი კიტელით და ტყავის გაცვეთილი საქაღალდეთი ეზოდან გავიდა, მეზობლებში გაცვივდ-გამოცვივდნენ, რათა სიახლეს მოწყურებულ მოქალაქეთათვის შალვას ამბავი შეეტყობინებინათ.

შალვა კი ამასობაში არტილერიის ქუჩას გაცილდა და ტროლეიბუსის გაჩერებასთან ერთ ციცქნა ჯიხურს მიადგა პაპიროს „ბელომორკანალის“ შესაძენად. ჯერ „ბელომორკანალს“ იკითხავდა შალვა, თუ არ იყო „პრიმას“ მოითხოვდა და თუ „პრიმაც“ არ იყო, მერე ყოველგვარ სიგარეტს ყიდულობდა. მერე მისთვის სულერთი იყო, რასაც მოსწევდა.

– ცხვრად ვჩანვარ შენს თვალში ხომ? – ღიმილით ჰკითხა მან მრგვალსახიან წითურ გამყიდველს, როცა ხურდა დაუთვლელად ჩაიყარა ჯიბეში.

– ბატონო? – სერიოზული სახე მიიღო წითურმა.

– არა, მამას გაფიცებ, როგორც ცხვარს ისე მხედავ ახლა ხომ?

გამყიდველმა ცოტა ხანს ვერაფერი მოისაზრა. მას შეეძლო გასცინებოდა, შეეძლო ბავშვის ცნობისმოყვარე სახე მიეღო და მომხმარებლისთვის უმორჩილესად ეთხოვა, ვერ გავიგე თქვენი ხუმრობაო. ბოლოს გადაწყვიტა, ეს რა მხიარული მყიდველი შემხვდაო და გაუბედავად გაიღიმა.

– იღიმები ხომ? გიხარია ხომ, გარეთ რომ ხარ? – თვალი ჩაუკრა შალვამ.

– სად რო ვარ? – კეფა მოიფხანა გამყიდველმა.

– გარეთ რომ ხარ და ამ პატარა ჯიხურს და თეთრ ხა-

ლათს რომ ეფარები. დაგინახე, დაგინახე, გამოდი!

– ფუწიმე! – აყვა ხუმრობას გამყიდველი.

– ამ თამაშში „ფუწიმე“ არ არსებობს, – მკაცრად უთხრა შალვამ, – ჩაჯდომა მოგიწევს.

– სად დაგენაცვლე? – ხმა შეეცვალა ნოქარს.

– სადაც გეკუთვნის, – და საათზე დაიხედა, – ახლა 9 საათია, თორმეტ საათზე მოვლენ შენს წასაყვანად.

– ბიძია, ჩემს მეტი შესაშინებელი ვერ ნახე? სუსტი გული მაქვს, შენს თავს ვფიცავარ, ჩემი ნერვიულობა არ შეიძლება.

– მაშინ წადი და დანებდი თვითონ.

– რაზე დავნებდე?

– ქურდობაზე.

– ვის?

– გამომძიებელს. თუმცა რა გამოძიება უნდა, ყველამ იცის, ქურდი რომ ხარ.

გამყიდველს გულზე მოეშვა და ისეთი ალალი სიცილი აღმოხდა გულიდან, რომ ვერავინ იფიქრებდა, თუ იგი მართლა ქურდი იყო.

– აგაშენა, ბიძია, გამჩენმა, რა მასხარა ყოფილხარ, მე ვთქვი მართლა უნობს-თქვა. მე მართალი მეგონა, ჰაჰა-ჰაჰა! კაი ხასიათზე ხარ, გეტყობა, ამ დილით. წაღმა და შოვნაში გატაროს შენმა ღმერთმა.

– ნუ ატლიკინებ ენას, წადი და დაჯექი. მე შენთვის მითქვამს, წადი და დაჯექი! – დაუგდო შალვამ და გაეცალა.

გამყიდველი მოიღუშა. გამყიდველს დილიდანვე თვალი ისედაც უპარპალებდა. რავა ყვავივით დამჩხავლა ამ უპატრონომო, თქვა და თავის რთულ საქმეს დაუბრუნდა.

სატყეო ტექნიკუმის დირექტორის კაბინეტში სამნი ისხდნენ. დირექტორი მირიან ახობაძე, დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში მერაბ ელუზაშვილი და ადგილკომის თავმჯდომარე კაკო ნებიერიძე. ტექნიკუმის ეს დიდებული სამეული ამ ბოლო დროს ხშირად რჩებოდა ერთად და საუბრობდა. კაცმა რომ თქვას მარტო დარჩენა არც კი სჭირდებოდათ. რადგანაც მათი იდუმალი საუბრიდან საქმეში

ჩაუხედავი კაცი ბევრს ვერაფერს გაიგებდა. ისინი ნახევარ-ტონებით ლაპარაკობდნენ, მოკლე და სხარტი წინადადებით. ხშირად შორისდებულებს მიმართავდნენ და როგორც ჩანდა, იმ შორისდებულებით უფრო მეტს აგებინებდნენ ერთმანეთს, ვიდრე მე და თქვენ ჩემო ძვირფასო მკითხველო, ამ გაუთავებელი ახსნა-განმარტებებითა და მოსაწყენი დიალოგებით.

თუმცა დირექტორის კაბინეტში გაიშვიათებული ჰაერი იყო, დიდი, რეზინისყურებიანი ჰაერმწმენდი მაინც გულისწამღებად სისინებდა. სატყეო ტექნიკუმის ხელმძღვანელებს ჭკვიანი თავები ერთმანეთისთვის მიედოთ და ჩურჩულებდნენ, როცა კარებში შალვა მატარაძე გამოჩნდა, „შეთქმულებმა“ საქმიანი ჩურჩული შეწყვიტეს და შემოსულს მიაჩერდნენ. უხერხული სიჩუმე ჩამოწვა. სამი წყვილი თვალი შალვას კარებიდან სადირექტორო, ფართო დივანისაკენ წყნარად მიაცილებდა. შალვა, რასაკვირველია, ყველაფერს მიხვდა. მეგობრები დანაშაულზე წასწრებული ბალღებივით იშმუშნებოდნენ. ეტყობა, ისინიც მიხვდნენ, რომ შალვა ყველაფერს მიხვდა და „სამაიას“ რცხვენოდა.

– რას შობით, არ გრცხვენიათ? – იკითხა შალვამ და ფეხი ფეხს მშვიდად გადაადო.

უფროსებმა ერთმანეთს შეხედეს. ტექნიკუმის მასწავლებელთაგან ისინი ასეთ უცნაურ შეკითხვებს მიჩვეულნი არ იყვნენ.

– ა, მოვედი ახლა, ვზივარ და გიყურებთ. სანამ შეიძლება გაგრძელდეს თქვენი უნამუსობა. აღარ გეყოთ აწი, აღარ გრცხვენიათ?! – ღიმილით თქვა შალვამ, მაგრამ ეს ღიმილი სხვა ღიმილი იყო. ხაზვის მასწავლებლის ნიკაპზე და ნესტოებთან ოფლმა გამოჟონა.

– რავა გაჩუმდით. მაგას ვჭამ ახლა მეე? რატომ გეშინიათ ჩემთან ლაპარაკის. გაჩუმდით, თვარა კი არ ვიცი ახლა რაზე მუსაიფობდით, ვერ ვხვდები საწყალი. ვერც სხვები ხვდებიან.

– რას ხვდებიან? – გაუბედავად იკითხა ეკოზაშვილმა.

– ყველამ ყველაფერი იცის. თქვენ ყველაფერი ზედ გეტყობათ. შინაც გეტყობათ და გარეთაც. ამ გაჩუმებაზე

გეტყობათ. ამ შეშინებაზეც გეტყობათ. დაბნეულ მზერაზე გეტყობათ და აკანკალებულ ლოყის ნევრზე.

– რაშია საქმე, ამხანაგო შალვა! – მაგიდას დაჰკრა ხელი დირექტორმა. თავისი მიწიერი ცოდვების მიუხედავად, იგი დირექტორი იყო. ეს არაფერი – დირექტორი წლების განმავლობაში უზარმაზარ თანამდებობაზე იყო ნამუშევარი და „ცოტა რაღაც“ რომ არ შეშლოდა, შეიძლება ახლაც იქ ყოფილიყო. იცოდნენ რა დირექტორის სასახელო წარსული, მას ისედაც დაქვეითებულ და დაჩაგრულ კაცს, ბუზსაც ვერავინ აუფრენდა. ახლა კი, გამომდგარა ეს საცოდავი ხაზვის მასწავლებელი და რაღაც დაბნეულად ლაპარაკობს.

– მირიან ახობაძე, აღარ დამთავრდა შენი პარპაში? რას უშობი ამდენ ფულს? იქანა იყავი, იპარავდი, აქანა – იპარავ. არ გაძღა შენი მუცელი? რავა გაათახსირე აქაურობა. ვის ატყუებ. რად გინდა ეს მისაღები გამოცდები. რას ამაიმუნებ ხალხს. ჩამოწერე სია და მორჩი ყველაფერს. მოგაკითხავენ იცოდე, ჩემო მირიან, მოგაკითხავენ და წაგიყვანენ.

– შენ გესმის, რას ლაპარაკობ?! – ცრემლები გადაყლაპა ელუზაშვილმა.

– შენ რო გესმის და შენ რო ხარ, მაგისთანა გამოეზარდა ჩემს დამაწყევარს. შენც გიცვნეს იცოდე. რას თვალთმაქცობ. რას იტყუები. თავიდან რომ მოხვედი, ერთ თვეს პრინციპული იყავი, ხმა გააგდე შენ თვითონ, ამნაირი სერიოზული ობიექტური და მკაცრი კაცი ვარო... დღე და ღამე სხვა კაცს თამაშობ. გეშინია და იმიტომ. თუ საწყალი ჩაგივარდა ხელში, ერთ ამბავს ატეხავ. შემომხედეთ მე ასეთი წმინდანი ვარ. ნახეთ ამ საწყალ თაგვს კუდით ქვა ვასროლინეო. ცოტა მაგარი კაკალი თუ შეგხვდა, თვალს ხუჭავ, სულ დიდი ვინმე თუ „გაწუხებს“ ნემსის ყუნწში ძვრები, ესაა შენი სინდისნამუსი და ვაჟკაცობა? ჩამოიცილე ეს ნიღაბი. გვეჩვენე როგორიც ხარ. ხომ ხედავ თმები გაგითეთრდა. ბავშვი აღარ ხარ. რატომ იტანჯავ თავს. არა ხარ შენ სახარე მოზვერი. სახარეს კოჭებში ეტყობა.

– კონკრეტულად რა ბრალი მაქვს შენი ჭკუით?

– ჯერ ერთი ასაკით უფროსი კაცი ვარ და ასე თამამად არ უნდა მელაპარაკო. შენ გჩვევია ეს თავხედობაში გადასული ფამილარობა. მერე რა, რომ დირექტორის მოადგილე ხარ. კონკრეტულადო, ამბობ? სამი დირექტორი ხომ გამოიცვალე. ყველასთან რომ მეორე დღესვე გამოძებნე საერთო ენა, უკვე აღარა ხარ კაი კაცი. შენ შენი პრინციპი არა გაქვს. შენი პოზიცია არ გაგაჩნია. ამხელა კაცი დამსმენებს და ანონიმურ წერილების ავტორებს უჯერებ. პირადი სიმპათიებით მსჯელობ ტექნიკუმის თანამშრომლებზე. ვინ ხარ შენ, ვინ გკითხავს კაცის ბედის გადაწყვეტას. რა იცი შენ. გუშინ მოხვედი და გგონია ცხოვრება შენით იწყება. ხალხი შეაბერდა ამ კედლებს. ფეხზე უნდა დგებოდე, როცა შენს კაბინეტში შემოდიან.

– მაინც, მაინც? – ცოტა არ იყოს შეცბა ელუზაშვილი, რადგანაც შალვას სიტყვებში ბევრი სიმართლე მოეჩვენა.

– რა მაინც? გუშინწინ შენი ობოლი ბიძაშვილი სახლიდან გააგდე. აი, ასეთი კაცი ვარ, ბიძაშვილს არ ვეხმარებიო. მარა ადეიშვილი სამჯერ ჩაიჭრა და სამჯერ გაუშვი გამოცდაზე, რადგანაც ადეიშვილზე ისეთმა კაცმა დაგირეკა, ვისზედაც შენი ამ ადგილას ყოფნა-არყოფნა ჰკიდია. აი, რატომ ხარ პატარა კაცი. გაიგე ახლა? ორივეს გეუბნებით, შენც და ახობაძესაც, დაწერეთ განცხადებები და წადით. თქვენი ნებით წადით, გეყოფათ.

– განცხადებები შენს სახელზე დაწერონ? – შემაძრწუნებლად იხუმრა ადგილკომის თავმჯდომარემ კაკო ნებიერიძემ.

– შენ? შენ ხმას იღებ? შენ მაინც გაჩერდი, შენც სალაპარაკო გაქვს, შე ფინია? შენზე ვინ გეისვრის ხელს. შენ ვინ ხარ. რავარიც იქნებიან დირექტორი და მოადგილე, იმნაირი იქნები შენც. ეს კანონივითაა. რავა, შენ ხმას დეიბოხებ, ვინმეს გადაახტები, უბატონოდ რამეს ჩაიფიქრებ თუ რა? შენ არ არსებობ, შენ აღარც მახსოვდი. შენ ამდენს მაინც არ მოგცემენ. შენ აგიყოლიეს, ჩაგითრიეს, მოგატყუეს, შეგაცდინეს. შეიძლება ციხე არც კი მოგცენ. შეიძლება იძულება გაკმარონ.

ამის შემდეგ დირექტორის კაბინეტიდან ორი საათის გან-

მავლობაში ცხარე კამათის და განწირული ყვირილის ხმა ისმოდა. სამნი ერთის წინააღმდეგ. ყვიროდა დირექტორი, ყვიროდა მოადგილე, იგესლებოდა ადგილკომის თავმჯდომარე. კარებზე ყურმიდებულ ტექნიკუმის თანამშრომლებს შალვა მატარაძის ხმა თითქმის არ გაუგონიათ. შალვა ღიმილით, მშვიდად ლაპარაკობდა. თანაც იშვიათად ჩაერეოდა. ამიტომ დისკუსია ცალმხრივად წარიმართა. „სამაია“ თავს იმართლებდა, სამაია სწყევლიდა შალვას და სამსახურიდან გაგდებითაც ემუქრებოდა, მაგრამ ბოლოს შალვამ ჭილოფის ქუდი უკუღმა დაიხურა, ფანჯრები მიიხურა და შტორები დაუშვა. მერე ამღვრეული თვალები მიმოავლო იქ მყოფთ და თქვა:

– დაწერეთ განცხადებები და წადით. ჩქარა, ჩქარა. სახლიდან არ გამოხვიდეთ. მე სანამ შევძლებ, ნამუსს შეგინახავთ. იქნებ გადარჩეთ, იქნებ არ დაგიჭირონ...

ტექნიკუმის ხელმძღვანელები ყველაფერს მიხვდნენ. შალვას დაუყვავეს, გადაღლილხართ, ბატონო შალვა, დასვენება და მკურნალობა გჭირდებათ, დღეს გაკვეთილებზე არ შეხვიდეთ. შინ წაბრძანდითო, სთხოვეს და ჟურნალი მოწიწებით ჩამოართვეს. როცა შალვა ოთახიდან გავიდა, ყურადღებიანმა ხელმძღვანელებმა სამნეო ნაწილის გამგე იხმეს და დაავალეს: შეუმჩნევლად ფეხდაფეხ მიჰყევი და, ისე რომ თვითონ ვერ მიხვდეს, როგორმე ფსიქო-ნერვიულ საავადმყოფოში მიიყვანე. იქ კი თავიანთი საქმე თვითონ იციანო. სამნეო ნაწილის გამგემ ვახტანგ მჭედლიშვილმა დავალება მიიღო და ქუჩაში გასულ შალვა მატარაძეს დაედევნა. – თუ სეჩენოვის ქუჩისკენ წავიდა (სულით დაავადებულთა კლინიკა სეჩენოვის ქუჩაზე იყო), შორიახლოს მივყვები, თუ სხვაგან მიდის, ხელკავს გამოვდებ და ვთხოვ ცოტა ხანს მეგზურობა გამიწიოს, სახელდახელოდ ასეთი გეგმა შეიმუშავა ვახტანგმა. სახელდახელო გეგმის პირობაზე, მე ვფიქრობ ურიგო გეგმა როდი იყო. რადგანაც გიჟის შორიდან მიყვანა დანიშნულების ადგილას უფრო ძნელია, ვიდრე მისი მიტყუება. ვახტანგს ძალიან გაუკვირდა, როცა შალვამ პირდაპირ სე-

ჩენოვის ქუჩისკენ აიღო გეზი, მაგრამ ცოტა შეფიქრიანდა, როცა სეჩენოვის ქუჩის დასაწყისთან პირველსავე ჩიხში, მარჯვნივ შეუხვია და სავლე ქებულაძის ეზოში შევიდა. ვახტანგი არ შეჰყოლია. იგი ჭიშკართან გაჩერდა და მოთმინებით ელოდა ავადმყოფს. ვახტანგი ვერასოდეს ვერ გაიგებდა რა უნდოდა შალვას სავლე ქებულაძისას. ჩვენ ვახტანგი და მისი ფიქრები ნაკლებად გვაინტერესებს, ვახტანგმა თავისი საქმე იცის, ჩვენ შალვას ვახლავართ და შალვას მივყვებით.

– სახლში ხარ, სავლე? – ჰკითხა შალვამ ზარის ხმაზე ვიწრო ფანჯარაში გამოჩენილ თავს.

– კი, – დაუძახა სავლემ. ჭიშკრის ურდულზე დამაგრებული ზონარი მოქაჩა (ეს სავლეს საიდუმლო საკეტი იყო) – შემოდი.

შალვა შევიდა.

სავლე ქებულაძე ომის ინვალიდი იყო. ცოლი ორმოცდაათი წლის ასაკში შეირთო. შვილი არ გასჩენია და არც უკვირდა. შალვა კარგა ხნის შეგუებული იყო ამ აზრს და შვილს არც კი ელოდა. ცხოვრობდა იგი პენსიით. მეუღლე დამსახურებული ბიბლიოთეკარი ჰყავდა. სავლე პატიოსანი კაცი იყო.

– გლახათ ვარ, სავლე, – გულზე ხელი მიიდო შალვამ, – სად წავიდე, არ ვიცი. ვისაც დაველაპარაკე, ყველა შემომელანძღა დღეს. ეგება ქე მომხსნან სამსახურიდან.

– თუ მართალი ხარ, ვერ მოგხსნიან.

– რაი? – სასაცილოდ არ ეყო შალვას.

მერე შალვა ალაპარაკდა. იგი მომეტებულად ენაწყლიანი ჩანდა. სავლე იჯდა ხელებდაჭდეული და უსმენდა. სხვა დროს პირიქით ხდებოდა. დღეს შალვა ლაპარაკის ხასიათზე იყო. შალვამ მეგობარს ბევრი რამ უთხრა. ჯერ თავისი გამოგონებები გააცნო. ორი გამოგონება ისეთი მაქვს, შეიძლება მთელი ქვეყანა ავალაპარაკოვო. მერე ცოტა სხვა სფეროსაც გადაწვდა. მაგალითად, ქუჩაში ჭადრის ნაცვლად უკეთესია ვაშლის ხეები დავრგოთო. ქალაქს ხომ წყალი არ ჰყოფნის, ჩინური ვაზების ნაცვლად, ღილაკიანი ონკანები დავდგათ და წყლის ეკონომია გავწიოთო. სხვა უამრავი საკითხი დააყენა შალვამ.

ჩვენ თვითონ ვერ მოვაწყეთ ჩვენი ცხოვრებაო. ერთმანეთზე არ ვფიქრობთო. ზოგ დაწესებულებაში შვიდი ათასი კაცი მუშაობს. თვეში თითო კაცს მანეთ-მანეთი რომ შეუგროვონ, წელიწადში თორმეტ კაცს ხელს მოვუმართავთო. ერთმანეთი აღარ გვახსოვსო. მერე უცებ მოილუშა. მე რომელ სინდისნამუსზე ვლაპარაკობ, როცა პირველი მაიმუნი მე თვითონ ვარო. მთელი ჩემი ცხოვრება თვალს ვხუჭავ და გვერდს ვუვლი თაღლითს და მამაძაღლსო. შენც ასე ხარო. ამ შენი ოთახის და პენსიის იმედით გარეთ აღარ გამოდიხარ. თითქოს აღარ გაინტერესებს, რა ხდება ქვეყანაზეო. მერე ფანჯრის რაფაზე წამოწოლილ, თვალმილულულ კატას მიაჩერდა და სიცილი აუტყდა – რა ბედნიერია კატაო. სავლე იჯდა და უსმენდა. ბოლოს უხმოდ წამოდგა, სამზარეულოში გავიდა და ქვაბების ხეხვაში გართულ მეუღლეს მხარზე შეეხო.

– ის ბიჭი ვერ არის კარგად.

მეუღლემ გაოცებისაგან პირი დააღო.

სახურავებზე ბინდი წვებოდა, როცა შალვა მასპინძლებს დაემშვიდობა და ქუჩაში გამოვიდა. ვახტანგი მაშინვე გვერდით ამოუდგა. შალვამ გახედა და არც გაკვირვებია, თითქოს ელოდაო. – შენ შეგაწუხეს? – წყნარად ჰკითხა შალვამ.

ვახტანგი დაიბნა.

– ვინ? რა?.. შეწუხებაა. აგერ მივდიოდი. გამაცილეთ ცოტაზე, თუ არ გეჩქარებათ.

შალვამ გაუღიმა.

ისინი უხმოდ გაჰყვნენ ქუჩას. ვახტანგს დიდი მიკიბვ-მოკიბვა და მიტყუება არ დასჭირვებია, პაციენტი მშვიდად მიუახლოვდა საავადმყოფოს ჭიშკარს და მისაღებში მორჩილად შეჩერდა.

ვახტანგი დატრიალდა. ჯერ მეკარეს მიადგა. მთავარ ექიმთან მიმიშვითო. მეკარემ თეთრი ხალათის უშველებელი ჯიბე ახლოს მიუტანა და როცა დარწმუნდა, ამ კაცმა არც კი იცის როგორ შედიან საერთოდ, ვახტანგის თხოვნა შორს დაიჭირა.

– არ შეიძლება!

– იცით?..

– არაფერი არ ვიცი, არ შაიძლება, მორჩა და გათავდა.

ვახტანგი დაიხარა და ყურში რაღაც უჩურჩულა, თან შალვას თვალს არ აშორებდა.

– მერე? რა ჩემი საქმეა! თავის დროზე მოვიყვანდი! – იყვირა მეკარემ და ამით სხვებს აგრძნობინა, ხომ ხედავთ ამ პატიოსან კაცს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაში ხელს მიშლიანო.

ვახტანგი ადუღდა. უშვერი სიტყვებით მიმართა მეკარეს, კარებს წიხლი ჰკრა და გაიქცა, მეკარე ტელეფონის ყურმილს წვდა. ცოტა ხანში საიმედოდ დაკავებული ვახტანგი ორ სანიტარს უკან მოჰყავდა. ვახტანგი იკლაკნებოდა, ყვიროდა, იგინებოდა. ამ ყვირილზე მორიგე ექიმმა გამოჰყო თავი. მორიგეს წითელ მაისურზე თეთრი ხალათი მოეცვა და ბანჯგვლიანი მკერდი მოუჩანდა. მორიგემ აყვირებული ვახტანგი რომ დაინახა, სად ხართ თუ იცითო, დაიქუხა და თვითონაც ყვირილს მოჰყვა. შეშინებული ავადმყოფები თავიანთ კეთილმოწყობილ პალატებში კანკალებდნენ. მისაღებში ხალხი მოგროვდა. მორიგე და ვახტანგი ერთმანეთს სამსახურიდან მოხსნით ემუქრებოდნენ. ორი ვეებერთელა სანიტარი ვახტანგს ნერწყვმომდგარი შეჰყურებდა და მორიგე ექიმის ნიშანს უცდიდა. ხმაური ერთბაშად შეწყდა, როცა კარებში ჭაღარათმიანი, სანდომიანი ქალი გამოჩნდა. იგი საავადმყოფოს მთავარი ექიმი იყო. მეკარემ სწრაფად აუხსნა საქმის ვითარება.

– რომელია? – იკითხა მთავარმა ექიმმა.

– მე ვარ, ქალბატონო, – მშვიდად მიუგო შალვა მატარაძემ და თითებზე დაიხედა.

– შემობრძანდით, – თავაზიანად უთხრა ქალმა.

შალვა შეჰყვა. კიბეზე რომ ადიოდა, მხოლოდ ერთხელ მოიხედა და ვახტანგ მჭედლიშვილს გაუღიმა.

აეროდრომი აღარ არის

იოთამ მამისაშვილმა რადიოს ხმაზე ივარჯიშა, მერე (რადიოსავე თხოვნით) წყლის „პროცედურები“ ჩაიტარა და ცხრა საათი არც კი შესრულებულიყო, რომ საწერი მაგიდის უჯრიდან სუფთა ქაღალდი ამოიღო, შუაზე გახია, ერთი ნახევი ისევ ჩააბრუნა უჯრაში, მეორე ნახევი კი წინ დაიდო და დააწერა: „პოლიკლინიკა – 10 ს, სასამართლო – 12 ს, ლექცია – 4 ს.“ დოცენტ იოთამ მამისაშვილს უამრავი საქმე ჰქონდა და ყოველ დილით, სახლიდან გამოსვლამდე, ჩვეულებისამებრ, ადგენდა დღის რეჟიმს. ამ მაგიური ქაღალდის ნაგლეჯის მეოხებით იოთამს მთელი დღე თავი ქუდში ჰქონდა. ამოიღებდა „რეჟიმს“, დახედავდა და დინჯად გასწევდა იქითკენ, საითკენაც უნდა გაეწია. იოთამი ფილოსოფოსი იყო. იგი არასპეციალურ ფაკულტეტებზე ეთიკისა და ესთეტიკის ზოგად კურსს კითხულობდა. მართალია, ზოგიერთი დეკანი სერიოზულად ამტკიცებდა, არ გვინდა ეს ზოგადი კურსები, სტუდენტები სპეციალობებს ძლივს ასწრებენო, მაგრამ როგორც პრაქტიკა გვიჩვენებდა, სტუდენტებს ცხოვრებაში გასვლის შემდეგ იოთამ გაბიძაშვილის ფილოსოფია საკმაოდ ხშირად დასჭირვებიათ და მათი გონიერი ფრთა ყოველთვის სიამოვნებით უსმენდა ამ სიმპატიური გარეგნობის, ცისფერთვალება, უდროოდ გაჭაღარავებულ ლექტორს, რომელმაც ძალდაუტანებელი მიხრა-მოხრა და მიმზიდველი საუბარი იცოდა.

ქუჩაში გამოსვლისას იოთამმა უნებურად გაიფიქრა, – ნეტავ კარი თუ გამოვიკეტეო. იგი ცოტა ხანს უაზროდ მიაბიჯებდა, ცდილობდა გონებაში აღედგინა გამოკეტა თუ არა კარი, ბოლოს დაასკვნა გამოვიკეტავდი, აბა რას ვიზამდიო. ერთხანს გაჩერებასთან იდგა, მერე გულმა აღარ მოუთმინა და სულმოუთქმელად აირბინა კიბე. იოთამი მესამე სართულზე ცხოვრობდა და როცა ძალიან ეჩქარებოდა, ლიფტს აღარ

ელოდებოდა. კარები ხელით მოსინჯა და თავს უსაყვედურა, რა ტყუილად დამაბრუნე ამხელა გზიდანო. მეორე სართულს არც კი იყო ჩაცილებული, რომ ახლა სხვა ეჭვი გაუჩნდა, უთო გამოვრთე თუ არაო. იოთამმა ამ დილით პერანგის საყელო გაისწორა და ვერაფრით ვერ გაიხსენა, გამორთო თუ არა უთო. დოცენტი ერთხელ კიდევ შებრუნდა თავის ბინაში, ყოველ შემთხვევისათვის შეამოწმა გაზი, უთო, ტელევიზორი, წყლის ონკანები და გულდამშვიდებულმა დატოვა სახლი.

ვერ გაამტყუნებთ, ეს ერთი კვირაა იოთამი ასე წვალობს. ეს ერთი კვირაა ცოლ-შვილი სოფელში გაისტუმრა და, მარტოდ დარჩენილს, ყურადღების არაჩვეულებრივი დაძაბვა სჭირდება იმ, ერთი შეხედვით, წვრილმან საქმეზე, რომელსაც დიასახლისები თითქოს და ინსტინქტურად, ანგარიშმიუცემლადაც კი აკეთებენ.

იოთამს ხელთ კარგა მოზრდილი პორტფელი ეჭირა და ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა. პორტფელიანი ხელი იოთამს უძრავად მიჰქონდა. პორტფელი ოდნავადაც არ ირხეოდა. სამაგიეროდ, სიარულისას, მარჯვენის წილი რხევაც მარცხენას ეკისრა და ფილოსოფოსი მარცხენა ხელს თადარიგის ოფიცრის კეთილსინდისიერებით იქნევდა. იოთამს პორტფელი იქნებ ამიტომაც მიჰქონდა ასე ფრთხილად, რომ შიგ სამეცნიერო აპარატურასთან ერთად შარდით სავსე ოდეკოლონის შუშაც ედო. იოთამი კენჭოვანით იყო დასნეულებული, ყოველ ზაფხულს საირმეში დადიოდა და უნდა გითხრათ, რომ ძალიან უმადლოდა „№3 საირმესა“ და ტენიან ჰაერს. მაგრამ ამ დილით, ადგომისას, დოცენტმა წელის ყრუ ტკივილი იგრძნო და ახლა ფერგამკრთალი, ანალიზისათვის შარდს პოლიკლინიკაში მიარბენინებდა.

ჯერ ადრეა, ცოტას ფეხით გავივლიო, გაიფიქრა იოთამმა და ქუჩა გადაჭრა. ჯიხურთან გაზეთები შეიძინა და სანამ პოლიკლინიკამდე მიაღწევდა, გზაში გადაიკითხა კიდეც. გაზეთში იოთამისთვის საინტერესო მხოლოდ ის ეწერა, რომ სამარის ოლქს ტორფის ამოღების პირველი კვარტლის გეგმა გაენაღდებინა, ხოლო ლიტოპონის ქარხანა ახალი წვიმაგამ-

ძლე საღებავის პირველი ნაკადის ათვისებას უპატაკებდა ქვეყანას. რაც შეეხება სპორტს, რეიკიავიკში ერთ-ერთი უძლიერესი მოჭადრაკე ენას უყოფდა მსოფლიოს და გაგულისებულ ჟურნალისტებს ინტრიგული „წინასწარჭვრეტისთვის“ აგულიანებდა. იოთამმა გაზეთები გულმოდგინედ დაახვია და ურნაში ჩაუშვა. მას იმჟამად რეიკიავიკზე უფრო საკუთარი შარდის ანალიზი აინტერესებდა. მოსახვევთან მოხუცი სასხლავით ხელში დასაკეც კიბეზე ასულიყო და მაღლარს მკურნალობდა.

მოხუცს მოკლე შარვალი ეცვა და შიშველი, ამობურცულ ძარღვებიანი ფეხის თითები არწივის კლანჭებივით შემოეხვია კიბის ვიწრო საფეხურისთვის. როცა იოთამი მიუახლოვდა, მოხუცმა საქმეს თავი გაანება და მომავალს ისეთი ცნობისმოყვარეობით მიაჩერდა, თითქოს რაღაც საიდუმლოს ამოცნობას ცდილობსო.

იოთამმა დაასკვნა; ალბათ, მოხუცს ვინმეში ვეშლებიო და თავი დაუქნია. იოთამს უყვარდა უცნობებისთვის მისალმება. როცა შემხვედრი თვალს დაჟინებით გაუსწორებდა, დოცენტი გაუღიმებდა და თავს დაუქნევდა. უცნობებიც სალმითვე პასუხობდნენ, მერე შუაგზაზე შეჩერდებოდნენ და პირდაღებულნი მიაჩერდებოდნენ მიმავალს.

თავს იმტვრევდნენ უიმედო კითხვით იმის შესახებ, თუ საიდან იცნობდნენ ამ სანდომიანი სახის მამაკაცს. სასხლავიანმა სალამზე გულითადად უპასუხა, მაგრამ იოთამს ათიოდე ნაბიჯიც კი არ გაევლო, რომ მოხუცის მუდარით სავსე ხმა წამოეწია.

– გაჩერდი ერთ წამს, თუ ღმერთი გწამს!

იოთამი შეჩერდა.

– მოიწი აქეთ.

იოთამი მოახლოვდა.

მოხუცი კიბიდან ჩამოსულიყო და ძველთაძველ „სუკნოს“ გალიფეზე მარჯვენა ხელს ისვამდა.

– რას შვრები, რავა ხარ? – ჰკითხა მოხუცმა და ხელი ღონივრად ჩამოართვა.

– გმადლობთ... ვცოცხლობ. – დაბნეულად უპასუხა იოთამმა და მის ცხოვრებაში პირველად ინანა, რომ უცნობს მიესალმა.

– აქეთ, საით? – კვლავ დაჟინებით შეჰყურებდა მევენახე.

– პოლიკლინიკაში.

– რავა?

– არაფერი, შარდი მიმაქვს ანალიზისთვის.

– რისთვის?

– ანალიზისთვის.

– ჰოო.... – ჩაფიქრდა მოხუცი. იოთამი თვალს არ აშორებდა გალიფიან მოქალაქეს და თანდათანობით რწმუნდებოდა, რომ ეს კაცი არასოდეს ენახა. უხერხული სიჩუმისთვის თავის დასაღწევად ფილოსოფოსმა ბოდიში მოუხადა მოსაუბრეს და გზა განაგრძო, მაგრამ ვინ გაუშვა.

– მომიცადე ერთ წუთს მაქანა.

უკმაყოფილო იოთამი შედგა.

– ბოდიშს ვიხდი მარა, კი ვერ გიცანი. – უთხრა დაბნეულმა მოხუცმა და თვალი თვალში გაუყარა.

იოთამს ყველაზე მეტად ამ კითხვისა ეშინოდა.

– მე თქვენ ვერ მიცნობთ.

– კი მარა, – არ მოეშვა მოხუცი – აბა, რაფერ, რასაკვირველია, შენ... მიცნობ მე?

– ვერც მე გიცნობთ.

– აგაშენა ღმერთმა. აბა, რაშია საქმე, რავაა აქ... ამ ქუჩაზე. რასაკვირველია.

– არაფერი, ისე, – ყურებიანად გაწითლდა იოთამი.

– რა ისე... რომელი ისე... ა? – მოხუცი აიმრიზა, სასხლავი მაცხენიდან მარჯვენაში გადმოიტანა და წინ წამოვიდა, – ასთე ბოვში ხარ ახლა შენ ვითომ?

– როგორ გეკადრებათ, რა დროს ჩემი ბავშვობაა.

– აბა... რაფერაა საქმე! – ხმას აუწია მოხუცმა, – არ დაბერდები ვითომ შენ მიდღემჩი? არ დაგაკლდება თვალს და ყურს? შემხედე კარქათ. რა მჭირს შენი საგლახაო?!

– როგორ გეკადრებათ, ბატონო.

– მე რავა მეკადრება? – ცხარობდა მოხუცი, – რომ შეგხედოს ადამიანმა, კაცის შესახედაობა გაქვს და ამბავი და ხაბარი გეკითხება. ვაი ჩვენს პატრონს უბედურს. შენც მალე მეიყრები ჩემი ხნის. რა მაქვს შენი დასაცინი? სად წევიდე, სად დევიმალო, მითხარი და წავალ.

– ბატონო, მე ჩემი გზით მივდიოდი, რა დაგიშავეთ, მე... მე წავალ... – თითქმის ტირილით ჩაიბურდღუნა იოთამმა და სწრაფი ნაბიჯით გაშორდა აღელვებულ მოხუცს, რომლის ხმაც კიდევ დიდხანს მიაცილებდა:

– არ დაგაბეროს გამჩენმა! არ მოგყაროს ჩემი ხნის. შენი ტოლი ვერ ნახე? შენი საგლახაო კბილები დიდი ხანია მევიცვალე! კაცი მეგონე პირველად... არ დაგინახო აქეთ ჩამოვლილი თვარა გაგისივებ ცხვირს!

მითხარით, რა დააშავა ასეთი იოთამმა? მან გამარჯვება უსურვა მოხუცს ამ დილაადრიან, მეტი ხომ არაფერი? დოცენტი უამრავ უცნობს მისალმებია, ყოველთვის ტკბილი სალამი და კეთილი სურვილები მიუღია პასუხად. – ხომ ხედავ ყველა ერთნაირი არ არის და საერთოდ, როცა კაცს არ იცნობ, დაღუნე თავი და გაიარე შენთვის, – არიგებდა თავისთავს იოთამი, – ვინ გკითხავს შენ. წადი, მიხედე შენს საქმეს. ეყოფა იმას ნაცნობი და გამარჯვების მთქმელი. რამდენი უცნობი ქუჩაზე ჩამოივლის, ყველამ თუ გამარჯობა შესძახა, კაცი მთელი დღე თავის კანტურს მოუნდება და ეგებ არანორმალური დატვირთვისაგან საღამოს გული სკვინჩასავით გაუსკდეს. სწორი იყო ბერიკაცი. ანგარიშმიუცემელი გამარჯობა ვის რად უნდა.

ამ ფიქრებში გართული იოთამ მამისაშვილი პოლიკლინიკის კარებს მიადგა, მეორე სართულზე აირბინა და უროლოგის მისაღებში სხვა ავადმყოფთა შორის მოთავსდა. მალე პარმაღზე უზარმაზარი მედიცინის და გამოჩნდა. მან თავისი დაღლილი თვინიერი თვალებით დახედა მოგროვილთ და გამოაცხადა:

– ექიმი ორ საათამდე არ იქნება.

– კი მაგრამ, რატომ?!

– როგორ შეიძლება!
– დღეს ათიდან ორამდე მიღება აქვს!
– რა ვქნათ ჩვენ!
– იქნებ ხვალაც არ მოვიდეს!
– უნდა უჩივლოს კაცმა!

ასეთი და მსგავსი, პოლიკლინიკის მყუდროებისთვის არცთუ ძალიან საშიში რეპლიკები გაისმა. ექთანმა ქალმა შესანიშნავად იცოდა, რომ ვინც მომჩივანია, ყაყანს არ ატეხს, მომჩივანი ჩუმად წავა და იჩივლებს. მთაქალმა ცოტა ხანს აცალა ავადმყოფებს და მერე წელანდელზე უფრო მშვიდად და გასაგებად გაიმეორა:

– ექიმი ორ საათამდე არ იქნება.

როცა ყველანი გაიკრიფნენ, იოთამი მოწიწებით მიუახლოვდა მედიცინის ქურუმს და ტუჩი ყურთან მიუტანა. ექთნებს ჩურჩული საერთოდ არ უყვართ, მაგრამ უროლოგის უზარმაზარი თანაშემწე, ეტყობა ცნობისმოყვარე იყო და თვითონაც საკმაოდ დაიხარა, რათა სტუმარი მოხერხებულად მიწვდომოდა.

– შარდს ხომ არ დაიტოვებთ? – მოწიწებით და ბოდიშის მოხდით გაუმეორა იოთამმა.

– რას?! – ამრეზით იკითხა ქალმა, თუმცა პირველადვე ძალიან კარგად გაიგონა, რაც მოსულმა უთხრა.

– შარდს, – ტუჩების ცმაცუნით, ტკბილად უთხრა ფილოსოფოსმა და გაიფიქრა, თუ კიდევ იყვირა, უნდა გავასწრო აქედანო.

– რომელ შარდს? – დრო გაჰყავდა ექთანს.

– ჩემსას, საკუთარს, – ამ სიტყვებთან ერთად იოთამმა ჩანთიდან შარდით პირთამდე სავსე ოდეკოლონის შუშა ამოიღო და მაგიდაზე დადო. ექთანმა უკმაყოფილოდ გასწია შუშა განზე და ჰკითხა:

– ექიმმა დაგიბარათ?
– რა?
– შარდი მოიტანეო.
– არა, ეს მე, ჩემი ინიციატივით, მაინტერესებს როგორია.

– ექიმმა გნახათ?! – ხმას მოუმატა ექთანმა.

- არა.

ექთანსაც ეს უნდოდა, მან თავისი მშრალი, ბრიყვული თვალები ჭერს მიაპყრო და დაიქუხა:

– თქვენ ხომ არ შეიშალეთ! ჩვენ ავადმყოფების მიღებას ვერ ავუდივართ და ახლა თქვენი შარდი გვაკლდა სწორედ. მაინტერესებსო, მეც ბევრი რამ მაინტერესებს ამ ქვეყანაზე. ყველა დაინტერესებულმა თუ ასე უპრაგუნოდ მოზიდა შარდი, შარდის ზღვაში უნდა ამოვიხრჩო და ეგ არის. წაიღე ეს შარდი იქ, საიდანაც მოიტანეთ!

– როგორც გამონაკლისი არ შეიძლება? – სხვა გზა სცადა იოთამმა.

– გამონაკლისი ყველაფრის შეიძლება, – ხმას დაუწია ქალმა.

მერე იგი გაფაციცებული ინტერესით შეჰყურებდა იოთამს, რომელიც თავის უზარმაზარ პორტფელში რაღაცას ეძებდა.

– აგაშენა ღმერთმა, – ოფლი მოიწმინდა სტუმარმა. პორტფელიდან სუფთა ქაღალდი ამოიღო, შუაზე გაკეცა, გაკეცილზე გახია, მეორე ნახევარი ჩანთაში ჩააბრუნა, ხოლო პირველ ნახევარს ლამაზად დააწერა: „იოთამ მამისაშვილი“. ექთანი ქალი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ავადმყოფს თავის უზარმაზარ ჩანთაში ქაღალდის ნაგლეჯები, და უკეთეს შემთხვევაში, არაილუსტრირებული მეცნიერული ჟურნალების ძველი ნომრები ედო.

– სად მუშაობთ? – სხვათა შორის ჰკითხა ხელჩაქნეულმა მედიცინის დარგის მუშაკმა. პასუხს არ დაელოდა, ავადმყოფის ანკეტა გაშალა და სრულიად გარკვევით განაცხადა:

– დოცენტებზე გაბრაზებული ვარ.

– რატომ? – სათვალე მოიხსნა იოთამმა.

– ჩემი დისშვილი არ მიიღეს წრეულს, მესამე წელია აბარებს ბოვში. დოცენტებს გული და ადამიანობა არა აქვს. დოცენტი უნდა დაინდოს კაცმა?

– მე, ქალბატონო, ფილოსოფოსი ვარ, – თავი მოისაწყლა იოთამმა, მაგრამ ქალს, როგორც ჩანს უკვე აღარ აინტერე-

სებდა იოთამის ვიწრო სპეციალობა. მისთვის დოცენტი დოცენტი იყო.

– სადაც დოცენტს წავეწვი არ გავახარებ. ჩემი დისშვილი, მის მეტი არაფერი ყავს მის პატრონს. იმისმა არ გამხარებელმა, რავა უნდა გაიხაროს ქვეყანაზე. მისი დამჩაგრავი რავა უნდა ახეიროს გამჩენმა, დოცენტს? რო იწვებოდეს, წყალს არ დავასხამ, რო კვდებოდეს არ მივხედავ. ასე ვიზამ ამას, თუ ქალი ვარ მე! – თანდათან გაბრაზება ერეოდა უზარმაზარ ექთანს, თანდათან ცხვირის ნესტოები უფართოვდებოდა და ხმა უბოხდებოდა. იოთამმა ხმის ამოუღებლად პორტფელში უკანვე ჩაიდო შარდით სავსე ოდეკოლონის შუშა და ჭერზე თვალებმიპყრობილი ქალი თავისავე აშლილ-დაწეწილ ნერვებს შეატოვა.

ქუჩაში გასვლისას იოთამმა დღის განრიგი ამოიღო და „პოლიკლინიკა – 10 ს“ ხაზი გადაუსვა. „სასამართლო – 12 ს“ – აუწყებდა მომდევნო პუნქტი. ფილოსოფოსმა საათზე დაიხედა. თორმეტის ნახევარი იყო. დოცენტმა ლუდის ფარდულში სოსისით და კაკაოს წვენით მსუბუქად ისაუზმა და სასამართლოს შენობისაკენ გაემართა. იოთამი ამჟამად ორივე ხელს თავისუფლად ამოძრავებდა (პორთფელიანსაც და უპორთფელოსაც). მე დამავიწყდა მეთქვა პატივცემული მკითხველისათვის, რომ ჩვენმა გმირმა შარდით სავსე ოდეკოლონის შუშას თავისი ქაღალდის სახვევიანად პოლიკლინიკიდან გამოსვლისთანავე გადაუძახა ტროტუარზე საიმედოდ ჩაცემენტებულ ურნაში.

იოთამი სახალხო მსაჯული გახლდათ. იგი საზოგადოების წინაშე თავის ამ სასიამოვნო მოვალეობას იხდიდა. ფილოსოფოსს საერთოდაც უყვარდა სასამართლოს სხდომაზე ყოფნა. ახლა კი სიამაყეს ჰგვრიდა, რომ თავის მეორე კოლეგასთან ერთად მოსამართლეს გვერდით ეჯდა და, როგორც სასამართლოს სრულუფლებიანი წევრი, ცოდვა-მადლს სწონიდა. იოთამი წინასწარ დიდის გულმოდგინებით ეცნობოდა საბრალდებულო დასკვნას და სასამართლო პროცესში ხშირად ერეოდა თავისი ნახევრადპროფესიონალური შეკითხვებით,

რითაც, გულახდილად უნდა გაუწყოთ, სახალხო მოსამართლე ფრიად ნასიამოვნები და კმაყოფილი იყო.

– რამდენი საქმეა თუ იცი? – ჰკითხა იოთამმა პროკურორს, სანამ პროცესი დაიწყებოდა. პროკურორი ზურგით იყო შებრუნებული და მოაჯირის მიღმა ხის სავარძელში ჩასკუპულ ბრალდებულს გულახდილად ესაუბრებოდა. მოაჯირსგადაყუდებული ორი მილიციის სერჟანტი მორიგეობით ამთქნარებდა, ჯერ ერთი მოიხდიდა ქუდს და მოიქექავდა თმას, მერე მეორე. იოთამი მიუახლოვდა პროკურორს და კითხვა გაუმეორა:

– რამდენი საქმეა თუ იცი?

– ერთი, – მიუგო პროკურორმა, – აგერ ა, პატივცემული ჟუტუს საქმეს ვარჩევთ. არ იცნობთ ამ საქმეს?

იოთამმა თავი დაუქნია. კაცმა რომ თქვას მან „საქმე“ თავიდან ბოლომდე წაიკითხა, მაგრამ ჟუტუ მიქაბერიძის აფერისტობის ზოგი პუნქტი მისთვის მაინც გაურკვეველი რჩებოდა და იმედი ჰქონდა, რომ ყველაფერს სასამართლოზე მოეფინებოდა ნათელი. ბრალდებული ორმოცდასამი წლის ეშხიანი ქალი იყო. პატიმრობას მის შუბლსა და ღაწვებზე თავისი დაღი დაემჩნია. ლურჯი, თეთრკოპლებიანი, მოკლესახელოებიანი კაბა ეცვა, სწორი თმები უკან გადაევარცხნა და მაღალ წარბებს ზემოთ ლამაზი შუბლი უჩანდა.

– გაფიცებ ადამიანობას, – ღიმილით ეკითხებოდა პროკურორი, – სახლი არა გაქვს?

– რა სახლი, ნაქირავებში ვარ ჩაწერილი და ნაქირავებში ვცხოვრობ, – მშვიდად მიუგო ბრალდებულმა.

– მაგას ვჭამ ახლა მე? – ჩაიცინა პროკურორმა.

– თვარ ჭამ, ნუ ჭამ, რავარც გაგეხარდეს, ისე იფიქრე.

– ფული ვის სახელზე გაქვს ბანკში შეტანილი.

– სადა მაქვს ბანკში შესატანი ფული.

– აბა, რა უყავი ის იმდენი ფული?

– რამდენი კია, ათი ათასს ფულს ეძახი შენ? შემომეჭამა ხელში. თუ კაცი ხარ დეიწყეთ ბარემ სასამართლო. გამოძიებამ დაამთავრა თავისი საქმე და თავიდან აღარ მინდა დაკითხვა.

– შემოვა მიშა და დავიწყებთ, – უთხრა პროკურორმა.

(მიშა მოსამართლეს ერქვა).

– ერთ რამეს გთხოვთ. – გადმოიხარა ბრალდებული. თუ კაცი ხარ, დიდხანს არ გააგრძელოთ. შენ რომ გრძელი „რეჩი“ იცი, არ დამიწყო აქანა. ოთხი მოითხოვე. მიშა ალბათ სამს მომცემს. გაჭიმე-გაჭიმე მეტს ვერ მომისჯით ამ საქმეზე. უკანონობა არაფერი ჩაიდინოთ, თვარა გიჩივლებთ და გაგაწითლებენ იცოდე.

– ეჰ, მე ხომ ვიცი რაფერაცაა საქმე, – თითქოს მართლაც რაღაც იცისო, ირონიულად იღიმებოდა პროკურორი.

– არაფერიც არ იცი და ბევრიც რომ იცოდე, საქმე ესაა, რაცაა, – მშვიდად თქვა ჟუტუმ.

იოთამი შეაძრწუნა ამ ქალის დახვეწილმა გარეგნობამ და საოცარმა სიმშვიდემ. ქალმა ათი ათასი მანეთი დასტყუა უდანაშაულო მოქალაქეს. შეუჭამა ფული. ძლივს მიაგნეს და დაიჭირეს, ახლა ათ წუთში, როგორც აფერისტს და არამზადას მესამეჯერ გაასამართლებენ და შიშის ან აღელვების არავითარი ნიშანწყალი არ ეტყობაო, უკვირდა იოთამს. ვინ გაზარდა, ვინ შექმნა, საიდან მოდიან ასეთები, – ფიქრობდა ჩვენი ფილოსოფოსი და რაც უფრო მეტად აკვირდებოდა, მით უფრო ზიზღს ჰგვრიდა ეს თვალთმაქცი, – თავისი დინჯი საუბრით, დაყენებული ხმით და დამუშავებული მანერებით.

– უკაცრავად, – განზე გაიხმო პროკურორმა, – თქვენ იცით ვინ არის ეს ქალი?

იოთამმა უპასუხა, რაც საქმეში წერია, ის ვიციო.

– ამ საქმიდან ჟუტუს გაცნობა შეუძლებელია, – ამოიოხრა პროკურორმა, – მთელი უბედურება ისაა, რომ მეც და მოსამართლემაც ძალიან კარგად ვიცით ვისთან გვაქვს საქმე, მაგრამ... საქმე ამ „მაგრამშია“, ხოლო აქ კი, ჩვენცა ვართ დამნაშავე და თქვენც, – ე. ი. საზოგადოებაც.

– ჟუტუ მიქაბერიძეს ახლა მესამეჯერ ასამართლებენ. ეს ქალი პროფესიით იურისტია. ერთხანს ადვოკატადაც მუშაობდა, მერე ერთბაშად მიატოვა იურისპრუდენცია და აფერისტობას მიჰყო ხელი. ყური დამიგდეთ, ახლა ჩვენ რისთვისაც

ვასამართლებთ, ეგ მისი „მოღვაწეობის“, შეიძლება ითქვას, ერთი, უმნიშვნელო ნაწილია. დანარჩენს კი თვით დაზარალებულები მალავენ გულმოდგინედ.

– თუ შეიძლება ამიხსენით, – სათვალე გაიკეთა იოთამმა, იქნებ ასე უფრო გავერკვე საქმის ვითარებაშიო.

– ჟუტუ მიქაბერიძე სანდომიანი ქალია. მას ასეთივე, ცოტა უფრო ხნიერი, ჭაღარა მანდილოსანი ჰყავს კომპანიონად. გაივლიან ისინი საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილზე (აღმასკომებთან, კოოპერატივების სამმართველოსთან და ა. შ.) და თითქოს ერთმანეთს ელაპარაკებიან: – „რა ვუყო მე, – იწყებს ჟუტუ, – მუშტარი მიშოვნეო. მე სად შემიძლია. ვის ვიცნობ, ამისთვის მცალია მე სამსახურის ქალს? არა და ტყვილა დაკარგავს სამოთახიან ბინას და მენანება“. ამ სიტყვებს მანამ იმეორებს ჟუტუ, სანამ ვინმეს ყურადღებას არ მიიპყრობს, დაინტერესებული მოყურადეს კითხვაზე, მეგობრები ბოდიშს მოიხდიან, „არაფერი ბატონო, ჩვენთვის ვსაუბრობდითო. კაცი, რომელიც ბინას დაეძებს, ასე იოლად მოგცილდება? და ჟუტუც უხსნის: ერთი ჩვენი მეგობარი გათხოვდა. ომსკში გადადის საცხოვრებლად, სამოთახიან ბინას იშენებდა ამხანაგობაში. ახლა მისი ბინა სადაცაა დამთავრდება, ქმარი უკვე ომსკშია. ჩვენს მეგობარსაც ეჩქარება და ბინას შეღავათიან ფასში ყიდისო“. ბინის მშოვნელი დატყვევებულია, ამ „ანგელოზი“ ქალებით. წამიყვანეთ, მანახეთო – თავს იკლავს იგი. „ვაიმე, რა პროფესიის ბრძანდებით, ჩვენ ამ საქმის არაფერი გაგვეგება, გავრისკოთ? გენდოთ?“ – აჭიკჭიკდებიან ქალები.

მიიყვანენ მუშტარს რომელიმე მშენებარე სახლთან და აჩვენებენ აი, ის ბინა, კუთხის, მეორე სართულზე თქვენი იქნებაო. ფასი? იკითხავს მუშტარი. „ჩვენ არც კი ვიცით, თვით პატრონს ელაპარაკეთ“, – არ იბნევა ჟუტუ. „ხომ არ გაგიჟდი, გოგო, იქ რომ მივიდეს მეზობლები მიხვდებიან ყველაფერს. მგონი ოცი ათასს აფასებს“, – ჩაერევა მეგობარი. მაგრამ აცლის ფულს, რამდენ ხანსაც უნდა“, – გამოასწორებს შეცდომას ჟუტუ. ფასით და ბინით მოხიბლული ბინის მსურველი „სათნოების დებს“ ხელს ჩასჭიდებს და

მუდარით ეტყვის, – „თქვენ შემოგევლეთ, უნდა მიშველოთ“. „ჩვენ რა შეგვიძლია“, – გაიოცებენ დები. მერე ამბები ელვასავით ვითარდება. მუშტარი მიჰყავთ ჟუტუ მიქაბერიძის ბინაზე (ეს ბინა ჟუტუს დაქირავებული აქვს და ჩაწერილიც გახლავთ), ტელეფონზე ცრუ ნომერს აკრიფავენ და არარსებულ ბინის გამყიდველს „დაელაპარაკებიან“. მერე მწუხარე სახით შეხედავენ ბინის მუშტარს და ეტყვიან: „ბედი არ გქონიათ, ბინა უკვე გაყიდულა“. „ვაიმე, ნუთუ აღარაფერი მეშველება?“ – აღმოხდება საბოლოოდ დაბნეულ მუშტარს. „არის გამოსავალი!“ – მოიფიქრებს ჟუტუ, – „ახლავე, ერთ საათში, ათი ათასი უნდა მოიტანოთ, რომ იმ მყიდველს თავისი ბე უკან დაუბრუნდეს, ფულს თან უნდა მოაყოლოთ თქვენი დაბადების მოწმობა და ოჯახის წევრთა სია, რომ ბინა სასწრაფოდ თქვენს სახელზე გაფორმდეს“. გახარებული მუშტარი გარბის ფულის მოსატანად და ცნობების საშოვნელად. მალე იგი ფულით და ორიოდე ქაღალდით ხელში ბრუნდება. ადამიანის კეთილსინდისიერებაში დარწმუნებული მეგობრები დაუთვლელად იტოვებენ ფულს. ბინის მომავალ მფლობელს „ხელწერილს“ ართმევენ, რომ ერთ კვირაში ბინა მის სახელზე გადაფორმდება, რასაც რაისაბჭოს აღმასკომი პირველსავე სხდომაზე დაამტკიცებს. „მე როდის მოვიდე?“ კითხულობს ხელმოწერილის ანაბრად დარჩენილი მუშტარი. „თქვენ პირდაპირ აღმასკომის სხდომაზე მობრძანდით, გაიგეთ როდისაა და მობრძანდით. ახლა ბოდიშს ვიხდით, გვეჩქარება. ახალმოსახლეობა არ გამოგვაპაროთ“, – ემშვიდობებიან მეგობრები მსხვერპლს და ისევ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილისაკენ გარბიან. ასე ბრმად ვინ მისცემს ფულს? იკითხავთ თქვენ. მე არ მივცემ და თქვენ არ მისცემთ. ჩვენ არ მოვტყუვდებით, მაგრამ ზოგი წარმოიდგინეთ, აძლევს. ხალხი ჭრელია. ჯერ ერთი; კაცს, სხვადასხვა მიზეზის გამო, ბინის ყიდვა ეჩქარება, მეორეც; პირდაპირ ყიდვას, ურჩევნია ამხანაგობის წევრი გახდეს (ეს უფრო ნაკლებად ყვირის), მესამეც; ბინის გამყიდველები გამოუცდელ ქალებს თამაშობენ, თანაც ჟუტუ იმ ბინაშია ჩაწერილი, „აი, პას-

პორტი, გამქცევი ხომ არ ვარო“, – ამშვიდებს იგი ფულიან მუშტარს. ამ ოპერაციას რამდენიმე საათი სჭირდება. ერთი კვირის მანძილზე, კარგი მუშაობით, შეიძლება, ათი კაცი გააბა მახეში. ათი ათი თასი კი მოგეხსენებათ, ასი ათასია. მეორე კვირის ორშაბათს სანამ „ბინის ახალი პატრონები“ აღმასკომს ელოდებიან, ჟუტუ წერს საჩივარს მილიციის სახელზე: „ჟუტუ მიქაბერიძე აფერისტია, მან მოქალაქე ი. ბ-ს ფული გამოსტყუა და სასწრაფოდ დაიჭირეთ“. წარმოგიდგენიათ, ქალი თავის თავს ასმენს. ჩვენ დავკითხავთ ანონიმურ წერილში მოხსენებულ მოქალაქეს, მართლაც, ირკვევა, რომ მას ჟუტუ მიქაბერიძისათვის ათი ათასი მიუტანია. ვაპატიმრებთ ჟუტუს. მას შინ, რა თქმა უნდა კაპიკიც არ აღმოაჩნდება! ჟუტუმ ასი ათასი (თანხას პირობითად ვასახელებ) უკვე გადამალა. გაცრუებული მუშტარი თავში ხელს იცემს. ჟუტუც სწუხს, შემომეხარჯა და დამსაჯეთო. ფული? ავუწერთ ქონებას. ჟუტუს ნაქირავებ ოთახში მთლიანად ორასი მანეთის ქონებასაც ვერ აღმოაჩენთ. დაინიშნება სასამართლო. ჟუტუს ფულის გამოძალვისათვის ვაძლევვთ სამ წელს პატიმრობას. უარეს შემთხვევაში გაატარებს იგი სამ წელს ციხეში, ან ორში გამოვა. სად არის დანარჩენი ცხრა მოტყუებული მოქალაქე? ისინი იქნებ სასამართლოსაც კი ესწრებიან. უმეტესობა მათგანისა, თანამდებობის კაცია, ურჩევნია ათი ათასი დაკარგოს, ვიდრე სასამართლოს განუცხადოს, რომ ამ აფერისტმა ქალმა მოატყუა. სად გქონდათ ის ათი ათასი რომ აძლევდითო, რომ ჰკითხონ? დიახ, ბევრს ამისაც ეშინია. გამოვა ჟუტუ სამ წელიწადში ციხიდან და დახვდება მილიონამდე ფული. ხედავთ, რაშია საქმე? ახლა ჩვენ მას მესამეჯერ ვასამართლებთ და მესამეჯერვე ამ საქმეზე. ჩემი ვარაუდით ჟუტუს ახლა სამი მილიონი მაინც უნდა ჰქონდეს. მას საკუთარი დიდებული სახლიც ექნება (ოღონდ ჩვენ არ ვიცით სად), მას მანქანაც ჰყავს და ალბათ, ხელზე მოსამსახურეც (ჩვენ ჯეჯერობით ვერ მივაკვლიეთ). გამოვა ახლა ციხიდან სამ-ოთხ წელიწადში და შეუძლია ხელი არ გაანძრიოს სიკვდილამდე. მშვიდად და პატიოსნად იცხოვროს. მან უკვე

იმდენი დააგროვა, რომ ეყოფა. სიბერე უზრუნველყოფილი აქვს. ჩვენ რა ვქნათ, ჩვენ ეს ყველაფერი ვიცით, მაგრამ ფაქტები? თქვენ როგორ ფიქრობთ, ისინი, ვინც ჟუტუს ათი ათასებს თვალდაუხამხამებლად აძლევენ, ჟუტუზე უფრო სუფთა ხალხია? თქვენც არ მომიკვდეთ. რატო მე და შენ ვერ ვაძლევთ, არა გვაქვს და იმიტომ. ისინი აძლევენ, იმიტომ რომ აქვთ, ხოლო აქვთ იმიტომ, რომ იპარავენ. ზოგიერთისთვის ათი ათასის დაკარგვა დიდ უბედურებას როდი წარმოადგენს: ჟუტუ, უბრალოდ, ზოგ მათგანზე უფრო ჭკვიანია და ფცქვნის.

იოთამი გაოგნებული დარჩა. იოთამი ციდან ჩამოფრენილი როდი გახლდათ, მაგრამ ამოდენა საქმეს თუ ეს კაფანდარა ქალი შეძლებდა ვერ წარმოედგინა. ამიტომაც იგი ჩუმად იჯდა პროცესზე და ბრალდებულისთვის არც ერთი შეკითხვა არ დაუსვამს. აპირებდა ბოლომდე მოესმინა ყველაფერი და დასასრულს რამდენიმე ისეთი შეკითხვა მიეცა ჟუტუსათვის, რომელთა პასუხებიც სასამართლოს უეჭველად გამოადგებოდა. ყოველ შემთხვევაში იოთამი ასე ფიქრობდა. სასამართლო, ბუნებრივია, მეორე დღისთვის გადაიდო, და იოთამიც თავისი განუყრელი პორტფელით სამარშრუტო ტაქსში მეხუთე მგზავრად ჩაეკვეხა, რომ დანიშნულების ადგილზე არ დაგვიანებოდა. დანიშნულების ადგილს კი „ტრიკო-პერანგეულის № 3 ფაბრიკა“ წარმოადგენდა. ამ ფაბრიკაში იოთამს ოთხ საათზე საზოგადოება „ცოდნის“ ხაზით ლექცია უნდა წაეკითხა.

„ტრიკო-პერანგეულის № 3“ ფაბრიკის დირექტორმა, ერთ დროს ცნობილმა მოცეკვავემ, ამჟამად კი უიმედოდ გასუქებულმა, მელოტმა კაცმა დოცენტი თავაზიანად მიიღო და უზომოდ გაიხარა, როცა შეიტყო რომ იოთამი ლექციის წასაკითხად იყო მოსული.

– როგორ, თქვენ არ იცოდით? – გაიბადრა იოთამი.

– როგორ არ ვიცოდით, დაგვირეკეს „ცოდნიდან“ ლექტორი მოდისო, თემცა შეგვითანხმეს, მაგრამ პირადად თქვენ თუ იქნებოდით, არ გვეგონა.

– გმადლობთ, გმადლობთ, – დაიმორცხვა ფილოსოფოსმა,

რომელმაც გულუბრყვილოდ მართლა დაიჯერა, რომ დირექტორს მისი მოსვლა ძალიან გაეხარდა.

ფაბრიკის ხელმძღვანელის თავაზიანობა იქამდე მივიდა, რომ მოსულს ოჯახის წევრთა შემადგენლობა და ჯანმრთელობის მდგომარეობაც გამოჰკითხა და ცივი „ბორჯომითაც“ გაუმასპინძლდა. ამგვარად ურთიერთობის გარკვევისა და მოკლე, მაგრამ შინაარსიანი საუბრის შემდეგ მასპინძელი საქმეზე გადავიდა.

– თქვენ, ალბათ, საგზურიც გექნებათ.

– რასაკვირველია, რასაკვირველია, – დაეთანხმა იოთამი და თავის ყოვლისმომცველ პორტფელში ძლივს იპოვა ლექციის საგზური. სანამ დირექტორი საგზურს გაეცნობოდა, იოთამმა რამდენჯერმე აგრძნობინა, რომ ოთხი უკვე შესრულდა და ლექციის დროულად დაწყება სასურველი იყო.

– არ მიყვარს, როცა მსმენელებს ვალოდინებ, – დაასკვნა დოცენტმა.

– რა თქმა უნდა. – კვერი დაუკრა დირექტორმა.

– ალბათ უკვე შეგროვდნენ, ლექცია კლუბში გვექნება? რამდენი კაცი დაგვესწრება? – აწრიალდა იოთამი.

ფაბრიკის სულისჩამდგმელმა ლექციის საგზურს ორ ადგილას მოაწერა ხელი, ორსავე ხელმოწერას მრგვალი ბეჭედი დაარტყა. მერე საგზური შუაზე გახია. ერთი ნახევარი დოცენტს გაუწოდა, მეორე ნახევარი კი უჯრაში ჩაიდო.

– სხვა დროსაც სიამოვნებით მიგიღებთ, – თვალი ჩაუკრა მასპინძელმა და ხელი გაუწოდა.

– რას იზამთ? – იოთამმა ხელი ჩამოართვა, მაგრამ კარგად როდი გაიგო რომ დირექტორი ემშვიდობებოდა.

– სხვა დროსაც, როცა გნებავთ, მობრძანდით, – სახიდან ღიმილი არ მოშორებია ფაბრიკის უფროსს.

– როგორ? ლექცია არ ჩავატაროთ? არ გნებავთ? მაშ, ხელი რისთვის მომიწერეთ? – სასოწარკვეთილი ხმით წარმოთქვა იოთამმა.

დირექტორმა საკმაოდ სადა ფრაზებით აუხსნა, რომ ფაბრიკაში მსმენელთა შეკრება ვერ მოხერხდა: – ლექციას საერ-

თოდ გაურბიან, – იცრუა ყოფილმა მოცეკვავემ, – რაც შეეხება საქმეს, თქვენთვის განა სულ ერთი არ არის? ლექცია ჩატარებულად ჩაითვლება, მორჩა და გათავდა.

– კი მაგრამ, რა დაგიშავეთ, ნუთუ თქვენ ფიქრობთ რომ ასე აუცილებელია ჩემთვის ამ ლექციაში აღებული ათი მანეთი. რატომ მაყენებთ შეურაცხყოფას. მე სიყალბეს მიჩვეული არა ვარ. ვინ გეხვეწებოდათ, ხელს რომ მიწერდით. ახლა კეთილი ინებეთ და ხალხი შემიკრიბეთ. შრომის ესთეტიკის უახლოეს პრობლემებზე უნდა ვესაუბრო.

დირექტორი უკმაყოფილოდ შეიშმუშნა, საათზე დაიხედა, ახლავე მოვალო, დაუგდო სტუმარს და გავიდა.

„ნუთუ ისე წახდა ჩემი საქმე, რომ ამ თავაზიანმა კაცმა ყალბისქმნაში მონაწილეობა შემომთავაზა. ეტყობა რაღაც შეცდომა დავუშვი, ან იქნებ მცდიდა?! მცდიდა ნამდვილად, თორემ განა შეიძლება, დოცენტ კაცს, რომელმაც გულმოდგინედ მოამზადა გუშინ და ამ დილით გადაიმეორა ლექცია, რომელმაც ამოდენა გზა გამოიარა და გზაში ფიქრობდა კიდეც მოსალოდნელ შეკითხვათა პასუხებზე, რომელმაც თავის დატვირთული დღიდან საზოგადოებრივ-საქველმოქმედო ლექციისათვის დრო გამოჰყო, ასეთ კაცს ესაუბრო, როგორც საქმოსანს, რომელსაც ლექციის საგზურზე ხელმოწერა და იმ ხელმოწერით თვის ბოლოს მიღებული ჰონორარი აინტერესებს და სხვა არაფერი“, – ფიქრობდა იოთამი.

– გაკეთდა საქმე, – შემოვიდა დირექტორი, – ჩვენ მთელი ფაბრიკა, რადიოფიცირებული გვაქვს, ლექციას რადიოჯიხურიდან წაიკითხავთ და მთელი ფაბრიკა გისმენს. მე ვფიქრობ, ასე უკეთესია. თქვენც დგომით არ დაიღლებით და მუშებიც საქმეს არ მოცდებიან.

...იოთამმა მიკროფონთან მიიტანა ტუჩები და საკმაოდ ხმამაღლა ჩასძახა: „ამხანაგებო, ტრიკო-პერანგეულის ამ დიდებული ტრადიციების მქონე ფაბრიკის სახელოვანო მშრომელები...“ დოცენტი ცდილობდა, რაც შეიძლება ნათლად, ჭარბი ფილოსოფიური ტერმინების გარეშე ელაპარაკა (ჯიხურში ცხელოდა), თვალებს დახუჭავდა და წარმოიდგენდა,

როგორ გაისმის მთელს ფაბრიკაში მისი ხმა, როგორ ზედიზედ ჩერდებოდნენ ჩარხები და საკერავი მანქანები, რა მოწონებით უგდებდნენ ყურს რადიოს, რომელიც მათთვის უაღრესად ახლობელ საგნებზე ლაპარაკობდა.

ლექცია რომ დამთავრდა, იოთამმა ღილაკს (როგორც დირექტორმა აუხსნა) ხელი ჩამოჰკრა და შვებით ამოისუნთქა. ჯიხურის კარი გამოაღო და სუფთა ჰაერი ოფლიან შუბლზე მოელამუნა. აღტაცებული დირექტორი თავის კაბინეტში ელოდებოდა.

– უღრმესი მადლობა, ვერ წარმოიდგენთ, როგორ გვასიამოვნეთ, ძალიან საინტერესო იყო. – ხელს მაგრად ართმევდა დირექტორი და თან გასასვლელისაკენ მიაცილებდა.

ფაბრიკის ეზოში მუშები საქმიანი ნაბიჯებით მიმოდიოდნენ. ონკანთან ერთი ჯგუფი შეკრებილიყო და ცხარედ კამათობდა. „ალბათ ჩემი ლექციის გარშემო“, – გულში სითბო ჩაეღვარა იოთამს. იგი ვალმოხდილი, კმაყოფილი კაცის ნაბიჯებით მიაბიჯებდა. „ესეც ასე. მე ვფიქრობ, სასარგებლო იყო, ბევრმა აქამდე, იქნებ, არც კი იცოდა, როგორ უნდა მოევლო სამუშაო ადგილისათვის. რა უნდა გაეკეთებინა, რათა აეწია, მისი, როგორც მშრომელის, ესთეტიკური დონე. მოისმინეს ლექცია და ყველაფერი ცხადი გახდა. ასე არ სჯობია?“ – ფიქრობდა დოცენტი.

ბავშვთა ბიუროში ვიღაცამ ხელკავი გამოსდო და გარეთ გამოაცილა. იოთამმა მოიხედა და თავისი თანაკლასელი ვაჟა გუბელაძე იცნო.

ერთმანეთი გულითადად მოიკითხეს. ვაჟას იოთამის მეცნიერულ მიღწევებზე ბევრი სმენოდა, მაგრამ ფაბრიკაში მოსვლის მიზეზი მაინც იკითხა.

– რაიმე გაურკვეველი ხომ არ იყო? მაინც უხერხულია, იქნებ ვინმეს შეკითხვა ჰქონდა, – კითხვა შეუბრუნა იოთამმა და პასუხის ნაცვლად მეგობრის უცნაურ გამომეტყველებას რომ წააწყდა, თვითონვე განაგრძო.

– არ მისმენდი? – გაიოცა იოთამმა, – ხანდახან რადიოს უნდა უსმინო, ძმაო. ათი წუთის წინ თქვენი ფაბრიკის

რადიოქსელით გამოვედი. საათიანი ლექცია წავიკითხე. არ გითხრეს მაინც?

ყოფილი თანაკლასელი სიცილისაგან კინაღამ გაიგუდა, როცა სული მოითქვა და ცრემლები მოიწმინდა, დოცენტს აუწყა:

– რა ლექცია, რის ლექცია, ჩვენი ფაბრიკის რადიოკვანძი წყალდიდობამ მოშალა და ერთი თვეა აღარ მუშაობს. მაშ, ლექცია წაგვიკითხე? არა, შენ არ მომიკვდე, შენი ხმა ჯიხურიდან არ გამოსულიყოს. მიკროფონთან იდექი? სერიოზულად?

ამ სიტყვებთან ერთად თანაკლასელმა ისევ ატეხა ხარხარი. სიცილისაგან მუხლებში ჩაიკეცა, ხეს მიეყრდნო, მუცელზე ხელი იტაცა, ცრემლები ღაპაღუპით ჩამოუვიდა და იოთამი დარწმუნდა, რომ სიცილსაც თავისი ზომა და კანონი აქვს.

რაც შეეხება დოცენტ იოთამ მამისაშვილს, სახეზე უეცრად სიყვითლემ გადაჰკრა, შეურაცხყოფამ გულში უჩხვლიტა და დიდი ხნის უნახავ ძმაკაცს არც კი დამშვიდობებია. ერთი გაფიქრება გაიფიქრა, მივბრუნდები და დირექტორს ამ პორტფელს თავზე დავახევო, მაგრამ მერე რატომღაც გადაიფიქრა, და რატომ გადაიფიქრა, არავინ იცის.

იმ ღამით იოთამმა დიდხანს ვერ დაიძინა. ჯერ გაზეთები ხელმეორედ ათვალიერა, მერე თავისი სადოქტორო დისერტაციის მასალებს გადახედა, ბოლოს სინათლე ჩააქრო და თვალები დახუჭა, იქნებ დამეძინოსო. იოთამი შეუმჩნევლად, სიფხიზლიდან ერთბაშად სიზმარში გადასახლდა. ესიზმრა იოთამს, რომ თვითმფრინავის პილოტი იყო და მორიგი გაფრენიდან თავის აეროდრომზე ბრუნდებოდა. ამინდი მშვენიერია. „ხედვა კარგი“, კურსიც სწორად უჭირავს, აი, უნდა დაეშვას კიდეც, გადაიხედა და ჰოი საკვირველებავ, აეროდრომი აღარ არის, იოთამმა ჭოგრიტს გახედა. თვითმფრინავი ასოთხმოცი გრადუსით შემოტრიალდა და სხვა მიმართულებით გაფრინდა. აეროდრომი აღარ არის: იოთამმა უკან მოიხედა, თვითმფრინავში მარტოდმარტოა იოთამი. „კიდევ კარგი რომ ჩემ გარდა არავინ არის“, – აღმოხდა აკანკალე-

ბულ პილოტს. სადაცაა საწვავი გამოელევა. მალე უახლოესი აეროპორტი უნდა გამოჩნდეს. ისიც გაქრა. აეროდრომი აღარსადაა.

ზის თვითმფრინავში იოთამი და დასაჯდომ ადგილს ეძებს. წუხს, ბორგავს, ქუდი მოიხადა, საკინძე შეიხსნა, ბენზინის ისარი ნულს უჩვენებს. უნდა გადმოხტეს, სხვა გზა არა აქვს, უნდა გადმოხტეს. დასაფრენი ადგილი არ არის. აეროპორტი გაქრა...

დილით იოთამი დიდხანს ცდილობდა აღედგინა საშინელი სიზმრის ფინალი, მაგრამ ვერაფრით ვერ გაიხსენა.

ქორეოგრაფი

– ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი რვა! ჰაა! მიყევი, მიყევი, ქალს შეხედე, სად იყურები, რამპატარიპ, რიმპატარიპ, რამპატარიპი, რვაა! შედი შუაში! შენ იმას მიყევი, შენ აქეთ! გეიცინე ცოტა, რავა ჩამოგტირის ცხვირ-პირი! აწიე თავი! ფეხებს ნუ უყურებ!.. რიმპატარიპ, ჰა!.. წადი წრეზე! ცერზე შედექი! ცერი-თქვა! დაშორება, დაშორება ერთნაირი!.. რამდენჯერ აგიხსნათ, ხომ ხედავ, გაგასწრო იმან!.. ცოცხლად! ცოცხლად! ცეკვავ შე უპატრონო, პანაშვიდზე ხომ არ მიდიხარ!.. გააჩერეთ! თავიდან!.. წინ შენ დადგები! ბიჭო, ტაშის დაკვრა არ იცი შენ? რომ უტყაპუნებ ჭადის ცომივით ხელებს ა, უყურე, ტაში ასე უნდა დაუკრა! – ამ ბოლო სიტყვაზე გოგიამ ყელი მოიღერა, ცალი ფეხი წინ წადგა, მარცხენა ხელი მკერდს ოდნავ ააცილა და მარჯვენა ნარნარად დაუსვა, – შენ ასე უკრავ, გამეიხედე! – გოგიამ ხელისგულებს ტყაპატყუპი აუყენა. მოცეკვავეებს გაეცინათ. – აბა მივიღოთ საწყისი მდგომარეობა, დაცილდი, ბიჭო, ნუ ეწეპები მაგ გოგოს! საერთოდ, გოგოებს ცოტა უკან მიყევით სუყველა! – გოგიამ დოლი აიღო: – ერთი ტექსტი გამოტოვეთ, რამპატარიპ, რიმპატარიპ, რამპატარიპი, ჰა!..

...და ყოველივე ამის შემდეგ მკითხველს განა სჭირდება უადგილო ახსნა-განმარტება იმის შესახებ, რომ გოგია ინაკავაძე ცეკვის მასწავლებელია? თუ მაინცდამაინც საჭიროა ავტორის მომაბეზრებელი კომენტარები, ვიტყვით, რომ „რეპეტიცია“ ორმოცდამეშვიდე სკოლის ფიზკულტურის დარბაზში მიმდინარეობს. სკოლის დირექტორი გახლავთ შალვა მოწონელიძე. სკოლა საქალაქო ოლიმპიადისათვის ემზადება.

მკითხველისათვის, ალბათ, ცნობილია ორმოცდამეშვიდე სკოლის სახელოვანი საოლიმპიადო ტრადიციები. ამ სკოლის თვითშემოქმედება სამაგალითოა მთელ ქალაქში.

შალვა მოწონელიძის თეორიით, სკოლის მუშაობა ოლიმპიადაზე და პარადზე გამოსვლით ფასდება. ამიტომაც დირექტორი კოლოსალურ ენერგიას უთმობს საპარადო და საოლიმპიადო სამზადისს.

როცა საპირველმაისო დღესასწაულზე კოლონასა და კოლონას შორის მანძილი გაიზრდება, დაფდაფების და საყვირების ხმა მოედანს აიტაცებს და თვითმფრინავად გადაკეთებული საბარგო ავტომანქანის ძარაზე სამ ჯანმრთელ ყმაწვილს აღტაცებული მოჰყავთ წელში გაზნექილი გოგონა, ტრიბუნაზე მდგომ ქალაქის ხელმძღვანელობაში ერთბაშად გაირბენს... „ორმოცდამეშვიდე მოდის!“. შალვა მოწონელიძემ თავისი საქმე ხუთი თითივით იცის. ამიტომაც (და სხვა მიზეზთა გამოც) იგი სკოლის უცვლელი დირექტორია და, როგორც ასეთ შემთხვევაში, ფრანგები იტყვიან ხოლმე: დამსახურებული ავტორიტეტითაც სარგებლობს. ოლიმპიადა კარზეა მომდგარი, სკოლის ნაცადი ქორეოგრაფი, პავლე გობრონიძე ტყიბულში გადაიყვანეს და დირექტორმა მის ადგილას გოგია ინაკავაძე დანიშნა. „რა მიქნა წელს პავლემ, როგორ გამომჭრა ყელი. ვეუბნებოდი დაიწყე-მეთქი. ახლა პატარა ხანს არ მცალიაო. შემირჩინა, შემირჩინა და დამღუპა კაცი. ორ კვირაში ოთხი ცეკვის გამართვას მოასწრებენ ეგენი? თუ გაქცევა ჰქონდა გუნებაში, ეთქვა და დროზე ვეწეოდი ჩემს საქმეს! “ – წუხდა დირექტორი.

გოგია თავიდანვე მოსწონდა შალვა მოწონელიძეს. გოგია მთელ ქალაქში განთქმული მედოლე იყო. იგი კულტურის სახლის ანსამბლის კონცერტზე ნახა პირველად დირექტორმა და თვალი ვერ მოწყვიტა.

„შენ იყო ახლა ერთი ათი წლით უმცროსი და რომელ კლასშიც გაგეხარდება იმაში დაგსვამდი და რა ნიშნებიც გაგეხარდებოდა იმას დაგიწერდი“, – უთხრა ხუმრობით.

„რა მედალი დამიკარგავს“, – გაუცინა გოგიამ. ცოტა უხერხულია ამის თქმა, მაგრამ გოგია ინაკავაძეს სრული საშუალო განათლება არ ჰქონდა. იგი არასრული საშუალო განათლების მქონედ ითვლებოდა (მეცხრე კლასიდან იყო გამო-

სული). „თავის დროზე ხელი შემეშალა და ახლა ქე მრცხვენია ამხელა კაცს ღამის კლასში სიარულისო“, – იტყოდა გოგია.

კაცმა რომ თქვას „ამხელა კაცი“ გოგიასათვის ცოტა შეუფერებელი გამოთქმა გახლდათ. გოგია სულ ოცდახუთი წლისა იყო და თანაც ტანმორჩილი. მაგრამ გოგიას საღამოს სკოლაში „სიარული“ ალბათ იმიტომ ეუხერხულებოდა, რომ მას მთელი ქალაქი იცნობდა და არ უნდოდა „მოღადავეთა“ (როგორც თვითონ იტყოდა) ყბაში ჩავარდნილიყო.

„გოგიას თურმე ოთხი კლასის განათლება ჰქონიაო, გოგიას სუფთა წერაში გამოცდა აქვს დღესო, გოგია ქართულს კარნახით წერსო, გოგიას თავიდან დოუწყია სწავლა და ღამის პირველ კლასში შესულაო“ – ეს რა არის, უარესს იტყოდნენ. ამიტომაც გოგია გულმოდგინედ მალავდა თავისი არასრული განათლების საიდუმლოებას და ხაზგასმით უნდა განვაცხადო, რომ დარჩენილი ერთ-ნახევარი სასწავლო წლის ხარვეზს გოგია ცხოვრებაში მაინცდამაინც ვერა გრძნობდა. გოგია ბრწყინვალე მედოლე იყო.

ეს ბოლო ორი წელია გოგიამ დოლით ცეკვა დაიწყო და ის რომ „ფერხულ-ფარცაკუკუსა“ და „ხორუმში“ სცენაზე ქარს დაატრიალებდა, ერთ ყურებად ღირდა. იღბლად შალვა მოწონელიძეს გოგია ამას წინათ ქუჩაში შეხვდა. „ინაკავაძე არა ხარ შენო?“ – ჰკითხა დირექტორმა. „კი ბატონოვო“, – მიუგო გოგიამ. „ბიჭო, ქორეოგრაფი მჭირდება კაი და ხო არავინ გეგულებაო“, „ქორეოგრაფების მეტი რაია ქუთაისში, ბატონო, ქვა რომ ააგდო ქორეოგრაფს დაეცემაო“. „მე კაი მინდა, თვარა ფინაჩს და უბედურს ერთ ვაგონს ვიშოვი, ხომ იცი, ჩემი სკოლა შენო“. „რავა არ ვიცი, ბატონო, მარა თქვენთან პავლე არ იყო გობრონიძეო?“, „პავლე, გამექცა, თვარა იცოცხლე, პავლე კაი იყოვო“, – ამოიოხრა დირექტორმა, მერე თითები ერთმანეთს გადააჭდო, გოგიას ახედ-დახედა და ჰკითხა – „შენ არ შეგიძლია ცეკვის სწავლება, ბიჭოვო?“, „მეტი რა მოხელე ვარ, ბატონოვო“, „აბა მოდი ხვალიდან და შეუდექი საქმეს. ორი კვირა დაგვრჩა, ხომ იცი შენო“, – უთხრა დირექტორმა და უცებ ინანა, ხომ არ ვიჩქა-

რეო, უკან დახევა გვიან იყო და სკოლის ახალი თანამშრომელი მკაცრად გააფრთხილა, – „გოგია, თუ თავის იმედი არ გაქვს, ტყვილა არ მოკიდო ამ საქმეს ხელი. ხომ იცი, პირველი ადგილი უნდა ავიღოთ. გუნდის ხელმძღვანელი კაი მყავს, გიგლა ცირეკიძე ხომ იცი, ცეკვებმა თუ ხელი არ შემიშალა, წინ ვერავინ დამიდგება“. „რავა, გუშინდელი ბოვში კი არა ვარ, ბატონო, ამ ცეკვაზე მაქვს მოჭრილი ჭიპი. მეტი რაში ვვარგივარ. პირველად ხომ არ ვამზადებ ანსამბლს“, – დაბეჯითებით თქვა გოგიამ.

ვერ დავმალავ და ბოლო წინადადება სიმართლის ნატამალსაც არ შეიცავს. გოგიას დღეს პირველად ანდეს ქორეოგრაფობა. აქამდე გოგია ინაკავაძე მარტო მედოლე და მოცეკვავე იყო. ხვალიდან გოგია ქორეოგრაფად იქნება. ეს უკვე სხვა ამბავია.

ხელოვნების სამსახურის გზაზე გოგიასთვის ახალი ეტაპი იწყება: უფრო მაღალი და პასუხსაგები.

„თავს არ დავზოგავ, ბატონო“, – ეს იყო იმ შეხვედრისას გოგიას ბოლო სიტყვა. „თავს არ დავზოგავ, ბატონო“, – რამდენჯერმე გაიმეორა გზაში გოგიამ. ქალაქის ცნობილი მედოლე სიხარულს ვერ მალავდა. „ალბათ ნახა იმ კაცმა ჩემში რაღაცა მონაცემები, თვარა ძმა არაა ჩემი და ბიძაშვილი, ამხელა სკოლის ქორეოგრაფობას რაზე შემომთავაზებდაო“. ბოლოს სახლში მისვლისას, ისიც კი გაიფიქრა: ეგება ქორეოგრაფად ვარ გაჩენილი და არ ვიცოდიო. ერთი სიტყვით, გოგია სიხარულს ვერ მალავდა. მომავალი ოქროსფრად გაჩახჩახებული ჩანდა. „სხვა კაცი ვიქნები! – ფიქრობდა გოგია, – სიყვარული და დაფასება ახლაც არ მაკლია, მარა ეს სხვა დაფასებაა. ახლა თუ მეძახის ქორწილში კაცი, დოლის დამკვრელად მეძახის, მაშინ სხვა ღირსებისთვის დამიძახებენ. დოლსაც ქე დავუკრავ ათასში ერთხელ, სახალისოდ. მაშინ ველარავინ იტყვის, გაწიე-გამოწიე მედოლეა მაინცო. ხვალიდან ცეკვის მასწავლებელი მქვია. ბარე ორს ავაჭიკჭიკებ რავარც საჭირო“.

გოგია მეორე დღესვე გამოცხადდა სკოლაში და იმ დღი-

დან, გაკვეთილების შემდეგ, ფიზკულტურის დარბაზში დოლის ხმა არ შეწყვეტილა. დირექტორმა თავიდან გააფრთხილა, ყველას რომ ექნება, ისეთი ცეკვა არ მინდა, რამე ახალი მოიფიქრეო და გოგიამაც აამუშავა თავისი ფანტაზია. დღედაღამ ახალი ცეკვის „ნახაზზე“ ფიქრობდა. ბოლოს ოთხ დასახელებაზე შეჩერდა: ცეკვა „ნადირობა“ ცეკვა „ჩოგბურთი“, ცეკვა „სამხიარულო“ და ცეკვა „თევზაობა“. თევზაობის ფინალის მოფიქრება გაუჭირდა, მაგრამ ცეკვის დრამატული ხარვეზი იმით ამოავსო, რომ ბოლოს მეთევზე მოცეკვავეებს ავანსცენის ორმოდან დიდი ბუტაფორული თევზი უნდა ამოეთრიათ. დირექტორი რამდენჯერმე დაესწრო რეპეტიციას და როცა დარწმუნდა, რომ მოცეკვავეთა ანსამბლი საიმედო ხელში იყო, დამშვიდდა და სხვა დირექტორულ საქმეებს მიუბრუნდა.

ხანდახან გოგია შესვენებას გამოაცხადებდა. ცხვირსახოცს ამოიღებდა და დოლის მოშვებას იწყებდა, დასვენება უნდა ამასაცო. მოცეკვავე მოსწავლეები არაჩვეულებრივი ყურადღებით შესცქეროდნენ გოგიას ხელის ყოველ მოძრაობას. ანსამბლის წევრებს მალე შეუყვარდათ გოგია. სჯეროდათ მისი იმ სიახლეთა გამო, რაც გოგიას ნახაზებში ჩანდა, უყვარდათ იმ ენერგიის და საქმისადმი ერთგულების გამო, რასაც გოგია მოსვლის დღიდანვე ამჟღავნებდა.

ქორეოგრაფსა და მოცეკვავეებს შორის უშუალობის ატმოსფერო დამკვიდრდა. გოგია სრულიად უბრალოდ, ოფიციალობის გარეშე მიმართავდა თავის მრევლს და მათგანაც ასეთსავე დამოკიდებულებას მოითხოვდა. „მასწავლებლის“ დაძახებაზე თავდაპირველად წთილდებოდა გოგია, მერე რომ ვერ იქნა და ვერ გადააჩვია ბაშვები „გოგია მასწავლებელოს“, ხელი ჩაიქნია და ყურიც მიაჩვია. შესვენების დროს გოგიასა და მოცეკვავეებს შორის დაახლოებით ასეთი საუბარი იმართებოდა.

– ყველა ცეკვის ილეთი იცით, გოგია მასწავლებელო? – გოგია ასეთ შეკითხვას პასუხის ღირსად არ ცნობდა.

– რამდენი ცეკვა არსებობს დაახლოებით ახლა?

– ბევრი, – მოკლედ მოჭრიდა გოგია.

– მაისეევი რა ხნის იქნება ახლა?

თუ შეკითხვა ამდაგვარი არაპროფესიონალური ხასიათისა იყო, გოგია ტყუილსაც ამბობდა, რათა ბავშვების თვალში ავტორიტეტი არ შელახვოდა. გოგიამ „არ ვიცი“ თითქმის ამოიღო თავისი ლექსიკონიდან.

– მოსია რამდენ მუხლზე ტრიალს აკეთებს?

– ორ წრეს ურტყამს ოპერის სცენას, – ამ პასუხით მოსიას მუხლზე ტრიალით დაინტერესებული მოსწავლე კმაყოფილი რჩებოდა. მან იცოდა, რომ ოპერის თეატრის ორი წრე საკმაოზე მეტად დიდი იყო. კონკრეტულად კი მას არც ოპერის სცენა ენახა და მოსიასაც მხოლოდ გადმოცემით იცნობდა.

– ფაღავას ძმა ჯობია თუ ფაღავა?

– რომელი ძმა? – იკითხავდა გოგია. გოგიამ იცოდა, რომ ფაღავას ორი ძმა ჰყავდა.

– დოლის დაკვრას თქვენნაირად რამდენ ხანში ისწავლის კაცი?

გოგიას მაინცდამაინც არ სიამოვნებდა ეს შეკითხვა, მაგრამ იძულებული იყო აეხსნა დაინტერესებული ბავშვებისათვის, რომ დოლის დაკვრას ყველა ისწავლიდა, ხოლო ქორეოგრაფობისთვის კი თანდაყოლილი ნიჭი იყო საჭირო.

– სახელმწიფო ანსამბლში თუ გიცეკვიათ, გოგია მასწავლებელო?

აქ კი გოგია შესვენებას წყვეტდა და საუბარს დამთავრებულად თვლიდა. აშკარა იყო, რომ გოგიას სახელმწიფო ანსამბლის გახსენება არ უყვარდა.

ოლიმპიადამდე ოთხი დღე რჩებოდა, როცა დირექტორმა გოგია გამოიძახა. გოგიამ რეპეტიცია შეწყვიტა და მეორე სართულზე აირბინა. შალვა მოწონელიძე თეთრ ტილოგადაფარებულ სავარძელში იჯდა და გაზეთს ათვალიერებდა.

– როგორ მიდის საქმე? – ჰკითხა დირექტორმა და კითხვის დაზუსტებისათვის, დაუმატა, – ხომ იცი, გოგია, შენს იმედზე რომ ვარ?

– ქე ხედავთ, ბატონო, რაც შემიძლია ვაკეთებ და ახლა

შეუძლებელს, გოგია ინაკავაძე კი არა, ამ ბოლო დროს, ღმერთიც ვერ ახერხებს.

– მატარაძის ბიჭი, ხომ კარგია, ვანიჩკა?

– კარგია მარა, ნამეტანი მჩატეა, ცერებზე, თუ გინდა ერთ საათს ივლის, მარა ძალა არა აქვს, „გასმაში“ მალე იღლება.

– შენ ეს მითხარი, სანდუხაძე რომაა მაღალი ბიჭი, ვარგა რამეთ?

– რა უჭირს.

– სწავლაში არ უქნია ღმერთს და ეგება მაგაში მაინც ივარგოს.

გოგიას ეჩქარებოდა, იგი უფრო საქმიან საუბარს მოელოდა და რაკი შეატყო, რომ დირექტორი ახალს არაფერს ამბობდა, კარებისკენ გაიწია:

– წავიდე? თუ ვიყო ცოტა ხანს?

– რაზე დაგიძახე, თუ იცი, – მაგიდაზე ხელები დააწყო დირექტორმა, – არ შემჭამეს კაცი? შენც თუ ამდენი მტერი გყავდა ვერ მოვიფიქრებდი.

– გლახა ენის ხალხს რა გამოლევს. რავა, რა იყოვო?

– რაო და სპეციალურად მევიდა გუშინ ერთი კაცი. სისხლში რო ექნება კაციშვილს სიგლახე. მევიდა, მე ვთქვი საქმე აქვს რამე-თქვა. რა გიქნია ესო, მითხრა, დაგიღუპია სკოლაო, რა იცის გოგია ინაკავაძემ ქორეოგრაფობისო. მაგას რავა ანდე ოლიმპიადის ბედიო.

გოგიას მწარედ გაეცინა. დირექტორმა განაგრძო:

– მაგიო, ასე თქვა, მედოლედ ვარგა მარტო და ერთი ფიორი ჭკუა არა აქვს თავშიო. არ გრცხვენია? მე ვუთხარი, მოდიხარ აქ და კაცს ლანძღავ, მე ვუთხარი. შენ, მე ვუთხარი, არ უნდა იყო კაი სული, მე ვუთხარი. რა დაგიშავა, ბიჭო გოგიამ, მე ვუთხარი. კაცი პატარა წინ წავიდეს, შენ რა გიფუჭდება, მე ვუთხარი. შენსას ხო არ ჭამს და შენსას ხო არ სვამს, მე ვუთხარი.

– ვინ იყო, მაინც? – იკითხა შეცბუნებულმა გოგიამ.

– მაგას ვერ გეტყვი, ცოლ-შვილი დამაფიცა. რათ გინდა. გეიგებ ერთ დროს. ღორი იმ საქმეს არ მოიშლის. ხომ იცი შენ.

– წავალ ახლა! – კეფა მოიფხანა გოგიამ.

– მაგიო, მითხრა, ქორწილებზე დადის და დოლს უკრავსო. ქორეოგრაფობა ისე უნდა, სახელად, თვარა, შენს ორმოცდაათ მანეთზე გაჩერდება მაგიო? ქვეყნის ფულს ხვეტავს ქორწილებზეო.

– ისე მოხვეტა მაგის გვარმა და ჯილაგმა. ვის ქორწილზე მნახა, არ თქვა ქე მაინც? ვინმე ძმაკაცი თუ მეიყვანდა ცოლს, ხათრს ვერ გავუტეხავდი, თვარა ქორწილზე დამკვრელი ვარ აწი მეე? გუშინაც ქე იყვნენ, თან გადამყვა შაქროია შალამბერიძის ბიჭი, ზაური, პატრიკეთიდან ქალი მომყავს და მიშველეო, მეზობელია, მარა არ წავყევი. დოლი ვნახე დამწვარი, ქორწილზე დოლის დამკვრელი ვარ აწი მეე? მე რომ დოვლათი მაქვს და ვორონცოვის ლუსტრები მიკიდია სახლში, იმაზე მეტი არ მიცეს ღმერთმა. თუ წყევლა არის, ასე დამიწყევლია ჩემდა თავად.

დირექტორი სულგანაბული უსმენდა და ბოლოს თვითონაც არ დაიტოვა სათქმელი.

– კითხე ერთიო, სახელმწიფო ანსამბლიდან რატომ გამოაგდესო. მაგი რო ჭკვიანი ყოფილიყო, ანსამბლში იქნებოდა ახლაცო. მეეწონა იმ კაცს სამადლოთ და წეიყვანა თბილისშიო. ერთი თვე იცეკვა იქანა და თვის ბოლოს ამოუსვეს ნიშადურიო. მართლა ცეკვავდი სახელმწიფო ანსამბლში, გოგია?

გოგია გაწითლდა. საუბარი ყველაზე მწვავე ფაზაში შედიოდა.

– არ გადამაყოლეს ერთ „აზიაცკს“? შვიდი წლის წინანდელი ამბავი. მოცეკვავეთ კი არა მედოლეთ წამიყვანეს. ვინ გაცეკვებდა, ვინ გეუბნებოდა რამეს. ბინა მე არა მქონდა და საჭმელი. დამსვეს იქანა მეოთხე მედოლეთ. გამიჭირდა ძაან. „აზიაცკი“ მევიპარე და გავყიდე. მე არ ვმალავ ამას. მომივიდა ეს ერთი შეცდომა და სადაც წავედი – ყველგან წინ დამხვდა. ყველამ ეს „აზიაცკი“ გამახსენა. თუ რამე კაი გაგიკეთებია, არავის ახსოვს. მაინცდამაინც ამ გლახა საქმეს გაგიხსენებენ. წევიდა, ბატონო, ჩაიარა იმ წყალმა. ათი წლის წინ რომ პატარა შეცდომა მომივიდა ჩემი სიბოვშვით და

გამოუცდელობით, იმისთვის უნდა ჩამომახრჩოთ ახლა?

– რა იცოდა მაინც მაგან ეს ამბავი?

– ქვეყანამ იცის.

– წადი, გოგია შენ, მიხედე შენს საქმეს, ბუზს ვერ აგიფრენს ვერავინ. მეიპარე, მეიპარე, რა ვუყოთ მერე, შეგეშალა. თვარა თვითონ არ შეშლიათ არაფერი. მამა აბრამის ბატკანი მყავს სუყველა. ასე ვუთხარი მეც, მე ვუთხარი, მაგისი ბავშვობა არ მაინტერესებს, მე ვუთხარი, მე ახლა რაცაა, იმას ვხედავ, მე ვუთხარი, ჩემთვის კარგია, მე ვუთხარი, საქმის ერთგულია და რაც შეუძლია, თავს არ ზოგავს , მე ვუთხარი, წადი, განაგრძე რეპეტიცია!

თავჩაღუნულმა გოგიამ კარი გაიხურა და მძიმე ნაბიჯებით დაუყვა კიბეს. იმ დღეს რეპეტიცია უხალისოდ ჩატარდა.

* * *

საქალაქო ოლიმპიადაზე ორმოცდამეშვიდე საშუალო სკოლამ ყველასაგან მოულოდნელად მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა. მკაცრმა და მაღალმა დონის ჟიურიმ ერთხმად აღნიშნა, რომ მართალია, ცეკვები თავის თემატიკით ორიგინალური იყო, მაგრამ დახვეწა და სრულყოფა აკლდაო. დირექტორს დანა პირს არ უხსნიდა. იგი სრულიად უსაფუძვლოდ ფიქრობდა, რომ ქალაქის განათლების განყოფილების ხელმძღვანელობის თვალში მისი სკოლის ავტორიტეტი შეირყა. შალვამ მეორე დღესვე დაიბარა გოგია ინაკავაძე და დიდხანს მდუმარედ შეჰყურებდა. გოგია უმტკიცებდა, რომ სხვა ოლიმპიადები წინ იყო, რომ ორ კვირაში მეტის გაკეთება არ შეიძლებოდა, რომ ჟიურიც ცოტა ტენდენციურად მოიქცა და ა. შ. დირექტორს არაფრის გაგონება არ სურდა, მან სუფთა ქაღალდი და კალამი დაუდო წინ ქორეოგრაფს და უთხრა:

– ხომ გეუბნებოდი, გოგია, თუ არ შეგიძლია, ნუ დამღუპავ-მეთქი. დაწერე ახლა განცხადება და წადი, ძმაო, რა ვქნა, მეტს ვეღარ გაგაჩერებ. რომ გეიგოს ზევით ვინმემ,

შენ რომ სახელმწიფო ანსამბლიდან „აზიაცქების“ მოპარვისათვის გამოგაგდეს, მე მომთხოვენ პასუხს. ამისთანა კაცი მიუშვი მოსწავლეებთანო? წადი, სხვაგან წადი, გოგია.

* * *

წვიმდა. საღამოსპირი იყო. გოგია ფანჯარასთან იჯდა და ლანჩგამოცვლილ „შტიბლეტებს“ რკინის ნალებს აჭედებდა. ეს განუყრელი ფეხსაცმელი ახლა მოიტანა გოგიამ სოგრატიას სახელოსნოდან. სოგრატიას „შტიბლეტებისთვის“ სქელი რეზინის ლანჩა გამოედო. მართალია, სოგრატის ნამუშევრის ესთეტიკური მხარე მოიკოჭლებდა, მაგრამ სამაგიეროდ ფეხსაცმელი დიდხანს გაძლებდა.

გოგიამ ფანჯრიდან დაინახა, ვიღაცამ ჭიშკარს ხელი გადმოუწვდინა, ხის გასაღები ასწია და ეზოში შემოვიდა. კიბის ქვეშიდან ძაღლის ღრენა რომ მოესმა, იკადრა უკან გაბრუნება, ჭიშკარი გაიხურა და ქუჩიდან დაიძახა:

– გოგია?

– რა იყო?! – ფანჯარა გამოაღო გოგიამ.

– მე გურამი ვარ, ხომ მიცანი, დეისაძე.

– გიცანი, შემოდი ეზოში, არ იცის კბენა, ნუ გეშინია.

– არ მცალია ამდენი. შოთაიამ შემოგითვალა მარდალეიშვილის ქუჩაზე კლემენტი ჟორჟოლიანის გოგოს ქორწილია და ხვარ წამოხვალო?

– კლარნეტზე ვინ ყავს?

– თამაზია თავსივა, ავად იყო და ამდგარა უკვე, წამოხვალ?

გოგიამ ლაფაროში დაკიდებულ წვიმას გახედა, წამით შეყოვნდა, ჩაახველა და გაბზარული ხმით, ძლივსგასაგონად უპასუხა:

– წამოვალ.

ცხენი

საწერი მაგიდა ძველთაძველი ინგლისური მარკის „ლოუ-რენს-1814“-ის ტიპისა იყო. სასოფლო საბჭოს ოთახში იგი იმ პერიოდში გამოჩენილიყო, როცა გულაჩუყებულ მოქა-ლაქეებს დემონსტრატიულად უარი ეთქვათ ძველი სისტემის ავეჯზე და ისინი ისეთი „კონსერვატიული“ დაწესებულებები-სათვის დაეთმოთ, როგორიც სასოფლო საბჭო ან სასამართ-ლოს კანცელარია გახლავთ.

მაგიდა გაცილებით უფრო ახალიც რომ ყოფილიყო, N მა-სივის ტიპური ოთახისთვის იგი მაინც მოუხერხებელი იქნე-ბოდა, რადგანაც უსაშველოდ დიდი იყო. ამ შავი ჩუქურთმე-ბით აყვირებული ავეჯის ოთხივე კუთხეში, აპოლონის მსგავს ფიგურებს მხრებზე შეედგათ მაგიდის ის ზედა, მაუდგამოცვ-ლილი ნაწილი, რომელზეც ამჟამად საბჭოს თავმჯდომარეს ეძინა. მაგიდის მრავალრიცხოვან უჯრებს გასაღების ადგი-ლას ლომისთავები ეკიდა ისე, რომ გასაღები ლომის დაღე-ბულ ხახაში უნდა შეგეყოთ.

ამ მაგიდის გარდა კაბინეტში ყველაფერი: ტელეფონი, ცე-ცხლგამძლე კარადა, და რასაკვირველია, თვით თავმჯდო-მარეც თანამედროვე სისტემისა იყო.

თავმჯდომარეს ცალი ხელი ლოყისქვეშ ამოედო, მეო-რე ხელი კი თეთრი საქაღალდისათვის დაეფარებინა და ამ ცოტა არ იყოს, უცნაურ პოზაში არცთუ მადიანად ეძინა; საქაღალდეს სამი წარწერა ჰქონდა. პირველი – „საქმე № 11“, ქვემოთ – „საქმე №11“, წითელი ფანქრით იყო გა-დაშლილი და კვლავ „საქმე №11“ ეწერა. ვიღაცას ეს მეორე წარწერაც გულმოდგინედ გადაეხაზა და გვერდით უფრო დიდი ასოებით მიეწერა – „საქმე №11. საბჭოს თავმჯდო-მარე გაბი (იგივე გაბრიელ) მიქელაძე სიზმარში იყო. გაბის ესიზმრებოდა თითქოს, იგი თავის მამაპაპეულ სახლში კარ-გად გამზეურებულ საწოლში, მეუღლის გვერდით იწვა და

სიზმარს ხედავდა. გაბრიელს მარტივი, მაგრამ შინაარსიანი სიზმრები ჰქონდა. თავმჯდომარის ძილის დროს მის კაბინეტში „შემთხვევით“ შემოხეტებული ყრუ დამლაგებელი ყოველთვის ატყობდა გაბრიელის სიზმრის საერთო განწყობილებასა და მიმართულებას. გაბრიელს სიზმარი სახეზე ეხატა. დრამატული სიზმრების ხილვისას მას ქუთუთოები უწვრილდებოდა, ღაწვები უნაოჭდებოდა და საბრალოდ კრუსუნებდა, მაგრამ ეს იშვიათად ხდებოდა, რადგანაც გაბრიელ მიქელაძე ძველი, გამოცდილი მუშაკი იყო და საბჭოს საქმეებიც ურიგოდ როდი ჰქონდა. თავმჯდომარეს განუყრელი სათვალე ახლაც წარბებს ზემოთ მოუჩანდა, სქელი წარბები თვინიერად შეერთებულიყვნენ და დახრილ ქუთუთოებს დასწოლოდნენ. თმა გაბრიელს კარგა ხანია გასცვენოდა და ამ მხრივ არც რაიმე პრეტენზია ჰქონდა. ყურებთან სასწაულებრივად შერჩენილ ამ „ძველი დიდების ნაშთს“ გაბრიელი არავითარ ყურადღებას არ აქცევდა. თმა მისთვის გადახდილი ჭირი იყო. ამიტომაც იგი სავარცხელსაც კარგა ხანია აღარ ხმარობდა და ათასში ერთხელ, წვერის გაპარსვისას, დალაქს უხალისოდ დაუდგებოდა: კისერიც ამომიღე და თმაც შეასწორე, თუკი დარჩა რამეო. მძინარე გაბრიელი ფხიზელ თეთრ დათვს ჰგავდა. დათვს, რომელსაც მოწყენოდა ზოოპარკის ერთფეროვანი ცხოვრება და თვალები დაეხუჭა, რათა შორს, რკინის გისოსებს იქით, თოვლისა და ყინულის სამეფოში, წუთიერად მაინც გადასახლებულიყო, „ცხენი!“ – იყვირა უცებ გაბრიელმა. ეს შეძახილი სულ რაღაც ოცდაათიოდე წლის წინ, სრულიად ბუნებრივი იქნებოდა, მაგრამ გაბრიელი კარგა ხანია ცხენზე არ შემჯდარა, რაიონში გადაუდებელი საქმეებისთვის იგი კოლმეურნეობის ფურგონზურგიანი „მოსკვიჩით“ დადიოდა. გაბრიელმა ფართო კეპიანი ქუდი თავზე მოიგდო, გასაღებების დიდი გროვა ააჩხრიალა და კაბინეტიდან შურდულივით გავარდა. თვალის დახამხამებაში ჩაირბინა კიბე, საბჭოს შენობას შემოუარა, ხელის კანკალით გააღო სარდაფის რკინის კარი და სიბნელეს მიაწყდა. „აუჰ“, გული ამოაყოლა ამ შორისდებულს გაბრიელმა და ზედ კარებთან დაგდებულ ცხენს ნესტოებში სტაცა ხელი. ცხენი

ჯერ კიდევ თბილი იყო. „არიქა!“ იღრიალა გაბრიელმა და ჭას მივარდა. ოწინარი სწრაფად დაქაჩა, მკლავების გამალებული მოძრაობით ამოზიდა წყლით სავსე ვედრო და სარდაფისაკენ გაარბენინა, მაგრამ ოწინარის ჯაჭვი სარდაფამდე არ ეყო და თავმჯდომარემ, რაც ძალა ჰქონდა, ღია კარებისაკენ გაიქნია ვედრო, წყლის შხეფები ცოცხალმკვდარ ცხენს მიწვდა.

„წყალი ჩქარა, რომელი ხართ მაქეთ!“ – მთელი ხმით გასძახა გაბრიელმა საბჭოს შენობის ირგვლივ შემოჯარულ სიმინდის ყანებს, თვითონ კი კვლავ თავის კაბინეტში დაბრუნდა. ვეტექიმს დაურეკა, სასწრაფოდ აქ გაჩნდიო, წყლით სავსე გრაფინს ხელი დაავლო და როცა კისერგადაგდებულ ცხენს დაუბრუნდა, გული ამოვარდნაზე ჰქონდა, ცხენს პირი ძალით გაუღო, ენა დაუქაჩა და კბილებშუა გარდიგარდმო დაასხა წყალი. ცხენმა თვალები აახამხამა, ენა ოდნავ გაატოკა და თავი ისევ გადააგდო. გაბრიელმა სატინის ხალათი შემოიგლიჯა, საბჭოს აივანზე გადმოდგა და ყელის გაგლეჯამდე დაიღრიალა: – გ ვ ი შ ვ ე ლ ე თ!

* * *

– ლუბა, სამოქალაქო რამდენი გვაქვს? – ჰკითხა ჭაღაროსან მდივან ქალს სახალხო მოსამართლემ გიორგი მარსაგიშვილმა და ჭილოფის ქუდი დაახლოებით ორი მეტრიდან ესროლა ტანსაცმლის ჩამოსაკიდებლად განკუთვნილ ირმის რქებს, რომელიც ფანჯარასთან კედელზე იყო მილურსმული. ამჯერად ქუდი რქის მარჯვენა წვეროს მოხვდა. ეტყობა, საჭიროზე უფრო ღონივრად იყო ნასროლი, ამიტომაც ერთიორჯერ დატრიალდა და იატაკზე დაეცა. გიორგი უკმაყოფილოდ წამოდგა, ქუდი აიღო, მაგრამ როდი დაჰკიდა, თავის სამუშაო მაგიდას დაუბრუნდა და ისევ (ამჯერად იღბლიანად) ესროლა რქებს.

– სადა ხარ ჟორა, ამდენ ხანს, ნერვიულობენ მსაჯულები, – უსაყვედურა ლუბამ და ხუთი „საქმე“ დაუდო წინ.

– თითი ამომივარდა და ექიმთან ვიყავი. რა მოხდა, დაიქცა ქვეყანა? სულ რავა ეჩქარებათ, სულ რავა გარბიან. გუშინ-

წინ რომ სირბილაძემ ვენახს ვწამლავდიო და ორი საათი გვაცდევინა, არ გაახსენე იის? სამოქალაქო რამდენი გვაქვს-მეთქი?

– სამი! – მიუგო ლუბამ და თან მზრუნველი მდივნის გამომეტყველებით დაუმატა, – რა გული მოგდის, თუ იცი. მე ქე ვიცი, თითი რომ ამოგივარდა, მარა იმგენმა იციან? ადგება და დაგიწერს ვინცხა. შენ ჯერ ახალი ხარ და ფრთხილად უნდა იყო. მსაჯულებმა იგიც შეგნიშნეს, რომ იცოდე, პროცესის დროს უშნო ხუმრობა რომ იცი და ლამაზ ქალებს თვალს რომ უპრაწავ.

– დავივსებ ახლა მაგათთვის თვალებს.

– თვალებს კი ნუ დაივსებ, მარა ცოტა დაუკვირდი საქმეს, დარბაზში რომ ქალი ზის, ან მომჩივარის რაცხაა და ან მოპასუხის. აბა, შენ საყურებლად არავინ დადის აქანა. რომ აგიწითლდება ბიბილო და დაიწყებ სერიოზულად გამოკითხვას, თქვენ ვისი რა ბრძანდებითო, ვინ გკითხავს შენ? ღია პროცესია და მოდის ადამიანი. ამოგინაყავს ვინცხა ცხვირს და ისწავლი მერე ჭკუას, – ამას ღიმილგარეული საყვედურით ეუბნებოდა ლუბა ახალგაზრდა მოსამართლეს. ლუბას გულწრფელად სურდა, რომ ყმაწვილ იურისტს გაუფრთხილებლობით ცუდი არაფერი შემთხვეოდა.

– ჯერ ეს ცხენის საქმე გავარჩიოთ, ცოტა შეთხელდება ხალხი. თხოვე უფროსებს, – თქვა გიორგიმ, საქმეები ამოიღლიავა და სასამართლოს კარებში დადგა. გულმოსული მსაჯულები მოსამართლეს თვალს არიდებდნენ. მათ ურჩევნოდათ შეეხედათ სუფთა, უპლაკატო კედლისთვის, ოღონდ მოსამართლისათვის ეგრძნობინებინათ, რომ ბოლოს და ბოლოს, მათს მოთმინებასაც საზღვარი ჰქონდა.

– მოქალაქე გაბრიელ მიქელაძის საქმეზე დაბარებულ მოწმეებს ვთხოვთ დატოვონ დარბაზი, – გამოაცხადა მოსამართლემ.

რამდენიმე კაცი უხალისოდ წამოდგა და კარებისაკენ გაეშურა.

– მიქელაძე თუ არის? – ჰკითხა მოსამართლემ ლუბას.

– აქ ვარ, ბატონო, – გაბზარული ხმით დაიძახა გაბიმ.

პროკურორი შემოვიდა და სალამიც არავისთვის უთქვამს, თავის მაგიდას მიაშურა.

– მიქელაძის საქმე! – აუწყა მოსამართლემ პროკურორს.

– ვისი?

– მიქელაძის.

პროკურორმა მხრები აიჩეჩა, ასეთ საქმეს არ ვიცნობო.

– აი, ცხენთან რომ არის დაკავშირებული, – აუხსნა მოსამართლემ.

– აა, ვიცი, ვიცი, – დამშვიდდა პროკურორი. პროკურორი ტანსრული ქალი იყო. სავსე მკერდზე პროკურორის ხალათი ასკდებოდა. ხელები მაგიდაზე დაეწყო და ფაფუკ ლოყებზე სახელმწიფო მბრალდებლის სამხრეები მჭიდროდ შემოტმასნოდა.

– მიქელაძე აქეთ გადმობრძანდით, – თხოვა მოსამართლემ და გვერდით კედელთან, ბრალდებულის სკამზე მიუთითა.

მიქელაძემ თხოვნა უყოყმანოდ შეუსრულა.

– დაზარალებული თუ არის? – იკითხა მოსამართლემ, დარბაზში აქა-იქ ფხუკუნი გაისმა.

– დაზარალებული არ არის. მოსარჩელე მე გახლავართ, – წამოდგა მაღალი, ბეჭებში მოხრილი, გრუზათმიანი მამაკაცი. მას ჩინურ ყაიდაზე შეკერილი ნაცრისფერი სერთუკი ეცვა და მკერდზე ორდენების მაჩვენებელი გრძელი ნიშანი ეკეთა.

– ვერ გავიგე!

დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდა.

– დაზარალებული ცხენი გახლავთ. ცხენი არ არის-მეთქი. მის მაგივრად, ესე იგი ცხენის მხრიდან მე ვარ, პატივცემულო მოსამართლევ, და სასაცილო არაფერი არ არის აქ! – შეუბღვირა მან დარბაზს.

– გვარი?

– სალდაძე კირილე, ფერმის გამგე.

– არის საქმეში, – თავი დაუქნია მოსამართლეს ლუბამ და კირილეს ჩვენებას ხელი დაადო.

– გამოვაქვეყნოთ ბრალდება? – სათითაოდ ჰკითხა მოსამართლემ გაბრიელს, მსაჯულებს, დარბაზს და ერთსულოვანი პასუხი მიიღო, ვიცნობთ, ვიცნობთო.

– ბრალდებული თუ ცნობს თავს დამნაშავედ?

– ნაწილობრივ, – მიუგო გაბრიელმა და ჭერს შეხედა. ამის შემდეგ მოსამართლე დაკითხვაზე გადავიდა.

– გარაყანიძე!

მორიგე მილიციელმა კარი გააღო და გრძელ დერეფანს მოწმის გვარი გასძახა, მერე ისევ შემოჰყო თავი და მოსამართლეს დაუყვირა:

– არ არისო, უფროსო!

მოსამართლე ლუბას მიუბრუნდა.

– გამოძახება ჩაბარდა, მაგრამ არ მოვალო, იქვე განუცხადებია.

– რას ჰქვია, არ მოვალო?

– გარაყანიძე საბჭოს დამლაგებელია, ყრუა, ყურში არ ესმის საწყალს და რცხვენია მოსვლა. ჩვენებაშიც ისეთი არაფერი უწერია. თავმჯდომარე გრაფინით ხელში კიბეზე ჩარბოდა, მეტი არაფერი ვიციო. დაანებე მაგას თავი და სხვას გამოუძახე, – უთხრა ლუბამ.

მოწმეთა ჩვენებამ სანუგეშო ვერაფერი მისცა სასამართლოს. მათი უმრავლესობა გაბრიელის ყვირილზე მოგროვილი სოფლელები იყვნენ. სხვა რამ არავინ იცოდა.

გიორგის სასამართლო პროცესის ორიგინალური მეთოდი ჰქონდა, ჯერ მოწმეებს დაკითხავდა, მერე ბრალდებულს. ბრალდებულის ჩვენება თავიდან საინტერესო არ არის, იგი საქმიდან ისედაც ცნობილია, მოწმეთა ჩვენებებით გავამაგრებ ბრალდებას, კუთხეში მივიმწყვდევ ბრალდებულს და მართლმსაჯულებიდან თავის დასაღწევად გასაქანს არ მივცემო.

ფერმის გამგემ თქვა:

– შემთხვევამდე სამი დღით ადრე, ცხენი დაიკარგა, ბატონო. ის ცხენი, ახლა ჩვენში დარჩეს და სადოღე არ არის და გამოფენაზე გასაყვანი. ერთი უბრალო ცხენია და თავის საქმეს ქე აკეთებს. დავურეკე მეორე დღეს ფერმიდან თავმჯდომარეს, – რა ვქნათ-მეთქი, ალბათ ჭალაში გაგებნეოდათ და მოძებნეთო. ჩვენ ისედაც ვეძებდით, მარა ის ცხენი სხვა ცხენი იყო.

– რა ერქვა? – იკითხა ვიღაცამ.

– თუ მაცლით ლაპარაკს, მაცალეთ. თვარა დევიხურავ ქუდს და წავალ, – იწყინა სალდაძემ, – არ ერქვა არაფერი, უსახელო ცხენი იყო, გასაგებია? მე ვთქვი იმ ღამეს, იგი გარეთ რომ იყოს უსათუოდ მობრუნდებოდა, რაღაცაშია საქმე-თქვა. ვეძებთ, მაგრამ ამაოდ. ის იყო მგლისთვის უნდა შეგვეწერა (აქ თვითონაც გაეცინა), რომ ეს ამბავი გავიგეთ, დანარჩენი თქვენ თვითონ იცით.

ბრალდებულმა გაბრიელ მიქელაძემ თქვა:

– საბჭოს ერცახე ეზოში სიმინდი დავთესეთ. ნასვენ მიწაზე გადაირია სიმინდი. შემთხვევამდე ერთი კვირით ადრე ვხედავ, ცხენია ეზოში და დატაროებულ სიმინდს რასაც არ ჭამს, ფეხით თელავს. გადავდენე, რასაკვირველია, ცხენი ეზოდან. მეორე დღეს გამოვიხედე აივანზე, ისევ ის ცხენია სიმინდში. ჩავედი, გამოვეკიდე. მესამე დღეს დილაუთენია მივედი საბჭოში. მოგზავნილივით ისევ იქ არ დამხვდა? ამას თუ არ მოვუარე, ცხენის დევნას მოვნდომივარ-მეთქი და პეშვზე მარილი დავიყარე. შევაბი ბაწარი და საბჭოს სარდაფში დავაბი, მოაკითხავს პატრონი და წაიყვანს-თქვა.

– მერე? – ჰკითხა პროკურორმა.

– მერე იმ დღეს აღწერაზე ვიყავით და ქე მიმრჩა გულში. საღამოს სტუმრები მყავდნენ და ქე გეახელით პატარა, მეორე დღეს თავგასივებული მევედი საბჭოში და მელიტონ კუხიანიძის დაკარგვის ამბავი დამხვდა.

– ვისი? – ჰკითხა მოსამართლემ.

– მელიტონი იყო, ცხონებული, კუხიანიძე.

– რამ დაკარგა მერე?

– ასე ვიტყვით, ასე ჰქვია. დაკარგვით ახლა კი არ დაკარგულა. თავის ლოგინში მოკვდა წყნარად, მშვიდად, ოთხმოცი წლის კაცი იყო.

– განაგრძეთ! – დამშვიდდა მოსამართლე.

– ჰოდა, იმ დღეს მელიტონის საბუთებს მოვუნდით. თექვსმეტი ფურცელი ანდერძი დოუწერია საწყალს და იმის გარჩევამ გადაგვიყოლა, ერთი სიტყვით, გადამვარდა გულიდან ცხენი და მესამე იყო თუ მეოთხე დღეს გამახსენდა, აქეთ

ვეცი, იქით ვეცი და ის მოხდა, რაც მოხდა.

პროკურორი წამოდგა, მკერდზე ხელი ჩამოისვა, წელს აშორებული ხალათი გულმოდგინედ დაქაჩა, მკაცრი გამომეტყველება მიიღო და თქვა:

– აქ ზოგიერთს ეცინება, ცხენის გულისთვისაა ამდენი ხალხი შეკრებილიო? სასამართლო ცხენის გულისთვის კი არ შეკრებილა, რომ იცოდეთ თქვენ, სასამართლო კაცის გულისთვის შეიკრიბა. ასე იოლად არაა საქმე. იმ ცხენის უკან კაცი დგას. ცხენის ინტერესებს დაცვა არ სჭირდება. ცხენი პირუტყვია და როგორც გვინდა ისე ვექცევით (დარბაზში სრულიად უადგილოდ ისევ გაეცინა ვიღაცას). ჩვენ წინაშე დგას სოფლად ხელისუფლების წარმომადგენელი. სასწაული არ მომხდარა. გაუგონარი დანაშაულის მოწმენი როდი ვართ. „რა მოხდა, ერთი ცხენი ვითომც არ გვყოლიაო“, იტყვის კაცი, მაგრამ ამ „ვითომც არ გვყოლიამ“ ბევრ უბედურებას დაუდო სათავე. მე მირჩევნია ბრალდებულს სულ მოეპარა ის ცხენი და გაეყიდა, ან შემოკვდომოდა ქვით ხელში, მაგრამ დავიწყება? ცხენი როგორ დაგავიწყდა, შე კაცო, რანაირად გეძინა ღამე, როცა შიმშილით და უწყლობით გაგიჟებული პირუტყვი სარდაფის კედლებს აწყდებოდა. ასეთი კაცი ხარ, ასეთი გული გაქვს შენ? ვთქვათ, ადამიანი ყოფილიყო იმ ცხენის ადგილას, ასე უნდა დაგავიწყდეთ, გაბრიელ? მე რომ უფლება მქონოდა, ამ დანაშაულს სისხლის სამართლის მუხლს მივუყენებდი. ცხენი აქ არაფერ შუაშია. აქ კაცია მთავარი, კაცი, რომელსაც სარდაფში გამოკეტილი ცოცხალი არსება დაავიწყდა.

რაც შეეხება გამოძიების მიერ წაყენებულ მუხლს საკოლმეურნეო საკუთრებისადმი დაუდევარი დამოკიდებულების მეორე პარაგრაფს, იგი ყოველგვარი შეღავათის გარეშე უნდა გავრცელდეს ბრალდებულ მიქელაძის მიმართ.

პროკურორი, ეტყობა, თვითონვე კმაყოფილი დარჩა თავისი გამოსვლით, სამხრეებიანი სერთუკი ერთხელ კიდევ დაქაჩა და დაჯდომისას ირგვლივ ისე მიმოიხედა, რომ დაკვირვებული თვალი მის მიმოხედვაში ამოიკითხავდა, ასეთი მკაცრი ქალი ვარ, ასე ვიცი მეო.

– ვინ იცავს ბრალდებულს? – იკითხა მოსამართლემ და თან ლუბას ჩაუჩურჩულა, ასწრებ ჩაწერას თუ ცოტა ნელა წავიყვანო პროცესიო, და ლუბასაგან დადებითი პასუხი რომ მიიღო, კითხვა გაიმეორა.

– მე ვიცავ, ბატონო, – წამოხტა აბატის გამომეტყველების თეთრთმიანი მოხუცი და მოსამართლეს ქაღალდი გაუწოდა.

– გამოსაქვეყნებელი ხომ არაფერი გაქვთ, ბატონო მიხეილ? – ჰკითხა მოსამართლემ.

– არა, ბატონო, საქმეში ყველაფერია და სასამართლო გამოძიებითაც კმაყოფილი ვარ.

– ბრძანეთ.

ბრალდებულის დამცველმა დაიწყო:

– პატივცემულო მოსამართლენო, ეს დღევანდელი შეკრებილობა მე ისეთი მაღალი დონის შეკრებილობად მიმაჩნია, რომ ზედმეტად ვთვლი მტკიცებას ადამიანისა და პირუტყვის განსხვავების თაობაზე. ადამიანი ადამიანია და პირუტყვი პირუტყვია. მართალია, აქ გამოსულმა ამხანაგებმა დაზარალებული ცხენი კარგად დაახასიათეს, მაგრამ იგი მაინც ცხენია, ამხანაგებო. რა თქმა უნდა, მოხდა უსიამოვნო ფაქტი, ამას არავინ უარჰყოფს. მაგრამ ვისი მეშვეობით მოხდა? ამასაც ხომა აქვს მნიშვნელობა. ადამიანებზე ზრუნვაში დაღლილ, დღენიადაგ სოფლის ცხოვრების გაუკეთესებაზე ფიქრში გართულ სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეს, ერთადერთხელ თავის ცხოვრებაში რომ ცხენი დავიწყებოდა, ასე დიდი დანაშაულია? და განა რა განზრახვით დაამწყვდია მან სარდაფში ცხენი? რომ სიმინდის ყანა, საკოლმეურნეო დოვლათი გადაერჩინა. მანამდე ან შემდეგ ჰქონდა მას რაიმე გასაყოფი ცხენის პატივცემულ პატრონებთან? არა, არ ჰქონია. ესე იგი, წინასწარგანზრახვის პუნქტი მოხსნილია. დარჩა ერთადერთი – „დაავიწყდა“. საქმეში გახლავთ სამედიცინო დასკვნა იმის შესახებ, რომ გაბრიელ მიქელაძეს მცირე სკლეროზული მოვლენები აქვს ასაკის გამო და რომ ეს მოვლენები მისი სამსახურებრივი მდგომარეობისთვის საშიში არ არის. და ბოლოს, გთხოვთ შეიტანოთ ოქმში: აქ არავინ გაუსვა ხაზი, პატივცემულო მოსამართლენო, რომ ცხენი გადარჩა. იგი ამჯერად

ცოცხალია, არხეინად სძოვს საკოლმეურნეო საძოვრის ბალახს და აინუნშიაც არ მოსდის, რომ მის გამო მართლმსაჯულების წინაშე თრთის და კანკალებს სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე, ყველასაგან პატივცემული და პატივსაცემი გაბრიელ მიქელაძე. დანაშაულის შეგნებაზე და სინანულის თითზე კბენაზე მე არას მოგახსენებთ, განა მთელმა სოფელმა არ დაინახა, და აქ მოწმეებმაც არ დაადასტურეს, რომ ხალათშემოხეული გაბრიელი საბჭოს აივანზე გაჰყვიროდა, – „არიქა, გვიშველეთო?“ მე ვფიქრობ, ვაკმაროთ პატივცემულ გაბრიელს სასამართლოს მოლოდინში თეთრად გათენებული ღამეები და დღევანდელი დღის მთელი სიმძიმე, რაც არასოდეს წაიშლება თავმჯდომარის ცოტა გატეხილი, მაგრამ ძირითადად მაინც ძლიერი მეხსიერებიდან.

ვექილმა თეთრი, ქათქათა ცხვირსახოცით ოფლი მოიწმინდა, მერე ის ცხვირსახოცი გულმოდგინედ დაკეცა და კისერში ჩაიფინა.

ბრალდებულმა საბოლოო სიტყვაზე უარი თქვა.

* * *

გიორგი მარსაგიშვილი მძიმე დღეში ჩავარდა. აქამდე, პროცესის დაწყებამდე, ყოველთვის იცოდა, ვისთვის რა განაჩენი გამოეტანა. ახლა კი ცოტა არ იყოს, დაიბნა და კიდევ ერთხელ გულმოდგინედ ჩაიკითხა სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლი. წამოდგომისას გვერდით მსხდომ მსაჯულებს გადახედა. მსაჯულებს ისეთი გაყინული სახეები ჰქონდათ, რომ ეტყობოდა ამდილანდელი წყენა მათს გულში ჯერ კიდევ არ განელებულიყო. „მეტი არ იქნა ჩემი მტერი ამგენმა ახლა ჭკვიანური არ გირჩიონო“, – გაიფიქრა მოსამართლემ, „საქმეს“ ხელი დაავლო და გამოაცხადა:

– სასამართლო მიდის განაჩენის გამოსატანად!

პატრონი

ერთი რამდენ ხანს იქნება ასე მუნჯივით, მაინტერესებს. მისამართი მაინც მკითხოს, ამ ოჯახაშენებულმა. ამნაირი შოფერი არ მინახავს. შენ გგონია, ვერ მატყობს უცხო რომ ვარ? სადგურზეც რომ არ ჩავესვი, ისედაც მიხვდებოდა. კუტაია ძალიან პატარა ქალაქი არ გახლავთ, მაგრამ ტაქსის შოფერი ერთს შემოგხედავს და უკვე იცის, ვინ ხარ და რისი მიმცემი ხარ. ჩამოსულს ყველაფერზე შეეტყობა. დაკვირვებული თვალი უნდა, თორემ სადგურის კიბეზე რომ ფეხს ჩამოდგამს და გაიხედ-გამოიხედავს მგზავრი, იმ წუთში მიხვდები, აქაური რომ არ არის. აქაურებს, ბუკლეს ჭრელ, ფართო კოზიროკიან ქუდებს რომ თავი დავანებოთ, გამოხედვაც, გამომეტყველებაც სხვანაირი აქვთ.

– კი მარა, რომ დაადევი თავი და მირეკავ, იცი, სად უნდა წამიყვანო?

გამომხედა ოდნავ გაკვირვებული, მოქუფრული სახით. დამაკვირდა და უზრუნველად მოზრდილ ულვაშებში ღიმილი შეეპარა.

– რას მეჩხუბები, ბატონო?

– შე კაი კაცო, მკითხე, სად მიხვალ-თქო. ამ კითხვას მაინც რა უდგას წინ.

– რა გვეჩქარება, ბატონო. ჯერ ცენტრში გაგიყვანთ და მერე საითაც გაგეხარდებათ, იქით ვიზამ პირს.

– ასე შვრებით, საერთოდ? პირველად ყველა ცენტრში მიგყავთ? რა ცენტრი გაქვთ ამისთანა?

– თუ რამე მესმის, ბალახვნის და ვაკისუბნის მაცხოვრებელს თქვენ არ გავხართ. სტუმარი ბრძანდებით. რა გლახა საქმეზეც უნდა იყოთ, ჯერ ცენტრში გექნებათ საქმე. აბა ბაბუაჩემს – პორფილე კაკაურიძეს არ მიაკითხავთ, ელექტროწისქვილში.

გამეცინა.

მანქანა კაი ხნის ჩანს, მაგრამ კარგადაა შენახული. განსხვავებით ყველა სხვა ტაქსისაგან, ამორტიზატორები ორმოში ჩავარდნისას არ ბრახუნობენ. სამოცით მიდის, პედაგოგიურ ინსტიტუტთან ჩამწკრივებულ ტროლეიბუსებს მოკლე სიგნალით ეხმიანება. ხუთკუთხედი სახე აქვს და მსხვილი მაჯები. თმა, ეტყობა, პირველი ნომერი თავსაპარსით აქვს გადაღებული, მარტო შუბლთან დაუტოვებია მხოლოდ იმდენი, რომ დაინტერესებულმა კაცმა თმის ფერი გაარჩიოს. ხშირი, ბობრი წვერი ფართო ყბებზე ეკლებად დაჰყრია. ეტყობა იმ კატეგორიას ეკუთვნის, წვერს კვირაში ერთხელ რომ იპარსავენ.

მოედანს სავალდებულო წრე დაარტყა და ხიდისკენ რომ გაუხვია, შემომხედა. მეც მომზადებულივით მივაგებე, წყალტუბოში მივდივარ-მეთქი. თავი დამიქნია და გზას დაუბრუნდა. კიდევ კარგი, ახლოა წყალტუბო, თორემ რა გაძლებს ამ პირქუშ კაცთან. მატარებელმაც გვარიანად მანჯღრია წუხელის და ცოტაღა მაკლია, რომ ჩამეძინოს. დავიჯერო, ახლა ამას არაფერი აინტერესებს ქვეყანაზე? ეს რომ ნორმალური ტაქსის შოფერი იყოს, მკითხავდა მთისას, ბარისას, საიდან მოვდივარ, საით მივდივარ... ტყემლის ფასიდან დაწყებული ყველაფერს გამომტყუებდა თბილისისას. რამ შეუკრა პირი, გეგონება დესანტი ვეჯდე მანქანაში და სახიფათო ოპერაციაზე მივდიოდეთ ორივენი. ერთს კიდევ ვცდი.

– თქვი რამე, შე კაცო.

თითქოს ფიქრებიდან გამოერკვაო. ჩემკენ მოუხედავად ისევ იმ ღიმილმა აუთამაშა ულვაშები.

– რა უნდა ვთქვა, ბატონო, უკვე ყველაფერი ნათქვამია.

– ასე ჩუმი ხარ საერთოდ?

– ახლა კრუხის თავი მისდღემჩი არ მადგას, მაგრამ ამ წუთას დაღლილი ვარ ცოტა და ისედაც ვერა ვარ ხასიათზე.

– ასეთი რა მოგივიდა?

– მე არაფერი. ცვლა გადავაბი და რაღა დაგიმალოთ, ქე მეძინება ცოტა.

– რაზე იკლავ თავს!

– მევიდა ამ დილას ჩემი ცვლა. ვერ იყო ხასიათზე, არ

მაქვს დღეს მუშაობის თავი და წავალო – მითხრა. რა იყო, ბიჭო, მე ვუთხარი, ცოლს ვშორდებიო. ისე, არაა გლახა ბიჭი, მარა ოჯახი ვერ დააწყო და ვერ დააწყო. თვითონ კი არ ამბობს, მარა სხვები იძახიან. ისე არაა გლახა ბიჭი. რასაც იშოვის, მუთაქაში არ შეტენის ზოგიერთივით. დაჯდება და დახარჯავს. შენ თუ ერთ ბოთლს დადგამ, ის ორს ჩამოვა.

– სვამს?

– ისე, ზომიერად. ლოთი და აცვენილი არაა. ლოთი რომ იყოს, ტაქსზე რას იმუშავებს. თავისუფალ დროს რომ შე-ვიკრიბებით, სვამს ჩვენთან. ისე ღვინის მოყვარული არაა მაინცდამაინც. კვირაში ერთხელ ქე მოგიწევს დალევა. შენ რომ არ გინდოდეს, სხვა დაგალევინებს. მეტი რა უნდა გაა-კეთო აქანა. შენახული ფული ვნახე დამწვარი. შენახული და დამარხული ოქრო იქცა შავ და ბნელად.

– რაზე ვშორდებიო, რა მინდაო?

– რა ვიცი; ხომ არ ვკითხავ. მაგას ვერავინ ვერ გეტყვის. შორდება! მორჩა და გათავდა. ვერ მორიგდნენ. ვერ ააწყვეს. ხდება. ეგებ არც ერთის ბრალი არ არის, ეგებ ორივე კარგია ცალ-ცალკე. ვინ იცის.

– შვილი ჰყავს?

– კი ერთი, მაგაზეც არაა დამოკიდებული. რაღაცა ამ-ბავია. ერთხელ გაირბენს შავი კატა და მორჩა. იმას ველარ უშველი. ძალით შეკოწიწებული და გლახა ბაწრით შეკრული არაფერი ვარგა. თუ გასაწყვეტია, დროზე უნდა გაწყდეს.

– ქალზეა ყველაფერი დამოკიდებული, ქალი თუ შეგხვდა უბედური, წასულია შენი საქმე.

– არც მაგი მჯერა, რომ იცოდე. კი, მართალია, უბედურს და გაუგებარს ვერაფერს უზამ, მარა მთლად ქალზეც არაა დამოკიდებული. ეს ვუთხარი ამ დილას და ეწყინა ცოტა. რას გლახაობ, მე ვუთხარი. რავარიც ხარ შენ, იმნაირია შენი ცოლიც, მე ვუთხარი. რას გიშვრება – ბოვშს არ უვლის, ღამე მარილს გაყრის ყურში, თუ ჭადს არ გიცხობს, მე ვუთხარი. მაგაშიც არაა საქმეო. შენ ვერ გეიგებო, მითხრა. რას ვერ გევიგებ, მე ვუთხარი, რავა, მე დავსებული კი არ ვარ. მეც ცოლ-შვილი მყავს, მე ვუთხარი. თუ აკეთებს თავის საქმეს,

რა გინდა, რას ერჩი მეტს. დამიწყებენ აქანა ოხვრას და ხვნეშას, რას მიხვდები შენო. კი, ბატონო, თუ სიგლახეს შეატყობ, ვინ მამაძაღლი, ვინ დაგძრახავს. კარი პანღური და გააგდე. თვარა და რას ერჩი, რა იყო, რა მოხდა!

– როგორ თუ რა მოხდა, შე კაცო, თუ არ უყვარს?

– არაფერი, ბატონო. ბუზის სპილოდ გადაქცევა გვიყვარს ხანდახან. ამხელა ამბავს, ამხელა კუდს გამოვაბამთ. როცა მოჰყავდა, ხომ კაი იყო, ხომ უყვარდა. ნუ იბღვირები, ახალი პური იყიდება ეგერ, ამეიდევი იღლიაში და წაი, ბიძია სახლში, მე ვუთხარი. შენ გლახა იყო, ცოლს ნუ აბრალებ, მე ვუთხარი. ეწყინა, რა გესმის შენო. ეწყინა, ხომ იცი შენ.

– ახლა არ თქვი, გლახა ბაწრით შეკრული არაფერი არ ვარგაო?

– ჰო, გლახა ბაწრით.

– მერე, რომელია ეს გლახა ბაწარი, ვინ გაიგებს მაგას. ხან ცოლია და ხან ქმარი.

– ხომ გითხარი. არ ვკითხე მიზეზი-თქვა. არც მაინტერესებდა. ჯერ ერთი – მართალს არ გეტყვის არავინ და მეორეც რა სხვისი საქმეა. ამაზე არ მაქვს ლაპარაკი. მე ლაპარაკი იმაზე მაქვს, ჩემო ბატონო, რომ შენ უნდა ვარგოდე თავად. პატრონი უნდა იყო. პატრონად ყველა კი არ ვარგა.

– რას ჰქვია პატრონი?

– გეტყვი ახლავე. რაღა შორს წევიდეთ. გუშინდელ ამბავს გეტყვი: წუხელ საღამოს, იქნებოდა ასე ექვსი საათი, ქე რომ ხონის გადასახვევთან ვიყავით, ზევით, მოედანთან, ბოძს მიყრდნობია კაცი და იკეცება სასხლავივით. ირწევა იქით-აქეთ, რავარც იცის მთვრალმა. ცალი ხელით თავს იმაგრებს და ცალი ხელი ქუჩისკენ აქვს გამოშვერილი, წაქცევაზეა. ვინ უჩერებს, გაგიგონია? ჩვენ მთვრალის წაყვანა აკრძალული გვაქვს საერთოდ. მარა მეცოდება ყოველთვის. მთვრალი კაცი კაი კაციო, მამაჩემი მეტყოდა, საწყალი. მე ყოველთვის ვუჩერებ, ვიცნობ თუ არ ვიცნობ. მთვრალს და დაბნეულს უჭირს სახლში მისვლა, თვარა ფხიზელი ფეხითაც კარგად მივა. გავაჩერე, მივედი, მოვკიდე ხელი და მომყავს მანქანისკენ. არ ჩასვამ და ჩაუვარდება ვიღაცა შავს ხელში. ცოტა

ქურდი და ჯიბგირია მაქანა, ხონის გადასახვევთან? არა და საქმის კაცს ჰგავს. გალსტუკით, პლაშჩით. წამომყვა, ღვთის წინაშე, არ გაჭირვეულებულა. ერთი თქმა ქე მითხრა, ხომ იცი შენ (გაეცინა), თითი დამიქნია და შემომბღვირა, სიგლახ-ეს დაანებე თავი, ხომ მიცნობ მეო. რავა არ გიცნობ, ბატონო-მეთქი. აბა წესიერად იყავი და მიმიყვანე ახლა სახლშიო. რა ვქნა ახლა? ხომ არ ეტყვი, არ გიცნობ-თქვა. პატარა, ჩია კაცია, მარა ეტყობა, კარგად დაულევია. მიღებული ჰყავს უფალს. ვეხვეწე მისამართი და რავარც იქნა დავაცდენიე, გოჭოურაზე ცხოვრობს, ზევით. დავქოქე მანქანა. რავარც წევედი პატარა და გადააგდო თავი მაშინვე. ისე ძაან მთვრალი არ იყო, მარა მანქანაში თბილმა ჰაერმა დაუბერა თუ არა, გამოითიშა იმ წუთას. ეს „ფეჩი“, ეს უპატრონო, მთვრალს კი არა მე მთენთავს ხანდახან. ხშირად გამორთულით ვმუშაობ. სიცივე სჯობია, ხომ იცი, ფხიზლად ხარ კაცი. ერთი სიტყვით, ჩაეძინა. იძინოს, მე ვთქვი, მისამართი ხომ ვიცი და ახლა რაღათ მინდა მაგის სიფხიზლე. მივიყვანე ჭიშკართან. ვიძახი, მასპინძელო-თქვა, არავინ იღებს ხმას. ორმოცდაათს მიტანებული კაცია, მარტო რავა იქნება, მე ვთქვი. ისე ეზო მოვლილი, კოხტად, წესიერად, კოინდარი, ყვავილები... ყველაფერი ადამიანურად. ავიტატე ხელში ბავშვივით (არ იყო მძიმე) და აუყევი კიბეს. მივაწექი შუშაბანდის კარს, გაიღო. ეტყობა სახლშია ვინცხა-თქვა, ამის გაფიქრება და გამოფრიალდა ასე ოცდაათი-ორმოცი წლის ქალი. უიმეო, იკივლა. ნუ გეშინია, შე ქალო, მე ვუთხარი, რა გაყვირებს, მე ვუთხარი. ტაქსის შოფერი ვარ და მევიყვანე, მე ვუთხარი. რა შეიცხადე, დალია კაცმა, მთვრალი კაცი არ გინახავს? მთვრალიაო, რომ გაიგო, დამშვიდდა. ცივი ტილო გამოიტანა, სახე და მკერდი დაუზილა. ქამარი შეუხსნა და ფეხზე გახადა. გამოიღვიძა ამ ჩემმა მგზავრმა. ქუჩაში ასე საცოდავად რომ იდგა, რომ იბუზებოდა გლახა ინდაურივით, და არ გეიყინჩა? იბღინძება, ყვირის – დავლეწავ ყველაფერსო. გული მიეცა, ხომ იცი. სახლშია, ქამარი შეხსნილი აქვს. ტუფლები, ჩემო ბატონო, აღარ აწუხებს, მთვრალი კაცი, ხომ იცი, ერთს გაიწ-გამოიწევს და წოუძინებს მერე. ქალი? აშენდა მისი გამომცემელი, ტკბი-

ლად, წყნარად, ის რომ აყვირდება, დავლეწავ ყველაფერსო, ეს შაქრად უდნება. დალეწე, შალიკო, შენი არაა ყველაფერიო? რავარც გაგეხარდება, ჩემო ბიჭო, სად დალიე, რატომ დალიე ამდენიო. ეფერება, უყვავებს. გამიგონია? ასეთი გლახა მთვრალი არ მინახავს. იქ გრაფინი ესროლა კედლის საათს, აქეთ პერანგი შემოიხია. მაგინებს მეც (რავა გავცემ ხმას), ცოლსაც. რა სიტყვები არ აკადრა, რა გათახსირებული არ უძახა საწყალ ქალს. ძლივს დავამშვიდეთ, დავაწყნარეთ და მივაძინეთ. მერე მე მომიბრუნდა დიასახლისი. ადამიანიშვილი რომ იქნება, ხომ იცი შენ. ჩემი სიკვდილი, თქვენ რავა შეგაწუხეთ ბატონოვო. აშენდა თქვენი ოჯახიო, ამხელა პატივი რომ მეცით და სახლში მომიყვანეთო ქმარიო. ახლა სიკეთე უნდა მაგისთვის, ვინც ამდენი დაალევინაო? ვერ სვამს მაგი, ვერ იტანს ღვინოს, სუსტი კაცია საერთოდ. ერთს ვიტყვი მეო, დაუმატა, კი მარა, ვინცხამ დაალევინა, ვერ ჩასვა მანქანაში და ვერ მოიყვანაო. ეს კისერმოტეხილი კაცი რავა გაუშვა ქუჩაშიო. ესაა ამნაირი, თვარა სვამენ კაცები და ქე იტანენო. ჩაიცინა თავისთვის. ეს ეშმაკური ჩაცინება მთლად არ მომეწონა, მარა ვინ მკითხავს მე. ვინც იტანს, იმან უნდა დალიოს, აპა რაო. ჩემი პირველი ქმარი ერთ ჩაფს სვამდა და ფეხი არ აერეოდაო. ეს მეორე ქმარია თქვენთვის? ვკითხე ახლა ისე, მეც, ზრდილობიზა. მეორე ქმარი ყოფილა. სახლში დაწკრიალებულია ყველაფერი. წყალი თუ მოდის თქვენთან, ქალბატონო-მეთქი. ბორჯომი გამიხსნა. თუ გვიკადრებთ, ისადილეთ ჩვენთან, ბატონოვო. რავა შევაწუხებდი. ხუთმანეთიანი მომცა და კიბეზე ჩამომაცილა. სიკეთის გზაზე გევლოთ ყოველთვისო. მადლობა გადავუხადე და წამოვედი. ა, ქალი, ბატონო.

– ხო, კი... ოჯახის ქალი ყოფილა. რა გიკვირს ახლა, მაგალითად. ჩვენებური ქალი აბა სხვანაირად როგორ უნდა მოქცეულიყო? – წავიფილოსოფოსე მე.

– ა, მეორე ამბავს გეტყვით. ესეც გუშინ შემემთხვა, მარა დილას. პარკიდან გამოვედი თუ არა, იქვე ამიწია ხელი. შევხედე, მთვრალია. ქანაობით არ ქანაობს, მარა მთვრალს ხომ შეატყობ ხელის აწევაზეც. ჩაჯდა. ათის ნახევარია.

ჩავრთე „ფეჩი“ თუ არა, ჩამოკიდა ამანაც თავი. სად მოასწრო ამ დილას-მეთქი. გავაჩერე მანქანა. ვანჯღრიე კაი ხანს და როგორც იქნა ავაღლიტე მისამართი. წულუკიძის ქუჩაზე ვცხოვრობო, მითხრა საკონსერვოსთან, 129 ნომერში. კაი, ჩემო ბატონო. ციხესთან რომ გადმოვუხვიე, გამოერკვა. თავი ასწია. ტკბილად, დალაგებულად მთხოვა: თუ კაცი ხარ, გააჩერე ჯიხურთანო. გავაჩერე მანქანა გადმოსასვლელთან, ლუდის ფარდული რომ დგას. დამეღრიჯა, ფული აღარ გამომყოლია სახლიდან, ერთი ნახევარბოთლიანი მიყიდე და სახლში რომ მივალთ, ამის ფულს და გზის ფულს გამოგირბენინებ ერთადო. ეტყვი უარს? ლოთს და მაწანწალას არ ჰგავს, ხომ შეიძლება მართლა არ დარჩეს კაცს ფული ჯიბეზე. ვუყიდი არაყს და მომცემს სახლში, მე ვთქვი. რა მოხდა? ერთი სიტყვით, დავიკავე ნახევარბოთლიანი ხელში. გულის ჯიბეში უკრა თავი ბოთლს და ისევ ძილმა წაიღო. მივიყვანე. ვაღვიძებ, მარა აღარაა ამ ქვეყნის. არყით იყო მთვრალი. არყით მთვრალმა თუ არ გამოიძინა, შენ რამდენიც არ უნდა უწრუპუნო, ვერ გააღვიძებ. ეზოში ბავშვები თამაშობდნენ და დავუქნიე ხელი. მოირბინეს: მანტიორია, სერგო ჰქვია, მეოთხე სართულზე ცხოვრობსო. მოვიკიდე მხარზე, რა მეტი გზაა. მეოთხე სართულზე ატანა არ გინდა? მე შენ გეტყვი, თვითონ გეხმარება რამეს. გავიღვარე ოფლად. მივაყუდე კარებზე და დავრეკე ზარი. გამოიხედა ქალმა. წინსაფარი და სახლოები სველი ჰქონდა. სარეცხი სოდის სუნი ასდიოდა, დაუვარცხნელი თმა სახელდახელოდ შეეკრა უკან. ჯერ მე დამიბღვირა, მერე ქმარს შეხედა. არაფერი გაჰკვირვებია, წარბიც არ შეხრია. კარი ბოლომდე გამოაღო და პატარა ოთახში, ლოგინზე მიმითითა; მიიყვანე, დააგდე იქო. არ მესიამოვნა, ხომ იცი. მე, კაცი წელში გავწყდი ამის თრევით და ეს რა ბრძანებითი ტონით მელაპარაკება, მე ვთქვი. მოვუბრუნდი ამ ჩემს მგზავრს, შევუდექი მხრებში და მივიყვანე ლოგინამდე. გადაბრუნდა და ხვრინვა ამოუშვა. ისე პლაშჩიანად, ტუფლებიანად. ბოთლი ჯიბეში აქვს უბესთან მიხუტებული. შემოვიდა ცოლი. ქალი კი არა ნადირი, მე შენ გელაპარაკები. წამოუსვა გრაფინს ხელი და არ დააცალა თავზე მთვრალ კაცს?

აახამხამა საწყალმა თვალები და კინაღამ დაიხრჩო. წამოსწია თავი და მოგვაშტერდა ორივეს. მიხვდა სადაც იყო და რაც სჭირდა. საწყალმა ღიმილმა გადაუარა სახეზე. ცოლმა ახლა, არც ჩემი შერცხვა და არაფერი, ფეხი წაჰკრა და დაუბრიალა თვალები; გეიხადე და დაეგდეო. გავბრაზდი. კი მარა, თქვენი ქმარია თუ ვინაა, ქალბატონო, ეს კაცი, მე ვუთხარი. ქმარია, ძმარი ეცა მაგასო. მერე, შე კაი ქალო, მე ვუთხარი, რამ შეგაძულა ასე, მე ვუთხარი. თუ არ გინდა, გამოჭერი ყელი და გადააგდე ფანჯრიდან, მე ვუთხარი. არ გეწყინოს დაია და ჩემმა ცოლმა რომ ასე მიქნას, ერთ დღეს, მის გამჩერებელს რა ვუთხრა, მე ვუთხარი. შენ შენს საქმეს მიხედეო, არ მომიბრუნდა? კაი, ვინ მკითხავს-მეთქი და ჩავიგდე მუცელში ენა. ნახევარ საათს ვიყავი ასე. ჩემი კლიენტი გაღვიძებას არ აპირებდა და გავუტყდი ცოლს, ტაქსის შოფერი ვარ და გამისტუმრე-მეთქი. – რაიო?! – გაიკეთა დოინჯი და დამიქაჩა თვალები. რაი და, რაც მეკუთვნის მომეცი და გამიშვი-მეთქი.

– ვინ შეგეხვეწა რომ მომიყვანეო, არ მჭირდებოდა არაფრადო. საიდანაც მოიყვანე, ისევ იქ წაიყვანე და დააგდეო. გესმის შენ?! ვინ დაგავალაო, თქვენ ხომ აკრძალული გაქვთ, მთვრალი კაცის ტარებაო. ბევრს ნუ ლაპარაკობ, თვარა შენს უფროსს მივწერ პარკშიო.

– ქალო, ჯამაგირი ხომ მოაქვს შენთან, მე ვუთხარი, ამ კაცს. მე კაი, მარა ქმარს ასე აფასებ, ასე გიღირს ქმარი-მეთქი?

არ გამცა ხმა. მომიჯახუნა კარები და სამზარეულოში გავიდა.

მივადექი ისევ მძინარეს. კაი ჭირისუფალივით ვუცვალე ცივი ტილო შუბლზე და როცა საბოლოოდ გამოფხიზლდა (ამასობაში ორი საათი დავკარგე), სად მომიყვანე, მე ვუთხარი, შე კაი კაცო. მე ექიმი ხომ არ გგონივარ, მე ვუთხარი. მომეცი ჩემი ფული და გამიშვი ჩემს გზაზე-თქო. სუო, ტუჩზე ხელი მიიფარა, წამოხტა და გარეთ გამომიძღვა. ცოლმა არ გაიგონოს, წამიყვანე აგერ ჩემს ბიძაშვილთან და გამოგიტანო ფულსო. წამოვედით, მიადგა ვიღაცას ბალახვანში, სახლში არ დახვდა, მერე წიქორიძის ქუჩაზე ამიყვანა, ვიღაცა შავგვრემანმა კაცმა გაუღო ჭიშკარი და ამანაც გაწბილებული და-

ტოვა. მობრუნდა დარცხვენილი. არ მაქვს დღეს ფული და, თუ კაცი ხარ, ხვალ გაგისტუმრებო.

რა მექნა? მომყავს უკან და ვეკითხები, მუშაობ სადმე-მეთქი? კიო, მონტიორი ვარო. მერე ჯამაგირს, რას უშობი, მე ვუთხარი, სახლში მიმაქვსო. მერე, შე კაცო, მე ვუთხარი, ლოთი ხარ, მე ვუთხარი? არაო, კაცო. დღევანდლამდე ორი თვეა წვეთი არ ჩამსვლია პირშიო. რა ვიცი ახლა, ტყული თქვა, მართალი თქვა. აბა, არ გეწყინოს, ძმაო, მე ვუთხარი და კაი ნადირი გყოლია სახლში, მე ვუთხარი. ეწყინა, ხომ იცი შენ. კილოზე შევატყვე, ისე არაა გლახა ქალი, მარა გამწარდება ხანდახან მაგიცო. არც მთლად მაგის ბრალია, კაცმა რომ თქვასო. ერთი სიტყვით, ხვალ გამომიარე და დაგახვედრებ ფულსო, უგემურად მითხრა და მანქანა გამაჩერებინა. დღეს უნდა მივიდე, ვითომ, მისი ჭკუით, მარა, არ მივალ. არ მინდა ძმაო, გადამიხურია ხუთი მანეთი. ამნაირი კაცის არაფერი არ მინდა. ცხოვრებაა ახლა მაგის ცხოვრება? კაცია ახლა მაგი? პატრონია მაგი? შენც არ მომიკვდე.

– ჰოდა, ხომ გითხარი, გააჩნია რა ქალი შეგხვდება-მეთქი.

– კაცზე მაქვს მე ლაპარაკი, ბატონო. ახლა, შენ როგორ ფიქრობ, რა აყვირებდა იმ შალიკოს, რატომ იქაჩებოდა ყველაფრის დასალეწად?

– რა აყვირებდა და ღვინო. ღვინო ჭურს ხეთქავს.

– ეგებ, მთლად ღვინოშიც არ იყო საქმე.

გაჩუმდა. ეტყობა უფრო ჭკვიანურ პასუხს ელოდა და რომ ვერ მიიღო, ჩემ მიმართ ყოველგვარი ინტერესი დაკარგა. მეც ათასჯერ შემოვუარე ჩემი მძღოლის ნაამბობს, მაგრამ საგულისხმო ვერაფერი დავასკვენი.

– როგორ ფიქრობ, რატომ ეწყინა სერგოს მის ცოლზე რომ თქვი, რა ნადირი გყოლიაო?

– მე არაფერი დამიბრალებია, რაც ვნახე ის ვთქვი.

– შენ გგონია, თვითონ არ იცის რა ანგელოზი უზის სახლში? მაგრამ შენგან მაინც ეწყინა.

– ჰოდა ეგაა მაგის სიგლახე.

– რა იცი, იქნებ თავისი სიჩუმით თავისი დანაშაულის გამოსყიდვას ცდილობს. იქნებ ქალი არაფერ შუაშია.

ისევ ჩიხში აღმოვჩნდი. მძღოლს მთქნარება აუტყდა. მე ვგრძნობდი რომ სისულელეს ვამბობდი, მაგრამ ახლა ვლაპარაკობდი მხოლოდ იმიტომ, რომ მელაპარაკნა.

– როგორ შეატყვე, შალვა უფრო ბედნიერი ჩანდა თუ სერგო? – ვკითხე ბოლოს.

– რაზე მეუბნებით?

– ისე... საერთოდ...

– მაგას კითხვა უნდა?

ასეთ მძიმე დღეში კარგა ხანია არ ვყოფილვარ. ჭირი მოვჭამე ამ კაცს, თქვი რამე მეთქი-თქვა. თქვა და ა, ბიჭი ხარ და უგე პასუხი. უთხარი რამე. თითქოს ყველაფერი ისე უბრალოდ ჩანს. ისე დაჯერებით ლაპარაკობს, თითქოს ძალიან კარგად ესმოდეს, რაშია საქმე. აი, მე მოვუსმინე და განსჯა მიჭირს. გარკვევაც მიჭირს. რად ხდება, რატომ ხდება. თავი მეტკინა ფიქრით, ამ ტაქსის შოფრისთვის კი ყველაფერი ნათელია. არ არის ახლა ეს ბედნიერი კაცი?

– რა ადგილას გნებავთ ბატონო? – მშვიდი, დაწმენდილი ხმით მკითხა.

– წყალტუბოში.

– წყალტუბოში ვართ უკვე.

– ა? მოვედით? გააჩერე აბა სადაც მოგიხერხდეს, ფეხით გავივლი ცოტას.

მანქანის კარი სანამ მესამეჯერ არ მივარტყი, არ დაიკეტა. თითქოს მძიმე ტვირთი მომეხსნა. თითქოს ლაბირინთებიდან გამოვაღწიე, ფეხით გავივლი, წყალტუბო პატარაა, კითხვა-კითხვით მივაგნებ.

მანქანა ადგილიდან არ დაძრულა, თორემ გვერდით ჩამივლიდა. ზის და მიყურებს.

უსაფლავო კაცი

მელიტონ სალდაძე საჭირო კაცი იყო. ვინც მელიტონთან კარგად იყო, თავი ქუდში ჰქონდა.

ქალაქ ოღასკურაში ყველაზე მეტად საფლავის მიწა ჭირდა, მელიტონი კი სასაფლაოს მმართველი გახლდათ.

ქალაქში ორი სასაფლაო იყო. მელიტონის მიერ რწმუნებული სასაფლაო თითქმის ოღასკურას ცენტრში, შესანიშნავ ადგილას იყო გაშენებული. მეორე კი, შედარებით ახალი, ქალაქგარეთ, საკონსერვო ქარხნის გვერდით მდებარეობდა.

განსასვენებელი ადგილები თავისუფლად არც მეორე სასაფლაოზე იყო, მაგრამ პირველზე მოხვედრა თითქმის წარმოუდგენელი გახლდათ.

მელიტონის სასაფლაო დაკეტილ სასაფლაოთა რიცხვს ეკუთვნოდა.

აქ ნემსის ყუნწიც კი არ ჩავარდებოდა.

იცოდნენ რა სასაფლაოზე კუთვნილი ადგილის შოვნის მთელი სიმძიმე, ქალაქ ოღასკურაში ყველაზე უიმედო ავადმყოფნიც კი გულმოდგინედ ცდილობდნენ იმქვეყნად გამგზავრების დღე ყველანაირი საშუალებით გადაევადებინათ. ხოლო თუ განგება თავისას არ დაიშლიდა, ჭკვიანი და წინდახედული მოხუცები თავიანთ ჭირისუფლებს ანდერძად უტოვებდნენ – არამც და არამც მელიტონის სასაფლაოს კარები არ ემტვრიათ. სულერთია, თავს გაიწვალებდნენ და მაინც არაფერი გამოვიდოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ოღასკურას №1 სასაფლაო უადგილობის გამო დიდი ხნის დაკეტილი იყო, მის დაყრუებულ შემოგარენს ხანდახან მაინც გამოაცოცხლებდა პროცესია.

ეს ხდებოდა ძალზე იშვიათად. მკითხველი იფიქრებს, ალბათ ფრიად პატივსაცემი გვამის დაკრძალვას უკავშირდებოდა მელიტონის სასაფლაოს კიდევ ერთი საფლავით შევიწროვებაო, მაგრამ სინამდვილეში ასე არ იყო.

ოღასკურას ძველ სასაფლაოზე ახალი საფლავის გაჩენას ორი მიზეზი ჰქონდა: პირველი ის გახლდათ, რომ ზოგიერთ წინდახედულ ოჯახს ადრიდანვე თადარიგი დაეჭირა, პირველი შემთხვევისთანავე შემოეღობა სასაფლავე მიწა და საჭიროების შემთხვევაში დიახაც იყენებდა თავის სათადარიგო ფართობს საუკუნო სასუფევლისათვის. მეორე მიზეზს კი უშუალოდ მელიტონთან მივყავართ.

მელიტონი ყოვლისშემძლე როდი გახლდათ, მაგრამ საფლავის მიწებს ყიდდა. ეს არცთუ უხიფათო საქმე იყო. მით უმეტეს რომ ამ ბოლო დროს მელიტონს ათასი კონტროლი და რევიზია ჰყავდა.

ახლა სასაფლაოს მმართველი სულს ვერ წაიწყმედდა და მკვდარს მკვდარზე ვერ დამარხავდა. აბა სად ჰქონდა, ამ უსაშველო სივიწროვისას, საფლავის მიწა მელიტონს? ეს საიდუმლო მხოლოდ მელიტონმა იცოდა.

სასაფლაოს ახლანდელი დირექტორი მარტოხელა კაცი იყო და როცა სოფელ ოფშკვითიდან ქალაქს ჩამოსახლდა, სასაფლაოს მცველად დაიწყო მუშაობა. იქვე, სასაფლაოს გვერდით, ერთი ქცევა მიწა შემოღობა და ორი თვალი ქვითკირის სახლიც ჩადგა.

გავიდნენ წლები. ოღასკურას ძველი სასაფლაო დამშვენდა, გაიზარდა, გაფართოვდა, რამდენადაც შესაძლებელი იყო. თუ მანამდე სასაფლაოს მომსახურე პერსონალს მხოლოდ მცველი – მელიტონი და ლოთი მესაფლავე – გიგლაია შეადგენდნენ, სასაფლაოს შტატი თანდათან თხუთმეტ კაცამდე გაიზარდა და მელიტონის სადარაჯო ჯიხური, ერთ მშვენიერ დღეს, ტელეფონიან კაბინეტად გადაკეთდა, ხოლო კაბინეტის კარებზე გაჩნდა მომხიბვლელი წარწერა – „სასაფლაოს მმართველი“.

მელიტონ სალდაძე სასაფლაოს მმართველად ამ უკანასკნელ დრომდე მუშაობდა.

ჩვენ შორის დარჩეს და პატარა სარგებლობა როდი ჰქონდა სასაფლაოდან მელიტონს. ჯერ ერთი, კარგ ადგილს რომ

მოუზომავდა, ჩვენებური ჭირისუფალი, თუ მთლად დავსებული არ იყო, უპატივცემულოდ როგორ გაუშვებდა.

მეორეც: ოღასკურას ძველი სასაფლაო გარეგნულად ხელოვნების თავისებურ მუზეუმს წარმოადგენდა. მართალია, ამ მუზეუმში ადგილობრივი მნიშვნელობის მოქანდაკეთა და ეპიტაფიების თხზვაში ხელგაწაფულ მგოსანთა საეჭვო ნაწარმოებები იყო გამოფენილი, მაგრამ საქმეში ჩახედული კაცისთვის სასაფლაო მთელი წარმოება გახლდათ. მარმარილოს ფილები, დეკორატიული ყვავილები, ზღვის ბალახები, რკინის მარგილები და ათასი სხვა – თავმომწონე ჭირისუფლის პატრონი საფლავის ავლა-დიდება, მელიტონის ხელში იყო და სასაფლაოს მმართველი მათ სახელმწიფოსთან საგრძნობლად განსხვავებულ ფასებში ყიდდა.

შოვნა, დაკრძალვის პირველი წუთებიდანვე იწყებოდა.

ძვირფას გვირგვინებს სასწრაფოდ დაშლიდნენ ყაყაჩოებად, ვარდებად, ბზის ტოტებად და უძვირფასეს კლდის ხავსებად, რათა ელვის სისწრაფით წაეღოთ იქითკენ, სადაც ისინი მამასისხლად შეიძინეს.

მერე იწყებოდა გაუთავებელი ვაჭრობა საფლავის შემორაგვიდან შესაფერისი წარწერის გაკეთებამდე. შეძლებული ჭირისუფლები, რაღაც მანქანებით, საფლავის გადახურვის ნებართვასაც აღწევდნენ. მელიტონის სასაფლაოზე რამდენიმე ასეთი ძვირფასად მორთული ოთახი-სასაფლაო იდგა.

ოთახის მომვლელი და მეთვალყურე ჭირისუფლიდან არაოფიციალურად ხელფასსაც კი იღებდა.

გამდიდრდა, გასუქდა მელიტონი. საფლავის მოვლა-პატრონობაში ჩარევას და იქედან წვრილი თანხის ჩამორჩენას იგი ახლა თავისი ღირსების დამამცირებელ საქმედ თვლიდა.

უცოლშვილოდ რომ გადაშენდა, ეს ადარდებდა ცოტა. პატარა ფულს ვიშოვი და ცოლს მერე შევირთავო, ფიქრობდა ჭაბუკობაში. ფული რომ იშოვა, სიძუნწემ დარია ხელი.

ვარჩევ ცოტა ხანს, რა მეჩქარება, ვინმე ღირსეული უნდა ვითხოვო, თორემ ამ ჩემს სიმწრით ნაშოვნ ქონებას ვიღაც უბედურს ხომ არ შევაჭმევო, ფიქრობდა. ერთხანს თავისი

ღირსი ვერ გამონახა. ორმოცს რომ გადაშორდა, აწი რაღა დროს ჩემი ცოლიაო, იხუმრებდა განგებ ხანდახან. ამასობაში დაბერდა კიდეც.

ახლა მართლა დაგვიანებული იყო მელიტონისთვის ქორწინების გვირგვინი და თვით მოხუცებულ სასიძოსაც ოჯახის შექმნის იშტა კარგა ხნის გადასული ჰქონდა.

ერთ დღეს მელიტონსაც მოაკითხეს, სასაფლაო მისხალ-მისხალ აღწერეს, მისი გაზრდა-განვითარება მომავალში არასასურველად და შეუძლებლადაც მიიჩნიეს, მელიტონს უკანასკნელი გაფრთხილებით საყვედური მიარტყეს და ოღასკურას ძველი სასაფლაო დახურულ სასაფლაოდ გამოაცხადეს.

შეწუხდა მელიტონი. სიკვდილი კვლავ თავისას შვრებოდა და საფლავის მიწის სათხოვნელად მოსულნიც ძნელად იჯერებდნენ, რომ ძველ სასაფლაოზე მაინცდამაინც მათი მიცვალებულისათვის არ იყო ადგილი.

და მელიტონმა გამოსავალი იპოვა. თავის ეზოს ღობე მოანგრია და ერთი საფლავი გაყიდა.

მადა ჭამაში მოვიდა. მადლობა ღმერთს, მუშტრები იყვნენ. გაყიდა მეორე, მესამე... ორი წლის შემდეგ ეზო ხელში შემოადნა და საფლავები მელიტონის სახლის კიბემდე აღწევდა.

სასაფლაოს მმართველს გვიან ღამემდე ესმოდა ჭირისუფალთა ვაი-ვიში.

გაუგონარი ამბავი მოხდა. კაცმა თავისი ეზო საფლავის მიწებად დაჰყიდა. დარჩა სახლი, ჩუქურთმებიანი კიბით. სახლი, რომელიც აკლდამასავით იდგა სოკოსავით გამრავლებულ საფლავებს შორის.

ერთ დღეს მელიტონ სალდაძესაც უწია. გიგლაია მესაფლავემ იგი დილით თავის ლოგინში იპოვა მკვდარი.

თითქოს ზედმეტ ხარჯებს (მიცვალებულის გაპატიოსნებასთან დაკავშირებულს) მოერიდაო, მელიტონს ხელები, როგორც წესი და რიგია, მკერდზე ეწყო და თვალებიც დახუჭული ჰქონდა.

* * *

დილით გიგლაია, მელიტონის მოადგილეს, სასაფლაოს მთავარ მომმარაგებელს – შაქრო მიქაშავიძეს ესაუბრებოდა. შაქრო შეწუხებული იყო, მაგრამ იმდენად კი არა, საქმისთვის თავი დაენებებინა და სახე ჩამოეხოკა, იგი სუფთა ქაღალდზე რაღაც ავტობუსისმაგვარს ხატავდა და თან მესაფლავეს უსმენდა.

– შემეშინდა, ხომ იცი შენ, – ჰყვებოდა გიგლაია, – მკვდრის მეტი რა მინახავს. მკვდართან მაქვს საქმე ჩემი დღე და მოსწრება, მარა შემეშინდა, ხომ იცი შენ. მე ვთქვი, ადრე დევიწყებ საქმეს თქვა, დღეს საწყალი დომინიკას მაზლის საფლავი უნდა შეგვეკეთებინა. მე ვთქვი, ვკითხავ რანაირად, იქეთური-აქეთური და პატარა გადაკრულშიც ქე ვიყავი (აქ გიგლაიას გაეცინა). ველაპარაკები. მე ვუთხარი, მაგენს მუქთათ უნდაყენ ყველაფერი. მე რო ვთქვი, თუ ისე იზამს, თვარა ხელის მომკიდებელი არ ვარ-მეთქი. არ იღებს ხმას. ველაპარაკები აქეთური, იქეთური და გაგიგონია? ვინ გცემს ხმას. დაძინებული მელიტონი მე ჯერ არ მინახია (აქ გიგლაიას ისევ გაეცინა). მე ვთქვი, ხომ არ მოკვდა ეს უპატრონოთქვა.

ოთახში სასაფლაოს სხვა თანამშრომლები შემოვიდნენ. მათ უკვე იცოდნენ მომხდარი ამბავი, მაგრამ დეტალები აინტერესებდათ და გიგლაიას უსიტყვოდ მიაჩერდნენ. ლოთმა მესაფლავემ მიიხედ-მოიხედა და თავიდან დაიწყო:

– მკვდრის მეტი რა მინახავს. ხელობა მაქვს იმნაირი დაწყევლილი, რომ ჩემი სტუმარი ოთხ კაცზე ნაკლებს არ მოყავს მიდღემჩი. შევედი ამ დილას. არ იყო ადრე, სხვათა შორის. ამ დროს მელიტონს ერთი წყება სასაფლაო შემოვლილი ჰქონდა. დომინიკას მაზლის საფლავი უნდა გამეკეთებია დღეს. მეჩქარებოდა. აქანა მე ვილანძღები ყველას მაგივრად. მოვარდა გუშინწინ მისი გადარეული ბიჭი და მე მაგინა, თვარა სხვებიზა უბატონოთ არ გაუცია ხმა, პატარა მქონდა, ერთი სათითური გადაკრული. შევედი, ველაპარაკები. ისე გეიგონა

ჩემმა დამაწყევარმა (გიგლაიას გაეცინა). მე ვუთხარი, მაგენს მუქთათ უნდაყენ ყველაფერი. მე რაც ვთქვი, მე ვუთხარი, თუ ისე იზამს, თვარა ხელის მომკიდებელი არ ვარ, ვინცხას უნდა გაუკეთოს-თქვა. არ იღებს ხმას. ველაპარაკები, აქეთური, იქეთური, შენ ხარ ჩემი ბატონი, გაგიგონია? დაძინებული მელიტონი მე ჯერ არ მინახია (აქ გიგლაიას ისევ გაეცინა). მე ვთქვი, მკვდარი ხო არაა ეს ოჯახაშენებული ნეტავი-თქვა. შევანჯღრიე, არ ინძრევა, ქე წევს ლამაზად. კაი გაპატიოსნებული მიცვალებული რო იქნება, ისე. ოთახი ქე მიულაგებია წესიერად. გამოვვარდი გარეთ. ვალოდია კაკაბაძის ბიჭი შემეფეთა, კლასს რომ თავი დაანება და ჩემთან რომაა მოწაფეთ. – გაჩერდი აქანა ცოტა ხანს, მელიტონი მომკვდარა, მე ვუთხარი და გამევიქეცი აქეთ.

ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა. მერე გაიმართა დაახლოებით იმის მსგავსი მასლაათი, სიკვდილის ამბის შემტყობთა უმრავლესობას რომ ახასიათებს: „გუშინ აგერ იდგა ა, რავარც შენ დგახარ მაქანა ამ წუთას, მე მელაპარაკებოდა“. „გულს ქე უჩიოდა ამ ბოლო დროს“, „მოწამლულია ჰაერი, მე მგონია, თვარა ასე რწყილივით როის კვდებოდა უწინ ხალხი“, „გაჩერდი, თუ კაცი ხარ, არაფერი არა ვართ, არაფერი...“

მერე ვიღაც საქმეზე გადავიდა.

– ჭირისუფალი ვინ ყავს უბედურს, თუ იცით?

ყველამ მხრები აიჩეჩა.

– შენ გეცოდინება, გიგლაია! – გამოსავალი იპოვა მოადგილემ.

სასაფლაოს თანამშრომლებმა გიგლაიას შეხედეს.

– რა ვიცი, სტუმარი მე არ მინახია მაგასთან და რომც მოსულიყო, დაგიძახებდა, გაგაცნობდა თუ რაი!

– რაცხაა და რაცხა იყო ყველამ ქე ვიცით, მარა ჩვენთან მუშაობდა რაცხა უნდა ვქნათ, – ჩამოღერღა ვიღაცამ.

– მეც მაგაზე მევედი. სად მარხავთ ამ კაცს – იკითხა გიგლაიამ.

– ჯერ რა დროის დამარხვაა. მილიციას უნდა დავუძახოთ. იმგენმა იციან თავისი საქმე, – თქვა მოადგილემ.

– რავა, მილიცია სახლში კი ვერ წაიღებს. დამარხვით მაინც ჩვენი დასამარხავი იქნება.

– ვინ დარჩენილა ზეით, მელიტონი რომ დატოვონ! – უადგილოდ იხუმრა ვიღაცამ. მიიძ-მოიძიეს, გადაქექ-გადმოქექეს დავთრები. გაუქმებულ სასაფლაოზე ერთი საფლავის ადგილიც ვერ აღმოაჩინეს.

– თვითონ რომ ყოფილიყო, მოძებნიდა, – ჩაილაპარაკა ვიღაცამ.

– მოეძებნა მერე და ექნა ამ მამაცხონებულს, – შეფიქრიანდა სასაფლაოს მთავარი მხატვარ-დეკორატორი.

– გიყურებთ, ახლა მე თქვენ! – ხმას აუწია გიგლაიამ, – ეს ვართ, კაცო, სულ? ამ სასაფლაოს შეალია კაცმა თავისი ჯანი და დასამარხავ ადგილს არ აძლევთ ახლა?

– რა გაყვირებს?! – შეუტია მომარაგების ხელმძღვანელმა, – თავზე ვერ დევიმარხავ და ადგილს, ქე ხედავთ, თუა სადმე. დავმარხოთ თავის ეზოში.

– სადა აქვს ეზო.

– რავა?!

– სულ ნაჭერ-ნაჭერ გაყიდა საფლავებად. აპა რას ვტირივარ მე. ბოლოს, საწყალს, კიბის გაყიდვა უნდოდა, ადგილს მიცდენს, რად მინდა ამხელა კიბეო.

კვლავ ჩამოვარდა სიჩუმე.

– ჰე, რას შობით ახლა, გიყურებთ მე თქვენ. სად მარხავთ მელიტონას, კაცო? – მუდარით სავსე ხმით იკითხა გიგლაიამ.

სასაფლაოს თანამშრომლები სდუმდნენ. მათ გულით უნდოდათ პატივი ეცათ მიცვალებულისათვის და თუ ამას ვერ ახერხებდნენ, მხოლოდ იმ სერიოზული მიზეზების გამო, რომ ოღასკურას ძველი სასაფლაო კარგა ხანია დახურული იყო.

– ახლა, ჩვენ შორის დარჩეს და, გიგლაია, რა აუცილებელია, მაგალითად, მელიტონას აქ დამარხვა. რავა ახალ სასაფლაოზე მაგაზე ნაკლები ხალხი მარხია თუ?! ეზეკია მეტრეველმა თავისი სიმამრი იქანა არ დამარხა? სად ყავს ამირანა წივწივაძეს მარჩენალი ბაბუდა დამარხული, იქანა არ ყავს?

– რავა, კაცო, ჩვენი მკვდარი ახალ სასაფლაოზე წევიღოთ?! – არ ისვენებდა გიგლაია.

– როცა სხვა გზა არ არის, რას იზამ! – დაუყვავა შაქრომ.

– უყურე შენ, რა ვყოფილვართ ჩვენ ერთმანეთისთვის? ხედავ შენ, რას შვრება ეს ხალხი? არ მოკვდეს აბა კაცი, კაცო? რა უნდა მელიტონს საკონსერვოს გვერდით.

– მკვდარი ერთია ყველა, ჩემო გიგლაია! – თქვა გამოცდილმა, ჭაღარა, თავისი საქმის ბრწყინვალედ მცოდნე მეკუბოვემ.

ჯერხნობით იმაზე შეთანხმდნენ, რომ მილიცია გამოეძახნათ და საქმე აღეძრათ ოღასკურას ახალი სასაფლაოს ხელმძღვანელობის წინაშე მელიტონ სალდაძისათვის ერთი საფლავის გამოყოფის თაობაზე.

* * *

– შემეშინდა, ხომ იცი შენ, სიკვდილისა ახლა შემეშინდა... ასე ყოფილა თურმე... გესმის შენ? კაცმა ამ სასაფლაოს შეალია ყორფელი. საკუთარ ეზოსავით უვლიდა... რა იციენ მაგენმა... ახალ სასაფლაოზე. თვარა, მოგართმევენ „ფოდნოსით“ ადგილს... იქანაც ასე არაა? ვაი, შე უბედურო მელიტონა. უნდა ვუთხრა, ვისაც ეხება, უნდა ავუხსნა. მოვა მილიცია და აწონის კარგად ყველაფერს... მეორე სასაფლაოზე წასაღები და გადასაგდები კაცია მელიტონი? მაშვინ ხომ კარგი მელიტონი იყო... მაშვინ ხომ კარგი იყო მელიტონი... ახლა ქე შემეშინდა, ხომ იცი შენ... მკვდრის მეტი რა მინახავს... მკვდრის მეტი რა ვიცი...

ბუტბუტებდა გაჯავრებული გიგლაია, ცელს მიიქნევდა და დაღლილი, შეწუხებული სახით ნელ-ნელა მიიწევდა წინ გაუქმებული სასაფლაოს შუაგულისაკენ.

ᲭᲘᲜᲘ

ოღასკურას სასაფლაოს უკან, სალუქვაძის მინდორზე ბაზრობა გაიხსნა.

ოდესღაც ეს მიწები, წყალწითელას გაღმა-გამოღმა, ვინმე სალუქვაძის ყოფილა. დრონი იცვალნენ, მიწაზე კერძო საკუთრებამ ჭირი მოგჭამათ, სახელი კი მინდორს ძველი დარჩა. არ ვიცით ცხონებული სალუქვაძე რაში იყენებდა ამ მინდორს. კოლმეურნეობას კი ნამდვილად არაფერს არგია. მოუსავლიანი, წითელი მიწაა. ბალახიც არ ხარობს ხეირიანად.

აღებ-მიცემობამ ხალხი ნამეტანი რომ არ მოაცდინოს, ადგილობრივმა ხელისუფლებამ ნება დართო ბაზრობა თვის პირველ კვირას გაიმართოს.

ადამიანი? დამანებე თავი თუ კაცი ხარ. თურმე, ნება თუ მიეცი, უდაბნოში ქვიშას დაადებს ფასს.

რას არ იშოვის კაცი აქ. რა არ ჰქონია ჩვენებურს საყიდი და გასაყიდი. კოჭის ძაფიდან დაწყებული წისქვილის მოუკოდავი ქვით გათავებული – ყველაფერს იყიდი ოღასკურას ბაზრობაზე.

დილის ხუთი საათიდან მზის ჩასვლამდე ბუზივით ირევა ხალხი.

მთელი იმერეთი (ზემო და ქვემო) ხომ აქ არის. გარექართლიც ამოჰყოლია საჩხერის გადასასვლელს და ხვამლის ვიწროებიდან რაჭველებიც ბლომად ჩამოსულან.

გზატკეცილის გაღმა-გამოღმა ჩამწკრივებული მანქანები ზესტაფონის გადასახვევს უწევს.

აგვისტოს კბენია მზე დილიდანვე იმუქრება, მაგრამ მზე კი არა, ცა რომ ჩამოიქცეს, ისიც ვერ გაანელებს ბაზრობის უკიდეგანო ენთუზიაზმს.

თადარიგიან ებრაელებს ბრეზენტის ნაჭრები წამოუღიათ, ფარღალალა კარვები გაუმართავთ და რომ იტყვიან, თავი

ქუდში აქვთ... ახალბედა ვაჭრებს კი ოთხკუთხივ განასკვული ცხვირსახოცების იმედი აქვთ.

ჩემნაირად, უქუდოდ და უგზო-უკვლოდაც ბევრი დააბიჯებს.

სიმართლე გითხრათ, საყიდი მაინცდამაინც არაფერი მაქვს და არც ფული მიხევს ჯიბეებს, მაგრამ ამაზე უკეთეს ადგილას სად წავალ. სად ნახავ შენს ქვეყანას სხვაგან ასე უკლებლივ და ერთსულოვნად შეკრებილს.

მოდი და ათვალიერე ეს ხალხი. შენი მიწის სუნთქვა იგრძენი, ტკბილი ქართული გაიგონე. სახეები, სიტყვები, ფრაზები დაიმახსოვრე და ჩაიხატე. ადამიანთა უმდიდრესი გამოფენა სწორედ ეს არის.

ამ უსასრულო რიგში ერთიმეორის მიყოლებით ჩამწკრივებული ყველა სავაჭრო ფარდაგი თავის პატრონს ჰგავს. შეხედავ კაცს და მაშინვე მიხვდები რას გამოიტანდა იგი გასაყიდად. ანდა, პირველად თუ გასაყიდ ხარახურას დაადგი თვალი, როგორც კი გამყიდველს გახედავ, შენივე მიხვედრით კმაყოფილი დარჩები, ამ კუსტარული ჩექმების და სახელდახელოდ შეკერილი, საორდღისო ფოჩიანი წუღა-მესტების გამყიდველი სწორედ ამნაირი კაცი უნდა ყოფილიყო.

რა წვრილმანი, რა ღვთისაგან დავიწყებული ნივთები არ გამოუჩხრეკიათ ადამიანებს, გაუფერთხ-გაუპრიალებიათ და გასაყიდად გამოუტანიათ.

რა ბევრი გავაგრძელო, დიდი საუზმის დრო გადასული იყო და ერთი პირი ბაზრობა მოთავებული გახლდათ, როცა იმ მოხუცს წავაწყდი, ვისზედაც ეს პატარა ნოველი იწერება.

ვისაც ჩემი ახალგაზრდობა არ უნახავს, სიბერე ღმერთმა ნუ აჩვენოსო, გენიოსის ნათქვამია.

ცალი ფეხი სამარეში უდგასო, სწორედ ამ მოხუცზე იყო ზედგამოჭრილი. რომ ეთქვა, ცამეტ სირიელ მამას ჩამოვყევიო, დაუჯერებდნენ.

ჯორკოზე ფეხმორთხმით იჯდა. წინ ჭილოფის დაგლეჯილი ფარდაგი ეგო და ზედ დიდი გულმოდგინებით დაე-

ლაგებინა დაჟანგული ცხენის ნალები, ურმის თვლის საპოხი ქონის ჩასადები – თხის რქისაგან გაკეთებული ყანწები, ტარგაცვეთილი შალაშინი, ძველთაძველი ჭანჭიკები და ქანჩები, ორი ლამპის შუშა და თქვენ წარმოიდგინეთ, დაღუნული ლურსმნებიც კი. მომკლა მისმა საცოდაობამ. ამ ბაზარში ყველაფერი რომ გაყიდულიყო, მოხუცის ძველმანების მუშტარი მაინც არ გამოჩნდებოდა.

კისერში ჩასულ ოფლს ფართხუნა იმერული ქუდით იწმენდდა, სულისშემხუთველი სიცხისაგან ძარღვებდაბერილი ხელები უკანკალებდა და წამდაუწუმ ხრინწიანად ახველებდა.

თეთრი წვერ-ულვაში შეულამაზებლად, ზედ ცხვირ-პირზე ჰქონდა მოდებული. ულვაშიც და წვერიც ერთი ზომისა იყო. ესე იგი, როცა იპარსავდა (და ეს, ალბათ, იშვიათად ხდებოდა) წვერ-ულვაშს ერთდროულად იპარსავდა.

ბადრიჯნის დიდი ცხვირი ქვედა ტუჩამდე წვდებოდა, წითლად ჩამოქაჩულ უპეებში დიდრონი, თაფლისფერი წყლიანი თვალები მოუჩანდა. თვალებს მისი ასაკისა და ენერგიისათვის სრულიად შეუფერებლად, ცოცხლად ატრიალებდა იქეთ-აქეთ.

კარგა ხანს თვალმოუშორებლად მიყურა. მერე, თითქოს შემატყო რომ მყიდველი არ ვიყავი, ჩემდამი ინტერესი ერთბაშად დაკარგა. ყალიონი გააწყო, გააბოლა და გვერდზე გაა-პურჭყა.

– ნალი მინდოდა, კაი ნალი, და ვერ შევხვდი ვერსად, – ჩავილაპარაკე მოხუცის გასაგონად და ჭილოფს ჩავაცქერდი.

– რაის ნალი? – უხალისოდ შემხედა გამყიდველმა.

– ცხენის. ცხენები დაუჭედავი მყავს – ღმერთო, ოღონდ არ შემატყოს რომ ამ მოხუცთან გამოლაპარაკება მინდა და სხვა არაფერი. რა თავში ვიხლი ნალს, სადაა ცხენები.

– ცხენის ნალი არაა მაგი, ხელში რომ გიკავია?

– კია, ჩემო ბიძია, მარა ნახმარი როა?

– ნახმარიაო? – გაეცინა და აქა-იქ შემორჩენილი სარივით კბილები გამოაჩინა.

– აბა, შენ გცოდნია კარგად ნალის ამბავი. გინდა იყიდე და გინდა ნუ იყიდი, მარა იცოდე, ჩემო ბიძია, ნალი – რაც ძველი და ნახმარია, მით უკეთესია ცხენისათვის. ა, ეს კბილი არ ჰქონდეს მოჭმული და სიძველით რა უჭირს. ეს ახლა მორგებულია ცხენის ფეხზე. ფლოქვს არ ატკენს და არაფერი.

ამას რომ ამბობდა მის დანაოჭებულ სახეს დავაკვირდი. ნაოჭები აღარ ეთქმოდა, მოხუცს ღაწვებზე ღრმა ღარები ჩამოსდევდა და ღარებს კი წურწურით მოჰყვებოდა ოფლი.

– დაიწვა ქვეყანა, – სიტყვა შევაშველე.

– ჯერ სადა ხარ, ამ კვირაში ისეთი სიცხე იქნება, დედა შვილს არ ეიყვანს.

– აბა დავლუპულვართ წრეულს. ამნაირმა სიცხემ სამ დღესაც რომ გასტანოს, დახარშავს ყველაფერს.

– ვენახს ვერაფერს უზამს. პირიქით, მოუხდება, შაქარს დაუგროვებს და სიმინდმა მოგჭამა ჭირი.

– ვარგა აბა, ეს ნალები, პატივცემულო?

ქუდი იშვლიპა და თეთრი მზედაუხედავი, მოპრიალებული თავის კანი დამანახვა.

– კაცის მომღორებელს და მავნებელს ვგავარ ბიძია მეე? აგერ ა, ორპირში ვცხოვრობ, გამქცევი ვარ სადმე? წეიღე შენ ეს ნალი და რამდენი მლოცო, იმდენი გახარება ჩემს ნაგრამს ამ ქვეყანაზე.

– რა გვარის კაცი ბრძანდებით?

– ხუნდაძე, ერთი მოსახლე ვარ ორპირში, ნესტორითქვა იკითხე და ყველა მოგასწავლის.

უცნაურმა სურვილმა შემიპყრო, მოხუცს ხელი დავუცალო და ამ გაგანია სიცხეში, ამ ყიამყრალ ხალხში დგომისაგან გავათავისუფლო.

– რას აფასებთ ნალს?

– ათი შაური უნდა თითოს.

– ერთიანად რომ წავიღო?

– რვა შაურად გაგატან, მეტს ვერ დავუკლებ, ცოდო ვარ, ჩემო ბიძია. წადი თუ გინდა, ნახე, გაიარე. სხვები ამნაირ ნალს მანეთად ჰყიდიან.

ნალები გვერდზე გადავაწყვე.

– შალაშინიც ქე მინდა ერთი კაი.

– ა, ბატონო, შალაშინი!

– ივარგებს ეს ვითომ? ნამეტანი გაცვეთილია ბიძია, ამას თავისი დრო მოჭმული აქვს.

მოხუცმა ქვა აიღო, შალაშინს დაუკაკუნა, რკინის ენა ამოიღო და მაჩვენა.

– ნახე რა რკინაა. ესაა გაცვეთილი? ორჯერ დაუსობ სალეს ქვას და მეტი კი არ უნდა. ხორასნის რკინაა. შენ ის არ გეგონოს, კოოპერატივში რომ ჰყიდიან, ნახე, ჟანგის ნასახი თუ სადმე აქვს.

– შალაშინს?

– სამი მანეთი უნდა.

– ბოლო ფასი მითხარი.

– ორად წაიღე. გეტყობა მეურნე კაცი ხარ, არ მინდა ვიღაცა უბედურს ჩაუვარდეს ხელში.

რა შემატყო „მეურნეობის“?

– ლამპის შუშა სადღა იშოვე ამ ელექტრონობაში?

– რა ვიცი, ეგდო სახლში. მე არაფერში მარგია. ეგება იყიდოს ვინმემ-თქვა და წამევიღე. თუ მუშტარი გამოუჩნდა ხომ კაი, თუ არა და ქე წევიღებ უკან. ხომ არ გადავაგდებ აბა.

– რა მოგცე ასე, წყვილად?

– გჭირდება თუ?

– თუ მოერგო ჩემს ლამპას. ერთი ნავთის ლამპა მიგდია სამზადში.

– სწორია. უნდა გქონდეს კაცს, აბა, რაი. მთლად სადგურის იმედზე დადგომა არ ივარგებს. ხან დენს გამოთიშავენ, ხან დამცველიო, თუ რაცხას ეძახიან, ის გადაიწვება და იყურყუტე მერე სიბნელეში.

– ნესტორ ბატონო, ყველაფერი დაჭირვებაზეა. თუ დაგჭირდა, ოქროს ფასი აქვს მაშინ და თუ არ დაგჭირდა, ფიქრობ კაცი – რათ მინდა, ადგილს მიცდენს ტყუილ-უბრალოდო, რამდენი მოგართვათ?

– რა ვიცი. ლამპის შუშა მიდღემჩი არ გამიყიდია. კი არ ვიცი მაგის ფასი. მანეთად წაიღე ორივე, თუ ვიზარალე, ალალი იყოს შენზე. რა ვქნა ახლა.

თხის ყანწებზე რომ ჩამოვუგდე სიტყვა, ცოტა არ იყოს შეკრთა და ეჭვის თვალით შემომხედა. მეურნეს ეს არ ჩამოჰგავს, ვინმე აფერისტი ხომ არ არის და საგლახაოდ ხომ არ მემუსაიფებაო, გაიფიქრა ალბათ. რაც შეეხება დაღუნულ ლურსმნებს, როგორც თავდადებულ მუშტარს – უფასოდ დამიმატა. თანაც დამარიგა, გამართავ ამ ლურსმნებს და ახალს აჯობებსო. გაზეთილი ლურსმანი ხეს არ იკიდებს, დაჟანგული კი ისე საიმედოდ ჯდება, რომ შენი მოწონებულიო.

ნესტორ ხუნდაძის ავლა-დიდებამ სულ თერთმეტ მანეთში გადამაგდო. გასტრონომის ფილიალს მივაკითხე, ტომარა ვიყიდე, ნავაჭრი შიგ დავაბინავე (ჩალაგებაში მოხუციც მეხმარებოდა) და ეს საკმაოდ მძიმე და უხერხული ტვირთი ზურგზე რომ მოვიგდე, მოხუცს ისეთი გულიანი მადლობა მოვახსენე, თითქოს ამ წლის სარჩო-საბადებელი გაეჩინოს ჩემთვის.

მერე ვითომ, სხვა საქმეებიც მქონდა, ტომარა იქვე, საპნის გამყიდველს მივაბარე და ნესტორ-პაპა გზამდე გამოვაცილე.

– დეიწვა ქვეყანა.

– ჯერ სადა ხარ. ამ კვირაში უარესს იზამს – უკან მოუხედავად ჩაილაპარაკა. თხრილს ნელა, ბებრულად გადააბიჯა.

– რით წახვალთ ახლა, ნესტორ, ბატონო?

ჩემი ნამეტანი მზრუნველობა ეხამუშა, შევატყვე ფეხები უკან რჩებოდა.

– გამეივლის რაცხა.

ჩვენდა იღბლად, წყალტუბოს ავტობუსი დაბარებულივით წინ გაგვიჩერდა.

ასვლაში ვუშველე, დავემშვიდობე და ავტობუსი რომ დაიძრა, ხელიც დავუქნიე.

ესეც ასე... დღეს ერთი მადლიანი საქმე მაინც გავაკეთე. ტვინი აუდუღდებოდა მოხუცს ამ გაგანიაში. ტყუილად მოცდებოდა. ვერც ვერაფერს გაჰყიდდა და უკანვე სათ-

რევი ექნებოდა თავისი ძველმანები. დროზე მაინც მივა სახლში, ჩრდილში მაინც დაჯდება და შვილიშვილებში გაიხარებს.

* * *

მაინც მომწყინდა ბოლოს.

უთავბოლოდ ხეტიალისაგან თავი ამტკივდა, მუხლები დამეღალა და მომშივდა კიდეც.

ისლით გადახურულ ფარდულში ცხელი მჭადი, უმარილო ყველი, ჯამით ლობიო, ერთი ბოთლი „იმერული“ გეახელით და მზე თავდაღმართზე ეშვებოდა, ბაზრობას რომ ზურგი შევაქციე.

გზის პირას, სიცხეში, მტვერში კარგა ხანს დგომამ მთელი დღევანდელი სიამოვნება ყელში ამომიყვანა.

ოციოდე მეტრის დაშორებით თვითმცლელი გაჩერდა და მტვერი შემოგვახვია.

ერიჰაა, ჩემი მოხუცი!

კაბინიდან დინჯად გადმოვიდა, ძველთაძველი ხის ჩემოდანი გადმოათრია და იმ ვაჭრის ენერგუილობით წამოვიდა, რომელსაც მიზეზის გამო შეაგვიანდა და შიშობს საქონელი გაუსაღებელი არ დარჩეს.

დაღლამ ერთბაშად გამიარა. შორიახლოს მივყევი.

ადგილი დიდხანს არ ურჩევია. ჩემოდანი გახსნა, ჭილობის ფარდაგი გამოიღო და ჩვეული სიფაქიზით დაალაგა ზედ გასაყიდი „საქონელი“ – კარ-ფანჯრის ანჯამები, თარაზო, სპილენძის ქვასანაყი, ცხენის სამუნელი, ორშიმო, ჩამოუქნელი თაფლის სანთელი, ხმარებისაგან გაშავებული ხის გობი და ძველთაძველი ჩქიფი.

ცარიელ ჩემოდანზე მოკალათდა, ყალიონი გააბოლა და ისევ დაემსგავსა ამ სალუქვაძის მინდორზე რომელიღაც ათასწლეულიდან ჩამოფრენილ ბებერ ყვავს, აფრენა რომ ეზარება და ფრთებში შემალული ნისკარტით ამ ქვეყნისაგან შეუმჩნევლად დარჩენას რომ ცდილობს.

ან როგორ არ დაეზარა ხელმეორედ წამოსვლა, ან ასე უცებ სად მოძებნა ოჯახში ეს ჩამოწერილი, ღვთისაგან და კაცისაგან დავიწყებული ნივთები.

არა, ბატონო, ჩვენებურ კაცს შენ ასე ადვილად ვერაფერს მიუხვდები.

იქნებ ნესტორ ხუნდაძეს თავისი ძველმანების გაყიდვა სულაც არ აინტერესებს, იქნებ მასაც ამ მილეთის ხალხის ყურება უნდა, თავის შექცევა სურს დარჩენილ ორი დღის წუთისოფელში.

ახლოს როგორ მივალ, როგორ დავენახვები, ისედაც სირცხვილით ვიწვები და ჩემი წეღანდელი საქციელი ჩემი თავისთვისაც ვერ მიპატიებია.

სიკვდილი

ქალაქის პირველი მექუდე მიხეილ მოსეს ძე ზონენაშვილი თავისი სახლის აივანზე ქურდივით უხმაუროდ ავიდა, ჩემოდანი კიბეზევე დატოვა, ქუდი, რომელიც აქამდე რატომღაც ხელში ეჭირა, დაიხურა, სკამი ფრთხილად გამოსწია, დაჯდა და სიბნელეს მიაჩერდა.

წლეულს ოქტომბერში ადრე აცივდა.

თბილისიდან მატარებელი შვიდის ნახევარზე ჩამოდიოდა და მიხეილს არ უნდოდა თავისი ოჯახის წევრები ასე ადრე გაეღვიძებინა.

მექუდეს ეგონა, რომ აივანზე მარტო იყო, მაგრამ ღრმად ცდებოდა. მამამისი მოსე ზონენაშვილი იქვე, აივნის ბოლოს გრძელ სკამზე იჯდა და შვილის მოსვლა მაშინვე შენიშნა, მაგრამ დაჯდომა აცალა, სული მოათქმევინა.

– შენ ხარ? – სიბნელისთვის თვალი არ მოუცილებია მოხუც ებრაელს.

– მე ვარ, მამაჩემო, მე ვარ.

– რა ჰქენი? – მოსეს წლებისგან დაწნეხილი, გაბზარული ხმა ჰქონდა.

– მომცეს.

– შენი?

– კი.

– ევასი?

– ევასიც, მამაჩემო.

– ბავშვების?

– ყველასი.

– წასულხართ, აბა.

– მივდივართ, დაგენაცვლე, მივდივართ.

მოსე წამოდგა, მისი მაღალი, წვეროსანი, ბიბლიური ლანდი შვილს თავზე დაადგა.

– ე ჩემი ძვლები? – მოხუცს ხმა უთრთოდა, ასეთი რამ მოსე ზონენაშვილს დიდი სულიერი მღელვარების ჟამს ემართებოდა.

მიხეილი სდუმდა.

მოსემ წონასწორობა დაკარგა. აქამდე მას ცოტა იმედი კიდევ ჰქონდა, იქნებ ვიზა დაუგვიანონ, ან გადაიფიქროს, ან ცოლისძმის ნასამართლეობამ შეუშალოს ხელი. ახლა ეს იმედიც გაქრა. მიდიან!

– ე ჩემი ძვლები, შვილო? – გაიმეორა მამამ.

– შენ ასე არ ისურვე, შე სულგანათებულო? მაგას არ ვტირით მთელი ოჯახი? არ გდომებივართ არც ერთი. შენგან არ ვისწავლე? როცა ასს უნდა და ერთს არ უნდა, ის ერთია გიჟი, ხოლო როცა ერთს უნდა და ასს არ უნდა, მაინც ის ერთია გიჟიო.

– კაი, მე გიჟი ვარ, მარა მე ხიდის გიჟი ხომ არა ვარ, ბიჭო, მე – შენი მამა – გიჟი ვარ და თუ იცი, რა უნდა მამა – გიჟს, მიტოვება?

– არა.

– მოვლა უნდა და პატრონობა, ასეა ეს.

– ახლა ყველაფერი გვიანაა, – მოპირდაპირე სახლის ფანჯრებში აცეკვებულ ჩრდილებს ჩააცივდა მიხეილი.

– ხეირს ნახავ ვითომ იქანა?

– ვინ იცის...

– „ვინ იცისთვის“ მიდიხარ და ცეცხლს აქრობ ჩემს კერაზე? – გაბრაზება დაეტყო ხმაში უფროს ებრაელს.

– მავზოლეუმ არც აქანა ამიშენებდნენ. რაც აქ ვიყავი, ის ვიქნები იქანაც. ხალხი ხომაა, ჰაერ ხომ გამიყოფენ. აქაც ქუდს ვკერავდი და იქანაც ქუდს შევკერავ.

– ვის უნდა შენი ქუდი იზრაელში?

– ვისაც ქუდი არა აქვს და თავზე სცივა.

– ენა არ იცი და გზა-კვალი, ნიფხავს ვერ იყიდი, რომ დაგჭირდეს.

– ვაჭრობის ენა ყველგან ერთია, დაგენაცვლე. ციფრებს

წერენ თურმე იქანაც. ავდგები, პატარა ქაღალდს და კარანდაშს ჩავიდებ ჯიბეში და იოლად გავალ.

– რაი?

– ჰო, მამის სული არ წამიწყდეს. შევალ მაღაზიაში, მოვკიდებ ერთ ნიფხავს ხელს, გავშლი ქაღალდს და მივაჩეჩებ იმ ნოქარს.

– მერე?

– მერე ის, რომ დამიწერს ათ დოლარ, მე დავუწერ ხუთ დოლარ, ის რომ ჩამოვა რვა დოლარზე, მე ავალ ექვს დოლარზე. ის რომ ჩამოვა შვიდ დოლარზე, მე... არა, ექვს დოლარს ფეხს არ მოვუცვლი.

– არ მოუცვლი და დარჩები უნიფხვოდ! – გაეცინა მოსეს.

– არ დავრჩები, სხვა მაღაზიაში შევალ.

– კაი დაგემართოს, აგიწყვია საქმე. – ამოიოხრა მოსემ.

მიხეილ ზონენაშვილი თავს იმხნევებდა, თორემ არც თვითონ იცოდა კარგად, რა ელოდა, როგორ წავიდოდა მისი საქმე. ეშინოდა იმ მოთხილამურის შიშით, მოხვევა-გაჩერებაც კი რომ არ ასწავლეს და პირდაპირ სლალომის ტრასაზე შეაყენეს, ან გადარჩება ან არა, ან ფეხს მოიტეხს ან (უკეთეს შემთხვევაში) სამარაცხვინო ჩაგორება ელის. მაგრამ რაცაა ესაა. უკან დასახევი გზა აღარ არის.

– იმ შაბათს გითხარი, მისი არ იყოს: რაღაცა უკეთესს უნდა ელოდე, შენი საქონ-საცხოვრებელი სასწორზე რომ შედო. ხომ ნახე, რა ეწერა სოფლის გაზეთში – უბინაოდ, უპატრონოდ დარჩენილი ემიგრანტები ჩემოდანზე სხედან და ტირიანო.

– გჯერავს მაგი შენ? ისაკის ბიჭის წერილი ხომ წაგიკითხე, სამოთხეში ვართო.

– შე გამჩენგახარებულო, გაზეთის არ დევიჯერო და ისაკის ბიჭის დევიჯერო? ისაკის ბიჭს რაც პეპლები აქ ჰყავდა თავში, ის ეყოლება იქანაც.

– ეს ამბავი ნამღერია, მამაჩემო. გინდა ასე უბერე და გინდა ისე. მე ჩემი თავი გამოტირებული მყავს, მე რომ მეორე

კაცს აღარ დამადგამენ მხრებზე, კარგად ვიცი, – მიხეილი დინჯად, გამშრალი ხმით ლაპარაკობდა, – მაგრამ მაინც მივდივარ. ქვეყანა მიდის და მივდივარ. ჩემთვის კი არ მივდივარ. ქუდს ძაფი და კალაპოტი იქაც უნდა. აქ თუ ხუთ მანეთად ვკერავ, არც იქ მომცემენ მეტს. მარა მე, შენ კარგად იცი, ჩემი შვილებისთვის მივდივარ.

– შვილებისთვის?

უქიმერიონს ერთბაშად მოეფინა ულამაზესი, მტრედისფერი ნათელი.

– ჰო, შვილებისთვის. ჩემი ნაგრამი თავის ქვეყანაში იცხოვრებს. თუ ჭკუა ექნებათ, ჩემი შთამომავლობა ჩემი მადლიერი იქნება. მე, მე დავაბრუნე ისინი სახლში ათასწლოვანი ხეტიალის მერე.

– რომელ სახლში?

– ისრაელში, მამაჩემო, სამშობლო დიდი სახლია. რა ჭკუა აქვს ახლა ვიღაცა დეპარტამენტის მოხელე გულში ჩამიხუტებს და მომეფერება თუ არა. რა მნიშვნელობა აქვს დროებით კარავში მომათავსებენ თუ დიდვაჭრის ქარვასლაში, ღმერთი თავის გაჩენილს გლახად არ დაკარგავს.

– ბაბუაშენი იტყოდა, ერთ წყალში ტანს ორჯერ ვერ დაიბანო. ის სამშობლო, ჩვენ რომ გამოვედით, აღარ არის. თავს ნუ ვიტყუებთ.

– არის, ჩვენ ჩავიტანთ. დაბრუნების იმედი რომ გვქონდა, იმიტომ ვინახეთ ამდენ ხანს ჩვენი ღმერთი და ჩვენი ენა. შენზე კარგად ეს ვინ იცის, მამაჩემო. შენი ნასწავლი ლოცვებით მივდივართ.

– ლოცვა ბევრს გიშველის!

– ცოტას ხომ მიშველის, დანარჩენს მე წავეხმარები ჩემს თავს. წელებზე ფეხს დავიდგამ, დღე და ღამე ვიმუშავებ. კაცის მოკვლას და თოფის სროლას ნუ დამავალებენ და ყველაფერს ვიზამ.

– არც მაგას აგაცდენენ. იაკობის ბიჭი ჩასვლისთანავე ჯარში გაუწვევიათ.

– არა, რავა დაუძახებდნენ, რავა აკადრებდნენ! კომისარ ფაჩუაშვილ დაუხატავდნენ ისრაელში. შენ ფიქრი ნუ გაქვს მე ორმოცდაათი წლის გულისმანკიან მექუდეს, ავტომატს არ მანდობენ. ამ ჩემ გოგოებს ჯარი არ ეხება.

მოსე წავიდა და თავის ადგილას დაჯდა. ყურებში ერთბაშად შემოვიდა გაღვიძებული ქალაქის ხმაური.

– ესე იგი, შვილების გულისთვის მიდიხარ? – ფიქრობდა მოსე და თითქოს კორკიმელის ახალამოყრილი, ნაზი ფოთლებით დარხეულ ნიავს მისკენ მოჰქონდა შვილის ჯიუტი ფიქრი.

– ჰო, მამაჩემო, შენც შვილისთვის უნდა წამოსულიყავი.

* * *

კიბეზე ნაბიჯების ხმა რომ მოისმა, მიხეილი წამოხტა, ჩემოდანს ხელი სტაცა და სახლში შეარბენინა. ცოტა ხანში ფარდა გადასწია და მოსულს დააკვირდა, მოსეს თავისი ძმისშვილი ეზეკია ზონენაშვილი ესაუბრებოდა.

– რაღაცას დგამენ ახალს, რა ვიცი, ვითომ არა უშავს, ის თეატრი სადაა, რომ იყო. მე მგონი, თვითონ ხალხსაც აღარ უნდა კაი თეატრი. ეს ძველები ქე დაბერდნენ, ახალი თუ ნიჭიერია, თბილისში გარბის. დევიღალე. ამდენმა სტუმარმა მომკლა. სტუმარი – დირექტორი, სტუმარი – კომპოზიტორი, სტუმარი – დრამატურგი, ცალ-ცალკე ყველა კაია, მარა აქ გამჩერებელი რომ არავინ არის? თეატრი კაი პიესაა, პიესა არ გვაქვს.

– რა არ გაქვთ? – მიხეილ ზონენაშვილი ხალათის ღილებს იკრავდა. ეზეკიას ხელი ჩამოართვა და მამამისის გვერდით მოკალათდა წელში შესაშურებლად გამართული.

– არაფერი, აგერ პიესაზე ვამბობდი – საწყალი კაცის ხმით თქვა ეზეკიამ.

ეზეკია ზონენაშვილი ორმოცი წლის განმავლობაში დრამატულ თეატრში დასის გამგედ მუშაობდა. თეატრი ფანა-

ტიკურად უყვარდა. მთელს ქალაქში უსპეტაკესი კაცის სახელი ჰქონდა დავარდნილი. მის გადაბმულ, შავ წარბებს, ხშირ ჭაღარა თმას, მეტყველ კეთილსა და ფართო თვალებს რომ შეხედავდი, კაცის ცნობის უნარით ცოტათი მაინც თუ იყავი დაჯილდოებული, მაშინვე მიხვდებოდი, რომ ეზეკია დაქუხებისთვის, სხვათა თავზე წამოჯდომისთვის გაჩენილი არ იყო. მიუხედავად იმისა, რომ თეატრში ასე მოკრძალებული მდგომარეობა ეკავა, ყველამ იცოდა, რომელ პრემიერას რა ბედი ელოდა. მხოლოდ ეზეკიამ იცოდა, სად მიაგდო გუშინ მსახიობმა რეკვიზიტი, რომელსაც დღეს მთელი თეატრი ეძებდა. ეზეკიაზე ერთგულ კაცს თეატრისათვის სანთლითაც ვერ იპოვიდით. მისთვის სამუშაო საათები არ არსებობდა, დაფაჩუნობდა თეატრისათვის შეწირული კაცი ორმოცი წლის განმავლობაში როგორც მეკელაპტრე ბერი ტაძარში და თავისი უხმაუროდ დახარჯული სიცოცხლის, თავისი აუნაზღაურებელი სიყვარულის საფასურად ჩვენგან არაფერს ითხოვდა.

– წაიღო ვინმემ? – უხალისოდ ჰკითხა მიხეილმა. – ისე, სიტყვის მასალად, თორემ თეატრი (და მით უმეტეს პიესა), მოსეს ვაჟს სრულებითაც არ აინტერესებდა. მექუდეს, ღმერთო შეგცოდე და, მაინცდამაინც არც ეზეკია ზონენაშვილი უყვარდა, მარიფათს მოკლებულ, არაპრაქტიკულ კაცად მიაჩნდა.

– პასპორტები აგიღია, – თითქოს ახალ ამბავს ეუბნებაო, ეზეკიამ მისთვის სრულიად უჩვეულო რიხით უთხრა.

– კი, ერთ კვირაში იქეთ გეყოლებით.

– შენს თავს ეყოლე კარგად. ჩვენ რაღას გვეყოლები, მე და მამაშენი გამოღმა ვრჩებით.

– შენ რავა?

– რა რავა? – თითქოს შარზეაო, აიმრიზა ეზეკია.

– არ გადაწყვიტე?

– რაი?

– წასვლა.

– სად.

– იზრაელში.

– გადასაწყვეტი რა მქონდა. მე კაი ხანია გადავწყვიტე და გავათავე კიდეც.

– ეზეკია, ვითომ ახლა შენ ყველაზე ჭკვიანი ხარ იმ ხალხში, ვინც წასვლა ამჯობინა? – არ დაუთმო მიხეილმა.

– ყველა თავის ჭკუით ცხოვრობს.

– აბა რას ჯიუტობ, მითხარი, რა ჯორზე შეჯექი, შენ მაინც არა ხარ ოთხმოცი წლის, მამაჩემივით.

– ოთხმოცი რა შუაშია!

– რა და, რატომ ღუპავ ამ შენს ოჯახს. მთელი ნათესავები იქეთ ვიქნებით. გული მაინც არ დაგწყდება?

– ყველას თავისი გზით გაუმარჯოს გამჩენმა. ჩემი წასვლა არ შეიძლება – მტკიცედ თქვა ეზეკიამ.

– რა არ შეიძლება? ვინ ხარ ამნაირი? შენნაირი ხალხი კი არა, პროფესორები მიდიან.

– ბიძაჩემო, გააჩუმე ეს შენი ლეკვი. – კბილებში გამოსცრა ეზეკიამ. იგი ასე აღელვებული არავის უნახავს.

– ლეკვიო?! ვინაა შენი ლეკვი, შე ღვთის გლახა! მიპასუხე, რას მიაღწიე ამნაირს? რომელი ჩინ-ტემლაკები გრჩება აქანა?!

– ბიძაჩემო! – ნესტოები დახეთქვაზე ჰქონდა ეზეკიას: – უთხარი ამ ბოთეს, მაგან რა იცის, რა არის თეატრი, რა არის ხელოვნება!

– შენ იცი მარტო! – გამომწვევად თქვა მიხეილმა.

– შენ ვის მოაკლდები, შენ ვის აზარალებ. შენნაირი მექუდე ქუთაისს ათასი ჰყავს.

– შენნაირ არტისტს ვერ იშოვის საქართველო!

– ისიც არ იცი, თეატრში რას ვაკეთებ, არტისტი ვარ მე?

– მით უმეტეს.

– ბიძაჩემო, უთხარი რამე, ნუ გადამრევს!

მოსე ლაპარაკში არ ერეოდა, ყველაფერი ესმოდა, მაგრამ მოკამათეებს თავს ისე აჩვენებდა, თითქოს ქუჩაში მიმავალი ხალხი უფრო აინტერესებდა.

– შენნაირმა ხალხმა დაგვწია ასი წლით უკან! ჩემნაირმა მექუდემ შეინახა ებრაელობა, თვარა შენ... შენ მთელი ცხოვრება სხვის საქმეს აკეთებ. ისიც არ იცი, ვისთვის ცხოვრობ ამ ქვეყანაზე, ვის თეატრს ემსახურები.

– თეატრი არ ახსენო, შე ბნელო მედუქნევ! – ეზეკია ცახცახებდა.

– შენ შიშის გამო შეეფარე იმ თეატრს, შენს ცხოვრებაში მანეთის რისკი არ გაგიწევია. თუ გაგიჭირდა, თეატრს კი არა, მამაშენს გაყიდი!

ეს კი მეტისმეტი იყო. ეზეკიამ სკამს წამოავლო ხელი, მაგრამ მიხეილი კატის სიმარდით გაუჩინარდა კარებს იქით.

– ხოცავთ ერთმანეთს?! ბიძაშვილების კვლა დეიწყეთ უკვე? – ვიშვიშებდა მოსე და ეზეკიას ემუდარებოდა, – ეს სკამი დაუშვი, არ გაგიტყდეს, გაყიდული აქვს უკვე, პატრონმა ამ საღამოს უნდა წაიღოსო.

ეზეკიამ სკამი დაუშვა, შემოტრიალდა, ხელები აღაპყრო და დაიყვირა: – ღმერთო! ჩვენს შორის მტყუანს... – მაგრამ ამ დროს მოსე საშინელი ღრიალით ეცა ხელებში და ძირს დააშვებინა.

– არ დასწყევლო! ნუ დამიწყევლი. ისედაც არეულ ჭკუაზე ჰყავს ღმერთს. გზაზე დგას ეს უბედური! აპატიე, ჩემო ეზეკია, აპატიე, დაგენაცვლე. ჩემი ჭკვიანი ეზეკია არა ხარ შენ?!

ეზეკია წავიდა, იმის ფიქრით, რომ ამ კიბეზე მიხეილის და მისი ოჯახის გასაცილებლადაც არ ამოვიდოდა..

* * *

წასვლის დღე გაცილებით უფრო ძნელი აღმოჩნდა, ვიდრე წარმოიდგენდნენ.

ერთბაშად გამოჩნდა ათასი ისეთი აუცილებელი საქმე, რომ ერთ დღეში კი არა, გამგზავრება ერთი წლითაც რომ გადაევადებინათ, მაინც ვერ მოასწრებდნენ.

მიხეილმა სახელოსნოში ჯერ კიდევ გუშინ გამოანთავისუფლა თავისი კუთხე. ანგარიშები გაასწორა. რაც რამ ჰქონდა, თვით ნემსამდეც კი, აბგაში ჩაალაგა, ყველას გამოემშვიდობა და წამოვიდა. შინ მოსულს მოსემ გაუწყალა გული. – რას მოგიხვეტია ეს ხარახურა, წაღებით მაინც არ წაიღებ, იქ კალაპოტების და ნემსების მეტს რას იშოვი. ვერ დაურიგე ამხანაგებსო?

– ეგება დაგჭირდეს რამეში, მამაჩემო. რატომ გადავყაროთ ტყვილა?!

– რაში უნდა დამჭირდეს, ბიჭო? ორად ორი ქუდი მაქვს და სიკვდილამდე მეყოფა. თუ ჭონობას ვისწავლი აწი მე, შენი ჭკუით!

ამ დილით დარცხვენილი მიხეილი ისევ გამოჩნდა თავის ყოფილ სამსახურში. აბგიდან სამუშაო იარაღებს იღებდა და სათითაოდ არიგებდა. ვისაც მიუახლოვდებოდა, ხელს ჩამოართმევდა, საჩუქარს მაგიდაზე დაუდებდა და გამოტრიალდებოდა. საამქროში პანაშვიდური სიჩუმე სუფევდა. მიხეილმა ვეღარ გაუძლო ამ ცერემონიალს, ცრემლები წასკდა, თვალებზე ჭრელი, უჯრედებიანი ცხვირსახოცი მიიფარა და კარი გაიჯახუნა.

სახლში ენით აუწერელი განწამაწია სუფევდა.

სამგზავრო ფუსფუსს ბოლო არ უჩანდა.

მიხეილის მეუღლე, ქალბატონი ევა, მომჭირნე და თადარიგიანი ქალი იყო, მაგრამ ამჟამად ნერვიულობისგან ყელის ძარღვები დაჰბერვოდა და აწითლებულ ლოყებზე წამდაუწუმ ხელს იტკაცუნებდა.

ჩაალაგებდა ჩემოდნებში ბარგი-ბარხანას, ცოტა ხნის შემდეგ ამოყრიდა, ახლა სხვა რამეებს ჩაალაგებდა, მერე ისევ ამოყრიდა და იყო ერთ ამბავში.

– ამაში რა არის? – ჰკითხავდა მიხეილი.

– წიგნებია ბავშვების.

– რაი?

– წიგნები.

– ამოყარე, გელაპარაკები! წიგნები მინდა ახლა მეე? წიგნების მეტი არ მრჩება არაფერი?!

– რა გაღრიალებს! მოდი მაშინ და შენ ჩაალაგე. უწიგნო და უბედური შენი თავი არ გეყოფა? არა, უსწავლელს დავტოვებ შენმა მზემ ძღაბებს.

– აქანა სხვა სწავლაა! ვერ გავაგებინე, შე ცოცხალაშენებულო! ვის რათ უნდა იქ შენი ისტორია და „საზოგადოებათმცოდნეობა“, – ეს უკანასკნელი მიხეილს ჩემოდნიდან უკვე ამოელო და ხელში ეჭირა. უნდა გამოვტყდეთ, ასეთ სახელმძღვანელოს იგი პირველად ხედავდა.

უფროს ქალიშვილს, ჯულიეტას, მოსწყენოდა ეს უსაფუძვლო მზადება, ყველაფერზე ხელი ჩაექნია და გულზე კატაახუტებული სკამებშუა მიმოდიოდა.

უმცროსი – მერვეკლასელი მანანა ჭიშკართან თავის ორ თანაკლასელ გოგონას გადახვეოდა და გულამომჯდარი ქვითინებდა.

მოსე თავის ჩვეულ ადგილას აივანზე იჯდა, ხელებით ჯოხს დაყრდნობოდა და ნახევრად ღია თვალებით სივრცეს გაჰყურებდა. მან მხოლოდ ერთხელ აიღო თავი, ჯულიეტას ხელით უხმო და ხმის კანკალით, ძლივს გასაგონად უთხრა:

– დამთხვეულ მამაშენს უთხარი, ალბომი გადაარჩიოს. თქვენი სურათები დამიტოვოს, სხვა არაფერი მინდა.

მიხეილმა უცებ ჩალაგება შეწყვიტა, ჩემოდანს გადააჯდა და მოსეს მიაჩერდა.

ჩემოდნებში არაფერი ეტეოდა. ყველაფრის წაღება უნდოდათ, მაგრამ ვერ ახერხებდნენ. სპილენძის ტაშტი სამჯერ ამოუგდო ბოღჩიდან ქმარმა, მაგრამ ევამ სამჯერვე უკან ჩააბრუნა.

...მოსე ზონენაშვილი დიდხანს იდგა ბაქანზე შესაფუთავად გამოტანილ ქანდაკებასავით და საღორიას ტყისკენ კივილით მიმავალ მატარებელს შეჰყურებდა.

იგი მარტო დარჩა.

სადგურზე უამრავი ნათესავი ტრიალებდა, მაგრამ მატარებელი რომ წავიდა, ყველამ თავისი გზა მონახა. მოსე არავის გახსენებია, ხელი რომ ჩაევლო და სასოწარკვეთილი მოხუცი სახლამდე მიეყვანა.

ქუჩაში ჯოხის კაკუნით, მთვარეულივით მიბარბაცებდა.

„ახლა ფიქრის დრო, იცოცხლე, ბევრი მაქვს. იქნებ მეც უნდა წავსულიყავი. ჩემი აქ დარჩენა სჭირდება ვინმეს? ვის რაში სჭირდება ბებერი მოსე ზონენაშვილი. არა, ჩემო ღმერთო, შენ არ მირჩიე. არ დამაძალე, დაგენაცვლე და, მართალიც ხარ. ამხელა ტვირთი რომ ამკიდე, ჩემი რა იმედი გქონდა, შე სულგანათებულო? რომ ვერ შევძლო, რომ გამიჭირდეს? მორჩა. აწი მე ჩემ შვილს და შვილიშვილებს ცოცხლად თვალს ვერ შევავლებ. ამხელა ტკივილი რის ფასად მომანიჭე, შენს სახელს ვენაცვალე? ამ ცის და მიწის ფასად? ამ ძველი ჯაჭვის ხიდის ფასად? ამ ძმასავით თანშეზრდილი მწვანე ბაზრის და ნაცნობებით სავსე ქუჩების ფასად? იქაც ხომ იქნებოდა ცა და ქვეყანა, ქუჩები და ბაზარი, მარა იქ შენ არ იქნებოდი ის მოსე, რაც აქა ხარ: მყიდველ გამყიდველის მომრიგებელი, ჩხუბში გამზავებელი, დაბნეულისთვის ჭკუის დამრიგებელი. იქ სხვა მოსეები ხეირობენ. ამ სახელს და გამავლობას, ამ ქალაქში რომ მაქვს, ორმოცი წლის სიცოცხლეც რომ დამრჩეს იქ, ვერ მივაღწევ. არა, მე არ გემდური, კაი ჰქენი, ღმერთმანი. მე ამ მიწის ბელტი ვარ. მადლობელი ვარ, ღმერთო, მე აქ უნდა მოვმკვდარიყავი!“

სალოცავში შეიარა, მის დანახვაზე ხის ჩუქურთმიან კართან ფუტკრებივით მოზუზუნე ებრაელები უეცრად დადუმდნენ, უკუდგნენ და მოსეს გზა დაუთმეს.

მოხუცს ეს უეცარი დადუმება და გზის დათმობაც ცუდად ენიშნა.

* * *

დილით კულაშიდან შორეული ნათესავი, მეწვრილმანე ისინკა ციციაშვილი ჩამოვიდა.

აივანზე მოსეს მოჰკრა თვალი და ლაპარაკ-ლაპარაკით ამოიარა კიბე, მაგრამ მოხუცმა ხმა რომ არ გასცა, იფიქრა, სძინავსო და გამართულად მჯდომარეს სკამის ზურგზე მიუკაკუნა.

სტუმარს გულმა რეჩხი უყო. წინიდან შემოუარა და თვალებში ჩახედა.

მკვდრის ღიად დარჩენილი თვალები მრისხანედ და მონდომებით შორს იცქირებოდნენ.

ზელიმხანი

მხატვარ ზურაბ ფორჩხიძეს ვუძღვნი

„გააწყალეს ამ თავისი არტისტობით გული. მაინც რაც სოფრომაძე მოშავდა, თვეში თითო წარმოდგენას მართავენ. მარტო ბილეთის ფულს ვინ ჯერდება, თორემ წაიღონ ეს მანეთი, ვინ დაეძებს. მოიყვანე შენი საწყობის ხალხი და მოდიო, ფხაკაძემ. რა უნდა ითამაშონ ამგენმა. ამგენის შესრულებული როლი ვნახე დამწვარი. ასე ჰგონია, ალბათ, იმ ჩხიკვთავა სოფრომაძეს, რაც მეტ პიესას დავდგამ, მით მეტი სახელი და გამავლობა მექნებაო. მაგას ხელოვნება მოსწრებაზე ჰგონია. რა გეჩქარება, სად გარბიხარ. რომელი გეგმა შენ გაქვს შესასრულებელი, ჩაჯდეს როლში ხალხი. ატარე რეპეტიციები და იყავი. ხელფასს გიკავებს ვინმე თუ რაი. სად მცალია ამგენის საგლახაოდ, ათასი საქმე მქონდა დღეს სახლში“. – ასე ფიქრობდა ლითოფონის ქარხნის სცენისმოყვარეთა კლუბის კიბეზე ამავალი ზელიმხან ხერხაძე. ზელიმხანი ორმოციოდე წლის, საშუალოზე ოდნავ მაღალი, მსხვილკისერა მამაკაცი გახლდათ. სიარულის დროს ქუსლებს ისე მაგრად ურტყამდა კიბეს, გეგონებოდათ, მარმარილოს სიმაგრეს ამოწმებსო. ახალი პალტო ეცვა და გარდერობში დატოვება დაენანა, დამინახოს ამ ახალ პალტოში მტერ-მოყვარემო. ახალი პალტო ეცვა, მაგრამ რად გინდა, ისიც ძველივით ჰქონდა კისრის ქვემოთ გადაგდებული. ჩაცმის ამ მეთოდს ისე დაეუშნოვებინა ეს ახალი პალტო, შემკერავს რომ დაენახა, შეიძლება ფანჯრიდან გადამხტარიყო. ისე მილაყუნობდა კიბეზე ზელიმხანი, რომ ცუდად აწყობილი რობოტი გეგონებოდათ. ხანდახან თუ კისერზე პალტოს საყელო შემთხვევით მოედებოდა, დამდუღრულივით გაასავსავებდა ხელებს და კისერს, რაც შეეძლო, წინ წაიგდებდა.

კისერზე ვერაფრის მიკარებას ვერ იტანდა. ამის გამო ჰალ-სტუხი მის ცხოვრებაში არ უხმარია, გარეულ ტახს ხერხემ-ლის გასწვრივ რომა აქვს, დაახლოებით ისეთი თმა ჰქონდა, მართალია, თმის სიხშირით ვერ დაიკვეხნიდა, მაგრამ, რაც ჰქონდა, საიმედოდ ჰქონდა და გაცვენის საშიშროება არ ემუქრებოდა. ხომ ასეთი თმის პატრონი იყო, ფერმკრთალ სახეს რბილი, ფაფუკი წარბები და ასეთივე რბილი ჟანგ-ისფერი ულვაში უმშვენებდა. ულვაშს წლის განმავლობაში ხშირად უცვლიდა ფორმას, ხან ნიკაპამდე ჩამოიგრძელებდა (რის შემდეგაც მეციხოვნე ყიზილბაშს დაემსგავსებოდა), ხან კი ისე შეამოკლებდა, რომ ტუჩების სიგრძეზეც ვერ წვდე-ბოდა! სქელი ულვაში რომ მობეზრდებოდა, გაათხელებდა. ერთი სიტყვით, თავის ულვაშს როგორც უნდოდა, ისე ექ-ცეოდა. გაპარსვით კი მთლიანად არასოდეს იპარსავდა, ვერ ელეოდა. ღმერთმა კარგად მოახმაროს და იმოდენა ყურები ჰქონდა, რომ ქარხანაში ხუმრობდნენ, ბავშვობაში დედამისი რომ დაბანდა, ყურებს გასაშრობად თავს ზემოთ სარეცხის სამაგრით უბნევდაო. სიარულის დროს ხანდახან თავის თავს წაელაპარაკებოდა და მაშინ შუბლით რომ დაჯახებოდი, ვერ დაგინახავდა. ამიტომაც ზოგს უცხვირპირო ეგონა, მაგრამ მართლა უცხვირპირო კი არ იყო. საწყალი გული ჰქონდა, შენი გულისთვის წყალში ჩადგებოდა, თან გადაგყვებოდა, მაგრამ თუ რამეს აწყენინებდი, მტრისას, მუნჯის გაბრაზება იცოდა. მერე აღარ უნდოდა შენი არაფერი. ოქროს კვერცხი რომ გეგორებინა გულზე, შენკენ აღარ მოიხედავდა, საწყ-ობს რომ სჭირდება ისეთი კაცი იყო, სამსახურის საქმეში ხათრი-მათრი არ იცოდა. ჭიპზე რომ გამსკდარიყავი, რაც არ გეკუთვნოდა, ვერ მიიღებდი, ამიტომაც ღვთის წინაშე, ბევრს არ უყვარდა.

რვა საათი კარგა ხანია შესრულდა. დარბაზი სავსე იყო. ერთი პირობა მესამე ზარი გაისმა და ჭაღიც ჩააქრეს. მაგრამ ისევ აანთეს სინათლე. პრემიერის მოლოდინში ხალხი ღელავ-და. ფარდის ხან ერთ კუთხეში გამოჩნდებოდა გრიმწათხაპ-ნილი სახე და ხან მეორეში. რა უნდოდათ, ვის დაეძებდნენ

სცენისმოყვარეთა დასის წევრები მაყურებელთა შორის, ეშმაკიც ვერ მიხვდებოდა. ოდნავ რომ შეირხეოდა ფარდა, ყველამ იცოდა; რომ ცნობისმოყვარე არტისტი გამოიჭყეტდა, სახის იმ ნაწილით, რაც მოჩანდა (დანარჩენს ფარდის ნაოჭით გულმოდგინედ იფარავდა), ძნელი იყო მუშა-მსახიობის ცნობა, მაგრამ რამდენიმე მაყურებელი ამითაც ერთობოდა.

– დაიწყონ ახლა თუ იწყებენ. თუ არადა, გაგვიშვან სახლში! – დაიძახა ვიღაცამ.

– მოკარნახე დაეკარგათ და ეძებენ. – გამოეპასუხა ახალგაზრდული, თამამი ხმა.

– საკარნახოდ თუ აქვთ საქმე, წინ ყოფილან აბა. – შემთხვევა არ გაუშვა მესამემ.

– სად წავიდა, აწი, მოკარნახე? – გულწრფელად იკითხა ინტელიგენტურმა ხმამ.

– გათხოვდა, – უპასუხეს მას.

ვიღაცამ ტაში დასცხო, მაგრამ სხვები ვერ აიყოლია და ჩაჩუმდა.

ზელიმხანი შემოსასვლელში საღებავგაცლილ სვეტს (ერთ-ორჯერ მაინც გაუსვა ხელი, ხომ არ გადადისო) მიყრდნობოდა და დარბაზს ათვალიერებდა. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ცარიელ სკამებს უთვალთვალებდა – როცა დაიწყებენ, თუ რაიმე ხეირიანი შევატყვე, შევალ და დავჯდები, თუ არადა, წავალ სახლშიო. ამგვარად ჰქონდა გადაწყვეტილი და როგორც შეასრულებს თავის ამ ჩანაფიქრს აგერ ვიქნებით, ძვირფასო მკითხველო, ჩვენც და დავინახავთ.

– პატივცემულო.

ზელიმხანი მოტრიალდა, მის წინ თვით რეჟისორი სოფრომაძე იდგა. საწყობის გამგე შორიდან იცნობდა ლითოფონის ქარხნის დრამწრის ხელმძღვანელს და ცოდვა გამხელილი სჯობს, მაინცდამაინც არ ეხატებოდა გულზე, უსაქმო ეგონა. სინამდვილეში ამ ახალგაზრდა ხელოვანს საქმე თავზე საყრელი ჰქონდა. ტანი დიდი არ მიეცა გამჩენს, მაგრამ რაც მიეცა – კოხტა და ჩასხმული. მოდაზე ეცვა. ფართო შარვალს ისე ჩაეყლაპა მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი, სიარუ-

ლის დროსღა თუ შეატყობდი, რომ ფეხზე ეცვა. ქამარს თავისთავად ფართოს ატარებდა, მაგრამ იმოდენა ბალთა ეკეთა, რომ ქამარი ორი იმ სიფართეც რომ ყოფილიყო, დაიტევდა. ვიწრობეჭებიანი პიჯაკის მარჯვენა გულის ჯიბესთან, რატომღაც, ნიქოზიის ფორთოხლის წვენის ქარხნის ლურჯად მოჭიქული ნიშანი ეკეთა. გააჩნია საქმეს რას დავარქმევთ, თორემ თავისი გაგებით სოფრომაძეს მოსვენება არ ეწერა. დღედაღამ ზეშთაგონების ცხელ ტაფაზე იწვოდა. ახალგაზრდა რეჟისორი იყო და, მართალია, სადიპლომო სპექტაკლით ინსტიტუტი ვერ გააოცა, მაგრამ თუ რაიმე მოეპოვებოდა შესახარბებელი, ეს იყო ტიტანური ენერგია. სოფრომაძემ დაღლა არ იცოდა. პიესებს კითხულობდა, თეატრალურ პრესას ხომ არ გამოტოვებდა. ცოტას ხატავდა კიდეც. თვითონვე ადგენდა ჩანახატებს მომავალი სპექტაკლისათვის. მართალია დრამწრის ეკონომიური შეზღუდულობის გამო იმ სქემებს და ჩანახატებს მხოლოდ ნაწილობრივ ასხამდა ხორცს სცენაზე, მაგრამ გულს არ იტეხდა და, როგორც ადგილობრივი რეცენზენტები აღნიშნავდნენ, სპექტაკლიდან სპექტაკლამდე იზრდებოდა.

– რაშია საქმე? – უგულოდ ჰკითხა ზელიმხანმა. იფიქრა ეს ლაწირაკი ახლა, ალბათ შენიშვნის მოცემას მიპირებს, კარებში რატომ დგახართ და დარბაზში რატომ არ შებრძანდებითო.

– დიდ ბოდიშს ვიხდით, მაგრამ გამოუვალი მდგომარეობა გვაქვს და უნდა გვიშველოთ.

– რა გაქვთ?

– მდგომარეობა.

– მერე მე რა ვქნა? – შემოტრიალდა ზელიმხანი, რათა ერთხელ და სამუდამოდ დარწმუნებულიყო, მართლა გონებასუსტი იყო ეს კოპწია რეჟისორი თუ არა.

– რა მოხდა, ახლა, ისეთს კი არაფერს გთხოვო. – გაწითლდა რეჟისორი.

– ხალხი არ გყოფნით? – ზელიმხანს უნდოდა დაეცინა დრამწრის ხელმძღვანელისთვის. „ახლა ამან თუ გამიბედა,

მასა არა გვყავს და გაიქეც-გამოიქეცი ერთი სცენაზეო, მე ვიცი, რას ვეტყვი. ეგება კულისებშიც ვერ შემასწროს“ გაუელვა ზელიმხანს.

– პალტო დაგვჭირდება ცოტა ხანს, – როგორც იქნა ამოღერღა სოფრომაძემ.

ზელიმხანს ჯერ ხუმრობა ეგონა და თვითონაც ხუმრობის ხასიათზე დადგა.

– ცივა ვინმეს?

– არა, კი არ ცივა. როგორ გითხრათ. როლში პალტო უნდა ეცვას.

– არა უშავს, იყოს უპალტოოდ. ითამაშოს კარგად და ნახევარი დარბაზიც ვერ გაიგებს, პალტო რომ უნდა ცმოდა – გაიცინა ზელიმხანმა.

– საღადავოდ მაქვს მე საქმე? – ტირილი გაერია რეჟისორს ხმაში და ის იყო სხვა პალტოიანს დაუწყო თვალით ძებნა, რომ ზელიმხანმა პალტო გაიხადა და ხელში შეაჩეჩა.

– ვინ გითხრა მერე ვარი, ბიძია, ჰა, ბატონო, თუ ეს პალტო უშველის საქმეს, დაიწყეთ ოღონდ დროზე.

– კი, ა, ამ წუთში ვიწყებთ – გახარებული სოფრომაძე კულისებში გაუჩინარდა.

ზელიმხან ხერხაძემ იქვე, გასასვლელთან თავისუფალი სკამი იპოვა და დაჯდა. ახლა იგი იძულებული ხდებოდა, მოეწონებოდა თუ არა სპექტაკლი, ბოლომდე დარჩენილიყო. ცოტა ნაწყენი კი იყო სოფრომაძის სითამამით, უცნობ კაცს პალტო ამაღლიტაო, მაგრამ მერე დაასკვნა, რომ მისი საქციელი ხელოვნებისთვის მცირე სამსახურის გაწევას ნიშნავდა და დამშვიდდა.

სპექტაკლი დაიწყო.

ფარდის გახსნისთანავე გამოვიდა შავ რეიტუზში გამოფსკვნილი მუშა-მსახიობი, გუბელაძე და სცენის შუაში თოკით დაშვებულ ზარს შემოჰკრა. ზარის ხმაზე დოლი აბრაგუნდა და მკრთალად განათებულ სცენაზე შემოცვივდნენ ცხვირპირზე რიდეჩამოფარებული ფიგურები. კუდები არ ჰქონდათ, თორემ ნამდვილ ეშმაკებს ჰგავდნენ. ჯოჯოხეთური

ცეკვა გაიმართა. მაკრატელას წესით ხტებოდნენ მაღლა. იატაკს თავით ეხეთქებოდნენ. გაფარჩხულ თითებს ერთმანეთს ცხვირში სცემდნენ. „გრძელი ვირის“ მსგავსად ზურგზე ახტებოდნენ. ერთი სიტყვით, პრემიერა დიდი ორომტრიალით დაიწყო. რატომღაც არც ამ ორომტრიალს აუღელვებია ხალხი, რადგანაც რეჟისორ სოფრომაძის შემოქმედებაში დიდ სიახლედ არ მიიჩნიეს. უკვე მესამე სპექტაკლს იწყებდა სოფრომაძე დაახლოებით ამგვარ მალაყ-ხტუნვითა და აჟიოტაჟით. ლითოფონის ქარხნის მაყურებლებში რა ესთეტიკურ ასოციაციებს იწვევდა ეს წარღვნისწინა ცეკვა, ძნელი სათქმელია, მაგრამ მაყურებელს რომ აჩუმებდა და მის ყურადღებას სცენისკენ წარმართავდა, ეს ნაღდი იყო.

მუშა-მსახიობმა, გუბელაძემ მეორედ შემოჰკრა ზარს და ეშმაკეული ლანდები გაჰქრნენ სცენიდან. დაიწყო უშუალოდ წარმოდგენა. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, სცენა განათდა და უდეკორაციო (სადღაა ახლა დეკორაცია) არენაზე მორიგეობით შემოდიოდნენ დრამწრის წევრები და პიესის ტექსტს ზეპირად წარმოსთქვამდნენ. თეატრალური საცოდაობა უფრო შორს ვერ წავიდოდა. სახელის განთქმის მოსურნე თავის სიტყვას რომ ჩაამთავრებდა, შემობრუნდებოდა და დარბაზს ათვალიერებდა. თითქოს უკვე აღარ აინტერესებდა, რას ეტყოდა მოპასუხე. მან თავისი ტექსტი თქვა და გაათავა, ახლა სხვამ იტეხოს თავიო. ამ პიესაში მოქმედება გასულ საუკუნეში, კორდილიერებში ხდებოდა, მაგრამ მაძიებელ რეჟისორს ტანსაცმლით კოლორიტის შექმნის ძველთაძველ ხერხზე უარი ეთქვა და მუშა-მსახიობები თითქმის იმ ტანსაცმლითვე თამაშობდნენ, როგორც მოვიდნენ შინიდან. გამონაკლისს მხოლოდ საღებავების წუნმდებელი ზაურ ფოფხაძე წარმოადგენდა. ზაური ფილოლოგის დიპლომით მოვიდა წარმოებაში და მოკლე დროში მოიხვეჭა ის ავტორიტეტი, წუნმდებელს უსათუოდ რომ უნდა გააჩნდეს. სწორედ ზაურს ეცვა ზელიმხან ხერხაძის პალტო. ზაური ინკვიზიციის აგენტის როლს თამაშობდა და, რასაკვირველია, პალტო უნდა სცმოდა, ხერხაძის პალტო მისთვის სრული და გრძელი

იყო (ნაბადივით ჰქონდა მხრებზე მოდებული), მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ეს პალტო როლს ძალიან მოუხდა. ზელიმხან ხერხაძის ახალ პალტოში ინკვიზიციის აგენტი უფრო საზიზღარი და იდუმალი ჩანდა. პირველ მოქმედებაში აგენტი – ზაურ ფოფხაძე, ორჯერ გამოჩნდა სცენაზე (მეორე და მესამე სურათში), მაგრამ თავისი გამოჩენა ფასად დაუსვა პიესის სხვა მშვიდობიან პერსონაჟებს. ერთს ცხელი ტაფა დააფშვნა თავზე, ხოლო მეორეს უზარმაზარი დოლი ჩამოახია. სხვა მხრივ კი, ინკვიზიციის აგენტის პირობაზე საკმაოდ წყნარად და ჭკვიანად იქცეოდა.

პირველი მოქმედება რის ვაი-ვაგლახით ჩათავდა. ჯერ თვითონ პიესის პატივცემულ ავტორს გაევსო მინიშნებებით და ქვეტექსტებით ნაწარმოები, მერე რეჟისორს თავისი ახირებით სულ დაებნელებინა წარმოდგენის აზრობრივი მხარე, თქვენთვის გასაგები გახდება, რას გაიგებდნენ მაყურებლები ლითოფონის ქარხნის დრამწრის ამ მრავლისაღმთქმელი პრემიერიდან.

უკმაყოფილო მაყურებელი აღშფოთებას ვერ მალავდა. აქა-იქ დამამცირებელი შეძახილებიც გაისმა:

– მიხვედრაზეა!

– მიხვედრაზე კი არა, გაძლებაზეა!

– დაგვირიგონ ეს პიესა, ეს უპატრონო, და წევიკითხავთ სახლში!

– თამაშს თავი დაანებე, გრიმიც რომ არ იციან?

– შენ ეგა თქვი. ყველას სწორი წარბები რავა აქვს იმ ქვეყანაში (ამ უკანასკნელ შენიშვნაში მაყურებელი მართალი იყო. რატომღაც ყველა მუშა-მსახიობს სურვილი გასჩენოდა, რომ მაინცდამაინც სცენაზე ყოფილიყო ლამაზი და სჭირდებოდა თუ არა პიესის იერსახეს, ყველას ლარივით სწორი წარბი დაეხატა, რაც სხვა მიზეზებთან ერთად, სპექტაკლის სრულფასოვან აღქმას დიდად უშლიდა ხელს).

– დასახურავია ეს დრამწრე!

– აფიშა უნდა მოვიპარო და დავკიდო სახლში!

– გუბელაძეს უნდა დავხვდე თავის ჭიშკართან ამეღამ!

– რას ერჩი?!

– ყურზე უნდა ვაკოცო.

პირველი მოქმედების მერე დარბაზი განახევრდა. სოფრომაძე ამ ფაქტს თეატრისადმი მაყურებლის გაუცხოვებით ხსნიდა, მუშა-მსახიობები კი მაყურებელთა ფართო მასის დაბალი გემოვნებით. ვინ იყო მათ შორის მართალი, მაგის განსჯაში ნუ შევალთ. ჩვენ ჩვენი საზრუნავი გვყოფნის.

დაიწყო მეორე მოქმედება. ზელიმხანი გულზე იყო გამსკდარი, სოფრომაძეს პალტო რომ არ წაერთმია, ახლა სახლში ვიქნებოდიო. მთელი პასუხისმგებლობით დავარწმუნებთ მკითხველს, რომ ზელიმხანი გაპარულთა რიგებს დაამშვენებდა და სცენაზე რომ მისი პალტო არ ფიგურირებდეს, არავითარ შემთხვევაში არ დარჩებოდა მსოფლიო თეატრალური ხელოვნების დამამცირებელი ამ წარმოდგენის სანახავად.

ინკვიზიციის აგენტი შემოვიდა და პირობითი დეკორაციით მორთულ-მოკაზმული ოთახის შუაგულში გაჩერდა. პალტო, რასაკვირველია, არ გაუხდია, პირობით მაგიდასთან მისი ცოლი იჯდა და ნამდვილი ჭიქიდან ჩაის სვამდა. ცოლ-ქმარმა რამდენიმე ბუნებრივი ფრაზა ესროლეს ერთმანეთს. კულისებიდან ბაკენბარდებიანმა ყაჩაღმა გამოყო თავი და ინკვიზიციის აგენტის ცოლს დაუძახა: „მოწამლე, მე შენ გელაპარაკები!“ ეს სიტყვები ისე ხმამაღლა იყო ნათქვამი, რომ ზელიმხანის შეტყობით, აგენტსაც უნდა გაეგონა, მაგრამ როგორც მოქმედების შემდგომმა განვითარებამ დაადასტურა, მოსაწამლავ არსებას ეს სიტყვები არ გაუგონია და ბევრიც წააგო. „ახლავე“ – დაუძახა ცოლმა ბაკენბარდებიან ყაჩაღს, მაყურებლისაკენ შემოტრიალდა, უბიდან საწამლავი ამოიღო, ჭიქაში ჩასცალა და ქმარს გაუწოდა.

– ეს რა არის? – იკითხა აგენტმა – ზაურ ფოფხაძემ.

– ღვინო. – უპასუხა ცოლმა.

მაყურებლებში სიცილი გაისმა, აშკარა იყო, რომ მეუღლეს სიჩქარეში ჭიქის ღვინით ავსება დაავიწყდა და თავის აგენტ მეუღლეს საწამლავს ნატურალური სახით აწვდიდა.

– დამისხი ღვინო! – დაიძახა აგენტმა და ზურაბ ფოფხაძე უაღრესად კმაყოფილი დარჩა თავისი მიხვედრილობით. იგი ყველას სიამოვნებით უამბობდა მომავალში, თუ როგორ იხსნა დრამწრე შერცხვენისაგან.

მეუღლეს ისღა დარჩენოდა, ძველებური ლიტრიანიდან ქარვისფერი, ბუჟბუჟა ლიმონათით შეევსო საწამლავიანი ჭიქა და თანამეცხედრისათვის მიეწოდებინა.

აგენტმა ცოლს ჭიქა გამოართვა და ავანსცენისკენ წამოვიდა.

– არ დალიო! – წამოცდა ზელიმხან ხერხაძეს, მაგრამ ინკვიზიციის აგენტმა არათუ დალია საწამლავი, არამედ შუბლზე ხელიც მიიდო, ერთი-ორჯერ წაბარბაცდა კიდეც და მერე მოწყვეტილივით დაეცა იატაკზე. მტვრის ბუღი ავარდა, მოწამლულის თავზე მუშტივით შეიკრა და მერე მაყურებელში გაიშალა. აქ უსიამოვნო მხოლოდ ის იყო, რომ ზაურ ფოფხაძე ზელიმხანის ახალთახალი დრაფის პალტოთი ეგდო მტვერში, თორემ წაქცევით ბუნებრივად წაიქცა.

ცოლი მივარდა და სულთმობრძავ მეუღლეს ჯიბიდან ბორკილები ამოაცალა. ბორკილები იატაკზე დაყარა და ფეხებით გათელა. თანაც ამას ისეთი სიხარულით აკეთებდა, რომ კულისებში მყოფმა ბაკენბარდებიანმა ყაჩაღმა ვერ მოითმინა, სცენაზე შემოვარდა და ახლადმოწამლულს ერთი-ორჯერ იღლიებში ჩექმიანი ფეხი ამოჰკრა. ფეხი, რასაკვირველია, ბაკენბარდებიანმა ზელიმხანის პალტოს ამოჰკრა. მერე შემოტრიალდა და ქმრის მკვლელს გადაეხვია. ხვევნა-კოცნა, თუმცა დრამწრისთვის ასატან დონეზე მიდიოდა, მაგრამ ამ დროს მოხდა ისეთი რამ, რომელსაც არათუ სოფრომაძე, სოფრომაძეზე ბევრად გამოცდილი რეჟისორიც კი ვერ გაითვალისწინებდა, სცენაზე თორმეტიოდე წლის ლურჯსვიტრიანი ბიჭი შევიდა, ალერსში გართულთათვის არც შეუხედავს პირდაპირ მკვდარ აგენტ ზაურ ფოფხაძეს დაადგა თავზე და საკმაოდ გარკვევით უთხრა:

– პალტოვო!

დარბაზი გაისუსა.

ბაკენბარდებიანმა და აგენტის ყოჩაღმა მეუღლემ ხვევნა-კოცნას წუთით თავი გაანებეს და ბიჭს მოუბრუნდნენ.

– პალტოვო! – გაიმეორა ბიჭმა.

სცენა გაცივდა, მაყურებლებში აქა-იქ თავშეკავებული ფხუკუნი გაისმა. ბიჭი ისე ჯიუტად და სერიოზულად დაჰყურებდა იატაკზე გაშხლართულ აგენტს, რომ ცხადად ჩანდა, იგი არ ხუმრობდა. ზაურ ფოფხაძემ ჯერ ცალი თვალი გაახილა, მერე მეორე და როცა ბიჭმა მესამეჯერ გაუმეორა რაზედაც იყო მოსული, მოწამლული აგენტი, ავტორისა და რეჟისორის ჩანაფიქრის სრულიად საწინააღმდეგოდ, წამოჯდა და ლურჯსვიტრიანს გაბრაზებით ჰკითხა.

– რა პალტო?!

– რა პალტო და, რომელიცხა გაცვია მაქანა გაიხადე და გამოატანე მაგ ბავშვს. თქვენ მაგის ღირსი არ ხართ! – ეს უკვე ზელიმხან ხერხაძის ხმა იყო. ყველამ მისკენ მიიხედა. ზელიმხანი გასასვლელთან საღებავგაცლილ ხის სვეტს მიყრდნობოდა და პაპიროსს ნერვიულად აბოლებდა.

ზაურ ფოფხაძე დარცხვენილი წამოდგა, პალტო გაიხადა და ბიჭს ლამის თავზე გადააფინა, მერე ხელი ჩაიქნია და სცენიდან გავიდა.

დარბაზში გამაყრუებელი ხარხარი გაისმა. ლითოფონის ქარხნის კლუბი ომახიანი სიცილისაგან ისე ძიგძიგებდა, რომ ქუჩაში გამვლელნი ჩერდებოდნენ, სიცილგარეულ კივილს მიაყურებდნენ და ჩქარი ნაბიჯით შორდებოდნენ იქაურობას.

მართალია, სპექტაკლის გაგრძელებას აზრი აღარ ჰქონდა, მაგრამ სოფრომაძის ჯიუტი ნებით მუშა-მსახიობებმა მაინც ითამაშეს წარმოდგენა. თუმცა მაყურებელთა ხარხარში თავიანთი ლაპარაკი თვითონვე ძლივსღა ესმოდათ.

* * *

რევაზ სურმავა პროექტს წერდა. იგი ადგილკომის მდივანი იყო და ოქმებისა და პროექტების შედგენაში ხელი საკმაოდ გაწაფული ჰქონდა. მესამე გრძელი წელი მიდიოდა,

რაც რევაზს დაჰპირდნენ, ცოტა ხანს მდივნად წაიმუშავე და თავმჯდომარედ გადაგიყვანთო, მაგრამ მის იქ ყოფნაში უკვე ორჯერ ჩატარდა ადგილკომის არჩევნები, ორჯერ ახალი თავმჯდომარე აირჩიეს, რევაზს კი ოქმების წერის მოსაწყენი საქმე შეატოვეს. ერთ არჩევნებს მოვუცდი და, თუ არაფერი გამოვიდა, წავალ აქედანო, ფიქრობდა მდივანი. ეტყობოდა ცოტა უცნაურ პროექტს წერდა, რადგანაც ხანდახან ჩაიცინებდა, ჩაიკითხავდა დაწერილს, არ მოეწონებოდა, დახევდა და თავიდან იწყებდა. მე პირველად ვნახე კაცი, რომ იცინოდეს ისეთი სერიოზული საქმის კეთების დროს, როგორიც ოქმის წერა გახლავთ.

რევაზ სურმავამ ქაღალდები ამოიღლიავა და თავმჯდომარესთან შევიდა. თავმჯდომარემ სახეგაბადრული მდივანი რომ დაინახა, სასიამოვნო ამბის შესატყობად მოემზადა, მაგრამ, როცა რევაზ სურმავამ აუწყა, ზელიმხან ხერხაძის პროექტს ვწერ და დანაშაულის ფორმულირება გამიჭირდაო, ადგილკომის თავი მოიღუშა.

– რა ჩავწერო, სპექტაკლის მსვლელობის დროს საკუთარი პალტოს წაღებისათვის დაისაჯოს-მეთქი? – ღიმილით ჰკითხა მდივანმა.

– არ ივარგებს, მოვა ვიღაცა და წაიკითხავს, თავისი პალტო თუ წაიღო, რას ერჩოდით, საყვედურს რაზე აძლევდით ამ კაცსო.

– „მუშა-მსახიობისთვის პალტოს თხოვებაზე უარის თქმისთვის?“

– არც ეგ ვარგა. მაგაზე ჩვენ მოგვხვდება. თუ ტანსაცმელი და რეკვიზიტი არა გაქვთ, დაანებეთ ამ სპექტაკლებს თავიო.

– „სპექტაკლის მსვლელობის დროს დრამწრის მთავარ რეჟისორთან წინასწარი შეთანხმების დარღვევისათვის და პალტოს უკან დაბრუნების მცდელობისათვის?“

– ხომ გეუბნები, არ ვარგა. ჩვენ თვითონ გავიხდით სასაცილოდ თავს. ასე უბრალოდ ჩაწერე: „დაადგინეს: გამოეცხადოს საყვედური საწყობის გამგეს ზელიმხან ხერხა-

ძეს 197... წლის 15 ოქტომბერს დრამწრის პრემიერის ნორმალური მსვლელობისათვის წინასწარმოუმზადებლად ხელის შეშლისათვის“. თუ გვკითხავენ, მერე ავუხსნით კონკრეტულად, ჩემო ბატონო, რაში იყო საქმე.

ეს აზრი რევაზსაც მოეწონა.

ვინ იცის, როგორ წარიმართებოდა ადგილკომის სხდომა, მაგრამ რევაზ სურმავა ღრმად იყო დარწმუნებული, რომ დამნაშავეს თავის გასამართლებლად რა არგუმენტებიც არ უნდა წარმოედგინა, პროექტი მაინც არ შეიცვლებოდა.

ვინ დამეძებს...

დიდმიწელებმა იგი ადრევე შენიშნეს და შორიახლოს ცნობისმოყვარეთა კარგა მოზრდილი ბრბო მიჰყვებოდა. დაბალი ტანის კაცი იყო, ტყავის სერთუკი ეცვა და თავზე უადგილო ადგილას გაკეცილი, ფერგადასული შლიაპა ეხურა. სოფელ დიდმიწის მცხოვრებნი სტუმრიანობას მიჩვეულნი იყვნენ და მისი უცნაური საქმიანობა აჩერებდათ, თორემ კარგა ხანია დაკარგავდნენ ინტერესს შლიაპოსნისადმი. სტუმარი კი ირგვლივ მყოფთ ყურადღებას არ აქცევდა, ელექტრონის ბოძების დანომრვით იყო გართული. ავტობუსიდან რომ ჩამოხტა, ტყავის ჩანთიდან ცარცი და უბის წიგნაკი ამოიღო, პირველივე ბოძთან მივიდა და „35“ დააწერა. მერე საწერკალამი იშიშვლა და უბის წიგნაკში რაღაც ჩაინიშნა. სამუშაო იარაღი (ცარცი, უბის წიგნაკი, საწერ-კალამი) მარჯვენა ხელში ეჭირა. ელექტრონის ბოძს ჯერ შორიდან შეათვალიერებდა, კალამს დაუმიზნებდა და ცალ თვალს მოჭუტავდა, მერე მტკიცე გადაწყვეტილებით მიუახლოვდებოდა და ნომერს დააწერდა. დიდმიწელები მაშინ უფრო დარწმუნდნენ სტუმრის საქციელის მთელ იდუმალებაში, როცა „39“-ის შემდეგ ელექტრონის ბოძს „221“ დააწერა, 221-ს რატომღაც „7“ მიაყოლა, ხოლო სოფლის მოედანზე, კლუბის გვერდით აღმართულ ბოძს ნომრად „511“ ერგო. აქ კი ვეღარ მოითმინა ვიქტორ მაისურაძემ, – შრომისმოყვარე მესიმინდე გლეხმა, წრე გაარღვია და სტუმარს წინ დაუდგა.

– ამ ბოძებს შორიდან მოჰყვებით, ბატონო?

უცნობმა ცარციანი ორი თითით აიწია შლიაპა და ვიქტორს დიდი, ცისფერი თვალები შეანათა, ეტყობა შეკითხვას კი ელოდა, მაგრამ მთლად ასეთ გულუბრყვილოს არა, ამიტომაც სერიოზულ პასუხს ხუმრობა ამჯობინა.

– რომ გითხრა, ამ ბოძებზე თვლას ვსწავლობ-მეთქი, დამიჯერებ? – ვიქტორის ზურგს უკან მოუთოკავი, სოფლური ხარხარი გაისმა.

მაისურაძემ ქუდი იშვლიპა, თმაშეთხელებულ თავზე ვეება ხელისგული ჩამოისვა და იხტიბარი არ გაიტეხა.

– ხელობა იოლი აგირჩევიათ, პატივცემულო!

– ჯერჯერობით არ ვემდური. – დაუგდო ტყავის სერთუკიანმა და შემდეგი ბოძისკენ წავიდა. ის ბოძი კი ზედ კოლმეურნეობის კანტორის კარებთან იდგა, ბრბო უკან მიჰყვა. უცნობის ხუმრობანარევმა პასუხმა დიდმიწელები გაათამამა. ახლა ისინი უფრო ახლოს მოჰყვებოდნენ. ვიქტორ მაისურაძე კი გვერდით, ხელის გადადებაზე მოაცილებდა. როცა სტუმარმა უკანასკნელ ბოძს „725“ დააწერა, ერთბაშად სიჩუმე ჩამოვარდა. ყველა მიხვდა, რომ უცნობი არ ხუმრობდა. ნირწამხდარმა მაისურაძემ, შემკრთალი ხმით ამოღერღა...

– გვაპატიეთ, ჩვენი სიყრუე, ბატონო მარა...

– რა მარა? – გაზეთის ნაგლეჯი ამოიღო, ცარცი გაახვია და შარვლის ჯიბეში ჩაიდო, უბის წიგნაკი და კალამი ტყავის ჩანთაში საიმედოდ შეინახა და ხელების ფერთხვით პირდაპირ ხალხისკენ წამოვიდა – ეს ბოძები დროებითი გახლავთ. საერთოდ, ელექტრონისთვის ხის ბოძები რეკომენდებული არ არის – სიჩუმეს მიაყურა და განაგრძო – ლპება. უნდა გამოვცვალოთ. ამ დღეებში რკინისას ჩამოგიტანთ, შევცვლით და იქნება და იქნება – გაიღიმა, თითები ერთმანეთს გაუყარა და თავისი სიტყვით უაღრესად ნასიამოვნები კაცის იერით დაამატა: – ასე არა სჯობია?

– აგაშენათ ღმერთმა! – დაიძახა ვიღაცამ. ამ გულწრფელ მადლობას უცნობმა ღიმილით უპასუხა. ღიმილი მართლაც მომხიბვლელი ჰქონდა. დახვეწილი. გამომეტყველება კი არ ეცვლებოდა, თვალებით კი არ იღიმებოდა – ლამაზი ტუჩკბილით. მარცხენა ლოყაზე ნაჭრილობევი აჩნდა და ღიმილის დროს ორად ეყოფოდა.

– ამ ბოძებს რას უზამთ? – ვიქტორ მაისურაძე პრაქტიკუ-

ლი კაცი იყო. ბრბო ისევ გაისუსა. ეტყობოდა ბოძების ბედი სხვებსაც აინტერესებდათ.

– ხომ გითხარით, რკინის ბოძებით შევცვლით-მეთქი – უყურადღებო მოწაფეებზე გამწყრალი მასწავლებლის ტონით თქვა უცნობმა.

– ეგ კი გავიგეთ, მაგრამ მერე ამ ბოძებს სად წაიღებთ-მეთქი, – კეფა მოიფხანა მესიმინდემ.

– მოვუნახავთ ადგილს. – გაიღიმა ელექტრონის ბოძების გამოცვლის ოსტატმა.

კოლმეურნეებმა კანტორის წინ აღმართულ ბოძს ერთდროულად მიაპყრეს თვალები. წარმოიდგინეს რკინის ბოძით შეცვლილი ეს ლარივით სწორი, მაზუთით გაპოხილი ხის ბოძი, რომელიც მშვენიერ ლარძაყინად გამოდგებოდა.

უცნობმა კითხვა-პასუხის საღამო დამთავრებულად ჩათვალა და ის იყო კანტორის კიბეებს უნდა აჰყოლოდა, რომ ვიღაცამ შეაჩერა.

– იქნებ ჩვენთვის მოგეყიდათ ეს ბოძები, პატივცემულო?

უცნობი შეჩერდა, გაქვავებულ ხალხს დააკვირდა და ხმამაღლა, დეკლამატორივით გამოაცხადა:

– ამ ძველ ხის ბოძებში ფულს როგორ გამოგართმევთ, თუ ძალიან გჭირდებათ, გაინაწილეთ და თქვენი იყოს, ოღონდ – აღრიალებული ბრბო ხელის შემართვით დააწყნარა – ორი სათხოვარი მაქვს. პირველი – გაყოფის დროს ჩხუბი არ მოგივიდეთ, თითო ბოძი ყველა ოჯახს შეხვდეს. მეორეც – სანამ რკინის ბოძები არ დაიდგმება, ხელი არ ახლოთ. მავთულებს ახალ ხაზზე რომ გადავამონტაჟებთ, მერე ამოყარეთ ბოძები და წაიღეთ.

მადლობაც კი არავის უთქვამს. ბრბო სწრაფად მოწყდა ადგილს და გაიქცა. უცნობი კარგა ხანს იდგა კიბეზე და ფელდმარშალივით გაჰყურებდა შუკაში თავდაღმა დაშვებულ სოფლელებს. პირველივე ბოძთან ახმახმა გალიფესშარვლიანმა კოლმეურნემ მიირბინა და ბოძს ხელები შემოხვია, ეს იმას ნიშნავდა, რომ ბოძი მისი იყო. სხვებს იქ არა ესაქმებო-

დათ რა და სხვა ბოძისაკენ გაიქცნენ. ელექტრონის ბოძების განაწილება, ცოტა არ იყოს, ჯუნგლის მეთოდით ხდებოდა. ბოძის მეპატრონე რომ გამხდარიყავი, ამჯერად ჭკუაგანათლება ვერას გიშველიდა. უბრალოდ, არც მეტი, არც ნაკლები, მგლის მუხლი უნდა გქონოდა.

უცნობმა შლიაპა გაისწორა, ელექტრონის ბოძზე მონადირეთ ერთხელ კიდევ ღიმილით გახედა, თავი გადააქნია და კიბეს აუყვა.

კოლმეურნეობის თავმჯდომარის კარებს მიადგა, მაგრამ გამობრუნდა და აივანს ხელმარცხნივ გაჰყვა. დოქით ხელში მიმავალი ქალი შეაჩერა და ხელი გაუწოდა. შემკრთალმა ქალმა მარჯვენა ხელი წინსაფარზე აისვ-ჩამოისვა და ისე გამეტებულად ჩამოართვა, თითქოს ამ წელიწადში მეტი მისალმება აღარავისთან აღარ მოუწევდა.

– ჩვენთან თავმჯდომარედ ხომ პარმენია ისევ?

– პარმენი ბატონო, კაკაბაძე – სახე გაუნათდა დამლაგებელ ქალს, რაკი ასეთი იოლი შეკითხვა აკმარეს.

– თავმჯდომარედ მაგი...

– ორი თვის გადმოსულია, ბატონო, ფერმაში არ მუშაობდა ზევით?

– დასწყევლოს ღმერთმა. კაცს ჭადის სახელი დაავიწყდაო, ვბერდები, ვბერდები.

– რავა გეკადრება, ბატონო.

ქალმა თვალი გააყოლა ბეჭების რხევით მიმავალ უცნობს და თავის ფიქრებში დაასკვნა, რომ იგი დიდი-დიდი ორმოცდაათის იქნებოდა და ამ ასაკის, ასე კარგად შენახულ კაცს სიბერის შიში ჯერ კარგა ხანს არ უნდა ჰქონოდა.

თავმჯდომარეს ბურთივით მრგვალი, ნაყვავილარი სახე ჰქონდა. ოწინარივით აღმართული წარბები უნაოჭებო შუბლზე სამკუთხედს ქმნიდნენ. ბუდიონისებური ულვაშები ლამის ყვრიმალებამდე წვდებოდა. თაფლისფერი, თვინიერი თვალები ჰქონდა და ხმის ჩახლეჩამდე ჩაჰყვიროდა წინ მდგომ, ფართოყურებიან კაცს, ხელმძღვანელის რისხვისაგან დაბ-

ნეული დაბამბული ქურთუკის საყელოში თანდათან უფრო ღრმად რომ მიძვრებოდა.

– ჩემთვის ერთი ხართ სუყველა! მე არავინ არაფერს მაპატიებს. თუ მუშაობა გვინდა, ასე უნდა ვქნათ, თუ არა, დავიხუროთ ქუდი და წავიდეთ სახლში!

– რა უნდა ვქნათ? – გაუბედავად ეკითხებოდა მსხვერპლი.

– რა და უნდა შევთანხმდეთ. სხვანაირად ჩვენ ვერ მოვრიგდებით.

– რაში უნდა შევთანხმდეთ?

– რაში და მე რომ დამიბარებენ და მეტყვიან, რა ჰქენიო, მე შენ გეტყვი, რა ჰქენი-თქვა. მე რომ დამიბარებენ და მეტყვიან დაუჩქარეო, მე შენ გეტყვი დაუჩქარე-თქვა. მე რომ მომცემენ საყვედურს, მე შენ მოგცემ საყვედურს, მე რომ შემაგინებენ, მე შენ შეგაგინებ! – თავმჯდომარე ამ სიტყვებს პათოსით ამბობდა. თანდათან ხმას უწევდა და „შეგაგინებ“, მან უკვე ფეხზე ამდგარმა წარმოთქვა.

სტუმარმა სწრაფად გაიაზრა, რომ ამ ორი ამხანაგის ინტელექტუალური საუბარი სახარბიელო დღეს არ დააყრიდა თავმჯდომარის გუნება-განწყობილებას. ამიტომაც სახეზე ნაცადი ღიმილი აიფარა და უფროსისაკენ ხელგაშვერილი წავიდა.

– სიცოცხლე ჩემს პარმენს. ისევ შენი სტუმარი ვარ, მარა ამჟამად კაი საქმეზე. რომ გაგეხარდება, ისეთ საქმეზე. სხვა კარგად ყოფილხარ, ისე მიხარია, შვილებს ვფიცავარ, სულ კარგი ამბები რომ მოდის შენზე დედაქალაქში! – ტვიამფრქვევივით მიაყარა სტუმარმა და მასპინძელს გონზე მოსვლის საშუალება არ მისცა. ამ სიტყვების თქმაში გადაჰკოცნა კიდეც, შლიაპა ლურსმანზე დაკიდა, ხშირი, წაბლისფერი თმა თითებით გადაივარცხნა, მოშავო ტყავის ჩანთა მაგიდაზე წინ დაიდო და საკეტი ააჩხაკუნა, რითაც თავის თავს საქმიანი კაცის იერი მისცა.

– როგორ ვიქნები, ამგენის ხელში. თუ თავზე არ დაადექი, კაციშვილს არ უნდა მუშაობა, ზევით კიდევ, მე მთხოვენ პასუხს.

– რასაკვირველია, რასაკვირველია, შენ ძველებურად მომთხოვნი დარჩი, ჩემო პარმენ, თორემ მუყაითი ხალხი კი არ გაკლია. შენ სხვაგან უნდა იკითხო. სადაც კი დავდივართ, მეტს რას ვხვდებით. მეტი რა ვიცით. ეს ამხანაგი?

– მებოსტნეობის ბრიგადირია. ასე მაყეფებს ყოველდღე. მე მკლავს და თვითონ ქეა კაჟივით – თავმჯდომარე უცნობს თვალს არ აცილებდა და ცდილობდა მოეგონებინა, სად ენახა ეს კაცი, ვერაფრით ვერ მოიგონა და თავის თავს გაუწყრა. ბრწყინვალე მეხსიერებაც რომ ჰქონოდა, მაინც ვერ მოიგონებდა, რადგანაც თავმჯდომარე და სტუმარი დღეს პირველად ხედავდნენ ერთმანეთს. უცნობმა იგრძნო გაურკვევლობის ბურუსი მასპინძლის ხმასა და გამოხედვაში, ჩანთა გახსნა, ქაღალდები ამოალაგა და მშვიდად თქვა:

– მე, ჩემო პარმენ, ხომ არ დაგავიწყდი, კაკო რატიანი ვარ. კაი ხანია ერთმანეთი არ გვინახავს და მე ვთქვი გადავავიწყდებოდი-მეთქი, მაგრამ ისეთი შეხვედრა, ჩვენ რომ გვქონდა, იშვიათია ცხოვრებაში და სამუდამოდ ამახსოვრდება კაცს. ის უბრალო ვახშამი არ იყო, ფიცი იყო ძმობის და მეგობრობის. მე ახლა გეოლოგიური პარტიის უფროსად დამნიშნეს. ამ თქვენს სოფელში მექნება შტაბი და, მე მგონი, ერთმანეთს თუ ხელს გავუმართავთ, თორემ შეშლით არ შევუშლით.

პარმენს მაინცდამაინც კარგად კი არ ჰქონდა წარმოდგენილი, რა უნდა ეკეთებინა გეოლოგიურ პარტიას სოფელ დიდმიწაში, მაგრამ რაკი ფაქტის წინაშე აღმოჩნდა, მასპინძლის იერი დაიმშვენა.

– მობრძანდით, ბატონო, თქვენი ხმალი და ჩვენი კისერი. რამე სახეიროს ეძებთ აქანა?

– ნავთს ვეძებთ, ჩემო პარმენ.

– იქნება ვითომ ნავთი ამ ჩვენს შემოგარენში?

– უნდა იყოს, წინასწარი ვარაუდები ასეთი გვაქვს. ჩავატარებთ სამძებრო სამუშაოებს, თუ აღმოჩნდა, ხომ კარგი, თუ არა და დაგემშვიდობებით და ის იქნება.

– კეთილი, ბატონო, ზევით ხომ შეთანხმებულია, ეს ყველაფერი?

– მომიკვდეს თავი, აბა, რავა იქნება. შეუთანხმებლად და დაუზუსტებლად ვინ გამოუშვებს ამხელა პარტიას. ამ საქმეზე ათასები იხარჯება, ჩემო პარმენ. ყველამ იცის, ყველა გაფრთხილებულია, შენ მაგის დარდი ნუ გაქვს.

– ჩვენგან ახლა ხომ არაფერი იქნება საჭირო? – დაფიქრებით თქვა თავმჯდომარემ.

– გენაცვალოს კაკო რატიანი – სტუმარმა დაასკვნა ამ თავმჯდომარეს ისეთი სახე აქვს, ალბათ ჩემი გვარი დაავიწყდებოდაო და შეახსენა – სანამ ხალხი და ტექნიკა ამომივიდოდეს, ჯერ მოსამზადებელი სამუშაოები უნდა ჩავატარო. გზაც არ გივარგათ, შენი ვილისი უნდა მათხოვო პატარა ხანს, სამუშაო ოთახი უნდა მომიჩინო და ხალხი დამახმარო ხანდახან.

პარმენ კაკაბაძე ცივ უარზე დადგა.

– არა, ბატონო, არ დაიჯეროთ მაგ ამბავი, ყველას პატივს ვცემ, ყველა მიყვარს, მაგრამ მაგის თავი ჩვენ არა გვაქვს. ხალხიო?! მუშახელის ნაკლებობამ წელში გამწყვიტა, ხალხს იქეთ ვეძებ. ერთ წუთს ვერ მოვაცდენ ვერავის.

– მოცდენას რას ეძახი, პარმენ ბატონო? – ჩაურთო კაკომ – თავისუფალ დროს, სამუშაოს შემდეგ, კაცმა ერთი-ორი კაპიკი გააკეთოს, შენ რა დაგიშავდება?

– მე გეგმა მაქვს, ბატონო, გეგმა!

– მერე? შენსას რომ გააკეთებს და სახლში რომ წამოვა, ერთი-ორი საათით სხვა საქმე აკეთოს, შენ რაში გეხება ეს საქმე, ძალას კი არავინ დაატანს, ჩვენთან ანაზღაურება უმაღლესია.

– არ ვიცი. მე არაფერი ვიცი, კიდევ რაიო? მანქანაო? ეს ერთი დანჯღრეული ვილისი მყავს და დღედაღამ მაგით დავჭიანობ ზევით-ქვევით.

გეოლოგიური პარტიის უფროსმა გაიღიმა თავისი მაგიური ღიმილით.

– დაისვენე მერე ხანდახან. კაცი კაცს მხარზე შეისვამს შე კაი კაცო, რა გადამიწურე წყალი. ახლა, ერთ ორ კვირაში, სამი ახალთახალი ვილისი ჩამომივა. პატიოსან სიტყვას გაძლევ, მოვკიდებ ერთ ტაოტიან ვილისს ხელს და ჩვენი სამმართველოს სახელით ვაჩუქებ თქვენს კოლმეურნეობას. ა, ჩემი ხელი, მე ტყუილი ჩემს სიცოცხლეში არ მითქვამს იცოდე. სხვა რა გთხოვე, ოთახი გიჭირს? არც მაგაზე შეგაწუხებ ჯერჯერობით, თუ არა გაქვს საშუალება...

ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, შეთანხმდნენ. ახალთახალმა ვილისმა თავისი გაიტანა. თავმჯდომარემ ყოველმხრივი დახმარება აღუთქვა. მანქანა ათხოვა, კოლმეურნეობის კანტორის აივანზე სამუშაო ოთახიც გამოუყო და დროებით (როგორც კაკო რატიანმა თქვა, სანამ კარვებს და ფინურ სახლებს ჩამოიტანდნენ), ვიქტორ მაისურაძის ახალ ოდაში შეასახლა. ვიქტორი სტუმრით აღფრთოვანებული იყო და უზომოდ გაიხარა, რომ გეოლოგიური პარტიის უფროსის მდგმურობით დიდი ნდობა გამოუცხადეს. იმ ღამეს სტუმარმასპინძლებმა ვიქტორის ოჯახში ლაზათიანად მოილხინეს. პარმენ კაკაბაძე გულჩვილი აღმოჩნდა, იგი ისე მოხიბლა რატიანის სიტყვა-პასუხებმა და ლაღმა ხუმრობებმა, რომ გამომშვიდობებისას ხუთმა კაცმა ძლივს გამოგლიჯა თავმჯდომარეს ღონიერ მკლავებში მოქცეული, სუნთქვაშეკრული სტუმარი.

* * *

მეორე დღეს, დილაუთენია კაკო რატიანი მოსამსახურე კაცის იერით სოფლის მთავარ მაგისტრალზე მოაბიჯებდა თავისი განუყრელი ჩანთით ხელში. გზადაგზა ელექტრონის ბოძებთან ჩერდებოდა და ხმამაღლა იცინოდა. ელექტრონის ბოძებზე მისი ნუმერაცია წაეშალათ და სამაგიეროდ მელნით, ტუშით, ცარცით (ზოგს დანით ამოეჭრა) ასეთი წარწერები გაჩენილიყო: „ეს ბოძი ეკუთვნის მიქელთაძე მურმანს“, „ამ-

ბერკი თადუმაძის“, „სევასტი (შვილი)“, „მართა ქებულაძე-კვეკვესკირისა“, „ნატაშა“, „კორნელი შვანგირაძისაა“ და ა. შ.

კანტორასთან გამხდარი, წვრილკისერა კაცი იდგა. გეოლოგიური პარტიის უფროსი რომ დაინახა, გამოიქცა, მარჯვენა ხელი თავზე ედო, რომ შუბლზეასაკეცი, თეთრი, იმერული ქუდი ქარს არ მოეტაცა.

რატიანი მშვენივრად მიხვდა, რომ წვრილკისერას მასთან ჰქონდა საქმე, მაგრამ ზურგი შეაქცია და ჩქარი ნაბიჯით აუყვა კიბეებს. დამხვდური დაედევნა.

– რაშია საქმე? – ნაბიჯის შეუნელებლად მოიხედა კაკომ, რითაც აგრძნობინა, ათასი საქმე მაქვს და, თუ კაცი ხარ, ნუ გამაცდენ ამ დილასო.

– მე, ბატონო, საშა ვაშაყმაძე გახლავართ. გუშინ ცოლოურს ვიყავი წასული და დევიღუპე, ამოვვარდი კაცი.

– ხომ მშვიდობაა? – წარბი შეჰყარა რატიანმა.

– ბოძები გაგინაწილებიათ გუშინ, ბატონო, და ჩემდა იღბლად, მაინცდამაინც მაშინ არ ვიყავი. ქე დავრჩი ისე.

– მეტი არაფერი? ფარსაგი არ მეგონა, შე კაცო, – დამშვიდდა გეოლოგთა თავი.

– მეტი რაღა იქნება, ბატონო, თუ ვინმეს სჭირდება ეს ბოძი, მე მჭირდება. სახლს ვანგრევ ახლა გაზაფხულზე და ახალს ვიწყებ. ზოგიერთ იმნაირს შეხვედრია რომე, დაჩეხავს და შეშად იხმარს აი ოქროსავით მასალას.

– რა გიყო, ძმაო, რაც გაგვაჩნდა აგერაა, სახეზეა. მე არც კი ჩავრეულვარ, თვითონ გაინაწილონ-მეთქი, დავავალე თავმჯდომარეს. არ ვიცი მეტი არაფერი – კარის ჭუჭრუტანაში ხელი შეჰყო, გასაღები გამოათრია, გააღო და თავის ახალ კაბინეტში ისეთი სახით შევიდა, კაცს ეგონებოდა, მთელი ცხოვრება ამ კაბინეტში აქვს გატარებული და მოსწყენიაო. საშა ვაშაყმაძე ფეხდაფეხ შეჰყვა.

– უნდა მიშველოთ, ბატონო!

– რა უნდა გიშველო, ამხანაგო?

– ერთი ბოძი უნდა მომიხერხოთ.

– რანაირად? – მაქვს და არ გაძლევ?

– რამენაირად...

– წავართვა სხვას და მოგცე შენ? იკადრებ შენ ნასხვისარს? რას იტყვის ის კაცი, ვისაც თავისი სახელი და გვარი მიუწერია, ხომ დავკარგავ ავტორიტეტს, ხომ ნული გამოვჩნდები მის თვალში?

– მე ტყვილად კი არ მინდა, ბატონო, – ხმას დაუწია ვაშაყმაძემ.

– ახალგაზრდა კაცი ხარ, არ გრცხვენია, ბიჭო? რატომ კადრულობ მასეთ ლაპარაკს. მოგყიდო ბოძი და ფული ავიღო შენგან? რა შემატყვე მაგნაირი. ჩემი სახელი მე, შენ რომ იცოდე, მთელ დუნიად მიღირს. არ მკადრო მეორეჯერ ასეთი რამე. ჩემი ცხოვრება აქამდე პატიოსნად მომიყვანია, არ მიცნობ შენ ჯერ, მთლად კი არ წამხდარა ქვეყანა.

– არ გეწყინოთ კია, ბატონო. თავს ზეით ძალა არაა. რა ვქნა ახლა, თქვენ კარგად იყავით, თუ არ არის, რას იზამთ. – ნაღვლიანად ჩაილაპარაკა საშამ, გეოლოგს ერთხელ კიდევ შეავლო თვალი და გარეთ გასვლა დააპირა, მაგრამ რატიანმა შემოაბრუნა.

– რაზე მუშაობ, ბიძიკო შენ?

– მექანიზატორი ვარ.

– უმაღლესი განათლება გაქვს?

– არა. – დაიმორცხვა ვაშაყმაძემ.

– ძალიანაც კარგი. კადრების უფროსად რომ გაგაფორმო ჩემთან, იმუშავებ?

– ემტეესიდან ვინ გამომიშობს?

– იყავი იქაც, ორივეგან იმუშავე. ჩემთან საქმე ბევრი კი არ გექნება. ხალხი უნდა შემიკრიბო. ერთ კვირაში გადმოსასვლელი ბოგირი უნდა გავმართოთ სიხარულიძეების ჭიშკართან. ტექნიკა ჩამომივიდა დიდი მე და ამ დანგრეულ ბოგირზე ვერ გადმოვიყვან. აბა შენ იცი, ჩამოუარე ვისაც იცნობ, ყველას. თავმჯდომარემ იცის. თვითონაც იქ იქნება. დღეში ორი-სამი საათი უნდა წავიმუშაოთ საღამოობით. ამ

ორ საათში – ოც-ოც მანეთს მიიღებს თითო მუშა. თუ შე-ვატყვე მონდომება, ზოგიერთს ოცდახუთსაც გამოვუწერ. გლახა საქმეა? შენ თვითონ არ უთხრა არავის და დღეში სამთუმნიანი ხარ. გესმის?!

– კი, ბატონო, როდის მოვიყვანო ხალხი? – ბევრი ფიქრი არ დასჭირვებია ვაშაყმაძეს.

– დღესვე, ამ საღამოსვე. ჯერ გზა უნდა გავწმინდოთ. ჩაოხრებულია იქაურობა. გავარდი ახლა და ხუთ საათზე ბოგირთან გელოდებით, თავ-თავისი ბარ-ნიჩაბი წამოიღოს ყველამ.

ახალდანიშნულმა კადრების გამგემ თავი დაუქნია.

– მოიცა – კიდევ ერთხელ შეაჩერა იგი რატიანმა – სოფლის ბოლოს, ჩვენი გზა სადაც იწყება... ერთი ბოძით იქეთ... მთა-ვარი გზისაა, მარა ჯანდაბას, ვთხოვ უფროსს ერთი რკინის ბოძს ბოლოს და ბოლოს. დააწერე შენი სახელი და გვარი და შენი იყოს. ოღონდ არ უთხრა არავის, გესმის შენ? თვარა დამესევა ხალხი. გავარდი ახლავე.

გახარებული საშა ვაშაყმაძე კიბეზე თავქუდმოგლეჯილი ჩარბოდა.

* * *

ორ საათს წამუშავებაში ოცი მანეთის მსურველი სოფელ დიდმიწაში ცოტა როდი აღმოჩნდა. საშა ვაშაყმაძემ ორმო-ცამდე მოხალისე მოიყვანა. იმ დღეს დამპალი მორები აჰყარეს და გზა გაასუფთავეს. მეორე დღეს კაკომ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ბოგირისათვის საავარიო ხე-ტყე გამოაწერი-ნა რაიონის საწყობიდან და იმ საღამოსვე ჩამოატანინა. ხუთ დღეში ბოგირი კი არა, სიხარულიძეების ღელეზე მშვენიერი პატარა ხიდი გამართეს. კაკო რატიანი სამუშაოს დასასრულს კოლმეურნის გვარის გასწვრივ „15 მან-ს“ წერდა რვეულში და ყველას ხელს აწერინებდა.

გავიდა თხუთმეტი დღე. გეოლოგიური პარტიის უფროსი

სოფელში ცნობილი კაცი გახდა. ყველანი მოწიწებით შესცქეროდნენ. ყველას მისი ხათრი ჰქონდა. გეოლოგიური პარტიის ბრიგადაში ისე ხალისით და ერთსულოვნად გამოდიოდნენ სამუშაოდ, რომ ხანდახან კაკო ზოგიერთს უკან აბრუნებდა – გადახარჯვა მომივა, ამდენი ხალხი არ მჭირდებაო.

რატიანი ჩუმ-ჩუმად თანამდებობებსაც ანაწილებდა, კოლმეურნეთა შორის ამაყად დააბიჯებდნენ გეოლოგიური პარტიის უფროსის სამი მოადგილე, ოთხი საქმის მწარმოებელი, სამი მზომავი, ექვსი გამყოლ-მშველელი და ოთხი დამლაგებელ-მოანგარიშე. ყველა მათგანს კაკომ თანამდებობის შესაფერისად საკმაოდ მაღალი ხელფასი დაუნიშნა.

კაკო რატიანის ავტორიტეტმა კულმინაციურ წერტილს მაშინ მიაღწია, როდესაც მისი თაოსნობით ბრიგადამ გზის რემონტი დაამთავრა და სოფლის ცენტრში აბანოს მშენებლობა დაიწყო.

მშრომელთა ენთუზიაზმს საზღვარი არ ჰქონდა. ამ ოცი დღის განმავლობაში ზოგმა მუყაითმა კოლმეურნემ ხუთას მანეთამდე გამოიმუშავა. როცა სიტყვა ფულზე ჩამოვარდებოდა, კაკო ყველას სიამოვნებით განუმარტავდა, ნახევარი თვის თავზე მოლარე ჩამოვა და თქვენს ხელფასს დაგირიგებთო.

გავიდა ოცი დღე. ხელფასი არ ჩანდა. გეოლოგიური პარტიის შტატიან და უშტატო წევრებს შორის აქა-იქ საეჭვო ბუზღუნი და მითქმა-მოთქმა ატყდა.

ერთ დღეს სოფელ დიდმიწის მოედანზე უზარმაზარი მილებით დატვირთული ორი „ტრალერი“ გამოჩნდა. შოფრებმა გეოლოგიური პარტიის უფროსი – რატიანი იკითხეს, კაკომ კაბინეტიდან გამოსვლა დააგვიანა. ბოლოს, როგორც იქნა აივანზე გადმოდგა და საშინელი რისხვა დაატეხა თავს უდანაშაულო მძღოლებს. – „ეს რა გიქნიათო, მე ოცდიუმიანი მილები გამოვწერე, თქვენ ორმოციანები წამოგიღიათო. დოყლაპიები ხართ, თქვენცა და თქვენი უფროსებიცო. ოცი დღეა, მე აქ მარტო კაცი ვიტანჯებიო. ხალხი გავწყვიტე

წელში, სამმართველომ კი ისიც ვერ მომიხერხა, რომ დროზე მოლარე და ფული გამომიგზავნონო. წადით ახლავე და სასწრაფოდ აქ იყოს მასალაც და ხალხიცო. პირველ რიგში მოლარე და ჩემი სამი ვილისი გამომიგზავნონო“. „კი, უფროსო, კი, ბატონო, როგორც თქვენ ისურვებთ, უფროსოვო“ – თავი დაუკრეს შოფრებმა და უშველებელი მანქანებით უკანვე გაღრიალდნენ.

ახლა კი ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ კაკო რატიანი მართლაც გეოლოგიური პარტიის უფროსი იყო.

ჩამოსვლიდან ერთი თვის თავზე რატიანი ერთბაშად გაქრა. ვიქტორ მაისურაძემ თავისი მდგმურის საწერ მაგიდაზე ასეთი წერილი იპოვა: „დიდი მადლობა ყველაფრისათვის, ძვირფასო დიდმიწელებო. მე თქვენ მიყვარხართ, იცოდეს ღმერთმა. გტოვებთ, რადგანაც ხელფასის გადახდის დრო ახლოვდება. ამდენი ფული ვინ მომაქვავა. მე ერთი საწყალი კაცი ვარ. ცხოვრებამ არ გამიმართლა. მინდოდა ერთი თვე თქვენთან გამეტარებინა და გავატარე. ახლა წავალ ჩემს გზაზე. ნუ შემაგინებთ, თქვენ ისეთი ალალი და მიმნდობი ხალხი ხართ, რომ შემეცოდეთ და ვერ გაგწირეთ, ვერ გიღალატეთ. მე თქვენთვის არაფერი მომიპარავს, არაფერი წამირთმევია. თქვენი კაკო რატიანი“.

რამდენიმე დღის შემდეგ მილიციის ქვეგანყოფილებათა დაფებზე გაჩნდა კაკო რატიანის სურათი, ასეთი წარწერით: „შინაგან საქმეთა ორგანოები ეძებენ თაღლითს, გაიძვერას, აფერისტს, რომელიც კაკო რატიანის გვარით შედის ნაცნობობაში თანამდებობის პირებთან და უბრალო ადამიანებთან, თავს ასაღებს გეოლოგიური პარტიის უფროსად, იმსახურებს გულუბრყვილო ადამიანების ნდობას და იყენებს მათ უფასო მუშახელად სხვადასხვა არასახელმწიფოებრივ საქმეთა შესასრულებლად“.

ამ განცხადების გაჩენისთანავე დიდმიწის მოედანზე ისევ გამოჩნდა მილებით დატვირთული ორი „ტრალერი“. ჩვენო – მძღოლებმა მესამე ატეკიდან ვართო. ჰესის მშენებლობა-

ზე მილებს ვეზიდებითო. ამას წინათ გზაზე ერთი კაცი გადაგვიდგა: გვთხოვა, შემოაბრუნეთ მანქანები და ამ ადგილას მოდითო. იქ მე დაგხვდებით და გაგლანძღავთ, გეტყვით – მე რა გითხარით და თქვენ რა წამოგიღიათო. თქვენც მომისმინეთ, თავი დამიქნიეთ და წადით თქვენს გზაზეო. თანაც ორივეს თითო წითელი თუმნიანი ჩაგვიჯიბა. ჩვენ ხათრი ვეღარ გავუტეხეთ. სერიოზული კაცი ჩანდა. შლიაპა ეხურა. რა ვიცოდით თუ თაღლითი იყოო.

როცა გამძვინვარებული სოფლელები მიიფანტ-მოიფანტნენ, კოლმეურნეობის კანტორის წინ ორი კაცი დარჩა. ისინი ქვაზე ისხდნენ და აბოლებდნენ.

მშვიდი საღამო იყო. შორიდან პატეფონის ხმა მოისმოდა.

– ერთს ვიტყვი ახლა მე. – დაიწყო ვიქტორ მაისურაძემ.

– რას იტყვი? – ჰკითხა საშა ვაშაყმაძემ, გეოლოგიური პარტიის ყოფილმა კადრების გამგემ.

– ეს ხალხი რომ დამდგარა და ყვირის, რა ფული შეგვიჭამა, თუ სადმე წავაწყდით, ჩავქოლავთო, სამართალია ახლა ეეს?

– არ შეგვიჭამა? არ მოგვაღორა, არ გვამუშავა, ერთ თვეს ვირივით?!

– რას ლაპარაკობ საშა, თუ გვამუშავა ისევ ჩვენს ბოგირზე, ჩვენს გზაზე და ჩვენს აბანოზე. თვითონ რა ხეირი ნახა, რა წეიღო ჩვენგან?

– წაღებით არაფერი, მარა, შენ როგორ ფიქრობ, რა უნდოდა? გჯერავს ახლა შენ, რომ ჩვენი ბოგირის და აბანოს ჯავრით ჩამოვიდა ეს კაცი ამ სიშორიდან?

– კაცმა არ იცის რა უნდოდა, მარა ჩვენგან შეგინება მაინც არ ეკუთვნის.

– აბა რა ეკუთვნის, დღეგრძელობა?

– ყველამ ჩვენ ჩვენ გულში ჩევიხედოთ და რავარც ჭკუამ გაგვიჭრას, ისე ვიფიქროთ. შე კაი კაცო, რატიანს რას ვერჩი, მარტო ის რად ღირს, გზა რომ გამიკეთა და ტალახში რომ აღარ ვისვრები.

– არ ვიცი, არ ვიცი, არაფერი არ ვიცი, ვერაფერი ვერ გავიგე. დაიჭერენ ალბათ და თვითონ გვეტყვის ყველაფერს, რა უნდოდა, რას გვერჩოდა, რატომ მოვიდა, რაღა მაინცდამაინც ჩვენს სოფელში მოვიდა, – დაბნეულად თქვა საშამ.

– ეგება ღმერთი იყო, ღმერთი და ვერ ვიცანით. შეჭმა მოვუნდომეთ. ასე არ ვიცით ჩვენ? – ჩაიცინა ვიქტორმა.

– ღმერთი კი არა ის... – საშა ვაშაყმაძე ადგა, ბეჭზე მოგდებული მოსასხამი გაისწორა და სიბნელეში გააბიჯა. იგი ახლა სახლისაკენ არ გაუხვევდა. სოფლის ბოლოში გავიდოდა, რათა იქ, გადასახვევთან ელექტრონის ბოძზე თეთრი საღებავით წარწერილი „საშა ვაშყმაძე“ წაეშალა.

დღე პირველი

სოლომონ ბრძენის ბაღი, ამ ბაღს, ალბათ, სოლომონ ბრძენის სიცოცხლეშივე შეარქვეს. საუკუნეები გაჭენდნენ იმის შემდეგ, რაც ამ მიდამოებში აღარ გამოჩენილა ბრძენი სოლომონი თავისი მრავალრიცხოვანი მოწაფეებით. აღარც ის ცაცხვის ხეები დგანან კარგა ხანია, სოლომონი რომ ფეხს მოირთხამდა, თავის ჭკვიან და ერთგულ მოწაფეებს გარს შემოისხამდა (ყველაფრის ჩაწერა არ გინდათ, ზოგი რამ ისე დაიმახსოვრეთო, გააფრთხილებდა) და იწყებდა უჭეშმარიტეს ღაღადისს, თუ რამდენი ვარსკვლავია ქვეყანაზე, რომელ საუკუნეში ესტუმრებიან დედამიწას სხვა პლანეტის მკვიდრნი, რატომ სუსხავს შიშველ წვივს ჭინჭარი და რატომ არ სწორდება ძაღლის კუდი (რა ყალიბშიც უნდა მოათავსო).

ახლა ამ ბაღში, ჯერ კიდევ ომამდე სამუდამოდ დაშრეტილი შადრევნის ირგვლივ, საღამოს რვიდან ათ საათამდე პატარ-პატარა ჯგუფებად დააბიჯებენ სოლომონ ბრძენის მოწაფეთა მოწაფეების უკანასკნელი ნაშიერნი. ესენი არიან ავადმყოფი პენსიონერები, ან ჩვენთვის უცნობი მიზეზის გამო სამსახურიდან ადრე დათხოვნილი მუშაკები, მოსალოდნელ ინფარქტს რომ შეუშინებია და უდროოდ მიუმატებია ამ მოსაწყენი პროცესიისათვის. თითოეული ჯგუფის შემადგენლობა, რა თქმა უნდა, მუდმივი არ არის, როცა შეატყობს სოლომონ ბრძენის მოწაფეთა ერთ-ერთი უკანასკნელი მოჰიკანი, რომ საუბარი მისთვის უსანდომო საგანს შეეხება, იგი ფეხს აითრევს, თავის ჯგუფს ჩამორჩება და სხვა ჯგუფს შეუერთდება.

საღამოობით სოლომონ ბრძენის ბაღში გრილა და თვით ივლისის ცხელ ღამეებშიც კი შადრევნის ირგვლივ მოსეირნეთა ჩაცმულობა წელიწადის დროთა აბეზარ ცვლას არ ემორჩილება.

რითი ჰგავს დღევანდელი ბაღი იმ უსიერ ტევრს, სადაც პირველად გამოჩნდა სოლომონ ბრძენი თავისი თხუთმეტიოდე მოწაფით (რომელთაგან ერთი ურწმუნო იყო და თვა-

ლი სულ გაქცევაზე ჰქონდა), ხელში ზეთისხილის გამხმარი რტოები რომ ეჭირათ? გაგიკვირდებათ, – ისევ და ისევ ჭეშმარიტების ქადაგებით. თითქოს ადამიანები ქალაქ უწირეში იმისათვის იბადებიან, იზრდებიან, ოჯახში, სკოლასა და სამსახურში ყოველდღიურად უთვალავ ტყუილს იმიტომ ამბობენ, რომ მხოლოდ აქ – სოლომონ ბრძენის ბაღში სთქვან სიმართლე. რას შეეხება ეს სიმართლე? საგანგაშოს, კაცმა რომ თქვას, არაფერს. მართალია, სნეული მოხუცების გონება ისეთ მაღალ მატერიებს როდი წვდება, რასაც მათი უკვდავი წინაპარი და მასწავლებელი სოლომონ ბრძენი თავისი განსაცვიფრებელი, მაძიებელი გონებით ხვდებოდა, მაგრამ ადგილობრივი გაზეთის გარდა თუ სადმე შეიძლება ახალი ამბების შეტყობა ქალაქ უწირეს მღელვარე ცხოვრებაზე, ისევ და ისევ აქ, ამ ჩამქრალ შადრევანთან.

იქნებოდა ასე ცხრის ნახევარი (ხოლო მარტის დასაწყისში, მოგეხსენებათ, ცხრის ნახევარზე ჩვენთან ჯერ კიდევ კარგად ბნელა), როცა სოლომონ ბრძენის ბაღში აღმოსავლეთის ჭიშკრიდან კაცი შემოვიდა. შედგა, მიიხედ-მოიხედა, ეტყობოდა, ჯერ ვერ გადაეწყვიტა, საით წასულიყო. მერე ერთბაშად წელში გასწორდა და მტკიცე ნაბიჯით შადრევნისაკენ გაემართა. ხელები მოსასხამის ჯიბეში ეწყო, თავი მარჯვნივ მიებრუნებინა, სიარულის დროს ფეხის წვერებს ოდნავ მაღლა სწევდა და დაახლოებით ისე მიდიოდა, როგორც მეთაური, სამხედრო მსვლელობისას გაივლის ხოლმე. აქ სასაცილო მხოლოდ ის იყო, რომ მას ერთი კაციც არ მოჰყვებოდა. შადრევანს რომ მიუახლოვდა, ძეწნის ჩრდილში ცოტა ხანს შეჩერდა. ჯგუფებს შორის მანძილი თვალით მოზომა და სადაც უფრო დიდი დაშორება შეამჩნია, სწორედ იმ ადგილას შეაბიჯა. ეტყობოდა, მარაქაში გარევას მაინცდამაინც არ აპირებდა. ნაბიჯი ისე ააწყო, რომ არც წინა ჯგუფს დასწეოდა და არც უკანას შეერთებოდა. ხომ არიან ეულად სეირნობის მოყვარულნი და ყურადღებასაც არავინ მიაქცევდა, მაგრამ ვიღაცამ იცნო ახალმოსული. ის ვიღაცა თავის ჯგუფს გამოეყო და უცნობს გამოუდგა, გაუსწორდა, გაუსწრო, მოუხედა და ნაბიჯს აუჩქარა. უცნობი ცნობისმოყვარეთა მზერას

მიჩვეული იყო და არც შეიმჩნია. „მიცნეს, მიცნეს, რა მოხდა მერე, ჩვენ აქ ყველანი ვსეირნობთ. სეირნობის უფლება კი მე მგონი, ყველასა აქვს“, – გაიფიქრა მან. ის კაცი კი, სწრაფად დაეწია წინა ჯგუფს და აქოშინებულმა შესძახა ფიქრით დამძიმებულ მოსეირნეებს: „ის არის! ბესო კიტოვანია!..“

„ბესო კიტოვანიაო?!“ მოხუცები ერთბაშად შეჩერდნენ და უკან მოიხედეს. ჯგუფს ორი კაცი გამოეყო და წინა ჯგუფს გამოეკიდა. მალე წინა ჯგუფიც შეჩერდა და უკან მოიხედა. ორიოდე წუთში ყველამ იცოდა, რომ სოლომონ ბრძენის ბაღში იმ საღამოს სასეირნოდ ბესარიონ კიტოვანი გამოვიდა. ბესარიონი კი ყურადღებას არავის აქცევდა და თავაწეული მიაბიჯებდა ბილიკზე. მის სიარულს სეირნობა არც კი ერქვა. იგი გარბოდა, თითქოს საქმეზე ეჩქარებაო, თითქოსდა უნდოდა საკუთარ თავს გაქცეოდა. როცა სინათლის შუქზე გაიარა, სუნთქვა შეიკრა, თითქოსდა უცხო სუნმა დაჰკრაო. ნამდვილად ის იყო, აქამდე ვერ იცნეს. ბესარიონ კიტოვანის სიარულის ყაიდა ხომ მთელმა უწირემ იცოდა.

ბაღში ჯერ კიდევ სამი თვის წინ გავრცელდა ხმა, – ბესარიონ კიტოვანს სამსახურიდან ანთავისუფლებენო. გაკვირვებით ეს ამბავი არავის გაკვირვებია, რადგანაც ბესარიონის განთავისუფლებისათვის უწირე სულიერად უკვე მომზადებული იყო. იმასაც კი ამბობდნენ, ერთ-ერთ წვეულებაზე თვითონვე განუცხადებია – მე უკვე დავიღალე, მალე პენსიაზე გავალ და აბა თქვენ იცითო, ესეც ჭორი გახლდათ, რადგანაც ისეთი ადგილიდან, ბესარიონს რომ ეჭირა, ადამიანები თავიანთი სურვილით არ მიდიან. მათ, ასე რომ ვთქვათ, ათავისუფლებენ სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო. მალე ისევ გავრცელდა ჭორი, დედაქალაქიდან კომისია ჩამოსულა და კიტოვანის დიდკაცობის დღეები დათვლილიაო. არც ეს აღმოჩნდა მართალი. დედაქალაქიდან არავითარი კომისია არ ჩამოსულა და როცა ამ სამი დღის წინ მთელ ქალაქს კვლავ ელვისებურად მოეფინა ამბავი, – ბესარიონ კიტოვანს დღე-დღეზე გაისტუმრებენო, უკვე ყველამ იცოდა, რომ ეს ჭორი უნდა აღსრულებულიყო. თითქოსდა მხოლოდ იმიტომ გაათავისუფლეს ბესარიონ კიტოვანი, რომ, ბოლოს და ბო-

ლოს, ეს ამდენჯერ დარხეული ჭორი გამართლებულიყო. და აი, განთავისუფლების პირველსავე საღამოს იგი სოლომონ ბრძენის ბაღში ატარებს. ახლა უკვე ეჭვი აღარავის ეპარება, რომ ბესარიონი აღარ არის ის ბესარიონი, დღემდე რომ იყო. სხვა შემთხვევაში იგი აქ არ მოვიდოდა.

ის კაცი კოჭლი იყო, ახლა ბესარიონ კიტოვანს რომ უახლოვდებოდა. უთხრეს თუ არა, ეს კაცი ბესარიონი არისო, მაშინვე დაედევნა. ჯერ, რამდენადაც შეეძლო, ჩქარა იარა, და როცა დარწმუნდა, ასეთი ნაბიჯებით ბესარიონის დამწევი არ იყო, სირბილზე გადავიდა. თავდაპირველად ფეხს წინ წაიგდებდა, მარცხნივ ჩაიკეცებოდა და ისე გარბოდა, მერე მისი სირბილი კენგურუს ნახტომებს დაემგვანა. ბესარიონმა იგი ადრე შეამჩნია და ნაბიჯს მოუჩქარა, მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ მდევარი დიდი მონდომების კაცი ჩანდა და „დოღის“ გაგრძელება საჭიროდ არ ჩათვალა. შეჩერდა.

– ბოლო მაინც აქ მოსვლაა ხომ, ბატონო ბესარიონ? – ქოშინით ჰკითხა კოჭლმა და ნაბიჯი წინ წადგა. ამით აგრძნობინა, ნუ შევჩერდებით, ვიაროთ და ისე ვისაუბროთო...

ბესარიონ კიტოვანი ასეთ თამამ მოსაუბრეს კარგა ხნის გადაჩვეული იყო და უეცრად ვერ მოისაზრა, როგორ მოქცეულიყო, წაეყრუებინა თუ მოსვლის მიზეზი ეკითხა. ბოლოს მაინც ასე გადაწყვიტა, გაუღიმა უცნობს და უნიჭო მსახიობის სიყალბით უთხრა:

– რა მიბრძანეთ?

– ბოლო-მეთქი, მაინც აქ მოსვლაა!

– ვერ გავიგე!

კოჭლი მშვენივრად მიხვდა რომ ბესარიონმა ყველაფერი კარგად გაიგო, მაგრამ ეტყობა, დროის მოგება უნდოდა, რათა შექმნილ ვითარებაში კარგად გარკვეულიყო და მოსალოდნელ, უფრო უსიამოვნო შეკითხვებს უფრო მომზადებული დახვედროდა.

ცოტა ხანს ჩუმად მიდიოდნენ. ბესარიონმა ის იყო გაიფიქრა, ტყუილად შევშინდი, ვიღაც უბრალო ენააქავებული პენსიონერია და ხმის გამცემი ვერ უპოვნიაო, რომ კოჭლი უცბად შემობრუნდა და წინ დაუდგა.

– გული ხომ არ გაწუხებთ? – მზრუნველობით ჰკითხა მან.

ბესარიონი მოსაუბრეს დააკვირდა. იგი გაბზარულმა ხმამ შეაცდინა. მის წინ ორმოციოდე წლის კაცი იდგა, ცალ ხელში ჯოხი ეჭირა, მეორეთი კი გამალებით ეძებდა ღილებს პერანგის საყელოზე.

– არა. – წყნარად მიუგო ბესარიონმა.

– უსათუოდ შეგაწუხებთ, ასე იცის, კარგი ჰქენით, რომ ბაღში გამოხვედით. სუფთა ჰაერი ძალიან შველის.

– აქ სიარული ყველას მოუხდება. ჯანმრთელ გულსაც არ აწყენს.

– ჰო, მაგრამ ჯანმრთელ კაცს სად სცალია, რომ აქ ისეირნოს! თქვენ, დღევანდლამდე თუ შემოსულხართ ამ ბაღში?

– ასე საგანგებოდ, სასეირნოდ არა.

– აი, ხომ ხედავთ, არა და ძალიან დაიგვიანეთ. თქვენ ამ დღისათვის არ ემზადებოდით, ბატონო ბესარიონ, და ეს ცუდია.

ბესარიონს მოეჩვენა, რომ მას გულწრფელად ელაპარაკებოდნენ და შეეცადა ნელ-ნელა მოეშორებინა უნდობლობისა და ამპარტავნობის განცდა, რითაც თავიდანვე განიმსჭვალა ამ უცნობი კაცისადმი.

– თქვენ ამაღამ ცუდად დაგეძინებათ. მაგრამ არ შეშინდეთ, თორემ ვეგეტონევროზს გამოიწვევთ. თუ დღეს ყველაფერი მშვიდად დამთავრდა, ხვალ ან ზეგ გულის არეში ჩხვლეტას იგრძნობთ. შეიძლება, ჰაერის უკმარისობამაც შეგაწუხოთ. ეცადეთ, ამ ბოლო დღეებში მარტო არ დარჩეთ და საერთოდ მარტო არ იაროთ.

„რა უნდა? – გაიფიქრა ბესარიონმა. – დავიჯერო, ახლა ეს ჩემს ჯანმრთელობაზე ზრუნავს?“

– თქვენ ექიმი ბრძანდებით? – ჰკითხა.

– არა, – მიუგო კოჭლმა და გაუღიმა, მრგვალი, ჩოფურა პირისახე ჰქონდა. ისეთი პატარა სათვალეები ეკეთა, რომ გეგონებოდათ, მინები პირდაპირ გუგებში აქვსო ჩადგმული.

– აბა საიდან იცით, ასე კარგად, რა მომივა და როგორ მომივა?

– ვიცი, მეც ასე მომივიდა. დიახ, ასე დამემართა! სწორედ იმ დღეს, თქვენ რომ გამანთავისუფლეთ კოლეგიაზე, ამ სამიოდე წლის წინ.

ბესარიონი ერთხელ კიდევ დააკვირდა მის პირისახეს.

– სად მუშაობდით?

– ოცდამეშვიდეში.

ბესარიონმა ახლა კი იცნო ეს კაცი. კარგად იცნო და მისი მოხსნის მიზეზიც გაიხსენა, ისეთი არაფერი იყო. ტრესტიდან ერთი კაცი უნდა გაეშვათ და მისთვის ადგილი დასჭირდათ...

– რისთვის დაგითხოვეთ, თუ გახსოვთ? – მაინც ჰკითხა.

– რა მნიშვნელობა აქვს, მიზეზი რა საკითხავია. განთავისუფლება ყველასი შეიძლება, ბატონო, ბესარიონ. თქვენს ყოფილ დაწესებულებაში დღესვე, ვისაც გინდათ, ათას მიზეზს უპოვნიან. მე ხომ არ გეკითხებით, თქვენ რისთვის გაგანთავისუფლეს-მეთქი.

– სწორია. – თავისთვის ჩაილაპარაკა ბესარიონმა.

– ჩემთვის განთავისუფლება მოულოდნელი იყო. რაც შემეძლო, ერთგულად ვმუშაობდი, თქვენ კი კოლეგიაზე არც მალაპარაკეთ. მოვედი სახლში და ინფარქტი...

ბესარიონმა შეატყო, რომ მოსაუბრე ღელავდა და მისი დაწყნარების მიზნით ჩაურთო:

– ყველაფერი სისულელეა.

– ახლა?! – იყვირა უეცრად კოჭლმა და უკან დაიხია, – ახლაა ყველაფერი სისულელე, აქ რომ მოხვედი?! ახლა გახდა სისულელე ყველაფერი? აბა გუშინ ეთქვა ვინმეს შენთვის ეს სიტყვა? სისულელე როგორ არის? ეს ამდენი ხალხი რომ გაგვამწარე, ცხოვრება რომ მოგვიშხამე. ხეიბრებად გვაქციე, ახლაა ყველაფერი სისულელე? არ თქვათ, არ გაიმეოროთ, ეს სიტყვა. ჩადექით მწკრივში და იარეთ! რაც შეგიძლიათ, ერთგულად იარეთ! ჩვენთან ერთად იარეთ! სისულელე არაფერი არ არის! თავს ნუ დაიმშვიდებთ. ამაღამ იგრძნობთ, რომ არაფერი არ არის სისულელე!

კოჭლი საკმაოდ ხმამაღლა ლაპარაკობდა. ჯოხი ხელიდან ხელში გადაჰქონდა და სახეზე ოფლის წვეთები უბრწყინავდა. მოსეირნენი შედგნენ, შემობრუნდნენ. ერთი-ორი კაცი

ახლოს მოვიდა. სხვებს კი, ეტყობა, არ უნდოდათ, უსიამოვნო საუბრის მოწმენი გამხდარიყვნენ და გზა განაგრძეს.

კოჭლს უეცრად ხმა ჩაუწყდა, ჩაახველა, ხელი ჩაიქნია, შემოტრიალდა და სიბნელეს შეერია.

„მე რა შუაში ვარ. ჩემს ადგილას სხვა რომ ყოფილიყო, არ მოხსნიდნენ, თუ რა?! მე ჩემს საქმეს ვაკეთებდი. აბა თუ შემხვდებიან ახლა აქ ისინი, ვისთვისაც კარგი გამიკეთებია? თუ გამაჩერებენ და მეტყვიან მადლობას. ასეა ცხოვრება! მე ასე მჯეროდა და ასე ვაკეთებდი. მიზანი ხომ კარგი მქონდა. ხომ მინდოდა ყველა კარგად ყოფილიყო და საერთო საქმეს ზიანი არ მოსვლოდა. ამხელა ქალაქში ერთი-ორი კაცი ნაწყენი იქნება ჩემზე, ამას რად უნდა ლაპარაკი. და აქ უნდა შემხვდნენ მაინცდამაინც, ამ სეირნობისას?“ – ფიქრობდა ბესარიონ კიტოვანი.

„იქნებ სწორედ იმიტომ შეამჩნიეს, რომ მარტო დასეირნობდა. ახლა, მართალია კოჭლი წავიდა, მაგრამ ამდენ ხალხში კიდევ იქნება მისი გამწარების მსურველი, ამიტომ სჯობს რომელიმე ჯგუფს მიეკედლოს“. ასეც მოიქცა. ორი მოსეირნე კაცი შეარჩია და ჯერ უკან გაჰყვა, მერე ერთბაშად მხარში ამოუდგა და ცოტა დამშვიდდა. ახლა საშიშროება აღარ ემუქრებოდა. ისინიც ჩუმად იყვნენ. ბესარიონის მიკედლებაც აღარ იუცხოვეს, თითქოს წინასწარ იყვნენ შეთანხმებული, რომ წელანდელი შეკამათებით დაჩაგრულ, გუნებამოშხამულ კაცს სწორედ მათთან უნდა ევლო და ნუგეშიც მათთან უნდა ეპოვნა. ერთს, მაღალს, ყურებიანი ქუდი ეხურა, პირ-კისერზე კაშნე შემოეხვია და ტყავის ხელთათმანიან ხელებს ხანდახან ერთმანეთს გაუტყაპუნებდა. მეორე დაბალი ტანისა იყო და ისეთი მოკლე კისერი ჰქონდა, ყურები თითქოს მხრებზე გამოსხმიაო. ორივენი სდუმდნენ და მიწას დასჩერებოდნენ.

– ხონში თუ გყავს ვინმე, ბესარიონ? – ისეთი კილოთი წარმოსთქვა მაღალმა კაცმა, თითქოს ამ წუთში შეწყვეტილ საუბარს აგრძელებსო.

ბესარიონი ხონელი იყო. მშობლიური დაბის ხსენება ესიამოვნა. იქნებ საუბარი სიყმაწვილის მოგონების ფარგლებს არ გასცილდესო.

– ხონში? როგორ არა, ბიძაშვილები.

– სახლი? ის ძველი ოდა რომ გედგათ ბჟოლის უკან, ალბათ, დაინგრეოდა.

– დაინგრა, კი. – ისე გულდაწყვეტილად თქვა ბესარიონმა, თითქოს ხონში მისი მშობლიური სახლი მართლა უპატრონობით და უსახსრობით დანგრეულიყოს და მის ნაცვლად ადგილობრივ ხელმძღვანელობას ბესარიონისთვის ორსართულიანი სასახლე არ წამოეჭიმოს, თუმცა, მარტვილში გზად მიმავალმა თავის სახლში მხოლოდ ერთადერთი ღამე გაათია.

მაღალი კაცი წამით შეჩერდა, ხელთათმანები ერთმანეთს შემოჰკრა და ბესარიონს შეხედა.

– მე ვერ მიცანი ხომ, ბესარიონ?

კიტოვანმა სათვალე მოიხსნა და ხელმეორედ დააკვირდა, მთვარისკენ შეატრიალა, მაგრამ მაინც ვერ იცნო. იგი ისე იყო ჩათბუნებული, რომ ალბათ საკუთარი ცოლიც ვერ იცნობდა. „ახლა რომ ვერ ვიცანი, ეგ არაფერია, თავის სახელსა და გვარს რომ მეტყვის, ნეტავ მაშინ ვიცნობდე და სხვას არ დავეძებო“, – გაიფიქრა ბესარიონმა.

– გუტუტი ვარ მე, წირღვავა.

ახლა დაადგა გასაჭირი ბესარიონს. არც ეს გვარი და სახელი ეუბნებოდა რამეს. მაინც გაუღიმა და ყოველ შემთხვევისათვის ამოშაქრა.

– რას გიცნობდით, ისე შეფუთულხართ.

– შეფუთულიც რომ არ ვიყო, მაინც ვერ მიცნობდი, ბესარიონ, ორმოცდაათი წელია ერთმანეთი არ გვინახავს.

„განა ორმოცდაათი წლის წინ კი გვინახავს ერთმანეთი?“ – გაუელვა კიტოვანს და სმენა გაამახვილა.

– ხონის დაწყებით სასწავლებელში ერთად ვსწავლობდით.

– მახსოვს, როგორ არ მახსოვს, ჩემო გუტუტი, – მთლად გაუშინაურდა ბესარიონი, მაგრამ მაშინვე მიხვდა, რომ ასეთი ძალად მოთავმდაბლება არ გამოუვიდა. – ამ ბოლოს სად მუშაობდი? – იქნებ მუშაობის ადგილით მაინც ვიცნოო.

– მე სულ აკადემიის ინსტიტუტში ვიყავი და ახლაც იქა ვარ. სხვაგან არსად მიმუშავნია. პროფესორი ვარ მე – გუტუტის შერცხვა თავისი ტიტულის დასახელებისა, რადგანაც იგი ისე

ცნობილი კაცი იყო უწირეში, რომ მის სახელს „პროფესორის დამატება არ უნდა დასჭირვებოდა. – გამოგიგზავნე ერთიორჯერ ჩემი წიგნი. ალბათ მიიღებდი, წაიკითხავდი.

– კი, კი, მივიღე, მადლობელი ვარ. – დაბნეულად უთხრა ბესარიონმა და სულ დაკარგა გუტუტის ცნობის იმედი. წიგნების მიხედვით ავტორების გამოცნობა კიტოვანის საქმე არ იყო. მას ყველა უგზავნიდა თავის ახალ წიგნს. ყოველდღე მდივანს კაბინეტში იმდენი წიგნი შემოჰქონდა, – ყველა რომ წაეკითხა, ამოდენა დაწესებულების მართვა მთლიანად სხვისთვის უნდა გადაებარებინა. ამიტომაც საჩუქრად მოძღვნილ წიგნებს არა თუ არ კითხულობდა, არც კი ათვალიერებდა. სულ ერთია გუტუტი მაინც არ დაუჯერებდა. წიგნს რომ უგზავნიდა, წირღვავამ მაშინვე მშვენივრად იცოდა, რომ კიტოვანი მისი წამკითხველი არ იყო.

– გაიცანით, ეს მალაქია გახლავთ, კოშკაძე, – სიჩუმე დაარღვია წირღვავამ და კარგადაც მოიქცა. წიგნზე საუბრის გაგრძელება უაზრობა იყო.

მალაქიამ მოწიწებით გაუწოდა ხელი, ბესარიონმა კი, როგორც იცოდა, მარჯვენა მოკლეზე დაიჭირა და კოშკაძე კინაღამ წელში გადატყდა, სანამ მის ხელს მისწვდებოდა. „ამას უნდა გადავეჩვიო“, – გაიფიქრა ბესარიონმა და შეცდომა რომ გამოესწორებინა, დიდხანს აქანავებდა მალაქიას მორჩილ, ფუნჩულა მტევანს.

– ესეც პროფესორი ბრძანდება, ალბათ.

– არა, ბატონო, პროფესორი არ გახლავართ, – ხმა ამოიღო მალაქიამ და კიდევ იტყოდა რაღაცას, მაგრამ ამასობაში კიტოვანმა ხელი გაუშვა და მთელი ტანით გუტუტისაკენ შებრუნდა. თითქოს, რაკი პროფესორი არ აღმოჩნდა, რა საინტერესოა, ვინ იქნებაო.

მალაქია კოშკაძემ ასე იოლად უკან არ დაიხია. რაკი თავის ვინაობა ბოლომდე არ ათქმევინეს, საჭიროდ მიიჩნია ბესარიონის ყურადღება ისევ მიეპყრო.

– რა უნდოდა წეღან იმ კაცს? – იკითხა მალაქიამ და გუტუტის შეხედა, ვითომ ამ საქმისა გუტუტიმ მეტი იცოდა. პასუხი რომ ვერ მიიღო, ზურგზე ხელები შემოიწყო და ისეთი

ხმით განაგრძო საუბარი, ცხოვრებისაგან დაღლილი ჭკვიანი მოხუცი რომ ელაპარაკება პირტიტველა ყმაწვილს.

– ეგ არაფერი. ასეთ საწყენს ბევრს შეგახვედრებენ, მაგრამ ყურადღება არ მიაქციოთ. თქვენ ისეთი ადგილიდან წამოხვედით, რომ ქვეყანა შემოგყურებდათ ამდენი წლის განმავლობაში. მე მგონი, თქვენზე მეტ ხანს არც ერთ კაცს არა უმუშავნია იმ თანამდებობაზე. ხან ასე იქნება და ხან ისე. ყველას, რასაკვირველია, ვერ მოეფერებოდით. ერთი პატარა ნაკლი მეც უნდა გითხრათ.

– ბრძანეთ. – დაინტერესდა ბესარიონი.

გუტუტის კი აშკარად შეეტყო, რომ მალაქიას საუბრით უკმაყოფილო იყო. მას უნდოდა ამ თემაზე სულ არ ჩამოეგდოთ სიტყვა. ვითომცდა არაფერი არ მომხდარა. ვითომც ჩვეულებრივი საღამოა და სოლომონ ბრძენის ბაღში დღიური შრომით დაღლილი სამი მოხუცი დასეირნობსო.

– ხალხს ხანდახან პატარა რაღაცა გააღიზიანებს. როცა თქვენ ნაოსნობას თავი გაანებეთ და ჩამოხვედით, უფრო სწორად, ჩვენთან რომ გადმოგიყვანეს, სულ სხვანაირი ბრძანდებოდით. ერთი შავი კოსტუმი გეცვათ და ყველგან იმით გამოდიოდით. შორეულ ნაოსნობაში ქართული ენა დაგვიწყნოდათ და წითლდებოდით, როცა თქვენვე იგრძნობდით, რომ მშიბლიურ სიტყვებს უცხო კილოთი წარმოთქვამდით. მერე თანდათან შეეგუეთ და შეუთამამდით თქვენს ახალ მდგომარეობას. ვებერთელა შავი მანქანით რომ ჩამოივლიდით, იყო ერთი ფაციფუცი და გზების გადაკეტვა, მოდის, მოდისო. რაში გჭირდებოდათ ეს ყველაფერი?

– როგორ გეკადრებათ!.. რა ვიცი... ამაზე არც მიფიქრია... – ნაწყვეტ-ნაწყვეტ ისროდა სიტყვებს ბესარიონი და მიუხედავად იმისა, რომ გუტუტიმ უსაყვედურა კოშკაძეს, „რა ლაპარაკია ახლა ეს, საქმე მეტი ვერ ნახეო?“ – ბესარიონი გულის სიღრმეში მაინც კმაყოფილი იყო, რომ მთელ მის მუშაობას მალაქია კოშკაძემ ამაზე მეტი ნაკლი ვერ მოუნახა.

ერთხანს ჩუმად იარეს, გუტუტიმ იფიქრა, სანამ მალაქია მორიგ სისულელეს წამოიწყებდეს, ისევ მე ვიტყვი რამესო.

– კაი ბიჭია, ხომ იცით, ეს ვაშაძე.

– ვაშაძე? – ანგარიშმიუცემლად იკითხა მალაქიამ.

– ჩვენი ახალი ჩემპიონი კრივში – დააზუსტა წირღვავამ, – ტელევიზორში უჩვენეს გუშინ. რა კარგად ურტყამს, კაცო, მე მაინცდამაინც კრივის პატივისმცემელი არ ვიყავი, მაგრამ აწი კი უნდა ვადევნო თვალ-ყური. რა კარგად დგას, რა თავისუფლად. სულ არ ეშინია? ხელებს ხანდახან ისე ჩამოყრის, გეგონება მოწინააღმდეგეს ნებდებაო. ან რა ტექნიკა აქვს.

– რა აქვს?!! – ბოლო სიტყვას მოჰკრა ყური ბესარიონმა. იგი სპორტის ყველა სახეობაში თითქმის ერთნაირად ერკვეოდა. დაახლოებით აი, ამ დონეზე: მან იცოდა, რომ მოკრივეს ხელზე ტყავის ხელთათმანები ეკეთა და ვერ წარმოედგინა, კიდევ რა ტექნიკა უნდა ჰქონოდა.

გუტუტიმაც იგრძნო, რომ მოსაუბრენი სპორტის უწყინარ ლიანდაგზე ვერ გადაიყვანა და გაჩუმდა. სწორედ ეს სიჩუმე გამოიყენა მალაქია კოშკაძემ ოსტატურად:

– კი, მართალია, თავიდან ცუდად არ დაგიწყიათ, ახალი ცოცხი იყავით და ჩვენც მოგყვებოდით.

– მე ჩემსას ვცდილობდი. – თავი იმართლა ბესარიონმა.

– მალაქია! – ჩაურთო გუტუტიმ, მაგრამ უკვე გვიან იყო. მალაქიას ვერაფერი შეაჩერებდა.

– კი, მართალია, თქვენ თქვენი სცადეთ, მაგრამ რომ არაფერი გამოგივიდათ? ესე იგი, კარგად ვერ გიცდიათ, ვისაც მოერიეთ, მოერიეთ. ვისაც ვერა? ხომ ხედავთ, ბევრმა სხვა სამინისტროს შეაფარა თავი. იქ კი ზოგი მათგანი, კარგად მიიღეს და გულშიც ჩაიხუტეს.

„ესეც ჩემი ბრალია?“ – გაიფიქრა ნაუფროსალმა. მალაქია თითქოს მიუხვდაო:

– არა, ქვეყნის გასწორებას თქვენ, მართალია, ვერ შეძლებდით, მაგრამ ძალიან ადრე მოეშვით, ადრე მოგწყინდათ. ეს ბოლო თხუთმეტი წელი ტრესტი თითქმის ნებაზე იყო მიშვებული. თხა და მგელის ერთად ძოვა, ბესარიონ ბატონო, მარტო წიგნებში შეიძლება. სინამდვილეში ეს არ მოხდება და არც უნდა მოხდეს.

– მერე მე ეგ როდის ვთქვი! მე ვამბობდი, ნუ დავჭამთ ერთმანეთს-მეთქი. მე ზღვაოსანი კაცი ვარ, მთლად ასეც

არაა საქმე. ახლა თუნდაც ერთი ბოროტება მითხარით, რასაც მე თვალები დავუხუჭე.

– ბოროტება თქვენი კაბინეტის კარამდე თავის ფეხით არ მოვიდოდა. ცოტა თვალშიც უნდა გამოგეხედათ, თქვენ კი ხშირად თვლემდით და ამით სხვები სარგებლობდნენ.

– მალაქია! – ერთხელ კიდევ სცადა კოშკაძის დაოკება წირღვავამ და კვლავ უშედეგოდ.

– თქვენ თავიდან ნაცნობ-მეგობრობით კადრების შერჩევის დაუძინებელი მოწინააღმდეგე იყავით, მერე კი ადექით და ყველგან თქვენი მეგობრები დანიშნეთ და დააწინაურეთ!

– კი, მე მათ ვიცნობდი და ვენდობოდი. – გულწრფელად აღიარა ბესარიონმა.

– მერე? ხომ ნახეთ, ზოგმა რა ცუდად გამოიყენა თქვენი ნდობა.

– რა მერე? ვაპატიე ვინმეს რამე?

– სიმართლის სამსახურში პატიებაც შედის ბატონო ბესარიონ. პატიება ასატან დონეზე. შენდობა, რასაკვირველია ზომიერი! „არის ზოგი შეცოდება, რომ სათქმელად საძნელოა, არც შენდობა უხერხდება“. ზოგისთვის ბუზს სპილოდ აქცევდით, ზოგის დანაშაულს კი თვალს დაუხუჭავდით.

– არ არის მართალი. – მტკიცედ განაცხადა ბესარიონმა.

– ნეტავ ასე იყოს. – ფიცხლად შეაგება მალაქიამ. – არ იფიქროთ, განაწყენებული კაცი გელაპარაკებოდეთ. მე თქვენთან საქმე არ მქონია. მე სხვაგან ვმუშაობ. ჩემი პატარა ადგილი მიჭირავს და იქვე მოვკვდები. თქვენ ჩემთვის არაფერი დაგიშავებიათ. მაგრამ მე ვუყურებ ყველაფერს, და რა ვქნა, ვერ დავმალავ. რამდენადაც ფხიზელი და შეურიგებელი იყავით თავიდან, იმდენად მოშვებული და გადაუწყვეტელი გახდით ბოლოს. თქვენ ხალხს უკვე მოსწყინდით. ყველაფერი თვითდინებით მიდიოდა. კახაბრობდა ხშირად იგი, ვინც არ იყო კახაბერი.

– მერე, რატომ არ მეუბნებოდით! – მოწაფური კილოთი ჰკითხა ბესარიონმა.

ამ სიტყვებზე, გუტუტისაც კი გაეცინა. წირღვავა ისე ხმამაღლა იცინოდა, რომ მოკამათეებმა გაოცებით შეხედეს. ეს სიცილი რომ არა, მისი არსებობა აღარც კი ახსოვდათ.

უხერხული სიჩუმე ახლა ბესარიონმა დაარღვია. უნდა დაგტოვოთო, – თქვა და ორივეს ხელი ჩამოართვა, მერე მიიხედ-მოიხედა, შადრევნის განათებულ მოედანს ისე სწრაფად გაეცალა, თითქოს უჩინმაჩინის ქუდი დაიხურაო.

ჭიშკართან ვიღაც კაცი დახვდა, მეზღვაურის მაისური ეცვა, ქუდი თვალებზე ჩამოეფხატა და მკლავები გულმკერდზე დაეკრიფა. ეტყობა ბესარიონს ელოდა.

ბესარიონი ცოტა არ იყოს, შეშინდა, უკან დაიხია:

– ნუ გეშინია, – დაამშვიდა უცნობმა. – ერთი სიტყვა მაქვს სათქმელი.

ბესარიონმა თავი ასწია და მოსაუბრეს თვალებში შეხედა.

– მე შენი მოხსნა ყოველთვის შემეძლო, მაგრამ არ გაგიმეტე, ახლა გეუბნები ამას.

– სად მუშაობთ? – ეს ბესარიონის ჩვეული, საყვარელი კითხვა იყო და ახლაც წამოსცდა.

– მე აგერ, ცეცხლფარეშად ვარ მესამე კომუნალურში. ამას რა მნიშვნელობა აქვს. მე ყველა მმართველის მოხსნა შემიძლია.

– რანაირად? – დაინტერესდა ბესარიონი.

უცნობმა გაიცინა.

– მეც ასე ვფიქრობდი. მე დარწმუნებული ვიყავი, რომ შენ ეს არ იცოდი. სხვები მეუბნებოდნენ, იცისო. შენ კი არ გცოდნია! ნუთუ არ გიფიქრია, რომ შენი მოხსნა ყოველთვის შემეძლო?

– რანაირად? – გაუმეორა კითხვა კიტოვანმა და ახლა მიხვდა, რომ მოქალაქე მთვრალი იყო.

– სულ უბრალოდ. – განაგრძო უცნობმა. – მოვიდოდი შენთან მიღებაზე და სამელნეს გესროდი, ან სილას გაგაწნავდი. გალახული ტრესტის მმართველი არავის არ უნდა ამ ქვეყანაზე! შენ იმ კვირაშივე გაგანთავისუფლებდნენ, მაგრამ მე ეს არ გავაკეთე. ისე ღირსი კი იყავი, ცხრაჯერ დაგიწერე განცხადება, ინვალიდობის საბუთები დამიკარგეს და თავიდან გამატარეთ კომისიაზე-მეთქი, მაგრამ ყურადღება არ მომაქციე.

– მადლობელი ვარ... ბოდიშს ვიხდი... – ბესარიონმა ნაბიჯი გადადგა, უნდოდა როგორმე გასცლოდა მთვრალ კაცს თორემ თვითონაც არ იცოდა, რისი მადლობელი იყო, ან ბოდიში რისთვის მოიხადა.

– მე მეგონა, იცოდი! – დაადევნა მთვრალმა, – შენ კი არ გცოდნია. რომ გცოდნოდა, სხვანაირად მომექცეოდი, ვინმემ ხუმრობით მაინც არ გითხრა? მე მაინც არ გავაკეთე არ გაგწირე! არ გაგაშავე! არ შეგარცხვინე! მე შენზე კაი კაცი ვარ!..

* * *

მუშტებმოკუმშული შევიდა თავის ეზოში. გაფითრებული ცოლი შუშაბანდში ელოდებოდა. ბესარიონმა ბოლო ოციოცდახუთი წლის მანძილზე პირველად ნახა იგი ასე შეწუხებული და დაღონებული.

„მე იქ გამვლელი აღარ ვარო, შენ მართალი გითქვამსო. ხვალვე ავიბარგოთ აქედან. ცოტა ხანს შენს ძმასთან გადავსახლდეთ, მერე გამოჩნდება გზაო“.

მეუღლეს არაფერი უთქვამს, იგი ამ სიტყვებს კარგა ხანია ელოდა.

ბესარიონმა ფანჯარა გამოაღო და სიგრილეს პირისახე მიუშვირა.

„არადა რაღაცაშია საქმე, თორემ რატომ უნდა მივდიოდე. აქ რატომ არ უნდა მეცხოვრებოდეს?“

ამ ფიქრის თვითონვე შეეშინდა, მეუღლეს გადახედა და ფანჯარას მოშორდა.

ილაჯი

ზარი რომ დარეკეს, ვანო კიკილაშვილი ლოგინიდან წამოხტა, ფოსტლები ფეხით მოძებნა და კარის სამზერში გაიჭვრიტა. უცნობს ხელში მინის ქილა ეჭირა, ხოლო ქილაში ორი წვრილი პლასტმასის ღერი იდო; დაახლოებით ისეთი, კოქტეილისთვის რომ ხმარობენ. სტუმარს ქილა ხელში ისე ეჭირა, რომ მასპინძელს ჭუჭრუტანიდან კარგად გაერჩია.

– ვინ ხარ? – ჰკითხა ვანომ, თან ჭუჭრუტანისთვის თვალი არ მოუცილებია.

– კიკილაშვილი თქვენ ბრძანდებით, პატივცემულო?

– რაშია საქმე?

– სანეპიდსადგურიდან ვართ, თუ შეიძლება.

უცნობი მობოდიშებით და მოკრძალებით ლაპარაკობდა.

– ახლავე.

ვანო ჭუჭრუტანას მოშორდა, საწოლ ოთახში შეირბინა, შარვალი ჩაიცვა, ხალათი ბეჭებზე მოიგდო და სარკეშიც ჩაიხედა, ისე, ყოველ შემთხვევისათვის.

– მობრძანდით, მაგრამ რომ არ მყავს თაგვები, საყვარელო?

სტუმარს ახლა ორივე ხელით ეჭირა სინჯარებიანი მინის ქილა და უხერხულად იღიმებოდა.

– ამჯერად თაგვებს არ დავეძებთ, პატივცემულო. ჰაერი როგორია თქვენს ბინაში?

– რა ვიცი, როგორიც სხვაგანაა. – მასპინძელი ასეთ კითხვას არ ელოდა.

– ღამე ხომ არ გეღვიძებათ ხშირ-ხშირად, ხანდახან თავბრუ ხომ არ გესხმით?

– თავბრუ არა, ღამე, ბრძანეთ, იმისი არ იყოს, ხშირად კი მეღვიძება, მაგრამ ავადმყოფობა მაქვს მე ერთი, უბედური, დიდი ხანია და, იმას ვაბრალებ, შემობრძანდით.

უცნობი შემოვიდა და მოსაცდელში ძველი, ჩუქურთმებიანი სარკის წინ გაჩერდა.

– შეგაწუხეთ ამ დილას, გეძინათ ალბათ.

– არა, ბატონო, რა დროს ძილია, ათი ხომ იქნება?

სტუმარმა საათზე დაიხედა.

– ათის ნახევარია, მარტო ცხოვრობთ?

– საერთოდ, არა, ახლა – კი. მფრინავია ჩემი შვილი და დადის იქეთ-აქეთ მივლინებებში, ახლა კალინინგრადშია წასული.

– როდის უნდა დაბრუნდეს? – დაინტერესდა სტუმარი.

– რა ვიცი. ახლანდელი ახალგაზრდებისაგან სწორს გაიგებ რამეს?

ვანომ იცრუა. იგი თხუთმეტი წლის წინათ გაშორდა ცოლს და მარტო ცხოვრობს. ვაჟი, რომელიც ახლა ოცდახუთი წლის არის, დედასთან დარჩა. მანამდეც იშვიათად აკითხავდა. შარშან კი მამა-შვილი რაღაცაზე შეკამათდნენ და ეს ერთი წელია, ბიჭს ვანოსთან ფეხი არ შემოუდგამს.

სტუმარმა, ეტყობა, ბინაში მყოფთა რაოდენობის გარკვევა დამთავრებულად ჩათვალა და საქმეზე გადავიდა.

– ჟანგბადის დონეს ვამოწმებთ, პატივცემულო. ოცდახუთი ბინა შევამოწმე დღეს და, თქვენ წარმოიდგინეთ, ადამიანისთვის საკმარისი ჟანგბადის დონე მხოლოდ ხუთში აღმოჩნდა.

ვანო შეაძრწუნა ამ ცნობამ.

– რას ლაპარაკობ?! ეს მანქანები გვიშვრება, ბატონო, ყველაფერს. მანქანამ დაღუპა ქვეყანა. მალე ჟანგბადის ბალიშების შეძენაზე გადავა ხალხი მასობრივად.

– ჟანგბადის ბალიშები ჯერ არა, მაგრამ ვის ბინაშიც ჟანგბადის ნაკლებობაა, ჩვენ დავალებული გვაქვს, ჰაერმწმენდი დავუდგათ და თითო ლიტრა რძე უფასოდ ვაძლიოთ.

– ყოველდღე?

– კი ბატონო!

ამასობაში სტუმარი ოთახებში მიმოდიოდა. ქილას მაღლა სწევდა და ათვალიერებდა. უბის წიგნაკში რაღაცას იწერდა და იყო ერთ საქმეში.

როცა ჟანგბადის დონის შემოწმებას მორჩა, ქილა იატაკზე დადგა, აბაზანაში შევიდა, ხელები საპნით დაიბანა და ოჯახის უფროსს აუწყა:

– საშიში არაფერია თქვენთან ჯერჯერობით, პატივცემულო. მერე კიდევ შევამოწმებთ. თუ რაიმე შეიცვალა, დაგიკავშირდებით. – კარი გამოაღო და ხმამაღლა გაიმეორა: – ჯერჯერობით საშიში არაფერია, პატივცემულო!

ვანოს უნდოდა ეთქვა: დიდი მადლობა, იატაკზე ჟანგბადმზომი გრჩებათო, მაგრამ აღარ დასცალდა: ღია კარებში ორი კაცი შემოვარდა, ერთმა რევოლვერი მიადო ცხვირთან, მეორე უკნიდან ეცა და ხელები გადაუგრიხა.

– ხმა, თორემ გაგათავებთ!

„მეჟანგბადემ“ ჩვარი დააძრო პიჯაკის ჯიბიდან.

– პირი გააღე, პატარა ხანს ცხვირით სუნთქვა მოგიწევს.

„ეს ამხელა ჩვარი თუ პირში ჩამაკუშნეს, დავიხრჩობი და ის იქნება“, გაუელვა ვანოს. თავი გვერდზე შეაბრუნა და მუდარით უთხრა:

– არ გინდათ ეგ ამბავი, ბიძია, ხმას არ ამოვიღებ.

დაუჯერეს. სასტუმრო ოთახში შეიყვანეს, ხელები ბაწრით შეუკრეს, სავარძელზე დასვეს და გააფრთხილეს.

– ორი კაპიკის გულისთვის ნუ გაიმწარებ, ბიძია, სიცოცხლეს. ხმის ამოღება და ყრონტის გამოჭრა ერთი იქნება!

„სანეპიდსადგურის წარმომადგენელი“ თავზე დაადგა ვერცხლისფერი ბრაუნინგით ხელში, დანარჩენები საწერ მაგიდას ეცნენ და უჯრები თვალისდახამხამებაში იატაკზე გადმოაპირქვავეს. კარგა ხანს ურიეს ხელი ქაღალდებში. მერე ერთბაშად შეწყვიტეს ქექვა და მასპინძელს გარს შემოადგნენ.

– რად გინდათ ახლა, რომ აგინგრიოთ ეს დალაგებული ბინა. შენზე უკეთ არავინ იცის, სად რაა. მოგვეცი და წავალთ ჩვენ გზაზე. – ეს კარადას მიყრდნობილმა შავკეპიანმა, მაღალმა ქურდმა უთხრა.

ვანომ თავით ფეხამდე აათვალ-ჩაათვალიერა მომხდურნი. თუ ცოცხალი დამტოვეს, ამათ გარეგნობა-ჩაცმულობას მილიცია დაწვრილებით გამომკითხავსო.

ჟანგბადის გაზომვის ოსტატს თეთრი, მწვანეკოპლებიანი პერანგი ეცვა და მსხვილად განასკვული კვერცხისგულისფერი ჰალსტუხი ეკეთა. ბაკები თითქმის ნიკაპამდე წვდებოდა. მისი „პროფესიის“ კაცისთვის არაჩვეულებრივად კეთილი

თვალები ჰქონდა და სავარძელში ხელებშეკრული მოხუცის ხვანცალს რომ უყურებდა, ხშირად ღიმილი გადაურბენდა ინტელექტუალურ სახეზე. მეორე, ტანდაბალი, მუშტებშეკრული რომ ადგა თავზე, მელოტი იყო, თავწვერულვაშიანად ახალი გაპარსული უნდა ყოფილიყო, ვანოს „კიტრის წყლის“ მძაღე სუნი ცხვირში უღიტინებდა. ბავშვის დახატული „პირატივით“ გამოკვეთილი უშნო ყბები და ღორჯოსნაირი პირი ჰქონდა. მგელივით გაჩიკინებულ კისერზე, ტანთან შედარებით, საკმაოდ დიდი თავი ედგა და რამეს რომ ეტყოდნენ, მთელი ტანით ბრუნდებოდა, შავკეპიანს მარტო ყავისფერი თვალები და კეხიანი ლამაზი ცხვირი უჩანდა. სახეზე შავი წვერი მოსდებოდა, წვერი ყვრიმალებზეც კი ამოსულიყო, მარჯვენა ხელის შუათითზე ვერცხლის ბეჭედი ეკეთა.

– რას ეძებთ? – რამდენადაც მოუხერხდა მშვიდად იკითხა ვანომ.

– ოქროს. – ღორჯოსპირიანს სუსტი, ჩახლეჩილი ხმა ჰქონდა. – და ფულს.

– არც ერთი მაქვს და არც მეორე. ა, ბატონო, აგერ ხართ სამივე, არსად არ გვეჩქარება, ჩემთან სტუმარი იშვიათად მოდის. დაძებნეთ კარგად და თუ რამეს იპოვით, ალალი იყოს თქვენზე. – თქვა მასპინძელმა.

– რა ხალხში მაქვს საქმე! – თქვა წვეროსანმა, ხელები ერთმანეთს გაუტყაპუნა და ოთახში წინ და უკან დაიწყო სიარული.

– ოქრო არა გაქვს შენ, ვანო კიკილაშვილს? – მომცრო ბანდიტი თავს ვერ იკავებდა.

– არც მქონია მიდღემჩი. – მასპინძლის ხმაში შეუპოვრობამ დაისადგურა.

– ჟორჟია, გაახურე უთო. ახლავე ავალაპარაკებ ამ ბებერ ტურას. ამასთან ლაილაის თავი მაქვს მე?! – „პირატი“ არ ხუმრობდა.

ჟორჟიამ უთო გამოიტანა. ტელევიზორის ჩამრთველი გამოგლიჯა. უთო იატაკზე გვერდულად დადო და არაბულ სკამზე მოკალათდა.

– უთო რად გინდათ? – დაინტერესდა ვანო.

– უნდა დაგაუთოოთ. – დააკმაყოფილა მასპინძლის ცნობისმოყვარეობა მეჟანგბადემ.

– თქვენი საქმე თქვენ იცით. – ჩაილაპარაკა ვანომ და სტუმრები ერთხელ კიდევ შეათვალიერა, – თუ ქურდები ხართ, მოიქეცით ისე, როგორც ქურდს ეკადრება. თავს ნუ შეირცხვენთ, ბიძია, რაცხა ორი კაპიკის გულისთვის. მე, მალე დარწმუნდებით სამივე, ის კაცი არ ვარ, რომ შემაშინოთ და გული ამიფრიალოთ, პატიოსნად გეუბნებით: ოქრო მე არ მაქვს, გარდა ერთი ბეჭდისა (აგერ მიკეთია ხელზე), და მამაჩემის ნაჩუქარი საათი დევს, მაგერ, ჩემს ლოგინთან, კოლოფში. რაც შეეხება ფულს, ფული მაქვს, როგორ არა მაქვს, მაგრამ თქვენ რომ გგონიათ, არც იმდენი. ხუთასი მანეთი მაქვს მწვანე კოსტიუმის ჯიბეში და იმ წიგნების კარადის თავზე სალაროს წიგნაკი დევს – თხუთმეტი ათასი მანეთი სალაროში მაქვს. ესაა ჩემი სიტყვა. თუ დამიჯერებთ, კარგია, თუ არადა, ქენით, რაც გინდათ. მე სამოცდათორმეტი წლის კაცი ვარ, ჩემი ცხოვრება მოვჭამე უკვე. ჩემს შეშინებას ტყუილად ნუ ეცდებით. – ვანო ისე დამაჯერებლად ლაპარაკობდა, რომ მაღალმა უთო გამორთო და ისევ ტელევიზორი შეაერთა.

– ეგება მართლა არა აქვს ამ კაცს და ხომ არ მოვკლავთ? – სხვისი ხმით თქვა ჰალსტუხიანმა, რევოლვერი ჯიბეში ჩაიდო, „ყაზბეგი“ ამოიღო და საფერფლეს დაუწყო ძებნა.

– თუ კაცი ხარ, აქ არ მოსწიო. მე თვითონ არ ვეწევი და გულს მირევს პაპიროსის კვამლი. ერთ კვირას ვერ გავდენი მაგის სუნს სახლიდან. – სთხოვა მასპინძელმა და ქურდიც უსიტყვოდ დამორჩილდა, მოკიდებული პაპიროსი ჩააქრო და ისევ „ყაზბეგის“ კოლოფში ჩააბრუნა.

„პაპიროსის ნამწვი არ დატოვა, ჭკვიანი კაცია“, – გაიფიქრა ვანომ.

ამასობაში ჟორჟია და მელიტონი ენერგიულად მუშაობდნენ, კარადები ამოატრიალეს. წიგნები იატაკზე დაყარეს, უჯრები ამოფერთხეს. მუთაქასაც დაუსვეს დანა.

– შენი სახელი? – ჰკითხა ვანომ „ჟანგბადის სპეციალისტს“.

– ბონდო, ჩემო ბიძია.

– ბონდო ბატონო, შეხედე ერთი, არის ახლა ეს კაცური საქმე? მარტოხელა კაცი ვარ, მუთაქების დაჭრა მინდა მე? საიდან ჩამოხვედით, თქვე კაი ხალხო, მუთაქაში ვინ ინახავს ახლა ფულს?!

– რა ვიცი, ბიძია. შენ გგონია, ჩემსას გაიგონებენ მაგენი? უბედური ხალხი ყავს გამჩენს. რატომ ის დღე და საათი არ დაიწვა, მე რომ ამ საქმეს მივყავი ხელი. – ხმას დაუწია და, თითქოს ძველ მეგობარს საიდუმლო უნდა გაანდოსო, ჩურჩულით უთხრა: – თუ გაქვს ოქრო, მე მითხარი, სად გაქვს, მითხარი და იმ ოთახში არ შევუშვებ მაგენს, მენდე ბიძია, ისე მომეწონე, რომ ამ ოხრებს არ ჩავუგდებ შენს ოქროს ხელში.

ვანოს გაეცინა.

– არ მაქვს, ჩემო ბონდო, თორემ ოქროს დაგიმალავ შენ?

– ახია შენს თავზე ყველაფერი! – გაწყრა ბონდო და განზე გაიხედა. – იმ გაუთოებასაც მე გადაგარჩინე, იცოდე. პატივი არ უნდა გცეთ თქვენ კაცმა! კარგი, იმგენს ატყუებ, მე რაღას მატყუებ, შე კაი კაცო?

– არა მაქვს ოქრო! – ვანო კიკილაშვილს ოქრო მართლა არ ჰქონდა.

ორ საათს დაჰყვეს ქურდებმა ვანოს ბინაში. ყველაფერი გადაქექეს. საკერავი მანქანაც არ დარჩენიათ დაუშლელი, მაგრამ რაც მასპინძელმა თქვა, იმაზე მეტი ვერაფერი იპოვეს. წასვლისას ხელები შეუხსნეს და მკაცრად გააფრთხილეს: ჩვენი გასვლიდან ერთი საათის განმავლობაში ტელეფონთან არ მიხვიდე და კარი არ გააღოო. სალაროდან ფული გამოიტანე და ზეგ, დილის ათ საათზე დაგვახვედრე, რომელიმე ჩვენგანი მოვა და წაიღებსო, ჩვენი შენთან ყოფნის თაობაზე კრინტი არავისთან დასძრაო. თუ ამ სამი პუნქტიდან რომელიმეს არ შეასრულებ, სახლს აგიფეთქებთ და შენს მფრინავ ბიჭს შენ თვალწინ გამოვჭრით ყელსო.

ხუთასი მანეთი, ოქროს საათი და ბეჭედი (თითზე წააძვრეს) წაიღეს. დამშვიდობების შემდეგ ბონდო შემობრუნდა, ჟანგბადის საზომი ხელსაწყო გაზეთში შეახვია (ხომ ძველია ეს გაზეთი, ხომ წაკითხული გაქვსო), მასპინძელს კარგად ყოფნა უსურვა და გავიდა.

ვანო ჭუჭრუტანიდან უყურებდა: ორივე ლიფტი გამოიძახეს, ბონდო და ჟორჟი მარჯვენა ლიფტში ჩასხდნენ, ღორჯოსპირიანი – მარცხენაში, თვალს მიეფარნენ. ვანო სამზარეულოში გავიდა, წყალი დალია და საათს დახედა.

* * *

– არც კი ვიცი ახლა, ჩემო ბატონო, კარგს ვშვრები, თუ ცუდს. ეგება მთლად უარესი შეიქნეს ჩემთვის, რატომ დაგვასმინეო და ეგებ მართლა გამომჭრან ბერიკაცს ყელი, მაგრამ გაბრაზებული ვარ და შეურაცხყოფილიც, სხვათა შორის, ისე კი არ იყვნენ გლახა ბიჭები. ერთი მაინც, პირველად რომ შემოვიდა, ძალიან მომეწონა. კინაღამ ვუთხარი – ამგენთან, ამ მათხოვრებთან საამხანაგო რა გაქვს, ბონდო, შენ-მეთქი. ბონდო მქვიაო და, რა ვიცი, ბონდო ჰქვია? შესახედავად როგორებიც იყვნენ, ქე გითხარით, წაღებით, იმ ერთ კინკილა ბიჭს ვფიცავ, რაც ჩამოვთვალე ის წაიღეს. ფულს და ოქროს ეძებდნენ, თვარა კარადა სავსე მქონდა, ახალთახალი კოსტიუმისთვის – მაისში შევიკერე, ორჯერ მეცვა მარტო, – ხელი არ უხლიათ. არ მოვიდოდი თქვენთან, ჩემს სიგლახეს ვამბობ, ზურგს უკან ქიჩმაჩი არ მიყვარს. თუ რამის თავი მქონდა, იქვე უნდა გამეცა პასუხი, მარა სამი კაცის მორევა შემიძლია მეე? არ შეგაწუხებდით თქვენც. რა მოხდა, ქურდი და დამცემი იმისაა, რომ ან შენ უნდა მოგპაროს, ან მე. აბა ჩუქებით ვინ რას გაჩუქებს! მაგრამ ნამეტანი მასხარად ამიგდეს მაგენმა და ამაზე ვარ გაბრაზებული. რაც მიგვაქვს ხომ მიგვაქვს, ახლა (რაღაც ორი კაპიკი მაქვს ნაგროვები შავი დღისთვის, ვინ იცის, რა მომელის მარტოხელა კაცს) ბანკიდან ფული გამოიტანე და ზეგ დაგვახვედრე დათვლილიო. ამასაც კაი, ვაპატიებდი, მარა საათის წაღება რაღა იყო? ამხელა ფულს გაძლევ ზეგ (ვანოს გაეცინა) და მამაჩემის ნაჩუქარი საათი მიგაქვს, არ გრცხვენია? რომ კითხო, ვაჟკაცები არიან და პატიოსანი ქურდები არიან!..

მილიციის მეორე ქვეგანყოფილების უფროსმა კიკნაძემ მოხუცს ყურადღებით მოუსმინა, მერე ერთხანს აკაკუნა ფანქარი და როდის-როდის ინება ხმის ამოღება.

– რომელი საათი იყო?

– ათის ნახევარი, თვითონ მითხრა ქურდმა, მე გითხრა სიმართლე, საათისთვის არ დამიხედავს.

– ვინმემ გაიგო ეს ამბავი? – კვლავ დიდი პაუზის შემდეგ იკითხა კიკნაძემ. დაზარალებული, ცოტა არ იყოს, გაბრაზდა, ამის მოფიქრებას რად უნდოდა ამდენი დრო, მე მეგონა, ცხელ კვალზე დადგებოდა მილიცია, დაფაცურდებოდნენ ყველანი, ეს რაღაცა გლახად იჭიმებაო.

– არა. თქვენ გეუბნებით პირველად.

კიკნაძე წამოდგა. გასაღებები ააჟღარუნა, სეიფი გააღო და ვანო კიკილაშვილს ძველთაძველი, ყდაშემოგლეჯილი ფოტოალბომი დაუდო წინ.

– ნახეთ ერთი, დაათვალიერე, თუ იცნოთ რომელიმე, იმ სამიდან, თუ ვინმეს მიამსგავსოთ, მითხარით.

ვანომ კარგა ხანს ათვალიერა ქურდების ალბომი, თითქმის ყველა ჯურის ქურდის ფოტოსურათს წააწყდა, მისი ნაცნობი ბანდიტების გარდა.

– როდის მოვალთო ფულის წასაღებად?

– ზეგ დილას, ათ საათზე.

– ტყუილია! – დაასკვნა კიკნაძემ და ქოჩორი ფანქრით მოიქექა.

– რა ბრძანეთ? – წინ გადაიხარა ვანო.

– ტყუილია-მეთქი! მაგ დროს არ მოვლენ, – თითქოსდა დიდი აღმოჩენა გააკეთა ქვეგანყოფილების უფროსმა.

– მე მგონია, საერთოდ აღარ მოვლენ მაგენი, – ჩაილაპარაკა ვანომ.

– მოსვლით მოვლენ, ათი ათასი მანეთის დამკარგავები არიან? მოვლენ, მაგრამ სხვა დროს მოვლენ. შენ სულ რომ არ ელი, ისეთ დროს მოვლენ.

– რა ვქნა, აბა? – დაბნეულად იკითხა ვანომ.

– დაწერეთ, აგერ დაბრძანდით და ყველაფერი დაწვრილებით დაწერეთ, რაც მოხდა. მერე წაბრძანდით შინ, გამოიტანეთ სალაროდან ათი ათასი მანეთი, იმიტომ რომ, ქურდებმა უკვე იციან, რომელ სალაროში გაქვთ ფული და შეიძლება დაინტერესდნენ, მართლა გაიტანეთ თუ არა. შეინახეთ

ეს ფული სახლში და დაელოდეთ ქურდებს. ხვალ დილით ჩვენი თანამშრომლები მოვლენ თქვენთან. მიუჩინეთ ერთი ოთახი და არავისთან არაფერი წამოგცდეთ, თორემ ოპერაცია ჩაიშლება. ქურდები რომ მოვლენ, კარებშივე არ მისცეთ ფული, შინ შემოიპატიჟეთ, მერე ჩვენ ვიცით.

ვანო წამოდგა და ვენტილატორს ხელისგული მიუშვირა.

– ხვალ დილით მოვლენ, აბა?

– დიახ.

– რამდენნი იქნებიან?

– სამი ან ოთხი.

– რამდენ ხანს უნდა იყვნენ ჩემთან?

– უნდა იმორიგეონ დღე და ღამე. სანამ არ დავიჭერთ ქურდებს.

– აგაშენათ ღმერთმა. – დამშვიდდა ვანო. – ერთ მათგანს ვერ მაჩვენებთ სახეზე? თორემ ისე ვარ შეშინებული, შეიძლება ხვალ დილით კარი არ გავუღო.

კიკნაძეს გაეცინა.

– ფაფით შეშინებული დოს უბერავდაო, არა? – ღილაკს თითი დააჭირა და მიკროფონს ჩასძახა – ხუსკივაძე მოვიდეს ჩემთან!

ხუსკივაძე მაღალი, მხარბეჭიანი შავგვრემანი სერჟანტი უფროსს გაეჭიმა.

– ეს იქნება ერთი, ბატონო, – ვანოს მიუბრუნდა კიკნაძე, ხომ არ შეგეშლებათ? – თავისუფალი ხარ!

ხუსკივაძე გავიდა.

„რა ვიცი, ღირდა საამამბავოდ ყველაფერი? ახლა დაიჭერენ ამგენს. მერე სასამართლო და გამოძიება. უნდა ვირბინო აქეთ-იქით. ვიღაცა ამხანაგები ეყოლებათ და დამიშვებენ აგურს თავში, ესეც რომ არ მოხდეს, მთელმა ქვეყანამ უნდა გაიგოს ჩემი გაძარცვის ამბავი. საათი რომ არ წაეღოთ, ხმას არ ამოვიღებდი, მარა მაგენის ბრალიცაა. წუწკი ტურა ძაღლებს რჩებაო, არ უნდა გაწუწკდე ქურდი. ქურდი თუ ხარ, ქურდი უნდა იყო“... ბუტბუტებდა გზაში ვანო და არც კი გაუგია, როგორ მიაღწია სახლამდე.

* * *

ამის შემდეგ თვე-ნახევარი გავიდა.

ერთ მშვენიერ დილით, ცხრა საათს ხუთი წუთი არც კი აკლდა, როცა მილიციის მეორე ქვეგანყოფილების კარი ხელჯოხიანმა, დაბალმა, შავკოსტუმიანმა და ჭილოფის ცილინდრიანმა კაცმა შეაღო. მორიგესთვის არც კი შეუხედავს, პირდაპირ უფროსის კაბინეტისკენ გაუტია.

– მოქალაქე! – დაადევნა უფროსმა.

– რა იყო?! – თითქოს თოკით დაქაჩესო, უცნობი მეყსეულად შედგა და შემოტრიალდა. ცალი ხელით დოინჯი გაიკეთა, მეორეთი ხელჯოხს ნერვიულად აკაკუნებდა. აშკარად აღელვებული იყო.

– რა იყო და, გამონაცვალ პერანგს ვერ მაჩუქებ? – თითქოს რაიმე ჭკვიანური თქვაო, თავისვე ხუმრობით კმაყოფილმა მორიგემ უსიამოვნოდ, ფინაგენტივით გაიცინა – რა უნდა ყოფილიყო, მე ტყუილად ვზივარ, თუ ატყობ, ამ ადგილას?

– სულ არ მაინტერესებს შენ რატომ ზიხარ მაგ ადგილას. შენისთანა უზრდელი სამი მიზის სახლში და თუ ძალიან გინდა, იმათაც მოგისვამ გვერდით.

– ცოტა ზრდილობიანად მელაპარაკე! შენ თვითონ არ მიგასვან ვინმეს გვერდით, იმას ეცადე. შენხელა კაცს ზრდილობა ქე მოეთხოვება!

სტუმარი ერთბაშად მიხვდა, რომ მორიგესთან საუბრის გაგრძელება ზედმეტი იყო. ღრმად ჩაისუნთქა, ჯოხი იატაკს გაუკაკუნა და რამდენადაც მოუხერხდა, მშვიდად უთხრა ჩხუბის გუნებაზე დამდგარ მორიგეს:

– უფროსთან ვარ მოსული! – ეს კაცი ვანო კიკილაშვილი გახლდათ.

– არსადაც არ გაგიშვებ! –მორიგე მივიდა და დერეფნის კარის გასაღები გადაატრიალა – თავიდან რომ ადამიანურად გეთქვა, გაგიშვებდი. ახლა იხტუნე რამდენიც გინდა. არ გაგიშვებ პრინციპიალურად. წადი და მიჩივლე! – თავის სამორიგეო სკამზე მოკალათდა და შეცვლილი ხმით დაუყვირა: – მოქალაქე! მიბრძანდით აქედან, თორემ ძალით მიგაბრ-

ძანებთ! – ხმას დაუწია და ნიშნის მოგებით უთხრა: – ჭიმვა როგორ უნდა, მე გაყურებინებ ახლა შენ.

სხვა გზა არ ჰქონდა, ვანო მორიგეს გაეცალა. ეზოში გავიდა და სკვერში ძელსკამზე ჩამოჯდა, ვინმე ღვთიანმადლიანი გამოივლის და უფროსთან დავაბარებ, მიმიღოსო.

ერთი საათის შემდეგ იგი კიკნაძის კაბინეტში იყო და სხაპასხუპით ლაპარაკობდა, ჩქარობდა, იმიტომ რომ უფროსმა შესვლისთანავე გააფრთხილა, მოკლედ მომიყევი, რა გაწუხებს, სამმართველოში ვარ დაბარებული და უნდა გავიქცეო.

– შეიძლება არ უნდა მოვსულიყავი დღეს აქ და არ უნდა ვამბობდე, რასაც ვამბობ. – დაიწყო ვანომ და როცა შეატყო, რომ კიკნაძე კედელზე გაკრული ძველი გაზეთის ერთმა სათაურმა მიიზიდა, იატაკს ჯოხი დაუკაკუნა – თუ კაცი ხარ ამ ერთ წუთს ყურადღებით მომისმინე. ნუ მიიხედავ გვერდზე. მეცი პატივი. თვე-ნახევრის წინ ვიყავი მე თქვენთან – 18 ივნისს, გაქურდვის საკითხზე, გემახსოვრებით ალბათ.

– რას ჰქვია „გემახსოვრებით“, ბატონო! – გაწყრა კიკნაძე – მემახსოვრებით კი არა, „პოსტი №3“ გვაქვს თქვენს ბინაში და თაგვიც რომ გაფაჩუნდეს, იმას მახსენებენ ყოველდღიურად, გურამიშვილის 11, ივანე კიკილაშვილი ბრძანდებით. მეშლება რამე?

– არაფერი, ბატონო, ყველაფერი მშვენივრად გცოდნიათ. აგაშენათ ღმერთმა, მაგრამ რაც მაქვს ორი სიტყვა სათქმელი უსათუოდ უნდა გითხრათ, სხვა გამოსავალი აღარა მაქვს. უკიდურეს დღეში ვარ, ჩემო ბატონო, ასე გამასხარავებული, ახლა რომ ვარ – სამოცდაცამეტი წლის შევსრულდი ოთხ მარტს, – მიდღემჩი არ ვყოფილვარ. დავბეჩავდი კაცი, ილაჯი გამიწყდა, ჯერ თქვენთან რომ მოვედი, მაშინაც, ხომ იცით, ადვილი გადასაწყვეტი კი არ იყო – იტყვი და ვუია, არ იტყვი და ვაიაო. მე სხვანაირად ნაცხოვრები კაცი ვარ, ბატონო, და, არ ყოფილა ჩემს ხასიათში ჩივილი და მაიმუნობა. თქვენი სამი თანამშრომელი რომ მოვიდა, თვითონ გეტყვიან ალბათ, ახლაც ჩემთან არიან: ხუსკივაძე, გაზაევი და გელანტია, შევხვდი თბილად, რავარც ეკადრე-

ბოდათ. მივუჩინე წინა ოთახი. გავუშალე ლოგინები, ჩემო ბატონო და, აბა თქვენ იცით, მე ვუთხარი, როგორ იმარ-ჯვებთ-მეთქი, კარგი ბიჭები ჩანდნენ თავიდან, ძვირს ვერ ვიტყვი, ზრდილობიანად, წესიერად იქცეოდნენ ის პირველი ორი დღე. მე, რა დაგიმალოთ და, ჩემი მჭირდა. მეორე დღეს, ათ საათზე არ უნდა მოსულიყვნენ ქურდები ფულის წასაღებად? ვიჯექი ზალაში და ცივ ოფლს მასხამდა. რავარი საქმეა, მოდის აბრაგი შენთან ვაჟკაცურად (მისი საქმე ეგ არის) და შენ, ვანო კიკილაშვილი, ახვედრებ სამ მილიციონერს ოჯახში. იტყუებ თაგვს ხაფანგში. გაყიდული გყავს წინასწარ ცხვარივით. მაგრამ ვენაცვალე გამჩენს, არ მოვიდნენ, გეცოდინებათ, რასაკვირველია, ზუსტად ორ საათზე დამირეკეს. ტელეფონი, რა თქმა უნდა, ჩართული იყო და ყველაფერი იწერებოდა, დამირეკეს, გითხარით იმის არ იყოს: „გამარჯობა, ვანო ბიძია, რა ჰქენი ჩვენი ფულისო?“ „მზად მაქვს, მე ვუთხარი. აგერ მიწყვია და მობრძანდით, ჩაიბარეთ თქვენი ფული-მეთქი“, როგორც ვიყავი დარიგებული, ისე კარგად, ლამაზად... აბა, მოვდივართ ამ წუთშიო, ნახევარ საათში შენთან ვიქნებით და, თუ კაცი ხარ, იმდღევანდელივით დიდხანს არ გაგვაჩერო, ათასი საქმე გვაქვს დღესო. ქურდს საქმეს რა გამოულევს. ექნებოდათ, ალბათ, ამნაირი საყაჩაღო სადმე რამე, ერთი სიტყვით, გეცოდინებათ, რასაკვირველია, ვუცადეთ. მარა იმ დღეს არ მოვიდნენ, მეორე დღეს, ასე თორმეტი საათი იქნებოდა, დამირეკეს მეორედ. იმის ხმა იყო, პირველად რომ შემოვიდა. სიმპათიური ბიჭი იყო-თქვა, მაშინ რომ გითხარით. ეს ლაპარაკი, ყველაფერი, ჩაწერილია მშვენივრად. ბოდიში მომიხადეს, რასაკვირველია, გუშინ ვერ მოვედით, საქმეზე შეგვაგვიანდაო. ახლაც ისე ეწყობა ჩვენი საქმე, რომ მაქეთ გზა არა გვაქვს და იქნებ გაისარჯო და გამოგვიტანო ფული ბარათაშვილის ხიდთანო. „კი, ბატონო, სიამოვნებით მე ვუთხარი (ეს ყველაფერი იწერებოდა), ზუსტად მითხარით, სად მოვიდე, არ აგცდეთ სადმე-მეთქი“. „ბარათაშვილის ხიდქვეშ, ავლაბრის მხარეს, გზა რომ გადის, იქ დადექი ფულით ხელში და ჩვენ თვითონ გამოგივლით მანქანითო.

ხვალ, თორმეტ საათზე მოხდება ეს ამბავიო“. წავედით, რასაკვირველია, ყველა გაფრთხილებულია, გზები – შეკრული. თქვენი ბიჭები შეიარაღებული ისხდნენ საფარში. მე ვდგავარ ფულით ხელში და ცივი ოფლი მასხამს. აქ უეჭველად სროლა იქნება, – ვფიქრობ, რა შარში ჩავიგდე თავი-მეთქი. ერთი სიტყვით, გეცოდინებათ, რასაკვირველია, არც მაშინ მოვიდნენ. თორმეტი საათიდან ექვს საათამდე ვიდექი ბარათაშვილის ხიდქვეშ. უსმელ-უჭმელი, ჩამოვწყდი ფეხზე კაცი, მაგრამ რისი ქურდი, რა ქურდი! დავბრუნდით ხელცარიელი სახლში. შემოვდგით ფეხი თუ არა, იმ წუთშივე დარეკა იმან, ბონდო რომ ჰქვია. მე რომ მომეწონა შესახედავად, რასაკვირველია. ადამიანს ჰგავდა, რაღაცა ღვთისნიერი სახე ჰქონდა, ასე მომეჩვენა ყოველ შემთხვევაში მაშინ, თორემ ისე, აბრაგი და დამცემია იგიც და სიგლახეს სხვებივით სჩადის, რასაკვირველია. დამირეკა და მითხრა: – ბოდიშს გიხდით, ვანო ბიძია, რომ გაგაცდინეთ დღესო. ჩემი ბრალი არ არის, ჩემი ამხანაგების ბრალიაო (ეს ყველაფერი ჩაწერილია), მოვდიოდი, მაგრამ არ გამომიშვესო. ხომ იცი, რა უბედურ საქმეზე გვიკიდია ხელი. წუთი მოცლა არა გვაქვსო. იყოს ეგ ფული ცოტა ხანს შენთან. ცალკე გაახვიე ქაღალდში და უჯრაში შეინახე. ამ დღეებში გამოგივლი და წავიღებო. ის დღე იყო და ის დღე, გუშინდლამდე აღარ დაურეკია, ვცხოვრობთ ეს თვე-ნახევარია ერთად მე და თქვენი სამი თანამშრომელი – ხუსკივაძე, გაზაევი და გელანტია. შენმა მტერმა იცხოვრა ისე, მე რომ ვცხოვრობ და მე რომ მოსვენება მაქვს ამ თვე-ნახევრის მანძილზე. სამი უსაქმო კაცი სახლში მხარ-თეძოზე წამოწოლილი რავარი ასატანია. წესიერი კაცი გათახსირდება ასე უსაქმოდ. მაგენს რა მოუვიდოდა? დამიოხრეს ყველაფერი, ბატონო. ჩემი ბინა ბინად აღარ ვარგა. დილიდან საღამომდე ნარდის ტკაცუნი რავარი მოსასმენია? მერე წყნარად მაინც თამაშობდნენ, არის ერთი სიცილ-ღორღოცი. შელაპარაკდებიან რაღაცაზე, დაიწყებენ კამათს და მერე ბალიშებს ესვრიან ერთიმეორეს, რომ შეხვიდე იმ ოთახში, საქონლის ბაგა გეგონება. ატეხავენ ბავშვურ კამათს რაღაც სისულელეზე, მე შენ გეტყვი, ჭკვი-

ანურს იტყვიან რამეს. მაგალითად, გუშინ იმაზე ჰქონდათ ჩხუბი – კაცობრიობას ცეცხლის გაჩენა ჩვენმა ამირანმა ასწავლა თუ ბერძნების პრომეთემო. ამაზე დასცხეს ერთმანეთს და სულ მამის სული აგინეს. რა ვქნა, სად გავიქცე, არ ვიცი, პირველი ორი დღე ანგელოზებად მომაჩვენეს თავი. ფეხაკრეფით დადიოდნენ. ახლა ისე დამაჯდნენ თავზე, რომ გინდა მე ვყოფილვარ და გინდა ბუზი. იმ დღეს, დიდი სიცხე რომ იყო, წუწაობა გამართეს, შეიძლებოდა გაგიჟებულიყავით რომ გენახათ, როგორ დაშლიგინობდნენ ვედროთი ხელში ოთახიდან ოთახში, გლადიატორების ნაბრძოლს დაამგვანეს ჩემი ბინა. ახლა ყველაფერს ანგარიში აქვს, ჩემო ბატონო. მე წუწურაქ კაცად არ ჩამთვალოთ, მაგრამ ოჯახი მაქვს, კაცი ვარ და იმას ხომ ვერ ვიზამ, მოვიტანო ბაზრიდან სანოვაგე, ჩემთვის გამოვიწყო სადილი და სამი ღლავივით კაცი პირში მიყურებდეს. კი, მართალია, მარტოხელა მქვია, მაგრამ გამოწყვეტილი არ გეგონოთ, რა ვუყოთ, ასე მოიტანა ცხოვრებამ. ვერ ავაწყვე ოჯახი. რაღა გავაგრძელო, – დავდივარ ყოველდღე ბაზარში, მომაქვს ოთხი კაცის საჭმელი. ვამზადებ მე თვითონ. მზარეულობის გამეგება ცოტა რაღაცა და, ერთი სიტყვით ვმასპინძლობ, როგორც შემიძლია. მე თვითონ, ერთი კაცი რომ ვიყავი, ხან აგერ წავიჭამდი და ხან ეგერ. გაზი და ქვაბების ხეხვა მინდა მეე? მაგრამ სინდისი მაწუხებს, ეს ხალხი, ვფიქრობ, ჩემი გულისთვის არის აქ, მე მპატრონობენ და როგორ არ ვცე პატივი-მეთქი, ამას ყველაფერს ხარჯი უნდა, თქვენ შემოგევლეთ, ჩვენს შორის დარჩეს ეს ამბავი და, ფულს ხიდან კი არ ვკრეფთ, არც მე და არც თქვენ. ჩემი პენსიით მოგროვილი რაღაც ორი კაპიკი ქე შემომეხარჯა ხელში. ხარჯს და ანგარიშს ვინ დაეძებს, შენ უნდა ნახო, რაფერ იბღვირებიან ცოტა ნაკლები სადილი რომ მაქვს. ყოველდღე ხომ ვერ იშოვი კაცი შენს გემოზე, რაც გინდა. ჩამოუშვებენ ცხვირებს და ისე მიყურებენ, თითქოს მაგათი ვალი მედოს და არ ვაძლევდე. ასე ვცხოვრობთ, ჩემო ბატონო. დავბეჩავდი კაცი. ჩემი ასე გაბითურება, მე მგონი, არც თქვენ გაგეხარდებათ. ჯერ სულ პატარა რამე ავიღოთ. დავანებოთ თუ

გინდა ყველაფერს თავი, პაპიროსს ნუ მოწევთ, სუნს ვერ ვიტანთ, ბიძია-თქვა, ცხრაჯერ ვთხოვე. შევალ თუ არა, დამალავენ ბავშვებივით უკან ანთებულ პაპიროსს. არის ოთახი გაბოლილი, გამჭვარტლული. რას იტყვი, სახლში შემოსულ კაცს შეურაცხყოფას ხომ არ მივაყენებ, თვარა, გეფიცები მამის სულს, ერთი-ორჯერ გავიფიქრე: შევვარდები ახლა და ამ ჯოხით დავულეწავ სამივეს ცხვირ-პირს-მეთქი. გუშინ დამირეკეს, გეცოდინებათ, რასაკვირველია, ჩემმა ქურდებმა ერთხელ კიდევ. ჩაწერილია ეს საუბარიც: „შენო, მითხრეს, ვანო ბიძია, არ ყოფილხარ პატიოსანი კაციო. გენდეთ, პატივი გეცით და ასე უნდა გადაგვიხადო სამაგიერო? როგორ კადრულობ შენი ხნის კაცი იმას, რომ მილიცია გყავს სახლშიო. ჩვენი თუ არ გეშინია, ღმერთის მაინც არ გეშინიაო?“ „რის მილიცია, რა მილიცია, რავა გეკადრებათ, მოდით და ნახეთ, ჩემს გარდა თუ ვინმეა ამ სახლში“, მე ვეუბნები, შემცდარი ხართ, თქვენ ნუ მომიკვდებით-მეთქი, „თვე-ნახევარია ოპერჯგუფი ხუსკივაძის, გაზაევის და გელანტიას შემადგენლობით შენთან ათევს ღამეს, არც ესაა მართალიო? არ ველოდით ასეთ მუხთლობას შენგან. შენ სხვა კაცი გვეგონეო“ – მითხრეს და დამიკიდეს ყურმილი გეკითხებით ახლა მე თქვენ: საიდან გაიგეს ქურდებმა ეს ამბავი? ჩემს ერთადერთ ბიჭს ვფიცავარ (მფრინავი მყავს და მაინც ცაზე ჰკიდია ყოველდღე) თუ ჩემი პირიდან ვინმემ იცოდეს, თქვენ გარდა. მეზობლებიც აინუნში არ არიან, რატომ უნდა იცოდნენ ქურდებმა ზუსტად ამ თქვენი ჯგუფის წევრების გვარებიც კი; აქ რაღაცაშია საქმე.

ჰოდა, ჩემგან საკმარისია, ამხანაგო კიკნაძე. მე თამაშიდან გავდივარ. ის ქურდები, ცხადია, აწი ჩემთან მომსვლელი აღარ არიან და არც თქვენი თანამშრომლების ყურების თავი მაქვს მეტი. ამ სათხოვარზე ვარ მოსული. აიღეთ ახლავე ყურმილი, დარეკეთ ჩემთან და გამოიწვიეთ უკან სამივე, დიდი მადლობელი ვარ ჩემი დაცვისა და ყურადღებისათვის, მაგრამ მე ერთი ნერვებმოშლილი ბებერი კაცი ვარ და პატარა თუ არ მოვისვენე ახლა, უკიდურეს მდგომარეობამდე ვარ მისული.

კიკნაძე ჩაფიქრდა. სუფთა ქაღალდზე თავისი გვარი ხე-

ლის გასავარჯიშებლად ერთი ათჯერ მოაწერა და ვანოს შეაცქერდა.

– რა ნომერია?

– 2-26-83.

ქვეგანყოფილების უფროსმა ნომერი აკრიფა და ყურმილს ჩასძახა:

– რომელი ხარ? ხუსკივაძეს დაუძახე შენ ერთი, ხუსკივაძე, მოხსენი მაგ ბინიდან ჯგუფი და წამოდით ახლავე. ნახევარ საათში აქ იყავით და ყველაფერი წამოიღეთ. პოსტი გაუქმებულია!

– აგაშენათ ღმერთმა. – ვანო კიკილაშვილმა მაგრად ჩამოართვა უფროსს ხელი და ჯოხის კაკუნით ოთახიდან გავიდა.

* * *

საღამოს ვაკის პარკში ისეირნა. არაჩვეულებრივი სიმშვიდე დაეუფლა. თავს ტყვეობიდან დახსნილივით გრძნობდა, გულზე მოეშვა.

შინ მობრუნებულს ერთი სიმღერა აეკვიატა და ვერაფრით ვერ მოიშორა – „ვისაც არ გამოუცდია, მისთვის არაფერია...“ ღიღინებდა ქუჩაში, ლიფტში, კარს რომ გასაღები მოარგო, მაშინაც. ის იყო ფეხი შედგა თავის ბინაში და კარის მიგდებას აპირებდა, რომ უკან ვიღაცა ამოუდგა და კარს ფეხი დაუხვედრა.

– მე ვარ, ვანო ბიძია, ბონდო ვარ!

– გიცანი. – ამოიოხრა ვანომ.

– თუ შემომიშვებ შენთან, დავჯდეთ, ცოტა ვილაპარაკოთ, თუ გცალია, რა თქმა უნდა.

– მობრძანდი. – დამარცხებული, ფარხმალდაყრილი კაცის იერით უპასუხა ვანომ.

...და შევიდნენ.

ასარჩევი

ბირჟა 5
დედა 13
მხვრინავნი 21
ცხენოსანი 30
ჩიტების დარდი 35
წავა? 52
ფეხბურთელი 61
კვალი 75
საქართველოსთვის, ბატონო, საქართველოსთვის 81
რადიომონოლოგი 85
„თქვენს შორის მშვიდი დარჩა ვინმე?“ 90
საუბარი ჭადრების ჩრდილში 94
კაცნი 103
სიკეთე 114
ამბერკი 125
მსაჯი 136
მარტვილი 151
დავითი 171
სიტყვა 178
მეშარვლე 187
ბიძგი 197
თიხის ერთი ფირფიტა 215
მარტო 227
ექიმი 239
ბებერი 252
მეთოკე 278
დოღი 285
აბესალომ 294
შემთხვევა 303
მოსე 317
მე ვარ... 328

აეროდრომი აღარ არის 344
ქორეოგრაფი 363
ცხენი 373
პატრონი 383
უსაფლავო კაცი 393
ჟინი 401
სიკვდილი 409
ზელიმხანი 421
ვინ დამეძებს... 433
დღე პირველი 448
ილაჯი 462

РЕВАЗ МИШВЕЛАДЗЕ

ИЗБРАННЫЕ ПРОИЗВЕДЕНИЯ

в 25 томах

ТОМ III

Издательство „Сакартвелос Мацне“
Тбилиси 2012